ვარლაამ
ამლაჭიაშვილი

თხზულებანი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი — 1970

Г2
899 9621 — 3
მ 204

კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო
ნ ო დ ა რ ა ლ ა ნ ი ა მ.

7—3—2

70 ადგ.



ვარლამ მალაქიაშვილი (ხუროძე)

ვისაც გადაუთვალიერებია პირველი რევოლუციის პერიოდის, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის ათი-ოციანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთები („მოამბე", „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება", „ეკალი", „ნაკადული", „ფასკუნჯი", „სხივი", „ჩვენი გაზეთი", „ახალი გზა", „საქმე", „ერთობა", „თანამედროვე აზრი" და ა. შ.) შეამჩნევდა, რომ მათ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ეპიური ჟანრის ნაწარმოებები, პიესები, ლექსები, თარგმანები, იუმორისტული ფელეტონები, კრიტიკული, პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები, რომლებსაც ხელს აწერს ვარლამ მალაქიაშვილი ან ვარლამ ხუროძე, ქართველი მწერალი, შესანიშნავი პედაგოგი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე.

ვარლამ ადამის ძე ხუროძე (ლიტერატურაში ცნობილი მალაქიაშვილის ფსევდონიმით) დაიბადა 1883 წლის 1 ოქტომბერს (ძველი სტილით) სოფელ მათხოჯში. სოფლის სამონასტრო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის ხონის ორკლასიან სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლას განაგრძობს იქვე საოსტატო სემინარიაში.

ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს ვარლამ ხუროძე ხელს ჰკიდებს ფოლკლორული მასალის, უმთავრესად ქართული ხალხური ლექსების შეკრებას, ხოლო ჟურნალებში „ჯეჯილი", „მოგზაური" და „მწყემსი" უკვე ქვეყნდება მის მიერ რუსულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები. მალე „ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში" იბეჭდება ვარლამ ხუროძის პირველი ორიგინალური ნაწარმოები, მოთხრობა „დედის მსხვერპლი" (1904 წ.).

სემინარიის კურსის დამთავრებისთანავე ვარლამ ხუროძე პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ჯერ ჭიათურის რაიონის სოფელ მერევის სკოლაში, შემდეგ კი ლანჩხუთში. იმხანად ვარლამ ხუროძე აქტიურ მონაწილეობას იღებს გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში და ხდება რსდმპ ბოლშევიკური ფრაქციის წევრი.

1910 წელს ვარლამ ხუროძე უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს მიემგზავრება. აქ იგი შედის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც 1913 წელს ამთავრებს და ბრუნდება საქართველოში. ვარლამ ხუროძე ერთხანს ქუთაისში ცხოვრობს და პედაგოგიურ, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. ამასთან ერთად იგი ერთი წუთითაც არ წყვეტს კავშირს რევოლუციურ წრეებთან, რაც მეფის მთავრობას შეუმჩნეველი არ რჩება. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ვარლამ ხუროძეს აპატიმრებენ და შვიდი წლით ასახლებენ ქალაქ ასტრახანში, საიდანაც იგი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა.

ვარლამ ხუროძის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1924 წელს იგი მუდმივ საცხოვრებლად ქუთაისიდან თბილისს გადმოდის და სხვადასხვა დროს მუშაობს საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ხელმძღვანელად და მეთოდისტად, პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად და ა. შ. ამასთან ერთად, იგი ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკისა და ახალი ქართული ლიტერატურის კურსს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ სექტორზე და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ვარლამ ხუროძემ, როგორც შესანიშნავმა პედაგოგმა, საკმაო წვლილი შეიტანა საერთოდ პედაგოგიკის და განსაკუთრებით კი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მე-

თოდიკის შესწავლისა და დამუშავების საქმეში. მისი შეთოდური ნაშრომები და გამოკვლევები ქვეყნდებოდა როგორც ცალკე წიგნებად, ისე პედაგოგიურ ჟურნალებში („საქართველოს განათლების მუშაკი", „განათლება", „კომუნისტური აღზრდისათვის", „მასწავლებლის თანამგზავრი" და სხვ.). მის მიერ შედგენილია როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ისე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების არაერთი სახელმძღვანელო და ქრესტომათია.

ვარლამ ხუროძე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. მისი მრავალრიცხოვანი ლექსები, მოთხრობები, რომანები, პიესები, იუმორისტული ფელეტონები როგორც პერიოდულ გამოცემებში, ისე ცალკე წიგნებად ქვეყნდებოდნენ და მკითხველთა დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობდნენ.

ვარლამ ხუროძე დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის სფეროში. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა, რომლებშიც განხილულია როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვ., ისე მისი თანამედროვე მწერლების — ჭოლა ლომთათიძის, იროდიონ ევდოშვილის, შიო არაგვისპირელის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა შემოქმედების ცალკეული საკითხები. ვარლამ ხუროძესვე ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა მიძღვნილი დიდი რუსი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის, ემილ ვერჰარნის, ჰენრიკ იბსენის და სხვა რუს და ევროპელ მწერალთა შესახებ.

ვარლამ ხუროძე, გარდა ვ. მალაქიაშვილისა, თავის ნაწარმოებებსა და წერილებს აქვეყნებდა ფსევდონიმებით: ვ. მ.-შვილი, ვ. მ.-ლი, ეშმაკუნა, ხიც-ხიც, ცხვირა, ვ. ხ., ვ. ხ-ძე და სხვ.

ვარლამ ხუროძე გარდაიცვალა 1939 წლის 10 ივნისს.

•

ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი) ე. წ. დემოკრატიული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. იგი

ახალ ვითარებაში თანამიმდევრულად იცავდა ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს.

ვარლამ ხუროძე სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როცა კრიტიკული რეალიზმი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა დეკადენტურ-სიმბოლისტურ და სხვა ანტიხალხურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ამ მხრივ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დამდგარი რეაქციის გამარჯვების მძიმე ხანა, როცა „წმინდა ხელოვნების“ მომღერლები რეალიზმს უპირისპირებდნენ „ზეკაცურ“ იდეებს, დაცემულობას, აპოლიტიკურობასა და პასიურობას. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ მწერლობაში თავი იჩინა სამოქალაქო მოტივებისაგან განდგომის, თვითმიზნური ესთეტიზმის, მისტიკური და ეროტიკული განწყობის ტენდენციებმა.

გაბატონებულმა კლასებმა მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გამწვავებულ ბრძოლაში გამოიყენეს არა მხოლოდ იარაღი, არამედ მთელი იდეური არსენალი. ბრძოლამ მოიცვა ლიტერატურაც და მოწინავე ლიტერატურის აქტიურ და ჯანსაღ პრინციპებს აშკარად დაუპირისპირდა ანტიხალხური იდეები.

ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი) თავიდანვე მტკიცედ დადგა იმ მწერლების გვერდით, რომლებიც ხალხის ინტერესებს იცავდნენ, მომავალს იმედით შეჰყურებდნენ და სწამდათ მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის კეთილად დაგვირგვინება.

ვარლამ ხუროძის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებში: „სამნი“, „შოთა ბროლიძე“, „ორი საფლავი“, „გარშემო კი წყვდიადია, სიბნელე საშიში“ და სხვ., ასახულია ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მათში მოცემულია პირველი რევოლუციისა და მისი დამარცხების შემდეგ დამკვიდრებული სისხლიანი რეაქციის აღვირახსნილი თარეშის შთამბეჭდავი სურათები. მწერალი განსაკუთრებული სიცხადით გვიხატავს თავდადებული რევოლუციონერების დამაჯერებელ სახეებს; ასეთებია, მაგალითად, შალვა ღრუბელიანი რომანში „სამნი“, შოთა ბროლიძე ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან, ბესიკი მოთხრობიდან „დათოვლილი გვირგვინი“ და სხვები. მართალია, ეს გმირები

ზოგჯერ ერთგვარად რომანტიკოსები არიან, მათთვის უცხო არ არის არც შინაგანი წინააღმდეგობანი, გადამწყვეტ მომენტებში ისინი ზოგჯერ მერყეობასაც კი იჩენენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთი ფიქრებით, ზრახვებით მაინც კარგად გამოხატავენ ხალხის საუკეთესო შვილების ბრძოლას თავისუფლებისათვის. მიუხედავად ერთგვარი ინტელიგენტური მერყეობისა, არსებითად მაინც მაღალი შეგნებითა და თავდადებით ემსახურებიან ხალხს, მშრომელთა ბრძოლის დიად საქმეს. ის ფაქტი, რომ ვ. მალაქიაშვილის ყველაზე დადებით გმირსაც ახასიათებს შინაგანი ბზარი, მწერლის შემოქმედებითი ხედვის სიღრმეზე ლაპარაკობს. მწერალი კარგად იცნობს თავის თანამედროვე ცხოვრებას, იმ ტიპებსა და ხასიათებს, რომლებზედაც წერს და არ ცდილობს მათ შელამაზებასა და ხელოვნურად გამუქებას, ამიტომაა, რომ ისინი იმდროინდელი ცხოვრების შუაგულიდან არიან აღებულნი და მართალი თვალით დანახულნი. ამას ნათელყოფს ის ფაქტიც, რომ ვარლამ მალაქიაშვილის თითქმის ყველა ნაწარმოებში მრავლადაა დახატული მაშინდელი ყოფის მართალი სურათები, ღრმად შთამბეჭდავი სახეები, მშვენივრად წარმოსახული დეტალები. ამიტომ იყო, რომ მისი მხატვრული ნაწარმოებები მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობდნენ და დღესაც პოპულარულნი არიან.

ვარლამ მალაქიაშვილის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სოფლის ცხოვრების ასახვას. მოთხრობები: „ლუკმა პურისთვის“, „ობლები“, „კეკელოს თავგადასავალი“, „სოფლის სურათები“ და სხვ. გვიჩვენებენ გლეხების ყოფას და მათ მძიმე მდგომარეობას, მათ უნუგეშო ხვედრს ექსპლოატატორთა უღელქვეშ.

*

ვარლამ ხუროძის (მალაქიაშვილის) თხზულებათა წინამდებარე კრებული მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავს. აქ მოთავსებული ნაწარმოებები, გარდა „დათოვლილი გვირგვინისა“, რომელიც პირველად ქვეყნდება, არაერთხელ იყო გამოქვეყნე-

ბული. წინამდებარე კრებული მოკრძალებული ძღვენია ვარ-
ლამ ხუროძის (მალაქიაშვილის) — ამ მრავალმხრივი მოღვა-
წის, შესანიშნავი მოქალაქისა და პედაგოგის დაბადების
85 წლისთავზე, იმ ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი სი-
ცოცხლე ხალხზე ზრუნვაში გაატარა და უკანასკნელ ამოსუნ-
თქვამდე ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს.

ნოდარ ალანია

კეკელოს თავგადასავალი

მოთხრობა

I

— როგორ გეკადრება, სტეფანე? განა მაგეებს კითხვა უნდა? ჩემი მამიშვილის ოჯახში სხვას ვის გაჭირვებია, რომ შენ შვილს გაუჭირდეს!

პირდაპირი პასუხის მაგიერ ასეთი სიტყვებით მიმართა ნატომ თავის მოსამსახურე გოგოს მამას, რომელიც სოფლიდან ჩამოსულიყო შვილის სანახავად.

— მაგაში მეც დარწმუნებული ვარ, ჩემო ბატონო, თორემ სხვას როგორ ვანდობდი ჩემ სიცხლსა და ხორცს, — უთხრა მოკრძალებით სტეფანემ.

— გარწმუნებ, რომ შენს ოჯახშიაც არ იქნებოდა აგრე არხეინად შენი ქალიშვილი. ისე ვეფცევი, როგორც საკუთარ შვილს.

— აგრემც სიკეთე ნუ მოგაკლოს!.. მადლიანი მშობლების შვილი ხარ, შენი დედ-მამის სიკეთე მთელ ჩვენ სოფელშია განთქმული და შენც ისეთი იქნები, — ამბობდა სტეფანე, ნატო კი ლაპარაკს არ აცლიდა და განაგრძობდა:

— ვერ წარმოიდგენ, სტეფანე, როგორ გაიწაფა და გაიწრთვნა!.. სიტყვა-პასუხი. სამსახური... ოჯახის მოვლა ისწავლა... სწორედ მოგეწონება... ტანთჩაცმა, დახურვა, რეცხვა, წმენდა...

— კარგია, თქვენი კვნესამე, კარგი... მადლი გერგებათ, საწყალი ადამიანის შვილია...

— ერთხანს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ახლა კი ყველაფერზე შეჩვეულია...

— რასაკვირველია, გაუჭირდებოდა... სოფელში გაზრდილია, აქ კი ქალაქია, — ეუბნებოდა სახეგაბრწყინებული სტეფანე, რომელიც სკამზე იჯდა და ცალ ხელში რომ ქუდი და ჯოხი ეჭირა, მეორეთი დაკერებულ შარვალზე ჩოხის კალთებს იფარებდა; თან ერთობ სცხვენოდა, რომ შეღებილი იატაკი, სადაც კი ფეხი დაადგა, სულ მტვრისაგან გათეთრდა.

მუსაიფი განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ სახლის კარები გააღო, — ეს ნატოს ქმარი იყო, სამსახურიდან დაბრუნებული.

ის შუატანის იყო, ჩასქელებული, ფერმკრთალი. ჩაფიქრებულ სახეზე მარტო ულვაშები უჩანდა. სტეფანეს დანახვაზე თავში არასასიამოვნო აზრმა გაურბინა: სწორედ გოგოს ჯამაგირს მომთხოვსო. ამ აზრმა სახეც დაუღმიჭა, მაგრამ, რაკი დაინახა, რომ ზეზე ამდგარი სტეფანე პირდაპირ უცქეროდა და სალამისათვის გამზადებულიყო, თვითონაც ნაძალადევად გაიცინა და, ვითომდა დიდად ნასიამოვნებმა სტეფანეს მოსვლით, ღიმილით მიაძახა:

— ოო, სტეფანეს ვახლავარ, სტეფანეს!... გამარჯობა, გამარჯობა, — და ამ სიტყვებით ხელიც გაუწოდა ჩამოსართმევად.

— გამარჯობა ნუ მოგიშალოს, — უპასუხა სტეფანემ და, რაკი შეატყო, რომ ღონივრად ხელის ჩამორთმევას ჯოხი შეაშლევინებდა, ხელად მიაყუდა იგი კედელზე და ლევანისაკენ გაეშურა. თან ორივე ხელი ჩამოსართმევად გაამზადა, მაგრამ ჯერ მისალმება ვერც კი დაესრულებინა, რომ ჯოხმა იატაკზე ბრაგვანი მოიღო და ერთი ხმაური ატეხა. ისედაც დარცხვენილი სტეფანე სულ დასწვა ამ გარემოებამ: ყველაფერი ისე უხერხულად და მოუხეშავად მოუვიდა, რომ მიწა გახეთქოდა ის ერჩივნა.

— არა უშავს რა, ჩემო სტეფანე, — გაამხნევა ლევანმა, რომელმაც ხელად გაიხადა პიჯაკი, მოიხადა ქუდი და ისევ სტეფანეს მიმართა: — სტეფანეჯან, სოფელშიაც ასეთი სიცხეებია?

— კი, ბატონო, იქაც ასეა...

— დავიწვით, მეტი აღარა ვართ ადამიანები!..
— დიდი სიცხეებია, ბატონო, დიდი...
— ყანა რას შვრება? გვალვა ხომ არ აწუხებს?
— ჯერჯერობით დიდათ არა და, თუ ასე გაგრძელდა...
— ისე... პირი როგორი უჩანს მოსავალს?
— არა უშავს... ვისაც რამე აქვს.
— კარგია, კარგი! — ამბობდა ლევანი და ცხვირსახოცით იგრილებდა.
— ქალო, — მიმართა მან ცოლს, — ერთი ციცი წყალი დამალევინე, ლამის გავხელდე კაცი.
— ჯერ კიდევ გაგრილდი, თორემ გაწყენს, — უთხრა ცოლმა, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ დოქით ციცი წყალი გამოიტანა.
ლევანი ზრდილობის გულისთვის ჯერ სტეფანეს შეეპატიჟა წყალს, ხომ არ მიირთმევო და, რაკი სტეფანესაგან უარი მიიღო, თვითონ მიირთვა.
იცოცხლეთ, სტეფანეს სწყურდა, მაგრამ სირცხვილის გამო ვერ მოეთხოვა წყალი.
— სხვა, ქალო, ბავშები სად არიან?
— კეკელოსა ჰყავს სასეირნოდ.
— ამ სიცხეში რა დროს სეირნობაა, ადამიანო? გინდა ავად გახადო ბავშები?
— დაიგვიანა იმ შერცხვენილმა!.. მოვა საცაა... სასეირნო ბაღი ახლო გვაქვს, — უპასუხა ცოლმა და თან ცქერა დაიწყო იქითკენ, საიდანაც კეკელო და ბავშები უნდა მოსულიყვნენ.
— სხვა, შენ როგორ სცხოვრობ, სტეფანე? ჯანზე როგორა ხარ? — ჰკითხა ბოლოს ლევანმა.
— გმადლობთ, ბატონო, როგორც შეეფერება გლეხკაცს... ხან ავად, ხან კარგად...
— ჩემი მოყვრების ამბავი თუ იცი რამე?
— კარგად არიან, ბატონო; მაგათთანა ხელმომთბარ ხალხს რა უჭირს!.. წერილი გამომატანა თქვენმა სიდედრმა და ნატოს კიდეც გადავეცი.
— დიახ, მომცა... — დაემოწმა ნატო.
ლევანის ცოლი — ნატო — სტეფანეს სოფლიდან იყო

და სტეფანემაც დაწვრილებით უამბო სიძეს სიდედრ-სიმამრის ოჯახის ამბავი.

— კეკელოც მოდის... ბავშები მოჰყავს, — თქვა ამ მუსაიფის დროს ნატომ და ფანჯრიდან შვილებს გადასცინა.

კეკელოს მოსვლის ხსენებაზე სტეფანეს გულში სიხარულმა გაიფრინა, თვალები გაუნათლდა, ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

„ერთი წელიწადია არ უნახავარ საწყალს და ახლა რაგვარად იამება ჩემი ნახვაო“, გაიფიქრა და შუშაბანდიდან გადაიხედა.

კეკელო საზაფხულოდ იყო მორთული: წინ თეთრი წინსაფარი, თავი თეთრი ხილაბანდით ჰქონდა წაკრული. პირველად მამა ვერ შეამჩნია, მაგრამ როგორც კი იცნო, მაშინვე შურდულივით გამოექანა მისკენ. ნატოს მაინცდამაინც არ იამა, რომ ბავშები შუა ეზოში მიატოვა გოგომ; უნდოდა ამისათვის, ჩვეულებრივ, კარგად შეეყვირებინა, მაგრამ სტეფანეს მოერიდა და თავი შეიმაგრა. სტეფანემ კი ვერ მოითმინა ერთ ადგილს გაჩერება და შვილს კარებთან მიეგება.

— მამა!— მიაძახა კეკელომ და კისერზე ჩამოეკიდა.

— შვილო. — წაიჩურჩულა სტეფანემ და მაგრად ჩაიკრა გულში.

კარგა ხანს იყვნენ უსიტყვოდ, ერთმანეთს აკვირდებოდნენ, უცინოდნენ.

სტეფანეს პირველი სიხარული თანდათან ჭმუნვად ეცვლებოდა: რამდენადაც უკვირდებოდა, იმდენად არ მოსწონდა შვილის ჯანმრთელობა. გამხდრად, ფერმკრთალად და დასუსტებულად ეჩვენებოდა. „სოფელში კი ყაყაჩოსავით იყო“, ფიქრობდა და თან მოკრძალებით იხედებოდა ლევანისა და მისი ცოლისაკენ. კეკელოც ცალი თვალით ქალბატონისაკენ იცქირებოდა, — იმას ხომ არ სწყინს რამეო და, რაკი შეამჩნია, რომ მაინცადამაინც არ ესიამოვნებოდა კეკელოს ასე გაჩერება, უფრო მოკრძალება დაეტყო.

— აბა, კარგად დააკვირდი, ჩემო სტეფანე, თუ ვერ მოიგლია შენი შვილისათვის!.. თუ ვერ ჩამიცმევია ტანზე, ფეხზე!.. აბა, თუ გავს შენი მეზობლების გოგოებს!.. მისი ტოლები ახლა სოფლად ბატებს უდგიან და ღორებს, ეს კი ხალხში ურევია, — ღიმილით უთხრა ლევანმა სტეფანეს.

— იცოცხლე, ბატონო, იცოცხლე! — ეუბნებოდა სტეფანე, რომელსაც მაინცადამაინც არც იმდენად მოსწონდა შვილის მორთულობა, მაგრამ პირდაპირ ვერ ეთქვა.

— საკუთარი შვილივით ვუვლი, მეფურად ვაცხოვრებ, მშვენიერ სახლ-კარშია, — განაგრძობდა ლევანი.

„ყველაფერი ცეცხლმა დაგიბუგოს... მე ამას ჩემი მამის ქოხმახი მირჩევნია“, გაიფიქრა კეკელომ და გულდამწვარად შეხედა მამას.

— კეკე, შენი ასე გაჩერება არ ვარგა ახლა! მამაშენს უნდა ემსახურო; წადი, სადილს მიხედე, — უთხრა ნაძალადევის ღიმილით ქალბატონმა.

კეკელოს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, როცა ქალბატონისაგან ასეთი ტკბილი სიტყვები გაიგონა; სამზარეულოში შეეიდა და გაიფიქრა: ეს, ალბათ, მამაჩემის მორიდებით არისო.

კეკელო სიხარულით ფეხზე არ იდგა, გულში ჩიტი უფრინავდა. „ახლა კი წავალ, გავშორდები აქაურობას. რაკი ყველაფერს ვუამბობ მამას, მაშინვე წამიყვანს“, ფიქრობდა და ცას ხელი უწვდებოდა. „ნასადილევს მარტო დავრჩებით და ყველაფერს ვეტყვი“, ამბობდა თავისთვის; სრული დარწმუნებული იყო, რომ მამა სურვილს აუსრულებდა. აგონდებოდა სოფელი, იქაური ცხოვრება და სიხარულით ფეხზე არ იდგა.

სადილობის დროც დადგა. სტეფანე მიიპატიჟეს სუფრაზე. იგი ერთობ მორცხვობდა, თან ეშინოდა — არაფერი გავტეხო სუფრაზე, ან ჭამაში არ შევრცხვეო. გაგონილი ჰქონდა, რომ მდიდრებს რამოდენიმე თავი საჭმელი მოსდით სუფრაზე და ხათაბალა ისაა, თუ რომელი ვჭამო უწინაო. ყველაზე მეტად ეშინოდა დანა-ჩანგლისა და, როგორც კი დაინახა, მაშინვე პირს კატა ეცა: ვაი, თუ მეც ამ ვერნებით დამჭირდა საჭმლის ჭამა და რა ვქნა, როგორ მოვიხმაროო, — ფიქრობდა. მაგრამ ლევანი დაკვირვებული კაცი იყო და იცოდა, რომ სტეფანე დანა-ჩანგალს ვერ მოიხმარდა. ამიტომ სტეფანეს გასათამამებლად ხუმრობით თქვა:

— ქალო, შემიბრალე, ეს დანა-ჩანგალი გამაშორე აქედან!.. ვის გაუგონია ამითი საჭმლის ჭამა!.. ხელები იმისთვის მაქვს, რომ საჭმელი მათი შემწეობით ავიღო...

მართლაც, ლევანს პირველად დანა-ჩანგალი არ უხმარია, მაგრამ თანდათან კი შემოაპარა.

II

ლევანი და ნატო, გარეგნულად მაინც, პატივისცემით ეჭცეოდნენ სტეფანეს. კეკელოს უკვირდა ესა და თან სიამოვნებდა, რომ მისი მამა კაცად ჩააგდეს და არ დაამცირეს. პირველ სიამოვნებას მეორეც ემატებოდა — ეს ისა, რომ თვითონ კეკელოსაც დღეს უწინდებურად არ სტუქსავდენ და არ დასჩხაოდენ. ყველაფერი ეს, თითქოს ავიწყებდა მას ლევანის ოჯახში განვლილ გაჭირვებას.

და მერმე რამდენი მწარე დღე გათენებია კეკელოს აქა?

აგერ ერთ წელზე მეტია, რაც ამ ოჯახშია და, მგონი, ორი დღეც არ ახსოვს ისეთი, რომ არ ეტიროს. ლევანის ცოლი ერთობ შეუბრალებელი ხასიათის ქალი იყო. ერთი წამი რაა, მოსვენებას არ აძლევდა გოგოს: ხან ოთახებს აგვეკინებდა, ხან არეცხინებდა, ხან სადილს ამზადებინებდა და, ვინ იცის, კიდევ რა! თან სმა-ჭამასაც ამადლიდა, ტანზედაც არ აცმევდა ხეირიანად. როცა მეზობლის ქალები ეტყოდენ — რაა, ქალო, რომ ამ უბედურის შვილს ფეხს არ გიცმევია და ტანსო, — ნატო თავის გასამართლებლად იტყოდა:

— ქაა... ერთი შეხედე ამათა!.. რომ არ იციან, რაშია საქმე! შნო არა აქვს მოხმარების, თორემ, ქალებო, ვინ თავმკვდარი დაიშურებდა რამეს! ფეხსაცმელი ვერ უტარებია, ქალო, ასეთი გაგონილა? მეუბნება — სოფელში ფეხშიშველად სიარულს დავეჩვიე და აგრე მირჩევნიაო...

მეზობლის ქალებს ამ სიტყვებზე ღიმილი მოსდიოდათ: კარგად იცოდენ, რომ საქმე ნატოს კრიჟანგობაში იყო და არა სხვა რამეში, მაგრამ, აბა, მეტი რა უნდა ეთქვათ მისთვის!

ერთი მგლისკენაც უნდა სთქვაო, — ნატო ერთობ ღარიბი მოხელეს ცოლი იყო, მისი ქმარი თვიურად ჯამაგირში ხუთ თუმანს იღებდა. ამ ფულებით სახლიც უნდა დაექირავებინა და ოჯახიც შეენახა, ტანთ ჩაეცვა ცოლშვილისათვის, სასმელ-საჭმელიც არ მოეკლო; რასაკვირველია, ეს ფული ყველაფერს

ვერ გასწვდებოდა და ხელმოჭერილადაც უნდა ყოფილიყვენ. მაგრამ ქალბატონი კუდაბზიკა გახლდათ და უმოსამსახუროდ ცხოვრებას როდი კადრულობდა.

— როგორ შემიძლია მთელი ოჯახის ზურგზე მოკიდება! მამაჩემის სახლში არაფერს არ ვაკეთებდიო, — განუცხადა ქმარს და ისიც იძულებული იყო მოსამსახურე გოგო აეყვანა.

რამდენიმე გოგო გამოიცვალეს, ვერაფის გაეძლო მათთან. ბოლოს სიმამრმა სოფლიდან სტეფანე და მისი ქალი — კეკელო მოჰგვარა სიძეს და ქირაშიაც შეარიგა. თვეში ორ მანეთად, რაც ყოველ თვის თავზე უნდა მიეღო სტეფანეს. მაგრამ აგერ წელიწადი გავიდა და ჯერ ერთი გროშიც არ მიუღია. სწორედ ამ ფულებისათვის იყო დღეს იგი ჩამოსული.

უნდოდა ყოველ წუთს ეთქვა ლევანისათვის, მაგრამ ვერ მოეხერხებინა — ტკბილმა მოპყრობამ მოისყიდა.

სტეფანეს კარგად მიღებით კეკელოს გული თითქოს მოინადირეს ამ დღეს ლევანმა და ნატომ. მაგრამ ეს წუთიერი იყო: როგორც კი ცოტათი ჩაფიქრდებოდა კეკელო, მაშინვე იტყოდა: „მაგეებით ვერ მომატყუებთ, გულს ვერ მომიბრუნებთ თქვენა! ვიცი, რისთვისაც იქცევით ასეო და გული ზიზღით ესერებოდა. მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როცა თავის მამასთან მარტო დარჩებოდა და მის წინაშე თავის გულის ნადებს ამოანთხევდა. მაგრამ არ იქნა და ვერ ეღირსა სასურველ წამს: დიასახლისი ხან იქით გაგზავნიდა და ხან აქეთ. ლევანიც როდი იშორებდა თვალთაგან სტეფანეს და რაზე არ ემუსაიფებოდა. თუმც მასთან ლაპარაკი არც ისე ეპიტნავებოდა; გულში იმასაც კი ამბობდა: რა ეშმაკმა მოგახეტა, ან როდის იქნება, რომ წაშავდებიო.

ცოლ-ქმარმა მშვენივრად იცოდა — თუ მამა და შვილს ერთად დატოვებდენ და ალაპარაკებდენ, სტეფანე უთუოდ წაიყვანდა თავის ქალს, რადგან კეკელო მთელ თავის გასაჭირს ეტყოდა; ეს კი ლევანისა და მისი ცოლისათვის დიდად საზარალო იქნებოდა: ჯერ ერთი — ჯამაგირი უნდა მიეცათ და მერმე — უმოსამსახუროდაც დარჩებოდენ.

მაგრამ თავიდათავი ის იყო, რომ ქვეყანაში თავი მოეჭრებოდათ: ყველა იტყოდა — აუტანელი ადამიანები არიან. ერთ გოგოსაც ვერ გაუძლია მათ ხელშიო...

სწორედ ამისათვის იყო, რომ აგრე ოსტატურად იქცეოდენ და მამა-შვილს ერთმანეთს არ აკარებდენ გულდასმით სალაპარაკოდ.

გულუბრყვილო სტეფანე ვერაფერს ვერ ამჩნევდა, პირიქით, სრულიად დარწმუნდა მათ გულკეთილობაში და უხაროდა, რომ ასეთ კეთილ ხალხში ეზრდება თავისი ქალი. კეკელო კი კარგად გრძნობდა, რაშიაც იყო საქმე და თანდათან ბრაზდებოდა. „რამდენი უგინებიათ საწყალი მამაჩემი ჩემი გაზრდისათვის, რამდენი ულანძღავთ ორთავეს, დამცინოდენ კიდეც — ასეთისა და ისეთისა შვილი ხარო და ახლა კი როგორ ეხმატკბილებიან მამას!.. მაგრამ ვიცი, რაშიცაა საქმე“, ფიქრობდა იგი... მამის ავად ხსენების მოგონებაზე დედაც მოაგონდა და გული აუჩუყდა: „უნამუსოები, უსინდისონი, საწყალი დედაჩემიც რამდენჯერ მოიგონეს, საფლავში არ მიყენებდენო“, გაიფიქრა და თვალები ცრემლებით აევსო.

საღამომაც მოაწია. სტეფანე გათამამდა და უწინდებურად როდი მორცხვობდა: თამამად ლაპარაკობდა და მოძრაობდა. მაგრამ ახლა უბედურება ის იყო, თუ ამაღამ სად უნდა დაწოლილიყო. ეს კი იცოდა, რომ, წადიო, არავინ ეტყოდა და ლევანი თავის სახლში მოასვენებდა, მაგრამ მაგარი ის გახლდათ, რომ ლევანისას მოსვენებას ერთობ ერიდებოდა სტეფანე. „საჩემო ქვეშაგები სად ექნებათ, — ვაითუ გავსვარო ჩემი ჭუჭყიანი ტანისამოსით აქაურობა და თავი მომეჭრასო“, ფიქრობდა.

მაგრამ ბოლოს თავი დაიიმედა: სადაც ჩემი შვილი წვება, მეც იქ მოვისვენებო; გამოლაპარაკების იმედიც მაშინ ჰქონდა.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მამაცა და შვილიც ისეთ ადგილას დააწვინეს, რომ მათი შეხვედრა ყოვლად შეუძლებელი იყო; მასთან ჩვენს სტეფანეს რომ ეგონა, არც ისე სუფთა ლოგინი მოუტანეს — ერთი დამდნარი ლეიბ-საბანი და ასეთივე მუთაქა მიუჩინეს შუშაბანდში.

ცოტა არ იყოს კიდეც ეწყინა ესა, მაგრამ მალე წყენა სიამოვნებად შეეცვალა — თავისუფლად მაინც მოვისვენებ ზედაო, — სთქვა და შვილზე ფიქრებს შეუდგა. „ეს ყველაფერი კარგი, ძალიან პატივი კი მცეს, მაგრამ გოგოს რომ

ვერ მოველაპარაკე? რაღაცა დატანჯულად გამოიყურება ბავშვი! ვაითუ ცუდ ყოფაშია? მე უბედურმა რად ვერ გამოვკითხე ყველაფერი? რად შემრცხვა? ხვალ დილითვე გამოვკითხავ ყველაფერს: სასმელ-საჭმელი როგორი აქვს, მოვლა-პატრონობა... დაპირებისამებრ წერა-კითხვა თუ ასწავლეს?"

ამ ფიქრის დროს თვალწინ ედგა ცამეტ-თოთხმეტი წლის კეკელო სახეგაფითრებული და მოწყენილ გამომეტყველების მქონე.

„საწყალი... ალბათ, ენატრება სოფლად წასვლა, ნაჩვევ ადგილებში განავარდება... მოუხდება სოფლის ჰაერი... ან კი რა აძლებინებს აქა! ასეთი სიცხეებია, ყველაფერი მტვრითაა სავსე, ვერსად მოლს ვერ ნახავ, ცივ წყალს ვერ დალევ... შვილო, იქნებ სატანჯველში ჩაგაგდე და გაგაწვალე?.." — ამბობდა სტეფანე თავის გულში და სიმწრით აგონდებოდა მომაკვდავი ცოლის სიტყვები: ბავშებს უპატრონე, არ დაჩაგროო.

მეორე მხრივ სტეფანეს შვილის ნამოჯამაგირევი ფულის აღებაც ყოველ წუთს ახსოვდა. უმთავრესად კი ამისათვის ჩამოვიდა, თორემ ამ მუშაობის დროს, აბა, როგორ მოიცლიდა! სულ ოცდაოთხი მანეთი ერგებოდა, დღეში ასჯერ გამოიანგარიშებდა და თვალები გაუნათდებოდა, როცა ერთად წარმოიდგენდა ამდენ ფულს. გადაწყვეტილი ჰქონდა თხუთმეტი მანეთის სიმინდი ეყიდა, დანარჩენით კი თავისი ობლები შეემოსა და თვითონაც ფეხსაცმელები შეეძინა, რათა ქალამნებისათვის, კვირაობით მაინც, წუღები შეენაცვლებინა.

კეკელო კი ამ დროს ცრემლებში იღრჩობოდა, საცოდავად მოკუნტულიყო რაღაც მჩვრებზე და გულამომჯდარი სლოკინებდა. კარგად მიხვდა, თუ რაშიაც იყო საქმე და როგორ არიდებდენ მამას; წინდაწინვე გრძნობდა, რომ მამის წასვლის შემდეგ ერთიორად ამოამწარებდენ ამ ერთი დღის შედარებით კარგად მოპყრობას. ეს იქიდანაც დაასკვნა, რომ დიასახლისმა დაწოლისას კბილების კრაჭუნით ჩუმად მუჯლუგუნი უთავაზა და — წადი, დაეგდე: იქაო — მიაძახა და სამზარეულოსაკენ მიუთითა.

ზამთარ-ზაფხულ აქ წვებოდა კეკელო ერთ გახრეკილ ფი-

ცარზე; მისთვის არც ლეიბი იყო და არც ხეირიანი სასთუმალი. საბნად რაღაც კონკის ძველა ჰქონდა.

„ჯერ გათენდეს, და მერე მე ვიცი, — ფიქრობდა კეკელო, — ყველაფერს ვეტყვი მამას და კიდეც წავყვები სახლში... არ მინდა აქაურობა, დასწყევლოს და შეაჩვენოს ეს ქალაქია თუ რაღაც!.. ჩემ ნებაზე ვერ გამივლია, ვერ მისვამს და ვერ მიჭამია... გაფუჭებული ჰაერია... აქაურობას მამაჩემის ქოხი სჯობია... იქ შენს ნებაზე ყოფნას რა სჯობია!... აქაურ პურსა და ხორცსა იქაური შავი მხალი სჯობს“..

კეკელო გაიტაცა ფიქრმა და მოგონებამ. თვალწინ დაუდგა სოფლის კარმიდამო, ამწვანებული მინდორ-ველი, მოდუდუნე მდინარე, შეზრდილი ტოლები და ათასი სხვა რამე. ამ მოგონებამ უფრო აუჩვილა გული და მეათასედ გადაწყვიტა, რომ მამას გაჰყოლოდა. „მაგრამ დედა რომ არ დამხვდება სახლში“, აღმოხდა გულის სიღრმიდან და ღაპა-ღუპით გადმოცვივდა ცრემლები.

III

— რა ექნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ ხვალ, როცა სტეფანე ფულს მოითხოვს? — ჩუმად ჰკითხა ნატომ ლევანს მარტო დარჩენისას.

— მიწა რომ გავითხაროთ, ცოტა რამ მაინც უნდა მივცეთ, — უპასუხა გულმოსულად ლევანმა.

— თუკი გაქვს, მიეცი, — ამავე კილოთი უთხრა ცოლმა.

— უთუოდ ვალი უნდა ავიღოთ და ისე უნდა მივცეთ, სხვაფრივ შეუძლებელია.

— ეგ რათაო ვითომ? — ამრეზით ჰკითხა ნატომ.

— ქალო, თავი მოგვეჭრება ქვეყანაში... წავა და მთელ სოფელში ხმებს დაჰყრის, რომ ივანეს სიძე ღარიბ-ღატაკი ყოფილა, უპირულიო... მამაშენიც რომ გაიგებს ამას, ხომ იცი, როგორ გუნებაზე დადგება... ერთი სიტყვით, გავილანძღებით საქვეყნოდ.

ნატოს ერთობ დიდ საბუთად ეჩვენა ეს მოსაზრება და სიბრაზით სულ აკანკალდა.

— როგორც გენებოს, ისე გაისტუმრე! შენ ახლა ის ფულები გინდა გამომტყვილო, მაგრამ, რომ მოვკვდე, არ შეიძლება... სული რომ ამოგხდეს, ერთი გროშის მომცემი არა ვარ!..

ნატო კარგა ხანია წვრილ-წვრილად აგროვებდა საზაფხულო ტანისამოსისათვის ფულებს და, როგორც იქნა, ცოტა გროშებს მოუყარა თავი; ახლა დღე-დღეზე უნდოდა კაბის ყიდვა და ეს გარემოება კი წამოატყდა. კარგად იცოდა, რომ ლევანს სხვაგან ფული არსად ეშოვებოდა და ამ ფულებისათვის უნდა მოეკლო; სწორედ ამისათვის იყო, რომ აგრე ცხარობდა სტეფანესთვის ფულის მიცემაზე. თუმც, მეორე მხრივ, საქვეყნოდ გალანძღვის შავი ჭირიანით ეშინოდა. დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ნატო, როგორც იქნა, თორმეტი მანეთის მიცემას დაჰპირდა, თან ქმარს ზევით ცისა და ქვევით შვილების ათასჯერ დაფიცებით აღთქმა დაადებინა, რომ ჯამაგირის აღებისათანავე, რაც უნდა დასჯდომოდა, შეუვსებდა ამ დანაკლისს და კაბას უყიდიდა.

გათენდა თუ არა, ლევანმა მზრუნველობით მოიხმო სტეფანე და მიმართა:

— სტეფანე, შენ მუშა კაცი ხარ და ვიცი, რომ ამ დილაზე სოფელში წასვლას დააპირებ.

სტეფანეს მაინცადამაინც არ იამა ეს კილო და ასეთი სიტყვებიც — მასპინძელი როგორ მაგონებს წასვლასო, მაგრამ რა გაეწყობოდა და მოკრძალვით უთხრა:

— კი, შენი ჭირიმე, მეჩქარება, მუშაობის დროა...

— რასაკვირველია, აქ გაჩერება ხელს არ მოგცემს...

— დიაღ, ბატონო, მოგეხსენებათ გლეხკაცის მდგომარეობა... ერთობ მიჭირდა, შენი კვნესამე, თორემ ამ მუშაობის დროს აქ რა მინდოდა!.. მაგრამ ჩემმა სიღარიბემ არ დამაყენა... მარცვალი სიმინდი არ გამაჩნია... ობოლი ბაღნები ტიტველ-შიშველი მიყრია...

— რას იზამ, ჩემო სტეფანე, ახლანდელ დროში ყველა გაჭირვებული ვართ, — გააწყვეტინა სიტყვა ლევანმა და განაგრძო: — ჰო, იმის თქმა მინდოდა, მე შენთან ძალიან უკაცრავად ვარ, რომ გოგოს ნამოჯამაგირევი ამდენი ხანი

გაგიჩერე. აქამდე უნდა მომეცა, მაგრამ ათასმა რამ შემიშალა ხელი... ახლაც ვერ გაძლევ სრულად...

უკანასკნელი სიტყვები სტეფანეს ნემსივით მოხვდა, სახეზე შეწითლდა და მისდა უნებურად ამოილუღლუღა:

— ჩემი გაჭირება, რომ იცოდეთ, ბატონო...

— ცოტა ადრე რომ მცოდნოდა შენი მოსვლა, დაგიმზადებდი. ბავში მყავდა ავად და იმან გამცალა...

— ჩემი დედაკაცის სულს გეფიცები, ჩემი ამბავი რომ იცოდე...

— არა უშავს რა, ჩემო სტეფანე, ნუ გეწყინება და ერთი თვის შემდეგ დანარჩენსაც მოგცემ... ახლა კი ეს ერთი თუმანი მიიღე.

ამ სიტყვებით ლევანმა ქისიდან წითელი ქაღალდის ფული ამოიღო და სტეფანეს გაუწოდა.

— ბატონო, იქნებ კიდევ დამიმატო ცოტა! — შესთხოვა სტეფანემ, რომელსაც თუმნის დანახვამ ნერწყვი მოჰგვარა და თვალები გაუგანიერა.

— რომ მქონდეს, ხომ იცი, არ გალაპარაკებდი, — უთხრა ლევანმა, მაგრამ ცოტა დაფიქრების შემდეგ სტეფანეს გულის მოსაგებად ხელახლა გაშალა ქისა და ორი მანეთი კიდევ მიაწოდა ამ სიტყვებით: — ბარემ ეს ორი მანეთიც წაიღე... ვითომ სახარჯოს ვიტოვებდი, მაგრამ შენი ხათრისათვის გავიჭირვებ.

სტეფანემ სიჩქარით გამოართვა ფულები. „კარგია, რაკი ეს მაინც ავიღეო“, ფიქრობდა იგი.

— ჰო, კიდევ რას გეტყვი, სტეფანე, იცი? თუ ისე გაგიჭირდეს, ჩემს სიმამრს მიაკითხე და უთუოდ დაგეხმარება; მე დღესვე წერილს მივწერ...

ამ სიტყვებით კიდევ მოიგო ლევანმა სტეფანეს გული, თუმც ორივემ კარგად იცოდა, რომ ნატოს მამისაგან ხეირი არც გამოსულა და არც გამოვიდოდა. ამასობაში ნატოც გამოვიდა და სტეფანეს ბავშვებისათვის რაღაც ძველები მისცა. რამაც სტეფანეს გული სავსებით მოუნადირა ცოლ-ქმარს. ახლა კი სტეფანე გზას უნდა გადგომოდა, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა და მოუთმენლად ელოდა კეკელოს გამოსვლას. ბოლოს ვერ მოითმინა და ღიმილით სთქვა:

— ი... გოგო... ერთი სადაა...

— ჰო, მართლა, ნატო, დაუძახე ერთი კეკელოს, — მამას გამოეთხოვოს, — თქვა ლევანმა.

— კეკელოს? ბაზარში რომ არის წასული?

— მოუცდი, ბატონო, ბავშია, გული დაწყდება, — თქვა სტეფანემ.

— ჰო... კი... რასაკვირველია, — დაეთანხმა ლევანი, თუმც გულში არც იმდენად იამა სტეფანეს მოცდა.

ცოტა ხანში კეკელოც მოვიდა. გამგზავრებული მამის დანახვა ეკალივით მოხვდა გულში: თვალები ცრემლებით აევსო, გული ამოუჯდა. მაგრამ მამასახლის-დიასახლისის შიშით და მორიდებით ხმა ვერ ამოელო, ხოლო მეტის სიბრაზით კი სულ აცახცახდა.

— შვილო, აბა, მე მივდივარ და შენ იცი, როგორ ჭკუით იქნები, — დარიგების კილოთი მიმართა მამამ, — ყველას მოერიდე, პატივისცემით მოექეცი... ამ პატიოსან ხალხში ისწავლი რამეს: სიტყვა-პასუხს, ზრდილობას, ოჯახობას... ასე, შვილო. ყველასი მორჩილი და პატივისმცემელი თუ იქნები, კაი ქალი დარჩები, ობლობაში ხელი მოგემართება...

— აი, ხომ გესმის, ქალბატონო, — ნაძალადევის ღიმილით მიმართა ნატომ კეკელოს, — როგორ დარიგებას გაძლევს მამაშენი... ხანდახან რომ იცი შენებურად არევდარევა...

— როგორ, ბატონო, გაწყენინებთ ხოლმე? — გულუბრყვილოდ მიმართა სტეფანემ ნატოს და მერმე შვილს მოუბრუნდა: — მეორედ არ გავიგონო, შვილო, შენზე რამე საყვედური, თვარა, ხომ იცი, რას გიზამ?! ესენი შენი მეორე დედ-მამაა, შენი პატრონებია...

თავზარდაცემულ და გაფითრებულ კეკელოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაებედნა და უნუგეშოდ ეკვროდა კედელს. თოფნაკრავ მტრედს ჰგავდა, დამფთხალი ატუზულიყო, მთელი სხეულით კანკალებდა, მიბნელებული თვალები ზევით ვერ აეწია, ტუჩები წამდაუწომ უთრთოდა.

სტეფანე სრული დარწმუნებული იყო თავის გულში, რომ მის შვილს ამ ოჯახში არაფერი გასაჭირი არ ექნებოდა. ლევანი და ნატო ერთობ გულჩვილ, ლმობიერ და პატიოსან ადამიანებად ეჩვენა, შვილიც გვარიან კარგ მდგომარეობაში დაუხვდა, გარეგნულად მაინც, სხვას რას დაეძებდა.

„კარგ სახლ-კარში სასმელ-საჭმელიც კაი ექნება, მუდამ პურსა სჭამს, ჩემთან ცივი მჭადიც კი ენატრებოდაო“, ფიქრობდა იგი.

მართალია, კეკელოს ფერმკრთალობა მაინცადამაინც არ ეჭაშნიკა პირველად, მაგრამ გული იმით გაიკეთა, რომ ადგილი დაცდიდა და მალე შეეჩვევა... ამნაირად, სრულიად დაიმედებული სტეფანე გზას გაუდგა. ერთობ კმაყოფილი იყო, რომ ფულები მიჰქონდა და იმაზე ოცნებობდა, თუ რაში დაეხარჯა, თან ლევანისა და ნატოს მშობლებს ყოველ წუთს „ასეთი კარგი შვილების გამოზრდისათვის“ მადლობას უთვლიდა.

IV

კეკელო კი თავზარდაცემული შევიდა სამზარეულოში და რა ექნა, არ იცოდა. მამის ასე უცებ წასვლამ აზრები დაუბნია, ერთნაირად დაარეტიანა, ისე გაშეშდა, რომ ტირილიც ვერ მოეხერხებინა. ასე ეგონა, საშინელ ზლუქუნს ასტეხდა, ცასა და ქვეყანას შესტირებდა თავის უმწეობას, მაგრამ ენა ვერ ამოეღო, ცრემლები არ იყო...

და გაფითრებული მისჩერებოდა ერთ წერტილს...

გული თანდათან ცემას უმატებდა, ტუჩებიც აუთამაშდა, თვალის ქუთუთოებმაც მოძრაობას უმატეს და ის იყო, დედა, მიშველეო უნდა წამოეკივლა სასოწარკვეთილს, რომ ქალბატონის ხმა მოესმა:

— რას შვრები, შე გომბიო, სად დაიკარგე?!

კეკელო ხმის ამოუღებლივ შეტრიალდა და გაშტერებული დიასახლისთან მივიდა.

— რას დაგიბრეცია მაგ სულელური თვალები! — შეუტია ნატომ. — ძალიან გეწყინა წირპლიანი მამაშენის წასვლა?!

კეკელოს ხმა არ გაუღია, მხოლოდ თავი დახარა და მარჯვენა ხელი სახისაკენ წაიღო.

— აი, მეხი კი დაგაყარეთ ორთავეს თავზე! წადი მალე და წყალი დაადგი გასათბობად! დღეს სარეცხი გექნება!.. გასწიმეთქი მალე! მერმე კი აქ მობრუნდი და საცვლები ამოალაგე კალათიდან!

რამდენიმე საათის შემდეგ დამკლავებული კეკელო სამზა-

რეულოში იყო და, ვეებერთელა ტასტზე დაყრდნობილი, საცვლებს რეცხავდა. სამზარეულო ოთახი ისე პატარა იყო, რომ შიგ მობრუნებაც კი ძნელი იყო, თან საშინლად ცხელოდა: ჯერ ცეცხლის გამო — კეკელო რეცხვის დროს სადილსაც ამზადებდა — და მერმე მზის წყალობით. ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდა და მზის მხურვალე სხივებს სამზარეულო ფურნესავით გაევარვარებინა. კეკელო თითქოს ვერ ამჩნევდა ამას, თუმც სახე ნაკვერჩხალივით ჰქონდა და ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა. ფიქრებში იყო გართული და ხმის ამოუღებლად განაგრძობდა რეცხვას...

„მამა, რა მიქენი ეს, რა?! ამას მოველოდი შენგან? აქ ჩამოხველი და ჩემი გასაპირი არ გაიგე, ისე წახველი სახლში? არ გეცოდები?! შენი შვილი არა ვარ?!“ — აგრე ჩიოდა კეკელო და თან ცხარე ცრემლებს ღვრიდა.

„რად ჩამაგდე ასეთ სატანჯველში? რა დაგიშავე?! ვგდებულიყავ შენს კერაში, ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალი ვყოფილიყავი, ოღონდ აქაურობას კი გავშორებოდი... მამა, მამა, რად მომიძულე შენი კეკელო, რად?! დედა, დედიკო, რა დღეში გყავს შვილი!“ — აღმოხდა გულის სიღრმიდან და მუხლებმოკვეთილი ტასტს დაეყრდნო, უნუგეშოდ აქვითინდა.

დედა კეკელოს ქალაქში წამოყვანამდე სამი თვით ადრე მოუკვდა. სტეფანეს წვრილი შვილები უპატრონოდ დარჩა. ღარიბ-ღატაკ მამას ერთობ გაუჭირდა მათი მოვლა-პატრონობა და გადაწყვიტა ორი მათგანი მოეშორებინა — მოსამსახურედ მიცა ვისთვისმე. თავსაც დაირჩენენ და იქნებ მეც რამე მარგონო, — ფიქრობდა ამ დროს სტეფანე. უფროსი ქალიშვილი სახლში დაიტოვა მოსავლელად, ხოლო კეკელო და ერთი ვაჟიც მოჯამაგირედ გასცა.

კეკელოს ნათლად მოაგონდა დედის უკანასკნელი წამები, მისი სიტყვები და უფრო ამოუჯდა გული.

„დედა, დედა, სადა მყავხარ? რად მოიძულე შენი უბედური შვილი, ვის ხელში დამტოვე?“. — ქვითინებდა სასოწარკვეთილი.

რამდენადაც ითვალისწინებდა თავის მდგომარეობას, იმდენად უფრო უიმედობა ეუფლებოდა. არსაიდან იმედი, არსა-

იდან გამამხნევებელი რამ მისთვის არ არსებობდა. მამის მოსვლას ციურ მანანასავით ელოდა, მისგან ჰქონდა ხსნის იმედი და იმანაც ასე უღალატა — მხოლოდ მოეჩვენა და ისევ წავიდა.

„აწი რა ექნა? აწი ვინაა ჩემი იმედი?.. ვინ მიშველის?!“ — სლოკინებდა უიმედოდ ბავში. იგი ისევ ტახტზე იყო ჩამოწოლილი და სხეულმოდუნებული თავის ბედს დასტიროდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ დიასახლისის ხმა არ გაეგონა:

— შე გომბიო, თვალ-ყური ადევნე, ხომ დულს ხორციანი ქოთანი!

კეკელო ხელად წამოიჭრა ზეზე, თვალები ამოიმშრალა და რეცხვა განაგრძო. ცოტა ხანში დიასახლისიც შემოვიდა.

— როგორ იზლაზნები, შე გომბიო, შენა? აგრე უნდა რეცხვა?! — მიაყვირა გოგოს და ტასტში ჩაუხედა — აბა რამდენი გარეცხაო.

— უი, მომკალით ვინმემ! ამდენი ხანი რას შერებოდი, შე არგასაზრდელო, შენა! ეს არის შენი ნამუშავარი?! — შეჰყვირა ნატომ და ისეთნაირად დაარტყა თავში ხელი, რომ სულ გონება დაუბნია. კეკელომ რაღაც გამოურკვევლად შეჰბღავლა, შიშით უკან დაიხია და გონს მოსვლის შემდეგ ისევ განაგრძო მუშაობა. თან ცრემლები ღვარად გადმოუშვა.

— სატირლად გაუხდი შენს პატრონს! უსაქმური ადამიანი შენა ხარ, — დასწყევლა ნატომ და დაუმატა: — ხელმარდად რეცხე, თორემ, სიცოცხლე აქვს მამაჩემს, მე შენ დღე დაგაყენო!..

კეკელოს მეტი მუშაობით მაჯები სტკიოდა, სარეცხის ერთმანეთზე ხახუნით ცერებზე ტყავი გადასძვრა, ფეხზე ვერ ჩერდებოდა მეტის დაღლილობით, სიპი სტკიოდა, წელში მოხრილად ყოფნამ ილაჯი წაართვა, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა ემუშავნა და კიდეც მუშაობდა...

„მამილო, მამა, რისთვის დამტოვე ასეთ სატანჯველში? რად არ შემიბრალე?! — ფიქრობდა იგი, — წაგეყვანე სახლში, მარტო შავი მხალი გეჭმია, ოღონდ ამ სატანჯველისათვის კი მოგეშორებინე... რა ექნა, სანამდის ვიქნე ასე?! ვისი

იმედი ვიქონიო?.. ჩემი შემბრალე ახლა არავინ არის ქვეყნად... ყველამ დამივიწყა, ყველამ... დედა... დედიკო!..“

ასე ფიქრობდა კეკელო და უიმედოდ განაგრძობდა მუშაობას. იმასავით მარტო და უმწეო ვინ იყო იმ დროს ქვეყანაზე? აგრე ყოველ მხრივ ობოლი, მოძულებული ვინ იქნებოდა?.. მამის მოსვლამდე თუ კიდე რაღაცის იმედი ჰქონდა, ახლა უკვე ყველაფერი დაასამარა, დარწმუნდა, რომ ვერ მოშორდებოდა აქაურობას. აგონდებოდა წარსული და მთელი არსება ეშხამებოდა. სოფელი და იქაური ცხოვრება ბედნიერებად ეხატებოდა, სადაც ოდესმე უნეტარნია, ხოლო დღეს კი ყველაფერი დაუკარგავს და წვალებაშია. იგონებს იქაურობას, უზრუნველ-უდარდელ ცხოვრებას, ტოლებს და ისედაც მოშხამული არსება კიდევ უარესად ეწამლება.

„ძმებო და დებო... ჩემო საყვარლებო, ჩემო ძვირფასებო!.. ვერ გნახავთ, არავინ მაჩვენებს თქვენს თავს... ჩემო ტოლებო... ეზო-გარემოვ... მშვიდობით, მშვიდობით... ყველამ მომიძულეთ, ყველამ დამივიწყეთ... დედა... დედიკო!“

ფიქრობდა გულდათუთქული კეკელო და რეცხვისგან დამბალ, გაჩვილებულ პატარა ხელებზე ცხარე ცრემლები ეწვეთებოდა... ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა...

1912 წ.

ოგლები

მოთხრობა

I

აპრილის დილა იყო. მზე ჯერ არ ამოსულიყო, ხოლო მის მომლოდინე ლაქვარდოვან ცის კამარას აღმოსავლეთისკენ ღიმილი მოსელოდა და სახეგაწითლებული ახლად ახავერდებული ნამის წვეთებს ხარბად სრუპავდა. ვაკე ადგილებს აქა-იქ ნისლი ადგა; მთებსაც ნაცრის ფერის ყაბალახით წაეკრათ თავი... ჯერ არც ერთ ხეს არ გაეშალა სრულად ფოთლები; ძალიან კი ჩქარობდენ მწვანედ მოკაზმვას. სოფელი ჯერ კიდევ კარგად ვერ შეცურებულა მწვანედ მობიბინე ხეების ფოთლებში. ამისათვის იყო, რომ ეზოებში, საითაც უნდა გაგეხედათ, ყველგან მიაწვდენდით თვალს. ირინემაც პირველ გახედვისთანავე მოჰკრა თვალი კარგა შორს მობინადრე მეზობლის ცოლს დონიკას და მაშინვე გულში ეკალი მოხვდა.

— დაიწყევლოს მაგისი ადამიანობა! არ შეიძლება, რომ ჩემი მუშის სახლიდან გასვლა გამოეპაროს... — ჩაილაპარაკა თავისთვის და ბოსელში შევიდა ხარების გამოსაყვანად. იქ დიდხანს არ დაჰგვიანებია. გამოსვლისას, რაკი დაინახა, რომ სანდრო ჯერ არ გამოსულიყო, მოფერებით დაუძახა:

— შვილო, სანდრო, გამოდი, გენაცვალოს დედაშენი, ნუ იგვიანებ...

— მე კი გამოვალ, მაგრამ ეს ბიჭი რომ ვერ ავაყენე, — მოისმა სახლიდან სანდროს ხმა.

— არ გაუწყრე, შვილო, არ აატირო, თვარა სულაც არ

წამოგყვება ეგ შერცხვენილი, ეგა, — ისევ დაუძახა ირინემ და ხარების ხეზე მიბმის შემდეგ თვითონ შევიდა სახლში ნიკას გასაღვიძებლად. კარგა ხნის ხვეწნის შემდეგ ნიკამაც იკადრა ლოგინიდან აბრძანება და, რაკი დარწმუნდა, რომ დედაცა და ძმაც ერთობ ტკბილად ეპყრობოდენ, თვითონაც შერცხვა, ჭუჭყუნს თავი ანება და მხოლოდ უსიამოვნოდ იკითხა:

— რომელ ყანაში უნდა წავიდეთ დღეს?

— აი, იქა, შვილო, გუშინ რომ იყავით; აკი ჯერ არ გაგითავებიათ ხვნა! ქვიანი ადგილია და თუ დროზე არ დავხანით, მერე გაგვალავს და რა გვეშველება! — ტკბილად ეუბნებოდა დედა.

ცოტა ხანში სამთავე დედა-შვილი დერეფანში იყვენ და დასარქულ ხარებს კავ-უღელს ადგამდენ.

მზე უკვე ამოვიდა. მოელვარე შუქები დაუბრკოლებლივ გამოაძვრინა ხეებს შუა და აღმოსავლეთის მხრივ ყველაფერი მოავარაყა. სანდრომ, რომელიც სახრეს სინჯავდა, სხივთა კონას თვალი გააყოლა და ბრწყინვალე მზეს მიაცქერდა, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა: ქუთუთოები აუთრთოლდენ, თვალების გუგები აუწყლიანდენ. ნიკა ხარებს უდგა წინ და ხან ერთს მოუფუჩნიდა ყურის ძირებს და შუბლს და ხან მეორეს. დედა კი საუზმეს უმზადებდა შვილებს და თან ფიქრობდა: „კიდევ კარგი, რომ ერთ უბედურებაზე მეორე არ დამემატა და საწყალ ობლებს ასეთი კეთილი გონება დაყვათ... როგორ ვიფიქრებდი, თუ ასეთი დამჯერენი და გამგონენი იქნებოდენ“...

ირინეს ქმარი ამ ზამთარში მიიცვალა და ოჯახი უმამაკაცოდ დარჩა; თოთხმეტ-ხუთმეტი წლის სანდრო თუ გაუხდებოდა პატრონად. სანდრო, ჯერჯერობით მაინც, ერთგული იყო.

— გამარჯობა თქვენი! — მოისმა დერეფნიდან ქალის ხმა. ირინე მაშინვე მიხვდა, თუ ვინ იყო და სიბრაზემ აიტანა. ვინ ეხვეწებოდა ამ კუდიანს, რომ გაუთენებლივ კარს მომადგაო, გაიფიქრა.

პატარა ნიკას ასე ეგონა, რომ მისალმება მას არ ეხებოდა და „გაგიმარჯოსო“ თვითონ კი არ უთხრა, სანდროს დაუძახა:

— ბიჭო, დონიკამ გამარჯობაო და უთხარი რაღაც!

ამასობაში ირინეც გამოვიდა კარში და ნიკას ამგვარმა სიტყვებმა ყველანი გააცინა. სალამის შემდეგ დონიკა დერეფანში დაჯდა. მაღალ-მაღალი იყო, გამხდარი, ნაცრისფერი კაბა ეცვა, ჩამოგრძელებული. თითქოს გვერდზე მოქცეული ნიკაპი და ყურები თავსაფრით აეხვია; ფეხებზე დაფხრეწილი წუღები ეცვა; ხელები გულზე დაკრეფილი, აქეთ-იქით იღლიებში ამოედო — სიცივეს არიდებდა. როცა დონიკამ გაიგო, თუ რომელ ყანაში მიდიოდენ ირინეს შვილები, ჩაილაპარაკა:

— ხელი მოგიმართოს, შვილო, ივარგეთ, მტერი არ გაახაროთ!.. — ირინე, იქნება, ერთი ორი ღერი ასანთი მასესხო: შემომელია და არ მიყიდნია, — სთქვა დონიკამ. მაგრამ ირინემ ყურიც არ ათხოვა — ვითომ არც კი გაუგონია, და თავისი საქმე განაგრძო.

სანდრო და ნიკა თითქმის მზად არიან, კიდევ ცოტა ხანი და კიდეც წავლენ, დონიკა გრძნობს, რომ არავინ აქცევს ყურადღებას, მაგრამ მაინც ლაპარაკობს:

— სწორედ კაი ქენი, ჩემო ირინე, რომ სანდროს სკოლაში სიარული მიატოვებინე... მეც უნდა გამოვიყვანო ჩემი ბიჭი...

— რის კაი, ქალო! მაგი ჩემმა მტერმა გაიგონოს!.. რომ ასე ხელი არ შემშლოდა, სკოლიდან როგორ გამოვიყვანდი!

— ერთი შენც ამბობ!.. შენა გგონია, რომ რამე სასარგებლოს ასწავლიან მაგ კლასებში? მეტი არაა ჩემი მტერი!.. აი, გუშინ უთქვამს მასწავლებელს ბავშებისათვის: ხვალაო, დღეისთვის, ჭალებში სასეირნოდ უნდა წაგიყვანოთო... იქა ყვავილებს ნახავთო, პეპელებს დაიჭერთო... და კიდევ რაღაც ასეთი სისულელეები... ჰოდა, ესაა რაიმე სასარგებლო? მინდორში სირბილს თუ მასწავლებელი უნდოდა, ესეც არ მეგონა! მაგისათვის უნდა ვაძლიო მასწავლებელს ფული? დაიკარგოს აქედან! ყველაფერი ფულის მახეა ჩვენს დროში.

ამ ამბის გაგონებაზე. სანდრომ რაღაც უსიამოვნება იგრძნო, სახე შეჭმუხვნა და წყენით ჰკითხა დონიკას:

— ჩვენს ჭალაში მოჰყავს ბავშები?

— ჰო, შვილო, აგრე მითხრა ვანო ჩემმა, თვარა მე რა ვიცი.

სანდროს ახლა უფრო ეწყინა და წარბები დახარა. სახრე მიწაზე დააბჯინა და გაჩერდა.

— ჰე, შვილო, რას უყურებ! მზადა ხართ, წადით, — უთხრა დედამ.

— არა, მე ვერ წავალ, — ჩაილაპარაკა სანდრომ.

— რა იყო, შვილო?

— იქა... მასწავლებელი მნახავს და არ მინდა.

— რადა, შვილო, რისთვის? აქამდე ძალიან გიყვარდა!..

— ახლაც არ მძულს, მაგრამ... მრცხვენია მისი ნახვა...

— როგორ თუ გრცხვენია! ბავში ხომ არა ხარ?

— დამიწყებს კითხვას, რად მიანებე სასწავლებელს თავიო... და მე შემრცხვება. ვერ შევხედები... ვერ წავალ იმ ყანაში...

— მომკალით ახლავე, — იტკიცა ლოყაში ხელი ირინემ, — შენხელა კაცი და ასეთი სირცხვილი ვის მოსწრებია!.. გუშინწინ რომ ქენი კიდევ — მასწავლებელი დაინახე შორიდან მომავალი და, რომ პირისპირ არ შეგხვედროდა, ცხრა მთა მოირბინე... ვის გაუგონია ასე!..

თან გულზე სკდება ირინე და ფიქრობს: „ვინ ეხვეწებოდა ამ ფეხებგასახმობ კუდიანს, რომ ამ დილაზე მოწანწალდა და ეს ახალი ამბავი მომიტანა? ვაითუ გამოწყობილი ბავშები სამუშაოს მომიცდინა!..“

დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ სანდრო დათანხმდა ყანაში წასვლაზე, მაგრამ იქ კი არა, სადაც გუშინ იყო: სულ სხვაგან წავიდა, ისეთ ადგილს, სადაც დარწმუნებული იყო, რომ მოსეირნე მასწავლებელ-შეგირდები არ შეეყრებოდენ.

— რა იყო, შე კაი ქალო, არ გეთქვა ეგ ამბავი არ იქნებოდა?! — უსაყვედურა ბავშების გასტუმრების შემდეგ ირინემ დონიკას.

— რას ვიფიქრებდი მე ენაგასახმობი, თუ ასე იქნებოდა! — უპასუხა ცოტა არ იყოს შერცხვენილმა დონიკამ და დაუმატა: — მაგრამ ეს გასახარებელი ნამეტანი მორცხვი კი გყავს!..

„შენ მუდამ შხამიანი ენა გქონდა და შენი კარგიც მუდამ ავიარ“, უნდოდა ეთქვა ირინეს, მაგრამ თავი შეიმაგრა.

II

ის ფინდორი, სადაც დღეს სახნავად წავიდა სანდრო, მდინარის პირას მდებარეობდა. ამ ადგილს ერთის მხრივ საჩეჩ-

ლივით აყრილი ტყე საზღვრავდა. ეს ტყე მშვენიერი საფარი იყო და სანდრომაც იმისთვის მიაშურა. მეორე მხრიდან მთელი ჭალა სჩანდა, მოსეირნე მასწავლებელ-შეგირდებს ადვილად შეამჩნევდა და, თუ მისკენ წამოვიდენ, კიდეც დაიმალებოდა თავის დროზე ამ ტყეში.

კარგად მომზეურებული იყო. ზამთარში დასუსტებული საქონელი უკვე გამოფენილიყო და ზურგის თბობასთან ერთად ამწვანებულ ბალახსაც სძოვდა. ათასნაირი ჭიაღუა მზის სხივებს არ დაეყენებინა თავიანთ სოროებში და კარში გამოსულნი აქეთ-იქით დაღოღავდენ... პეპელები განუწყვეტლივ ფარფატებდენ; ფუტკრებიც არხეინად დაღუღუნებდენ და ახლად გაშლილ ყვავილებს გულის სიღრმიდან სიტკბოებას სწუწნიდენ... ჩიტების ჟრიამული განუწყვეტელი იყო; მერცხლები წამდაუწუმ დასრიალებდენ, ხან მიწას დასჭიკჭიკებდენ და ხან ზეცას, ხან მინდორ-ველს ეკვროდენ და ხან მდინარის ტალღებს უტლაშუნებდენ ფრთებს... გაზაფხულის მკვირცხლ სხივებს ყველა და ყველაფერი გაეთბო და გაეცოცხლებინა.

სანდრო და ნიკაც საერთო მხიარულებაში იყვნენ და სიამოვნებით განაგრძობდენ მუშაობას. სანდრო კავს ეკიდა, ნიკა კი ხარებს უძღვებოდა წინ და თან ისე არხეინად მიღიღინებდა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ორთავე ძმას მამის სიკვდილი და ამის გამო გამოწვეული მწუხარება გულზე ლოდად აწვათ და მუდამ სიხარულს უწამლავდათ, მაგრამ დღეს ამ თბილმა და მშვენიერმა დღემ თითქოს დაავიწყა ორივეს მწუხარება. ნორჩი, გაუფურჩქნელი ძალღონე და სიცოცხლე მძლავრად სცემდა მათ არსებებში და გამოსავალს ეძებდა; ამიტომაც შეუმჩნევლად ღიღინებდენ... მართალია, მტრედებივით მოღუღუნეთ ხშირად აგონდებოდათ განვლილი უბედურება და მყისვე ხმას გაიკმენდდენ, მაგრამ ეს დროებითი იყო, და ისევ მალე ივიწყებდენ... სულითა და გულით ეძლეოდენ ირგვლივ გაბნეულ სიხარულისა და სიცოცხლის ნაკადულის ჩქეფებს.

იმ არემარეზე მარტო ისინი არ ხნავდენ, სხვა გლეხებიც აშავებდენ ყამირსა და სახრესაც ტლაშატლუში გაჰქონდა ხარების ზურგზე.

— გასწი, გენაცვა, გასწი, — გასძახოდა ხარებს სანდრო და სახრის მსუბუქად და მოხდენილად გატლაშუნების შემდეგ კავს დაეყრდნობოდა; როცა იგი მიწაში ღრმად ჩადიოდა, სიამოვნებას გრძნობდა.

— სანდრო, მოდი კიდევ მოვეკიდები კავს და მოეახვნევინებ, — წამდაუწუმ ეხვეწებოდა ნიკა ძმას.

— ვერ დაუმაგრდები, ბიჭო. წელანდელივით წაგაქცევს და რამეს იტკენ...

ნიკას საშინლად უნდოდა თვითონ მოკიდებოდა კავს, რამდენჯერმე კიდეც სცადა, მაგრამ ვერასოდეს ვერ გაიმარჯვა, სულ ყოველთვის ყირამალა გადაიყვანა კავმა. ერთობ ჯავრობდა, რომ მეტი ღონე არა ჰქონდა, მაგრამ თავს აიმედებდა, რომ მალე მოღონიერდებოდა.

— გამარჯობა, ბიჭებო, თქვენი, — მიესალმა ძმებს გლეხი, რომელიც ტყეში მიმავალ ბილიკით გამოვიდა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა მორცხვად სანდრომ.

— ივარგეთ, ბიძია, ივარგეთ! ნუ დაავსებთ მამითქვენის ოჯახს!.. გვარიან ხელ-მომთბარად დაგტოვათ და არაფერი დააბნიოთ, ჭკუით იყავით, — ეუბნებოდა პატარებს ღიმილით გლეხი და თან სიამოვნებით უცქეროდა მათ მუშაობას. ზურგზე წამოკიდებულ ორ კონა ჩალას მარცხენა ხელით აკავებდა, მარჯვენაში კი დოქი ეჭირა; ფეხებზე ქალამნები ეცვა, ახალოხის კალთები აქეთ-იქით შემოეკეცა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა.

სანდრო და ნიკა გლეხის ასეთმა ქცევამ რაღაც სირცხვილში და თან სიამოვნებაში ჩააგდო, ორთავემ იგრძნო, რომ საჭირო იყო გაჩერება და გლეხის მოსმენა და ასეც მოიქცენ.

— ეჰე, ერთი შეხედე მეტიეს! — წამოიძახა ნიკამ, რომელსაც ხშირად ეჭირა თვალი მდინარისკენ. სამივემ იქით გაიხედა. მდინარე მედიდურად მოიზლაზნებოდა, ამღვრეულ ზვირთებს ხან დაბლა დაუშვებდა, ხან კი, თითქოს გაიბერაო, მაღლა ასწევდა. თან ისეთნაირად მოდუდუნებდა და გულზვიადად გამოიყურებოდა, რომ გეგონებოდათ ვიღაცაზე გულმოსულიაო. მეტიევნი კი სრულიად არ ეპუებოდენ მას და თავიანთ ტივს უშიშრად მიაცურებდენ. ორნი იყვენ. კოხტად დამკლავებულთ ტივის შუა ადგილას ბარგი-ბარხანა დაე-

ლაგებინათ და თვითონ კი ტივის აქეთ-იქით თავებში დამდგარიყვენ. თან ისე გაბედულად და ლამაზად უტლაშუნებდენ მდინარის ზურგს ორთაყვირებს, რომ შეგშურდებოდათ. დროგამოშვებით მათ სიმღერასაც გაიგონებდით.

— რა ყოჩაღად მოდის! — თქვა ღიმილით გლეხმა.

— მეტივეჯან!.. მეტივეჯან!.. — გასძახოდა ნიკა და მდინარისკენ მირბოდა. მაგრამ ჩქარმა ტალღებმა მალე გააშორეს იქაურობას მეტივენი თავიანთი ტივით.

გლეხმა ბოლოს სანდროს დარიგება მისცა, რომ ნიკა მოერიდებინა მდინარისათვის და თავისთვის წავიდა.

პატარებმა მუშაობა განაგრძეს. რადგან ხარებს სულ არ სჭირდებოდა წინ გაძღოლა და კვალში ჩაყენება, ნიკაც მალე განთავისუფლდა და პეპლებს აედევნა. თუმც ფეხშიშველა იყო, მაგრამ ამას რას დაგიდევდათ: კალიასავით დახტოდა ჩირგვებში.

შუადღისას დედამ სადილიც მოუტანათ. აუწერელი იყო დედის სიხარული, როცა ნახა, რომ სანდროსა და ნიკას მუყაითად ემუშავნათ და კიდევ საშრომლადაც დიდი სურვილი ჰქონდათ.

III

მზე კარგად გადიწია. სანდრო გულდამშვიდებულია. აქამდის ფიქრობდა, რომ მასწავლებელი და ყველა ამხანაგი შესაძლებელია ჭალიდგან მომადგენო; ეს ერთობ აეჭვებდა და მზადაც ჰქონდა ამ შემთხვევისათვის თავშესაფარი. ახლა კი სრულიად დაწყნარებულია, — ახლა უკვე მოსრულებული ექნებათ სეირნობაო, ფიქრობს და გულდამშვიდებული განაგრძობს მუშაობას...

კიდეც აგრილდა. მდინარემ ცივად ამოისუნთქა და ეს ამოსასუნთქი ნელ ბორიოდ მოედო ნაპირებს. ჭიაღუამ თუ ბუზპეპლებმა თბილ ბინაზე იწყეს ფიქრი; საქონელიც მყუდრო ადგილებისაკენ მიიწევს. ვერც ჩვენი მუშები არიან მაინცდამაინც კარგ გუნებაზე; სიგრილე არ ეამათ, მაგრამ მუშაობას კი განაგრძობენ.

— ბიჭო, სანდრო, ე რაღაც ბავშების ხმა მომესმის ტყიდან, — თქვა ნიკამ და ყურები სცქვიტა.

— ალბათ, მხალის საკრეფად წამოსული გოგოები იქნებიან... სვინტრი, ჭინჭარი, ქათმისქონა — მეტი რაა ახლა ტყეში.... ეკალაც ბლომადაა, — უთხრა ძმას მშვიდად სანდრომ და, ის იყო მუშაობა უნდა განეგრძო, რომ ამ დროს რაღაც ეჭვმა გაურბინა — მასწავლებელი არ იყოსო. ხარები შეაჩერა და კარგა ხანს ტყისკენ იცქირა, მაგრამ იქ არავინ ჩანდა; ხმები კი თანდათან ძლიერად მოისმოდა. ბოლოს რამდენიმე ბავშიც გამოხტა ტყიდან. სანდრომ მაშინვე იცნო ისინი და მთელი არსება მოეწამლა: დაიბნა, შერცხვა და თავი ჩაღუნა. „მუშაობას განვაგრძობ და ყურადღებას არ მომაქცევენო", გაიფიქრა და ხარებს გაუტლაშუნა, მაგრამ გული კი უსკდება და სულ ტყისკენ იხედება, თან თავის თავზე გაბრაზებული ფიქრობს: „მე სულელი რაზე ვერ მივხედი, რომ მასწავლებელი ტიტველ ჭალებში არ წაიყვანდა მოსწავლეებს"...

შეგირდების რიცხვი კი თანდათან მრავლდება. ხტიან, იცინიან: ზოგს შოლტი უჭირავს ხელში, ზოგს ყვავილები, ზოგი წამოწვა და ისვენებს, ზოგი კიდევ დარბის. ბოლოს მასწავლებელიც გამოვიდა; უბრალო ბლუზა ეცვა, თავს ფაფანაკი ეხურა, ხელში ჯოხი ეჭირა. გარს მოსწავლეების გროვა ეხვია, რაღაცებს უხსნიდა, ემუსაიფებოდა.

სანდრო სულ დაიბნა, სირცხვილით იწვის, როგორ მოიქცეს, არ იცის; დამალვა შეუძლებელია, უფრო შეამჩნევენ, გვიანიცაა. გაბრაზებულია, რომ შეეძლოს, მასწავლებელს და მის შეგირდებს ამ წუთში გაჟლეტს. ნიკას კი თვალები გაშტერებია და ბავშებს გულდაწყვეტილი უყურებს.

— აქ მოდი, ბიჭო, ნუ იხედები იქით, — უძახის ჩუმად, კბილების კრაჭუნით სანდრო, მაგრამ ნიკას არ ესმის, ყურსაც არ უგდებს და ეს უფრო ასივებს გულზე სანდროს. ნიკამ რამოდენიმე ბავში უკვე იცნო და იძახის:

— ეჰე... ეს კოსტაა... ის კი ლადო, ის ჩვენი პეტოა!

— ბიჭოს, ეს ვინ არის, რომ ხნავს აქა? ჩვენი სანდროა?! — წამოიყვირა ერთმა მოწაფეთაგანმა ამხანაგების გასაგონად. იმათაც ყურები სცქვიტეს.

— წავიდეთ, ბიჭებო, ვნახოთ, — დაიძახა მანვე და უცებ კარგა მოზრდილი გუნდი შეგირდებისა სირბილით გამოეშურა

სანდროსაკენ. მათი დანახვა სანდროსათვის თავზარდამცემი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა, გარემოებას უნდა შერიგებოდა.

— გამარჯობა, სანდრო, გამარჯობა! — სეტყვასავით დაუშინეს სალამი.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — ეუბნება ყველას და თანაც გულში ფიქრობს — იქნებ მასწავლებელმა აქეთკენ არ ქნას პირიო, და ერთის თვალით რომ ყოფილ ამხანაგებს უცქერის, მეორეთი მასწავლებელს გაჰყურებს. შეგირდები ხელად შემოეხვიენ ხარებს და გააჩერეს; სანდროც ღიმილით დაემორჩილა ამას. ამ დროს დანარჩენმა ბავშებმაც შეამჩნიეს სანდროს გარშემო შეკრებილი ამხანაგები და კიდევ მეორე გუნდიც გამოეყო მასწავლებელს; მალე მასთან მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეღა დარჩა.

— რა ამბავია იქა? — იკითხა მასწავლებელმა და, როცა გაიგო რაშიაც იყო საქმე, თვითონაც გამოეშურა სანდროსაკენ.

უკვე აშკარა იყო სანდროსათვის, რომ მასწავლებელს უნდა შეხვედროდა და კიდეც მოიკრიბა უკანასკნელი სითამამე. სხვასთან ერთად ის გარემოებაც აგდებდა სირცხვილში, რომ ცუდად ეცვა; მაგრამ რა უნდა ექნა... თანაც შეგირდების მოსვლის შემდეგ არც ისე სცხვენოდა, იმათ თითქო მეტი სითამამე შესძინეს.

— გამარჯობა სანდროს! — ღიმილით მოესალმა მასწავლებელი და ხელი გაუწოდა. სანდროც ხელად მოწყდა ადგილიდან და ხელი ჩამოართვა. ყველას ღიმილი მოუვიდა, სანდროსაც ეღიმებოდა.

— რას შვრები, სანდრო, როგორა ხარ? — მოფერებით ჰკითხა მასწავლებელმა.

— გმადლობთ, ჩემო მასწავლებელო... გახლავართ...

— სწავლას დაანებე თავი?

— დიაღ, ბატონო!.. მამა მომიკვდა და ოჯახი უპატრონოდ დაგვრჩა...

— დედაშენს არ შეეძლო რომ მუშები დაექირავებინა და ისე დაემუშავებინა ყანები?

— არა, ბატონო! ბევრი დაგვიჯდებოდა და ჩვენ ჭკვაზედაც არვინ დაგვიმუშავებდა...

— ეცადე, ძმავ, ეცადე, — უთხრა სიყვარულით მასწავლებელმა და თავზე ხელი გადაუსვა, — მაგრამ ეს მითხარი — სწავლაზე არ გწყდება გული?

— მწყდება და მერე როგორ! მაგრამ რა ვქნა? დედამ მითხრა, ქართულ-რუსული წერა-კითხვა და ანგარიში გვარიანად იცი და ამით დაკმაყოფილდიო, — უპასუხა გულდაწყვეტით.

მასწავლებელი კიდევ კარგა ხანს ემუსაიფა სანდროს, გამოჰკითხა ოჯახის მდგომარეობა და სხვა. სანდრო სრულიად მოხიბლა ამ გარემოებამ. ეგონა, მასწავლებელი დასცინებდა; ნამდვილად კი აგრე გულმტკივნეულად და ალერსით შეხვდა. სანდროს რომ თავიდანვე ჰგონებოდა, მასწავლებელი აგრე მოიქცეოდა, მის შეხვედრას როგორ გაექცეოდა, პირიქით, იმის ცდაში იქნებოდა, რომ შეხვედროდა. სრულიად დაუამდა სანდროს სული და გული, დაწყნარდა; ახლა ისეთ ვუნებაზეა, რომ საღამომდისაც არ მოსწყინდება მასთან ლაპარაკი. თვითეულ მის სიტყვას ხარბად ყლაპავს, სახეზე მისჩერებია, უნდა სულსა და გულში ჩაუძვრეს.

ბოლოს მასწავლებელი გამოემშვიდობა და მდინარისკენ წავიდა; შეგირდებმაც სიმღერით მიაშურეს ლაღად მოდუდუნეს; სანდრო და მისი ძმა კი სამუშაოზე დარჩენ.

შეგირდების მდინარისკენ პირის გაბრუნება და სანდროს გულში რაღაც სევდის სიმების აჟღერება ერთი იყო: მაშინვე იგრძნო მარტოობის დასაწყისი. რამდენადაც ისინი შორდებოდენ, იმდენად უფრო ღრმად გრძნობდა, რომ მარტოდ რჩებოდა, ახლო მყოფთა თანაგრძნობა და გამხნევება აკლდებოდა... მოაგონდა, რომ ერთი თვენახევრის წინ მათთან იყო, სწავლობდა, თამაშობდა, და დღეს კი გამოთიშულია, მათი ამხანაგი არაა, სკოლა მისთვის არ არსებობს. დღეიდან აქ, ამ მინდორში დიდებივით უნდა იმუშაოს...

ყველა ეს წარმოიდგინა, თვალზე ცრემლები მოადგა და წაიჩურჩულა: „მეც იმათთან უნდა ვიყო". მისდა შეუმჩნევლად ხელები გულზე დაიკრიფა და თვალებს ვერ აშორებდა მიმავალთ.

ისინი კი — შეგირდები — იმღერიან, ჭიკჭიკებენ, შეჰხარიან ცასა და დედამიწას.

„ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ“, — ფიქრობს სანდრო და თვალები ცრემლებით ევსება.

„მე თქვენგან გამოთიშული ვარ, გამოთიშული“, — ჩიფ-ჩიფებს სლოკინით.

შეგირდების მხიარული სიმღერა გლოვის ზარია მის არსებაში. უზრუნველთა მოკისკისე ჰანგები თავს დასტირიან მის ობლობას. ასე მწვავედ და ასე ღრმად ჯერ არ უგრძნია სანდროს მარტოობა, ობლობა და ამხანაგებში გამოთიშვა.

„მამილო, მამილო!“ — ამოიზლუქუნა და უნუგეშოდ მიაშტერა ცრემლიანი თვალები სიმღერით მიმავალთ.

ნიკაც დიდი ხანია, რაც ხმის ამოუღებლივ გულდათუთქული შეჰყურებს შეგირდებს...

მხოლოდ ეხლა იგრძნეს ძმებმა ობლობა...

1912 წ.

სოფლის სურათები

მოთხრობა

I

— რა ღმერთი გაგიწყრა, ბიჭო! აუწიე ხმას! რავა ყველრულივით ხლიჩინებ, გაგიწყდეს კვახი! — შეუწყრა ერთ მომღერალთაგანს პარმენა.

— ხმ... ხმ... ხმ... ე რჯულძაღლი, რომ ვერ დავიწმინდე ხმა! ხმ... ხმ!

— ზახრუმალა! — მიულოცა ისევ პარმენამ. — შენ კი, ბესო, ნამეტანს ნუ იკიკინებ, მე მიგდე ყური! შენ ხომ სულ უსაპნო ურემივით ღრიჭინებ, ჩემო თედო, — ხან ერთს აძლევდა პარმენა შენიშვნას და ხან მეორეს.

სოფელ წვიმიანის ახალგაზრდები სოფლის დუქნის წინ შეგროვილიყვნენ და მათ ოხუნჯობას დასასრული არ ჰქონდა. დროგამოშვებით ისეთ სიმღერას შემოსძახებდნენ, რომ ციდან შევარდენი ჩამოვარდებოდა.

შუაში ჩამდგარიყო სოფელში განთქმული მომღერალი პარმენა და ვისი ხმაც არ მოეწონებოდა, ყველას მწარე სიტყვებით თათხავდა ხოლმე: ისე აიგდებდა სასაცილოდ, რომ ვაი იმ უბედურის ყოფას, ხან იმას შენიშნავდა, ხან ამას. ყველას კბენდა, მაგრამ არავინ არ ემდუროდა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ პარმენა ამას ბოროტებით არ ჩადიოდა.

რეაქცია მოგვერია,
ერთობა გამოგვტაცესო,

ჩვენი შავთვალა ტასია
გუშინღამ მოიტაცესო.... დილ... დილ... დილ...

შემოსჭიკჭიკა პარმენამ. ამხანაგებიც მას აჰყვნენ და ელვის სისწრაფით წარმტაცმა სიმღერამ მოიცვა იქაურობა. პარმენას ჰანგები ზარის ხმასავით გაისმოდა და გარკვევით გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან. მათი ხმები ისე შეჩვეულ-შესისხლხორცებულიყო, რომ კილო სრულიად ბუნებრივად გადმორაკრაკებდა, წყალივით გადმოდიოდა ჰანგი ჰანგზე და მკვირცხლი, ჩაკრიმანჭულებული სიმღერა საამურად წკრიალებდა. მომღერალნი ისე გულდასმით, მოწიწებით და სახეზე ოცნების გამოხატვით მღეროდნენ, გეგონებოდათ, ეს ხალხი ხატის წინაშე დგას და ლოცულობსო. პარმენა ხომ სულ თავდავიწყებული იყო და შუბლზე მოხეთქილ ოფლს ხანდახან თუ მოიმშრალებდა ყაბალახის ტოტით.

— ბიჭო, ღლავივით რო აღებ იმ პირს, არაფერი ამოდის იქედან? შეუტია ერთ მომღერალს პარმენამ.

— მაგი დაბალი ბანია, დაბალი! — გასძახეს აქეთ-იქედან და სიცილი დააყარეს.

— არც შენ ხარ დიდი დოვლათი, ტურასავით ჩხავი.

მოვიდა ეგზეკუცია,
ფულების ამატკუცია,
ვინ არის პატრონი, თვარა
ხუცესი გასატკუცია.

წამოიწყო ისევ პარმენამ და კვლავ გაისმა მშვენიერი სიმღერა. პარმენა თავმომწონე ბიჭი იყო მთელ სოფელში. არც ისე ღარიბი, ლამაზი, დარდიმანდი, მშვენიერი მოსიმღერე...

განსაკუთრებით თავს აწონებდა ქალიშვილებს. ახლაც ერთი თვალით მომღერლებს რომ გადახედავდა, მეორეთი ქალიშვილებს გაჰყურებდა — აბა, თუ მიცქერიანო.

ჭუჭყიანი, დაღლეტილ წინსაფარაფარებული მედუქნე პირდაღებული მისჩერებოდა თავისი დახლიდან მომღერალთ და ელოდა, აბა, როდის დამიძახებენ — ჩამოგვითხრიშინე ბოთლი ღვინოო.

დუქანს ჯარგვლის კედლები სიძველისაგან სულ დაცხრილოდა, წასაქცევად გამობერებოდა, ისლის სახურავში რამ-

დენიმე სარკმელი იყო, მიწის იატაკი ოღროჩოღრო, კარზე აკ-
-რულ ფირფიტაზე ასეთი ლექსი ეწერა:

ეს დუქანი მისია,
ვინც კაცია კაცთანა,
ფულიანად აქ მოდი,
უფულოდ კი სხვასთანა.

მეორე წარწერა ასეთი იყო:

Распивочно и на вынос.

ამ სიტყვების ქვეშ ეწერა:

Разбивочно и на выброс.

დუქნის ერთ კუთხეს ორი რუმბი და სამიოდე დაჩუტუ-
ლი ტიკჭორა ამშვენებდა. აქვე იდგა დიდი მაგიდა, რომელ-
საც კარში გამოტანა განსაკუთრებული შემთხვევის დროს თუ
ეღირსებოდა; როცა ორიოდე შეზარხოშებული ყმაწვილი
ქალიშვილების თავმოსაწონებლად დუქნის წინ, მოედანზე,
ღვინის სმას და სიმღერას დაიწყებდა, — აი, ამ დროს გამო-
იტანდნენ ამ უხეშ სამკაულს კარში და მორთავდნენ თავიან-
თი გემოვნების მიხედვით: ბოთლები, ხის ტოტები, ბოსტნე-
ული...

რასაკვირველია, არღანიც პირველი სამკაული იყო.

უნდა გენახათ, რა დარდიმანდობით ატრიალებდა ამ დროს
სოფელი ჩასირმულ-ჩამესტილი მეარღნე „კორმას!“ მხრებზე
აბალახგადაგდებული, თავმომწონედ იყურებოდა აქეთ-იქ-
ით; თითქოს შოპენის ჰანგებით ატკბობდა იქაურობას, ნამ-
დვილად კი დაჩეჩხილი „შარმანკა“ ყველა ჰანგს დომხალივით
ურევდა ერთმანეთში და თან ხანდახან ისეთს ჩაუსტვენდა,
რომ ასისინებული დედა ბატის ხმას მოგაგონებდათ.

— შეხურდით, ბიჭებო, შეხურდით! — აგულიანებდა
სოფლის ბიჭებს ახალუხის ჯიბეებში ხელჩაწყობილი მედუქნე,
რომელსაც ულვაში თხის კუდივით აეპრიხა.

— ქესატობამ ხომ არ მოგიჭირა, გენო?

— თქვენი გადამკიდე...

— რას მოგვჩერებიხარ, შვილოსან, ჩვენ რას გამოგვრჩე-
ბი! ღმერთს მადლობა შესწირე, რო სული გვიდგა. მოშორდი
სოფელს, წადი ქალაქში და ვაჭრობა იქ გექნება!

— საქალაქო სერმიას ბიცოლამისი დოუწკრიალებს.

— გენო, რაა, შე ოხერო, რომ ნიკაპზე ორი ღერი ბალაჩიღა დაგიტოვებია?

— ფული დამაკლდა, ძმაო, დალაქიც არ მენდო.

— ხა, ხა, ხა! ულვაშზე ბუზი არ წამოგენცოს, მოუარე!

II

კვირა იყო, ხალხი თანდათან გროვდებოდა. ბავშვების ცელქობა და ჟრიამული თანდათან აყრუებდა იქაურობას. დიდი თუ პატარა ყველა ხარობდა, იცინოდა, იმღეროდა.

— რამდენი ხანია ასე თავისუფლად არ შეგვიყრია თავი!.. უჰ, რამდენი დრო გავიდა მას აქეთ!

— აბა, სიზმარივით მახსოვს ყველაფერი. ოხ, შენი ღმერთისა, ბიჭო! რო შევდგებოდით მაღლა და მოზღვავებულ ხალხს გავძახებდით: ძმებო და ამხანაგებო!.. მოქალაქენო!.. აი, რა დრო იყო, დედასა!

— ნეტავი თუ მოვესწროთ კიდევ მაგისთანა დროს?

— მოვესწრებით, ნუ გეშინია!...

— იმისთანა გემო მაინც არ ექნება!.. რა იყო, რა იყო!..

— ნეტავი ეს მაცოდინა, ამის გულთმისანი გამხადა, ახლობამდი იმისთანა თავისუფლება რო გვქონოდა და ჩვენებურად გვეწარმოებია ყველაფერი, ნეტავი ახლა რაფერ მდგომარეობაში ვიქნებოდით! რას ვიზამდით, რავა გვექნებოდა საქმე მოწყობილი! ნეტავი მოვუვლიდით ჩვენს თავს?

— მშვენივრად გვექნებოდა ყველაფერი.

— არა, ძმაო, არა, იცოდეთ, ერთმანეთს შევეჭამდით. ჩვენ თავისუფლებას ვერ მოვიხმართ, თუ მათრახით ხელში მთავრობა არ დაგვადგა, ისე ჩვენი საშველი არ იქნება.

— ცდები, ამხანაგო...

— მართალია, მართალი!...

ხშირი იყო ასეთი მუსაიფი გლეხებში.

— ეი, ხალხო, ამდენი ცუღლუტობა არ გვარგია, საქმეს შევუდგეთ, გვაგვიანდება! დაიძახა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა, მაგრამ მისი ხმა ისე სუსტი გამოდგა, რომ ბევრს არც კი გაუგონია.

— დროა, დრო, — ყვიროდა ისევ იგი.

— ვართ ვითომ ყველა?

— დავთვალოთ... დავთვალოთ.

— ხალხო, დაწყნარდით, ნუ გორგოთობთ ბატებივით! უნდა დაგთვალოთ!...

დათვალეს და მთელი სოფლის ნახევარს არაფერი დაკლებია.

— აბა, ავირჩიოთ თავმჯდომარე.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ.

— მე ზურაბას ვასახელებ.

— მე პაპუნას.

— მე ანტონას.

— ასე არ შეიძლება, ამხანაგებო, წესრიგი უნდა იყოს! კრებას უნდა ხელმძღვანელობდნენ თავმჯდომარის არჩევამდე ისინი, რომლებმაც ჩვენ მოგვიწვიეს,—თქვა ერთმა.

— მართალია, მართალი!

— ამხანაგებო! მართალი კია, მაგრამ თქვენ ისე აირიეთ, რომ ვერაფერი ვერ გავაწყე, ასე არ შეიძლება!—დაიძახა ანტონამ, რომლის ხმამ ყველანი დააწყნარა.

— მაშ ასე,—დაიწყო მანვე,—დასახელებულია სამი კანდიდატი: მე, ზურაბა და პაპუნა. მე, ამხანაგებო, დაღლილობის გამო არ შეიძლება გემსახუროთ, დღეს სხვაგან ვიყაეი, ოცი ვერსი გზა გავაკეთე. ამისათვის ჩემს კანდიდატურას ვხსნი.

— შენი ნებაა, შენ იცი.

— მაშ კენჭს ვუყრი ზურაბას და პაპუნას, ვისაც ზურაბა სურს, ხელი აწიოს.

ანტონა მაღლობიდან შეუდგა აწეული ხელების თვლას. ზოგი ღობეს მიწოლია, ზოგი ყორეზე ზის, ზოგიც მზეს გადგომია. ერთ ადგილას ბევრს მოუყრია თავი, მეორე ადგილას კი გაფანტულან ქალები, ბავშვები, დიდი, პატარა.

— ერთი, ორი, სამი... ნუ ინძრევით, თვალი ამიჭრელდა, ვერაფერი გავიგე, ამერია.

— ერთი, ორი, გაჩერდი, ვანო, ნუ დაჩენჩერობ აქეთიქით, სამი, ოთხი. — ისმოდა ანტონას ხმა.

— ამხანაგებო, ზურაბას ოცდაექვსი აძლევს ხმას. ახლა იმან აწიოს ხელი, ვისაც პაპუნა სურს.

— არ გაინძრეთ, თვარა ამერევა! ერთი, ორი, სამი...

კარგა ხანს გაგრძელდა თვლა, აღმოჩნდა რომ პაპუნას ოთხმოცდათორმეტი აძლევდა ხმას.

— ამნაირად, არჩეულია ამხანაგი პაპუნა, ვთხოვოთ დაიჭიროს თავმჯდომარის ადგილი, — თქვა ანტონამ და გზა უტია.

მალე გამოჩნდა ძალ-ღონით სავსე, არწივის გამომეტყველების მქონე ვაჟკაცი, რომლის ერთი გამოხედვა თვალთაგან ცეცხლის ფრქვევა იყო. შავარდენივით ათვალიერებდა იქაურობას, სახეზე ეტყობოდა, რომ სავსებით შეეგნო ამ არჩევანის მნიშვნელობა და სალაპარიკოდ ემზადებოდა. ჩაახველა, ჩოხა გაისწორა, ყაბალახი მოიძრო და მოჩერებულ ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— პირველ ყოვლისა, ამხანაგებო, გმადლობთ პატივისცემისათვის. ყველას ვთხოვ კრებაზე წესრიგი დაიცვას, თუ წესრიგი არ გვექნა, საქმეებს ვერ გავარჩევთ. მეორე, აქ სივიწროვეა და ვეცადოთ გავიწ-გამოვიწიოთ, ასე ნუ შევჯგუფდებით.

— კარგი იქნება, კარგი.

ხალხმა უკან დაიწია, გაკეთდა წრე, რომლის შუა ადგილას თავმჯდომარე იდგა და დინჯად ათვალიერებდა იქაურობას. მისი დაკვირვებული თვალი ყველას სინჯავდა. აგერ ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცის თვალებს შეაფეთა თავისი თვალები, იქ შუახნის ვაჟკაცს ჩახედა, რომელიც რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. აქ მომუსაიფეთ დააცქერდა, იქ კიდევ მოკოპწიავებულ ქალებს გადაჰკრა თვალი.

ზოგს დინჯი გამომეტყველება ჰქონდა, ზოგიც იცინოდა, ხუმრობდა.

— თავმჯდომარე, ორიოდე სიტყვა წესრიგისათვის, — დაიძახა ვიღაცამ.

— ინებე.

— მართალია, ჩვენი დღევანდელი კრება ნებადართულია მთავრობისაგან და საშიში არაფერია, მარა სიფრთხილე მაინც გვმართებს, ხომ იცით, იმისთანა დროში ვართ, ძმა ძმას ვერ

დანდობია. ნუ ვიხმართ ლაპარაკის დროს სიტყვა „ამხანაგს“, თვარა ხომ იცით, რაფერ უყურებს ამ სიტყვას მთავრობა. ვინცხა გააგებიებს ამას, კაცმა რომ არ თქვას, ჩიტი იტყვის და ვინ იცის, რა შარს მოგვდებენ. ამისათვის წინადადება შემომაქვს ამხანაგის მაგივრად სხვა სიტყვა ვიხმაროთ, ამით საქმეს არაფერი დააკლდება და ჩვენც ხიფათი აგვცდება.

— კარგი... მოქალაქე ვთქვათ, მოქალაქე.

— მშვენიერია, ძალიან კარგია.

— ზედმეტი შიშია, ნუ მიძვრებით ხოჭოპაში,—დაიძახა ვიღაცამ.

— მოქალაქეც საშიშია. სჯობია „ძმაო“ ვიხმაროთ.

— ეს ვინაა, მშიშრები რო გვიწოდა? — წამოიძახა ერთმა. — ეს შენ იქნებოდი, ალბათ, ბესო. დიდი რევოლუციონერი ბიჭი კი მყავხარ, შენი ღმერთის ჭირიმე!

— მე კენჭს ვუყრი წინადადებას, კერძო ლაპარაკი ნუ იქნება!

აღმოჩნდა, რომ კრების უმრავლესობა ემხრობოდა უკანასკნელ წინადადებას და ამხანაგის მაგივრად უნდა ეხმარათ — ძმაო.

ბესო და მისი მოკამათე კარგა ხანს ედავებოდნენ ერთმანეთს და თვითეული მათგანი რევოლუციონერობას იჩემებდა.

— კარგი და პატიოსანი, ძმებო, — დაიწყო თავმჯდომარემ, — ამასთანავე გაგაცნობთ რამდენიმე პირის მიერ შემუშავებულ წესრიგს, რომელიც თვით ბოქაულისაგანაა დამტკიცებული. პირველი საკითხია: მიმდინარე წელს თავადებთან სახნავ-სათესი მიწების აღება, მეორე — მათთანვე საძოვრებზე შეთანხმება და მესამე — სკოლის საქმე. ჩემი აზრით, აქ თავი და თავი მიწების საკითხია, და როგორც აქაა ნაჩვენები, ასე შევუდგეთ საქმეს, ტყუილა ნუ ვილაპარაკებთ და დროს ნუ დავკარგავთ.

— ჩემი აზრით, მეორედ გავარჩიოთ სკოლის საკითხი, ეს საძოვრებზე უფრო საჩქაროა,—დაიძახა ერთმა.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ ასეთი დღის წესრიგი მიიღეს: მიწები, სკოლა და საძოვრები.

— ძმებო, აბა, შევუდგეთ საქმეს,—დაიწყო თავმჯდომარემ.

— ამასთანავე ყველამ უნდა ეიცოდეთ, თუ რა სერიოზული მნიშვნელობა აქვს ამ კრებას ჩვენს ცხოვრებაში. გულდასმით და დინჯად მოვეკიდოთ საქმეს, ყოველი ჩვენი ნაბიჯი ათასჯერ უნდა აიწონოს და გაიზომოს. ნუ გავიწყდებათ, თუ რა პირობებში ვართ: თუ დღევანდელი კრებით კარგად არ ვისარგებლეთ, ვინ იცის, ეგება ამის მეტად ვერც კი ავიღოთ ნება მთავრობისაგან, აბა, დავიწყოთ.

ჩაეწერა რამდენიმე მსურველი. მდივნის მოვალეობას თვით თავმჯდომარე ასრულებდა.

— სიტყვა ეკუთვნის ივანეს.

მაშინვე წრეში ჩამოდგა შუახნის კაცი, რომლის ტანსაცმელი ნათლად ამტკიცებდა მის სიღარიბეს, მაგრამ ის ისეთი რწმენით და ამპარტავნობით იდგა, რომ უილაჯობის ნატამალსაც ვერ ნახავდით მის სახეზე, ყაბალახი გვერდზე გადაიგდო, გაჭაღარავებული წვერი თითებით ჩამოივარცხნა და დინჯად დაიწყო:

— ჩვენ რომ უბედურება გამოვიარეთ, თუ ასე ერთად თავის შეყრას როდისმე მოვესწრებოდით, რავა მეგონა, რავა ვიფიქრებდი. მართალია, იმ ბედნიერი დროის აქეთ ბევრჯელ ვიყავით შეკრებილი, მარა ასე თავისუფლად კი არა. მაშინ ეგზეკუციის ხარჯზე ვლაპარაკობდით, ან მთავრობის მოთხოვნილებებს ვაძლევდით პასუხს. თანაც თოფიანები იცავდნენ ჩვენი კრების წესრიგს. დღეს კი ამას ვერ ვხედავ, რალაც თავისუფლად ვართ და გისურვებთ, რომ აწი მაინც ჩამდგარიყოს ჩვენი ცხოვრება კალაპოტში, ხელახლა შევდგომოდეთ საკეთილო გზას.

მხურვალე ტაშისცემით დაიფარა ორატორის უკანასკნელი სიტყვები, თუმცა აქეთ-იქით შენიშვნებიც მისცეს.

— საქმეს არ შეხებია.

— ლამაზი სიტყვები ვერ გვიშველის.

— სხვადასხვა მოსაზრების გამო, ორატორებს ვთხოვ, აგიტაციის ხასიათს ნუ მისცემს სიტყვას. ნუ დავივიწყებთ პირობებს, თავდაჭერილად ვიყოთ, თვარა ხომ იცით, ამას ცუდი შედეგი მოჰყვება, — შენიშნა თავმჯდომარემ.

— ამხ... არა, ძმებო, — განაგრძო ივანემ, უკაცრავად, რომ საგანს ავშორდი, მარა რა ვქნა. გული არ მითმენს.

ახლა პირდაპირ საგანზე ვიტყვი: არც ერთი ჩვენთაგანი გუშინ და გუშინწინ არ დაბადებულა, ყველას გვახსოვს ამ ექვსი-შვიდი წლის ამბები. შავი ტანი და თეთრი ტანი აბანოში გამოჩნდებაო, იტყვიან და კიდეც გამოჩნდა. ჩვენ ყველა ვიცით, ვინ რა შვილია. ვიცით, რას გვეუბნებოდნენ გაჭივრებაზე, ვიცით, რას გვეტყვიან ამაზე მემამულეები და სხვები. შეხვეწნით და თხოვნით არასოდეს არაფერი გაგვიკეთებია და არც ახლა გამოვა რამე.—შემდეგ ილაპარაკა შეერთების საჭიროებაზე და ასე დაათავა:—თუ პირი გვექნება და ერთმანეთის გამტანობა, ჩვენ დავრჩებით მოგებული, თუ არა და... ჯერჯერობით ეს მითქვამს და დანარჩენს მერე ვიტყვი.

სიტყვა დაამთავრა და თავის ადგილას ჩაჯდა, არც კი გადაუხედავს მეზობლებისაკენ. აგერ-აგერ ვილაცეებმა ტაშიც კი დაუკრეს, მაგრამ არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ახალი არაფერი უთქვამს, — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— მისმა მზემ, გენიოსია ჩვენი ივანე, რომ ახალი აზრები ამოგვილაგოს, — შენიშნა მეორემ პირველს.

— სიტყვა ზურაბასია.

— ბატონებო,—დაიწყო მან.

— აქ ბატონები არა ვართ! ჩვენ ბატონები გვძულს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ზურაბს შერცხვა, ნათლად შეეტყო, რომ ასეთ პროტესტს არ მოელოდა და თან ისიც ემჩნეოდა, რომ ეს სიტყვები მისდა უნებურად წამოსცდა.

— რა იყო, თქვე კაი კაცებო, შევცდი. ერთი ალილუია ხუცესსაც კი შეეშლება. განა არ იცით ჩემი ამბავი, რომ გლახა აზრით არ მითქვამს?

— კარგი, კარგი, ილაპარაკე.

— ძმებო, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ან მეზობელი იმდენად სულმოკლეა, რომ თურმე მემამულეებს ჩუმად ელაპარაკება და უჩვენოდ უდებს პირობას. მე ჩემი მხრით ვაფრთხილებ ასეთებს... ჭკუით იყონ და საერთო საქმეს არ ავნონ, მემამულეებთან კუნძი-კუნძით სიარულს ისა სჯობია, ჩვენ ამოგვიდგნენ გვერდში!—ცხარობდა ორატორი.

ხალხსაც მღელვარება დაეტყო.

— დაასახელეთ ვინ არიან.

— ჯერჯერობით ეს საჭირო არაა,—განაცხადა ზურაბამ,—იმედია, გამოსწორდებიან და თუ მაინც არაფერი ეშველათ, მაშინ ჩვენ ვიცით.

— მოქალაქენო!

— მოქალაქე კი არა, მონები ვართ, მონები! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— დამიგდეთ ყური, — განაგრძო თავმჯდომარემ, — აგერ შვიდმა-რვა კაცმა ილაპარაკა და ჯერ პირდაპირ საგანს არავინ შეხებია. ეს არ შეიძლება, დრო მიდის. ხომ იცით, ძმებო, აგერ მარტი გასულია, სახნავ-სათესი ახლა უნდა მზადდებოდეს და ჩვენ თუ აქ ათასჯერ ნათქვამი ვიმეორეთ, რა გამოვა! პირდაპირ საქმეს შევუდგეთ. ერთი მხრით, უნდა გამოვარკვიოთ რა პირობებში შეგვიძლიან მიწის დამუშავება და მეორე მხრით, ის კაცები რაფერ გვითმობენ მიწას. მეტი მოფიქრება და დაკვირვებაა საჭირო. ასე არ შეიძლება. ვინც ამას არ შეეხება, მე ლაპარაკის ნებას არ მივცემ იცოდეთ ყველამ, სიტყვას კოწიას ვაძლევ.

— ძმებო, თითქმის მთელი სოფლის გლეხობა, ზოგიერთების გარდა, იძულებული ვართ თავადების მიწაზე ვიმუშაოთ, სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ საკუთარ ადგილში ერთი თვის სარჩოსაც ვერ ვიწევთ, სხვაგან წასასვლელი გზა არაა. ქარხნები დაკეტილია, ყველგან კრიზისია, მოთხოვნილება კი დიდი აქვს გლეხკაცს, მიწებზე მიჯაჭვული ვართ, უიმისოდ ცხოვრება არ შეგვიძლიან, ამისათვის მიწები ისეთ პირობებში უნდა ავიღოთ, რომ ჩვენ მოგვიხდეს, თან უნდა ვეცადოთ, რომ საქმე არ გავამწვავოთ, თვარა ვინ იცის, ამას რა მოჰყვებოდა. რაც გვიქნეს, ისიც გვეყოფა. მე, ჩემი აზრით, იმას ვიტყვი, რომ საჭიროა მიწების ხარისხებად დანაწილება, რავარც უწინ ვშვებოდით, ისე. კაი მიწიდან მეტი წაიღოს, გლახიდან ნაკლები, უნდა მოსავლით და უნდა ფულით, ერთი სიტყვით, ისე მოვიქცეთ, რავარც უწინ. ჯერჯერობით მეტი არაფერი მაქვს სათქმელი..

— სიტყვა შენია, პეტრე.

— ჩემია და კიდეც ვიტყვი. კაცო, არ შეგვიძლიაო, რო

იძახით, ამაში ხომ არაა საქმე; ჩვენ რომ „არ შეგვიძლია“ ვიძახოთ, ხომ იცით, რას გვიზამენ!... ძალა მაგათ მხარეზეა. აბა, ჩაუკვირდით კარგად.

— ხახვს დაგაჭრიან თავზე.

— არა, ძმაო, არა,—უპასუხა პეტრემ,—არც ხახვის დაჭრა დაუკლიათ ჩვენთვის და არც ნიახურის. საჭიროა დათმობა.

— შენისთანებმა გააფუჭეს ჩვენი საქმე! ჩვენ დათმობა არ შეგვიძლიან, არა!

— არ შეგვეძლო, მარა ბევრი შეგვაძლებიეს.

კრებას უკმაყოფილება დაეტყო, ორატორს სიტყვა გააწყვეტინეს, ისიც დაიბნა და რა ეთქვა, არ იცოდა.

— რა ქენი, კაცო, გაათავე სიტყვა?—ჰკითხა თავმჯდომარემ.

— არ გაცლიენ კაცს და რა გამეგიდა! გავათავე, მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ. წესრიგს არ იცავს თავმჯდომარე.

— თუ გაათავე, დაჯექი! სიტყვა შენია, ბესარიონ! დაწყნარდით, ხალხო, ნუ ხმაურობთ, კერძო ლაპარაკი არ შეიძლება,—იძახდა თავმჯდომარე.

— გამაკვირვა პეტრეს პასუხმა, — დაიწყო ბესარიონმა, — რაკი არ მოგვცემენ, რავაც ჩვენ გვინდა, ისე დავეთანხმოთო. ეს ძაან შემცდარი აზრია. თუ ჩვენ ასე დავნებდით, სულ ქეჩოში მოგვაჯდებიან და მერე უყარე კაკალი, ასე არ შეიძლება. ჩვენც უნდა ამევიღოთ ხმა, ჩვენი გასაჭირი ჩვენ თუ არ ვთქვით, არაფერი არ გვეღირსება, ჩემი აზრია, არ დავუთმოთ.

— ჩემი აზრი ამნაირია, — დაიწყო შემდეგმა, — დათმობაო, ამბობს ზოგიერთი. კაი და პატიოსანი. თუ გინდა, ასე იყოს, დავუთმობ, მარა, კაცო, შენს თავს არ ხედავ? შენი გაჭირვება არ იცი? რავა, ადამიანო, მეტი მაქ და კიდევ მეტი მინდა, თუ რავაა თქვენი საქმე? არ მყოფნის, თვარა, რო მყოფნიდეს და სულის დაპურება არ მიჭირდეს, ვინ სულძაღლი არ დაუთმობს! ხან ოჯახის მოთხოვნილებას ვერ ამოუველი, ხან გადასახადებს. კაცნი ვართ, ძმაო, ოჯახის შვილები ვართ. მე მგონია, ბევრს ჩემსავით უჭირს, ბევრს კიდევ ჩემზე უარესად. რომ ის მიწები საკუთრად ჩვენი იყოს, მგონი, მაში-

ნაც არ გვეყოფა, როგორც წესია, თვარა, დღეს ათასნაირად გვბაჟავენ და ტყავს გვაძრობენ. რას ჰგავს ეგი! ოღონდ იმდენი მქონდეს, რო ცოლ-შვილს არ მოშივდეს და ღმერთი, რჯული, მეტი არაფერი მინდა! ასე რომ, იმის მომხრე ვარ, რო არავითარ შემთხვევაში დათმობა არ შეიძლება, ესე იგი ყოვლად მოუხერხებელია, ვინაიდან ჩვენ მერე საზრდო არ გვექნება.

— აგაშენა ღმერთმა, — მართალია, მართალი! — იგრიალა ხალხმა.—დათმობა არ შეგვიძლია, არა!

— ხალხო, ეს კი, მარა რეპრესიები რო განახლდეს, მაშინ რავა ვქნათ, ვართ მზად?..

— დაგვახრჩობენ და ის იქნება. გაძაღლებულ სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობია. ცუდად ნუ მოვიქცევით, უწესობას ნუ ვიზამთ და ისე რას გვიზამენ? ჩვენს გაჭირვებას ყველას ვეტყვით, ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, მადლობა ღმერთს, ძველი დრო არაა!

— ამხანაგებო, ამხ... კიდევ წამომცდა,—თქვა თავმჯდომარემ, — საკითხი გამორკვეულად მიმაჩნია. შემოვიდა წინადადება, საკითხს კენჭი ეყაროს.

— ნაადრევია, ნაადრევი!

— მიწები ხარისხებად რომ უნდა დაიყოს, ამაზე არ გვილაპარაკნია.

— ეს იქნება საკითხის მეორე მხარე. ჯერ ის უნდა დავადგინოთ, ვთმობთ თუ არა, მე არ შემიძლია ამ წინადადებას კენჭი არ ვუყარო, ეს ჩემი მოვალეობაა.

ხმის უმეტესობით გადაწყდა — არ დაეთმოთ მემამულეებისათვის.

შემდეგ ილაპარაკეს მიწების ხარისხებად დაყოფაზე. აირჩეს კომისია, რომელსაც დაეკალა ამის მოწესრიგება.

ამასობაში კარგა ხანი გავიდა. საგრძნობლად აცივდა კიდეც. მარტის მზეს შუადღისას გვარიანი სიცხოველე ჰქონდა, ახლა კი დარცხვენილივით ხეებს ამოეფარა და სითბომოკლებული მიიპარებოდა.

III

— აბა, ახლა სკოლის საკითხი გავარჩიოთ, — დაიწყო თავმჯდომარემ, — როგორც მოგეხსენებათ, ერთი მასწავლე-

ბელი ქე გვყავს, მარა ვინაიდან ბევრი ბავშვებია, საჭიროა მეორეც მოვიწვიოთ, რას იტყვით ამაზე?

— სიტყვა, თავმჯდომარე!

— ინებე.

ორატორის დანახვაზე ყველას სახეზე ღიმილი მოუვიდა, ყურები დაცქვიტეს და სასმენად მოემზადნენ. ყველამ იცოდა ორატორის ენამახვილობა და ამისათვის იყო, რომ ყურადღებით ექცეოდნენ. ეს იყო ჩვენი ნაცნობი მომღერალი პარმენა. ყვინჩილასავით წამოხტა ზეზე, ჩოხა გაისწორა, ჩაახველა, ჩაათვალ-ჩამოათვალიერა ქალი და კაცი და დაიწყო:

— მოქალაქენო! ეგება ბევრს გაეცინოს ამ სიტყვებზე, მარა რა ვუყოთ, სხვა თუ არ გვიძახის მოქალაქეს, ჩვენ მაინც დავუძახოთ ჩვენს თავს. მოქალაქენო, სწავლა-განათლება რო კაია, ყველამ ვიცით. გამოუწვრთნელ შვილს გამოუწვრთნელი ძაღლი სჯობიაო, უთქვამენ. რათ მინდა, თუ ჩემი შვილიც ჩემსავით ვაჩი-პეტრე შეიქნა და ლობიოს მოწევის მეტი არაფერი ისწავლა. სული რო დავაგირაოთ, ლუკმაპური რო მოვიკლოთ, შვილებს მაინც უნდა ვასწავლოთ. უსწავლელობითაა რო ჩვენ ასეთი დღეი გვადგია. ტყავი უნდა გავიძროთ შვილებზე. ყველაფერს თავი რო დავანებოთ და ურიის ვალი ავიღოთ, კლასი მაინც უნდა გევიკეთოთ. კაი მასწავლებელიც უნდა გვეყოლოს, ჩვენ რო გვინდა ისეთი, ჩვენი კაი კაცი, ჩვენი გაჭირვების მცოდნე. სკოლის უფროსს ჩვენი კანდიდატი უნდა წარვუდგინოთ. მასწავლებელი ჩვენ უნდა ავირჩიოთ.

— მოგართმევს, — შენიშნა ვილაცამ, — იგი თავის კაცს დანიშნავს.

— თუ არ მოგართმევს, არც მე მივართმევ! უკაცრავად მასთან! ჯამაგირს რო არ მივცემ და შვილს არ გავუგზავნი, ვერ ნახავს?..

— წესრიგი იყოს, ერთმანეთში ლაპარაკი არ შეიძლება,— დაიძახა თავმჯდომარემ,—პარმენ, დაამთავრე სიტყვა?

— მოვრჩი, ძმაო, მოვრჩი! რაც ვიცოდი, კი ვთქვი და მეტი რა გინდათ?

მართალია, ამ სიტყვებში სასაცილო არაფერი არ ყოფი-

ლა, მაგრამ ხალხის ნაწილმა მაინც გულიანად გადაიხარხარა.

— სიტყვა მიხას ეკუთვნის.

— ძმებო, სწავლა-განათლება რო კაია, ვინ არ იცის, ვის რათ უნდა რო თვალდაფშუტული იაროს, მარა ხო გაგიგონიათ—ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო. ყველამ ჩვენი მოთხოვნილება ჩვენს შეძლებას უნდა შეუფარდოთ. ბევრი რამე გვაკლია და გვინდა, მარა, როცა შეძლება არა გვაქ, ქე ვართ გაჩერებული. ამ რამდენიმე წელიწადში ჩვენს კისერზე წისქვილის მეტი ყველაფერი დატრიალდა, მარა ეს გაძალლებული სული მაინც არ გაგვძვრა. რაც დროი და ჟამი გადის, მოთხოვნილებას ემატება და ემატება, შემოსავალი თუ გვაკლდება, თვარა არ იზრდება. პატარა წყაროზე რომ ათასი სული საქონელი მირეკო და ასვა, არ ეყოფათ და წყარო დაშრება. ასე ვართ ჩვენც. ყველას კი გვინდა სწავლა, მარა შეძლება რო არაა, რით. ჩემი აზრით, რადგან სოფელი ძალიან გაჭირვებულია და საშვალება არა აქ, მასწავლებლის მოწვევასაც თავი დავანებოთ. ვისწავლოთ? კაცს შინ მჭადი არა მაქვს და რა მესწავლება! თუ გამოგზავნის მთავრობა თავის ხარჯით, ხო კაი და თუ არა, რა ვქნათ, რაც გვაქ, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ. ულონო გამცემი ღმერთს სძულს...

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, კარგა ხანს იყო ყველა ხმაჩაკმენდილი. ბოლოს დაიწყო ერთმა:

— რაც იმ ადამიანმა თქვა, ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მარა ცოტას თუ ჩავუკვირდებით, არ შეიძლება ეს აზრი არ შეირყეს. მაგას, მაგ მამაცხონებულს, ორი შვილი უკვე გამოუზრდია ჩვენ კლასში და დღეს საშოვარზე ჰყავს, მე რომ არც ერთი არ გამომიზრდია, რავაა ეს? დღეს მემესწრო რაღაც ერთი ბარტყი და დღესაც უსწავლელი უნდა დამრჩეს? შენი შვილების გამოზრდაში თუ გეხმარებოდი, მეც უნდა დამეხმარო. აბა, რის ერთობა და ძმობაა, რო ვიძახით გვიჭირსო. დალხინებული როდის ვიყავით, უნდა გვიჭირვოთ და ყველაფერი იქნება...

— მართალია, მართალი.

— მშვენიერს ამბობს.

— არ შეგვიძლია, არ გვაქ.

— ამოგვძვრა სული, გასაქანი არა გვაქ.

აყაყანდა ხალხი.

— ხალხო, რას ჰგავს ეგი?! — ყვიროდა თავმჯდომარე.

— არაფრით არ შეიძლება ბავშვების უსწავლელად დატოვება. ხო გაფუქდა და გაოხრდა ბაღნები. თუ არ ვასწავლეთ, ყველა გატყეურდება და გახულიგნდება. უარესია, ყაჩაღებით გაივსება სოფელი, ტყავი რო გავიძროთ, უნდა ვასწავლოთ. მე ვიცი ერთი მასწავლებელი, ძაან იაფად ამეცადინებს, თხუთმეტ თუმანში დავდგებიო. აი, ის მოვიწვიოთ და უფრო იოლად გავალთ.

— კარგი იქნება, კარგი.

— ააშენა ღმერთმა, თუ ასე იაფად მოდის.

— თავმჯდომარე, დააწყნარე, ძმაო, ხალხი! ხო ხედავ, სიტყვას ვამბობ!—შენიშნა ერთმა, რომელიც სიტყვისათვის მომზადებულიყო და ხმაურობის გამო არ იწყებდა.

— სხვების არ ვიცი და მე კი მიხას აზრი არ მომწონს; სად ნახეთ, რო კარგი მასწავლებელი თხუთმეტ თუმნად იყოს? ალბათ, ვილაც გზამოსპობილია, თვარა ამ ფასად იმსახურებს? ჩვენ გვინდა ნამდვილი მასწავლებელი და არა ვილაც ქარაფშუტა. ბავშვებს უნდა კარგად ასწავლოს, ჩვენც უნდა გვასწავლოს, სოფელში მოწინავე კაცი უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ჩვენ რო გვინდა, ისეთი უნდა იყოს, ახალ ცხოვრებას რო შეეფერება, ისეთი. ოღონდ კაი იყოს, როგორც კლასში, ისე კარში და მისთვის ჯამაგირს ნუ დავიშურებთ. ჩვენ თუ ვიძახით ჩვენი შრომა უნდა დაფასდესო, ისე უნდა დავუფასოთ იმ კაცსაც. ჩვენ თუ არ დავუფასეთ მშრომელს შრომა, აბა, ვინ დაუფასებს?! განა ბაღნებთან ერთ წელიწადს ყიჭინი თხუთმეტი თუმანი ღირს, მეტი არა? მე რო მკითხოს კაცმა, სადაა შეძლება, თვარა, ათასი მანეთი ეკადრება, იცით?!

შემდეგი სიტყვა ქალმა ითხოვა.

— შეკითხვა მინდა შემოვიტანო. ქალებსაც ხო მიიღებთ იმ კლასში?

— რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, — უპასუხა თავმჯდომარემ.

კარგა ხანს გაგრძელდა მსჯელობა. ზოგი მომხრე იყო,

ზოგი წინააღმდეგი, თავიანთ აზრს ყველა ასაბუთებდა. ყველა პატივისცემით და მოწიწებით ექცეოდა მოპირდაპირის აზრს და ცდილობდა საბუთით დაერღვია. დიდი კამათის შემდეგ მასწავლებლის მოწვევის მომხრეებმა გაიმარჯვეს და საკითხი ხმის უმეტესობით დადებითად გადაწყდა. ჯამაგირი, ოცდათექვსმეტი თუმანი, განათება-გათბობა და მომსახურეობა იკისრა ხალხმა, თუ მთავრობა შენობას არ ააგებდა, მაშინ შენობასაც ხალხი კისრულობდა. აირჩიეს საჭირო პირები და მათ მიანდეს საქმის წარმოება და მოგვარება.

— მაშ ასე, — ამბობდა თავმჯდომარე, — მემამულეებს უნდა მოველაპარაკოთ პირადად, კვირას საყდარზე ყველა უნდა დავესწროთ. იქვე უნდა მოვილაპარაკოთ კოოპერატიული მაღაზიის დაარსებაზე.

საძოვრების საკითხი, ვინაიდან დროც არ იყო და არც დღიური სიმწვავე ჰქონდა, შემდეგისათვის იქნა გადადებული.

— მშვიდობით, ნახვამდის!—ისმოდა აქეთ-იქიდან და ხალხი წასასვლელად ემზადებოდა. აირია ერთმანეთში კაცი და ქალი. კარგად აციებულიყო, თუმცა მსჯელობაში გართულთ აქამდე ვერ შეემჩნიათ.

სიცილ-ხარხარი და სერიოზული ლაპარაკი ერთმანეთში აირია, რიგი რას ამბობდა, რიგი რას.

— ღმერთო, ბედნიერი ქენი ჩვენი დღევანდელი შეყრა.

— ნუ გეშინიათ, გულს ნუ გაიტეხთ. აბა, სულ სიგლახე ხო არ იქნება.

ამ დროს მომღერალთა გუნდიც შეყრილიყო და პარმენა თავისებურად აკიჭმაჭურებდა:

ძმობას, ერთობას, სიყვარულს
ტახტი დავუდგათ ქებული;
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ,
ჩვენს ზურგზე გასუქებული....

მზე უკვე ჩაესვენა. ცას აგერ-ეგერ ლეგა ღრუბლები გადაებურა. ქვენა ქარმაც მოჰბერა. მთელი სოფელი აახმაურა საამურმა სიმღერამ, ყველა გაახალისა და დარდი დაავიწყა. ასე გამოცოცხლებული და დარდგადაყრილი დიდი ხანია არავის ენახა სოფელი წვიმიანი. ასე თავისუფლად დიდი ხანია არ ამოუსუნთქავს. ყველა ისე გრძნობდა თავს, თითქოს

ამდენი ხანი ციხეში მჯდარიყოს, ადამიანს არ გამოლაპარაკებოდეს და დიდი ხნით დახუნდულს, დღეს ღირსებოდეს თავისუფლება, გაღებოდეს საკანის კარები და თავისიანების ხილვით დამტკბარიყოს. ამ კრებამ დიდი გამამხნევებელი და გამაცოცხლებელი შუქი შეიტანა სოფელში, ყველას იმედით აუტოკდა და აუთამაშდა დასერილი გული.

IV

კვირაა. კიდევ ცოტა ხანი და მღვდელიც წირვას გამოიყვანს.

მამა ეპიფანე თუმცა გულმოდგინედ ეხვეწება ღმერთს და სულით და გულით ცდილობს მრევლიც აიყოლიოს, ღვთისადმი რწმენით და სასოებით გული აუძგეროს, მაგრამ მაინც ვერას ხდება: ეკლესია მაინც ცარიელი რჩება.

ნესტიან მიჩრდილულ კუნჭულებში აგერ-აგერ თუ დაინახავდით ორიოდე მორცხვად ატუზულ დედაკაცს, ან კიდევ კედელზე მიყრდნობილ მოხუცს.

მიხატული სურათები დაკვირვებით უცქერენ, თითქოს რაღაცას ელიანო ეპიფანესგან. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე ერთი წმინდანი, რომელიც მთელ დასავლეთ კედელზეა მიხატული და თავისი ლამაზი უმოძრაო სახით მამა ეპიფანეს მისჩერებია.

მღვდელი მის გამომეტყველებაში რაღაც დიდებულ იდუმალ აზრებს და მისწრაფებებს კითხულობს. ყოველთვის ახალ აზრს პოულობს ამ წმინდანის სახის ნაკვთებში, ოცნებიან გამოხედვაში, მაგრამ ამას არავის არ უზიარებს. ეს ხატი ეპიფანეს იდუმალი სიყვარულის საგანი, თაყვანსაცემი ემბლემაა.

ის ისე დაუმონებია იმ სურათს, რომ ვერც კი ამჩნევს სურათის გვერდით ატუზულ ნინოია მონაზონს, რომლის ჩამომდნარ-ჩამომხმარ მაღალ ტანს იდუმალ ფარდად ჩამოჰფარებია შავი მანდილი, ამ ცოცხლად დასამარებულ ქალს ზღაპრულ ჯადოქრად გაჩვენებთ. მისი გრძელი, ძველი მაკრატელივით დაღანჭალებული ყბები დროგამოშვებით ჩიფჩიფებენ და მილულული თვალების ზეაპყრობით რაღაცას შესთხოვენ მეუფეს.

მამა ეპიფანე მხოლოდ ერთხელ გადახედავს ამ ჩაშავებულ ჩონჩხს და შემდეგ კირილე დიაკონს შეხედავს.

კირილეს კი თითქოს კისერი ტანში ჩავარდნიაო, გაბუძგული თავი ზედ დაუმაგრებია, თან სვეტებად იდაყვები შეუყენებია და საქონელივით თითქოს რაღაცას ილოღნებაო, წინ გადაუშლია ადამისდროინდელი დაკოფებული, დახურული ხუცური წიგნი, რომლის ყოველი ფურცლის ქვედა ყურე კირილეს მწვირიანი ცერისა და სალოკი თითის გამო სულ გაშავებულა და თანაც შემოცრეცილა.

კირილემ სულ ზეპირად იცოდა ამ წიგნის შინაარსი და კითხვა როდი სჭირდებოდა, დახუჭავდა თვალს, თითქოს სძინავსო და მიდიოდა სულ რიხინ-რიხინით. მამა ეპიფანეს არ მოსწონდა კირილეს ასეთი უსასოება, უგულობა, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა, ეკრძალებოდა. იქნებ იმ მოსაზრებით, ვაითუ იმანაც სულ მიმანებოს თავი შენიშვნის გამოო.

თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ასეთი სურათი ეხატებოდა მამა ეპიფანეს, მაგრამ ის მაინც სწირავდა და ლოცულობდა, ლოცულობდა და სწირავდა.

ასე იყო დღესაც.

საყდრის გალავანში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა ბუზივით ირეოდა. რიგი იდგა და ოხუნჯობდა, საფლავის ქვაზე დამჯდარიყო და უზრუნველად დაკისკისებდა თავს წუთისოფლისაგან აბარგებულს.

განსაკუთრებით დიდ ამბავში იყვნენ ქალიშვილები: მათ კოპწიაობას დასასრული არ ჰქონდა. ზოგი შლიაპაში კოხტაობდა, ზოგს ახლადშეკერილი კაბის კუდი ამოეჩაკვებია ხელში, ზოგიც კაბის აწევით ახალი ტუფლების და ჭრელი წინდის გამოჩენას ლამობდა.

საცოლო ბიჭებიც ცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ. გაზაფხულის მზეც მათთან ერთად მეჯლისობდა და უხვად ათბობდა იქაურობას ცხოველმყოფელი სხივებით. აქ მკვდრის ლოდს კოცნიდა სხივი, ახლად აზურმუხტებულ მოლს უწუწნიდა ტუჩებს. საერთოდ ხომ სულ ოქროთი მოევარაყებინა იქაურობა.

— ბიჭო, შეხედე მოსეს გოგუცას რავა გამოწკინტილებულა წელში,—ეუბნებოდა ამხანაგს ერთი ვაჟთაგანი.

— შენ რაღაც ხშირად ახსენებ იმ გოგუცას და ხომ არაფერი გაქ გულში?

— რავა შტერივით კითხულობ, ბიჭო? ლამაზ ქალს დავინახავ, და არ უნდა ვახსენო? კოხტა გოგოს რო ვნახავ, რაც უნდა ჯავრზე ვიყო, გული გამეხსნება, სულ გადამავიწყდება დარდი. ლამაზი ქალი—გულის ვარდია.

ამ სიტყვებმა საერთო სიცილი და მოწონება გამოიწვია ყმაწვილებში. მხიარულების ტალღა ქალიშვილებსაც მიწვდათ და იმათაც ვითომ ყმაწვილების თანაგრძნობით და უფრო თავიანთი სინარნარე-ეშხიანობის დასამტკიცებლად, ეშმაკურად ტუჩ-თვალების შეთამაშებით ჩაუღიმეს ვაჟებს, თუმც სამხიარულო საგანი მათ არ იცოდნენ, ისე კი გრძნობდნენ, რომ რაღაც მათ შესახებ იყო ნათქვამი.

წირვაც გათავდა. ღვთისმოსავმა მღვდელმა მოწიწებით გამოასვენა ჯვარი და მთელი თავის კდემამოსილებით წარუდგინა მლოცველთ და კვლავ სიცარიელე იგრძნო მამა ეპიფანეს სულმა და გულმა.

— ხალხო, წირვა გამოვიდა და საქმეს შევუდგეთ,—დაიძახა ლადიმემ.

ლადიმე იყო დაბალ-დაბალი ჩასკვნილი გლეხი, ძალზე უბრალო: შეუმჩნეველი. სანამ ლაპარაკს არ დაიწყებდა, მის არსებობას ვერც კი იგრძნობდით, მაგრამ როცა ალაპარაკდებოდა, მაშინ კი უთუოდ მიიქცევდა თქვენს ყურადღებას. ერთი იმისთვის, რომ მისი მსჯელობა დალაგებული, საფუძვლიანი იყო და მეორეც იმისთვის, რომ მისი წვრილი უსიამოვნო ხმა პირდაპირ ყურებს სჭრიდა.

ხალხი ცოტა ხანს ჩაჩუმდა და ყურადღებით მიაჩერდა ძეგლზე წამომდგარ ლადიმეს. თან ეს აჭრელებული ბრბო ნელ-ნელა უახლოვდებოდა მომწოდებელს.

მამა ეპიფანეს უკვე დაესრულებინა ღვთისმსახურება და მოციქულებრივი გამომეტყველებით, მარჯვენა ხელით ჯვარზე ჩამოდებული, საყდრის კიბიდან გულდაწყვეტილი გადმოჰყურებდა აგრე უსასოო და უღვთისმოყვარო მრეველს. ლადიმეს დანახვაზე, თითქოს გველმა უკბინა გულზე: მე, მოძღვარს, სულიერ მამას არ მისმენენ და ვიღაც გაუთლელ და გაუნათლებელ, ქარხანაში ნამუშევარს ყველაფერს უჯერე-

ბენო,—გაიფიქრა მან. არავინ ყურადღებას არ აქცევდა ხუ-
ცესს, მხოლოდ დათა და კირილე დიაკონი ამოტუზოდნენ
გვერდით და ხმის ამოუღებლივ განაგრძობდნენ ცქერას.

— ამხანაგებო, დღეს სამი საქმე გვაქ მოსაწესრიგებელი.
პირველი — გაზეთის მოტან-გამოწერის უკეთ მოწყობა, მეო-
რე—კოოპერატივის გახსნის დაბოლოება და მესამე, რაც ამ
წუთას ყველაზე თავი და თავია—მემამულეებთან მოლაპარა-
კება. გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე და შევუდგეთ საქმეს.

მკვირცხლი, გაზაფხულის მზე ცქვიტად გამოსცინოდა შეკ-
რებილ ხალხს და შვებას უღვიძებდა, ფრთას ასხამდა, უხ-
ვად ფანტავდა ოქროს სხივებს, გულმოდგინედ ავლებდა გვი-
რისტს იქაურობას და სიყვარულით იკრავდა ყველას გულში.

ბევრს თვალი ვერ გაემაგრებინა მზის გადამეტებული
ალერსისათვის. ქალიშვილები ხომ ისე ეჭცეოდნენ მზის მეჯ-
ლისს და ციმციმს, როგორც ახლად დანიშნულ საქმროს,
რომლის ჭვრეტა სულითა და გულით სურთ, მაგრამ მეტის
მორცხვობით ჯერ თვალი ვერ გაუმაგრებიათ

ლადიმეს წინადადებას ხალხი პირველად თითქოს უგუ-
ლოდ შეხვდა, მაგრამ ცოტა ჩაფიქრების შემდეგ ახმაურდა,
ასეტყვდა და ერთხმად აირჩია იგი თავმჯდომარედ. მაშინვე
გამომუშავებულ იქნა დღის წესრიგი. ვინაიდან შედარებით
ნაკლებ დროს ითხოვდა გაზეთი, ეს პირველ რიგზე დააყენეს;
შემდეგ იყო მემამულეებთან მოლაპარაკების საკითხი, ბოლოს
კი კოოპერატივის.

— ვთხოვთ სოსოს, მოახსენოს კრებას, რავაა ახლა გაზე-
თის საქმე,—თქვა თავმჯდომარემ და ხალხს გადახედა.

ამ სიტყვებზე ხალხიდან გამოიჭრა ასე ოცი-ოცდახუთი
წლის კაცი და ფიცხლავ ავიდა მაღლობზე ლადიმეს გვერდით.
ქუდი მოიხადა, შავ ახალუხზე გადაცმულ პალტოს ყურში
ცალი ხელი ჩაავლო და კრებას მოახსენა:

— როგორც ყველამ იცით, ჩვენი გაზეთის საქმე ტარასი
ისარიანს ჰქონდა მინდობილი, ხალხში ფული უნდა შეეკრი-
ბა, რედაქციაში უნდა გაეგზავნა, დანიშნული მისამართით
გაზეთები მიეღო და სოფელში ამოეტანა დასარიგებლად. იგი
სხვაგან წავიდა, დიდხანს ვერ მოვა და ამ საქმის მომწესრი-
გებლად სხვა უნდა ავირჩიოთ. ტარასიმ ანგარიშები დამიტოვა

და ორი კვირაა გაზეთებს მე ვღებულობ. ანგარიშებიდან ჩანს, რომ ჩვენს სოფელში მოდის სულ რვა გაზეთი. ხელის მოწერას ვადა გაუდის და საჭიროა ფულის შემოტანა. ამასთანავე კაი იქნება, თუ ხელისმომწერთა რიცხვს გავადიდებთ.

— ამხანაგებო! გაზეთს აქნობამდის ვიწერდით და აწიც ასე უნდა ვქნათ, — დაიწყო მეორე ორატორმა, — მარა უბედურება ისაა, რომ თავის დროზე ვერ ვღებულობთ. ხან იკარგება კიდეც. ნუთუ არ შეიძლება საქმის მოწყობა? არ ეწყინოს იმ ტარასის და მაინცდამაინც კარგად ვერ უძღვებოდა საქმეს. საჭიროა უფრო მხნე და დაუღალავი კაცის არჩევა. მასვე მივანდოთ წერილების ამოტანა და წაღება. ერთი სიტყვით, ფოსტასავით გვეყოლება.

— სიტყვა ნიკიფორესია.

— მოქალაქენო, რო ვიძახოთ, მხნე კაცები არა გვყავსო, ამით რა გამოვა. ჩვენ იმდენი შეძლება არა გვაქ, რომ კაცს დიდი ქირა ვაძლიოთ. რაცხა ორ კაპეიკს ვაწევთ და იმიზა ცოლშვილიანი კაცი რაში გადაგვაკვდება თავზე. უფრო მეტი მივცეთ და ის კაციც წახალისდება, თვარა სხვაფერ არ შეიძლება.

წინადადება შემოვიდა — გაზეთის ამომტანს, გარდა მიწის ღალისა, ყველა სასოფლო გადასახადი ეპატიოს. მანვე იკისროს წერილების ფოსტაში წაღება და ამოტანაო. კარგა ხნის დავის შემდეგ გავიდა წინადადება. მაშინვე არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე სოფელში სანდო და პატიოსანი გლეხი სოსო შხაპუნაძე, რომელმაც ერთგულება აღუთქვა ხალხს.

— ამხანაგებო, მე მგონია, საჭიროა გავიგოთ, რა მდგომარეობაშია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე. ბარემ მოვაგვაროთ მაგი საქმე და მერე არ გაგვიჭირდება აქეთ-იქით გაზეთებისა და წიგნებიზა ხეტიალი. რავაც მესმის, თავს არავინ არ იტკიებს ჩვენი არჩეულებიდან და არ ვიცი, რავა იქნება საქმე.

— თავმჯდომარე, მე გავცემ მაგას პასუხს. მე მომეცი ნება, — ითხოვა ერთმა ხალხიდან და რა მიიღო დასტური, განაგრძო: — ეს ცილისწამებაა ბიბლიოთეკის გამგეებზე. მაგ ამხანაგს არ სცოდნია საქმის ვითარება და ტყუილა რას ამბობს აქანე სოფლის დედაკაცების ნათქვამ ჭორებს! შუამდგომლო-

ბა იმ შავ დღეზე დახურულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შესახებ უკვე დიდი ხანია აღძრულია და დღე-დღეზე ველით ნებართვას. რაა აქ სასაუვედურო და ქვეყნის ყბაში ჩასაგდები?!

— ბიბლიოთეკაზე კიდევ რამის ლაპარაკი დღეს ზედმეტად მიმაჩნია და ვსპობ ამაზე კამათს, — განაცხადა თავმჯდომარემ. — ახლა შეეუდგეთ მიწების საკითხს. მემამულეებიც აქ არიან. ჩვენ ჩვენი ვუთხრათ, ისინი თავისას გვეტყვიან. და ამნაირად, ვეცადოთ მორიგებას. ვთხოვოთ კრების სახელით არჩეულ პირებს, მოახსენონ მემამულეებს მუშების გადაწყვეტილება მიწების დამუშავების შესახებ.

ამ სიტყვებით თავმჯდომარემ გადახედა საყდრის ერთ კუთხეში მდგარ ათ-თორმეტ მემამულეს, რომელთა მიწებზეც წვიმიანელები მუშაობდნენ.

მემამულენი, რაღაც მოსაზრებით, გლეხებიდან განმარტოებით დგომას ირჩევდნენ. ზოგი მათგანი სულით და გულით იყო მოწადინებული გლეხებს არ დაშორებოდა, მაგრამ ყველა ნათლად გრძნობდა, რომ რაღაც უხილავი ხაზი იყო მათ შორის გავლებული და სრულ შეერთებას ხელს უშლიდა. ორივე მხარე თავს უხერხულად გრძნობდა და ინსტინქტურად განცალკევება-გათიშვისაკენ მიისწრაფოდა.

გაზეთების შესახებ მსჯელობაში ამათ მონაწილეობა არ მიუღიათ: ჯერ ერთი იმისათვის, რომ ისინი იმ გაზეთს არ ყიდულობდნენ, რომელსაც გლეხები იწერდნენ, თუმცა დიდი გაფაციცებით კი ადევნებდნენ თვალს შინაარსს და მეორე იმიტომ, რომ არც გლეხებივით სცხელოდათ მაინცდამაინც გაზეთებისათვის.

— მჯღაბნელებითაა, ძმაო, მთელი ქვეყანა ავსილი, ვიღაც ოხერს თუ აწყენიე, მაშინვე გამოგჭიმავს გაზეთში. თავადიშვილი ცამდის რო იყოს მართალი, მაინც არ დაგიჯერებენ, — ამბობდნენ ისინი.

როცა გლეხები გაზეთის გამოწერა-მოწესრიგებაზე მსჯელობდნენ, მემამულენი მათ გულში დასცინოდნენ და თან ბოღმით ავსილნი ამბობდნენ:

— დაგიტრიალდათ უკუღმა დროი და, რა გიჟირთ!

— თქვენ რომ გაზეთების კითხვა დაიწყეთ, მაშინ გაწყრა ღმერთი!

— ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებათ და გაზეთებზე ტიტყინებენ ტუტუცები!

მემამულენი აღტაცებაში მოდიოდნენ, როცა გაიგებდნენ, გლეხების გაზეთები დაუხურავთ და თანამშრომლები დაუპატიმრებიათო.

— იცი, კაცო, ახალი ამბავი? — მიახარებდნენ ერთმანეთს, — ბიჭებუჭების გაზეთი დაუხურავენო, დაუბეჭდავენო.

მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, რაც მათ ემართებოდათ, როცა მეორე-მესამე დღეს გაიგებდნენ, რომ იმავე მიმართულების გაზეთი კიდევ გამოსულაო.

— დალახვროს ღმერთმა! შეჩვენებული ხალხია, კიდევ რო მოუხერხებიათ რაღაცა!

— სათავე ხალხია, სათავე, მარა არა უშავს, ჩვენი მთავრობა კი ამოვა მაგათი ოხტიდან! — იტყოდნენ ტუჩების კვნეტით და ბედს ურიგდებოდნენ.

თავადებმა მოისმინეს გლეხების პირობები და მოსალაპარაკებლად განზე გავიდნენ.

— რავა ვქნათ, კაცო, რაფერ მევიქცეთ?

— არ ვიცი, ასეთ პირობებს თუ წარმოადგენდნენ, სწორედ არ მეგონა.

— არც მე.

— რაღაც ორი ქცევა მიწა მაქვს და წაიღონ, თუ უნდათ. არავის არ ვინდურებ იმის გულისათვის, ჯანდაბას.

— ასე ვარ მეც, ტყუილა დავიდარაბად არ ღირს.

— უყურე ამ რეგვენებს, რას ამბობენ! თქვენ ხართ ჩვენი ერთობის, სახელის და პირის გამტეხი. ისინი თუ ერთი პირით მოქმედებენ, ჩვენ რა გვიჭირს, რა მაგათზე ნაკლები ვართ! იმათ უნდა ითხოვონ ჩვენგან, თუ ჩვენ იმათგან?! — გაცხარდა თავადი სვიმონი.

— აბა, რავა გინდა, კაცო! თავს ხო არ შევაკლავთ ორ კვალ მიწას! იმის გულიზა მთელი სოფელი უნდა გადაეიმტერო?!

— აი, მითქვამს და ყველას ესმოდეს: რომელი ჩვენთაგანიც პირს გატეხს და გლეხებს მიწას მისცემს ამ პირობებში, იცოდეს, ჩემი ხელით მოვკლავ!—დაიმუქრა სვიმონი და გაბრაზებული შეუდგა ბოლთის ცემას.

დანარჩენები დაწყნარდნენ, ხმა არ ამოუღიათ, ბოლოს ერთმა დაიწყო:

— მართლა?! აი, მამა უცხონდათ! ასე! აბა, რავა ეგონათ მაგ ლაწირაკებს!

— მორჩა, აწი ხო ვერ ეღირსებიან გაზეთს. იკითხონ ჩვენი გაზეთი.

— იმას რავა იკადრებენ, სოციალისტები არიან.

— სვიმონ, ასე არ ვარგა, ღმერთმანი, თვარა თქვენი ნებაა, რასაც თქვენ იზამთ, ჩვენ იმას გავაკეთებთ; გვარს რავა ვუღალატებთ, გვარში რავა გამოვწყდებით, მაგრამ ხედავთ, სხვა დრო დაგვიდგა, რაც უნდა იყოს, უწინდელი არაფერი გადის. უწინდებურად ვეღარ მოვექცევით გლეხობას, ახლა სულ სხვანაირადაა საქმე და ჩვენც უნდა შეეგუოთ ამას. ამიტომაა, რო ვამბობთ დათმობაზე, თვარა ისე რა, ჩვენ არ ვიცით ჩვენი თავის სარგებლობა?!

— სარგებლობა? თქვენმა მზემ! თქვენ რო თქვენი სარგებლობა გცოდნიათ, ისე ნახევარ ფასადაც არ დაღუპავდით მიწებს, ვიღაც ჩარჩებს რო მიეცით! დღეს იძახით ჩვენი თავის სარგებლობა ვიცითო,—ცხარობდა სვიმონი, რომელმაც შეატყო, რომ თანამოგვარეებს მიიმხრობდა და თავის ნებაზე წაიყვანდა.

— უწინდელივით აშკარად რო ვერ გავალთ, ეს ხომ ცხადია, ბატონო სვიმონ.

— რაო, რისთვის ვითომ? ტყუილა გგონიათ, დრო შეიცვალაო. ვერ მიართვეს! ძალა ისევ ჩვენს ხელშია, ყველაფერი ჩვენია, ტყუილა მოგჩვენებიათ, თქვე საწყლებო! ვერ ხედავთ, რომ დღეს თავადაზნაურობა წამოაყენეს წინ? ვის ხელშია დღეს მთავრობა? იქაური უმეტესობა თავადაზნაურობა არაა? ისინი სწერენ კანონებს? ხო იცით თქვენ ეგი! მერე იმისთანა კანონს დაწერენ, რომელიც მათ აზარალებთ? ბრიყვებო, დროი ახლა დაუდგა თავადობას, თვარა აქნობამდე რა ჰქონდა და ახლა იძახით გლეხებს დაეუთმოთო!

ბევრი ასეთი საბუთი მოიყვანა სვიმონმა და თავისიანები ნათლად დაარწმუნა, რომ ძალა მათ ხელში იყო და არამცდაარამც დათმობის გზაზე არ დამდგარიყვნენ. სვიმონი სხვებთან შედარებით განათლებული მემამულე იყო, გამოცდილი, საქმეს გადახედული, მჭევრმეტყველი და ამიტომაც დაუჯერეს და მიენდვნენ. გამოიმუშავეს თავიანთი პირობები

და წარუდგნენ გლეხებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მათ პასუხს:

— საყვარელო ძმებო,—დაიწყო ერთმა მემამულემ და ძალად გამოწვეულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, — თქვენ უფრო მოგეხსენებათ, თუ რავა გაჭირდა ამ ბოლო ხანებში ცხოვრება. ყველაფერი გაძვირდა, მამასისხლად გადეიქცა. უწინ რო თორმეტ კაპიკად ამერიკე გვიყიდია, იგი ახლა აბაზია, მანამდი რო სამშაურად ჩითს იყიდდი, იგი ახლა ხუთი შაურია, ასე გაძვირდა ყველაფერი. ვინ იცის — ეგება სადაც ადგილია, იქ არ იყოს ასე ძვირი, მაგრამ ჩვენი ვაჭრები ასე ყიდიან და რა ვიცი. ჰოდა იმას მოგახსენებდით — ცხოვრება გაძვირდა-მეთქი. მთავრობიდანაც რო გადასახადი გვემატება, ეგიც ყველამ იცით. მისთვის ყველა ერთია აზნაური თუ გლეხი, ერის კაცი თუ მღვდელი. ქარხნები ყველა დახურულია, არსად მუშაობა არაა, შემოსავლის წყარო სულ შრება. ჰოდა, ამისთანა დროში და გარემოებაში კაცს რაცა გაქვს, იმას უნდა მოუარო და უპატრონო. რაცხა ორი კვალი მიწა შემრჩენია და იმით უნდა ვირჩინოთ თავი.

— ხმ... ხმ... ხმ... —ჩაახველა ვიღაცამ.

მოლაპარაკე მაშინვე მიხვდა, რომ ეს ირონიული ჩახველება იყო, მის დასაცინად განგებ გამოწვეული და ლოყებზე წითელი ფერი აენთო, დაიბნა, ცალი თვალით თავისიანებს გადახედა, მერე რაღაც დაგლახებულ-დასაწყლებულად გლეხებსაც ჩააცქერდა, ხვეწნის ღიმილმაც კი გადაურბინა სახეზე. თუ აქამდე ცოტა რიხით ლაპარაკობდა, ახლა რაღაც მუდარას და ლუღლუღს მოჰყვა:

— ასეა ღმერთმანი... აპა, რაა ეს ჩვენი ძაღლური სიცოცხლე! თქვენც კაცები ხართ, ჩვენზე უფრო დაკვირვებული და გამოცდილი, ყველაფერი იცით, თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში, გვიჭირს. რომ... ერთი სიტყვით...

— ოო, თქვი, რაც გინდა, ნუ გეშინია, — წამოიძახა ვიღაცამ.

ამ სიტყვებზე ძალზე შეკრთა ორატორი. ის იყო შიშით უნდა ჩაკეცილიყო, მაგრამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და ანგარიშმიუცემლად წამოიძახა:

— ესე იგი... მე იმის თქმა მინდა, რომ... ვერ დაგითმობთ ისე, თქვენ რო გინდათ. ჩვენი პასუხი ესაა.

— ასეა, შვილები ნუ მომიკვდება, ჭამა გვინდა, სმა გვინდა, რომ გვყოფნიდეს, ვინ სულწაწყმენდილი შეგაწუხებთ?! — მიეშველა ორატორს სხვა თავადი.

— ვიცით, ვიცით რა შვილებიცა ხართ!

— კმარა, დაამთავრე!

— აბა რა ვქნათ? — უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ორატორს, მაგრამ ისე დაიბნა და აეშალა დავთრები, რომ ხმაჩაკმენდილი ჩამოიჯრა ძირს და ძალზე დარცხვენილი გლეხებში აიტუზა.

— მე მიკიბ-მოკიბვისა და ამისთანების ლაპარაკი არ ვიცი,—დაიწყო სვიმონმა, რომლის უკმეხი და ამპარტავნული გამოძეტყველება ყველასაგან მორჩილებას და პატივისცემას მოითხოვდა.—მე ჩემი რწმენა მაქვს. ვისაც უნდა დაამუშაოს ჩემი მიწა და ვისაც არა, არ ვეხვეწები. მე სწორედ ხელს არ მაძლევს მაგ პირობებში მიწის გაცემა. ვისაც არ უნდა, შინისკენ მიბრძანდეს! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც სხვა დროა...

— ერიჰა! ჩვენი სვიმონი როგორ იმუქრება, — ირონიულად შენიშნა ვილაცამ.

— იმე... იმე... როგორ იჭაჭება?

თავმჯდომარემ სიწყნარე მოითხოვა.

— არც ვიმუქრები და არც არაფერი. მუქარას თქვენა ხართ მიჩვეული.

— გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ,— შენიშნა თავმჯდომარემ.

— დიახ, მუქარას და ამისთანებს თქვენ ხართ მიჩვეული და არა მე...

— აქ ჩვენ, გლეხებს, შეურაცხყოფას გვაყენებენ, რაღაც მუქარა ახსენეს.

— ეს პროვაკაციაა, ჩვენ არავისაც არ ვემუქრებით. გთხოვთ, თავმჯდომარე, წინადადება მისცეთ უფალ სვიმონს უკანვე წაიღოს თავისი სიტყვები!—აყაყანდა გაპილპილებული გლეხობა.

— არც უკან მიმაქ და არც წინ! მე რაცა ვთქვი, ვთქვი, ამისთანა მე ერთი არ მითქვამს და ორი, და არც არავისი მეშინია! — სვიმონი დინჯად ჩამოვიდა ტრიბუნიდან და აუჩქარებლივ თავის ძველ ადგილს მიაშურა.

— ღმერთმანი, დიდი საწყენია, რო ასე თხა და მგელივით შევყურებთ ერთმანეთს,—დაიწყო მესამემ,—ერთი მიწის შვილები ვართ, ერთი ჰაერით და ჭადით გაზრდილი, სხვაი არავინ გვირევია და რისთვის არ უნდა გაუგოთ ერთმანეთს ავი და კაი, რატომ არ უნდა შევრიგდეთ. მე შენი გაჭირვება უნდა გავიგო და შენ — ჩემი. თქვენც იცით, ძმებო, რომ ჩვენ გვიჭირს, ისიც ვიცით, რო თქვენც გიჭირთ. თუ თქვენ მუშაობთ, ჩვენც ვმუშაობთ. მოდი და ორივემ ვიმუშაოთ ამ მიწაზე. ცოტა შენ დამითმე, ცოტას მე დაგითმობ, და ამნაირად გავიდვათ ერთმანეთში ხიდი, ყველა დავეტევით ამ ოხერ მიწაზე. თუ ასე არ ვიზამთ, ასე მაინც ვქნათ: მე მიწა მაქ, არა? ჩავდგეთ შიგ, შენც იმუშავე და მეც. რაღაც შესარიგებელი გზაი თუ არ გამოვნახეთ, ასე არ ივარგებს, თვარა თქვენც კი მიხვდებით.

— მასე კი ნუ ვიზამთ,—შენიშნა ვიღაცამ,—მუშაობით ორივემ ვიმუშაოთ და ნაშრომიც შუა გავიყოთ, მიწას კი ცალკე წილს ნუ დაუნიშნავთ. — ამ მოსწრებულ შენიშვნას საერთო სიცილი და მოწონება მოჰყვა. ორატორი კი სულ დაიბნა.

— შენ კიდო სოციალიზმზე ამბობ, ძამია, და რო ვერ მოეწყო მასე საქმე, ხო ხედავთ, — განაგრძო მემამულემ, — სოციალიზმი რომ კაია, მეც ქე ვიცი, ნეტა მართლა დადგებოდეს ის სოციალიზმი, თვარა ვარს რავა ვიტყვი.

— მიწა მშრომელს უნდა ჰქონდეს, მორჩა და გათავდა!— შენიშნეს კრებიდან.

—ეე, კიდო დეიწყებთ ძველ ამბებს. კი, ასე უნდა იყოს, მარა რო ვერ მოხდა ასე, რო არ გვანებებენ, მაშინ რა ვქნათ?

— ვინ მოგცათ თქვენ პირველად მიწა? ღმერთმა? მიწა, ბატონო, ყველას კია, რავარც პური და წყალი.

— უი, ძმაო! ახლა თუ დეივიწყეთ ძველი ისტორიები, კაი იქნება.

ორატორი დარცხვენილი ჩამოვიდა ძირს და თავისი ადგილი მონახა. მისმა ნალაპარაკევმა მთელი კრება აამოძრავა და აალაპარაკა. ზოგი ამას ამბობდა, ზოგი იმას.

— ასე რო გიჭირთ ჩვენთან მორიგება ყოველ წელიწადს,

ბარემ გამოიყიდეთ მიწები და ის იქნება, ჩვენც მოვისვენებთ და თქვენც,—დაიძახა ადგილიდან სვიმონმა.

— სიტყვის ნება აიღეთ, თუ ლაპარაკი გინდათ,—შენიშნა თავმჯდომარემ.

— მე რაც მინდოდა ვთქვი და აწი რაც გინდა ის ჰქენი! — უკმეხად უპასუხა სვიმონმა და მედიდურად გადახედა თავისიანებს.

— მეტი ზრდილობა და პატივისცემაა თქვენგან მოსალოდნელი, — შენიშნა თავმჯდომარემ.

— რითი ვიყიდოთ, რო შეძლება არა გვაქ? — გასძახა ვილაცამ თავადს.

— სადა გვაქ მაგის საყიდელი ფული?! —გაიკვირვა სხვამ.

— ამოგვხადეთ სული და ახლა კიდო მიწების საყიდელი ვინ მოგვცა?

— ვინ ამოგხადათ, ჩვენი რა ბრალია? — იძახდა სვიმონი.

— აბა ვისი ბრალია? ათასჯერ ტყის გაჩეხა გვიჩივლეთ, სახლების დაწვა დაგვაბრალეთ და ვინ იცის, კიდევ რა.

— ენას მოუკელით, ენას! ცხონდა მამიჩემის სული, მაგ უსაბუთო ლაპარაკს ეს მიწები გამოიყიდოთ, ის გირჩევნიათ.

— თქვენმა სიცოცხლემ, თქვენ უღირალი ფასი დაათქვით და მოგართმევთ! — გაისმა ხალხში.

— ფასს კი გადაიხდით, მარა კიდევ გაცდენენ ვილაცეები, გეჩურჩულებიან, უფასოდ დაგირიგდებათო, მარა ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში.

— ისე აშენდა, შენი კერია, ჩვენ ვინმე ახლა რამეს გვეუბნებოდეს! შენსავით სულელები იქნებიან მაშინ, მაგას რო გვირჩევდნენ ამ პირობებში!

— თუ არ იყიდით, ჭირი მომჭამეთ, იჯაღადირეთ ასე ყოველთვის და იყავით სანამ სული არ ამოგძვრეთ.

ბევრს ეცადა თავმჯდომარე, მაგრამ ეს ლაპარაკი მაინც ვერ შეწყვიტა, ერთხელ ატეხილი ვნება ვერ დააცხრო.

— თუ არ დაწყნარდებით, მე თავმჯდომარეობას თავს ვანებებ, — დაიძახა მან ბოლოს. როგორც იქნა, ამ ხერხმა გაჭრა და ხალხი მიწყნარდა.

ყველასათვის ნათელი იყო, რომ მემამულენი არ დათმობდნენ მიწებს.

— თავმჯდომარე, სიტყვის ნება მომეცი, —დაიძახა ერთმა შუახნის გლეხმა და როცა დასტური მიიღო, ფიცხლავ ტრიბუნას მიაშურა. ხალხმა მაშინვე გზა მისცა.

— მაშ ასე, — დაიწყო მან, — ყველამ მომისმინეთ. ერთმა ტკბილი, შემპარავი ხმით დაიწყო მუსაიფი, მეორე გვემუქრება, მესამე რაღაც ხიდის გადებაზე და დაძმობილებაზე მსჯელობს, მეოთხე კიდევ რას ამბობს და ასე. ყველას ნათქვამიდან კი ისე გამოდის, რო ვერ დაგითმობთო. ეს ყველაფერი ჩვენ ბევრჯერ გაგვიგონია, ახალი აქ არაფერია. მაგენის გასწორება არ იქნება. კიდეც გვემუქრებიან, მარა ამის რო შეგვშინებოდა, ახლა ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდა. მთელ სოფელს გვეუბნებიან: ჩვენს მიწაზე ფეხს ნუ დაადგამთ, სარჩოს არ გაძლევთო. ერთი სიტყვით, სიცოცხლის წყაროს გვისპობენ, პირში ლუკმას გვართმევენ და კიდევ იძახიან: ძმურად ვიყოთო. გაიგონ, რო მაგენთან საერთო არაფერი გვაქვს და სანამდე ასე გვიყურებენ, არც გვექნება. ჩვენ არ შეგვიძლია ის ხალხი გვიყვარდეს, ვინც პირში ლუკმას გვართმევს, სულს გვხდის.

— ვთხოვ ორატორს, აგიტაციის ხასიათს ნუ მისცემს სიტყვას, — შენიშნა თავმჯდომარემ, — ეს მე დროის შეუფერებლად მიმაჩნია.

— აგიტაციას კი არ ვეწევი, ვამბობ იმას, რაც სიმართლეა.

— აქ ჩვენ გვემუქრებიან. განა ეს მუქარა არაა! — წამოიძახეს მემამულეებიდან.

თავმჯდომარემ ძლივს ჩააჩუმა ორივე მხარე.

— თავმჯდომარე, ნება მომეცით შევეკითხო მათ, — თქვა ერთმა გლეხმა და თავადებისაკენ გაიშვირა ხელი. — მაშ, არ გვაძლევთ, ჩვენ რომ მოვითხოვთ, იმ პირობებში?

— არა, არ შეგვიძლია, თვარა გლახა საქმე არც ჩვენ გვინდა.

— რა ჰქნას მაშინ მთელმა სოფელმა, რით ირჩინოს თავი?

— ეს ჩვენი საქმე არაა.

— მაშ, გავწყდეთ შიმშილით?

— იმუშავეთ!

— ხელს რო არ გვაძლევს?

— არც ჩვენ გვაძლევს ხელს.

— ჩვენ რო უთქვენოდ მივიდეთ და დავამუშაოთ, და ღალაც, რაც გვინდა, ის მოგცეთ, მაშინ რას იზამთ?

— ეს ძალადობა იქნება.

— თქვენ როგორ მოიქცევით მაშინ?

— ვნახოთ!

— მაინც, თქვით მიმართავთ თუ არა პოლიციას?

— ჩვენ რომ არ გავაგებინოთ, ის მაინც გაიგებს და ჩაერევა საქმეში.

— თქვენ ვის მხარეზე იქნებით მაშინ?

— სითაც სიმართლე იქნება.

— ამხანაგო თავმჯდომარე, გააჩერე, ძმაო, ეს კაცები, — წამოიძახა ვილაცამ. — ეს რა სიტყვის ჯირითობა გააბეს აქ. არ ვიცით, რას იზამენ ესენი თუ? რაც უბედურება დაგვატყდა, სულ მაგათი ბრალი არაა?

— მართალია, მართალი.

— მაგათ დაგვღუპეს.

— თავადებმა დაგვავსეს და ამოგვაგდეს.

შეიქნა ყაყანი და მიხლამოხლა. ძლივს გაართვა თავი თავმჯდომარემ.

— რა საჭიროა, ამხანაგებო, ბევრი ლაპარაკი, — დაიწყო ერთმა ქალმა, — მათაც იციან და ჩვენც ვიცით, რომ ჩვენი და მაგათი ინტერესები შეუთანხმებელია, ვინც უფრო ძლიერი გამოდგება, ის გაიმარჯვებს. მარა ჩვენ ძალით ბრძოლა არ შეგვიძლია დღეს.

— არ გვესმის... არ გვესმის, — გაისმა ხალხში. კინაღამ დააბნია ამ ხმებმა ისედაც სირცხვილის ოფლში გაწურული მანდილოსანი, რომელიც ერთ წამში ათასნაირ ფერს იცვლიდა: ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, ხმას აუწია და განაგრძო: — მე იმას ვამბობდი, რომ ჩვენ ფიზიკური ძალით დღეს ვერავის ვერ შევებრძოლებით, ამისათვის უნდა მივმართოთ კულტურულ საშუალებას, როგორც აქამდე გვიხმარია. არ დაგვეთანხმებიან და ვერც ვიმუშავებთ. ვერც დავეთანხმებით რამეში. ვერც მეგობრობას გავუწევთ, გაზეთსაც ვაცნობოთ ჩვენი ამბავი.

ჩვენ დღეს სხვა იარაღი არ გვაქვს და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

ქამათი კიდევ კაი ხანს გაგრძელდა. ორივე მხარე ამტკიცებდა თავის გადაწყვეტილებას და არამცდაარამც არ თმობდა. ორივ მხრივ ბოლმა იყო დაგუბებული, საკმარისი იყო ერთი უადგილო სიტყვა, რომ აპილპილებულიყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით ყველა თავს იმაგრებდა.

V

შემდეგი საკითხი იყო კოოპერატიული დუქნის გახსნა. მემამულეებთან მოლაპარაკების ასე დასრულებამ თავისი ბეჭედი დაასო კრებას. თუ დაწყებისას სიწყნარე და გულდამშვიდება იყო, ახლა — სულ ამის საწინააღმდეგო. არავინ არ გრძნობდა თავს მშვიდად, აუღელვებლად.

— ამ დუქნის დაარსებას ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, — დაიწყო ერთმა გლეხმა, — ჩვენ ამით ორ კურდღელს დავიჭერთ: სოფლის ჩარჩუკანებსაც თავს დავაღწევთ და ერთმანეთსაც დავუახლოვდებით. ეს ამხანაგობა იქნება ჩვენი ერთობის და ძმური მოქმედების მაჩვენებელი. და რაც შეიძლება მეტი წევრი უნდა ჩაეწეროს ამ საზოგადოებაში. რა დიდი საქმეა ხუთი მანეთის გადახდა, თუკი საქმის სიყვარული გვექნება და საერთო საქმეზე გული შეგვტკივა. საერთოს გარდა, ჩვენსასაც ვიკეთებთ, მარა უბედურება ისაა, რომ ამ საშვილიშვილო საქმეს ბევრი მტერი და ორგული ჰყავს.

— ხალხო, — დაიწყო მეორემ, — მე ამას წინათ მოლაპარაკებაზე ვთქვი იმისი არ იყოს, კიდევ ამას ვიტყვი...

— ახალი თქვი, ახალი რამე, თუ შეგიძლია, — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— ახალი კი არა, ძველსაც რო ვამბობ, არ გიკვირთ? — გამოეპასუხა მოლაპარაკე და განაგრძო, — მაგ დუქნით კიდევ შეძლებულები ისარგებლებენ, რავაც ჩვენი ბანკითაა... და პროლეტარებს მაინც არაფერი გვერგება. მე ჩემდა თავად ხუთი მანეთის გადახდა არ შემიძლია, არ მაქ, ძმაო, და ვერ შევიტან. ნებით გადასახდელი კი არა, ძალით რომ მართმევენ, იმიზა არა მაქვს. ეს, ძმებო, საბურჯუო დუქანია, მდიდრების

საქმეა — ვაჭრობა მაგათი ხელობაა. ჩვენ კი, მუშათა პარტიამ, ჩვენი მაჯა უნდა ვამუშაოთ და იმით გავიუმჯობესოთ ცხოვრება. ჩემი ნათქვამი ესაა და ვინც ჩემსავით ფიქრობს, ივას კიდეც მოეწონება.

ტრიბუნიდან ჩამოსვლა ვერც კი მოესწრო გაღატაკებულ ვლეხს, რომ ათამდე დამსწრემ სიტყვა ითხოვა. ნათლად ემჩრეოდათ, რომ არ მოეწონათ ეს სიტყვები და საკამათოდ ემზადებოდნენ.

— პროლეტარების ინტერესებს იცავს, შეგნებული კაცია! გაისმოდა ირონიულად.

— ამხანაგი კოტე შეცდა იმაში, რომ თქვა, ჩვენი ბანკისთანა იქნებაო, — ეს დიდი შეცდომაა, მე რომ მკითხოთ, იმიზა, რომ, ჯერ ერთი, ბანკში შესასვლელი ფული დიდია — 5 თუმანია, მეორე, ერთ ოჯახს რამდენიმე პაი აქვს. ხუთი თუმნის შემტანს ასი მანეთი გამოაქვს აქეთ. ასესხებს სოფლად და ხალხს ატყავებს. ჩვენთან ასე არ იქნება: სააფხანაკო ფული პატარაა, ერთ ოჯახს ერთი პაი ექნება და მოგებაც ნავაჭრის თანახმად გამოვა. ბევრს ივაჭრებს — ბევრს მოგცემენ, პატარას ივაჭრებ — პატარას. ამაზე ჩვენ რამდენი ხანია ვლაპარაკობთ და რაზე დაავიწყდა აფხანაკს, არ ვიცი.

— კოტემ იგეც ქე თქვა, —თქვა მეორემ, — ეს ვაჭრების საქმეა და არა მუშებისო; ვაჭრები და საზოგადოდ მდიდრები რო გვატყავებენ, ყველამ იცის, მაშ არ უნდა შევებრძოლოთ ამას? თავი უნდა დავუდვათ? რანაირი ქართულია ეს? მერე კიდო, რა დიდია ხუთი მანეთის ნაწილ-ნაწილად შეტანა, თუ კაი კაცი მონდომებულია.

თითქმის ყველა მოლაპარაკე წვდა კოტეს და დაამარცხეს; ნათლად დაუმტკიცეს ნალაპარაკების უსაფუძვლობა, მარა კოტე მაინც თავისას არ იშლიდა.

— ვისაც რა უნდა, იგი თქვას. მე კი წინააღმდეგი ვარ ამ დუქნის. ეს ბურჟუებისაა და არა მუშების. მე ბურჯუა მძულს და არც მინდა დავემგვანო. არა, არ მინდა ეს ჩემი შეხედულებაა.

შემდეგი სიტყვა მიეცა სვიმონს, რომელიც ამაყად და თან ირონიულად დაჰყურებდა მობაასეთ.

— მე კი იმას გირჩევთ, — დაიწყო და მედიდურად

გადახედა იქაურობას. ფართო, გაშლილი შუბლი მზეს მიუშვირა, უზრუნველად ჩაახველა და განაგრძო: — ხო, იმას გეუბნებოდით, რომ მიწაზე დაეტიეთ და ცას ნუ ეპოტინებით, შეიგნეთ, რომ, თქვენ რომ გგონიათ, ისე ადვილად არ კეთდება ქვეყანაზე საქმე. იმ დუქნის ქონებას ნოქრები შეგიჭამენ და მერე თქვენ ითამაშეთ რიკტაფელა. ან ფული სად გაქვთ ამდენი, გადასახადებისთვის ვერ შოულობთ და ამიზა რას იშოვით! მერე კიდევ იმას რომ ამბობთ, რაღაც ერთობას გაგვიმაგრებსო. მიკვირს, ღმერთმანი, თქვენი საქმე: რას ჩაციებიხართ ამ ერთობა-ერთობას! ვერ შეიტყეთ, რო არ გვაძლევენ! მთავრობა თქვენზე გამოცდილია და არ იცით, რო ამის ნებას ვერ მიიღებთ?

საკმარისი იყო ამ სიტყვების ყურის მოკვრა, რომ მთელი კრება აღელვებულიყო და გაბრაზებულიყო.

— დაიკარგოს!.. დაიღუპოს მაგ გათახსირებული, მაგა!

— მთავრობის ყმა... მონა!

— პოლიციის ბურჯი!

— რეაქციონერი!..

— უსვინდისო!

— თქვენისთანები თუ ჩამოგვერიეთ, აპა, რავა იქნება! თქვენ მუდამ ჩვენი მტრები იყავით და ახლაც ეგ გინდათ!

— თავადობამ დაგვღუპა, დაგვავსო და ახლაც კერაზე წყალს გვისხამს. დაიკარგოს! ძირს, ძირს!

აგრიალდა მთელი კრება, შეიძრა კაცი და ქალი, აკაპასდა იქაურობა, პირიდან დორბლსა ჰყრიდა, სვიმონს კი წარბიც არ მეუხრია, მაინც თავისას ლაპარაკობდა, გაბედულად, გაანჩხლებით. მანამ არ ჩამოვიდა ტრიბუნიდან, სანამ თავისი არა თქვა. დანარჩენი მემამულენი კი პირდაპირ შიშით იხოცებოდნენ.

— კაცო, ამას რას გადაეკიდეთ დღეს! — ჩურჩულებდა ერთი.

— რამ შეშალა ეს კაცი!

— მგონია, ამას თავი აქვს მოძულებული.

— ჩვენ ნუ გვამტერებს გლეხებს და თვითონ ჯანდაბას მისი თავი.

როგორც იყო, თავმჯდომარემ კრება დააწყნარა და ყველას დალაგებული მსჯელობისაკენ მოუწოდა.

— როცა ერთობა დაიწყო, ამას ვიძახოდით — ყველამ თავს მოვუაროთო, ჩვენი თავის პატრონი ჩვენ უნდა ვიყოთ, არ გვინდა აპეკუნიო და კიდეც ვაჩვენეთ ყველას, რომ ჩვენ აპეკუნი კი არ გვჭირდება და ახალი თუ არვინ დაგვეხმარება, ხელს მაინც ნუ გვიშლის. რეაქციონერი თავადები ვერაფერს გახდებით, რაც უნდა ქნათ.

— რეაქციონერიც ხარ და მეტიც, — დაიძახა ვილამაც მემამულეებში.

— მთავრობას დაუძახეთ, მთავრობას, — დაუყვირეს გლეხებიდან.

— რისთვის არა? თქვენისთანა ლაწირაკებს განა არ მოუხდება! — ახლა კი აივსო მოთმინების ფიალა.

— ხულიგნები, ჯაშუშები!

— შპიონებო, რეაქციონერებო! — ისმოდა განუწყვეტლივ.

— თქვენ გვართმევთ ლუკმაპურს... რაც ჩვენს სოფელს უბედურება დაატყდა, სულ თქვენი ბრალია, თქვენი, და ახლაც არ გეშორდებით?!

— ჭკუით იყავით, თვარა, — შეუბღვირა სვიმონმა გლეხებს.

— რას იზამ მერე, რას? აქნობამდიც კი ბევრი გვიმტრე, მარა ჩვენ მაინც, რაც ვიყავით, ის ვართ, კიდევ იმ გზაზე ვდგევართ, თქვენმა ხრიკებმა ვერ გაჭრა.

— ხა... ხა... ახ... არ გინდათ მიწა, თავისუფლება? მოგართმევენ.

აპილპილებული კრების დამშვიდება და მოწინააღმდეგეთა შერიგება განიზრახა მამა ეპიფანემ, რომელიც ამდენი ხანი პირში წყალდაგუბებული იდგა საყდრის კრებაზე და სახლში წასვლა ვერ მოეხერხებია. ალბათ, საყვარელ სამწყსოს სიყვარული არ უშვებდა. „ორიოდე სიტყვა" ითხოვა და მოციქულებრივი კდემამოსილებით და სასოებით დაიწყო:

— მე რო თქვენს ლაპარაკს ვისმენ, საყვარელო დანო და ძმანო, შვილნო და კეთილმორწმუნენო, იმ აზრზე ვდგები, რომ მემამულეებიც და გლეხებიც, რო თქვას კაცმა, მართალს ამბობთ, მარა ნამეტანს შვებით ორივე მხარე და იმიტომ საქმეც ვერ გვარდება. ქრისტე ღმერთმა თქვა...

— ხუცესო, თუ ღმერთი გწამს, მოგვშორდი აქედან... შენი

საქმეა დრამის ხვეტა და ეკლესიაში ღარღილი, — მიაძახა გესლიანად ვიღაცამ.

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა მამა ეპიფანეზე, რომ სულ დაუკარგა ლაპარაკის სურვილი, ენა დაება, ყელში რაღაც გაეჩხირა და სიბრაზისაგან გულაჩუყებულმა ზიზღით ჩაიქნია ხელი და შემრიგებლის როლიც ფიცხლავ უკუაგდო. დატოვა კიბე და სახლს მიაშურა.

მემამულეებმაც მიზეზი იშოვეს: მღვდლის გაგულისება დიდ დანაშაულად ჩაუთვალს გლეხებს და ისინიც წავიდნენ.

— ჩვენ აქ არ გვედგომება, კაცის პატივისცემა არ იციან, თვითონ სულ ლაპარაკობენ და სხვას კი ხმასაც არ აღებინებენ.

— წინ წყალი, უკან მეწყერი, წადით, დაიღუპეთ, — მისძახოდნენ გლეხები.

— წასვლა, არ მოსვლა.

— რა გვეშველება უთქვენოდ!

— წერილი მაინც გამოგვიგზავნეთ, წერილი!

კრება მალე დაიშალა. კოოპერაციის მოსაწყობად არჩეულ კომისიას დაევალა საქმის მოგვარება.

VI

— კაცო, მგელი რო მგლურად მოიქცეოდა, ეს კი ვიცოდი, მარა თუ კაცი ასე შეუსმენელი და შეუგნებელი იქნებოდა, არ მეგონა. რაც ჩვენში და რუსეთში ამბები იყო, ნუთუ ეს ხალხი არ ხედავდა! მიკვირს, ღმერთმანი, ასეთი უსინდისობა რავა იქნება.

— ძმაო, აქ საქმეა კუჭის. როცა საქმე კუჭზეა, მაშინ პატიოსნება შორს დგება. ეს არ იცი?

— გვებრძვის, ძმაო, ის კაცი. თუკი გაგიძლო და მოგერია, არ დაგნებდება!

— მართალია, ჩვენ რო გაგვემარჯვა, მაშინ ხო ხელად მოვაჯდებოდით კისერზე. ამდენს ვაცლიდით? დედას არ ვუტირებდით?

ხშირი იყო ასეთი საუბარი სოფელში.

მართალია, ყველას ახსოვდა მემამულეთა მოღალატური

საქციელი, ყველამ იცოდა, თუ ვისკენ ეჭირათ მათ თვალი, მაგრამ ახლა თუ კიდევ ასე მოიქცეოდნენ და მშრომელთა წინაშე ქედს არ მოიხრიდნენ, ეს კი ბევრისთვის დაუჯერებელი იყო.

— რაც ქვეყანაზე კაი გაზეთია, ყველა მაგენს ლანძღავს. დუმაშია და, ჩვენი დეპუტატები ხო სულ თავს ჭრიან და თუ ახლა კიდო ასე იზამდენ, რავა მეგონა!

— ის გაფუჭებული სიმონია რაცაა, თვარა სხვები რას გაბედავდნენ. იგია რო დანარჩენებს აღიზიანებს. ის, ის არ უნდა იყოს ქვეყანაზე, ის უნდა მოვკლათ, ის!

— ჩუ, ბიჭო, არავინ გაიგონოს, თვარა, ვინ იცის, რას არ მოაბამენ ამას.

— მტყუანს კარამდე მიყეეიო, ხომ გაგიგონიათ. რაკი ასეა და მაგენის მოქრისტიანებას არაფერი ეშველა, ახლა ჩვენ ვიცით.

— სამარის კარამდე არ მოვეშვებით. მკვდარსაც ძაღლის ხორცის საკურთხს გავუკეთებთ. ან ჩვენ, ან ესენი. მაგათთან შეთანხმებით ცხოვრება შეუძლებელია.

— ეს ექვსი-შვიდი წელიწადია მოგვინელეს, მეტი არა ვართ. რითაც კი გაუვათ, არ გვზოგავენ: ხან ჩუმად, ხან აშკარად, ხან თავისი ძალით, ხან სხვისი დახმარებით. ერთი სიტყვით, სულ გაგვიჯოჯოხეთეს ცხოვრება.

— ამაში ჩვენც კი გვიდევს, ძმაო, ბრალი. თავიდანვე რომ მაგრად ვყოფილიყავით, ერთი სული და გული გვქონდა, კაი ერთობა დაგვეკავებია ერთმანეთში, მაშინ ნახავდნენ, რაც ბიჭები იქნებოდენ.

— რას ამბობ, კაცო, შენ? როდის იყო ჩვენს სოფელში ერთობა რომ გავტეხეთ? ეს ცილისწამებაა.

— 'შე სულელო, შენი სოფლის იქით ქვეყანა არ გგონია? ჩვენ მარტო რას გავხდებოდით? საჭიროა მთელმა მუშა ხალხმა შეიგნოს, თვარა ჩვენ მარტო რას ვიზამთ?

— ეუი! ბიძიკელა! ეგი როდის იქნება? — თქვა პირველმა.

— თუ ამ კაცს გოდორი არ ხურებია თავზე, დაგენაძლავებით! კაცო, ამდენი ხანი ყურში ბამბა ხო არ გქონია გაკვეხებული? არაფერი გაგიგონია?!

— შენ ბევრი გაგიგონია. აშენდა შენი ოჯახი! მე თუ არ მომესწრება, ისე ჯანდაბაში იყოს ყველაფერი. ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობია, ხომ გაგიგია.

— ვაი, ძმაო, შენ ტყვილა ნაფუჭებხარ მჭადს! სხვაგან არსათ თქვა ასე, თვარა მოგეჭრება თავი და ისაა. მარტო დედაკაცები აგიგდებენ მასხარად.

უკანასკნელ სიტყვებს ყველა იქ მყოფი დაემოწმა და დღევანდელი კვერცხის მსურველ გლეხს ისეთი სიცილი და ოხუნჯობა დააყარეს, რომ სულ სირცხვილით დასწვეს და ლაპარაკის იხტიბარი დაუკარგეს. შერცხვენილს რა ექნა, არ იცოდა.

— ასე მალე შეშინდი, შე გლახა? — შენიშნა ერთმა.

— ბიჭო, სილიფონა, მემამულეებმა ხომ არ გადაგიბირეს...

— აგენტათ დაუდექი, აგენტათ, და ნასუფრალს არ მოგაკლებენ.

— ბიჭო, დედაკაცს ხო არ უთქვია ასეთი აზრები წუხელ ლოგინში?

— შე საწყალო, ქვეყანას თვალები აეხილა და შენ რა მოგივიდა! ქე მაინც არსად თქვა, რო ჩვენი სოფლელი ხარ, თვარა მოგეტეხ ძვალს.

ასეთმა გესლიანმა შენიშვნებმა სულ მოწამლეს კაცი, რაკი დარწმუნდა, რომ პასუხით ვერას გახდებოდა, ან, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „ქვეყნის ლაგამს ვერ გაჭედდა“, გულზე გასიებულმა ჩაიქნია ხელი და კბილების კრაჭუნით გაშორდა იქაურობას.

— არ ვარგა, კაცო, მასე კაცის კბენა და გაღიზიანება. დღეს ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. კი არ უნდა გაასისინო კაცი. ეგება მართლაც ასე გამწარებულ გულზე კიდეც გავაჯაშუშოთ, — თქვა ერთმა გლეხმა, რომელსაც ცალ ხელში გაჩაღებული ყალიონი ეჭირა და მეორე ხელით წვერს ივარცხნიდა, თან ლაპარაკის დროს უგემურად იპურჭყეობდა.

— არა, ძმაო, მაგას არაფრის შნო არ აქვს, ცარიელი ჭურია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.

— მით უარესი, ამხანაგო, თუ ასეა! დღეს თუ ჩვენია, ხვალ სხვისი გახდება.

უკანასკნელ აზრს ყველა დაეთანხმა და გადაწყვიტეს მოშავალში ასეთი სიმკაცრე არავის მიმართ აღარ გამოეჩინათ.

კიდევ დიდხანს იმასლაათეს გლეხებმა: ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ის, რიგმა იმ მთის, რიგმა ამ ბარის, მალე დაიშალნენ.

მემამულენიც დიდ ფაციფუცში იყვნენ ამ დროს, მართალია, უმეტესობას არ სწამდა მაინცდამაინც თავისი გამარჯვება და თავიც ვერაფერ მეომრად ეგულებოდა, მაგრამ თავად სიმონის მეოხებით ჯერჯერობით მაინც ყოჩაღად იყვნენ.

— აბა, ყმაწვილებო, მაგრად, ეჭვი არავის შეგეპაროთ, ძალა ჩვენსკენაა. არ დაგვმორჩილდებიან და შიმშილით დაიხოცებიან. სანამდი გაძლებენ, მეიცადონ კიდო ეს ორი კვირა და მერე ნახავთ იმათ თამაშს. თესვა რო გახურდება, ოუწითლდებათ თვალები, — ყოყოჩობით ამბობდა სვიმონი და მისი ულვაშების გრეხას არ ჰქონდა დასასრული.

— დღეს პრისტავი ენახე და მარჯვედ იყავითო, მითხრა, თუ რამე ისეთი შეატყოთ გლეხებს ან დაწვა, ან მუქარა და ან რამე ძალადობა, ერთი მანიშნეთ და მეტი არ გინდათო, — ამბობდა მეორე.

— აა... მართლა ასე თქვა? ოო, მისი ჭირიმე! ძაან მარჯვე კაცი კი გამოდგა! ფიქრი არაა, ჩვენს ხელში არიან. სულ რომ იკვანტალონ, ვერას გახდებიან. მაგენის ცხოვრების წყარო ჩვენს ხელშია, ძალა ჩვენსკენაა.

— იცით, რას ვიტყვი, ეს ჩვენი პრისტავიც კი უქნევს კუდს გლეხებს, რაღაც ორ სკამზე ჯდომას ვატყობ, — თქვა ერთმა.

— მერე რაი, თუ გინდა მასე იყოს. თუ ჩვენი მხარე არ დაიკავა, გუბერნატორს ხელისგულის სიფართე ქაღალდი რომ მივართვა, მეტი კი არ მინდა, მინისტრსაც შევჩივლებ — იმუქრებოდა სვიმონი.

სვიმონი ერთობ ჯიუტი და ამაყი ხასიათისა იყო. თავის დღეში არავის წინაშე არ დაუმცირებია თავი. ყოველთვის ზიზღით იხსენიებდა და უყურებდა ისეთ ადამიანს, რომელსაც ხასიათის სიმტკიცე არ ჰქონდა და თავის პირად „მე"-ს შესაფერად არ იცავდა. უნდა გენახათ რა დინჯად, მძიმედ მიდიოდა ხოლმე საყდარზე კვირა დღეს. მაღალი, მოსული ვაჟკაცი, თეთრ მარაოსავით გაბადრული წვერ-ულვაში, მხრებზე უხსოვარ ომში მიღებული ტემლაქები, გულზე რამდენიმე მედალი, წელზე კი ჩაცერცხლილი ლეკური.

დიახ, ნამდვილი რაინდი იყო სვიმონი როგორც ხასიათით, ისე შეხედულებით, რევოლუციის დროს თავის სახლიკაც მე-

მამულეებს შავ დღეს აყენებდა, დასცინოდა, აძაგებდა და ვინ იცის, რა სახელებით არ ნათლავდა.

— არა, რა კაცები ხართ თქვენ, ერთი მითხარით, რა ყრია თქვენში, რო ააშვერთ თავს მახვიერი აბრეშუმივით და დადიხართ, თუ მეტი ვაჟკაცობა არა გაქვთ, რას იჭაჭებით? ასე უნდა შეგაშინოთ გლეხებმა! დაგეხურათ თქვენი ცოლების ლეჩაქები! — დასჭყივლებდა ხოლმე სახლიკაცებს.

— ძალა აღმართს ხნავსო, ხომ იცი, ჩემო სვიმონ, — ეტყოდნენ ისინი.

— „ძალა აღმართს ხნავსო!“ — მოუქცევდა ხმას მოლაპარაკეს და თან ისეთ სახეს მიიღებდა, ისე შხამ-გესლიანად იტყოდა ამ სიტყვებს, რომ მასთან მოლაპარაკეს სულ მიწასთან ვაასწორებდა.

— ყურუმსაღი! „ძალა აღმართს ხნავსო!“ ძალას შენც ძალა უნდა დაახვედრო და მაშინ ნახავ. აბა, რავა გგონია, შენ!

— ჩვენ კი არა, „უფრო ძლიერიც“ შეშინებულა.

— ერთი მითხარი, ვინ მოგახსენა ეს ბრძნული აზრი, ა? შე ვირთაგვა შენა! „უფრო ძლიერს“ ამისთანა ტუტუცების შეეშინდება? ჯერ სეირს უყურებს და მერე ნახავ, რაც იქნება! არა, რავა მოგივიდა ამისთანა აზრი, ა?

ბევრი ამხნევა იმ ხანებში სვიმონმა თავისიანები, მაგრამ მაინც ვერას გახდა, მის მეტმა ყველამ მოიხარა გლეხების წინ ქედი.

— მაგას, ძმაო, თავი აქვს მოძულებული და მე სიცოცხლე ყველაფერს მირჩევნია, — ამბობდნენ თავადები.

— რაცხა ძალამ მთელი რუსეთი ააფორიაქა, იმას ჩვენ რას ვუზამთ, ხო გაგვსრესს, ერთი რო დაგვეჯახოს.

— კაცო, მოგკლავენ, ფრთხილად იყავი, ხო იცი ტერორისტების ამბავი.

— დედამისის შვილია და ვინმე გაბედავს! ვის რა უნდა? მე ჩემსას არავის ვანებებ. მაგათი ხო არა მინდა რა. მაგენის ნათქვამი მე არ მწამს, რა უნდათ მერე. ყველამ იცის, რომ მე ჩუმად არ ვმოქმედებ. თუ ვაჟკაცია, მოვიდეს და პირდაპირ შემებრძოლოს. ვნახოთ, რას გაიტანს. სატერორისტო კი მართლა თქვენ ხართ. ყველამ იცის, რომ გულში ღალატი გაქვთ, გძულთ

ისინი და შესახედავად კი ძმობაც შეჰფიცეთ. არც დაგინდობენ, იცოდეთ. გლეხი თავადს არ გაიტანს და არც თავადი გლეხს. თქვენ ხართ, თქვენ, სატერორისტო და საბომბო.

მართალია, ასე ჯეელად იყო ჩვენი სვიმონი, მაგრამ ბოლოს, როცა მოძრაობის ტალღები ძალზე ეხეთქა მის სასახლეს და სრულ განადგურებას უქადდა, თავადმა ქალაქში წაბრძანება იკადრა, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა და ამ გარემოებას ასე ხსნიდა:

— საექიმოდ ჩამოველი სიძესთან. დამჯაბნა ამ ოხერმა სნეულებამ სიბერის ჟამს, — ასე ამბობდა სვიმონი სხვის დასაჯერებლად და სხვებიც ემოწმებოდნენ ზრდილობისათვის. თუმცა არც მთქმელს და არც გამგონეს ამ სიტყვების არა სჯეროდა რა.

ამნაირად, გლეხებსა და მემამულეებს შუა ბრძოლა გამწვავდა. ჰაერი თოფის წამლის სუნით გაიჟღინთა და მთელ სოფელს მეტი მგრძნობიერება, სიმკვირცხლე და სიცოცხლე დაატყო. ყველა გრძნობდა, რომ სოფელი ორ მოწინააღმდეგეთა ბანაკად იყო გაყოფილი და მათ საერთო არა ჰქონდათ რა. ბევრი იყო გლეხებში ისეთი, რომლის ინტერესი სრულიად არ მოითხოვდა მემამულეებთან ბრძოლას, ვინაიდან ან თავის საყოფი მიწა ჰქონდა, ან კიდევ ვაჭრობდა სადმე, მაგრამ ამათი სიმპათია მაინც გლეხებისაკენ იყო და ყოველ წამს ეუბნებოდნენ: თუ საჭირო ვიქნეთ, დაგვიხმარეთო. თავადებთანაც იყვნენ ასეთები, მაგრამ ჯერჯერობით მიჩქმალული იყვნენ და არ ჩანდნენ, ვინაიდან მოწინააღმდეგე ძალთა სრული ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ მომხდარიყო.

VII

რაკი საქმის ვითარება ასე დაიხლართა, გლეხების მხრივ მეტი სიფრთხილე, მხნეობა და გამჭრიახობა შეიქნა საჭირო. საჭიროდ სცნეს ათისთავების არჩევა. ამ ათ კვირაში ერთხელ უნდა მოეწვიათ კრება. თავიანთ შორის უნდა გამოერკვიათ საქმის მდგომარეობა, გაეგოთ, თუ რაიმე ცვლილება მოხდა ორსავ მხარეზე და სხვა. ყოველი ცნობა, როგორც გლეხებზე, ისე მემამულეებზე, ასჯერ უნდა აწონილ-დაწონილიყო, გასინჯულიყო და, თუ საჭიროდ სცნობდნენ, ზომები უნდა მიე-

ლოთ. ერთი სიტყვით, ათისთაობა ერთგვარი თვითმმართველობა იყო გლეხებისათვის, ხელმძღვანელი და საქმის მწარმოებელი. თუ ათისთავთა კრება საჭიროდ დაინახავდა, მთელი სოფლის კრება უნდა გაემართათ.

ათისთავებსავე ჰქონდათ მინდობილი კიდევ სხვა კულტურულ საქმეთა მოვლა და წინამძღოლობა. უნდა გაძღოლოდნენ სკოლას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, კოოპერატივს, უნდა ხელი შეეწყოთ გაზეთების გავრცელებისათვის, ეზრუნათ გზებზე და სხვა.

საღამო იყო, ათისთავთა უმეტესობა უკვე შეიკრიბა დანიშნულ სახლში. სახლის წინ დარაჯები დააყენეს.

ღარიბულად ჩაცმული დიასახლისი წრფელი ღიმილით ათვალიერებდა იქაურობას. ლამპა დადგა, ცოტა ხანს მსჯელობას დაუგდო ყური. მიიხედ-მოიხედა და გაკვირვებული დარჩა. მისი პატარა ქოხი სულ ავსილიყო ხალხით. ლამპის სუსტ სინათლეს კარგად ვერ გაენათებია ჩაკუპრული სახლის ყველა კუნჭულები და იქ მდგომნი რაღაც საშინელ სურათს მოგაგონებდათ. შავი ტანისამოსი კედლების სიშავეს შეწყობოდა და მხოლოდ ფერმკრთალ სახეს თუ გაარჩევდით, ლამპამ ხომ ყველაფერს რაღაც საიდუმლოების ფერი დაადო.

— მე მინდა შევეხო შემდეგ საკითხს: როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა მომავალში. ზოგიერთ ამხანაგს საშინელ გულგრილობას ვატყობ.

— დედა... დია! — მოისმა ამ დროს გარედან. დიასახლისი მაშინვე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და ფეხაკრეფით კარში გავიდა.

— იმას ვამბობდით, — განაგრძო ორატორმა, — ისე უყურებენ საქმეს, თითქოს აქ არაფერიაო. დაგვიკრეფია გულზე ხელი და ქე ვართ ასე. ველით, ვინ ჩაგვიგდებს პირში დაღეჭილ ლუკმას. რაზე არ იცით, ამხანაგო, რომ ჩვენ ჩვენი თავის მეტი პატრონი და წინამძღოლი არა გვყავს, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მოვუაროთ. მიწის საკითხი ჩვენთვის დღეს ყველაფერია, თუ დროზე ყანა არ დავთესეთ, დრო მიდის და ჩვენ პირში ჩალაგამოვლებული დავრჩებით. მემამულეებს და პოლიციას რა ედარდება, როცა გადასახადი იქნება გადასახდელი, მხოლოდ მაშინ გამოჭიმავს თვალებს ჩვენი მამასახლისი და პრისტავი,

თვარა მეტს რას დაეძებენ. საჭიროა, ამხანაგებო, სხვა გზის გამოძებნა, ასე ნუ გავჩერდებით, თვარა ბოლოს გვიან იქნება.

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა არა ყველაზე. რამდენიმეს კიდეც გაეღიმა უკანასკნელ სიტყვებზე.

— ტერორით ხომ არ უნდა ამხანაგს მემამულეები დააშინოს?! — იკითხა ერთმა მათგანმა ირონიულად და პასუხის მოლოდინში ჯერ თვალი თავმჯდომარეს მიაპყრო და მერე მოლაპარაკეს.

— თუ კაცი ხარ, მასხრობა იქით იყოს, საქმეს სერიოზულად შეხედეთ, — ჩაერია მესამე, — ვინ არ იცის ახლა, რომ ტერორს ჩვენთვის პირდაპირ დაღუპვა მოაქვს! ეს იმ ამხანაგმაც კარგად იცის და რაზე ახვევ თავზე სისულელეს? ჩვენ აქ წყალს კი არ ვნაყავთ და ვმასხრობთ, საქმე უნდა ვაკეთოთ, მთელი სოფლის ბედ-იღბალი ახლა წყდება, იცი?!

ამ დროს ტერორის მხსენებელიც წამოიქოჩრა, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა.

VIII

უნდა გენახათ, რა სიხარული გამოიწვია წვიმიანში იმ ამბავმა, როცა გაიგეს, რომ სამი სოფლის გლეხობაც მათთან ერთად იწყებდა მემამულეების წინააღმდეგ მოქმედებას.

— ა, ბიჭო, მგონია ადგეს ერთობა, ა?

— ღმერთმა ინებოს.

— ასე ადვილი არ გეგონოთ ერთობის ადგომა. პატარაზე ნუ გავხალისდებით. უფრო მეტი დაკვირვება გვინდა.

— კაცო, გული ვარდივით გადამეშალა. მაგონდება ერთობის დროი. მაშ, კიდო ყოფილა საწყალი მუშაკაცი?

— ღმერთმა გაუმარჯოს მუშის მარჯვენას, ღმერთმა!

— ოხ, მაგათი ღმერთის ჭირიმე! ფოლადიანი ბიჭები რომ არიან იმიზა. აწი, ძმაო, არაფრის არ მეშინიან, კეტივით ვარ. ჩვენ რაც თავზე გადაგვხდა, თუ კიდევ ეს იქნებოდა, რავა მეგონა. თურმე ხალხს ვერავინ მოერევა!

— მოთხოვნილება ყველა სოფელში ერთნაირია. ვაჩვენებთ სეირს მემამულეებს! უჩვენოდ ერთ დღესაც ვერ გაძლებენ. აპა, ვნახოთ!

— ჩვენი და იმ სოფლების წარმომადგენლები უკვე შეთანხმებულან, რომ ერთნაირად იმოქმედონ.

— არა, ძმაო, აწი კიდეც რო წავაგოთ, მაინც გული რაღაც თელათ მაქვს. მარტონი ხომ მაინც არა ვართ. საცხა ჩემი ამხანაგები მოკვდებიან, იქ მეც მოვკვდე შიმშილით, არ მეშინიან. რაკი ასე მოედვა ეს გაფიცვა, იცოდეთ, ადმინისტრაცია ჩაერევა საქმეში და ძალით გვამუშავებს. ამას არ მოითმენენ.

— ვინ იცის, მართლაც, საფიქრალია ეს.

ერთი სიტყვით, მთელი სოფელი აღფრთოვანებული იყო, თითქმის არავინ ელოდა, თუ საქმე ასე წავიდოდა და სხვა სოფლებსაც გაფიცვა მოედებოდა. რასაკვირველია, ამავე დროს ადმინისტრაციის შიშიც ბევრს ჰქონდა და ყოველ წუთს მოელოდნენ ჩარევას.

წვიმიანელ მემამულეებისათვის ეს ამბავი თავზარდამცემი შეიქნა.

— უყურე, უყურე ამ წუპაკებს, რას შვებიან? კიდევ რაღაც ერთობას რო იგონებენ. მაგან დაგღუპათ და კიდო იმას ეპოტინებით? ახლა კი გიწყრებათ ღმერთი და ისაა, — იტყოდა ერთი.

— მალე ვნახავ იგენის „წმინდაო ღმერთო"-ს ძახილს. ვნახავ კიდევ, რო ხატებით და ბაირაღებით დაჩოქილები იყვნენ და პატიებას თხოულობდნენ. დაავიწყდათ განა ის დრო?

— მაშინ მოკვდეს თავადი სვიმონი, ტყვილა რო ერთი თვალი დააპარპალოს. ვნახოთ, ვისი აჯობებს!

— არა, ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ამ ხალხმა ჭკუა ვერ ისწავლა, რომ არ მოტყდნენ ის უბედურები!

— ჩვენც ტყუილა ვჯანჯღლობთ და ვიმტერებთ, ღმერთს გეფიცები, ამ გლეხობას. არ ღირს ყოველ წამს ასე ძაღლებივით ღრენა და უბედურება.

— აა, შვილოსა, რავარც გატყობთ უკან-უკან მიჩოჩავთ. ეხედავ მე, უწინდელივით იზამთ და ვაი თქვენს დღეს.

— აა, მაგი რავა იქნება?

— ვიცი, შვილოსან, ვიცი! ცხრაას ხუთშიც ასე ქენით. ერთ ხანს ვითომც ქე გამაგრდით, მარა მერე!

— მაშინ სხვა დრო იყო და ახლა... მთავრობა იძახეთ...

— ოო, მთავრობა, მთავრობა და თქვენ კი არ გაანძრიოთ

ხელი, თქვენმა მზემ. სააპეკუნო ხალხი ხართ, სააპეკუნო! თქვენ მე მიღალატებთ, ისე ვატყობ რაღაც და არ ვიცი, რავა იქნება საქმე, — ამბობდა სვიმონი.

— აა, თავადო, მაგი როგორ გეკადრებათ!

— როგორ შეიძლება!

— წარმოუდგენელია!

— ვნახოთ... ვნახოთ!

IX

მართალია, არც ერთ სოფელში უწესო რამ არ მომხდარა, მყუდროება არ დარღვეულა, მაგრამ სტრაჟნიკების სეირწობა მაინც გახშირდა. გახშირდა ჩხრეკა და დაპატიმრება სრულიად უმიზეზოდ, გამოუძიებლად. როგორც ადმინისტრაცია, ისე გლეხობა ჩუმად მოქმედებდა, ხმის ამოუღებლივ, ქურდულად, ყოველ წუთს მზად იყო, თუ რაიმე საბაბს იშოვიდა, ნაცად საშუალებისათვის მიემართა, მეორემაც კარგად იცოდა ეს მათი სულისკვეთება, რითაც გაუვიდოდა, საქმეს მშვიდობიან ხასიათს აძლევდა, არბილებდა. ერთი სიტყვით, ორივ მხრივ თითქოს მორიდება და მოკრძალება იყო. ჩუმად ბევრი რამ ხდებოდა, აშკარად კი არაფერი. ჰაერი ასაფეთქებლად გამზადებულიყო.

X

თავადი სვიმონი გულდამშვიდებული დაბრძანდებოდა აივანზე, უმთავრესი საზრუნავი ოჯახზე უკვე მოეშორებინა და ახალ უმნიშვნელო რაღაცეებზე ფიქრობდა, ან უთითებდა მოსამსახურეებს. ვეებერთელა დარბაზი ცოტა მაღლობზე იდგა და აქედან მონადენი სვიმონის ხმა თითქმის მთელ ეზოს ედებოდა და აღვიძებდა.

სახლიც სვიმონივით გულდაამებულად გამოიყურებოდა. დროთა ბრუნვის გამო და რაღაც უიმედობით დაღდასმული სრულიად გულგრილად ეგებებოდა გაზაფხულს. სამაგიეროდ მთელი ეზო-გარემო, ვენახ-ბაღჩა რაღაც გამოურკვეველ სიამოვნებას განიცდიდა გაზაფხულის მოლოდინში. ყველა და ყვე-

ლაფერი გრძნობდა, რომ ეს ძალუმად აჩქეფებული წისხლი სიცოცხლეს გაუხალისებს, გაუცხოველებს და გაასკეცებული ძალით აუტოკებს სულსა და გულს. მოაშორებს აწმყოს, აუბამს ოცნებას ფრთებს, აქ აფირუზებულს, აქ აზურმუხტებულს და თვით იმედით აქცევს, ანეტარლხინებს. ყველა და ყველაფერი აფეთქების წინაგრძნობას განიცდიდა. ამასვე გრძნობდა სვიმონიც, თუმცა წელთა გრეხილს, მეექვსე ათეულს, უკვე ჩაეკაკუნებია მისთვის თავში. გათბობის და ატოკების მომლოდინე გული ყურადღებას არ აქცევდა სვიმონის ჭაღარას და გაზაფხულის უბრალო ნიშნებიც კი აღტაცებას ჰგვრიდა.

— ჩიტებმა ჭიკჭიკს უმატეს, ტყე იკვირტება, ვაზი ტირის, თბილა, — გრძნობით იტყოდა ხოლმე სვიმონი და ამის წარმოდგენაზე მთელი ტანით აერეოლებულს თავი ახალგაზრდა ეგონა. მართალია, სხეულის ხიდიდე და დაგრუზება ნებას არ აძლევდა ბავშვივით ენავარდა, მაგრამ გული მაინც თავისას შეებოდა და ისე უთრთოდა, ვით ახალგაზრდას.

— არა, ეს დალოცვილი გული მაინც ხომ ცოცხალია, ასე მგონია, ახალგაზრდა ვარ. რომ ეს წამრგვალებული ტანი არ მიშლიდეს, ღმერთმანი, ისე დავიწყებდი ხეებზე ტოტიალს, როგორც ბავშვი. მარა, მადლობა უფალს, რომ გული მაინც შემრჩა. ახ, რა კარგია გული! — ხშირად იტყოდა ხოლმე და სახეგაბრწყინებული წვერ-ულვაშს ჩამოივარცხნიდა.

ახლაც, იმ თბილ საღამოსაც, ამ გრძნობებით იყო სვიმონი აღტაცებული, ბოლთასა სცემდა. „ღმერთო, გმადლობ, რომ ეს მესამოცე გაზაფხული მომასწარი. მხიარულად, უდარდელად, ცოლით, შვილით. ღმერთო, არა ვარ ღირსი შენი წყალობისა“ — ფიქრობდა თავადი. „არა, მართლაც ბედნიერი კაცი ვარ, ყველაფრით გულმაძღარი. ჩემს დღეში დარდი არ მინახავს, შუბღი არ დამნაოჭებია, ალმასივით შვილები მომცა ღმერთმა. დავზარდე, ხალხში გავრიე, ყველა გაეათხოვე. მეც ყველა კაცს მეძახის, სახელოვან წინაპართა შვილი სახელოვანი ვარ. ღმერთო, გმადლობ! მომავალიც ასეთი მომეცი“...

უცებ შეწყვიტა სვიმონმა ფიქრი და უკმაყოფილოდ გაჩერდა. მომავალზე ფიქრმა, ცოტა არ იყოს, ჩააკაეშნა თავადის გამომეტყველება. გულში თითქოს ნემსი ჩხვლეტსო.

სვიმონი კარგა ხანია გრძნობდა, რომ მის შემდეგ მისი მომავალი სულ სხვა სახეს მიიღებდა, იცოდა, რომ ის რაც ბავშვობიდანვე ასე შეეზარდა, შეესისხლხორცა, მისი სიკვდილის შემდეგ სხვას დარჩებოდა, უცხო, სხვისი ხელი დაეპატრონებოდა, თავის სურვილისამებრ მოექცეოდა, თავის ნებაზე გაკაფ-გაწალდავდა. და ეს იყო, რომ ძალზე აფიქრებდა მას.

— ქალო, ერთი მხრით, ვითომ კარგი ვქენით, რომ შვილები დავზარდეთ და ვასწავლეთ, მარა, მეორე მხრით, შემცდარი ვართ, — ეტყოდა ხშირად სვიმონი ცოლს.

— რისთვის, რათა, ჩემო ბატონო?

— შევცდით, ჩემო დედაკაცო, შევცდით. ჩვენ ისეთი შვილები უნდა დაგვეტოვებინა, რომლებიც ჩვენს ადგილ-მამულს მოუვლიდნენ ჩვენს შემდეგ. თვარა ახლა რაა? მოვკვდებით თუ არა, მესამე დღეს ჩვენს ეზო-გარემოში გლეხები „ოო, დილა, დილას" შემოსძახებენ და ჩვენი ნაკვდავ-ნაცოდვილები, მამა-პაპისაგან გადმონაცემი კარ-მიდამო თავადის სისხლისა და ხორცის აღმზრდელ-მასაზრდოებელი ვენახ-ხოდაბუნები გლეხობას ჩაუვარდება ხელში. თავადის მაგიერ გლეხის სახელი გამეფდება აქ. ეხ, ეხ, შევცდით, შევცდით.

— რას ამბობ, კაცო?! რა უნდა გლეხობას აქანე? უჯიშოებს! განა ჩვენი შვილები თავადები არ არიან? ღირსება მოემატათ თუ მოაკლდათ?!

— ეხ, ქალი ხარ და მეტი ჭკუა არ მოგეთხოვება. ერთი მითხარი, რომელი შენი შვილი მოვა აქ და იცხოვრებს, აქაურობას გაუძღვება? განა ქალაქს მიატოვებს, თავის სამსახურს გამოექცევა და აქ მოვა?

— რო არ შორდება, მერე რა? აქ მოურავებს დააყენებენ.

— საქმეც მაგია, შე ჩერჩეტო, მოურავებია რომ ერთ თვეზე გააქრობენ აქაურობას. სარგებლობას არას აჩვენებენ ჩვენს შვილებს და ისინიც გულგატეხილნი ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს მიჰყიდიან გლეხებს ნახევარ ფასში და თვითონ ქალაქს მიაშურებენ. აქ კი... ეხ! რა ძნელი წარმოსადგენია ყველაფერი ეს. შევცდით, შევცდით, ჩემო ქალბატონო.

— კაცო, ნუ იტეხ გულს, ჩვენი შვილები ასე არ მოიქცე-

ვიან, ჭკვიანები არიან, დავუბაროთ, ვუანდერძოთ. შენ დარდი ნუ გაქვს.

ასე დააიმედებდა ხოლმე სვიმონს მეუღლე, მაგრამ თვითონ ქმარზე უკეთ გრძნობდა, რაც მოხდებოდა.

სწორედ ამ მომავლის წარმოდგენამ დაანაოჭა ამ საღამოსაც თავადის გაშლილი შუბლი, მოსვენებას არ აძლევდა მომავლის შიში, შავი ყორანივით თავს დასტრიალებდა.

— ეხ, ეს რო ასე იქნება, უეჭველია. მაშ, რას ნიშნავს ეს ამბავი, რას შვება გლეხობა? თანდათან ძალდება, ჩვენზე მოდის, გაბატონება უნდა, როგორც მდინარე გაზაფხულისას, თოვლის წყლით ავსილ-ადიდებული, თანდათან ძლიერდება, მატულობს და იწევს ნაპირების წასალეკად. აქ უთუოდ რაღაცაა. ამას წინათ არ იყო, რომ მთელი ქვეყანა შეარყია მუშა ხალხმა! კი დამარცხდა, მაგრამ არც ახლა დგება თავის კალაპოტში, მძლავრად ეხეთქება ნაპირებს. მართალია, ეს უსამართლობაა, მარა რას იზამ? თუ მთელ ქვეყანას უსამართლობა მოედება, მაშინ ხომ ეს უსამართლობაც სამართლიანობად გადიქცევა. მარა ჩემს სიცოცხლეში ღმერთმა ნუ მომასწროს ამას, მოვკვდები, თავს შევაკლავ, ვინც უნდა იყოს და ჩემსას მაინც გავიტან, ჩემს დედულ-მამულში ჩემს სიცოცხლეში გლეხობა ვერ გაიჭაჭანებს, ვერა! მოკვდეს მაშინ სვიმონი!

დანაღვლიანებული სვიმონი შვილების სურათების თვალიერებას შეუდგა და ერთ მათგანს დაჟინებით მიაჩერდა, თვალი ვერ მოაშორა. „ჩემი ქსენია, ჩემი ქსენიჩკა. უმანკო, უმწიკვლო, თვალისჩინი“, — გაივლო გულში და შვილის მშვენიერებით მოხიბლულ მამას ყველაფერი გადაავიწყდა. მართლაც მომჯადოებელი იყო ქსენია. ვისაც ის არ ენახა, სურათს არც დაუჯერებდა. მხოლოდ მამას, ღვიძლ მამას შეეძლო თავის სისხლ-ხორცის სილამაზის შეფასება და მამაშვილური გრძნობით გულში მისი აღბეჭდვა.

ოთახში მკრთალი სინათლე იყო, კედლებიც უტყვად ემოწმებოდნენ უმწიკვლო გრძნობის ნაკადულს, მოსიყვარულე მამის გულიდან ამონახეთქს. სიჩუმეა, სიწყნარე.

„სად არის ახლა ჩემი შვილიკო, რამდენი ხანია არ მინახავს“, — გაივლო გულში სვიმონმა.

გულაჩუყებულმა მამამ რაღაც სირცხვილიც იგრძნო,

შერცხვა თავისი თავის, რომ ყველა შვილზე მეტად ამ წუთს ქსენია უყვარდა: „განა მამამ ან დედამ რომელიმე შვილი უნდა გამორჩევით შეიყვაროს? განა ეს სირცხვილი არაა?“ — გაიელო გულში და კარებისაკენ წავიდა.

— კაცო, სადა ხარ, რას შვრები? — მოესმა სვიმონს ცოლის ხმა მიბნელებულ დარბაზიდან. ამ ხმაზე თითქოს ყველაფერი შეკრთა, შეტორტმანდა. სვიმონმაც რაღაც შიში იგრძნო, ცოლის ხმა რაღაც სხვანაირად ეჩვენა.

— კაცო, სად დაიკარგე, სადა ხარ? — კვლავ გაისმა ცოლის ხმა. მეორედ დაძახილი კიდევ უფრო შიშის მომგვრელი და საიდუმლოების გამომხატველი იყო, სვიმონმა მანამ თავს ძალა დაატანა, მკაცრად გამოეპასუხა ცოლს:

— რა გინდა, დედაკაცო, აქა ვარ! — ეს ხმაც უჩვეულო გამოძახილად ეჩვენა სვიმონს და კვლავ შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში.

- კიდევ ცოტა ხანი და ხელში სანთელით კარს მოადგა სვიმონის მეუღლე. მაღალ-მაღალი, წელში მოუხრელი სიმპათიური სახის მანდილოსანი.

ამ სურათმა კიდევ უფრო შეაფიქრიანა სვიმონი. ამ სახით მას ცოლი ჯერ არ ენახა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ქანდაკებასავით იდგა და ხმის ამოუღებლივ შეჰყურებდა მისკენ მომავალ ცოლს. ის კი მოდიოდა, მოჩვენებასავით მოდიოდა, და სვიმონიც თრთოდა, კანკალებდა, თითქოს ენა დაებაო.

— აჰა, ბიჭმა რაღაც გაზეთები და წერილები ამოიტანა ქალაქიდან, — ამ სიტყვებით ცოლმა მთელი შეკვრა ქაღალდები მიაწოდა ქმარს და მაშინვე უკან გავიდა.

სვიმონი კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული. უჩვეულოდ ეჩვენა ცოლის საქციელი. მანამდის ყოველ წუთს რაღაც ალერსი და სიყვარული გამოიხატებოდა ხოლმე მის ლაპარაკში და ქცევაში და ახლა კი ასე ციგად შემოვიდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! რა იყო ან ასე შემოსვლა, ან გასვლა! რაღაც სხვანაირი ხმა, კილო... ეს თაფლის სანთელი კიდევ სად იშოვა? რაღა ახლა წამოიჩხირა ხელში! გაზეთები კიდევ! რაღაც ცუდის ნიშანია ეს... ცუდი არაფერი იყოს ამ წერილში ან გაზეთში!

XI

— არა, ერთი ეს გამაგებინეთ, ვინ გაბედა ეს? ვინ მკადრა ასე მასხარად აგდება, ა? ვინ?! — გაიძახოდა სვიმონი და გაბრაზებული დორბლსა ჰყრიდა.

მთელი სახლობა, რამდენიმე მეზობელთან ერთად, ენაჩავარდნილი იყო და გაოფთრებულ სვიმონს სულგანაბული უცქერდა.

— გაირყვნა, გაფუჭდა ქვეყანა! თავადი არა სწამთ და აზნაური, მღვდელი და უფროსი. ა! რავა მოგწონს ამისთანობა, გათახსირდა ხალხი, ღმერთი არ სწამთ და ხატი. ვის გაუგონია ასე? ვაი დედაშენს! ვაი დედაშენს, ვინცხა ხარ ამის დამწერი! ერთი გავიგო და გაჩვენებ შენს სეირს! გაჩვენებ, რავა უნდა გაზეთებში ჯღაბნა და კეთილშობილ თავადების მასხარად აგდება. გაჩვენებ, მე შენ გაჩვენებ!

სვიმონი თანდათან ბრაზდებოდა. ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, თავზარდაცემულნი იდგნენ, შიშით თრთოდნენ.

საგრძნობლად გრილოდა, მთვარის და ლამპის სინათლე ერთმანეთს ვერ შეჰგუებოდა, ვერ შესთვისებოდა და რაღაც გამოურკვეველ, მესამე ფერს შეეღება აივანში მდგომნი. არა, მარტო ჩემზე რო დაუწერიათ, ვითომ რაო? ა? რას მერჩიან მე მარტო? ჩემი სახლიკაცები რაზე არ გახსენებიათ! ვაი დედამისს, ვაი დედამისს! მე ჩემებმა გამცეს, ჩემები მღალატობენ ალბათ!

— რა იყო მერე, შე კაცო, რა დაგემართა? ისე ყველაზე კი სწერენ. მაგენის ნაჯღაბნს ვინ უგდებს ყურს! — როგორც იქნა გაუბედა ცოლმა ბოლოს.

— რავა თუ რა იყო? რავა თუ რა იყო, დედაკაცო?! ა? არა, ერთი ეს მითხარი, ვის, ვის გაუბედეს ეს? მეფის ჩამომავალი უნდა გაილანძღოს, მერე ვისგან? ვიღაც ბიჭბუჭებისაგან? გუშინდელმა ბაღნებმა, ტილიანი გლეხის შვილებმა უნდა ამიღონ მასხრად ბრწყინვალე თავადი, ბატონიშვილი? რას ამბობ, ქალო, ყური არ უგდო კი არა, უნდა მოეკლა ის წუწკიშვილი, ისა! დაიღუპა საქართველო, დაიღუპა! უწინ ყველა ერთად ვიყავით, მტერს ვებრძოდით და ახლა კი შინაურებს

დაგვერივნენ. იღუპება საქართველო, იღუპება. ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენებივე გვლანძღავენ, არ გვაყენებენ. მერე ვინ შვება ამას, ვინ? სულ ეს გასაწყვეტი გლეხობა, მაგათი შვილები. ისწავლეს ანბანი და აი, რას შვებიან! გლეხებს სწავლა რათ უნდოდათ, რათ?!

საშინელი სანახავი იყო სვიმონი, თმააბურძგნული, ახალუხგაღეღილი, გაშმაგებული, ბოლთასა სცემდა აივანზე და არავის ყურადღებას არ აქცევდა.

— თუ არ გასწორდა და გლეხებს არ დაუთმო, მის სურათს გაზეთში მოვათავსებთო, — სწერენ ის შასხარები, ის პამპულები, ისა! ერთი ვნახო, ერთი გაბედონ და მეტი არაფერი მინდა. მაშინ ვიცი, რასაც ვიზამ. სულ ყველა გაზეთებს დავახურიებ ნამესტნიკს. შევუთვლი ჩემს შვილებს და სულ შავ დღეს დავაყენებ იმ მჯლაბნელებს. რალაც სამასხარო გაზეთში უნდა დაბეჭდონ ჩემი სახე, არა? ჰმ... ერთი გაბედონ, და მერე მე ვიცი!

— მაგას ვინ გაგიბედავს, ბატონო სვიმონ? რავა შეიძლება! — მოკრძალებით უთხრა ერთმა მისმა მოგვარეთაგანმა, რომელიც გლეხების წინააღმდეგი იყო. თან იმ წუთსავე სინანული შეეპარა — „რაზე გამიწყრა ღმერთი, რისთვის დამცდა ხმაო."

— თქვენი გადამკიდე ყველაფერს უნდა მოველოდე, — მიახალა მკვახედ სვიმონმა, — რო ვარგოდეთ და დედაკაცები არ იყოთ, გლეხები ამას ვერ გაგვიბედავდნენ, ჩვენ, მეფის შვილებს, მარა თქვენისთანა ლაჩრებმა გააფუჭეს ქვეყანა და მთა და ბარს ასწორებენ.

— ჩვენ რა ვქნათ!

— რავა თუ რა ქნათ? ა? ცოლის ლეჩაქით უნდა დადიოდეთ, არა? ღრეში უნდა მიძვრებოდეთ? წამხდრები ხართ, გაფუჭებულები. მალე თქვენც ეს დღე მოგელით. აბა, თუ ვარგიხართ და თუ ბიჭები ხართ, მონახეთ გაზეთში ამის დამწერი, ჩვენი ასე გამლანძღავი. აბა, თუ შეგიძლიათ!

— მე რა ვიცი, რამდენი ეშმაკია ქვეყანაზე?

— ტფუ, შენს კაცობას, შენს ვაჟკაცობას! აბა, იმას კი არ იტყვის მიწას გავთხრი და ისე მოვნახავო?! ტფუ, ტფუ!

— ადმინისტრაციას შეუძლია...

— აა? კიდო ადმინისტრაცია, ბიჭო, შე ოჯახამოსაფუტ-
რაო, გაიგეთ, რო მარტო ადმინისტრაცია ვერაფერს იზამს,
ჩვენ თუ არ გავუმაგრეთ ზურგი, რას იზამს იგი მარტო? ა?

კიდევ დიდხანს იმუქრებოდა და ყვიროდა სვიმონი, მაგრამ
მდგომარეობა მაინც ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. ბოლოს
მოღლილ-მოქანცული უვახშმოდ დასაძინებლად წავიდა და
ლოგინში ჩაწვა. „არა, მართლა არ გაბედონ და გაზეთში ჩემი
სურათი არ დახატონ. გაოხრებული ხალხია, ყველაფერს იზა-
მენ. რავარც იციან, ისე გამამასხარავებენ, რაღაც ლექსს მი-
უწერენ, მარა სად უნდა იშოვონ სურათი, ვის გამოართმევენ?"
სვიმონმა დიდხანს, დიდხანს იფიქრა, თუ სად იყო დახატუ-
ლი, ან ვის ექნებოდა მისი სურათი და გადაწყვიტა ხვალვე გა-
ეფრთხილებინა ყველა, რომ სურათი არავისთვის მიეცათ. ეს
გადაწყვეტილება ჯერ გულში ჰქონდა, არც უნდოდა ჯერჯე-
რობით გაემჟღავნებინა, რაღაც სირცხვილსა გრძნობდა. „არა,
არა, არც ასე ივარგებს. ეს ხომ შიშია, სილაჩრეა, დამცინებენ,
ვინც გაიგებს. ჯერ ესეც ვერ ვქენი კარგად, რო ამდენი ამბავი
დავათიე. შევცდი, გული ვერ გავიმაგრე, თვარა არ უნდა მექ-
ნა ასე. ხვალ მთელი სოფელი გაიგებს, რაც ვქენი და უარე-
სია. შევაშინეთო, იტყვიან. სწორედ შევცდი, შევცდი. თავი
უნდა შემეკავებინა." დიდხანს, დიდხანს უტრიალებდა და სწო-
ნიდა ამ თავის საქციელს სვიმონი და იმ დასკვნამდე მივიდა,
რომ შევცდიო, აღიარა. „ახლა კიდო სურათიზა რომ ამბავი ავ-
ტეხო, უარესი იქნება. ჩემი ხასიათი ყველამ იცის ჩემიანებმა
და სურათის გაცემას ვერ გაბედავენ, ვერ მკადრებენ. მასხ-
რობა საქმე ხომ არაა, საქვეყნოდ თავის მოჭრა?!" ამ ფიქრებ-
ში იყო გართული სვიმონი, როცა მის ოთახში, ისე როგორც
წელან, ხელში სანთლით ჩუმად, ფეხაკრეფით შევიდა მისი მე-
უღლე. ამან სულ შეშალა სვიმონი, ანგარიშმიუცემლად წამო-
იჭრა ზეზე და ცოლს მიაყვირა:

— დედაკაცო, რამ შეგშალა? რაა, რომ ასე დაბრძანდები
დღეს? რა გაიგე? რა ღმერთი გიწყრება? სიდან შემოიღე ეს
მოდა! ხატი ხარ, შენმა სიცოცხლემ, გაანათე სანთელი და
იარე!

— რა დაგემართა, კაცო, რა მოგივიდა?! რო ყვირი, რაიო
ვითომ? აბა, რავა ვქნა?

— რავა ქნა და შენს ამოსაგდებად, შენს დასავსებად!

ცოლი არ გამოპასუხებია, რადგან კარგად იცოდა ქმრის ხასიათი: მის ერთ ნათქვამზე ის ათასს ეტყოდა და დამშვიდების წილ უარესად გაბრაზდებოდა. თუნდ ასჯერ მტყუანი ყოფილიყო, ის მაინც იმას ეცდებოდა, რომ თავისი გაეტანა და კიდეც გაიტანდა ხოლმე.

ცოლმა სანთელი ჩააქრო და ხმის ამოუღებლივ ჩაწვა ლოგინში. მშვენივრად იცოდა, თუ რას ფიქრობდა ამ დროს მისი ქმარი, როგორ გუნებაზე იყო და სულგანაბული ისწორებდა საბანს, ცდილობდა, ხმაურობა არ გამოეწვია.

„რა მიქნეს ეს, როგორ გამიბედეს? ასეთი შეურაცხყოფა ჩემს დღეში არავის მოუყენებია ჩემთვის. მარა ისე არ მოვკვდები, თუ მათი ოხტიდან არ ამოვედი და სამაგიერო არ გადავუხადე! ვნახოთ, რას გაიტანენ, ვინ აჯობებს. ან მე და ან ისინი. ჰმ, ჩემი შვილებიც გაიგებენ ამას, რასაკვირველია, გაზეთით, ერთ ამბავს დამითვევენ. ბრიყვები! მე არ ვყოლოდი იმათ, ნახავდნენ, რაც ბიჭები იქნებოდნენ. ქსენიაც წაიკითხავს. რას იფიქრებს საწყალი ბავშვი, გამოუცდელი, ახ, რა შიქნეს, რა! შვილო... არ დაუჯეროთ იმათ, არა". ამ უკანასკნელ ფიქრზე ცრემლები მოადგა თვალებზე სვიმონს...

XII

გაზეთში სვიმონის გაწერის ამბავი იმ საღამოსვე მოედო მთელ სოფელს. ამ გარემოებამ გლეხობა ერთიანად გაამხნევა და გაახალისა, სამაგიეროდ მემამულეთათვის გულის მომშხამველი შეიქნა. საღამოს რამდენიმე თავადი შეკრებილიყო ჭიშკართან და გაცხარებული მასლაათობდა.

— სიდან მოგვიარეს, საიდან, ერთი შეხედე ამ სათოკეებს?

— კაცო, თუკი რამე გაუვათ, განა დაგვზოგავენ?

— ორ გაზეთშია, არა?

— ხო, ორშია, მარა იმ სამასხარო გაზეთში როა, ძმაო, იმისთანა მაინც არ შეიძლება, სულ მასხარად ვართ აღებული. ისაო — ყველას სახელი და გვარები უნდა მოვათავსოთო, მთელ ქვეყანას უნდა გავაგებინოთო.

— ეს რომელშია, სახუმაროში?

— არა, მეორეში. სახუმაროში სწერია, მალე სვიმონის სურათს გამოვჭიმავთო.

— რას ამბობ?

— შენ ნუ მომიკვდები. მოუხდება კიდეც მაგ ძაღლს, მაგას.

— მაგია, ძმაო, რასაც შობა, თვარა სადა მაქ მე გლეხებთან დავიდარაბის თავი? რაც იყო, იყო, და აწი კიდო მიხლა-მოხლა და კოწიაწი არ ღირს. რაზე მოვიმდურო ის კაცები, მეც ცხოვრება მინდა და მაგენსაც.

— მართალია, მართალი. მეზობლის გადამტერებას ყველაფერი უნდა გერჩიოს. მეზობელ გადამტერებულ კაცს ყოველ წამს გეშინია, ჭუჭყი გაქ გულში. არ ღირს მუდამ შიშში ცხოვრება.

— ხა... ხა... ხა... რა სასაცილო იქნება, თუ მართლა სვიმონის სურათი გაზეთში გამოჭიმეს. რავარც იციენ, ისე ეშმაკურად, ქვეით ლექსით.

— მისმა შვილებმა თუ გაიგეს, შავს დღეს დააყენებენ, რაზე გვარცხვენო, ეტყვიან. გახსოვს, ერთობის დროს რა უთხრეს? ასე ეტყვიან ახლაც.

— გაიგებენ, აბა, რავა იქნება. ეს გაზეთი მთელ ქვეყანას ედება, მთელ ევროპას მოიარს და სვიმონის შვილები ვერ გაიგებენ? მისი შვილი, პეტრე, გაზეთში არ მუშაობს? იგიც გაზეთს არ ბეჭდავს?

— რაც მართალია, მართალია, ძმაო. სწორედ რომ გლახა მხრიდან მოგვიარეს. იფიქრებდი, რომ ასე გვიზამდნენ?

— არა.

— ძმებო, მართალი თქვი და მკვდარი ადგებაო, ხომ იცით? მე სვიმონის გულიზა საქვეყნოდ თავს არ მოვიჯაყავ. დიდი, დიდი დამაკლდეს ოცდაათი გოდორი სიმინდი. ჯანდაბას იმათი თავი, წაიღონ, მე ვუთმობ გლეხებს.

— მე არც მაგდენი დამაკლდება, რაღაც ორი ტარო სიმინდის გულისათვის თავს არ შევირცხვენ.

— სვიმონს, ძმაო, ორი სოფელი აქვს, ჩვენ ყველას ერთად არა გვაქვს იმის მეოთხედი. ეგეც რო არ იყოს, მისი შვილები ქალაქშია და ჩვენ აქ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი ოჯახობით გლე-

ხებთან. ისინია ჩვენი მეზობლები, მეჭირისუფლე და ყველა-ფერი, რომ მოკვდება, მისი შვილები აქ ფეხსაც არ ამოად-გამენ. ჩვენი შვილები კი სულ აქ იქნებიან. არ ვარგა, რო გადავიმტეროთ გლეხობა. ჩვენ რაც უნდა ვთქვათ, ისინი მაინც თავისას იზამენ.

— ისეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილებმაც ზე გა-იაროსო, ხომ გაგიგონია? ჩვენ სვიმონის აყოლა არ გვარგია. ამ პატარა ხანს კიდევ მივყვეთ და მერე შეურიგდებით გლე-ხებს და ის იქნება.

— გაზეთში ისიც სწერია, თუ სოფელში გლეხებს ეგზე-კუცია ჩაუყენეს და კიდევ დაარბიეს ისედაც გაძვალტყავებუ-ლი გლეხობა, ეს სულ თავადების ბრალი იქნება, მაგათ უნდა აგონ პასუხიო.

— ხოდა... აი! ამას მერე დაიხვევენ ხელზე და მთელ ქვე-ყანას გააგებინებენ.

— მთავრობას რომ ვუთხრათ?

— რას გიზამს, ძმაო, მთავრობა? სულ ჩვენთან ხომ არ იქ-ნება? ის წავა და ჩვენ კიდო გლეხებთან მოგვიხდება ცხოვრე-ბა, კმარა რაც მტრობა დაითესა ჩვენს შუა.

— დიდი მოუდრეკელი ხასიათი კი აქვს სვიმონს, ა!

— ძაან კი შეფხაკურდა ამ საღამოს და ვნახოთ, აწი რას იზამს. ერთი გეყურებია ნეტავი რა ქნა.

— რაო, აეწვა? ჯანდაბას მისი თავი.

ასეთი აზრებით გასცეს დანარჩენმა თავადებმა პასუხი ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ცნობას, ყველა ნათლად გრძნობდა, რომ საქმე წაგებული იყო და გამარჯვება გლე-ხებს რჩებოდათ.

გლეხობა კი ჩუმად იყო და ყოველ წამს მოელოდა მემა-მულეებისაგან დამაკმაყოფილებელ პასუხს. მათი ბავშვები შუკა-შუკა დაიმღეროდნენ მემამულეებზე გამოთქმულ სასა-ცილო ლექსებს, ეს დამცინავი ლექსები საშინლად მოქმედე-ბდა მემამულეებზე და საცა კი მოკრავდნენ ყურს, შავს დღეს აყენებდნენ მომღერალს.

ხვნა-თესვის დრო თანდათან ახლოვდებოდა. გლეხობიდან თუ ვინმეს ცოტა საკუთარი მიწა გააჩნდა, უკვე დათესეს, ვენახ-ბოსტნებს ბარავდნენ; ჭალები კი ჯერ ხელუხლებელი

იყო, ერთი შავი გვირისტიც არ დაუყოლებია ზედ კაკ-ულელს. მშვენიერი სამუშაო ამინდები დადგა. გლეხობას გულს უკლავდა ასეთ დროს თითქმის უსაქმობა და ცდა, მაგრამ რას იზამდნენ.

— მოვრიგდეთ რამენაირად, მოვრიგდეთ, ასე არ ივარგებს, ნუ ჩავემტერებით ერთმანეთს, — უთხრა ერთმა თავადმა დუქანთან შეკრებილ რამდენიმე გლეხს.

— ჩვენ რო გითხარით, გითხარით! ხო იცით ჩვენი წამოყენებული პირობები. თანახმა თუ ხართ, თქვით და ის იქნება, — უპასუხა ერთმა გლეხმა.

— ცოტა თქვენ დათმეთ, ცოტას ჩვენ დაგითმობთ და...

— შენ რო დაგვითმო, მერე რა? შენს მიწაზე ორი გლეხიც არ მუშაობს. აი, სვიმონს დაათმობიეთ და საქმე მაშინ იქნება, — შენიშნა მეორე გლეხმა.

— სვიმონს, ძმაო, მე კი არა, ღმერთი ვერაფერს შეასმენს. ხო იცით, მისი სიჯიუტე. თავი რო შეაკლა, მაინც...

— თქვენც მისი კუდები ხართ. მისი აყოლა არ გარგიათ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია. სვიმონს, მგონი, თავის სიცოცხლეშიც არ დაუკრავს თოხი და შენ აგერ შვიდი წყება კანი გაქვს გადამძვრალი ხელზე.

— რაც მართალია, მართალია. თქვენც ქე მიხვდებით, რო ყველაფერი მისი ბრალია, — ხმადადაბლებით და გლეხების გულის მოსაგებად თქვა თავადმა და თან ისე აჩვენა გლეხებს თავი, ვითომ სულით და გულით თქვენი ვართ, ოღონდ ჯერ-ჯერობით ჩემს სახლიკაცებს აშკარად ვერ ვღალატობო.

— ოღონდ არ გამოაცხადოთ კი, — ესეც დაუმატა.

— შენ რომ არ გვითხრა, მაგი ჩვენც კარგად ვიცით.

— ჰოდა, ასეა. რა გვაქვს თვენთან სადაო და საჩხუბარი. რაც იყო, იყო, აწი ძმურად და მეგობრულად უნდა ვიყოთ. სხვა ცხოვრებაა, სხვა დროია. აი, მაგალითად, მე სულით და გულით მინდა შემოგიზიაროთ საზოგადო დუქანში.

— თქვენი ზიარი დღე და ღამე რო გვაქვს, იმასაც ვწუხვართ, — შენიშნა ერთმა გლეხმა.

— რეიზა, შე კაი კაცო, რეიზა? — შეეკითხა თავადი.

— იმიტომ, რომ გვაწვალებთ, გვადავიდარაბებთ. ერთი თავისუფლად სულის ამოთქმა არ გვაცალეთ. არ გინდათ, საზ-

დო მოვიწიოთ, საბალახოზე არ გვიშობთ. ახლა ძალა რო გაჩვენეთ, იმისათვის მოიკუნძეთ და უნატკბილობთ, თორემ...

— მე თუ პირადად მაგისთანა რამე მიქნია თქვენთვის, ძმაო, მომკალით, თოფი მესროლეთ.

— აბა, რაა, მიწებს რო არ გვაძლევთ?

— ეს მე მარტო ხო არ ვიყავი და აწი მეც ვთმობ, სხვებმა რო არ დაგითმონ, შვილებს გეფიცებით...

— ძალა გათმობიებს, ძალა და არა გულკეთილობა.

ამგვარი შუსაიფი სხვა თავადებთანაც გახშირდა, ხოლო სვიმონს კი ვერავინ ვერ ეკარებოდა, სულ გაცოფდა და რა ექნა, არ იცოდა. სოფელში ხმაც კი დააგდეს, რომ სვიმონს მაზრის უფროსისათვის უცნობებია და მალე ეგზეკუციას ჩამოაყენებენო.

სვიმონი ნათლად გრძნობდა, რომ ბრძოლის ველზე მარტო რჩებოდა, დანარჩენი მომხრეები თანდათან ეცლებოდნენ.

— ლაჩრები, დედაკაცები, გაუტანლები. თავადებად კი არა, გლეხებად უნდა დაბადებულიყვნენ მაგენი, გლეხებად, — ბუზღუნით ამბობდა სვიმონი და არც ერთ მათგანს სიახლოვეს არ იკარებდა.

— წადით, მომშორდით, არ მოხვიდეთ ჩემთან! რაც გინდათ, ის ქენით! მე კი მოუვლი თავს, თქვენსავით არ დამებნევა დავთრები, — ეუბნებოდა მათ.

შვილებისაგან წერილი მიიღო, თხოვდნენ, გლეხებთან ფრთხილად ყოფილიყო და რაიმე ცუდი არ ჩაედინა. სხვების წერილებს კიდევ ყურადღებას არ მიაქცევდა, ქსენიასაც არ მოეწერა: „მამა, გაზეთში წავიკითხე გლეხებთან შენი დავა და ძალიან გვეწყინა. მამიკო, ვის გაუგონია ახლანდელ დროში გლეხების წვალება? ახლა ხომ ბატონყმობა არაა. ისტორიაში რომ გლეხების მწვალებელ თავადების ამბავი წამიკითხავს, გული დამსერია, ჩემო მამილო, შენც ამისთანა ხომ არ გინდა იქნე? მამილო, შენი წვერის ჭირიმე, დაუთმე გლეხებს“, ამ სიტყვებმა საშინლად იმოქმედა მამაზე. „ა, შეხედე! ჩემი სისხლხორცი, ჩემი გოგონაც კი დაეჭვებულა, ავკაცად მოვჩვენებივარ. არა, ის კუდაბზიკებიც რო მწერენ, გლეხებს ნუ შეავიწროვებო, ყურუმსაღები! როცა წელიწადში ასობით და ათასობით ვახარჯავდი, მაშინ კაი იყო გლეხების შევიწრო-

ვება და ახლა, როცა უნივერსიტეტები დაამთავრეს და სამსახურში შერგეს თავი, არ ვარგა, გლახაა, ჩურჩუტები, უმადურები. გამოძღნენ და აწი რა ენაღვლებათ, სხვებს უკითხავენ დარიგებას. ნუ შეგვარცხვენო, მწერენ. თქვენ იყავით კაი კაცები და ჩემი საქციელი არავის არ შეარცხვენს... ყურუმსაღებო".

ამასთანავე ერთი შვილი წერდა, რომ წელს, როგორც იქნება, მოურიგდი გლეხებს და გაისისათვის მანქანებს ჩამოვიტან, ჩვენი მიწა ჩვენვე დავამუშაოთ და გლეხებს ფეხსაც ნუ დავადგმევინებთო. წელსვე მოვიტანდი, მაგრამ ვერ მოგისწარიო.

— აი, ესაა ჩემი შვილი. ეს! აი, იხსნის ჩემს მამულს დაღუპვისაგან. აი, ვინ გადამარჩენს გლეხების ხელიდან! — იძახდა გახარებული სვიმონი. იმ წამსვე ყველას გააგებინა ეს სასიხარულო ამბავი და დიდ ბაქიბუქში იყო, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება ვერც ამით მოახდინა გლეხებზე.

XIII

— აბა, ბიჭებო, ხვალისათვის დაემზადეთ კავით, სახნისით, ფარცხით. თესვა უნდა დავიწყოთ, — უთხრა ერთ დილას ბიჭებს სვიმონმა.

— რაკი ისინი არ თესავენ, ჩვენ ვთესოთ, რასაც აუვალთ. წელს გავიჭიროთ და გაისად სულ მაშინებით ვიმუშაებთ.

— მართლა, ბატონო?

— იმე, აბა, მე ტყუილს ვეტყვით? აგერ ჩემი საშა მწერს, წელს გაიჭირე და გაისად მე ვიციო. სულ მაშინებით დავთეს-დავფარცხავ მამულებსო.

— კაი, თქვენ ნუ მომიკვდებით, ბატონო.

— ტყუილი არ თქვა, — ირონიით უთხრა სვიმონმა და ამაყად გადახედა იქაურობას.

— ბატონო ჩემო, რავა გაგიბედო, და, — შეკადრა ერთმა ბიჭმა.

— რა იყო, რაშია საქმე? — ამაყად ჰკითხა სვიმონმა.

— რა გაგიბედო და...

— იმე, თქვი, ბოშო, არ იტყვი, რა გინდა?!

— ის, რომე ჩვენ... მე და ნიკოლოზი შინ უნდა წავიდეთ.
— რეიზაო, ვითომ, რა იყო?
— დაგვცინიან, მასხარად გვიღებენ...
— ვინ? ვინ ბედავს?...
— ჩვენები.
— მერე?...
— უნდა წავიდეთ.
სვიმონს მეტის ბოლმისაგან ენა დაება.
— გლეხებს გვღალატობთო, მდიდრებს ემხრობითო, ხულიგნები ხართო, გვეუბნებიან.
— წადით, დაიკარგეთ! — წამოიძახა ბრაზმორეულმა სვიმონმა და ზიზღით გაშორდა იქაურობას.
„გარყვნილები, გათახსირებულები. გუშინ კიდევ ორი წავიდა. დაიღუპონ, წავიდნენ. არ მინდა არც ერთი. საშას შევუთვლი და ქალაქიდან გამომიგზავნის ბიჭებს. ჩაჩნებს დევიქირავებ. საშა ყველაფერს იზამს და მოახერხებს. ის ჩემი ერთგული შვილია, გულს წვავს აქაურობა, უყვარს. სხვებივით კუდაბზიკა როდია“, — ფიქრობდა სვიმონი და ჩაფიქრებული დადიოდა გადანამულ ბაღში.
სიჩუმე იყო ყველგან. მზე თუმცა პირველი სხივებით გულში იკრავდა იქაურობას, მაგრამ მაინც ნაკლები სიხალისე იყო. რუც რაღაც სევდიანად ელუკლუკებოდა რთვილით წაერცხლილ ნაპირებს. ყველგან სევდას და მოწყენას, მარტობას და სიცარიელეს გრძნობდა სვიმონი. ბაღის იქით გაშლილი სახნავ-სათესიც თუმც მზის სხივებით წაოქრილიყო და მწვანე ბალახით იმოსებოდა, ვით ახალგაზრდა ჭაბუკი წვერულვაშით, მაგრამ სვიმონის თვალში იქაც დიდი მოწყენილობა და კაეშანი იყო. „ცოდვაა, რომ ამ დროს ამ მინდვრებში შუშის ხელი არ ტრიალებდეს“, — გაიფიქრა თავადმა და რაღაც დასირცხვილებული მდინარეს დააკვირდა. დიდხანს იყო ასე ჩაფიქრებული, სიჩუმისაგან გულდასერილი და იმ ადგილის მოშორება ვერ მოეხერხებია. „დასწყეველოს ღმერთმა! რაა ეს გულის მომკვლელი სიჩუმე. ბუნება ხარობს, მეჯლისობს... აქ მოწყენაა, სიჩუმე. რა იქნა სიხალისე, უწინდელი სიხარული!“ — ფიქრობდა სვიმონი.
— აუუუ, აუუუ, — გაისმა უცებ მიმკვდარებულ არემა-

რეში და შორს, შორს შთაინთქა ეს საზარელი ზუილი.

— შეგჭამოს მგელმა... შეგჭამოს! — მიაძახა სვიმონმა.

— აუუუ, აუუუ! — კვლავ გაისმა გულისმკვლელი ყმუილი.

— რა ეშმაკია? რის ნიშანია ეს? დასწყევლოს ღმერთმა! — თქვა სვიმონმა. ერთიათად გაუძლიერდა შიში. პირველად თუმც ფეხს უჩქარებდა, მაგრამ ახლა შეანელა და აქეთ-იქით შიშით იწყო ცქერა. მცენარე, მიწა, ლაჟვარდი ზეცა, ყველაფერი რაღაც იდუმალი ძალით შეიარაღებული ეჩვენებოდა და რა ექნა, არ იცოდა. „არა, რატომ არავინ გაუწყრება ამ ძაღლს და ყმუილს არ მოაშლეინებს, ნუთუ ჩემს მეტს არავის ესმის, აი? იღუპება ოჯახი, არავინ არაფერს ყურადღებას არ აქცევს ჩემს მეტი". ამ ფიქრში გაიარა ხეივანი, მივიდა ვეებერთელა კაკლის ძირში და კუნძზე ჩამოჯდა. აქაც სიჩუმე, მყუდროება, სიგრილე. „არა, ერთი მითხარით, ვის რა უნდა? მე ხომ ჩემსას ვიცავ. ჩემს კერძო საკუთრებას ვეპატრონები. სხვას ხომ არას ვართმევ! მამა-პაპათაგან გადმონაცემ ქონებას ვეპატრონები. დამანებონ თავი. მე ჩემთვის, ისინი თავისთვის. ჰმ! შვილებიც რო ჩემს საქციელს უსამართლობად მითვლიან. აი, დედასა! მაძღარი კაცი ყველაფერს იტყვის. არა, ჩემი ქსენიაც, ჩემი შვილიკოც რომ... თუმც წერილის ბოლოში მწერს: მამა, არაფერი გეწყინოს. მე ვიმასხრე, თორემ შენს მართლმსაჯულებაში ეჭვს როგორ შეეიტანო. ასე კი იწერება... მარა... მარა... ეხ, ჩემებსაც რომ არ ესმით ჩემი. საშა, შვილო, საშა! მხოლოდ შენი, შენი იმედი მაქვს. შენი".

— რაც იქნება, იქნება! ან მე ან ისინი, დათმობა კი არ შეიძლება, — თქვა მან ბოლოს ხმამაღლა და შინისკენ წავიდა.

— ყვაااა... ყვაა, — მოესმა მარჯვენა მხრიდან სვიმონს და ფიცხლავ პირი იბრუნა. ბაღის ერთ კუთხეში საგვარეულო საყდარს მიაპყრო თვალი. პატარა, ოთხკუთხიანი ქვის შენობა სუროში და ყვერში ცურავდა. სახურავი სულ გამიწისფერებული ჰქონდა, კარები ჩამტვრეული. იქ, სადაც ერთ დროს ჯვარი უნდა ყოფილიყო, ახლა ყვავი იჯდა და „ყვა-ყვას" იძახდა. ტყვიასავით მოხვდა გულში ეს სურათი სვიმონს. „ერთ დროს რა იყო, დღეს რა არის? ხვალ რა იქნება?" — გაუელვა თავში და თოფნაკრავივით სახლს მიაშურა.

— ყვაااა, ყვაااა! — დასჩხაოდა ყვავი და ეს ბედითი მოთქმა გაზაფხულის ნიავს მიმოჰქონდა თავადის კარ-მიდამოში.

ორი კვირის შემდეგ, თითქოს ყუმბარა გავარდაო სვიმონის სასახლეში, ისეთი ამბავი დატრიალდა: იუმორისტულ გაზეთში მოეთავსებიათ სვიმონის სურათი, მისი ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერა. თან სასაცილო ლექსებით შეემკოთ.

ამ ამბავმა თავზარი დასცა სვიმონის ოჯახს.

— მორჩა, გათავდა — გლეხის სისხლში უნდა შეიღებოს სიბერის დროს ჩემი ხელები! — დაიქადნა სვიმონმა.

მეორე დღეს ქალაქიდან დეპეშა მიიღო: ქსენია ავად არის. საჩქაროდ ჩამოდითო.

— ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს ყოფას!

სვიმონი მეუღლითურთ გამოეთხოვა სოფელს და შვილებთან გასწია ქალაქში.

სამი დღის შემდეგ უკვე მოლაპარაკება ჰქონდათ მის შვილებს გლეხობასთან.

სახნავ-სათესი ჭალები მუშების მხიარული ხმებითაა გაყრუებული. აქ მთესველი თესლს აბარებს მიწას, იქ ხნავენ, აქ ფარცხავენ, იქ კიდევ ბელტებს აფხვიერებენ. ყველგან მხიარულებაა, მღერიან, გამარჯვებულნი გაორკეცებული ძალით ეწაფებიან მუშაობას. ვის ახსოვს ფეხშიშველობა, ღარიბული ტანსაცმელი, ვინ დაგიდევს მზის მწველ სხივებს.

ხნული ხნულს ებმის, ნათესი ნათესს.

— გაუწი, გაუწი, შენი ღმერთისა! შენს ღმერთს ვენაცვალე, ჩემო შავგულა. — იძახის ერთი მუშა.

— ხო... ხო... ხო... ღმერთო, მიე ხვავი და წარმატება... ხვავი! — ბანს აძლევს მეორე

— ვაჯობეთ, ვაჯობეთ, ყმაწვილებო, ა? — გაჰკივის მესამე.

— სასტიკად, სასტიკად. ძალიან დაფაცურდნენ, მარა... — გაჰყვირის მეოთხე და თან შოლტს უტლაშუნებს ხარებს.

— ასე იცის ერთობამ, ასე. მის მომგონს ვენაცვალე.

— არა, ყველაზე საინტერესო სვიმონის კუდამოძუება იყო, ძმაო, რაც მართალია, მართალია.

— აბა, რავა უცებ გააპარეს შვილებმა!

— მორჩა, აწი ვერ გეიარს იგი ამ. არემარეზე. წვიმიანის ცას ვერ იხილავს მისი თვალები.

დაუსრულებლივ გაისმოდა ასეთი მუსაიფი გლეხებს შორის და თან მუშაობდნენ, გაცხარებულნი თესავდნენ.

მზე უკვე კარგად ამოიწია, ამაყად მოაპობს ლაჟვარდ ცას, ნამი უკვე გადააშრო, წანისლული მდინარეც გაათავისუფლა. გულუხვად აფანტავს დედამიწას ოქროს სხივთა კონებს. ჰაერი თანდათან თბება, სიცოცხლით იჟღინთება.

— მუშის მარჯვენის ჭირიმე, მუშის. როგორ გამოაცოცხლა და აახმაურა გუშინ მიმკვდარებული აქაურობა! მას ვენაცვლე.

— მუშისაა, მუშის, მთელი ქვეყანა. სიცოცხლე მის ხელშია. მუშას ყველაფერი შეუძლია, — ხსნიდნენ და განმარტავდნენ ერთიმეორის აზრს გლეხები.

— მუშას თუ ერთობა ექნა, ვინ დაძლევს.

— ხა... ხა... ხა... ყველაზე სასაცილო ისაა, ჩვენი ალმასხანიც რო თავადებში ეკვეხებოდა და მიწას არ გვაძლევდა. მაგ გაღლეტილს გვარის მეტი რა შერჩა..? მეენძევა?

უკვე სადილობამ მოატანა. გადახნულ მინდვრებში აგერ-ეგერ გამოჩნდა ქალები და ბავშვები, სადილი მოიტანეს... იცინიან, მოიმღერიან ბავშვები, თავადებზე შეთხზულ სიმღერებს ათასნაირი კილოკავით კაზმავენ. მომუშავე მამებს შეჰხარიან, შეტიკტიკებენ, მათთან ერთად განუსაზღვრელ სიხარულს და ბედნიერებას განიცდიან.

ყველას, ყველას დავიწყებია შავი წარსული, მწვავე აწმყო, სიდუხჭირე, სიღარიბე და მომავლისკენ, ბრწყინვალე მომავლისკენ მიუპყრიათ სული და გული. ყველა ხვალინდელი დღით ცხოვრობს. „გუშინ“ და „დღესაც“ მათ მეხსიერებაში თითქოს არც კი არსებობს, მოისპო, გაჰქრა.

ბუნებაც ადამიანთან ერთად მეჯლისობს, ხარობს, იშლება, იფურჩქნება...

— ხვალ მეტად, კიდევ უფრო მეტად გასიამოვნებ, ჩემო საყვარელო ადამიანო, გაიხარე, გაიხარე, — თითქოს ეუბნება ადამიანს და სიცოცხლის ძალის ცემას მატებს, ფრინველთ აჭიკჭიკებს, მცენარეთ ლურჯ კაბას უშლის, წალკოტს თექას უზურმუხტებს.

ხარობს დედამიწა, ხარობს ადამიანი! ბედნიერების აკვანი ირწევა, ახალი სიცოცხლე დუღს და გადადუღს, ახალი ძალა ფრთას შლის, როგორც ბუნებაში, ისე ადამიანში. ბედნიერების ტახტია ბუნება! ძლიერებით აღჭურვილი ადამიანიც მედიდურად ჯდება ამ ტახტზე, ეუფლება ქვეყანას მშრომელი მაჯა.

1925 წ.

დათოვლილა გვირგვინი

(რომანი 1905 წლის რევოლუციის ეპოქიდან)

I

სალოკე და მაია თავზარდაცემულნი მიეგებნენ განთიადს. შუაღამის შემდეგ თვალები არ დაუხუჭავთ. ბესიკის წაყვანის შემდეგ კარგა ხანს ხმის ამოღებაც კი ვერ მოეხერხებინათ, შიშისაგან ენაჩავარდნილებს ჰგავდნენ.

გათენების ჟამს სიჩუმე სალომემ დაარღვია:

— ნეტავი ვინ იყვნენ ის კაცები?

— ჟანდარმების ტანსაცმელში იყვნენ. ჩვენი მაზრის უფროსიც თან ახლდა.

— იცანი, შვილო?

— მაზრის უფროსი ქუჩაში დამინახავს. სხვები კი აქაურები არ უნდა იყვნენ...

— მაზრის უფროსი!.. რა უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე! რა უნდოდა ჩემისთანა ქვრივ-ოხერთან... ჩემისთანა...

სალომემ ცრემლი შეიმშრალა, სასოწარკვეთილი დაჯდა და სევდას მიეცა. მაია გაშტერებული იდგა და მარჯვენა ხელის ცერს ღრღნიდა, თვალები ბესიკის ოთახისაკენ მიეპყრო.

— რატომ დაიპირეს? კაცი მოკლა? მოიპარა? იყაჩაღა? შვილო, მაია, ცუდი ხომ არაფერი შეგიმჩნევია ამ დღეებში? ისეთი ვინმე ხომ არ დადიოდა?

— არა, დედა, არა!

— ისინი ყველაფერს იკადრებენ, ყველაფერს იზამენ... ჩვენ არაფერში გაგვხეიონ...

— ბესიკი ცუდ რამეს იკადრებდა?

— რა ვიცი, შვილო! მე მაგათი არაფერი მწამს... ვიცი, რაც არიან... კარგად დააკვირდი, ოთახში არაფერი ჰქონდეს შენახული... ჩვენ არ გაგვხვიონ რამეში.

— აკი გაჩხრიკეს და ყველაფერი იპოვეს...

სიჩუმე, ცრემლები, ტუჩების კვნეტა, გაშტერებული თვალები. აფორიაქებული კედელყურე, მიყრილ-მოყრილი წიგნები, წერილები, გაზეთები.

— ჩემთვის ვცხოვრობდი, დაუმადლებელ ლუკმას ვჭამდი, თავს ვირჩენდი, შვილს ვზრდიდი, ღმერთსაც და კაცსაც რომ მოეწონებოდა, ისეთი ცხოვრება მქონდა... შემომიჩნდა ეს წყეული ადამიანი, დამაყენე, დამაყენეო. საშველი არ მომცა. ეს სამი წელიწადია ბატონივით მიზის სახლში... მისი შიშით, მისი მორიდებით ხმა ვერ გამიღია.

— დედა, სირცხვილია ახლა მაგის ლაპარაკი, ბესიკი არ ყოფილა ჩვენთვის ცუდი კაცი...

— კაცი კი არა, ოქრო იყო, მაგრამ ჩემთვის, შვილო, ჩემთვის-მეთქი, უბრალო რკინაც კი არ ყოფილა. არც მისი კაი კაცობა მინდოდა და არც მისი აქ ყოფნა.

— დედა, ეს...

— მამამისი ჩემი ბატონი იყო და თავზარს მცემდა. ჩემი ახალგაზრდობა მათ ოჯახში დავტოვე, ბოლოს, როგორც იქნა, თავი დავაღწიე, აქ ჩამოვედი, მოვიშორე მათი ბატონობა, თავისუფლად ამოვითქვი სული. აგერ ჩვიდმეტი-თვრამეტი წელიწადია ჩემთვის ვიყავი და ბოლოს მაინც ვერ დავაღწიე იმათ თავი და ეს... ეს ახალი ბატონი გავიჩინე... მუდამ შიში, მორიდება და ახლა კიდევ ასეთი უბედურება...

გათენდა. დედა-შვილს ცა და მიწა გადატრიალებული ეგონათ. მაგრამ ყველაფერი ჩვეულებრივად დახვდათ. ქალაქი ჩაძინებული იყო. მტვრიანი ქუჩები ნაცრისფერ ბოლებად ჩაფენილიყო სახლებს შორის. რკინიგზის სადგურთან წყლის საქაჩს ოჩი-კოჩივით აემართა მკლავები. მადნის გროვები ვეებერთელა კამეჩებივით წამოწოლილიყვნენ. მაზრის უფროსის დერეფანში მკერდში თოფჩაკრულ ჩაფარს ჩასძინებოდა. მიკიტანი სადღაც ორღობიდან სისხლშეუმშრალ ხორცს ეზიდებოდა და ნამალავად მიიძურწებოდა. შორს, სამჭედლოდან ჩაქუჩების რიტმული დარტყმის ხმა ისმოდა.

— ალბათ, ტფილისში წაიყვანეს, — ჩაილაპარაკა მაიამ.

— რა ვიცი, შვილო!

— ახლა მომაგონდა, ერთმა ჟანდარმმა თქვა ტფილისმა გამომგზავნაო.

— ჩვენ არაფერი შეგვამთხვიოს და, სადაც უნდა, იქ წააბრძანონ...

— დედა, ბესიკი არ იყო ცუდი კაცი... ბინის ქირას ყოველთვის ზედმეტს იხდიდა, არც ერთი მდგმური მაგოდენ ფულს არ გვაძლევდა. სოფლიდან რაც კი ჩამოუვიდოდა, სულ ჩვენი იყო, ყოველ კვირა მამამისი სანოვაგით დატვირთულ ცხენს გზავნიდა; განა დაგავიწყდა?!

— შენ არ იცი, მე რა ლოდი მაწვა გულზე. ჩემი ცეცხლი მე მწვავს... მის სიმდიდრეს და პატიოსნებას ჩემი ღარიბული ლუკმა მირჩევნია. თავადიშვილის პურის ჭამას — შავი მიწა ჭამო, ისა ჯობდა... შენ რა იცი, შვილო!...

— დედა, შენ ცდები...

— კარგი, ნუ მელაპარაკები, სასწავლებელში დღეს არაფერი დაგცდეს. ჩუმად იყავი, თუ მაინცდამაინც გკითხონ, დაემოწმე. თვითონ კი არაფერი თქვა, ხომ გესმის?

მაია იქვე იდგა, მაგრამ დედის სიტყვები არ გაუგონია. მისი გულ-ყური სხვაგან დაჰქროდა.

— მე კანტორაში ავირბენ, უნდა დავგავო ამ დილით. მაგიდები უნდა დავასუფთაო. რამ გაგაშტერა, ადამიანო? ხომ გესმის, რომ გეუბნები?

— მესმის... მესმის...

„რატომაა ასე გაყრუებული? ხომ არ შეშინდა? ავად არ გამიხდეს. არ დამიდგეს თვალები!“ — გაიფიქრა სალომემ და რაღაც ჩურჩული დაიწყო. ერთ ხანს მჭადის თუ პურის ნატეხი ატრიალა ხელში, რამდენჯერმე ტუჩებთანაც მიიტანა, მერე მაიასთან მივიდა და რამდენჯერმე გაშლილი ხელი დაადო გულმკერდზე.

— გულო მოდი საგულესა, გულო მოდი საგულესა, — ჩურჩულებდა სალომე.

— კარგი, დედა, დაანებე თავი ამ სისულელეებს!

— შენ ბევრი იცი! შეჭამე ეს ლუკმა, შეჭამე-მეთქი... ისე არ მოგეშვები. ობლობის გამჩენო ღმერთო, შენ იყავ ჩვენი პატრონი და ნურაფერ ხიფათს შეყრი ჩემს საწყალ გოგოს!

II

ბესიკის ოთახში სალომემ ზოგი რამ დაალაგა, წიგნებისა და განჯინებისათვის კი მაიას უნდა მოეევლო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ყოველი წიგნი ხუთჯერ გადააბრუნა, ადგილი კი ვერ მოუნახა. ბოლოს ბესიკის დიდ სურათს მიაჩერდა.

მაიას მოეჩვენა თითქოს ბესიკი სურათიდან ოთახში უწესრიგობას ღიმილით დასცქეროდა. თითქოს, თანდათან ცოცხლდებოდა აშოლტილი ტანი, ფართო გულმკერდით, მწიფე ალუბალის მსგავსი თვალები, ხშირი ულვაშები, ასალაპარაკებლად მომზადებული ტუჩები. წარბებით შესალტული დიდი შუბლი. თვალები, თვალები კი ახლა ლამის ცეცხლად აინთონ და მთელი სურათი აალაპარაკონ.

მაია ხედავს, რომ წუხელ დატუსაღებული ბესიკი ისევ აქ არის, აქ სუნთქავს და ცოცხალ არსებასავით იხედება მისკენ. უღიმის და სურს დაელაპარაკოს...

კვლავ დიდხანს ალაგებდა იქაურობას აფორიაქებული მაია, მაგრამ წესრიგი მაინც ვერ დაამყარა. სკოლაში უსმელ-უჭმელი წავიდა. კიდეც დაიგვიანა. მთელი დღე უგულყურად იყო. ერთ საგანში ორიც მიიღო.

სალომეს კანტორის ეზოში თხუთმეტამდე მუშა დახვდა, ზოგი ფერდობზე წამოწოლილი, ზოგი ღობეზე ჩამომჯდარი. მაღაროებში მუშაობისაგან სახეები სულ მთლად გამურული ჰქონდათ, ხოლო თვალების გუგები ყვითელ ზოლებად უჩანდათ. მხოლოდ ორ მუშას ეცვა შედარებით სუფთად. ერთ მათგანს მარჯვენა ხელი გულზე ეკიდა; მეორე კი ორკაპს ეყრდნობოდა და ისე დადიოდა. ცალი ფეხი შეხვეული ჰქონდა და ძლივს მიათრევდა.

— სალომე... ააა, სალომე! ხომ არ დაყრუვდი, დედაკაცო?

— რა გინდათ, გათენებამდე რომ მოსულხართ? რა მოგივიდათ, თქვე საწყლებო? რატომ არ მუშაობთ? — გაეხმაურა სალომე.

— მაგ დაგავე, შე როკაპო, შენ... რა შენი საქმეა, რატომაც მოვსულვართ, — გამოეპასუხა ერთ-ერთი მუშა, — შენ ეს გვითხარი, სად არის ის შენი ღიპიანი ხაზეინი? ქალაქს ხომ არ წასულა?

— ოო, თქვე უბედურებო, თქვენა, ყოველ წამს სიმყრალე ამოგდით პირიდან. ღიპიანი კი არა, ბატონი სად ბრძანდებათქო; ის გაუმევთ პურს, ის გასაზრდოვებთ! — შეუტია სალომემ და თანაც მაგრად მიაწყეველა.

— აი, შენმა მზემ! სწორედ ის გვაუმევს. ის მუშაობს ჩემს მაგიერ, შე გამოჩერჩეტებულო, შენა? ისე ღმერთი ააშენებს მის ოჯახს! ეგ კი არა, ტყავს გვაძრობს.

— ეს ფეხი მის მაღაროში გავიფუჭე...

— ფრთხილად იქნებოდი და არ გაგიფუჭდებოდა. სხვებს რატომ არ მოუვიდათ! გიცნობს სალომე რაც შვილიც ხარ. ალბათ, მთვრალი იქნებოდი.

— კარგი, კმარა, ჩემო სალომე, შენ დღეს რაღაც ცუდ გუნებაზე ხარ, ცუდ ფეხზე ამდგარხარ, დედაშვილობამ მითხარ აქ არის იასონი?

— აქ არის, აქ.

— სალომე, შე ცოდვილიანო, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს წუხელის, აგრე რო იკბინები? — ღიმილით მიმართა ერთმა მუშამ.

— დინგი დაგებანა ამ დილაზე ის სჯობდა, შე უბედურო, შენა! რა ლოგინში იწექი, რა ბალიშზე გედო თავი? ერთი შენი ცოლი მაჩვენა, მე იმას დღეს დავაყრი!

— ცოლი მაგას გაუთხოვდა ბეჩა, გაუთხოვდა.

— მაშ, ვინ მოუცდიდა მაგისთანას, ხელ-პირი ვერ დაუბანია მაგ საწყალს, მაგას!

— სალომე, ახლა შენი ქალიშვილი მივათხოვოთ, ხა... ხა... ხა...

— ვის, ლატოს? მანამდის არ აუდგა გვერდები!

— ჩემზე უკეთესს მისცემ, შენმა სიცოცხლემ!

მუშებიცა და სალომეც მეზობელ სოფლებიდან იყვნენ, ერთმანეთის ყველაფერი იცოდენ და არც ლაპარაკში ერიდებოდენ ურთიერთს.

სალომე კანტორის დაგვას შეუდგა. კანტორა კი მაღლობზე წამომდგარ სამოთახიან ფიცრულს ერქვა. ჩამოფხატული სახურავი, ფარღალალა კედლები, ფანჯარაში გამოჩრილი რკინის ღუმელის მილი, გალიასავით დერეფანი ამშვენებდნენ მას.

ქარგი ეაქკაცი მარტოდმარტო გადააგორებდა, თუ მოინდომებდა.

მუშების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. თითქმის მთელი ეზო აივსო, გამრავლდნენ ფარაჯები, ჩოხები, ყაბალახები, პატარა ნაბდის ქუდები, ქალამნები, შავი წინდები, შავი ხელები, გამურული, ხანაც წაბლისფერი სახეები.

ყარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა კანტორის მოსამსახურე შავ ჩოხაში, საცვეთებით. მასრის სიმსხო წელზე ვერცხლებჩამოკინწილებული სარტყელით, მოოქრული ხანჯლით, ბუხრის ქუდით...

— ვალოდია მოდის, ვალოდია! — წამოიშალა ხალხი.

— მიწას ემძიმება მისი სიარული, თითქოს მთელი ქვეყანა ზურგზე ეკიდოს. რა დინჯად მოალაჯებს? ცოტა დიდი რომ იყოს, ამ ქვეყნად არ დაგვაყენებდა, — ჩურჩულებდნენ მუშები და თანაც სალამის მისაცემად ემზადებოდნენ. თითოეულ მათგანს სურდა მისალმებოდა, ისე, რომ ვალოდიას არ დარჩენოდა შეუმჩნეველი.

— გამარჯობა, ბატონო ვალოდია! სალამი, ბატონო! სიცოცხლე ვალოდიას! დღეგრძელობა ვალოდიას! — ღვთის წყალობა ვალოდიას! — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— მმმ.... მმმ... მმმ... — ბუზღუნობს პასუხად ვალოდია და თავისთვის მიდის.

— გამარჯობა ვლადიმერ! გამარჯობა!

— რას მიყვირი, შე დალოცვილო? გამარჯობა მითხარი, თვარა ძღვენი ხომ არ მოგიტანია? ისე ბღავი, თითქოს რამე ეყაროს შენს ცარიელ „გამარჯობაში". თუ იმადლები, შენთან იყოს!

მუშა არ მოელოდა ასეთ პასუხს, სირცხვილით დაიწვა. ამხანაგებმაც დასცინეს, მუჯლუგუნი ჰკრეს.

— რო მიაჯღავლე, რა იყო? ყური დაფსებული კი არა აქვს.

— რა ვიცი, ხმას კი არ იღებს და... ამდენი კაცი მივესალმეთ და ის კი თავისთვის ბუზუნობს რაღაცას.

— მართალია, სალამზე სალამი უნდა. ჩვენც კაცები ვართ! — დაადასტურა ერთ-ერთმა.

III

ვალოდია წარბებშეკრული მიუჯდა მაგიდას.

— არავინ შემოუშვა. პაპიროსი მომიტანე! — უბრძანა სალომეს.

— ბატონო ვალოდია, მე... მე... — დაიწყო სალომემ.

— ჯერ ის გააკეთე, რაც გიბრძანე. ნუ მიშლი ხელს!

სალომე გველის ნაკბენივით გაიქცა.

მუშები ფანჯრებს შემოადგნენ. აივანზე ამოვიდნენ, კარებთან შეჯგუფდნენ, ისმოდა ლაპარაკი, ჩურჩული...

— რა ხალხი ხართ! — გადაყვირა ფანჯრიდან ვალოდიამ. — მოსვლას არ მაცლით, თქვე პირუტყვებო, თქვენა!

მუშები მიიფანტ-მოიფანტნენ, ფანჯარას მოშორდნენ.

— სუუუ... სუუუ... სუუუ! — გაისმა ირგვლივ.

— ბატონო, მოგართვით პაპიროსი, — მიმართა სალომემ.

— ეგ რა მოგითრევია. არ იცი, რომ მაგას არ ვეწევი? მალე შენ მეეტლეების პაპიროსს მომიტან. შე გამოყეყეჩებულო, შენა! გამოცვალე ახლავე! მუშებსაც უთხარი აივანზე ნუ ატუზულან, თორემ!..

— თქვენი ჭირიმე, თქვენი... ჩადით აქედან, დედაშვილობამ ჩადით. გაბრაზებულია ის ღვთისპირიდან შეჩვენებული. ალბათ, კარტში წააგო წუხელის, — ჩურჩულებდა სალომე.

მუშებმა წამსვე გაათავისუფლეს აივანი. ერთი საათის შემდეგ ვალოდიამ გამოაცხადა, რომ ხელფასის დარიგება მოხდება მხოლოდ 25 რიცხვში, ახალი მუშების აყვანა კი იმ თვის პირველიდან დაიწყება. საქონელი ვისაც უნდა, მიიღოს კუთვნილი ხელფასის ანგარიშში, ჩვენს მაღაზიაში მოვიდნენ და ნისიად მისცემენო.

— დაიშალეთ, ტყუილა ნუ ყურყუტობთ აქ. რაც უნდა იღრიჯოთ, არაფერი გამოგივათ, ვთქვი და გავათავე! — განაცხადა მან ბოლოს.

მუშები ბუზღუნით დაიშალნენ, მხოლოდ ავადმყოფები დარჩნენ.

— სხვასთან მივიდეთ, იქ აგვიყვანებენ. სამუშაოს კი ვიშოვი, ოღონდ ჩემი მაჯა მქონდეს კარგად... იასონ ბეჟავაც ძალლია და მისი ვალოდიაც! — გაისმოდა მუშებში.

ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მუშა ისევ მოვიდა კანტორის ფანჯარასთან და ერთი მოსამსახურეთაგანი გამოიწვიეს. იჩურჩულეს, ხელები შალეს, თითებზე თვალეს, ბოლოს მოსამსახურე ვალოდიასთან მივიდა და რაღაც ჩაულაპარაკა.

— რამდენს ჩამოდიან?

მოსამსახურემ რაღაც ანიშნა.

— უთხარი, არ დამენახოს არც ერთი. მუდმივი სამუშაო უნდათ იშოვონ და თითო თუმანს იძლეიან? ვირები, დათვები, სხვას რას გამორჩება მათ კაცი. ხორცი ვარგა მათი თუ ტყავი? ასე ცარიელ ქოთანში ხელს არავინ ჩაყოფს-თქვა.

მოლაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს შეთანხმდნენ. მუშაობა ხვალიდანვე უნდა დაეწყოთ.

— თუ ვინმემ ჰკითხოს — ასე თქვან: ადრე იყო შეპირებული და იმიტომ მიგვიღო-თქვა.

კანტორა წამდაუწუმ ივსებოდა ხალხით. მოდიოდნენ სხვადასხვა ეროვნების მუშები, ნოქრები, მეურმეები, ჩალვადრეები. ვალოდია კი ყველას ერთი და იგივე პასუხს აძლევდა:

— ფული თუ გინდა, ჯერ არ იქნება. თუ რამე საყიდელი გაქვს, მაღაზიაში მიგიწერ. სამუშაოზე ჩაწერა პირველიდან იწარმოებს. ერთი ბერძენი მაინც არ სცილდებოდა, თავისებურად ეღრიჯებოდა და რაღაცას აჩვენებდა თითებით.

-- იასონი მობრძანდება, იასონი! — წასჩურჩულა მოსამსახურეებს სალომემ. კალმებმა ქაღალდზე ფხაჭუნს უმატეს. საანგარიშო ხმამაღლა არახუნდა, ვალოდიამ კი პაპიროსის წევა შესწყვიტა.

— გადით ახლა, ხაზეინი მობრძანდება. დაცალეთ აქაურობა! — ბრძანა მან.

იასონ ბეჟავა საშუალო სიმაღლისაა. მსხვილია. ლოყები გაბროწეულებია, სარტყელზე მუცელი გადაჯდომია. აცვია საუცხოო ტანსაცმელი, თივთიკის ნაბადიც კი არ აკლია. აქვს ლაშაზი სახე, მკვესავი თვალები, გადაგრეხილი ულვაშები, ჩამოვარცხნილი წვერები.

— უფ, დავიღალე. არ იქნა და ეს დასაწვავი კანტორა ქვევით ვერ ჩავიტანე, სულ შენი ბრალია, ჩემო სალომე, სულ! — ღიმილით და უდარდელად ხუმრობს იგი. ხალხი თავდახრილი მიესალმა და სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვა ბატონ იასონს.

იასონმა კარგი სალამი იცის. იგი ყოველთვის თავაზიანად პასუხობს:

— ღმერთმა გაგიმარჯოს! იცოცხლეთ, კარგად იყავით, ვმადლობთ, ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს! იდღეგრძელეთ!

იასონი კანტორაში შეეიდა, მძიმედ დაჯდა, ბაღდადით ოფლი შეიმშრალა.

— როგორაა, ვალოდია, საქმეები?

— კარგად, ბატონო, მშვენივრად. მადანი წავიდა, ორი მატარებელი კიდევ გავა დღეს. მაღაროებში მუშაობა მშვენივრად მიდის. დღეს თორმეტი კაცი კიდევ დავიქირავე, შეპირებული მყავდა. ოთხმოცდაერთი ურემი მუშაობს, ას რვა ცხენი, თორმეტი აქლემი, ასევე ვირები!

— კარგი ძალიან, კარგი, რაკი ვირებიც მუშაობენ, ჩვენი საქმე წინაა...

— ფულის დარიგების ვადაც გამოვაცხადე 25-სათვის.

— გიჩქარია, ძმაო. პირველამდე ვითომ ვერ მოვაცდევინებდით? ერთი კვირა მაგოდენა ფულის ხელში გაჩერება ხუმრობა როდია; რამეს მოაგებინებდა კაცი!

— არ შეიძლებოდა, ბატონო, სხვები დღეს იწყებენ, ზოგმა გუშინ დაიწყო ფულის დარიგება. ჩვენ ფირმას ნდობა აქვს, თვარა 25-მდე ვინ მოიცდის!...

— შენ რა გინდა, ჩემო ბასანიძე, — მიმართა იასონმა ერთ-ერთ მუშას, — რომ ჩამოსულხარ? ფეხი არ მოგირჩა?

— რა ბრძანებაა, ბატონო იასონ! სრულებით არაფერი ეტყობა... ეგება ერთი თუმანი კიდევ მიწყალობო წამლისათვის... ერთი ისეთი ქალი გამომიჩნდა, რომ უსათუოდ მომარჩენს, წინდაწინ მთხოვს ფულს... — უპასუხა ჯოხზე დაყრდნობილმა ბასანიძემ ვედრებით.

— დაღრეჯასა და თხოვნას არაფერი ურჩევნია ამ ხალხს. ნამდვილი მათხოვრები არიან, ნამდვილი! — ჩაერია ლაპარაკში ვალოდიაც.

— აბა, რა ვქნა, შენი ჭირიმე, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ, ჩემს სამუშაოზე ხომ არ დავშავებულვარ? თქვენს მაღაროში დავმარცხდი.

— გააბი ახლა შენებურად, გუშინწინ აკი ხუთი მანეთი მოგეცით... არ გეყო?

— გუშინწინ კი არა, ათი დღის უკან იყო. სიმინდი ვუყიდე ცოლ-შვილს.

— კარგი, ვალოდია, თუ გიყვარდე კარგი, — გააწყვეტინა იასონმა, — მიეცით ბასანიძეს კიდევ ხუთი მანეთი. შენ რაღა გინდა, ხედაღანო? ალბათ შენც ფულისათვის იქნები. მიეცი ამასაც ხუთი მანეთი. რას გიშობა ხელი? აწი უნდა მორჩენილიყო. ვერ იწამლე? წამლის ფული არ გქონდა, არა? კარგი, კარგი.

IV

— როცა შენ გაჯავრდები, მაშინ მე უნდა დავტკბე, როცა მე ვცხარობ, მაშინ შენ მალამოდ უნდა გადაიქცე. ხა... ხა... ხა. ასე უნდა, ჩემო ვალოდია; მუშა დაუნდობელია, არ გაგიტანს, თუ მოხერხებული და ტკბილი სიტყვა არ უთხარი. ბასანიძე ასე თუ არ მოვალბეთ, გვიჩივლებს და მაშინ ერთიათად დაგვიჯდება.

— მაგათ ჩემებურად უნდა მოპყრობა. ერთი რაა, გამართულ შუბლს არ ვაჩვენებ, ამიტომაც ეშინიათ და კიდეც მიჯერიან ყველაფერს.

— სალომე ჩემო, ეს როგორი ამბავი დატრიალებულა, — მიმართა ბეჟავამ, — ბესიკო დაუტუსაღებიათ?

— რა ვიცი, ბატონო...

— როგორ თუ რა იცი? შენსა კაცი ცხოვრობდა და მისი ამბავი არ იცი?

— იგი, ბატონო, თავადისშვილია, დიდი კაცია, ვე ჩემთვის ვგდივარ... რა ვიცი, ვინ დადის მასთან... დიდკაცის შვილთან.

— რაებს ლაპარაკობ, ქალო?! — შეტორტმანდა სკამზე იასონი. — აკი შუალამეზე იყვნენ შენსას ჯანდრები, ხომ წაიყვანეს ბესიკო?

— ვილაცეები კი იყვნენ, ბატონო, მაგრამ... რა ვიცი, ვინ იყვნენ, მე ბესიკოს სტუმრები მეგონა.

— კაი სტუმრები კი არიან, თქვენ ნუ მომიკვდებით: ხა... ხა... ხა... კაცი დაატუსაღეს და ეს იძახის სტუმრები ეწვიენო... ხა... ხა... ხა...

— აბა, მე რაში მეცოდინება თავადიშვილის ამბები, რა ჩემი საქმეა, რა მისი ტოლი ვარ? — ბუზღუნებდა სალომე და პირდაპირი პასუხის მაგიერ სიტყვას ბანზე აგდებდა.

— რისთვის დაუჭერიათ, ბატონო იასონ? ცუდი რამე ხომ არ ჩაუდენია? ჩხუბი ხომ არავისთან მოსვლია, ვის დაუჭერია? — კითხულობდნენ კანტორაში მომუშავენი.

— შე კაი კაცო, ბესიკი ზოგიერთ თავადებივით ლოთიფოთი კი არ არის, რას ქვია ჩხუბი, ის მაგისთანობაში პატიოსანი კაცია. ნასწავლია, შეგნებული, — განმარტა იასონმა.

— აბა, რატომ დაატუსაღეს?

— რატომ და ამბობენ, ღმერთი არ წამდა და ნათესაობაო.

— რას ამბობ? აბა, იმას არც ხელმწიფე... — არ დაათავა გაოცებულმა ვალოდიამ თავისი კითხვა.

— მაგასაც ამბობენ. არა, საკვირველი კაცი კი იყო. მამამ უნივერსში გაგზავნა და არ ისწავლა, უკანვე დაბრუნდა, სამ წელიწადს ძლივს გაძლო, ამბობენ გამოაგდესო.

ახლა ვალოდია აფილოსოფოსდა:

— ფული მაგას არ უყვარს და ძმაკაცობა, სამსახურში არ დადგა; ერთი ორი თვე ჩვენთან მუშაობდა. ასი მანეთი ცოტა ჯამაგირიაო, მოითხოვა თუთხმეტი, შევაძლიეთ, ოციც კი შევთავაზეთ, მაგრამ თავი დაგვანება და უსაქმოდ დაიწყო ხეტიალი, აგერ სამი წელიწადია ცუდათაა, ზის სალომეს ოთახში და კითხულობს და კითხულობს. ვის რა სიკეთე მოუტანა ამ წიგნების კითხვამ?

— ჩემთან?.. მე... მე... რა... რა ჩემი საქმე იყო; მამამისი ჩემი ბატონი იყო და მთხოვა და... — კვლავ იმართლა თავი სალომემ.

— სცენაზე თამაშობს, — განაგრძო ისევ ვალოდიამ, — საკვირაო სკოლა აქვს მუშებშიო. წერა-კითხვას ავრცელებს. კაცს რომ საქმე დაელევა, მახათს დაუწყებს წვალებას.

— საკვირველი კი არის ამ თავადების საქმე; არც ერთს ფულის მოგების და შოვნის ყაიდა არა აქვს. ან ბესიკივით უსაქმურობაში არიან, ანდა ბანქო, ლეკურ-ხანჯალი, ლოთობა, ქეიფი, კაცის კვლა და ქალებია მათი საქმე.

— ქალები მაინც ძალიან უყვართ მაგ შეჩვენებულებს. ხა, ხა, ხა, არა, ვალოდია? ხომ უყვართ ქალები? — ავხორცულად ხითხითებდა იასონი.

— რა ბრძანებაა, ბატონო, უყვართ და მერე როგორ!...

— ეხ, ყველამ თავისი საქმე იცის, — ჩაიქნია ბოლოს ხე-

ლი იასონმა, — ეს მითხარი, ჩემო ვალოდია, როგორ გამოაკეთე საქმეები? დავთრები, წიგნები? არეული რომ გექონდა...

— ყველაფერი მოვაწესრიგე, ბატონო... რამდენი ხანია, აი, ნახეთ.

იასონს ბევრი არაფერი ესმოდა კანტორის წიგნებისა და დავთრების. სახელსა და გვარს ძლივს აწერდა. ასამდე ციფრის წერა ძლივს იცოდა. ანდა, მართალი რომ თქვას კაცმა, რა წიგნები ან დავთრები იყო მისი ფირმის კანტორაში? რაღაც უთავბოლო რვეულები, ათას ადგილს წაშლილი, ამოფხეკილი, ჩაწერილი, გადასწორებული, ამოხეული, წაღმა-უკუღმა ნაწვალები. ასეთი თვინიერი და დამჯერე ციფრები არც ერთ დაწესებულებაში არ ყოფილა. ყოველთვის იმას ათქმევინებდნენ მათ, რაც ვალოდიას ან იასონს სურდა. ჯამიც მათი სურვილის მიხედვით გამოიხატებოდა.

— კარგია, კარგი, — ისე თქვა იასონმა, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო მისთვის, — მაგრამ კაცო, იმ უცხოელებს, იმ რჯულძაღლებს რომ აქვთ მოწყობილი საქმე, იმისთანა მაინც არ შეიძლება. გუშინ შლერინგის კანტორაში ვიყავი და პირდაპირ გავეოცდი... რატომ ჩვენი კაცი ვერ აწყობს ისე საქმეს?

— მერე რა საჭიროა, ბატონო, მაგდენი წილადობილა? უცხოელებს საქმის გაჭიმვა უყვართ, ცნობები ამ დავთრებშიაც კარგად იწერება და რა ვიცი. ფულს ჩვენც ქე ვიგებთ და ისინიც და...

— ვითომ? ჰო მართლა, ვალოდია, გეთაყვა, ამ საღამოზე ტფილისში დეპეშა გაუგზავნე ჩემს საყვარელ სასტუმროს... ორი კარგი ნომერი მზად იქონიოს ჩემთვის.

— როდის მიბრძანდებით?

— ხვალ, ან ზეგ...

ამ დროს მაღაროებიდან ბიჭმა ცხენი მოაჭენა და ზედ პირდაპირ ფანჯარასთან მოაგდო, გამურული ბიჭი ძლივს უმაგრებდა თავს.

— რა ამბავია, რა მოხდა? — მიაყვირა იასონმა.

— მაღარო, ბატონო... მაღარო ჩამოიქცა და მობრძანდითო ახლავეო.

— მარცხი ხომ არაფერია, ბიჭო?

— რა ვიცი, ბატონო, მგონი...

— მომეცი აქ ცხენი!...

ბეჟავა ბურთივით გამოვარდა, საშინელის სისწრაფით მოახტა ცხენს და ელვასავით გაიჭრა.

— თუ უჭირს, რა სწრაფია! — ჩაილაპარაკა ღიმილით ვალოდიამ.

სალომე კი უკანა ოთახში იყო გასული და ლოყებს იკაწრავდა.

— რა მითხრა ეს ამ შეჩვენებულმა? დედაუუუ, შვილო მაია, ჩემო სისაწყლეში გამოზრდილო შვილო, დედის იმედო, ეგება... ეგება იმ წყეულის შვილმა... ოოო, ღმერთო, ნუ გამითენებ იმ დღეს! ღმერთო, მე მომკალი მანამდი, რა მითხრა ეს იასონმა, რა მითხრა; ალბათ, სხვებიც ამბობენ, გამელანძღა შვილი, სახელი გაუტყდა... ეს ამბავი რომ სკოლამდის მივიდეს, დავიღუპები! — კიდევ დიდხანს იშენდა თავში სალომე.

V

მაია ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სასწავლებლიდან, სალომე სადილის მზადებას შეუდგა. იასონ ბეჟავას სიტყვები კი კვლავ ლოდად აწვა გულზე.

— უი, დამიდგეს თვალები, — წამოიყვირა უცბად, როცა საკუჭნაო განჯინაში ხელუხლებელი საჭმელი დაინახა, — აბა, რა ჭამა მაგ საწყალმა? მშიერი წავიდა? არც ოთახი დაულაგებია, არაფრისათვის ხელი არ უხლია.

ყველაფერი სწრაფად მოაწესრიგა და სადილიც მოამზადა. ახლა ფანჯარაში იხედებოდა წამდაუწუმ. როგორც იყო გამოჩნდა მაია.

— გენაცვალოს დედა, რავა მთვარესავით მოანათებს. ჯეირანია, ნამდვილი ჯეირანი!... სისაწყლეს დაევსოს თვალები, თვარა მართლა კი ხარ, შვილო, სათავადო ქალი.

სალომე კარებში მიეგება შვილს.

— ავად ხომ არა ხარ? რატომ არაფერი გიჭამია? ცუდ გუნებაზე ხარ? სკოლაში ხომ არაფერი ცუდი მოგსვლია? თქვი, შვილო, რამე!

— კარგად ვარ, დედი, რა უნდა მიშავდეს? — წიგნები ზან-

ტად მიაწყო, ორივე ხელით სავარცხელი გაისწორა, მერე წინ-საფარი მოიძრო.

— ასე თქვი, შვილო, კი ნუ შემაშინებ, შენს მეტი რა გამაჩნია, შენით მიდგია სული! აი, შვილო, ეს პატარა პური დაიხემსე, დოდოლიას შევალოციე, იმან იცის შეშინებულის კარგი ლოცვა, დედა, შვილო, თუ დედაშვილობა გწამს, ნუ მაწყენინებ.

— გააჭირე საქმე, — ამოიკვნესა მაიამ და მიწოდებული ლუკმა ძლივს გადაყლაპა.

-- წამლად გარგოს დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა! — დალოცა სალომემ და ხელები ზეცად აღაპყრო.

ნასადილევს დიდი ხვეწნის შემდეგ მაია ლოგინში ჩაწვა. ბესიკი კი ერთი სიტყვითაც არც დედას და არც შვილს არ უხსენებია. თუმცა ორთავეს ამაზე მეტი საფიქრელი არა ჰქონდათ რა. მძინარე მაიას რამდენჯერმე დაადგა დედა თავზე. გულმკერდზე ხელს დაადებდა და ჩიფჩიფებდა: „გულო, მოდი საგულესა“ — მერე ზეცას აღაპყრობდა ხელებს.

— დედაშვილობის მფარველო ღვთისმშობელო, შენ იყავი ჩვენი პატრონი! ობლისა და უპატრონოს წინამძღვარო, შენთვის მომინდვია ჩემი საწყალი გოგო! ობლობის გამჩენო ღმერთო, შენ დამიცავი ყოველგვარ მავნისაგან, მტრისა და ორგულისაგან! ნუ გაახარებ ჩემი ოჯახის მოღალატეს, ნუ მისცემ საშველსა და სახსნელს მაიასათვის ავის მდომელს!

მაიას კი მკვდარივით ეძინა რამდენიმე საათის განმავლობაში.

— დღეს, შვილო, იასონ ბეჟავამ თქვა, რომ ბესიკს სამ დღეში გაათავისუფლებენო, — თქვა მაიას გამოსაცდელად საღამოზე სალომემ.

იფეთქა სიხარულმა მიმკვდარებულ სახეზე. ტუჩები გაიპენ, თვალებმა გაიცინეს, წარბები შეირხენ.

— რა ვიცი, დედა? მან საიდან იცის? ვის უთქვამს? ხომ არ უნახავს? ვისგან გავიგეო? მაზრის უფროსი ხომ არ უნახავს?!

— არ ვიცი, შვილო, ასე კი თქვა და...

-- ვერ შეეკითხე კარგად? ვეტყოდი საიდან იცი-თქო, ვინ თქვა-თქო?

— შვილო, ის ჩემი უფროსია და ლუკმას მაჭმევს მადლის გულისათვის, როგორ შემიძლია შევკადრო ამდენი რამე? თქვა და ის იყო.

— რომ შემეძლოს იასონის ნახვა, მე ვკითხავდი.

— არ გაბედო რამეს კითხვა! — გაპილპილდა სალომე, — რა შენი საქმეა? თავადიშვილია, კი მოუვლის თავს! შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ? ვისი ბუზი ხარ? არ გაგიწყრეს ღმერთი. ხმა არ გაიღო, თვარა, იცოდე, ენას ამოგაგლეჯ! წინ წყალი, უკან მეწყერი და შვაში მისი თავი! რას დაეძებ, რას ესარჩლები?!

— დაიწყო, დაიწყო... მე არავის არ ვესარჩლები... მე ისე ვთქვი. მეცოდება. ამდენი ხანი ჩვენსა იყო... შენაც კარგად ეჭცეოდი, მამამისი ხომ შენი ბატონი იყო...

— სწორედ მაგისთვის მძულს ისიცა და მისი მოდგმაც.

— ბესიკს რომ ცუდს არაფერს ეუბნებოდი? პირიქით, შვილს ეძახდი და თავს ევლებოდი. ახლა კი ასე ლაპარაკობ? კაცს გაჭირვებაში უნდა დახმარება... ეს ხომ ორპირობაა, დედაჩემო?!

— რაო? ორპირობა?! მე მათგან ვისწავლე ორპირობაცა და ყველაფერი სიგლახე; მეც მათმა ბატონობამ მომიწამლა სიცოცხლე... შემაძულა ღმერთი და ხატი. შემაძულა ადამიანი... შენ რა იცი, შვილო, რა ცეცხლი ტრიალებს ამ გულში? რა მინახავს, რა გადამიტანია მაგათ ოჯახში! მეყოფა რაც მჭირს მათგან და შენ, ჩემი შვილი, ჩემი სისხლი და ხორცი. ჩემი ერთადერთი იმედიც ორპირს მეძახი?! მე არ გებრალები და ვილაცას, შენი დედის დამმონებელს, სიხარულით იგონებ?!

სალომე ჩაემხო ლოგინში და ტირილით იხრჩობოდა. თან ბუტბუტებდა:

— დამეღუპა, შვილი, დამეღუპა! მეც დამღუპეს და შვილიც დამიღუპეს. რა დაუშავე მაგ შეჩვენებულებს, ვის რა შევცოდე? ღმერთო, კურთხეულო, რატომ გამიმეტე ასე? რისთვის გამწირე? ჩემი ჯან-ღონე და ქალობა მე იმათ შევწირე, მათთვის ვშრომობდი დღე და ღამე. ჩემი ადამიანობა მე იქ დავტოვე და ახლა შვილიც, ჩემი ერთადერთი იმედიც მათ უნდა შევწირო?! რა დავაშავე, რა შეგცოდე ასეთი?!

მაიას დიდხანს სიტყვა ვერ მოეხერხებინა, დედის ტირილ-

მა და სიტყვებმა თავზარი დასცეს. სალომე კი განაგრძობდა:

— დამეღუპა, შვილი, დამეღუპა!.. მართალი მითხრა დღეს იმ ადამიანმა, მართალი!

ბოლოს, როგორც იყო, ამოიდგა ენა მაიამ:

— დედა, მე რა დამღუპავს, მე რა მიჭირს, მე მუდამ შენი ვიქნები! — ახლა მაიასაც წასკდა ცრემლები. მან დედის ჭალარა თავი კალთაში ჩაიდო. ეფერებოდა, ცრემლებს უმშრალებდა.

— შვილო მაია, სიღარიბეში გამოზრდილო შვილო, სისაწყლეში გამოზრდილო შვილო, მითხარი ყველაფერი, მითხარი!..

— რა გითხრა, დედა, რა?!

— ხომ არ მიღალატებ, ხომ არ გამწირავ?! ხომ არ შემირცხვენ საწყალი მამაშენის სახელს? ხომ არ ამხდი ლეჩაქს? ხომ არ გამცვლი სხვა ადამიანზე? ხომ მუდამ ჩემი ნების იქნები?! არაფერს დამიმალავ, არაფერს დამიფარავ?!

— კი, დედი, კი... კი... აბა, ვისი ვიქნები? ვინ მყავს შენს მეტი. სხვა ვინაა ჩემი პატრონი... დედა, დედიკო!

— ჩვენ ერთი ფიქრი უნდა გვქონდეს, შვილო, ერთი აზრი! ბესიკი ჩვენი მტერია, ბესიკი შენი მტერიც არის, დაგღუპავს... არ ახსენო მისი სახელი!..

— არ ვიცოდი, დედა, თუ ასე იყო, გეთქვა დროზე! თუ აგრეა, მე მის სახელსაც კი არ ვახსენებ დღეის შემდეგ... შენს საწყენს მეც ვიწყენ. რაც შენ გძულს, ის მეც მეძულება... კი, დედი, კი... ოღონდ შენ... ოღონდ შენ... იყავი კარგად...

— შემომფიცე, შვილო, შემომფიცე!..

— შენ შვილს ეძახდი და მეც ძმასავით ვუყურებდი... სხვა მე... მე... არაფერი... — დიდხანს ქვითინებდნენ ჩახვეული დედა და შვილი.

VI

იასონი გაშმაგებული მიაჭენებდა ცხენს. წინ ხვდებოდა შადნით დატვირთული ურმები, გამურული მეურმეები, შავ კალათებ აკიდებული ცხენები, ჯორები, ვირები, ოყრაყი აქლემები.

— გზა... გზა მიტიეთ... გზა, თქვენი დედა, თქვენი მამა!.. — ილანძღებოდა ბეჟავა. ბეჟავასაც ლანძღავდნენ.

— წადი, შენი... ვინ ოხერია, ტომარივით რომ შედებულა ცხენზე... ერთი სახრე მაგას, მიაყოლე იმ სქელ ბეჭებში! მიადე იმ ბუღა კისერში!

კინაღამ კლდეზე გადაჩეხეს; არა თუ ურემი ან ცხენი, ადამიანებიც კი არ უტევდნენ გზას.

ბოლოს, როგორც იქნა, მაღაროების დასაწყისს დაუახლოვდა. აქ უფრო ფართო გზაც იპოვა. ელვის სისწრაფით მიაგდო მაღაროსთან ოფლად გახეთქილი შავი ბედაური.

— რა ამბავია, ყარამან, რა მოხდა?

— ორი კაცი დაშავდა... ერთი კი მოეტანა, თხრიან და ახლავე ამოიღებენ.

— დავიღუპე, სად არიან დაშავებულები?

ყარამანმა მიიყვანა იგი შეჯგუფულ მუშებთან.

— გამარჯობა თქვენი, ძმებო, — იასონი მაშინვე შეეხმაურა მათ და ცხენიდან ჩამოხტა.

მუშებმა გზა უტიეს. ერთი მუშა საკაცეზე იწვა და ძლივს სუნთქავდა, მეორეს კი ბრეზენტი ეფარა და სიცოცხლის ნიშანწყალი თითქმის აღარ ჰქონდა.

ჯერ პირველთან მივიდა.

— როგორა ხარ, ბიჭო, რა მოგივიდა?

— ვკვდები, იასონ... შეგეწირე... შეგეწირე, ხომ ხედავ... ცოლ... შვილი...

— ნუ გეშინია, შე გლახა, რავა წამხდარხარ, ყაძახო! ამისთანა მოუვა კაცს? რა გიჭირს სასიკვდილო? — დააიმედა იასონმა. ახლა მეორესთან მიიჭრა. — ეს ვინაა ამაში? — იკითხა მზრუნველობით, გადაფარებული ბრეზენტი ასწია, გაფაციცებით დააკვირდა და შემდეგ უცებ წამოიძახა: — წყალი, მოხედეთ, კაცები არა ხართ!

— მიშველეთ... მიშველეთ! — კვნესოდა დაშავებული.

— ნუ გეშინია, ბიჭო, აქა ვართ... მოგივლით, მოგარჩენთ... აბა, ძმებო, ასე არ ვარგა გაჩერება, მივხედოთ ამ საწყლებს. წყალი, ეგება ღვინოა სადმე. საჭმელი მოუტანოთ...

იასონი ციბრუტივით ტრიალებდა, დაშავებულ მუშებს თავს ევლებოდა. ცოტა ხანში ორივე მოასულიერა, თავისი ხელით დაბანა სახე და ხელები. მიაწოდა საჭმელი, სასმელი.

დაშავებულები გონს მოვიდნენ, ლაპარაკიც შესძლეს. მუ-

შებიც გამხიარულდნენ. იასონი კეთილ კაცად მოეჩვენათ. ერთ-ერთმა ქებაც შეასხა:

— შენი ოჯახი აკურთხოს ღმერთმა! ქრისტიანი კაცი ყოფილხარ და პირჯვარი შენ გიწერია! როგორ მოგვეშველე!

— აბა, როგორ უნდა? გაჩერებულხართ, თქვე კაი კაცებო, საჭიროებიანით! გავანძრევდით ხელს... მუშა კაცები ხართ და მუშას ვერ უნდა მიხედოთ?! — ღიმილიანი საყვედურით ეუბნებოდა მუშებს იასონი.

იგი კმაყოფილი იყო, მისმა მოხერხებამ რომ ნაყოფი გამოიღო, აღარ ცხრებოდა:

— მუშას ვენაცვალე, მუშის ჭირიმე! მე იმით მიდგია სული. მუშას თუ არ მივხედავ, აბა, ვის უნდა დავეხმარო?!.

— ჩვენაც დავეხმარეთ, ბატონო იასონ. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ესენი ახლა დახოცილი იქნებოდნენ... ჩვენ გამოვათრიეთ ცოცხალ-მკვდრები, თორემ იმ უბედურ გურამასავით იქნებოდნენ ჩამონანგრევში დამარხული, — დარცხვენით იმართლა თავი ყველაზე ხანდაზმულმა მუშამ.

— ჰო, თქვენი ჭირიმე! — კვლავ ფუსფუსებდა იასონი. — ახლაც მივეშველოთ, საკაცეები კარგად გაამაგრეთ და დაშავებულები ცოტა ზევით აიყვანეთ, მყუდრო ადგილას... აბა, თქვენ გენაცვალეთ, მომეხმარეთ; გასამრჯელო ჩემზე იყოს! — რაღაც ყარამანსაც ჩაულაპარაკა ჩუმად. მუშებმა დაშავებულები სხვა ადგილას გაიყვანეს. გადაყვანისას ორიევნი საშინლად კვნესოდნენ. ერთმა კიეილიც მორთო.

— რა გტკივა, ბიჭო, მოტეხილი გაქვს რამე? — ჰკითხა ვიღაცამ.

— რა ვიცი, რა მაქვს მოტეხილი... ალბათ ყველა ძვლები დამტვრეული მაქვს... ვაი ჩემი ცოდო. ვაი... ვაი... ვაი... შეევწირე იასონ ბეჟავას, შეევწირე...

— შემეწირა!.. ჰმ, შენმა სიცოცხლემ მუქთად მუშაობდი, ფულს იღებდი, შვილოსან! მოგება და წაგება ამხანაგებია, აბა, როგორ გინდა?! — ჩაილაპარაკა თავისთვის იასონმა. გარეგნულად კი სულ გაოფლილი იყო. თავს არ იზოგავდა. ყველას ტკბილად ეჭცეოდა, ყველას მომადლიერებას ცდილობდა. უბატონოდ ხმას არავის ცემდა. თანაც ახლა მთელი ყურადღება იმ მაღაროებისაკენ ჰქონდა მიქცეული, სადაც ჩამონ-

გრეულ მიწაში ჩამარხულ მუშას თხრიდნენ. როდის ნახავენ მკედარს? რა მოყვება ამას? როგორ აიცდენს ამ ხიფათს? ეს კითხვები გულს უკლავდა იასონს. ყოველ წუთს მოელოდა მუშების აფეთქებას და წერაქვებით თავდასხმას. მაგრამ არ იმჩნევდა, თავი ისე ეჭირა, ვითომ ჩვეულებრივი რაღაც მოხდაო, დიდი არაფერიაო, ასეთი რამ სხვა მრეწველების მაღაროებშიაც ხომ ხშირად ხდებაა... და ისევ ყველას ტკბილად ეჭცეოდა, ძმობას ეფიცებოდა, კეთილ გულს უჩვენებდა.

VII

— მარჯვედ იყავი. ასი თვალი გამოიბი. ბოქაული და მისი ჩაფრები არ წამოგვეხეტონ. მგლებივით დაძრწიან, საშოვარზე არიან, ხომ იცი? თუ ეს ამბავი გაიგეს, საქმის ჩასაშალავად ქრთამების მიცემას ვერ აუვალთ, — დაარიგა ყარამანი იასონმა.

ხავერდის ხალათ-შარვლიანი ყარამანი იასონზე ნაკლებად არ ტრიალებდა. ამ მაღაროში მასაც წილი ედო, მოგება-წაგებაში. შეშინებულიც იასონზე ნაკლებად არც ის იყო. კარგად იცოდა, რომ გამწარებული მუშები პირველად მას გაუსწორდებოდნენ.

ამ დროს მაღაროდან გათქვირული მუშა გამოვიდა. ბეითქი გადასდიოდა, სინათლეს თვალს ვერ უსწორებდა.

— ისე დაიქცა იასონ ბეჟავას ოჯახი, რავარც საწყალი გურამას ოჯახი დაიღუპა! ისე დაიფსო მისი სახლკარი, შავ ჩარჩი, მაგ წურბელა, მაგ ღვთის მტერი, შაგ ქრისტეს პირიდან შეჩვენებული! — ამბობდა იგი და ცრემლებს იმშრალებდა. იასონი და ყარამანი მაშინვე მასთან მივარდენ.

— რა ქენით, ნახეთ! წააწყდით? როგორაა?

მუშამ ერთ ხანს არც ერთს ხმა არ გასცა და კიდევ განაგრძო წყევლა-კრულვა. იასონს ეგონა, რაკი მნახავს, გაჩუმდებაო, მაგრამ მუშა თავისას განაგრძობდა.

— რა უყოთ, შე კაი კაცო, ყველაფერი ღვთის ნებაა! ალბათ, ამ ბედის ყოფილა საბრალო, კაცის თავზე ყველაფერი მოსალოდნელია... ადამიანს რაც შუბლზე აწერია... — იმართლებდა თავს დაბნეული იასონი.

მაღაროდან გამოსული მუშა შედარებით დაწყნარდა. ამ-ხანაგებს მიუბრუნდა და ძლივს გასაგონად ამოღერღა:

— სულ დაჭეჭყილია საწყალი, თავი სულ გაჩეჩქვილი აქვს. ტვინი მიწაშია გალესილი.

გაფითრებული იასონი მაღაროსაკენ წავიდა. მუშამ კი უფრო ხმამაღლა განაგრძო:

— მე არავის არ მოვერიდები. ხვალ მეც გურამას დღე მო-მელის, ფულის მოგება თუ უნდათ, მაღაროც უნდა გაამაგრონ, ასე არ შეიძლება. თვით ოქროებში იხრჩობიან და ჩვენ, მუ-შებს, აქ, მიწაში გვმარხავენ, ჯიბეებს ისქელებენ, ჩვენ კი ორ გროშს გვაძლევენ... სიკვდილის პირას ვდგავარ და დღეში ექვსი აბაზი მაქვს. ცის სინათლე ჩვენთვის არაა და ჰაერი. მად-ნის მტვრით სავსე მაქვს ცხვირ-პირი... წყალი ჭერ დამილევია, პური ვერ მიჭამია, ჭრაქმა თვალები ამომწვა. დავბრმავდი კაცი... ერთ ბეწოზე გადავრჩი, თვარა მეც შიგ დავიმარხებო-დი, მეც გურამასავით გავიჭყლიტებოდი...

მუშები ხმას არ იღებდნენ. იასონმა ყარამანი მასთან მო-იხმო და ახალი, უფრო კონკრეტული დავალება მისცა:

— შენ ამათთან იყავი და მე მაღაროში შევალ. ყველას და-უტკბი რაც შეგიძლია, საჩივლელად არ წავიდნენ. ის რომ ყა-ყანობს, ეცადე ჩააჩუმო რამეთი... ფულიც შეაძლიე.

მაღარო მთაში შეთხრილ ვეებერთელა ხვრელს წარმოად-გენდა. ადამიანს გამართულად შეეძლო შიგ შესვლა. შუაზე ლიანდაგები იყო დაგებული პატარა რონოდებით მადნის გა-მოსატანად. ბნელოდა. ჭრაქები აქა-იქ ბჟუტავდა. ზემოდან წყალი მოწვეთავდა. ნოტიოს სუნი იდგა.

ხვრელს მისახვევ-მოსახვევები ჰქონდა. ერთი ხვრელი მე-ორეს უერთდებოდა, მეორე — მესამეს. დედამიწის გული მრავლად დაეფატრა ადამიანს. მაღაროებში სართულებიც იყო; ნიადაგის ერთ ფენაში გათხრილი ხვრელი ზედა ან ქვედა ფე-ნებში გათხრილ ხვრელებთან იყო დაკავშირებული.

ხვეულების უბეებში აგერ-ეგერ წერაქვიანი ადამიანები მა-დანს კორტნიან ჭრაქის ყვითელ და უსუსურ სინათლეზე. ზო-გი ფეხზე დგას, ზოგი ჩამჯდარა, ზოგიც გულშეღონებულივით მიყრდნობია ქვის კედელს. ერიდებიან, დიდი ბელტი არ გად-მოგორდეს და არ დააზიანოს, ან შავი ჭერი არ ჩამოინგრეს

და თან არ მოიტანიოს... სიცოცხლე აქ ბეწვზე ჰკიდია, ადამიანი სიცოცხლითვე სამარეშია ჩასვენებული, ყოველ წუთში სიკვდილს ელის.

— გამარჯობა შენი, გამარჯობა! — ესალმება იასონი თითოეულ მათგანს ტკბილად, მეგობრულად, თანაგრძნობით, ძმურად, — ო... თქვენი ჭირიმე, თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, თქვენი გამჩენის ჭირიმე! იმუშავეთ, ძმებო, იმუშავეთ, ღმერთია მოწყალე... შეეწიოს თქვენს ოჯახს, თქვენს ცოლ-შვილს!.. იკურთხოს თქვენი მარჯვენა!..

იასონი უგულო პასუხებს იღებს. მისი ენის ჭარტალი არავის მოსწონს. თან შიში იპყრობს, მაღაროს სიღრმეში შესვლის ეფიქრება.

„რა სისულელეა, რომ შიგ შევდივარ. ხომ ვერ გავაცოცხლებ იმ გურამას. გამოიტანენ და ის იქნება... რას ვეჩრები ამ გამწარებულ ხალხს პირში! ვინ იცის, რას იფიქრებს გახელებული კაცი... უცებ რო მხუხონ თავში“...

უკანვე გამოვიდა. სინათლის დანახვაზე სიხარული იგრძნო. შიში მოშორდა. გულზე მოეშვა. „აქ ვინ რას მიზამს“, — გაიფიქრა.

მუშებმა უკვე გამოიტანეს გურამიას დაჭყლეტილი გვამი და ქუდებ-მოხდილნი თავზე დაადგნენ. ზოგი პირჯვარს იწერდა და ცხონებას უთვლიდა, ზოგი ტიროდა. ზოგიც გაშეშებული იყო.

იასონმაც სწრაფად მოიძრო ქუდი, მიცვალებულთან მიიჭრა და აღრიალდა:

— ვაი შენი ცოდვა, შე უბედურო, შე შავ დღეზე გაჩენილო, ამ ბედის ყოფილხარ!

სისხლი კვლავ იქცეოდა მთლად დაჩეჩქვილი, ძვლებდამტვრეული სხეულიდან. ერთმა მუშამ ფრთხილად ახადა ფარაჯა. თავი გასრესილი ჰქონდა, ტვინი ტალახში აზელილი, ყბა ამოჩრილი, ტანისამოსი შემოხეული, გულ-მკერდი ჩატეხილი, შავი ხელები, მკლავები მიკეცილ-მოკეცილი. ერთი ხელი ამოთხრის დროს წერაქვით თუ ნიჩბით კინაღამ გადაეჭრათ, დროზე ვერ შეემჩნიათ.

— დააფარეთ მაგ საცოდავს, დააფარეთ! — ამბობდა შე-

წუხებული იასონი და თვალს არიდებდა დასახიჩრებულ გვამს.

ცოტა ხნის შემდეგ იასონმა ცალკე გაიხმო ყარამანი.

— აბა, შენ იცი, ხუთი თუმანი დასამარხავად გაუგზავნე ოჯახობას, ხუთი მანეთი კუბოს ფასად მიეცი. წამღებ მუშებს თითო თუმანი აჩუქე... ღამით წაიღონ, მაინცდამაინც ხალხს ნუ გააგებინებენ. ცოლ-შვილს შეუთვალე, ფულს კიდევ მოგცემენ-თქო, დაჭრილებიც ღამით გაგზავნე. აბა, შენ იცი, მარჯვეთ, თვარა დავიღუპებით! ქალაქში მე ვიცი, ბოქაული და მაზრის უფროსი ჩემზე იყოს.

მერე მივიდა დაჭრილ მუშებთან, რაღაც ყურში ჩაუჩურჩულა და ტკბილად გამოეთხოვა. სხვა მუშებსაც გამოელაპარაკა. ერთ მათგანს ხელში რაღაც ჩაუდო, სხვებზე ანიშნა და გზას გაუდგა.

VIII

იასონი თავის ბედაურზე გადამჯდარი ნელ-ნელა ეშვებოდა მთებიდან ქალაქში და რაც უფრო უკვირდებოდა დღევანდელ ამბავს, მით უფრო ცუდი გრძნობები იპყრობდნენ. განსაკუთრებით გაჭყლეტილი თავისა და ტალახში ალესილ ტვინის მოგონება აერეოლებდა და აფორიაქებდა მას.

გზა ახლაც არ იყო თავისუფალი: უკან იასონს ტვირთიანი ურმები და ცხენ-ჯორი მისდევდა, წინაც საპალნე დაცლილნი ეგებებოდნენ.

— გამარჯობა, ბატონო იასონ, გამარჯობა! — წამოიძახა ჩალავდარმა, რომელსაც პური მიჰქონდა მუშებისათვის.

— ბიჭოს, ვერ გიცანი, შე დაღუპულო! ეშმაკს გევხარ, ისე გაშავებულხარ. გაგიმარჯოს, ჩემო მიხო, გაგიმარჯოს! რამდენი გზა გააკეთე, ბიჭო, დღეს?

— ეს მეოთხეა, ბატონო. ერთს კიდევ მოვასწრებ...

— ივარგე, ივარგე, შვილო. სხვამ არ გაჯობოს! მადანი შავია, მაგრამ ოქროები ყვითელი იცის... გემრიელ პურს გაჭმევს, გემრიელს.

— იცოცხლე, ბატონო, იცოცხლე! შენი თავი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

მთებიდან ქალაქი ძლივს ჩანდა.

რკინიგზის სადგურთან მადნების შავი მთები იდგა, რომლებიც იასონს შორიდან ბოლით დაფარულ გორაკებად ეჩვენებოდა. ქალაქის ერთ მხარეზე მიმავალი მდინარის კალაპოტი თეთრი ქვით მოჭედილ შარაგზას ჰგავდა. იასონს ათასჯერ ენახა ეს სურათი და თავი მობეზრებული ჰქონდა. ძვირად თუ გაიხედავდა ქალაქისკენ. დაფიქრებული იკაფავდა ურმებში გზას და სანამ ენა არ დაღლოდა, ყველას გამარჯობას ეუბნებოდა. კარგი სალამიც ერთი საშუალებათაგანი იყო მუშების მოსამადლიერებლად.

ფერდობზე დაინახა ოცამდე მუშა. დაკეცილ გზის შუა საკლელი მოეჭრათ და ბილიკით ჩამოდიოდნენ. მუშებს სოფლელთა იერი ეკრათ. ჯერ კიდევ არ გაშავებულიყვნენ. იასონს ენიშნა მათი თეთრი სახეები, დახეთქილი ხელები, გაუმურავი ჩოხები, ფარაჯები, ხალათები, ყაბალახები, ნაბდის ქუდები, თავზე წაკრული პირსახოცები თუ ქალის თავსაფრები, იღლიაში ან წელზე საგზლები, ხელში კომბლები... „შეიძლება ჯერ არც დაუწყიათ მუშაობა და ჩემთან წავიყვანო," — გაიფიქრა იასონმა და ხელგაშლილად მიესალმა:

— გამარჯობა თქვენი, ვაჟკაცებო!

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ბატონო! იცოცხლეთ, ბატონო! გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

— ვისთან მიდიხართ, ბიჭებო? ხომ არავის დაქირავებიხართ?

— ჩვენა?.... ბატონო... იმასა, — დააპირა ერთმა პასუხის მიცემა, მაგრამ შეჩერდა, ამხანაგის დახმარება დასჭირდა. — რა გვარია, ბიჭო, ი ღდინძაღლი. ჩვენ რომ დაეექირავეთ?

— კოოობუდი.

— ხო... ეიღაც პუდაო, იმან დაგვიქირავა. აი, იმ ბიჭმა იცის.

— თქვე კურთხეულის შვილებო. ქართველები არა ხართ? ვიღაც გადამთიელს დაქირავებიხართ. სხვა კაცი ვერ ნახეთ? გიცნობს თუ იცნობთ? ტირილში გამოგადგებათ თუ ლხინში? მე შენ გეტყვი, შეგხვდება და გამარჯვებას გეტყვის! ხაზეინი მეიწვა თქვენთვის? ქართველი კაცის ფული თქვენთვის არ ფულობს? ეშმაკს უვარდებით ხელში? ვერ გიცვნიათ თქვენი სიხსლი და ხორცი?

— მეეე რა ვიცი, ბატონო... ეგრე კი ვქენით და... ბიჭოო!

ოქრუა, აქეთ მობრუნდი... ვის დაგვაქირავე, შე პირძაღლო? ცუდი ხაზეინის ხელში არ ჩაგვაგდო... თვარაა...

— მართლა, ბიჭო, ვის მიგვაქირავე, შე უღმერთო, ვის?!

მუშები მთის კალთაზე შეგროვდნენ. უცხოური ფირმის აგენტი კი უფრო დაწინაურებული იყო.

— პირობა პირობაა, შვილოსან! ბე მიღებული გაქვთ... წამოდი აქეთ!..

— რამდენი გაქვთ მიღებული? — ჰკითხა იასონმა.

— კაცზე ორი მანეთი.

— თერთმეტ აბაზს გაძლევთ. დაუბრუნეთ ფული, აბაზი ღმერთმა შეგარგოთ... ქართველი კაცი ვარ. შეგხვდებით. ყველაფერში გამოგადგებით, ჭირში და ლხინში თქვენი ვარ, მალაზიებიდან იაფ საქონელს მოგცემთ, რა დღესაც გინდათ, ხელფასში გაგისწორდებით. თქვენც გახეირებთ, ძმებო, და მეც ვიხეირებ. ერთმანეთი გავიტანოთ, სხვა ქვეყნის ხალხი უნდა მდიდრდებოდეს აქ და ჩვენ მშივრები ვიყოთ? იმათ თეთრი პური ჭამონ და თქვენ ცივი მჭადი? რას ყოყმანობთ? დაუბრუნეთ ბე... ააა... დამიჯერეთ!...

იასონმა ცხენს შემოკრა და ოქრუას მიუახლოვდა. რაღაც გადაულაპარაკა.

— მე რა მენაღვლება, მაგათი საქმეა.

— მე, ძმებო, ჩვენ კაცთან მირჩევნია სიკვდილიც და სიცოცხლეც, — დაიძახა ერთმა მუშამ, — რა ვიცი, ვინ არის ი გადამთიელი? ასე არაა, ძმებო?

— მარალია, მართალი, მართალი.

— ორი შაურიც მოდის, თერთმეტ აბაზ ნახევარი, — დაუმატა იასონმა.

ახლა ყველამ იგრიალა „მართალიაო“ და საქმეც გაიჩარხა.

— ხუთი მანეთი საჩუქარი ცოტაა, ბატონო, კიდევ დამიმატე ერთი ორი მანეთი, — ეჩურჩულებოდა ოქრუა იასონს.

— კი, მაგრამ... ქირას რამდენს გვაძლევს ეს კაცი? — იკითხა ხმამაღლა ერთმა მუშამ.

— რამდენსაც სხვას... მე ხომ არ დაგაკლებთ... ქართველ კაცს უღალატებ? მაშინ მიღალატოს მამაზეციერმა! ჩემს ძმას გავწირავ?

— ააა, გიშველოს ღმერთმა! კაცი შენ ყოფილხარ!

IX

— უი, ჩემს თვალებს, დიდი ბატონი მობრძანდება! — წამოიძახა სალომემ და ლოყა ჩამოიპოტნა, — გაუგია, ალბათ, იმ სულკატიანი ბესიკის დაჭერა.

მაია ფანჯარას მივარდა. თვალწინ დაეხატა მშვენიერ ცხენზე მჯდომი ახოვანი მოხუცი: თეთრი წვერით დაფარული გულმკერდი, განიერი ბეჭები, ამპარტავანი გამომეტყველება, ჩოხაზე გადაცმული ეპოლეტებიანი ცისფერი პალტო. თან მოსდევდა ჯორიანი კაცი. ხვირჯინები, ტიკჭორა, უწყვეტებით მიმაგრებული ფუთა. ხურჯინის თვალიდან თავამორგული ინდაური, გოჭის წითელი პოჭოკი, ტიკჭორის მასრა.

— მაინცადამაინც ამ ჩემს ქოხს უნდა მოაშუროს ამ წაწყმენდილმა, თითქოს მთელ ქალაქში სხვა არავინ ყავდეს, — ჩაილაპარაკა სალომემ.

— დაეფსოს სალომეს თვალები, — დაიწყო მანვე თავად ყაფლანის შეხვედრისას, — პირშავად გიხვდები მე უბედური, ვერ დაგახვედრე შენი ბესიკი... — და სალომე ტირილად გადაიქცა.

— შენი რა ბრალია, ჩემო სალომე! შენ ხომ არაფერი დაგიშავებია! თავის თავს დააბრალოს ჩემმა ვაჟმა ყველაფერი!

თავადი ჩამოხტა და ცხენი ჯორზე მჯდომ ბიჭს გადასცა. პალტო გაისწორა, კალთებზე მათრახი დაიკრა, დეზებიანი ჩექმები აარაჩხუნა და წვერები ჩამოივარცხნა.

— გამარჯობა, ჩემო სალომე, გამარჯობა, — სალომემ გამოწვდილ ხელს ორივე ხელი ჩაკიდა, გულში ჩაიკრა და ტუჩებისკენ ასწია. მაია შორიდან მიესალმა. ყაფლანმა მხოლოდ თვალი გადაავლო, სალამი კი არ მიუცია.

— ჩამოიღე, ბიჭო, ხურჯინები, რას უყურებ? ის ერთი ტიკჭორა ალმასხანას მიუტანე, ცხენი კარგად გამომიძღოს, თავლაში დააბას, ჯორი ცალკე დააბით, თვარა შეჭამენ ერთმანეთს... ხომ გესმის? შენც იქ დაწექი, საქონელს უდარაჯე. არავინ მოიპაროს, თვარა ცოცხალი არ გადამირჩები... ხომ კარგად გაიგონე?

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე...

— რას უყურებ, სალომე, აიტანე ეს ხურჯინები!

— საწყალი ბესიკი რომ იყოს, მაშინ...

— რატომაა საწყალი, რა უჭირს? ცუდ საქმეზე, ვიცი, არაფერზე დაიჭერდნენ და ვაუკაცობისათვის დაჭერა სახელიცაა...

ამ სიტყვებით თავადი ვიწრო კიბესთან მივიდა და სახლში შესვლა დააპირა.

— სალომე ჩემო, გამიძლებს ვითომ შენი კიბე? ხომ არ ჩატყდება?

— კი. შენი ჭირიმე, კი... სულ მაგ კიბეზე დაბრძანდებით და... მეტი ვერ გავაკეთე მე საწყალმა... იმ უბედურმა ჩემმა ქმარმა რომ დამიტოვა, მერე ვერაფერი შევიძინე.

— ბესიკს ვეტყოდი და გაგიკეთებდა. ხე-ტყის მეტი რა მაქვს! ეთქვა და ერთ ურემ ხეს გამოგიგზავნიდი... მეც არ მომგონებია, თვარა რა დიდი საქმე იყო.

ამ სიტყვებით თავადი კიბეზე ავიდა და მაიას ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა შენი! დაქალებულა შენი გოგო, ჩემო სალომე, ერთი წელია არ მინახავს!

ყაფლანი შევიდა ბესიკის ოთახში და ტახტზე ჩამოჯდა.

— დავიღალე კაცი, მოვხუცდი, ჩემო სალომე, მოვხუცდი...

— ჯერ... შორსაა, ბატონო, მოხუცობა... — სალომე და მაია ხურჯინებს ალაგებდნენ, თანაც ღიმილით ემუსაიფებოდნენ.

— ვითომ საწყალია ჩემი ბესიკი, სალომე? საწყალი ისაა, ვინც ის დაიჭირა. დედას ვუტირებ, ვინც იქნება! ჩემი შვილი ქურდი არ იყო და ყაჩაღი. ისიც მრწამს, რომ რუს ხელმწიფის წინააღმდეგი არ იქნება და, აბა, რატომ უნდა დაეჭირათ? მაგრამ, ვიცი, ვისი საქმეცაა, ამას ის ცხვირჩაჭყლეტილი მაზრის უფროსი მიზამდა. ერთი გავაგებინო გუბერნატორს, მთავარ მართებელს! მის ნებაზე რომ არ გავიარეთ მარშლის არჩევნების დროს, იმის სამაგიეროს მიხდის? დედას ვუტირებ, არ ეყოფილვარ თავადი ყაფლან კენიფნეველი, თუ მაგის გულისთვის ლუკმა არ დავუკარგე და ადგილიდან არ გამოვაგდებინო! მაგისთანა ბოსიაკები, მოთრეულები, გადამთიელები...

თავადი თანდათან ბრაზდებოდა და ხმას უმატებდა. ქალები კი სიხარულს ვერ მალავდნენ.

— მე იმპერატორ ხელმწიფისათვის ხელი ჩამომირთმევია,

ნამესტნიკ მიხეილთან ჩაი დამილევია, ნიკოლოზ მეფის გვირგვინის კურთხევას დავსწრებივარ... დიდ მთავარს ჩემი პურმარილი მიუღია!.. და დღეს ვიღაც ლოთმა ჩემი ბესიკი უნდა დამიტუსაღოს? აბა, ვნახოთ!..

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს... ღმერთმა...

კიდევ დიდხანს იქადნებოდა მოხუცი თავადი.

— შენ, გოგო, საწერ-კალამი გექნება, ნასწავლი ქალი ხარ, ერთი წერილი მინდა მივსწერო იასონ ბექაევას, — მიმართა ბოლოს თავადმა მაიას.

სურვილი მაშინვე აუსრულდა.

— სალომე, ამოიღე ხურჯინიდან ყველაფერი, ბესიკი თუ არ არის, შენ ჭამე, ყაფლანს მაგი არ დააკლდება.

მალე წერილი მზად იყო.

— პასუხი მომიტანე, სალომე! ისე არ წამოხვიდე.

— მალე გაათავისუფლეთ, ბატონო, ბესიკი, მალე, — ღიმილით უთხრა მაიამ ყაფლანს დედის წასვლის შემდეგ.

— კი, ლამაზო გოგო, კი... — ამაყად უპასუხა მოხუცმა, შემდეგ გაუღიმა, ბოდიში მოიხადა და ტახტზე წამოწვა.

სალომე მალე დაბრუნდა. თავადმა საპასუხო წერილი გახსნა და ასმანეთიანი ამოიღო. უცებ შეიჭმუხნა, ფული ოთხად გაფხრიწა, გადასცა სალომეს და უთხრა:

— წაუღე და მიარტყი თავში! მე ხუთი მივწერე და იგი ერთს მიგზავნის? მაგ კუბახი, მაგა! ვის გაუბედა, მაკე ღორს რომ დაგვანებია! ვინ ვგონივარ მე იმას?!

ნახევარი საათის შემდეგ სალომემ ხუთასი მანეთი მოიტანა.

„იშოვა ფულის სასესხებელი მიზეზი, — ფიქრობდა იასონი, — ბესიკის დაჭერა დაჯდება ფასად. მაგრამ არა უშავს! თუ ის მისი მადნიანი მამული გირაოდ ხელში არ ჩავიგდე, კაცი არ ვიქნები. ვნახოთ, ვინ მოიგებს“...

— დააწერეთ ექვსასი მანეთი, ხომ გესმის, ვალოდია?!

X

სადგურის დარბაზის ბნელ კუთხეში იასონ ბექაევა თავისი უფროსი ქალიშვილის საქმეს აჭახრაკებდა.

— შენ იცი, ჩემო ტარასი, როგორ დამიფაცურდები. საშაგიერო ჩემზე იყოს. გაგაკეთებ, იცოდე, გაგაკეთებ, სიღარიბიდან გამოგიყვან... ის ერთი შვილი დაჩაგრული მყავს, სიღარიბეში შეძენილია. უსწავლელი დამირჩა, სხვა შვილებმა აჯობეს. ისინი, ცოტა ხელი რომ მოვითბე, მერე გამიჩნდნენ... შენ რას დაგიმალავ, ყველაფერს გეტყვი. ნასწავლი არაა, თვარა ისე ადამიანი კი არა, ოქროა. ააშენებს ვის ოჯახშიც შევა... აბა, რა ჭრა-კერვა იცის, რა დიასახლისობა, სიტყვა-პასუხი, შეხვედრა! მერე რა ბუნჩულა ხასიათისაა... მზითვია, ძმაო, და იმდენს მივცემ, რომ დაჯდეს და ჭამოს... ფულად, ხორაგად... მერეც მისი ხელის შემწყობი ვიქნები... ოღონდ ღირსეულს მივათხოვო და...

ტარასის მარჯვენა ხელი სქელ წვერებში შეეყო და სალოკი თითით ნიკაპს ზანტად იფხანდა, მარცხენა სარტყელში გაეყარა, იასონს სახეში მისჩერებოდა და გულდასმით უსმენდა.

— იასონ; თქვენისთანა კაცისთვის მე, ხომ იცით, ცეცხლში ჩავდგები, თავს არ დავიზოგავ... ის სტუდენტი, მე რომ გეუბნები, სწორედ სათქვენოა. ღირსი კაცის შვილია, პატიოსანი. თქვენისთანა ფულიანი კაცი პირდაპირ მისწრება იქნება მისთვის. ორი წელიწადი უკლია გათავებას, არაფერში დასაწუნი არ არის, ოღონდ ესაა, რომ ღარიბია და საწყალი დედმამის შვილია.

— სიღარიბიდან მე გამოვიყვან, მომთხოვოს და მივცემ... რამდენსაც მეტყვის, უკან არ დავიხევ. ფულის ჭამის შნო ხომ აქვს?

— ჰო... იმას მოგახსენებდით... ყველაფრად კარგია, მაგრამ ის წყეული ბლაღოჩინი რაღაცას უნდა აპირებდეს...

— რომელი, ჩვენი ბლაღოჩინი? მელიტონი?

— დიახ, ბატონო! ის სტუდენტი და მისი ქალიშვილი ხშირად ერთად არიან, ამბობენ, ბლაღოჩინს უნდა სასიძოდ, მაგრამ ფული არა აქვსო.

— ბევრი უთხოვია?

— სამი ათასი, ეს ერთი კვირაა ბლაღოჩინი გადარეულივით დარბის ფულის სასესხებლად, გუშინ თფილისში გაიქცა.

— ორი იმდენს მე მივცემ... სამი იმდენს მივცემ, ჩემო ტარასი, ოღონდ, ოღონდ...

— ბიჭი ახალგაზრდაა და ვაი, რომ... რაიმე მიზეზი დაგვდოს... ბლაღოჩინის გოგო სულ ახლად გაშლილი კოკორია...

— ბებერი არც ჩემი შვილია, შე კაი კაცო, სულ დიდიდიდი ოცდარვა წლის გამოვა...

კიდევ დიდხანს იჩურჩულეს, გვიან მატარებელიც ჩამოდგა, იასონმა თავისი კუპე მონახა და თავისუფლად მოიკალათა, ძილისათვის მოემზადა.

— თავისუფალი ადგილი თუ არის? — იკითხა ამ დროს ვილაცამ და კუპეში თავი შემოყო.

— არ არის, მთელი კუპე მაქვს დაქირავებული, — იყო პასუხი.

— იასონი ბრძანდებით? გამარჯობათ, ბატონო იასონ? საით გაგიწევიათ?

ეს იყო მადნის სამრეწველო რაიონის ბოქაული, რომელსაც თან ორი პოლიციელი ახლდა.

— მობრძანდით, კნიაზ სილოვან!.. თქვენთვის ყველაფერია!.. მოდით, თავისუფლად მოისვენეთ... თუ გიყვარდე, თუ ჩემი ძმა იყოთ!...

— გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო! ისე ვთქვი, თორემ ადგილი უკვე ვიშოვე. არ შეგაწუხებთ, თქვენ მოთავსდით, — უპასუხა სარივით აწოწილმა კაცმა, რომელიც სინამდვილეში ერთი წვრილფეხა, ერთ დროს კისრამდე ვალებში ჩაფლული აზნაური იყო. ქალაქში „კნიაზად“ ადიდებდნენ და არც ის იყო უარს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ადგილას მშიერი კუჭი გამოიძღო. ახლა ვერც კი შეატყობდით, რა ადგილს ერტყა ქამარი. ეცვა მოკლე ჩოხა ეპოლეტებით და აზიური ფეხსაცმელები, ხელში მუდამ მათრახი ეჭირა. აწკიპარტებული ულვაშები და მუშტის სიმსხო თავი ჰქონდა. მარჯვენა ყური ერთ „ბრძოლაში“ დასტოვა სამიკიტნოს კარებთან. ამ ნაკლის დასაფარად ქუდი მუდამ განზე ჰქონდა მოქცეული. გლეხები „უყურო ძაღლს“ ეძახდნენ.

ბოქაული ცოტა ხნით შემოვიდა იასონთან, დაძინება კი სხვა კუპეში ამჯობინა.

— შე ეშმაკო, შენა! ალბათ, ვილაცა გყავს იქ, თვარა ასეთ კუპეს კაცი დაიწუნებს?! — სიცილით უთხრა იასონმა.

— სასწავლებლის გამგე მოდის, ბატონო იასონ, აი, სქელი ქალი რომ არის...

— ააა.., ააა... ახლა კი მესმის... მესმის... ხა... ხა... ხა... იმიტომ ხარ აგრე განაზებული, არა? ხა... ხა... ხა...

იასონმა რამდენიმეჯერ დაკრა ბეჭებზე ხელი სილოვანს, ხოლო მისი მსუქანი ტანი ისე ათამაშდა, როგორც ნახევრად სავსე რუმბი ურემზე.

— მარტო არაა, შე ოხერო, ორი კიდევ ახლავს...

— მერე და აგერ მოიყვანე მაგ გვრიტები... შერცხვენილი ვიყო, თუ ერთი წლის ჯამაგირი არ მივცე... სიღარიბიდან გამოვიყვან... ორივეს... იმ ბავშვებს რომ აკვდებიან, ის არ ჯობს, ერთ ღამეში გამდიდრდნენ!

იასონს უნდოდა გაეგო, იცოდა თუ არა რაიმე ბოქაულმა მის მაღაროში მომხდარი უბედურების შესახებ, ამიტომ საუბრის თემა სწრაფად შესცვალა, რამდენიმე შორეული კითხვა დაუსვა, ხოლო როცა დარწმუნდა, რომ ბოქაულმა არაფერი იცოდა, დამშვიდდა.

ბოქაულის წასვლის შემდეგ ამსუნაგებულ იასონის თვალებს კარგა ხანს ძილი არ მიკარებია, იგი გეგმებს ადგენდა სკოლის გამგე ქალის მახეში გასაბმელად. დილით ადრე ადგა და მანამ არ მოისვენა, სანამ ის ქალი თავის კუპეში არ გადმოიყვანა „უკეთ მოსასვენებლად“.

— სასწავლებლისთვის ფულის შეწევას რომ სთხოვდით, ახლა მოელაპარაკეთო, — ურჩია ჩურჩულით სილოვანმა ქალს. ამ ქალმაც მშვენივრად ისარგებლა ამ რჩევით. მერე კუპე შიგნიდან ჩაიკეტა, იასონი კი დერეფანში დატოვა.

ჩაიარა ყველაფერმა, ჩაიშალა გეგმა, იასონი ცხრა საათამდე დერეფანში ყურყუტობდა, მარტო ბოქაულის დაცინვას ვერ გაუძლო, თორემ სხვას არაფერს დაეძებდა. მასწავლებელი ქალებიც არ აკლებდნენ თავშეკავებულ ღიმილს. იასონი კი კბილებს აკრაჭუნებდა და სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა.

XI

— შემოიტანე, ბიჭო, ბარგი! — უბრძანა იასონმა სასტუმროს მოსამსახურეს, რომელიც თვალის დახამხამებაში ორი დიდი ჩემოდნით გვერდით ამოუდგა კიბეზე მიმავალ იასონს.

— მეეტლე გასტუმრებულია, ბატონო?

იასონმა პასუხი არ გასცა.

მან ერთ-ერთი ოთახის კარებზე გაკრულ შავ დაფაზე თავისი სახელი და გვარი ამოიკითხა.

— შეიტანე, ბიჭო, ამ ნომერში!

— იასონი მობრძანებულა? სალამი, ბატონ იასონს! გამარჯობა, პატივცემულ იასონს! როდის ჩამობრძანებულხართ? ხომ არ დაიღალეთ? როგორ გეძინათ? — ეკითხებიან ლაქიები, მენომრეები, სასტუმროს პატრონი.

იასონი დინჯად შევიდა მშვენიერ ნომერში და ზანტად წამოწვა. ორ-სამ კითხვაზე გასცა პასუხი. ყველამ იგრძნო, რომ იასონს მოსვენება უნდოდა.

— ტანთ გახადეთ ბატონ იასონს! დაბანინეთ ტანი! მზად არის ხომ წყალი?

რამდენიმე წამის შემდეგ იასონი აბაზანას იღებდა; მსახურები თავს ევლებოდნენ, ათასნაირი სურნელოვანი საპონი მოართვეს.

— საცვლები ჩემოდანშია! — ბრძანა მან.

იასონი თვალებმინაბვით სუნთქავს, ნებივრობს, ზანტად მოძრაობს, მოკლედ ლაპარაკობს, სიტყვა-ძვირობს, ათ შეკითხვაზე ერთ პასუხს აძლევს. სწყინს, რომ უწინდებურად ქალებმა არ დაბანეს, არ მოსწონს ეს ცვლილება. სქელ მუცელზე ზარმაცად ისვამს ხელს, ბალნით შემოსილ გულმკერდსაც არ ივიწყებს, ხშირ-ხშირად სარკისკენ იყურება, მოსწონს თავისი სხეულის სითეთრე და ნაკვთიანობა.

ზეწარმოსხმული მართლმორწმუნე არაბივით შემოდის ნომერში, ზანტად წამოწვა, ფარჩის საბანში გაეხვია, და უბრძანა — მარტო დამტოვეთო. ძილს მისცა თავი. მაგრამ უცებ შეშფოთდა და წამოიწია — შავტალახად ქცეული გურამას ტვინი მოაგონდა; მაღაროს კედლებში წერაქვით შემჯდარი მგლისთვალებიანი მუშაც თვალწინ დაუდგა.

ვეებერთელა ძვირფას სარკეში იასონმა თავისი თავი და ლოგინი დაინახა. არ ეამა, რომ მთელი საწოლის სიგრძეზე ვერ გაეჭიმა ფეხები. „ნეტავი სილოვან ბოქაულის სიმაღლე მომცა და მეტი არაფერი მინდა“, — გაიფიქრა და ნომრის ძვირფას მორთულობას თვალიერება დაუწყო. ნამდვილად სა-

მეფოდ იყო მოწყობილი; ნოხები, ხავერდიანი დგამი, შეფარ-ჩული კედლები, სარკეები, ფინჯნები, ქანდაკებები, ყავი-ლები, სურათები, მოცეკვავე შიშველი ქალებით, ამურებით და ფერიებით; მარმარილოს პირსაბანი, მორთული მაგიდები, ძვირფასი სერვიზი...

იასონს კიდევ მოაგონდა გურამას ტვინი და ის მუშა... ბო-ლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. არც ერთ ფაშას არ უძინია ქვეყა-ნაზე ასე ტკბილად; არც ერთ ხონთქარს არ მოუსვენია ასე უზრუნველად.

ძილის შემდეგ იასონი კარგა ხანს შესცქეროდა ერთ წერ-ტილს. „რა მიქნა იმ ქალმა ეს?! — გაიფიქრა მან.

დერეფანში ზარის ხმა გაისმა. მსახურები იასონის ნომრის კარებს მოასკდნენ.

— პირი დამაბანიეთ და დალაქი მომიყვანეთ! — ბრძანა იასონმა.

— ახლავე, ბატონო!

მსწრაფლ შემოვიდა თეთრად ჩაცმული ორი ქალიშვილი. იასონი წარბშეკრულია, არ ჩქარობს, ზანტად მოძრაობს, ქა-ლებს ყურადღებას არ აქცევს.

— შენ ტანისამოსი გამიმზადე! — უბრძანა ერთს, ნაკ-ლებ სახიერს.

იასონი და მეორე ქალი პირსაბანთან მარტო დარჩნენ. ია-სონი ახლა ავხორცმა ზრახვამ შეიპყრო.

— შენ კი გენაცვალე, რავა ფუნჩულა პურს გავხარ! — ჩაულაპარაკა ქალს.

ქალი შეკრთა, უკან დაიწია და წყრომით ჩაილაპარაკა:

— როგორ გეკადრებათ!

იასონმა მყისვე სერიოზული სახე მიიღო, გამოწვდილი პირ-სახოცი სოველ ხელებზე გადაიფარა და პირის შემშრალება იწყო.

დალაქი დიდხანს დასტრიალებდა თავს, ფრთხილად პარ-საედა.

ცოტა ხანში ორი ქალი მეფურად რთავდა იასონს. უცხო-ეთში დამზადებული აბრეშუმის ახალუხი, ურბილესი მატყ-ლის ჩოხა, მოჭედილი ქილები და ქამარ-ხანჯალი მიართვეს. იასონმა ღილებზე ზანტად ხელები ჩამოისვა, სარკის წინ და-

ტრიალდა, ულვაშები აიგრიხა. ლამაზ კაცად ეჩვენა თავისი თავი. კმაყოფილი იყო.

ჯიბეს ხელი გაიკრა და დიდი ბღუჯა ოქროს ფული ამოიღო: ხუთმანეთიანები, თუმნიანები, ხუთმეტმანეთიანები. ერთი ხუთმანეთიანი დალაქს გადაუგდო. კიდევ ამოიღო მეორე ბღუჯა და მაგიდაზე დაყარა. რამდენიმე ოქრო ძირს გადმოვარდა, მსახურმა ქალებმა დიდის ამბით მონახეს და მიართვეს. ერთ ოქროს ხელი აკრა და „თქვენი იყოსო" თქვა. ოქრო ძირს დავარდა, ხუთმანეთიანი აღმოჩნდა.

იასონი მარტო დარჩა, კვლავ დარეკა ზარი და მსახურს უბრძანა:

— სასმელები, სადილი, ქალები!

ელვის სისწრაფით იწყობა მაგიდა. ლაქიები ნემსებივით დაძვრებიან... ჩურჩული, სწრაფი განკარგულებები, მითითება, ბრძანება, იასონი ორ ქალს შუა ჩაჯდა და მასლაათობს, ართობს, დიდი ხნის ნაცნობებს გვანან. ერთმანეთის ნახვა მოწყურებიათ; სურნელოვანი წყლით გააბრუეს სასურველი მასპინძელი, დარბაისლურად ემუსაიფებიან, მაგრამ არადარბაისლურად ეთამაშებიან.

— ნახევარი საათის შემდეგ გამოუძახეთ სიმონს, ანტონს, ნიკოშას. მონახეთ რამენაირად ჩვენი ბოქაული კნიაზ სილოვანი! — ბრძანა იასონმა.

XII

ორი საათის შემდეგ დიდი ამბავი იყო იასონის ნომერში: სიმღერა, ცეკვა, ქეიფი, შამპანიურის ღვარი, ღვინის ნაკადულები. ტკბილი სასმელების ტბები, ჭიქა-თეფშის მსხვრევა, რევოლვერების სროლა და ქალების წივილ-კივილი, კოცნა, კიდევ კოცნა, ისევ ცეკვა, დოლი, მუსიკა, არღანი, ვეებერთელა ქნარი... კინტოების შარვალის ფარფალი, ქუდების ჰაერში სროლა, ბუქნა, წელის რხევა, უზუნდარა, ლეკური, კინტოური...

— გაიწიეთ, კედლებო! აიწიე, სახურავო! გენაცვალეთ! შემოგევლეთ! იასონი ქეიფობს, იასონი ღრეობს! იასონი დროს ატარებს! გაიგეთ ყველამ, ყველამ, ყველამ! დიდმა, პატარამ, კაცმა, ქალმა! დაჰკა, დაჰკა, მეზურნეე, მე გახლავართ იასონ ბეჟავა, მე... მე... მე...

კვლავ ღვინის ღვარი, შამპანიური, ტკბილი სასმელები.

— აბა, მამაკაცები მარჯვნივ, დედაკაცები მარცხნივ; იასონს ასე სურს. იასონს ასე უნდა! აბა! მალე!

ბანცალობს, თვალები ამღვრეული აქვს, ლოყები წითლად ულაპლაპებს.

— ქალებო, გაშიშვლდით! იასონს ასე სურს, იასონს ასე უნდა! მალე, მალე, თორემ დაგხოცეთ! სადაა ჩემი ხანჯალი, რევოლვერი...

ათი ქალი ტანზე იხდის, შვიდი მამაკაცი ტაშს უკრავს... იასონი ხტის, აღტაცებულია, ხან ერთ ქალს მივარდება, ხან მეორეს. ტანსაცმელს ხდის, ახევს...

— აბა!.. ფრონტში!.. შეს-დე-ქით, შიშვლებო და ტიტვლებო! ახლა, აბა, იცეკვეთ, სულებო, იცეკვეთ გულებო, იცეკვეთ, ლამაზებო! თავს შემოივლეთ იასონი. ინაცვალეთ იასონი, აბა, ზურნა, დოლი, დიპლიპიტო!

დაიწყო შიშველ სხეულთა ხტუნვა, გრეხა, კივილი, წივილი... ხვევნა, კოცნა, ღრიანცელი, ხარხარი, ხელების ფოთიალი.

— თქვენი ჭირიმე, ჩემო მცხონებლებო, ჩემო მტრედებო, გვრიტებო, თქვენი ჭირიმე! — ნეტარობდა იასონი.

— სმენა და გაგონება! — უცებ აყვირდა სარივით აწვდილი სილოვან ბოქაული. — სმენა იყოს, სმენა! მიჩვენეთ ყველაზე ლამაზი, შევსვათ მისი სადღეგრძელო... მე ვასახელებ სონიას... შენ ვის?

— მეეეც... მეეეც... პირიც ლამაზი აქვს და ტანიც... სონია... სონია!

ყველამ იცის, რომ სილოვანი რაღაც საინტერესოს მოახდენს. შეჩერდნენ. უსმენენ, თუმცა ძლივს იმაგრებენ თავს.

— თქვენი ფეხსაცმელი, მშვენიერო სონია!

სწრაფად მიართვა თავისი ფეხსაცმელები გაშიშვლებულმა სონიამ... სილოვანმა შამპანიურით აავსო ერთი ფეხსაცმელი და გაბრტყელებული სიტყვის შემდეგ სონიას სადღეგრძელო მიირთვა. მეორე ფეხსაცმელი მადერით აავსო და ის იყო უნდა დაეცალა, რომ მეტად აღტაცებულმა იასონმა ხელი აუკრა და სასმელი ზედ ცხვირპირში შეასხა. ატყდა ხარხარი, იასო-

ნის რაინდობა შეაქეს... ამას მოყვა ისევ კოცნა, ხვევნა, ავხორ-ცობა, სანთლების ჩაქრობა, ჭურჭლის ტეხა...

სამი დღე გაგრძელდა იასონის ქეიფი. ვინ არ მოიწვია, ვინ არ დაათრო, ვაჭარი, მრეწველი, პოლიციელი, მოხელე, ტფილისელები, მადნის ქალაქიდან ჩამოსულები... გაყრუვდა ორთაჭალის ბაღები, გაითელა დიდუბე. დაქრიან ეტლები. იფანტება ოქროს ხუთიანები, თუმნიანები.

— ჩვენი მღვდელი, ჩვენი ბლაღოჩინი! — აყვირდა ერთხელ გაფრენილ ეტლში სილოვანი, — მოიყვანეთ, მაჩვენეთ, მისი კურთხევის ჭირიმე! შუა ქუჩაში აუარებელი ხალხის წინ მთვრალებმა დაავლეს ხელი ოქროსჯვრიან ბლაღოჩინს და ეტლისკენ გააქანეს.

— მამა და შვილი, რას მიშვებით? რას მიპირებთ? ნუ გამაბახებთ, ნუ შემარცხვენთ, არ შემშვენის... არ მეკადრება...

ვის ესმის მისი თხოვნა?! ეტლში ჩაიგდეს და გააქანეს.

მღვდელი თავს იკლავს, უარზეა, არაფერს ხელს არ მოკიდებს, არც სასმელს, არც საჭმელს.

— ეპისკოპოსი გამიგებს... ეგზარხოსი შემიტყობს... სხვა დროს... მეორე... სულს ნუ წამაწყმედიებთ... არ მეკადრება, ვერ ვიზამ... — იძახის წამდაუწუმ.

— გიცნობთ, რაც შვილი ხართ, გიცნობთ... ძველი ავარა ხარ... არც ახლა აკლებ ხელს... ხა... ხა... ხა...

რაკი ვერაფერი გააწყვეს, ბოქაულ სილოვანის წინადადებით ხუცესი ცალკე ოთახში დასვეს. შეუგზავნეს სასმელი და საჭმელი, თანაც ასტუმრეს ორი ნახევრად შიშველი ქალი. მღვდელი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გაქცევა დააპირა, მაგრამ კარები გამოუკეტეს და მეორე დღემდე ცის სინათლე არ აჩვენეს.

მოქეიფეებმა შეიტყვეს, რომ მათი მაზრის უფროსიც აქ იყო. მისი მოპატიჟება თავს იდო ორმა მაზრაში ცნობილმა პირმა. — დავალება მალე მოიყვანეს სისრულეშიც. მოქეიფეთა რიცხვი გაიზარდა, გაორდა. იასონი თავბრუდასხმულია, ანგრევს ყველაფერს.

— მიირთვით, იქეიფეთ!... ჩვენს ქვეყანაში ნაპოვნი ფულია! თქვენს მაზრაში მიშოვია, ბატონო მაზრის უფროსო, თქვენო მაღალ კე...თილშობილებავ! ვენაცვალე მადანის ქა-

ლაქს. რა გემრიელი ფული იმან იცის, ტყვილა, რომ ქვას ფეხი წამოკრა, ოქროს ააგორებ... თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალეთ!.. თავადო, აზნაურო, მღვდელო, ბერო, ბოქაულო, მაზრის უფროსო!... თქვენს თვალწინ შიშოვია ეს ფულები და თქვენ შეჭამეთ!... თქვენს ეზოში თქვენს მიწაწყალზე! ვენაცვალე იმას, ვინც პირველად ბარი დაჰკრა ჩვენს ქალაქს, ჩვენს მადნებს... გაუმარჯოს იმას!.. გაუმარჯოს იასონ ბეჟავას!... გაუმარჯოს ჩვენს კამპანიას!.. ურაააა!..

XIII

იასაონს აცნობეს, რომ თავადი ყაფლან კვენიფნეველიც ჩამობრძანდა ბესიკის საქმეზე და მოვიპატიჟოთო. ერთი საათის შემდეგ დიდი ბატონიც იქ იყო. მაგრამ რაკი მაზრის უფროსი აქ ნახა, გაწყრა, ერთი-ორი შეიგინა და არ ჭოიცადა: „მაგისთანა ბოსიაკებთან პურის ჭამას როგორ ვიკადრებო“.

თავადმა ყაფლანმა მაზრის უფროსი მადნის ქალაქშივე ინახულა. უფროსმა დიდის მოწიწებით მიიღო თავადი და მაშინვე მიუსამძიმრა შვილის დატუსაღება. მერე თავადაზნაურობის სამაზრო არჩევნებზე და მის მიღწევებზე ელაპარაკა.

— ხელმწიფე იმპერატორი თავადობისა და აზნაურობის იმედით მეფობს... თქვენ მისი დასაყრდენი ხართ... ქართველმა ბრწყინვალე წოდებამ კარგად უნდა შეიგნოს ეს... მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდის ნდობით გიყურებთ თქვენ... და ეს ნდობა... ეს ნდობა ღირსეული კაცის არჩევით უნდა გაამართლოთ! — ანიგებდა მაზრის უფროსი ყაფლანს, რომელიც მედიდურად იჯდა.

უფროსმა ბევრი იჭარტალა, ყაფლანს კი ხმა არ გაუღია. ამაოდ ელოდა უფროსი მის ამეტყველებას.

— მიირთვით პაპიროსი, თავადო! დიახ, იმას მოგახსენებდით, ჩვენს იმპერატორს ძალიან უყვარს ერთგული ხალხი, განსაკუთრებით თქვენისთანა მოხუცები... ახალგაზრდობაში თუმცა აგერ-ეგერ გვხვდებიან ჩვეულებრივ უნიადაგო მეოცნებენი, მაგრამ... ეს ყველაფერი სიყმაწვილის ბრალია... ხე... ხე... ხე... დაუდეგლობის, გამოუცდელობის... სამაგიეროდ თქვენ, მოხუცებულნი და ხანში შესულნი... დიახ, გამობრძმედილნი და ბევრის მომსწრენი მტკიცე ყავარჯენით ამოუდგებით ჩვენს სახელოვან მეფეს...

— ჩვენ, ჩვენს ნასახელევ მაზრას, თქვენს მობრძანებამდისაც მრავალჯერ აურჩევია თავისი მარშალი და არასოდეს ულირსი პირი არ წამოგვიყენებია, — გააღო ბაგენი ყაფლანმა, — არც დღეს ვიზამთ რუს ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმეს... ჩვენ არ გვჭირდება სხვისი დარიგება.

— ბოდიშს ვიხდი, თავადო, თუ ჩემი სიტყვები დარიგებად მიიღეთ.

— თავადი ყაფლან კენიფნეველი არზრუმში არ ყოფილა, მაგრამ აზრი კი აქვს, ნალაპარაკევს მიხვდება და გაიგებს... მაგეებს თავი დავანებოთ!... თქვენ ეს მითხარით, რატომ დაატუსაღეთ ჩემი შვილი? ვინ შემკადრა მე ეს ამბავი?!

— ეს უჩემოდ მოხდა, თავადო, მე... მე... სრულებითაც არ ვიცოდი. პირდაპირ ტფილისიდან მოვიდა ჟანდარმთა როტმისტრი და მიბრძანეს, წამოდითო. არც ვიცოდი, თქვენო ბრწყინვალებავ, სად მივყავდი... გაძლევთ პატიოსან სიტყვას...

— როგორ დავიჯერო?

— პატიოსანი სიტყვა, ღმერთს გეფიცებით, თავადო... ჩემს აღმატებულებას თავდებად გაძლევთ, თავადო!

— ჩემს შვილს, თავად ყაფლანის შვილს ქურდობაში, ავაზაკობაში, ცუდკაცობაში ვერავინ დაიჭერდა.

— თავადი და მაგისთანობა როგორ შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ხომ გლეხი არა ხართ, ასეთი საქმე: გლეხებს შეშვენის... გლეხებს, დიახ... გლეხებს კი თქვენ მიუძღვით, თქვენ აჩვენებთ გზას...

ჩვენმა იმპერატორმა ხელმწიფემ გლეხობა თქვენ ჩაგაბარათ მოსავლელად და საპატრონოდ... გლეხის მწყემსი და პატრონი თქვენ ხართ...

— ეგ მე ისედაც ვიცოდი, — შეაწყვეტინა თავადმა, — თქვენ ეს მითხარით, რაში დებთ ჩემს შვილს ბრალს?

—მე არაფერში, თავადო! მე... მე... შეიძლება კიდეც მომხვდეს მაგის გულისთვის...

— რომ დაიჭირე, იმიტომ არა? ეს მეც ვიცი, ასე იქნება.

— არა, თავადო ყაფლან, არა? შეიძლება იმიტომ მომხვდეს, რომ დროზე არ დავატუსაღე და ტფილისზე ადრე მე, მაზრის ბატონ-პატრონმა და თავმა არ ვიცოდი, რა ყოფაქცევის კაცი მყავდა ცხვირის წინ...

— როგორ თუ ყოფაქცევის?! — გაწყრა ყაფლანი. — ჩემს შვილს, ბრწყინვალე თავადის ძეს, თქვენ... თქვენ... უწუნებთ ყოფაქცევას?!

თავადი ადგა, ცეცხლი დაკვესა, ჩექმები ააბრახუნა, სკამი განზე გასწია.

— თქვენი შვილი პოლიტიკური დამნაშაეეა! — მიახალა უფროსმა.

— როგორ? ეს რა მესმის?... ამას ვის უბედავთ! მაშ ჩემი გაზრდილი შვილი ხელმწიფის წინააღმდეგია?! მე თქვენ არ გაპატიებთ მაგ ცილისწამებას! მე თქვენ... მე თქვენ... თქვენ...

ყაფლანმა კარები გამოიხურა და გაბრაზებული, კბილების კრაჭუნით, მუქარითა და გინებით დაეშვა კიბეებზე.

ამიტომ იყო, რომ თავად ყაფლანს დღეს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო იასონ ბეჟავას ქეიფში და მაზრის უფროსთან ერთად ეჭამა პური. ის გამწყრალი განშორდა მოქეიფეთ და პირდაპირ თავად ფრიდონთან წავიდა.

თავადი ფრიდონი სასამართლოდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. მისმა მეუღლემ დიდის პატივისცემით მიიღო ყაფლანი და სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა. ყაფლანმა ყურადღებით დაათვალიერა დარბაზის მდიდრული მორთულობა: ნოხები, ხალიჩები, ძვირფასი მაგიდები, ქართული მოღვაწეებისა და მწერლების სურათებით შეფარული კედლები. შოთა, აკაკი, ილია... თამარ მეფე, ერეკლე, ალექსანდრე ბატონიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გიორგი საakაძე... აქვე ყანწები, კულა, აზარფეშა, ჯიხვის რქა, ირმის რქები...

— ნამდვილი ქართველია, ნამდვილი ქართველი! აი გიდი ფრიდონ! ვენაცვალე შენს მამულისშვილობას! სწორედ სასახელო ქმარი გყავს, კნეინა თეოლინა, სწორედ! თქვენც რომ ნამდვილი ქართველი ქალი ბრძანდებით!.

ჩიხტი-კოპი, ლეჩაქი, წინ ჩამოშვებული ორი გრძელი ზოლი, გრძელი კაბა, წელში გამოჭირებული, გულისპირი —ოქრომკედით მორთული.

— აბა, ვინ ვიქნები, თავადო ყაფლან, თუ არა ქართველი ქალი.

ამას მოყვა მოკითხვა, ბესიკის ამბავის თხრობა, წუხილი, ოხვრა, იმედები.

— ოო, თავად ყაფლანს ვახლავარ, თავად ყაფლანს! ჩემი სალამი! ჩემი გამარჯობა! ნამდვილ ქართველს, ჩვენი ერის ბურჯს, მამულის ერთგულს, საქართველოს სასახელო შვილს...

კიდევ რაღაცეებს დაუმატებდა ფრიდონი, რომ ამ დროს ყაფლანი არ გადახვეოდა და მისდა საქებრად გამზადებული ტუჩები არ გადაეკოცნა.

სასურველი სტუმრით გახარებულმა ფრიდონმა პალტო გაიხადა, პორტფელი განზე გადაისროლა, ახლა თავის წილ გადაკოცნა თავადი და დაიწყეს მოკითხვები — მილოცვები.

ლამაზი, ხუჭუჭთმიანი, შუაკაცობამდე მიღწეული ფრიდონი დაუსრულებელ კითხვებად გადაიქცა.

— შენი გულის დარდები კარგად ვიცი, ჩემო ყაფლან, — უთხრა მან, — ბესიკი დაგვიტუსაღეს... მამა ხარ, დარდით იქნები შეპყრობილი. მაგრამ... რას იზამ... „ჭირსა შიგან გამაგრება ისე გშვენის, ვით ქვითკირსაო“, ასე გვასწავლის ქართველებს შოთა... სიმაგრე გვმართებს საქართველოს გულისათვის... ქართველი ერის გულისათვის... არა, თავისებური კაცი კი არის ჩვენი ბესიკი.

ყაფლანი გაკვირვებით უსმენდა ფრიდონს, ბევრი რამ ამ სიტყვებიდან მისთვის ახალი იყო.

— მაგრამ... არა უშავს, ქართველი ინტელიგენცია თავის ერს არ შეარცხვენს... ჩვენ შევთანხმდებით... ვიდავებთ და მერე ერთად ვივლით... ასეთია საერთო წესი...

ყაფლანს კიდევ უფრო გაუკვირდა, მიხვდა, რომ ბესიკი რაღაც ძნელ საქმისათვის იყო დატუსაღებული.

— ჩემო ფრიდონ, — დაიწყო მან, — შენ ვექილი ხარ და ყველაფერი იცი. ეგება თავდებია საჭირო, რომ გამოუშვან... ან ქრთამის გაღება... დავხარჯოთ, გამოვიხსნათ...

— ჟანდარმერიასთან არაფერი არ გავა... ეს პოლიტიკური საქმეა...

ყაფლანი ზეზე წამოიჭრა.

— მაშ, მაზრის უფროსი მართალი იყო? ფრიდონ, ნუ დამიმალავ, მითხარი, ჩემი შვილი ხელმწიფის წინააღმდეგ მიდის?!

ფრიდონი მოხუცს შეაჩერდა, გაუკვირდა მისი კითხვა და ხმადაბლა უპასუხა:

— რასაკვირველია, მიდის... ჩვენ არც ერთს არ გვიყვარს რუსეთის... მეფე...

ეს სიტყვები არ დაესრულებია ფრიდონს, რომ ყაფლანი მოიკეცა, მოეშვა, დაპატარავდა, დაჩიავდა... მეტი ხმა არ გაუღია მას, ენა ჩაუვარდა. ხელები დასცვივდა. ფეხები მოეჭრა.

XIV

ფრიდონმა ბესიკის დატუსაღება მეორე დღესვე შეიტყო. ყაფლანის ჩამოსვლამდე მან ყველაფერი გამოიკითხა და გაიგო. ინტელიგენტურ წრეებში დატუსაღების ამბავი იუცხოვეს, მაგრამ თანაგრძნობა მაინც ძალიან სუსტი იყო. ზოგიერთები ჩურჩულითაც კი გადასცემდნენ ერთმანეთს ამ ამბავს, შეშინდნენ.

— არ ასვენებენ ქართველ ინტელიგენციას, რა უნდათ ჩვენგან, ვინ რას ვუშავებთ?! — ამბობდა შეშფოთებული ფრიდონი. — ჩვენ მამების ხაზს არ უხვევთ, არავის არ ვაწყენინებთ... არაფერ საწინააღმდეგოს არ ვაკეთებთ...

— საქმეც მაგაშია, — ეუბნებოდა ახლო მეგობარი, — ჩვენი თავადაზნაურობა, ჩვენი ინტელიგენცია მუდამ უქვეშევრდომილესი გრძნობებით ვიყავით და ვართ აღფურვილნი, მაგრამ რუსის ბიუროკრატიის გული მაინც ვერ მოვიმადლიერეთ... ეს სულ აქაური მოხელეების ბრალია... მეფის ყურამდე რომ იყოს მისული ჩვენი ამბავი, რას ამბობ? აგრე როგორ დაგვჩაგრავდნენ... ამიტომაც გვჭირდება ჩვენ რუსული გაზეთი, ვამბობ და არ მიჯერით, პირდაპირ მეფე და მინისტრები წაიკითხავენ, გადაუთარგმნელად, გადაუმახინჯებლად, გადაუკეთებლად...

— არა, მართალი თუ გინდათ გითხრათ, — ამბობდა მესამე, — ბესიკს და მის თანამოაზრე ინტელიგენტებს არაფერი კავშირი არ აქვთ ქართველ ინტელიგენციასთან... სად ჩვენ და სად ისინი? ჩვენი გზა ერთია, იმათი მეორე... შავი ხალხით უნდათ საქართველოს გაბედნიერება და განთავისუფლება.

— დასელები არიან, ძმაო, გიორგი წერეთლის წიწილები... განა არ გახსოვს?

ეს აზრი თითქმის საერთო იყო ფრიდონის წრისათვის. ფრიდონს მაინც აწუხებდა ბესიკის, როგორც ახლო ნათესავის, დატუსაღება, თუმცა მეგობრებმა აშკარად აგრძნობინეს — თავს ნუ იწუხებო:

— რამდენი მალე მოგვაშორებენ მაგისთანა პირებს, იმდენი უკეთესი იქნება. მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ჩვენ არც გვინდოდა... თუ გნებავთ, არც შეგვიძლია... ღმერთმა ნუ ქნას, რომ პატიოსანი ქართველი ინტელიგენტი რომელიმე ფარულ საზოგადოებაში ჩაერიოს და რუს ხელმწიფეს რაიმე დაუპიროს...

— აბა, არა! ეგა თქვი შენა!

სწორედ იმ დღეს, როდესაც თავადი ყაფლანი ტფილისში ჩამოვიდა, ერთ ქართულ გაზეთში ამ საუბრის შესაფერი მეთაური დაიბეჭდა. ამ წერილს კაცი ვერც თავს გაუგებდა და ვერც ბოლოს, ვერ მიხვდებოდით, რის შესახებ იყო საუბარი, მაგრამ ის კი აშკარა იყო, რომ „კარგი იქნებოდას“, „მეფის კეთილი გული უსაზღვროას“, „ერთგულ და სახელოვან ქართველ თავადობას“, „კეთილმორწმუნე მართლმადიდებელ სამღვდელოებას“, „ეკლესიისა და მამულის“, და სხვა ამგვარი სიტყვების მიღმა ცარიზმისადმი უსაზღვრო მორჩილება და უქვეშევრდომილესი გრძნობები კრთოდენ; ბესიკის დატუსაღება ფრიდონის წრემ ამ მხრივ გამოიყენა.

ეს წერილი ფრიდონმა დაწერა და სარედაქციო კოლეგიას წაუკითხა, კოლეგიას ბევრი რამ წერილში საშიშრად მოეჩვენა და შესაკეთებლად რედაქტორს გადაცეს. რედაქტორმა ორი ღამე უტრიალა და მერე აღირსა ცის სინათლე.

— მე ვერ ვიცანი ჩემი წერილი, ეს ხომ ჩემი არ არის, — იცინოდა ფრიდონი.

პასუხად უთხრეს:

—შენ ჯერ ურა ხარ, გახედნა გაკლია, რედაქტორმა უკეთ იცის, რა ეჭირვება საქართველოსო...

— საქართველოს გულისათვის, ძმაო, ამ წერილისათვის კი არა, თავი რომ მომჭრან, იმის გამოც არაფერს ვიტყვი. ჩვენი რედაქტორი, მართლაც, ყველაფრის მცოდნეა, ამ საქ-

მეში დაბერებულა... ბებერი ხარის რქებიც კი ხნავსო, ამბობს ქართველი ხალხის სიბრძნე, — სიცილითვე წაიღო უკან ფრიდონმა თავისი საყვედური.

გულში კი მაინც ბესიკის თანამგრძნობელი იყო და მანამ ადევნებდა მის საქმეს თვალყურს, სანამ რედაქციაში პირდაპირ არ უთხრეს:

— ჭკუით იყავი, თვარა ჟანდარმერია შენზედაც ეჭვს აიღებს... შენს გამო ჩვენც ცუდად დაგვიწყებენ ცქერასო...

ამის შემდეგ ფრიდონი პირში წყალდაგუბებული დადიოდა.

XV

სამი დღის ქეიფის შემდეგ იასონ ბეჟავამ გამოაცხადა, რომ იგი დღეიდან საქმეებს კიდებს ხელს და ჩვეულებრივ ცხოვრებას იწყებს. ახლა იგი ერთ ნომერში მოთავსდა და სრულიად საქმიანი გამომეტყველება მიიღო, მაღაზიებისათვის საქონლის გაგზავნას შეუდგა, ბანკებში ვექსილები მოაწესრიგა, ანგარიშები გაასწორა და სხვადასხვა. მისი ნომერი ამ დღიდან საქმის ხალხით აივსო და ერთი კაბიანიც კი არ გამოჩენილა, ერთი წვეთი ღვინოც კი არ დალეულა. გაცხარებულ მუ'მაობაში რომ იყო, მსახურმა მოახსენა:

— თქვენი ქალ-ვაჟი გეახლენო, — და თვალწინ დაუდგენ მერვე კლასის გიმნაზიელი ვაჟი და მეშვიდე კლასის ქალი.

— თქვენი ჭირიმე, შვილებო, თქვენ კი გენაცვალეთ! — გადაეხვია მამა და ორივე ტკბილად ჩაკოცნა. მერე მიიყვანა ნომრის მეორე კუთხეში, ჩაუჯდა შუაში ორთავეს და დიდხანს ესაუბრა, დაარიგა, ჭკუა ასწავლა, ყოფა-ქცევა უკარნახა.

შვილები გულდასმით უსმენდნენ გულჩვილ მამას; ქალი წამდაუწუმ მხრებზე ეხვეოდა და კოცნიდა.

— გუშინ ჩამოვედი, შვილებო, და დღეს უნდა მენახეთ. აბა, თქვენ იცით, როგორ გაგვიხარებთ გულს. რა ჭკუით და ზრდილობიანად იქნებით. ახლა დიდები ხართ, შვილებო, ჭკუა გეკითხებათ. აქ ქალაქია, ბევრი- ცუდი ყოფაქცევის ქალი და კაცია, არ შეცდეთ, ბოროტ ადამიანებს არ აყვეთ, არ შეგვარცხვინოთ. კაი ოჯახიშვილებთან იარეთ, ბულვარში არ დაიწყო

ყიალი, განსაკუთრებით შენ, ჩემო გიჟო ბიჟო, შენ იყავი ჭკუით... არ გაგიწყრეს ღმერთი, ღვინის სმა არ დაიწყო, პაპიროსი არ მოსწიო!...

იასონმა სთხოვა შვილებს ყოველდღე ევლოთ მასთან, ამ საღამოსაც მოსულიყვნენ. სახლიდან გამოტანებულ წერილებისა და საჩუქრების გადაცემის შემდეგ კი ტკბილად დაკოცნა ორივე, გამოეთხოვა. სასტუმროს დერეფანში ვაჟმა მსახურს რაღაც ჩაულაპარაკა. როცა და-ძმა ქუჩაში გამოვიდა, ძმამ მოიმიზეზა გაკვეთილის სასწავლად ამხანაგთან მივდივარო და ისევ სასტუმროში შეიპარა. მსახურმა დერეფანში გაიყვანა და ღიმილით უთხრა:

— მარუსიასთან შეხვალ თუ შურასთან?

— შურასთან, შურასთან... ის უფრო...

— მამაშენმა არ გაგვიგოს, თვარა ორივეს დაგვხოცავს, — ჩაულაპარაკა მსახურმა და გიმნაზიელი ერთ-ერთ ნომერში ჩაკეტა.

იასონი კი გაცხარებულ საქმიანობაში იყო.

— ოო, მამაო ბლაღოჩინო, მამაო მელიტონ; მობრძანდით, მობრძანდით! — შეეპატიჟა სტუმრად მოსულ მღვდელს იასონი, თუმცა არაფრად ეპიტნავა ამ დროს ხუცესის მოსვლა. — ხომ არ გვემდური, მამაო?.. ა?.. ხე.. ხე.. ხე..

ზორბა ტანი, ქალივით გულმკერდი, ზედ ვეებერთელა ოქროს ჯვარი, ქიშმირის შავი ანაფორა, უკან ნაწნავი, ხელში მოჭედილი ჯოხი, გაჩეჩილი შავი წვერები, ისე შავი, რომ მამა მელიტონს ბერძნების მღვდელს ეძახდნენ.

— ნუ მომაგონებთ, ნუ მომაგონებთ სულის წამწყმედ საქმეს! ნამდვილი გიჟები ხართ...

დიდხანს იმასლაათეს სულ უმნიშვნელო რამეებზე, იასონი ეკალზე იჯდა, ხუცესი კი არ ჩქარობდა.

„რა უნდა ამ სულის მტერს, რატომ არ წავა“, — ფიქრობდა მასპინძელი.

— ჰო, მართლა... ახლა გამახსენდა. ის საწყალი გურამა, დიდის ამბით დაუსაფლავებიათ სოფელში, ჩემმა მღვდელმა მითხრა, — შეცვალა საუბრის თემა მღვდელმა და იასონს ქურდულად გადახედა.

იასონს თითქოს გველმა უკბინაო. „შეხედე ამ შეჩვენე-

ბულს, ამის ყურამდეც მისულაო“. — თქვა გულში, ხოლო მღვდელს უხალისოდ უპასუხა:

— აბა, საწყალი... როგორ დაიღუპა...

კიდევ იმუსაიფეს, ბოლოს ბლაღოჩინი ორას მანეთს შეესესხა იასონს, თან სიცილით დაუმატა:

— ცოტა რამ გურამას სულის მოსახსენებლადაც უნდა გაიღოთ!

იასონი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს კრიმანჭული და შეეცადა ას მანეთს დაეჯერებია ხუცესი, მაგრამ თხუთმეტ თუმანზე დაბლა ვერ ჩამოიყვანა... ბლაღოჩინი თავის კანტურით და მადლობის მიძღვნით გაშორდა იასონს. პირველ შეძლებისთანავე მოგართმევო — დაამშვიდა იასონი ბლაღოჩინმა გამომშვიდობებისას. იასონი კი გაბრაზებული ბუტბუტებდა თავისთვის:

— მაგ საკენკი შენს ქათმებს დაუყარე... ასე ნაშოვარი ფულებით უნდა ქალიშვილი გაათხოვოს და სასიძო წამართვას!

ბლაღოჩინი ჯერ ქუჩაში არ იქნებოდა გასული, რომ იასონის ნომერში სილოვან ბოქაული შემოიკეცა თავისი ხარისებური ტანით, აზიური ფეხსაცმელებით, მათრახით, გამოჭირებული წელით და თოკით მიკრულივით მოქანავე ხელებით.

— იასონ, თუთხმეტი თუმანი რო არ მასესხო, თავი უნდა მოვიკლა... ქაღალდში წავაგე წუხელის... მიშველე, მისაშველე და როგორც კი ჩავალ, მაშინვე მოგითვლი...

იასონმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— ფეხით რომ დამკიდო, კაპეიკის მოცემა არ შემიძლია, უკვე ვალებში ჩავვარდი...

სილოვანი არ ეშვებოდა და მათრახიან ხელს წამდაუწუმ ყანყრატოსთან მიიტანდა, რაკი არაფერი გაუვიდა, მაშინ კი სალაპარაკო საგანი გამოცვალა:

— კაცო, რა უბედურება დაგტრიალებია იმ მაღაროში?!

— სად? როდის?

— აი, მუშები რომ დაშავდნენ და ერთი კიდეც...

იასონი მიხვდა, რო ფულის სესხება აუცილებელი იყო. ასი მანეთი მისცა და მოიშორა, თანაც დამოძღვრა:

— თუ კაცი ხარ და ქუდი გახურავს, მაღაროში მომხდარი ამბავი მაზრის უფროსს მაინც არ გააგებინო.

— მაშინ მე მოგიკვდე! — გულზე ხელის დაკვრით დაამშვიდა სილოვანმა და თავს უშველა.

იასონი მთელი ღამე უგუნებოდ იყო. ხუცესის და ბოქაულის ოინები ვერ მოინელა.

დილით ადრე ადგა და იმ სასტუმროს მიაშურა, სადაც ბლაღორინი ეგულებოდა. ნომრის კარებს დაუკაკუნა.

— არ შეიძლება, არ შეიძლება! — უპასუხა ხუცესმა. იასონი არ მოეშვა:

— ერთი თავი გამოყავი, მამაო, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.

შიშველმა მღვდელმა კარები გააღო და გამოიჭერიტა, იასონმა იდროვა და პირდაპირ შეუვარდა ნომერში.

— ღმერთო მომკალი! — წამოიძახა ლოგინში მწოლიარე ქალმა. მღვდელი გაშრა და გაქვავდა. მერე ანაფორას ეცა, ჩექმების ჩაცმა განიზრახა, თან ბოდიშობდა, ლუღლუღებდა, ნაძალადევად იცინოდა.

— ეს ჩვენი მონასტრის მონაზონია? არა უშავს, კაი სულის საცხონებელი საქმე მოგინახავს! — ღიმილით სთქვა იასონმა და კარში გამოვიდა. — ჩაიცვით, მალე ჩაიცვით, მე აქ ვიცდი, საქმე მაქვს შენთან ხუცესო! — მიაძახა დერეფნიდან.

მონაზონი თვალის დახამხამებაში მოეწყო და ფეხაკრეფით გაიძურწა. მღვდელმა კი იასონი ნომერში შეიპატიჟა.

— მეც... ხა... ხა... ხა... ადამიანი ვარ... თქვენ... ერის კაცები თუ ქეიფობთ, ჩვენ რა დავაშავეთ?... ხე... ხე... მამა და შვილო... აბა, რავა გგონიათ... ჩვენი ეპისკოპოსის ამბავი რომ იცოდე... — მლიქვნელის გამომეტყველებით ამბობდა ხუცესი და ანეკდოტებისთვის უნდოდა თავი მოეხსნა, მაგრამ იასონმა არ დააცალა:

— მღვდელო, გიცნობთ, რაც შვილები ხართ! თქვე ქვეყნის მატყუარებო, თქვენა!.. მაგრამ ამას მე არ დავეძებ, ყველა ადამიანმა თავის საქმე იცის. შენ ეს მითხარი: რატომ მეცილები სასიძოზე და ჩემს ქალიშვილს ბედიღბალს უკარგავ?

— როგორ?.. რაშია საქმე?

— შენ რომ... აი, იმ სტუდენტს აძლევ ქალიშვილს... სამი ათას მანეთს გთხოვს და აქ ფულის სასესხებლად ხარ ჩამოსული. იცი, რას გეტყვი? თუ დღეიდან იმ კაცზე შემცილებიხარ, იცოდე ამ მონაზვნის ამბავს ეპისკოპოსს ვეტყვი. ორი ბოზი რომ გყავდა ერთ ღამეს, იმასაც დავუმატებ... ქვეყანაში თავს

მოგეჩრი, შენს ცოლს გავაგებინებ, მთელ მონასტერს აგიჯანყებ და მერე ვნახოთ, რავა უწირავ იმ გურამას... გუშინ რომ ფულები ამწაპნე...

მღვდელი გამშრალი იდგა და ხმას ვერ იღებდა. დედამიწა რომ გაპობოდა და შიგ ჩაფლულიყო, ის ერჩია.

XVI

თავადი ყაფლან კვენიფნეველი თავზე მეხდაცემული ბრუნდებოდა უკან. ბიჭებმა ქალაქში ცხენები დაახვედრეს, მაგრამ ეტლი ამჯობინა. არც კი გაუხედავს სალომეს სახლკარისკენ, პირდაპირ სოფლისკენ გასწია. ხმას არ იღებდა, სალამსაც კი არავის აძლევდა. გზაზე შესვენების დროს ერთი გლეხი ხმამაღლა მიესალმა თავადს.

— შენც შეგარცხვინოს ღმერთმა და შენი სალამიც! გაადეთ აქედან ეგ პირუტყვი! — დაიყვირა ფიქრებში გართულმა დიდმა ბატონმა. გლეხს კი ისეთი მოხვდა, რომ კინაღამ მიწას ემთხვია.

ყაფლანი კვლავ ფიქრებმა წაიღეს. არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, არაფერი არ აინტერესებდა, ბიჭებიც ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. მათ უკვე დაასკვნეს, რომ ბესიკი ან ჩამოახრჩვეს და ან ციხეში გაგზავნესო. წინდაწინ ცხენით გაქცეულმა ერთმა ბიჭმა ყაფლანის სასახლეს ცუდი ამბავი აცნობა. თავადი პირდაპირ ეტლით მიადგა ვეებერთელა ეზოში წამოჭიმულ შუშაბანდიან სახლს და უსიტყვოდ შევიდა თავის ოთახში, მაშინვე ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. არავინ არ მიიღო, ცოლსაც კი აუკრძალა საწოლ ოთახში შესვლა.

მთელი სასახლე დამგლოვიარდა, ყველა და ყველაფერზე ყურები ჩამოყარა. კნეინა ტირილად იქცა. ყაფლანმა მხოლოდ მეორე დღეს შეუშვა იგი თავის ოთახში და ისიც მას შემდეგ, რაც მოხუცი მანდილოსანი ქმრის გასაგონად დაკეტილ კართან ხმამაღლა ატირდა.

— რა გატირებს, ადამიანო? დატირება მიცვალებულს უნდა! — უთხრა ყაფლანმა მეუღლეს და კარები გააღო.

— მაშ, არ მომკვდარა ჩემი თვალის სინათლე? არ მომკვდარა?

— ნეტამც მომკვდარიყო, საქვეყნოდ მაინც არ შევრცხვებოდით...

— მაშ, რა მოხდა?.. რა ამბავია?

— ცოცხალია, მაგრამ ის უკვე ჩემი შვილი არ არის... ახლა წადი აქედან, დამტოვე მარტო... ასე მინდა ვიყო!...

— შენი შვილი არ არის, ჩემი იქნება... ადამიანის სისხლი რომ დალიოს, ქვეყანა რომ დააქციოს, მე მაინც ჩემს ბესიკს დავენაცვლები!..

— კარები-მეთქი, კარები... მარტო მინდა დავრჩე! მომშორდით, არ მინდა თქვენი არაფერი! გამშორდით, წადით!

ყაფლანის განდგომა ერთი კვირა გაგრძელდა. კნეინამ დაწვრილებით გაიგო, რაშიც იყო საქმე, თავად ფრიდონისაგან ვეებერთელა წერილი მიიღო, მაგრამ სასახლეში გლოვა მაინც არ შეწყვეტილა: ყაფლანი გლოვობდა და სხვებიც დათალხულნი უნდა ყოფილიყვნენ. მის ოთახთან ბუზიც არ მიფრენილა, ეზოს იმ ნაწილში, საითკენაც ოთახის ფანჯრები გადიოდა, ფეხიც კი არავის დაუდგამს. მთელი სასახლე კრიჭაშეკრული იყო. შორეულ სოფლიდან მოსულნი დროებით ვალდებული გლეხებიც კი არ წაიკარეს — რა დროს თქვენთან ლაპარაკია, თავადი შეუძლოდ არისო.

— ღმერთმა მისი თავი ნუ მოგვიშალოს და გვიცოცხლოს მრავალ წელიწადსო, — პასუხობდნენ გლეხები. მათ მთელ სოფელს მოჰფინეს ყაფლანის ავადმყოფობის ამბავი. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ, ვისაც კი შეეძლო, დიდი ბატონისათვის სასიყვარულო რამ მოსანახავი უნდა მიერთმია...

ბატონყმობა კარგა ხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ ყაფლან კვენიფნეველს დიდი ბატონის სახელი არ ჩამოშორებია; დროებით ვალდებული გლეხები, ხიზნები და სხვა მის ჰიწაწყალზე მომუშავენი არ აკლებდნენ მას მოსანახავის მირთმევას. ფეშქაშის მიმრთმევი გლეხის სახელსა და გვარს მზრუნველობით იწერდა თავადი ყაფლანი ერთ წიგნში. რა უნდა მოყოლოდა ამ ჩაწერას, არავინ იცოდა.

ამ შემთხვევაშიც ტყვილა არ ჩაუვლია ყაფლანის ავადმყოფობას. მესამე დღეს ორმა თუ სამმა გლეხმა ჭრელ-ჭრელი კალმახებით სავსე ვეებერთელა ვარცლი მოიტანეს. თევზების შხვართუნმა დიდად ასიამოვნა თავადი. ამას მოყვა დედალ-მა-

მალი ხოხობი, ისეთი ლამაზები, რომ თვალს მოგჭრიდათ. მერე მწყრით სავსე გალიები, შვლის ნუკრი, კურდღელი, სანაქებოდ შემზადებული ტკბილი კვერები და, ვინ მოთვლის, რა არა.

როგორც კი ყაფლანმა კარში გამოსელა ინება, მაშინვე განსაკუთრებული წერილებით მიმართა თავის ექვს ქალიშვილს, რომელნიც სხვადასხვა სოფლებში ჰყავდა გათხოვილი. მოხუცი მამა სთხოვდა მათ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე „თქვენის საყვარელის და სასახელო ქმარ-შვილით მოინახულეთ ჭირსა შინა მყოფი თქვენი მშობლები დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი ჩემი გადაწყვეტილების მოსასმენადო“. საოჯახო რჩევას უნდა დასწრებოდა აგრეთვე ყაფლანის ორი ცოლშვილიანი ვაჟიც. არავინ იცოდა, რა სურდა დიდ ბატონს, რა ნებავდა თავად ყაფლანს. ამას კი გრძნობდნენ, რომ რაღაც დიდი ამბავი უნდა დატრიალებულიყო.

დანიშნულ დროს შუადღისას ეზო ცხენებით, კვიცებით და ჯორებით აივსო. მობრძანდნენ დაბარებულნი, წინადღით დაკლულ, დახოცილ დეკეულებს, თხებს, გოჭებს, ინდაურებს და ქათმებს მოუვიდათ გამანადგურებელნი და ქვეყნის პირიდან აღმგველნი.

ზოგი შვილიშვილის ჩაცმა-დახურვა ყაფლანს ერთობ არ მოეწონა. „ასე გლეხის ბიჭბუჭებსაც კი აცვიათო“, თქვა გულში. არც მაინცდამაინც ორი სიძის მორთულობა დაუჯდა ჭკუაში; ერთს ას ადგილას დაეკერებია ლაფჩინები და გამზადებული პაპიროსის მაგიერ ჩიბუხს ეწეოდა; მეორეს კი თავზე რაღაც უშნო ფაფანაკი ჩამოეფხატა, ნიდაყვებთან ჩოხა გამოხეული ჰქონდა, მუშაობისაგან დაკოჟრილი თითებით ძლივს არგვალებდა პაპიროსს, სახლში დაჭრილი თამბაქო მოუქნელი იყო.

ქალიშვილებიდან ყველაზე მეტად არ მოიწონა პატარა, კვერცხივით მრგვალი ციცინო, რომელიც თავაღებულ აზნაურიშვილს, თავზარაშვილს ჰყავდა ცოლად. თხუთმეტი წლის წინ ეს თავზარაშვილი, მართლაც, იყო ყაფლანის მოსაწონი. ახლაც თვითონ გვარიანად „პრაწავდა თვალებს“ (ასე თქვა გულში ყაფლანმა), მაგრამ მის ცოლს გლეხის ქალისაგან ნათხოვარი კაბა ეცვა, ბავშვები გლეხზედ უარესად ჰყავდა მორ-

თული და თვითონაც ნაქირავებ ჭაკცხენზე იჯდა. ამ ცხენის სქესის გაგება არც ისე ადვილი იქნებოდა, რომ ორი კვიცი თან არ ხლებოდა — ერთი დიდი და მეორე პატარა. ბევრი ეხვეწა თავზარაშვილი გამქირავებელ გლეხს — დატოვე ეს კვიცებიო, მაგრამ ვერ დაითანხმა, ხვიხვინით ამიკლებენ სახლშიო.

ყაფლანმა ვერ შეატყო, თორემ არც მესამე სიძე მოსულა სასახელოდ; ცოლი ცხენზე შეესვა და თვითონ ფეხით მოყვებოდა. ვერც სანათხოვროდ და ვერც საქირაოდ სოფელში ცხენი ვერ იშოვნა. ამ კნეინას მამის სოფელში შემოსვლამდე უფროსი ქალიშვილი უნაგირის უკან ყავდა შემომჯდარი.

არც ის ეამა ყაფლანს, რომ თითქმის ყველა ხელცარიელი მოვიდა და ხურჯინებიდან ერთს თუ ორ ინდაურს და გოჭს ამოეყო თავი. ტიკჭორის მასრა კი მხოლოდ ერთს დაუნახა. განა ყაფლანს ძალიან ესაჭიროებოდა ძღვენი? მაგრამ შვილების სიმდიდრეს და მისდამი პატივისცემას ზომავდა. რაც მოიტანეს, იმისათვისაც დიდი აყალმაყალი იყო სიძეთა ოჯახებში. ერთი სიძეთაგანი, რომელიც ყველაზე შეძლებულად და თავაღებულად გამოიყურებოდა, ასე გამოეხმაურა ცოლის მიერ გოჭის აჭყვირებას:

— თუ მპატიჟობს მამაშენი, ბარემ დამპატიჟოს... თვარა რა ჭკუაა ჩემი გოჭი მისას შევჭამო და მიპატიჟება მოვიმადლიო. იქ ერთი პოჭოკიც კი ძლივს მომიწეეს, ჩემ ცოლ-შვილში კი ძალიანაც მივაძღები.

XVII

ყაფლანმა საგანგებო წირვა დანიშნა კარის ეკლესიაში. თავისი მოძღვარი არ იკმარა და ქალაქიდან ბლაღოჩინი დაიბარა — მამა მელიტონი, რომელსაც თან უნდა წამოეღო საუკეთესო შესამოსელი და ძვირფასი თლებით შეჭედილი კამილავკა, მონასტრიდან მგალობელ მონაზვნების გუნდი უნდა წამოეყვანა.

დიდის ამბით მოემზადა ყაფლანი ეკლესიაში შესასვლელად: საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა, არც ერთი მედლის ჩამოკიდება არ დავიწყებია. მერმე აივანზე დადგა ცოლთან ერთად, მარცხნივ და მარჯვნივ ვაჟები დაიყენა. ორთავე თავიდან

ფეხებამდე იარაღში ისხდნენ, მერე სიძეები და ქალიშვილები გააჩერა და ბოლოს შვილიშვილები.

თითქოს სამხედრო ნიშანს იძლევაო, ამაყად ანიშნა მხლებელთ და ნელი ნაბიჯით გასწია სუროთი შემოსილ-შემობადურებულ პატარა საგვარეულო ეკლესიისაკენ. მამა მელიტონი ისე ხმამაღლა წირავდა, რომ მისი ხმა მთელ ეზოში ისმოდა, თავადის მოძღვარი მთავარი დიაკვნის როლში იყო, მონაზვნები მწყობრად გალობდნენ. დიაკონსაც ეგრძნო მომენტის სიდიადე და ზედმეტის სიჩქარით ასრულებდა სამღვთო წერილს — თითქოს ცდილობდა არავის გაეგო წაკითხულის შინაარსი.

დიდის ამბით იქნა წირვა გადახდილი. ყაფლანი უძრავად იდგა, მხოლოდ თავზარაშვილს ვერ გაეძლო ფეხზე დგომით და ხუთჯერ გამოვიდა კარში. სხვა სიძეები სიმამრის პატივისცემით ადგილიდან ვერ იძროდნენ. ერთ ქალიშვილს გულის ბაგშვი ძუძუს მოსაწოვებლად ეკლესიაში მოუყვანეს, ბავშვის ტირილმა რამდენჯერმე დაარღვია სამლოცველოს სულიერი განწყობილება. წირვის დროს მღვდელმა ბესიკის სულიც მოიხსენია და უფალს შეავედრა ეპატიებია მისთვის ყოველგვარი ცოდვა — ნებსითი და უნებლიეთი. ყველა მიხვდა, რომ ეს ყაფლანის მოთხოვნით მოხდა, აშკარა იყო, რომ ბესიკი მკვდრად იყო მიჩნეული და ამ კრებულიდან გამორიცხულად ითვლებოდა.

მღვდლები შეთანხმებულად წირავდნენ. არავინ იცოდა, თუ რა საქმე მოაგვარეს მათ ამ წირვის დროს. ყაფლანის მოძღვარი უკვე ღრმა მოხუცი იყო და თავის ადგილზე შვილი უნდოდა ეკურთხებია. ამ ხუცესის შვილს მხოლოდ სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული და ეპისკოპოსი უარზე იყო მღვდლად დაესვა. საქმე უნდა გაეჩარხა ბლაღოჩინს, რომელიც გასამრჯელოდ ხუთას მანეთს ითხოვდა, ბევრი იდავეს წირვის დროს, ეკტენიის შესრულების დროს. „არ შეიძლება, ნაკლებად ვერ გაგიკეთებო“, წამოცდა მელიტონს. ბოლოს, როგორც იქნა, ქადაგების წარმოთქმის წინ, ორმოცდახუთ თუმანზე დათანხმდა. ამის შემდეგ ბლაღოჩინმა შესანიშნავის მჭევრმეტყველებით გაჰკიცხა ახლანდელი ურწმუნო დრო და ზოგიერთი ვაჟბატონები, დედამიწასთან გაასწორა ყოველგვარი გარყვნი-

ლება და ბოროტება, მრუშობა, ვერცხლის მოყვარება. ხოლო ბოლოს, როცა საკურთხევლის კუთხეში მოხითხითე ყარის მღვდელი დაინახა, პირდაპირ თავში დაჰკრა ის ჯვარი, რომლითაც მეორე წამში ზანტად გადაჯვარა მორწმუნენი ან სიტყვებით: მშვიდობით წარვიდეთ!

წირვა საერთოდ დღესასწაულებრივი იყო. სახარება ორ ენაზე იქნა წაკითხული: ქართულად და სლავიანურად, მაგრამ განსაკუთრებულის ყურადღებით შესრულებული იქნა „დაცვა მეფისა და მამულისათვის"; „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა კეთილ მორწმუნესა ხელმწიფესა ჩვენსა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძესა მიანიჭე და ერი შენი საფარველსა ქვეშე მისსა დაიცავ, რათა ვიტყოდეთ, უფალო, დიდება შენდა". ეს ლოცვა ყაფლანის წინასწარი განკარგულების თანახმად ცხრაჯერ იქნა წარძოთქმული, უნდა გენახათ, რა სასოებით და გულმოდგინებით სახავდა ჯვარს მამა მელიტონი ყაფლანის შთამომავლობას.

ყველა მიმხვდარი იყო, თუ რაშიაც იყო საქმე, ბესიკის სახელი მთელი დღის განმავლობაში ყველას ენაზე ეკერა, მაგრამ ყაფლანის შიშით და პატივისცემით ვერავის წარმოეთქვა ხმამაღლა. მხოლოდ დედა ამოიხვნეშებდა ხანდისხან და ქალიშვილების გასაგონად იტყოდა:

— რატომ გაუთენდა უბედურ დედაშენს, შვილო ბესიკ, ეს დღე... რატომ გამომეთიშე, შვილო, ამ შვილსა და ძირში?!

ყაფლანი გამხიარულებული გამოვიდა ეკლესიიდან. ქალიშვილები აქეთ-იქით მოიყენა და სახეგაბრწყინებული შვილიშვილებს უსვამდა თავზე ხელს.

— რა ხმა აქვს ამ ჩვენს ბლაღოჩინს! — თქვა თავზარაშვილმა.

— ძალიანს კი ბობღინობს მაგ გასაპარსი!

— შენ ქადაგება თქვი, ქადაგება! — დაუმატა ყაფლანმა. — გაბრიელ ეპისკოპოსს არ ჩამოუვარდება!

სადილისათვის ვეებერთელა სეფა იყო გამზადებული. საჭმელების მზადებაში ბიჭები თავპირს იმტვრევდნენ: სოფლიდან გამოწვეული იყო ათამდე კარგი მეოჯახე და საჭმელების შემკაზმავი ქალი, მოპატიჟებული იყვნენ აგრეთვე ხელზე სამსა-

ხურში სოფლად ტირილში, ქორწილში, ნათელაში დახელოვნებული გლეხები. აუარებელმა ქათამმა, ინდოურმა, ბატმა, ბატკანმა და გოჭმა შესწირა თავი ამ წვეულებას. ამ დიდ და პატარა კეთილშობილთა კუჭებს ემსხვერპლა აგრეთვე ორი დეკეული და ერთი წვერებცანცარა თხა.

დადგა წამი, როდესაც უნდა დაწყებულიყო ამდენ უმანკო მსხვერპლთა მხრივ თავიანთი უკანასკნელი დანიშნულების შესრულება — თავადთა და აზნაურთა კუჭად მიქცევა... დიახ, ახლოვდება მამა მელიტონის წირვაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დრო... მაგრამ ამ დიადი შეკრებულობის მიზანი თვალნათლივ ჯერ კიდევ არავის ენახა. ყაფლანის საიდუმლობა ჯერ ვერავინ შეიტყო.

დიდის მოწიწებით მიუსხდნენ ვეებერთელა სუფრას: თავში ყაფლანი და მისი მეუღლე ისხდნენ, მარცხნივ და მარჯვნივ მათი ვაჟები, შემდეგ ქალიშვილები და სიძეები უფროსობის მიხედვით; მერე ბავშვები, ისინიც ამ წესით. სუფრის მეორე ფავში კი ბლაღოჩინი და კარის ხუცესი მოათავსეს.

თავადი ყაფლანი არ ჩქარობს, არც ეკლესიის მსახურნი იღებენ ხმას.

— თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, უფალო, და შენ მოსცი მათ! — აღაღო მოთმინებიდან გამოსულმა მამა მელიტონმა ბაგენი თვისნი, მაგრამ მსწრაფლ იქნა ყაფლანის მიერ შეჩერებული.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა ზეზე ყაფლანი და მთრთოლვარე ხმით დაიწყო:

— ძენო ჩემნო და ასულნო, შვილებო და შვილიშვილებო, საყვარელნო ჩემო სიძენო და მთელო ჩემო შთამომაელობავ! მე გადამეგო ძე ჩემი საყვარელი ბესარიონ კვენიფნეველი, გამოგვეთიშა თქვენ და მიილტვა ეშმაკეულისაგან! მან უარყო ღმერთი, მირონცხებული მეფე, თავადაზნაურობა და მშობელნი თვისნი! ის განგვიდგა ჩვენ, ყველა აქ მყოფთა და ჰგმო და შეაჩვენა აკვანი თვისი! ამიერიდან უკუნისამდე ის არ არის ჩვენი და ჩვენ არა ვართ მისი! მოეკვეთა ჩვენს სხეულს ავადმყოფი ნაწილი და გავჯანსაღდით ჩვენ! წყეული იყოს ჩემი შთამომავალი, ვინც იგი ინდოს ამიერიდან ან სიტყვით ან საქმით! შეჩვენებულ იქნეს ჩემი ძე და მომავალი, ვინც გაუწო-

დოს ხელი კეთროვანებით შეპყრობილს! სამას სამოცდასამმა წმინდა გიორგიმ დალახვროს მისკენ პირის მიმბრუნებელი! ამინ! ამინ! ამინ!

თავადი გულზე ხელდაკრეფილი შეჩერდა და აცრემლებული თვალებით უცდიდა, სანამ ყველანი — დიდნი და პატარანი არ იტყოდნენ „ამინ“.

მთელ კრებულს თავზარი დაეცა.

— და მე მგლოვიარე მისმა მშობელმა, ძაძით მორთულმა, თავზე ნაცარდაყრილმა გადავწყვიტე ჩემი მიცვალებული შვილის ქონება — უძრავი თუ მოძრავი, მიწა თუ წყალი, სარჩო თუ საბადებელი თანასწორად გაგინაწილოთ თქვენ — ჩემს ვაჟებს და ქალებს. ბესარიონ კვენიფნეველის სახელი სამუდამოდ უნდა ამოიფხვრას ჩვენს გულში. მისი სახსენებელი უნდა დავიწყებულ იქნას...

ყაფლანის სიტყვის მეორე ნახევარმა ცოტა არ იყოს გაამხიარულა დამსწრენი. „ამისთანა საჩუქრისათვის კი ღირებულა მოსვლა“, — გაიფიქრა თავზარაშვილმა.

დიდი კნეინა გულამოსკვნილი ტიროდა, დები იცრემლებოდნენ, ბავშვები კი ქურდულად ძღებოდნენ, ბლაღოჩინი და კარის ხუცესი კერძებს იახლოვებდნენ.

— მათ კი ერგოთ, მაგრამ ჩვენ რაი? — ჩაიჩურჩულა კარის ხუცესმა. მელიტონმა ჯლიქვი კრა და თვალები გადაუბრიალა:

— სუ, შე მსუნაგო, შენა!

XVIII

თავად ყაფლანს ჰყავდა ბატონყმობის გადავარდნიდან დარჩენილი ოთხმოცდაცამეტი დროებით ვალდებული კომლი გლეხი და ას ოთხი კომლი ხიზანი. გარდა ამისა, ჰქონდა მრავალი ქცევა საყანე მიწა, საძოვარი, ტყე და ჩიგვნარი. მის ტყეში აუარებელი შეშა და საშენი მასალა იყო, ზოგიერთ ხიდან მთელი სახლის ასაგები ფიცარიც კი გამოვიდოდა. ამ ტყეში მოჭრილ ხე-ტყეს ერთი საზღვარგარეთული ფირმა ამუშავებდა, რამდენიმე ადგილობრივი მრეწველი ეწეოდა მის ექსპლოატაციას. ყაფლანს ბლომად ჰქონდა აგრეთვე მადნიანი

მამულებიც. მისი სახნავ-სათესი მიწით რამდენიმე სოფელი ირჩენდა თავს. სწორი ცნობის მიცემა თავადის უძრავ-მოძრავი-კუთვნეულის შესახებ მის სამოურაოსაც კი გაუჭირდებოდა.

აი, ამ ქონების ბესიკის კუთვნილი მესამედი უნდა გაყოფილიყო დებს შორის. ეს ნაწილი მაინცდამაინც უმნიშვნელო არ იქნებოდა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ სამგლოვიარო განწყობილებით დაწყებული წვეულება მალე სამხიარულო ბილიკებს გაუვა და საღამოს ჟამს ქუდები ჭერში ფრიალებდნენ.

— შაუბეროთ, გენაცვალე! ტაში, თქვენი ჭირიმე! — გაჰკიოდა თავზარაშვილი და ბუქნას გადადიოდა.

იდაყვებდაკერებული სიძე კი ცოლს ელაპარაკებოდა:

— ეს ვერაფერი ჭკუა მოუვიდა ჩემს სიმამრს, ცოცხალი კაცის მკვდრად გამოცხადება სად გაგონილა?! განა ბესიკს მე მაგისათვის დავკარგავ? რატომ გვამდურებს იმ კაცს? თუ ჩვენთვის სიკეთე უნდოდა, ხელზე მოეცა ორიოდე გროში, უფრო დავუმადლებდი. ხელმწიფეს ებრძვისო... რა ვუყოთ მერე! ნასწავლი კაცია და მან უკეთ იცის თავისი საქმე. თუ ებრძვის, ალბათ, ღონეც აქვს სამაგისო. ღმერთმა შეაძლებინოს...

— სუ, შე ჩურჩუტო, სიმთვრალე გალაპარაკებს, მამაჩემმა არ გაგიგონოს, თვარა შენც შეგაჩვენებს! — ეუბნებოდა ცოლი და ტუჩებზე ხელს იფარებდა. თავზარაშვილი კი ყაფლანის გადაწყვეტილებას მანიფესტს უწოდებდა, რომლის დარღვევა არავის შეეძლო.

ყაფლანმა ორჯერ მაინც თქვა:

— არა, მე, მე როგორ მიქნა ეს ჩემმა შვილმა, ჩემმა სისხლმა და ხორცმა, მთელ მაზრაში ცნობილს, მთელ გუბერნიაში სახელგანთქმულს?! მეფის კარზე ვყოფილვარ, მეფის შთამომავლობა სახლში მყოლია... ჩემი კანდიდატურა ჯერ მაზრის და მერე გუბერნიის მარშლად იყო წამოყენებული... მენდობოდნენ, კაცად მთვლიდნენ... და ხელმწიფის მოღალატე შვილი გამომეზარდა! როგორ გაიხარებენ ჩემი მტრები? რა ხმამაღლა ელაპარაკობდი კრებებზე და აწი... დღეიდან... ხმა უნდა ჩავიგდო. ამიტომ იყო, რომ ჩვენი მაზრის უფროსი ისე ამაყად მიბედავდა ლაპარაკს. კაცში გამომწყვიტა ჩემმა შვილმა, ქვეყანაში გამაბახა... დღევანდელი ნაბიჯით უნდა აღვადგი-

ნო ჩემი შელახული სახელი, მთელი თავადაზნაურობა უნდა ალაპარაკდეს ჩემი გადაწყვეტილების გამო...

— მე უნდა დავდგე ხელმწიფეთო, თუ რა მინდაო? რა უთქვამს ბესიკს? — შეეკითხა სიმამრს პირში ჩიბუხგამორჭობილი, იდაყვებგამოკერებული სიძე.

— სულაც არაა საჭირო ხელმწიფეო, შავი ხალხი უნდა გამეფდესო, — აუხსნა ყაფლანმა.

— ეგი, აბა, ეფუთში რომ სწერია ის ყოფილა... არა?

— ხელმწიფე არაა საჭიროო? აბა, ვინ მოგვიაროს, ვინ დაგვიფაროს?

— კაი ამბავი კი იქნება, თუ შავი ხალხი დაგვაჯდა თავზე...

წვეულება მეორე დღეს დასრულდა. საღამოს ჟამს ყაფლანმა ერთხელ კიდევ გაზომა თავისი ნაბიჯი. იგი სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა გავლენას მოახდენდა მთელ მაზრაში ეს ამბავი. მერე თავისი სტუმრები აწონ-დაწონა და უცებ უკმაყოფილების გრძნობა დაეუფლა მას.

— ჩემი წვეულები გლეხებს გავდნენ. არც ერთი ჩემი სიძე და, მით უმეტეს, მათი შვილები ქართველი თავადაზნაურობის სახელის ღირსად არ ჩანდნენ არც შეხედულებით, არც ტანისამოსით, არც სიტყვა-პასუხით და არც ყოფაქცევით. მოჩიავდა ჩვენი წოდება, დაეცა, დაღარიბდა. განა ასეთები ვიყავით ჩვენ? ასეთი ცუნცრუკები, ასეთი ქვასროლიები, ასეთი ჩიტირეკიები? რას გავდა თავზარაშვილის ბუქნაობია? ამას იკადრებდა ჩემი დროის თავადი?!

მართალია, წვეულების დაშლის წინ ბევრი იმჭერმეტყველა ყაფლანმა თავადაზნაურობის ღირსებებისა და მნიშვნელობის შესახებ, ბევრი რამ თქვა იმის თაობაზე, თუ რა ცუდია გაგლეხება ან თუნდაც გლეხებთან დაახლოება, კეთილშობილ ადამიანისათვის თავისი ღირსების პატივისცემის დაკარგვა და სხვა, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას ლაპარაკობდა და ყაფლანიც გულნატკენი იყო. ეს ეჭვები მას რამდენიმე დღე აბეზარ მწერებივით არ შორდებოდნენ. მათ გასაფანტავად თავადმა ცხენით სეირნობას მიმართა. შეაკაზმინა ბედაური და მოურავთან ერთად გამობრძანდა.

გორაკები, სერები, გაშლილი მინდვრები. კიდევ სერები, ფერდობი, კიდევ გაშლილი ვაკე... უფრო შორს კი მთები,

მთაგრეხილები, მწვერვალები ამწვანებულნი ან ნისლის ლეჩაქიანები და თოვლიანები, სერებში ჩაბნეული მოსახლეობა, კრამიტის სახურავები, ქოხმახები, თეთრად წამომჯდარი ეკლესიები, ტყეები, მდინარეები...

ყველაფერი ეს თვალწინ ედგა სოფლად მოსეირნე თავადს... თითქმის მთელი მაზრის დანახვა შეიძლებოდა ზოგიერთ მაღლობიდან.

ყაფლანი ამ სოფლებსაც საგანგებოდ ათვალიერებდა, აკვირდებოდა. აქ ერთმანეთს ცვლიდნენ: ვიწრო ბილიკები. დაკლაკნილები და ტალახიანი; წუმპეები, ქვები, ლოდები, ჩამონგრეული ყორეები, ჩამტვრეული ღობეები, მესერები; ქოხმახები, მიწურები, ისლით დახურულები, აქა-იქ კრამიტიანებიც. არც ერთი წელში გამართული საცხოვრებელი არ ჩანდა. მთელი სოფელი ჩამტვრეული, ჩალეწილი, ჩამეხილი... ყველგან სიღარიბე, სისაწყლე, სიბეჩავე, სიჩუმე, მარტო ძაღლები იღებენ ხმას, და თავად ყაფლანის ცხენს ლამის შემოასხდნენ, ადამიანები კი თვალს არიდებდნენ, შემოფლეთილ ტანსაცმელს ისწორებდნენ.

— ჩვენებური გლეხი ზარმაცია, გაუნათლებელია, სისუფთავე არ უყვარს, — ელაპარაკება ყაფლანი მოურავს, რომელიც ცხენდაცხენ მისდევს, — რა დიდი საქმე იქნებოდა, გაერეცხა აი ის მწვირიანი ლეიბი და მერე გამოეკიდებია... განა ძნელია ამ დაგროვილი ნეხვის გადატანა? ყანასაც გააკეთებდა და თვითონაც ყოველ წუთს არ უცქერდა. მიკვირს, რაფერ ცხოვრობენ ამ ქოხებში, ამ სიბნელეში, სიბინძურეში, უსუფთაობაში... რაფერ სვამენ, რაფერ ჭამენ...

— ერთი სახლში შეგიყვანა ნეტავი, ბატონო, სახლში, — პასუხობდა მოურავი, — კაცი, ქალი, პირუტყვი, ღორი, ქათამი, საქონელი... ყველანი ერთად ჭამენ, ერთად იძინებენ...

— აკი გეუბნები, ზარმაცები არიან და სისუფთავე არ უყვართ-მეთქი. ქვეყანა განათლდა, ყველამ თვალში გამოიხედა და ჩვენი გლეხი კი ასე ცხოვრობს... ერთი განახვა სხვა მაზრები... მაგრამ ჩვენი გლეხი ნამდვილი მხეცია, ბრიყვი, შეუგნებელი, უზრდელი... ხომ ხედავ, მთელ სოფელში მარტო ორმა კაცმა მოგვცა სალამი... გვიფრთხიან, გვემალებიან... ქართველ კაცს ზრდილობა მაინც ჰქონდა... ამ უბედურებს ახლა ამაზე-

დაც აუღიათ ხელი... ასე იცის გაუნათლებლობამ, სიზარმაცემ... რამდენ შეღავათს მე მათ ვაძლევ საყანე მიწებზე, ტყეში, საბოვარზე... მაგრამ მაინც ასე არიან... ვბერდები მე მათი ყურებით და მათი წინ წაწევა ვერ ვნახე, არაფერი შველით.

— უსწავლელები არიან, ბატონო, ხეპრეები, ღარიბები...

— ყველაფერი ეს სიზარმაცით წარმოდგება... იმუშაონ: წავიდნენ ქალაქში, მადანში... ახლა მაინც, ბატონყმობა არ არის, ვინ აკავებს, მაგრამ...

დაიარეს ერთი სოფელი, ორი, სამი, ათი... ათვალიერებდნენ თავიანთ მამულებსაც... ყველგან ერთნაირი სურათი, ყველგან სიღარიბე ხვდებოდათ მასპინძლად.

XIX

სალომეს და მის პატარა სახლს მწუხარე დღეები დაუდგა, თავად ყაფლანის სტუმრობის შემდეგ არც ერთი გარეშე ადამიანი არ მისულა მათთან. სალომე ისევ ბეჟავას კანტორაში მუშაობდა, მაია სკოლაში დადიოდა. წაბლისფერი კაბა, შავი პელერინა, სევდიანი სახე, შეკრული წარბები, დაშვებული ქუთუთოები, მოკუმშული ტუჩები... ოცნება, ოცნება გაუთავებელი. ამოიხვნეშებდა და გულს თან ამოიტანდა.

ყაფლანს ტფილისიდან სანუგეშო ამბავი უნდა მოეტანა. მაია მოუთმენლად ელოდა ამას, თუმცა სალომეს სულ სხვა უნდოდა... მაგრამ მოხუცი ისე მოსულა, რომ არც სალომე უნახავს და არც მაია, ამ ამბავმა ორივე გააკვირვა; დედა გაახარა, შვილი ააცრემლა. „ღმერთო შეგცოდე, ღმერთო მაპატიე, ბესიკის კაი როგორ არ უნდა მინდოდეს, მაგრამ... მაგრამ, მაგრამ მაგ წყეულებმა წამაწყმედინეს სული... რას არ მაფიქრებიებს მამამისის ნაკაიკაცევი... კი, ბესიკს კაის მეტი ჩემთვის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ... მაგრამ ისეთი გვარისაა, ისეთი კაცის შვილია... ვაი, თუ შვილი გამიუბედურეს. ამიტომ... ამიტომ“... — ჩურჩულებდა სალომე და ტუჩებზე ხელს ირტყამდა.

დაკვირვებული თვალი ადვილად ამჩნევდა მაიას სევდას, მარტო ერთი ნაკვთის დანახვით შეიტყობს დედა შვილის გულისნადებს. იგი ჩამძვრალია შვილის გულში, ცდილობს გაარ-

თოს, გაამხიარულოს, მაგრამ მაია მაინც დათალხულია, მისთვის სიხარული აღარ არსებობს. სევდას წიგნების კითხვაში აღრჩობს. კითხულობს ყაზბეგს, ნინოშვილს, სტირის აკაკის სასიყვარულო ლექსების გამო. იმეორებს ილიას სიტყვებს: „თუ არ სიზმრით, რით დასტკბეს უიმედო სიყვარული“... ხან ელგუჯასთან ერთად იწვის, ხან მათიასავით სიყვარულით მთვრალია. მისტირის ქრისტინეს ბედს, აერჟოლებს „განდეგილი“-ს კითხვისას. ვერ იშორებს რუსი პოეტის ნადსონის ლექსებს; სულ გადახაზა, ააჭრელა, ამოწერა, გაიზეპირა... მარტო იწვის, ვერავისთვის გაუმხელია, მხოლოდ დღიურს ანდობს გულის პასუხებს. აი, ზოგი ადგილი ამ დღიურებიდან:

„20/IX. წამერთვა სულიერი სიმშვიდე, სულ ვტირი, ვტირი. საკმარისი იყო ხორციელი ობლობა და სისაწყლე, მუდამ შიშში ყოფნა; საბრალო დედის კალთაში თავის დება. არავინ ჩვენთვის არ იყო, არავის ჩვენ არ ვებრალებოდით... სისაწყლეში გამოვიჩიჩქნე, ობლობაში ვეთრეოდი. გამოთიშული ვიყავი ტოლში და ამხანაგში... მაგრამ... მაგრამ ახლანდელ ყოფნას მაინც ის ყოფნა მერჩია, რა ვარ მე დღეს? რატომ შეიქნა ჩემი სიხარული ასე ხანმოკლე?! ნუთუ მართალია დედაჩემი: ბესიკი და მისი გვარი მარტო უბედურებას თესავენ ქვეყანაზეო? რამ გაუტეხა დედას ასე გული?“

მესამე დღიურიდან: „დედას შევფიცე, რომ ბესიკის სახელს არ ვახსენებდი, არ მოვიგონებ. მაშინ, მართლაც, ასე მეგონა, მაგრამ რა ვქნა, როცა... სიზმრებმა წამიღეს, ოცნებამ დამათრო, გული არ მასვენებს. სულ იმაზე ვფიქრობ, სულ იგი მახსოვს... მისი გამოხედვა, მისი ხმა, მისი ლაპარაკი, მისი დარიგება... მხოლოდ ეს მახსოვს და მეტი არაფერი. მხოლოდ ვოცნებობ და მეტი არაფერი. აკი მან არ იცის ჩემი გულისნადები. მე ხომ არაფერი მითქვამს, იმასაც ხომ არაფერი უგრძნობებია... ეგება მასხრადაც კი ამიღოს. ვინ მე და ვინ ის? მაგრამ მხოლოდ მიყვარს, მიყვარს... მეტი არაფერი არ მინდა მისგან. არაფერი... არაფერი... ოღონდ ვუცქერდე შორიდან, ვუჭვრეტდე, მისი ხმა მესმოდეს“!..

მეოთხე დღიური კი ასე თავდებოდა:

მე არ ვიცი სხვა გართობა ან წამალი გულის,
მე ვცოცხლობდი შენზე ფიქრით, შენი სიყვარულით...

ფრთებს ვიზრდიდი ამ ბუდიდან უცებ ასაფრენად,
გულს უნდოდა ქცეულიყო სიხარულად, ლხენად...
მსურდა, მსურდა დამემარხა ობლის მწვავე ბედი,
ოცნება არ მასვენებდა და სიკარგე შენი...
ახლა რა ვარ? მეც არ ვიცი, რისთვის დავალ სოფლად!.
ნუთუ ასე დამწვავ, ბედო, მარადიულ ობლად?!"

— მაია, რატომ დაგვანებე თავი? შე კაი ქალო, ყოველთვის ბესიკს უნდა მოეყვანე? განა შენ გზა არ იცი? — შეეკითხა ერთ დღეს სკოლიდან მომავალს ქალაქის ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი დათიკო ხაჭაპურაძე.

შემკრთალ მაიას თვალწინ ედგა ღარიბულად ჩაცმული ახალგაზრდა მასწავლებელი, შუა ტანისა და წვერ მოპარსული, შავი ხალათით, მერცხლის ფრთებივით მოფარფატე მოსასხამით და ფართო შლიაპით.

— მე... ისე... ვერ მოვახერხე... შემეშინდა... — დაიბნა მაია.

— რატომ ვერ მოახერხე? რას ქვია შიში? ბესიკი რომ დაიჭირეს, იმიტომ ქვეყანა კი არ დაქცეულა... ჩვენ აქ ვართ. ისევ ვმუშაობთ. საკვირაო სკოლა ერთიორად გაიზარდა, სულ აივსო მუშებით. თქვენი წრე სხვას ჩავაბარეთ. ანბანს უკვე ათავებენ. სცენაზედაც ძველებურად ვმუშაობთ.

მაია გაწითლდა. არ იცოდა, რით ემართლებია თავი.

— ბესიკი დაატუსაღეს, მაგრამ ჩვენი მუშაობა მაინც გრძელდება... სიმართლის ხმას და პატიოსან საქმეს ვერაფერი ვერ შეაფერხებს... მაგისთანობის არ უნდა გვეშინოდეს... შენ უკვე დიდი ქალი ხარ, ავი და კარგი უნდა იცოდე...

მაიას გულში რაღაც დამარხულმა ძალამ იფეთქა. აკი ამგვარი სიტყვები ბევრჯერ გაუგონია მას ბესიკისაგან! ნუთუ ისე შეშინდა, რომ ყველაფერი ეს დააეიწყდა?

— მე... მეც მრწამს, ვიცი... — თქვა მან ბოლოს გაურკვევლად.

— დღეს თუ ხვალ შენც ჩემისთანა მასწავლებელი იქნები... სასწავლებელს ასრულებ, ასე პატარა რამემ არ უნდა შეგაშინოს... რას იზამ, მოხვალ?

— მოვალ უსათუოდ, თუკი მიმიღებთ...

— როგორ არ მიგიღებთ. მოდი უსათუოდ. კვირას თორმეტ საათზე.

— კი, ბატონო, უსათუოდ მოვალ, უსათუოდ...

მაია სახლში აფრენილი მოვიდა. დედამ მაშინვე შეატყო სიხარული და ეჭვი აიღო ალბათ, ბესიკის ამბავი გაიგოო. გულს ნემსი დაესო, სიტყვა არ უთქვამს.

— რაც ბესიკს უყვარდა, ის მეც უნდა მიყვარდეს, — ამბობდა თავისთვის აღტაცებული მაია.

შუალამისას კი ასეთი ლექსი ჩაწერა თავის დღიურში:

იმედმა სიმს ფრთა შემოკრა, სევდას მარხავს სული,
ცის კიდურში ავარსკვლავდა სევდის აღსასრული.
ციდან ელვამ ჩამოკვესა, თითქოს რჩება წყლული,
შავი დარდი იფანტება და ცოცხლდება გული.
შორით მოჩანს, ვისაც ვეტრფი საოცნებო ნავით,
მე სიხარულს ვეგებები საწყალ დედასავით...
იმედმა სიმს ფრთა შემოკრა, სევდას მარხავს სული,
ცის კიდურში ავარსკვლავდა, სევდის აღსასრული...

XX

სამრევლო სკოლის აივანზე მუშები ირეოდნენ. სკამებად ამ ხის ძველი შენობის რიკულები გადაექციათ; ზოგი ცხენივით გადაჯდომოდა, ზოგი ჩვეულებრივად და ზოგიც გვერდით მიწოლოდა, უფრო მეტად ახალგაზრდები იყვნენ.

— გამარჯობათ, ძმებო, გამარჯობათ! — მოისმა დათიკო ხაჭაპურაძის მხიარული სალამი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! დათიკოს გაუმარჯოს! სიცოცხლე ჩვენს დათიკოს!

— იმ გასაპარსავმა ხუცესმა აქნობამდის სკოლის გასაღები არ დამანება, — ჩაილაპარაკა მან და თითქმის დაშლილ კარებზე დადებული ბოქლომი გააღო.

— რაო, ბატონო, რას ამბობს? რატომ გვიშლის ხელს? განა მღვდელი ასე უნდა იქცეოდეს? ამას წინათ კიდევ...

— მღვდელი კი არა, მგელია. შენ, ალბათ, ფულებს იღებ მუშებიდან და მეც გამინაწილეო, ჩამციებია ის წაწყმენდილი, ისა!

— ისე აშენდა მაგისი ოჯახი, ცხონდა მაგის სული, რავაც კაპეიკს ვიხდიდეთ! არ ძღება მაგისი მუცელი!

მუშებმა თავიანთი ოთახები მონახეს. ჯგუფებად დანა-

წილდნენ. ძლივს თავსდებოდნენ ბავშვების მერხებზე. დათიკო თადარიგს იძლევა. სახეგაბრწყინებულია. ყველას მეგობრულად ეპყრობა.

— ბატონო მასწავლებელო, ჩვენს ჯგუფს დღეს ხუთი კაცი მოემატა!

— მასწავლებელო, დღეს გეგენა ვერ მოვიდა. ცოლი ჰყავს ავად და...

— დათიკო, თქვენ რომ მითხარით, ისეთი რვეული ვერ ვიშოვნე...

— დედაენა ვიყიდე...

დათიკო ყველას პასუხს აძლევს. ყველას აკმაყოფილებს. თავის წამოსასხამს წამდაუწუმ აფრიალებს, კბილებიდან პაპიროსი ვერ მოუშორებია, ფართო შლიაპაც ლამის მხრებამდის დაწვდეს.

— ოო, მაიაც მოსულა, მაიაც... გამარჯობა ამხანაგო!

— მე დიდი ხანია აქა ვარ... მუშებთან მოსვლა შემრცხვა და შორიდან ველოდი თქვენს მოსვლას.

მაია წითლდება, იბნევა.

— რას ქვია, ქალო, სირცხვილი! როგორ შეიძლება! ესენი ჩვენი ძმებია, ჩვენი ამხანაგებია... არა, ჩემო მაია, ასეთი მორცხვობა არ გარგებს.

მოვიდნენ სხვა მასწავლებლებიც. სულ ხუთი კაცი; მათ შორის ერთი გიმნაზიის მასწავლებელი იყო, დანარჩენი კი დაბალი სკოლების. მოვიდა აგრეთვე მაიას სამი ამხანაგიც, უფროსი კლასის მოწაფეები. მუშები დარიგდნენ საკლასო ოთახებში, დაიწყო მეცადინეობა. მაიას თავისი ჯგუფი მისცეს.

— იცოდე, აწი დღე არ გამოტოვო, ეს კი გვიპატიებია, — ღიმილით გააფრთხილა დათიკომ.

— არ გამოვტოვებ, ხომ იცით, რა იყო მიზეზი...

მუშებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ანგარიშს. ერთ ჯგუფთან, რომელიც წერა-კითხვაში საკმაოდ იყო გაწვრთნილი, ხაჭაპურაძე საზოგადოებრივი ხასიათის საკითხებზე ბაასობდა. ეს წრე ბესიკის იყო. მისი დატუსაღების შემდეგ კი მუშებმა დათიკოს სთხოვეს მისი ხელმძღვანელობა. აქ საუბრებს ესწრებოდნენ უფროსი კლასის მოწაფეებიც, რომელნიც ხანდახან მასწავლებლობასაც კი ეწეოდნენ. ადგილობრივი

საქალაქო სასწავლებლისა და გიმნაზიის მრავალი მოწაფე იყო ძლიერ დაინტერესებული ამ წრის მუშაობით. ისინი მთავრობას ინსტინქტურად ეურჩებოდნენ და უნდობლად უცქეროდნენ. საქალაქო სასწავლებელში ეს უნდობლობა მასწავლებელმა ზოტოვმა გააღვივა. ეს დაბალი, სახეგატყლექილი, ცხვირკარტოფილა, ჭროღათვალება, თმაქერტლიანი, ჭარხალა და ფრჩხილებშავა კატუნა მუდამ ცხვირაშვერილი დადიოდა. ქართველობა მას ჭირივით ეზიზღებოდა.

— თქვენ ჯერ კიდევ ველურები ხართ, კულტურასთან შორს ბრძანდებით... თქვენი ქვეყანა აზიაში ძევს, თქვენ აზიელები ხართ. ხანჯალი გიყვართ, პერანგს არც თქვენ იცვლით და არც თქვენი მშობლები, საქონელთან გძინავთ, საჭმელს პირდაპირ ხელით ჭამთ... თქვენს ენაზე ლაყლაყი სახლშიაც გეყოფათ, ილაპარაკეთ რუსულად, სკოლა თქვენ გაგაადამიანებთ, კაცში გაგრეკს... თქვენი მამები ქართულმა ენამ გააველურა და თქვენც ეს გინდათ?! — ჩასჩიჩინებდა ზოტოვი თითოეულ მოწაფეს.

ინსპექტორის განკარგულებით მოწაფეთა შორის შემოღებული იყო ე. წ. მარკები. თუ ქართულად დაილაპარაკებდი, შენზე ადრე ამავე ცოდვაში დაჭერილი შეგირდი ღიმილით შემოგთავაზებდა თუნუქის ნაჭერს. ვის ხელშიც სახლში წასვლის წინ აღმოჩნდებოდა ეს ნაჭერი, საღამომდე უსადილოდ უნდა მოეცადა სკოლაში. აქ ყველაფერი ადგილობრივი ეჭვქვეშ იყო დაყენებული, ქართულ ლიტერატურას და ისტორიას დევნიდნენ, ქართველ მოღვაწეებს ამცირებდნენ. ერთი ქართველი მასწავლებელი დიდის ამბით მოხსნეს სამუშაოდან — რომის ისტორიაში ცნობილი პლებეების აჯანყება რაღაც სხვაგვარად აუხსნა მოწაფეებსო. სიტყვა „საქართველო“ არ შეიძლებოდა ხმარებულიყო.

ყოველივე ეს მოწაფეთა შორის უკმაყოფილებას თესავდა. ამას ემატებოდა გარეშე ამბებიც: 1902 წელს, 9 მარტს ბათომის მუშების დახოცვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე, დიდი მთავრის მკვლელობამ, განათლების მინისტრების ბოგოლეპოვის და სიპიაგინის ჩაძაღლებამ გამოაფხიზლა მათი გონება. მოდიოდა სტუდენტთა აღელვების და მუშათა გაფიცვების ამბებიც; კავკასიის მთავარმართებლის თავად გო-

ლიცინის დაჭრაც დიდად ჩამაფიქრებელი იყო მათთვის. უწმინდესი სინოდის მიერ ლევ ტოლსტოის შეჩვენებამ ხომ ყველა გააკვირვა და დააინტერესა.

XXI

ბლაღოჩინმა მელიტონმა ისარგებლა შემთხვევით და თავ. ყაფლანის ოჯახში ორი დღის სტუმრობის შემდეგ სამრევლო სკოლებისა და ეკლესიების რევიზიას შეუდგა ახლომახლო სოფლებში.

პირველად მელიტონი ს. სერის სამრევლო სკოლას ესტუმრა. მასწავლებელმა წინდაწინ იცოდა ეს ამბავი და მომზადებული იყო. კარგი მოწაფეები გააფრთხილა სკოლას არ დაკლებოდნენ, სუსტებს კი უბრძანა, სამი დღის განმავლობაში სკოლა თვალით არ დაენახათ. რამოდენიმე მოწაფე ზედა ჯგუფიდან ქვევით გადასვა, მაღალ ჯგუფში აგერ-ეგერ შარშან სკოლადასრულებულები მოათავსა. მთელი ღამე დადიოდა სოფელ'ში და ძლივს მონახა ოთხი თუ ხუთი, თან შეეხვეწა, არ გამამხილოთო. გარდა ამისა სასმელ-საჭმელიც ბლომად მოიმარაგა; ბლაღოჩინის საყვარელი ღვინო, ჩახოხბილი, წვერა...

— კურთხევა, მამაო! — მიეგება მასწავლებელი მღვდელს და ხელზე საკოცნელად ტუჩები მოანაოჭა და კისერიც მომენტის შესაფერად მოიმარჯვა.

— ძალიან გაუზრდელი მოწაფეები გყავს, — მიახალა მელიტონმა, — სალამს ისე იძლევიან, ჯორი დამიფრთხეს, დამიოჩნეს, ძლივს წამოვიყვანე.

მელიტონი არც რევიზიის შემდეგ იყო მაინცდამაინც კარგ გუნებაზე.

— პირჯვრის წერა არ იციან, „ლოცვა უფლისა" და „ღირს არს" ერთმანეთში არიეს. ღვთისმშობელი იოსების ცოლი იყოო... როგორ შეიძლება ეს?! — საყვედურობდა მასწავლებელს.

— მამაო, რა ვუყოთ, ერთი შეცდომა...

— რის ერთი, რის ორი?.. როგორ გესმის-მეთქი ღმერთის სამპიროვნება, ვეკითხები მოწაფეს და ასე მიპასუხებს: ალბათ, ღმერთს სამი პირი აბიაო. რა არის ეს? რა ამბავია?! გაგიფუჭებია მოწაფეები, გაგირყვნია!..

— მამაო, სხვა საგნებში ხომ კარგები იყვნენ... ქართულში, ანგარიშში...

— დაგიჟინია სხვა საგნები? საღმთო სჯული თუ კაცმა არ იცის, მისთვის ფუჭია ყველაფერი, რად უნდა იმას შენი ციფრები, ლექსები, წერა-კითხვა. ურწმუნო კაცი ყოველგვარ ცოდნას უკუღმა მოიხმარს... ხომ გაიგე, რა მოუვიდა ყაფლანის ვაჟს ბესიკს? განა იმას სწავლა აკლდა? ანგარიში არ იცოდა? მაგრამ მისმა ურწმუნობამ დაღუპა, ხომ გაიგე, რა უქნა სამაგიეროდ მამამ...

დიდხანს გაგრძელდა რევიზიის შესახებ ბაასი. შემდეგ სუფრასაც მიუსხდნენ. ამ სოფლის მღვდელს დააგვიანდა და მხოლოდ პურის ჭამას მოუსწრო. მელიტონი ვერ იყო მადაზე და მეორე სოფელში წასვლა დაიჩქარა. რაც ვერ შეჭამა, აბგაში ჩაიწყო — „გზაზე მომშივაო". ამ სოფლის მღვდელი თან იახლა და გასწია.

მღვდელმა თავისი კარგი ცხენი ბლაღოჩინს შესთავაზა, თვითონ ჯორზე შეჯდა. მეორე სოფლის მღვდელი გზაში შემოხვდათ „სასურველ რევიზორებს". ეს ცოტა ღარიბი ხუცესი იყო, ცხენი არ ჰყავდა — დიდმა ოჯახმა ერთიანად შთანთქა მისი კეთილდღეობა. მარცხენა ხელში ჯოხი ეპყრა, მარჯვენა ხელით კი გულზე ჩამოკიდებულ ჯვარს ჩაფრენოდა. ხუცესი ჯოხივით გამხდარი იყო, ანაფორა ფიცარზე ჩამოკიდებული გეგონებოდათ.

— კი ნუ დაგლახავდები, მამაო, — შესძახა მელიტონმა, — რაა, რომ ფეხით დადიხარ? მუცელი გამოგწლანკია წულუკიძის მწევარივით... არაფერს ჭამ? შენი ხნის ხუცესს ახლა გოდორივით უნდა ეკიდოს მუცელი.

— რა ვქნა, ბატონო, ვერ აუვედი ოჯახს, შვილებს... შემოსავალმაც იკლო, ძველებურად როდი იძლევიან. გარყვნილია ხალხი.

— როგორ? არ კვდებიან, არ იბადებიან, არ თხოვდებიან? მოწმობა არ ეჭირვებათ? ყველა შენს ხელში არ არის? შევატყობინებდი მამასახლისს, ბოქაულს, ყველა ესენი ხომ ჩვენია... აჩვენებდნენ მათ სეირს. გლახა კი ნუ იქნები! შვიდფა ტყავი გააძვრე და უფრო დაგაფასებენ. შენი ხელობა უპირველესად შენ უნდა დააფასო... არ უნდა გაიაფო, თვარა, ხალხი იფიქ-

რებს, არაფერი ყოფილაო. იაფი და უფასო ჩვენს ხალხს ყველაფერი საეჭვოდ მიაჩნია, არ უყვარს.

გამოირკვა, რომ ამ ხუცესს დრამის ფულიც უწესრიგოდ შემოსდის. ამის გამო მასწავლებელსაც მოხვდა რევიზორის სკოლაში მისვლისთანავე.

— შენც მღვდელთან ერთად მრევლის აღმზრდელი ხარ, — ეუბნებოდა მელიტონი, — ამ კაცს თურმე დრამას არ აძლევენ. შენც უნდა ქადაგებდე, ბავშვებს უნდა უხსნიდე, რომ მშობლებს ჩააგონონ. კაი მასწავლებელი და კაი მღვდელი ძმურად უნდა მიდიოდნენ საქვეყნო საქმეში.

— მამაო, ჩემი საქმე აქ ბავშვების სწავლებაა...

— მარტო ეგა, შვილო? ვინ გითხრა? ვინ მოგატყუა? შენ აქ უწმინდესი სინოდის გამოგზავნილი ხარ, იმპერატორ ხელმწიფის დანიშნული ხარ, ეგზარხოსის მიერ მონაწოდები ხარ... ყველაფერს პასუხი უნდა გასცე, ურწმუნოება უნდა დევნო, მორჩილება უნდა იქადაგო, კანონის ასრულებას უნდა უთვალთვალებდე... დღეს რომ მღვდელს დრამას არ მისცემენ, ხვალ ფოსტის ფულს არ გადაიხდიან, ზეგ მთავრობასაც ზურგს შეაქცევენ... ეს უნდა გესმოდეს შენ, ბოროტების სათავე უნდა იცნო... ხომ გაიგე, რა მოუვიდა თავად ყაფლანის ნასწავლ შვილს ბესიკს?..

მეზობელ სოფელში ახლად დანიშნული სემინარიელი მღვდელი გერასიმეც იქ გაჩნდა. გერასიმე ისე ახალგაზრდა იყო, რომ „მამაოს" დაძახებას არც თვითონ ღებულობდა და ვერც სხვები აკადრებდნენ.

— ცუდ ადგილას შევიქენი, მამაო მელიტონ, დანიშნული, — ჩიოდა გერასიმე, — ხალხი ღარიბია, მრევლი პატარა, ჯამაგირის მაგიერ დრამაზე ვარ, ამიტომ გავათავე სემინარია?

— არა უშავს, დაემსახურები... ხე... ხე... ხე... ჩვენც ეგრე დავიწყეთ, შენც მალე გასუქდები, ჯიბე დაგისქელდება.

— რითი, მამაო, რითი? რა უნდა ავიღო ამ ღატაკებში? ყველა მათი მჩაგვრელია; მემამულეები ტყავს აძრობენ, მთავრობა დარჯაკში ატარებს და ახლა მეც ამათ დავაწვე? არ აცვიათ, არ ახურავთ, ღორებივით ცხოვრობენ, უვიცები არიან, ბინძურები, უკულტუროები... ნახევარზე მეტი დროებით ვალდებულები არიან... მამაო, ბატონყმობა აქ ჯერ კიდევ არ გადა-

ვარდნილა... პირდაპირ გაკვირვებული ვარ, რა ნახეს ჩემმა თვალებმა; ყველაფერი ეს მე გაზეთში უნდა გამოვაქვეყნო, დაწვრილებით უნდა ავსწერო... მე... მე... გაზეთის თანამშრომელი ვარ...

— შენ ჯერ ურა ხარ, შვილო, ურა, — ეუბნებოდა წვერების ვარცხნით მელიტონი, — აბა, რაება გგონია ცხოვრება: წიგნებში სხვაა, სინამდვილეში სხვაა, მოიცადე ჯერ, ამისთანეებს ნახავ?

— პირდაპირ გასაკვირალია, ასეთი სიღარიბე და უვიცობა მე არსად არ მინახავს. შეუჭამიათ თავადებს და აზნაურებს ეს მაზრა, ბევრი სოფელი გავიცანი ჩვენს ახლომახლო და სულ ასეთი სურათია. თითო-ოროლა სკოლა, სამიკიტნოები, დუქნები და მშიერ-მწყურვალი ხალხი... ამდენი სიმდიდრე ჩვენს მაზრაშია. ამდენი ფული აქ იშოვება და ხალხი კი ასეთ მდგომარეობაშია; პირდაპირ საშინელებაა. უცხოელები მდიდრდებიან ჩვენი მადნებით, ისინი საქართველოში ოქროს მატყლოვან ვერძებს იჭერენ და ჩვენი გლეხი კი ველურივით დადის... განა ასეთი ხალხი შესძლებს მღვდლის წესიერად შენახვას და სარწმუნოების შენარჩუნებას? ყველაფერი ეს მე დაწვრილებით უნდა ავსწერო გაზეთში...

მღვდლები და მასწავლებლები ორპოფულად ეთანხმებოდნენ გერასიმეს; ხან ბლაღოჩინს შეხედავდნენ და ხან ახალგაზრდა ანაფორიანს.

— ეე, რას იზამ, ჩემო გერასიმე, საქართველო სხვანაირი ქვეყანაა, აქ ბევრს თავისებურობას აქვს ადგილი, მთა და ბარს ვერც შენ გაასწორებ და ვერც მე. საქართველოში ბატონყმობა მამაშვილობა იყო... რომ ასე არ ყოფილიყო, ვინ იცის, ჩვენი გლეხი შეიძლება კიდევ უარეს დღეში ყოფილიყო... მააშ... მაგრამ რას გირჩევ, იცი? გაზეთებში მა საკითხებზე წერას, შვილო, მოერიდე. აქ საყაფლანოა, ყაფლანი ძლიერი თავადია, მისი ეპისკოპოსსაც კი ეშინია... ილია ჭავჭავაძის ოდენა ვის უწერია, მაგრამ რა გაკეთდა?.. თუ მაინცდამაინც კალამი გერჩის, შვილო, სხვა უფრო საინტერესო საკითხებზე სწერე: აი, ჩვენი მაზრის მადნის მნიშვნელობაზე, ბუნების სილამაზეზე, სიყვარულზე და რა ვიცი რაზე... ნიჭიერი კაცი ყოველთვის მონახავს შესაფერ თემას...

მელიტონი გრძნობდა, რომ გერასიმეს სახით განათლებულ მღვდელს ელაპარაკებოდა და ამიტომ თავისი ცოდნაც უნდა გამოეჩინა, ამიტომაც ახსენა გაბრიელ ეპისკოპოსი, ჭავჭავაძე, აკაკი, ნიკოლაძე, გოგებაშვილი...

— მაგრამ ხე... ხე... ხე... ტოლსტოივით არ მოგივიდეს, ჩემო გერასიმე, ტოლსტოივით! წერა, წერა და ბოლოს ღმერთი არააო სთქვა... უწმინდესმა სინოდმა კიდეც მიუზღო სამაგიერო. მართლა, ყაფლანის შვილის ამბავი იცით? არ იცით? როგორ დაგიჯეროთ? აი, ბესიკის ამბავი. მოდი, გიამბო... მთელმა ქვეყანამ გაიგო და შენ არ იცი?

ბლაღოჩინს მოახსენეს, უკვე საღამოა, მოწაფეები დაიმშენ და რა ვქნათო. მელიტონი საჩქაროდ ადგა, შევიდა კლასში, აკურთხა შეგირდები, აგალობა, რამოდენიმე ლოცვა გამოკითხა და დიდად კმაყოფილი დარჩა.

ახლა უკვე სამი მღვდელი მიემართებოდა შემდეგ სოფლისაკენ. გერასიმე კი მოხერხებულად მოიშორეს თავიდან. გამოფიცრებულ ხუცესსაც სადღაც ჯახრიკი უშოვეს...

— შენ რომ სიმძიმის პატრონი ხარ, მაგი კი არა, ქათამი გზიდავს, — დასცინა ბლაღოჩინმა.

რამ შეყარა ეს მგლების ხროვაო, ამბობდნენ ჩუმჩუმად მათი მნახველი გლეხები. გერასიმეს ნალაპარაკევმა ჩვენი ხუცებიც აამეტყველა, ჯერ მთელი ღამე წუხელის ამის შესახებ დაობდნენ და ამ დილითაც სალაპარაკოდ ეყოთ.

— ერთ რამეში მართალი იყო გერასიმე, — ამბობდა მჩატე მღვდელი, — მართლაც, კარგია ჯამაგირზე ყოფნა. მოგივა ყოველ ოც რიცხვში და ხარ შენთვის მოსვენებული. უბედურებაა ამ დრამის აკრეფა.

— მაგან თავადების ხსენებას თავი დაანებოს, თვარა კისერს მოიტეხს... მაგისთანა მწერლებიც გვინახავს... ჯერ არ უჭამია იდაყვით დანაყული მარილი... გაიგოს ეპისკოპოსმა და!... — იმუქრებოდა ბლაღოჩინი.

სამეულის მოგზაურობა მარცხით დასრულდა, სკოლა გამოკეტილი დახვდათ. მოწაფეების დიდი უმრაველესობა სამინისტრო სკოლაში გადასულიყო, ხოლო გულგატეხილ მასწავლებელს სკოლის კარები გამოეკეტა.

— აი, ჩვენი უბედურება! აი, სარწმუნოების დაცემა! აი,

სამღვდელოების უპატივცემულობა! — აყვირდა ბლაღოჩინი და კინაღამ წვერებიდან გასცალა აქაური მრევლის მღვდელი. — ესაა შენი ნამუშევარი? ასე ემსახურები შენ ჯვარს და სახარებას? სამინისტრო სკოლამ გაჯობა? საერთო განათლებამ უნდა დაგვჯაბნოს? აქ რომ სამღვთო სჯულს თითო-ორ საათს უთმობენ, ურწმუნოებს ამზადებენ, ტოლსტოის მიმდევრებს ამრავლებენ...

— რა ვქნა, მამაო, — წუწუნებდა მღვდელი, — იქ უფრო კარგი მასწავლებლებია, მარტო სიმონ გიმაკაძეს ვინ აჯობებს? მთელ მაზრაში იცნობენ, ხალხიც უფრო იმ სკოლებს ეტანება; წერა-კითხვას და ანგარიშს უკეთ ასწავლიან, არ გვინდა ამდენი ლოცვებიო...

— საქმეც მაგაშია, საქმეც მაგაშია! — ბღაოდა მელიტონი. — მე არ ვყოფილვარ ორჯელ ნაკურთხი, თუ ამიზა არ გაგპარსო... შენი სკოლის მასწავლებელიც დაწყევლილი და შეჩვენებული იქნება... რატომ ემეგობრები შენ იმ სიმონ გიმაკაძეს, რა გაქვს მასთან საერთო? მაგრამ შენც მისი კუდი ხარ, მასავით ურწმუნო. ბანკში შეგაძვრინა და ორ გროშს გაძლევს, მერე რაღაც მომხმარებელი საზოგადოება დააარსა და იქაც გამგეობაში შეგათრია. იქიდანაც, ალბათ, ფულებს იღებ... მღვდელი და სავაჭრო საქმე?! მალე, ალბათ, საზოგადო სამიკიტნოსაც გააღებთ შენ და გიმაკაძე! რაღაც სამკითხველო დაგიარსებიათ და თურმე არც ერთი სასულიერო გაზეთი არ გაქვთ გამოწერილი, არც საეკლესიო წიგნებს აძლევთ თურმე ხალხს წასაკითხავად!.. გაიგოს მაზრის უფროსმა და შენცა და იმ შენ გიმაკაძესაც გაჩვენებენ თქვენს სეირს! უწმინდესმა სინოდმა და მთავრობამ თქვენზე უკეთ იცის, რა უნდა ხალხს და რა არა! ბანკებს აარსებთ აქ და საზოგადო სავაჭრო მაღაზიებს ხსნით, თუ ბავშვებს ასწავლით?!..

— ორივეს ვშვებით, მამაო, ორივეს...

— ხომ აგრეა? ხომ აგრეა?! — კვლავ დაიღრიალა მელიტონმა და მაშინვე თავის ცხენს მივარდა, შეჯდა ზედ და მხლებლებთან ერთად სხვა სოფელს მიაშურა.

— მოღვაწე კაცია სიმონ გიმაკაძე, ბევრი რამ გაუკეთა ხალხს, ყველას უყვარს. განათლებული კაციცაა, პატიოსანიც, — შებედა ერთ-ერთმა მღვდელმა.

— ვიცნობ, რაც შვილია! ნახავ, რავა გამოჭამოს ის მომხმარებელი საზოგადოება, იმ ბანკსაც კარგ დღეს დააყენებს... ყველაფერი ეს ხალხის მოსატყუებელი საშუალებაა, — ირწმუნებოდა მელიტონი. შემდეგ კი კილო შეიცვალა: —

— ხუცესო, ისეთი მშია, რომ... იმ წყეულს სადილი მაინც ეჭმია.

— მამაო, თუ თქვენი ნება იქნება, ერთი ნაბუქოდონოსორთან შევიაროთ!

— ღმერთმა ყველაფერი კაი მოგაგონოს... პურღვინის კაცია, გავსწიოთ!

ნაბუქოდონოსორის სოფელში სკოლა არ იყო და ეკლესიის საქმეების რევიზია მოიმიზეზეს. ამ მღვდელს ნიკოდიმოსი ერქვა, ნაბუქოდონოსორს კი სიდიდისათვის ეძახდნენ.

ნიკოდიმოს-ნაბუქოდონოსორი ზვინივით იდგა ეზოში და რაღაცაზე ოცნებობდა. თავი ხის ტოტებში ჰქონდა, ანაფორა რამდენიმე თოფი მატერიისაგან იქნებოდა შეკერილი. მაკრატელი ალბათ, არ ხმარებულა; მატერია გამოუჭრელად ეკიდა წინ და უკან ზოლებად, დაუზომებლად; მოურგებლად შეკერილს გავდა. როცა მობრუნდებოდა, კალთები ქარის ქშუიშს ასტეხდნენ, თუმცა ვეებერთელა სხეული ძლივს ბრუნდებოდა.

ერთ ჭამაზე ნაბუქოდონოსორს ერთი დეკეული და რამოდენიმე თუნგი ღვინო უნდოდა. მის ლოგინს მორგვებივით ფეხები ჰქონდა, სიგანით დავით აღმაშენებლის საწოლს ადარებდნენ. სოფელში არ ყოფილა ისეთი იატაკი, რომ მას არ გაემწარებიოს. ერთხელ ქორწილში მთვრალი შინ ეტლით მოიყვანეს, მაგრამ ეტლიდან ჩამოსვლა ვერ შესძლო, ვერც ვერავინ ხელით ჩამოიყვანა, ბოლოს ისევ ეტლში ჩატოვეს, საბნები დახურეს და გათენებამდე შიგ ყავდათ, გამოაძინეს და მერეღა დაიძრა. ნაბუქოდონოსორი მელიტონმა დაარქვა. ასე ვეებერთელა არსებას სახელიც გრძელი შეშვენისო.

დიდი ამბით მიიღო ნაბუქოდონოსორმა სტუმრები და დიდი სმა-ჭამაც გამართა. სუფრაზე გადაწყდა, რომ მისთვის მრეული გამოეცვალათ — ამხელა მუცელს ასე პატარა სამწყსო ვერ შეინახავსო. გამოფიცარებული მღვდელი გულში ღმერთს ემდურებოდა, მე რად შევიქენი ასეთი იღბლისაო.

მეორე დღეს ბლაღოჩინმა მღვდლები სახლებში გაისტუმრა

და თვითონაც ქალაქისაკენ გასწია. გზაში ერთი დიაკონის ნახვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს დიაკონი დიდი ხანია მღვდლად კურთხევას ელოდა, მაგრამ მელიტონი საქმეს აჭიანურებდა — სამონასტრო შესაწირავს მოზრდილად სთხოვდა. დიაკონს ლამაზი ცოლი ჰყავდა, საქმეს ესეც აფერხებდა.

დიაკონმა აღტაცებით მიიღო ბლაღოჩინი და შესანიშნავი სადილი აჭამა. მელიტონმაც სადილი ვახშმად აქცია და მომავალი მღვდელი ღონივრად დაათრო, თვითონ კი სახუცოდ გამზადებულის ცოლთან უნდოდა ღამის გატარება. ყურის გასაჭრელად გადაქცეული დიაკონი სადღაც მიაგდეს, ხოლო მელიტონმაც ლოგინის გაშლის დროს დიაკონის ცოლზე იერიში მიიტანა.

— მოგიკვდათ ჩემი თავი, — ეფიცებოდა დიაკონის ცოლი, — თქვენ საკადრისად არ მაცვია და არც დარეცხილი-დაწმენდილი ვარ, გამიშვით კარში, გავსუფთავდები, ოჯახს მივალაგ-მოვალაგებ და...

— კარგი, შვილო, ძალიან კარგი, — უთხრა ანერწყვებულმა მელიტონმა, — უსათუოდ ვაკურთხებინებ შენ ქმარს, უსათუოდ.

დიაკონის ცოლმა თავი საფრთხეს დააღწია და კარში გამოვარდა. მთელი ღამე მელიტონის თვალს ძილი არ მიკარებია, მაგრამ მომავალი ხუცის ცოლი არსად ჩანდა.

— თუ სულელი არ ვიყავი, რას დავეძებდი მისი ტანისამოსის გამოცვლასო, — ამბობდა კბილების კრიჭინით მღვდელი. ბევრი იწრიალა და ახველა, მაგრამ ვერავის ხმა ვერ მიაწვდინა. ბოლოს, ნაშუაღამევს, ეზოში გამოსვლა იკადრა და ხმამაღლა მთქნარებას მოყვა. უეცრად აივანზე რაღაც თეთრს თვალი მოკრა. მელიტონმა ფეხს აუჩქარა და ის იყო უნდა მოხვეოდა, რომ თბილმა სითხემ შადრევანივით გადაურბინა თავზე. მთვრალი დიაკონი გამოსულიყო გარეთ. მელიტონს ხმა არ გაუღია, წვერები დაირეკა და იქით აიტუზა. მეორე დღეს უძინარევმა ბლაღოჩინმა საუზმის მიურთმეველად გამოსწია ქალაქისაკენ.

— მოიცადე, არ გნებავს გაკურთხო?! — იმუქრებოდა თავისთვის.

XXII

დათიკო ხაჭაპურაძე და მამა მელიტონი გაცხარებული დაობდნენ. დათიკო სკოლის რიკულზე გადაწოლილიყო, იქვე იყო სამი მუშაც. სამეცადინოდ იკრიბებოდნენ, რამდენიმე კაცი კიდევ უნდა მოსულიყო.

— ასწავლე, შვილო, სამადლო საქმეა, სწავლის მიღება მეორედ დაბადებას ნიშნავს, მაგრამ მე არაფერ შარში გამხვიოთ. ნებართვა აიღეთ და რაც გინდათ, ის აკეთეთ. მიდით მაზრის უფროსთან, მოახსენეთ ყველაფერი და ხელს არ შეგიშლიან, განათლებული კაცია, საწყალი ხალხი ებრალება.

— ჩვენ, მამაო, არაფერ საწინააღმდეგოს აქ არ ვაკეთებთ. უვიც მუშებს ვასწავლით წერა-კითხვას და ანგარიშს... ვასწავლით სამღვთო სჯულს, აი, მაგალითად, დღეს მე სამღვთო სჯულის გაკვეთილი მექნება. დღეს საგანგებოდ მყავს ესენი დაბარებული. თუ გნებავთ, მობრძანდით და თქვენც დაგვესწარით, სხვა რა გინდათ?.. ნებართვაო, რომ ბრძანებთ, თქვენ ხომ იცით და თქვენმა მღვდელმა? სხვა რა საჭიროა...

— ეს კიდევ თავისას ამბობს! რომ ვერ გავაგებინე?! ჩემი ნებართვა არაა საკმარისი. მაზრის უფროსმა გუშინ შავი დღე დამაყენა. რატომ უნდა გავილანძღო თქვენი გულისათვის?! ვიღაც საეჭვო ხალხი იკრიბება შენს შენობაშიო, ვინ იცის, რაებს ასწავლიანო; ბესიკიც თურმე მანდ დადიოდაო...

— მამაო, ჩვენ ვსწავლობთ, ანბანს ვსწავლობთ, — ჩაერია საუბარში ერთ-ერთი მუშა, — სამადლო საქმეა. გუშინ კანტორაში პირადად მოვაწერე ჩემი სახელი და გვარი და სიხარულით კინაღამ გადავირიე... მანამდის ჯვარს ვსვამდი... გაუკვირდათ, რატომ მალავდი აქამდეო... საწყალი ხალხი ვართ, ხელს ნუ შეგვიშლით...

— შვილო, შენ ნუ მასწავლი მე სწავლის საჭიროებას, — მიუგო მელიტონმა, — ვინ იცის, რამდენი შენისთანა მე გამიზდია... ჭკუას მასწავლის ესეც... ასე, ასე... მე არ შემიძლია შენობაში შეგიშვათ, ნებართვა მომიტანეთ და ბატონი ბრძანდებით, — დააბოლოვა ბლაღოჩინმა და შინისკენ გასწია. დათიკო უკან დაედევნა, მუშები გაკვირვებული დარჩნენ.

— მამაო მელიტონ... მამაო მელიტონ... ნუ იკადრებთ... ცოტა გვადროვე...

— მოდი შენ აქ, — მოუბრუნდა იგი დათიკოს, — შენ, ჩემო ძმაო, საქმე ხომ არ შემოგლევია, რომ ამ მუშებში ტრიალებ, ხომ გახსოვს ბესიკის ბედი? ქართველი კაცი ხარ, მებრალები, საწყალი დედმამის შვილი ხარ, მაზრის უფროსი კბილებს ილესავს... იცი, რა თქვა სიმონ გიმაკაძის შესახებ? აი, ცნობილი კაცი რომ ბრძანდება სოფელ ანეულში... სამინისტრო სკოლის გამგე რომაა... ლევიცკის მუნჯურ მეთოდზე რო სწერდა გუშინ გაზეთში.

— ვიცი, ვიცი... მასწავლებელთა კავშირის დაარსებაზე რო ზრუნავს...

— ახლა ესეც დაიწყო? — შეაწყვეტინა მღვდელმა დათიკოს. — არ იკმარა ბანკი, საზოგადო სავაჭრო და ამისთანობა? იცი, რას ამბობს მის შესახებ მაზრის უფროსი?.. გაანებე, ბიძია, თავი, თვარა შენც მახეში გაებმევი. ბესიკს თუ უყურებ, იმას ათასი პატრონი ჰყავს, თავადიშვილია; მამამ, მართალია, დაწყევლა და შეაჩვენა, მაგრამ იგი მაინც თავს მოვა, შენ კი... უტარო დანასავით დაიკარგები, შვილო... იცი?!. რუს ხელმწიფესთან ჩვენ რას გავხდებით, ერთი მუჭა ქართველები... ციხეებში ამოგვალპობენ, ციმბირში მიგვაბრძანებენ. რა უქნეს დიმიტრი ყიფიანს? ხომ იცი, იგი რამოდენა კაცი იყო... მააააშ... თავი შეინახე, ორი გროში აიღე და იყავი შენთვის... შენზე უკეთესი და უფრო ნასწავლი მასწავლებლებია ჩვენს ქალაქში, მაგრამ თავისთვის არიან... იღებენ ოქროებს ის კაცები და ტკბილად ცხოვრობენ თავიანთ ´ცოლ-შვილში. შენ კი რას ჩაცივებიხარ ამ შავ ხალხს?

— ხომ ხედავთ, ამხანაგებო! — უთხრა მუშებს უკან დაბრუნების შემდეგ დათიკომ, — სიტყვით ქვეყანას აშენებენ, საქმით კი ასე იქცევიან ეს ვაჟბატონები. დააკვირდით კარგად ამ ხუცესის საქციელს — ვის მხარეზეა იგი? ვისთანა აქვს კავშირი? ხომ გაიგონეთ, როგორ კარგად იცის მაზრის უფროსის ფიქრები და ზრახვები? ეს მისი კუდია, ამბებს უზიდავს, ეჩურჩულება... ენატანიობს.

ამას დათიკომ გრძელი საუბარი გადააბა ამ ქვეყნის ძლიერთა შესახებ. მუშები გულდასმით უსმენდნენ, ეთანხმებოდნენ, უკვირდათ ნათქვამი, რომლის სიმართლე ასე აშკარა იყო, მაგრამ აქამდე ასე ნათლად ვერ შეემჩნიათ.

დათიკო ფურცლავდა ისტორიას და მოყავდა ათასნაირი მაგალითები.

— რაკი აქ შეკრების ნებას არ გვაძლევენ, ჩემს სახლში გამეცადინებთ, — თქვა მან ბოლოს.

მუშები აღტაცებაში მოვიდნენ, ხოლო ბლაღოჩინის საქციელის საპასუხოდ გადასწყვიტეს, კიდევ უფრო მეტის ენერგიით ევლოთ წრეებში და სხვა მუშებიც უფრო ფართოდ ჩაეთრიათ.

— თუ აგრეა, აბა, ვნახოთ, აბა, ვნახოთ! — ამბობდა ერთი მათგანი. — თვალებს გვიხვევენ, გვატყუებენ, სწავლა გვინდა და არ გვანებებენ?..

— ვინც უკან დაიხიოს და მაგათი შეეშინოს, დავახურე მისი ცოლის ლეჩაქი! — დაიქადნა მეორემ, რომელსაც ყველანი დაეთანხმენ.

და მართლაც, გაძლიერდა დათიკო ხაჭაპურაძის წრისკენ მუშების ლტოლვა.

დათიკოს საუბრებს გიმნაზიის მოწაფეებიც ისმენდნენ. მაიაც მათ შორის იყო, რომელიც ბესიკის წყალობით ყველაზე უფრო მომზადებულად და განვითარებულად ითვლებოდა. მან უკვე დააღწია თავი იმ შიშსა და თავზარდაცემას, რაც ბესიკის დატუსაღების და დედის დატუქსვის შემდეგ განიცადა. მუშებში მეცადინეობის განახლებამ მაია ისევ ფეხზე დააყენა. მისი დღიურები და ლექსები ამ ხნიდან აღფრთოვანების ელფერს ატარებდნენ. „ახლა კი მივხვდი, ვინც ყოფილა ბესიკი და რა სდომებია მას“, — ჩასწერა მან თავის დღიურში, ბლაღოჩინის მიერ საკვირაო სკოლის აკრძალვის შემდეგ.

XXIII

სრულიად მოულოდნელად იასონ ბეჟავას კანტორას მაზრის უფროსი და ბოქაული სილოვანი ეწვიენ. უფროსს მრისხანე სახე ჰქონდა, სილოვანი კი მხრებ აწეული მოსდევდა კუდში მას.

— მაჩვენეთ თქვენი წიგნები, მუშების სია! — უბრძანა უფროსმა ვალოდიას.

მაზრის უფროსი დიდხანს იცქირებოდა უთავბოლო დავთ-

რებში. სილოვანი რაღაცეებს უთარგმნიდა და თანაც ეჩურჩულებოდა. მთელი კანტორა ფეხზე იდგა და მიცვალებულის ჭირისუფლების გუნებაზე იყვნენ. ბოლოს უფროსმა ბრძანა:

— დღესვე შემოვიდეს ჩემთან ამ კანტორის პატრონიო.

გვარი არ დაასახელა, ვითომ არც იცოდა, ვინ იყო.

— რაშია საქმე, ბატონო სილოვან? — ჩურჩულით შეეკითხა ვალოდია.

— არ ვიცი, შენი ჭირიმე... მე მგონია, არაფერი ისეთი არ უნდა იყოს. თუ რამე შევატყვე, მხოლოდ გაცნობებთ, გაგაფრთხილებთ, იასონს უთხარი, არ შეგეშინდოს-თქვა.

ცალი თვალი მოჩურჩულე ბოქაულს უფროსისაკენ ეჭირა — არ შემამჩნიოსო.

საღამოზე კი ბეჟავას ასე ელაპარაკებოდა მაზრის უფროსი თავის კაბინეტში:

— მე ვიცი, ყველაფერი ვიცი, ვერავინ მომატყვილებს! თავადი ყაფლან კვენიფნეველიც კი ვერ გამაცურებს... ხომ იცით, რა დღეშია მისი შვილი? დიახ! თქვენ ქართველი მრეწველები, უმადურნი ხართ და არ აფასებთ მთავრობის ზრუნვას... თქვენ, უფალო ბეჟავა, ჩვენს ბლაღოჩინს, მამა-მელიტონს ედავებით და კრიჭაში უდგეხართ. გამიფრთხილებიხართ, ჭკუით იყავით, პატივისცემით მოეპყარით... ხომ გესმით?! მერე თქვენი მაღაროების მდგომარეობა მე ძალიან მაეჭვებს, ხშირად ინგრევა თურმე... გახსოვს გურამა?!.

— მახსოვს, ბატონო! — მიახალა აცახცახებულმა ბეჟავამ.

— დიახ, გახსოვს! მაგისთანა ამბები თურმე ხშირია შენს მაღაროებში. მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, სულ აგიკრძალავთ მუშაობას! უკვე ვაცნობე გუბერნატორს, თქვენ აქ ღუპავთ მუშა ხალხს, საწყალ მშრომელებს, ტყავს აძრობთ, ხვრელებში ხოცავთ, ასე არ შეიძლება, ხემწიფე იმპერატორი თქვენ ამის ნებას არ მოგცემთ!..

დიდხანს ისმენდა ამგვარ მუქარას იასონ ბეჟავა, რომელიც მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

ბოლოს ყველაფერი იმით დათავდა, რომ მაზრის უფროსის მაგიდაზე კონვერტი დაიდო, ხოლო ბისი მეუღლე მოპატიჟებულ იქნა იასონის მაღაზიაში — „რასაც ინებებდა“, ამოარჩევდა.

— უყურე ამ წვერძაღლს ჩვენს ბლაღოჩინს სად უჩივლია! — ამბობდა გულგასიებული ბეჟავა, — სასიძო უნდა წამართვას, მონაზონის ამბავიც უნდა დამამალვინოს... ოჰ, მაგ შეჩვენებული, მაგა!.. მაგრამ მაგისთვის ისეთ მახეს დაუგებ, რომ...

მეორე დღეს იასონის კანტორაში ნიკოდიმ-ნაბუქოდონოსორი შემოიმართა, გურამა მე დავასაფლავე და გასამრჯელო არ მიმიღიაო. ვალოდიას არასოდეს არ ენახა ამოდენა მღვდელი და გაკვირვებული შეჰყურებდა, სალამიც მოწიწებით მისცა და სკამიც მაგარი მოუძებნა. ნაბუქოდონოსორის ანაფორის უკანა ნაწილში სკამი ისე დაიმალა, თითქოს ეს ადამიანი სარზე დამჯდარიყოს. ბაყვები აქეთ-იქით გადარჩა, საზურგე ლამის გადატყდა. მღვდელმა იგრძნო უხერხულობა, მაგრამ სიწითლე შეიკავა და გოდორის მსგავს გულმკერდზე ჯვრის თამაშს უმატა.

დიდი ვაჭრობის შემდეგ სამ თუმანზე შეთანხმდნენ.

— ქართველი კაცი ხარ და მეტს არ გამოგეკიდები, — თქვა ნაბუქოდონოსორმა და სამჯერ დათვლის შემდეგ ფულები ლურჯ ცხვირსახოცში გამოიხვია. შენახვითაც საიმედოდ შეინახა — გულის ჯიბეში, რომელიც სარჩულში ჰქონდა გამოკერებული.

მესამე დღეს დიაკონიც მოვიდა, იგიც ითხოვდა შრომის ფასს. ავარდა-დავარდა იასონ ბეჟავა, ბევრი იუარა, მაგრამ დიაკონიც მაგარი აღმოჩნდა:

— აგერ მაქვს დაწერილი ქაღალდი, ახლავე ეპისკოპოზს ვაცნობებო, — დაემუქრა და სამი თუმანი იმანაც იჯიბა.

— თქვენთვის მომკვდარა ის საწყალი გურამა, — უთხრა გაბრაზებულმა მრეწველმა, — სწორედ თქვენთვის. ვერ გამიგია, რა უკუღმართადაა მოწყობილი ეს ქვეყანა! საწყალი კაცი დაიღუპა და ფულებს ესენი იღებენ. პირდაპირ გადავყევი ამ კაცს, ტყავი გამაძვრეს, გამძარცვეს.

— არა უშავს, სამაგიეროდ ღმერთი ხელს მოგიმართავს და ბევრს მოგაგებინებს, სულ შენზე ვილოცებთ, — ანუგეშა დიაკონმა და ლოცვა-კურთხევით მოშორდა.

იასონი კი ისევ ყეფდა:

— არა, პირდაპირ უსამართლობითაა სავსე ქვეყანა!

იმ უბედურის ოჯახს რაღაც ორი გროში მივეცი და ამ ძაღლებს კი ვერ აუვედი... ათი იმდენი, ოცი იმდენი ამ ძუნკლებმა წაიღეს. ვინ არ მოითბო ხელი, ვინ არ ამაფცქვნა რაიმე?.. სწორედ ცოდვითაა სავსე ეს ქვეყანა, სწორედ!

ერთი თვის შემდეგ იასონ ბეჟავას ოჯახმა სანაქებო ქორწილი გადაიხადა; უფროსი ქალი სტუდენტს მიათხოვეს, ბლაღოჩინი და მისი ქალი კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ.

სასიძომ მარტო ხელზე ფულად თხუთმეტი ათასი მანეთი აიღო, ბლაღოჩინმა კი ოთხი ათას მანეთზე მეტი ვერ შესთავაზა.

ასეთი ქორწილი მთელ მაზრას არ ახსოვდა. წვეულებას არ დაკლებია არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი: იყო მაზრის უფროსი მთელი თავისი პოლიციით; იყვნენ მრეწველები — ქართველები და უცხოელები, იყვნენ თავადები, გლეხები, მუშები, მღვდლები, გიმნაზიის მასწავლებლები. დაიხარჯა აუარებელი ფული, განადგურდა უამრავი სანოვაგე; შეისვა აღურაცხელი სასმელი. ქეიფის დროს ექვსჯერ ჩხუბი და აყალმაყალი მოხდა, სამი კაცი დაიჭრა, თორმეტი გაილახა, აუარებელი ჭიქა-თეფში დაიმსხვრა და ბოლოს მაზრის უფროსი და თავადი ყაფლან კვენიფნეველიც შერიგდნენ, მათ შორის სამუდამო ზავი დაიდო. ისიც გადაწყდა, რომ ყაფლანი მარშლად უნდა არჩეულიყო.

დათიკო ხაჭაპურაძემ და მისმა წრემ მშვენივრად გამოიყენეს ის ქორწილი:

— შეხედეთ, მუშებო, თქვენი ზურგიდან ანატყავები ფული როგორ იფლანგება, ქეიფი, სმა-ჭამა, გარყვნილება, სასიძოს პირდაპირ ყიდვა... დაიხსომეთ ყველაფერი ეს, დაიხსომეთ, მომავალში გამოგვადგება. სიმდიდრე კისერში ამოსტირით, თქვენ კი შიმშილით ლასლასებთ. ასეთ ქეიფებს რამდენს აწყობს იასონი!.. მაგრამ მარტო იგი იქცევა ასე? განა ყველა მრეწველები აგრე არ ფლანგავენ თქვენი წყალობით შეძენილ ათასებს და ათიათასებს?! დილიდან საღამომდე გამუშავებენ და ორ გროშს კი გაძლევენ... ადამიანებად არ გთვლიან, ძაღლადაც არ გაგდებენ, პირუტყვებივით გექცევიან... თქვენ ოფლში იხრჩობით, იასონი სურნელოვან წყლებში. თქვენ სიბინძურეში გძინავთ, იმათ სახლებში. თქვენ შავი პური გე-

ნატრებათ, იმათ თეთრიც თავსაყარი აქვთ... მათი სიმდიდრე თქვენი შექმნილია, თქვენი სილარიბე მათ მიერ არის გამოწვეული... დააკვირდით ამას, შეიგენით... ეს იასონ ბეჟაია ერთ დროს თქვენსავით ღარიბი იყო, მაგრამ ათასნაირი გაიძვერობით გამდიდრდა, თქვენი ნაოფლარი ქონებით აივსო... თქვენ კი... თქვენ ასეთ დღეში ხართ... — განუმარტავდა თავის წრის წევრებს ხაჭაპურაძე.

მუშები გულდასმით ისმენდნენ ამ სიტყვებს.

XXIV

ათი თვის ტუსაღობის შემდეგ ბესიკი გაათავისუფლეს და თავის მაზრაში გამოგზავნეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამ ამბავს არავინ არ მოელოდა: არ გამართლდა არც ციმბირი, არც ციხეში გამოლპობა და არც ჩამოხრჩობა.

ყველას ეგონა, ბესიკი გულგატეხილი და დაგლოვებული, ან ჭკუაზე გადასული და დათვინიერებული გამოვიდოდა ციხიდან. ციხის მიზანი ხომ ეს იყო, მაგრამ არაფერი ამისმაგვარი არ მომხდარა; ასე მხიარული, აღტაცებული და ჯანსაღი ჯერ არავის ენახა ბესიკი.

თავის ქალაქში დაბრუნებისთანავე ბესიკი სალომესთან მივიდა. სალომეს კინაღამ გული წაუვიდა ამ მოულოდნელი ამბავის გამო.

— ბესიკი? შენ?!. მოხვედი?.. გამოგიშვეს?! — ამის მეტი ვერაფერი მოახერხა დედაკაცმა.

— მოვედი, ჩემო სალომე, მოვედი... რას შვები, როგორ ხარ?

ბესიკი ძალიან შეშფოთდა, რომ მაია ვერ დაინახა... „ნეტავი სად უნდა იყოს?!“ — ჰკითხა თავის თავს და მთელი არსებით ამ კითხვამ შეიპყრო. სალომესთან მისვლა და მაიას არ ნახვა მისთვის წარმოუდგენელი იყო.

„როგორი იქნება ჩვენი პირველი შეხვედრა? — ათასჯერ კითხავდა ბესიკი თავის თავს. — ალბათ, დედა და შვილი ერთად იქნებიან. გადავკოცნი თუ არა ორივეს? როგორ მოვიქცევი?!.“

აი, მოვიდა ბესიკი ამ სანატრელ ოჯახში და მაია კი არსად ჩანს, სალომეც არაფერს ამბობს.

„ხომ არ გაუთხოვებია?!“ — გველივით უკბინა ამ კითხვამ ბესიკს. ტკბილ ოცნებას ფრთები შეეკვეცა და იგი ერთიანად გამოიცვალა.

— ჩემი... ჩემი ოთახი რას შვება? — იკითხა მან დაბნეულად.

გამოირკვა, რომ თავად ყაფლანის განკარგულებით ყველაფერი სოფელში წაეღოთ.

„სურათიც წაიღეს? მაიას ჩემი სურათიც გამოუმეტებია!“ — გაიფიქრა ბესიკმა.

— ყველაფერი წაიღეს, შვილო, ყველაფერი, ყაფლანი სულ შეიშალა, ის უბედური... შენი დებიც და სიძეებიც იმას აყვნენ... გიღალატეს, შვილო, გამოგწირეს... როცა ციხეში ტყვედ იყავი, არ დაგეხმარენ... მახვილიც მაშინ ჩაგცეს... გაუტანლები, დაუნდობლები...

ბესიკს არაფერი ესმის, სხეული შხამით აევსო, ლაპარაკის უნარიც დაეკარგა. მისი არსება მაიაზე ფიქრმა შთანთქა, მაგრამ უცებ კარები გაიღო.

— ბესიკი...

— მაია... მაია... მაია...

— ბესიკი... ბესიკი... ბესიკი...

დიდხანს თრთოდა მაია ბესიკის მკლავებში.

დამეხილი სალომე კი ფანჯარაში იყურებოდა.

— ...ქალებულხარ, დამშვენებულხარ, გაზრდილხარ... მაია... მაია! გამოცვლილხარ... სასწავლებელსაც გაათავებდი... ყოჩაღ, მაია, ყოჩაღ!..

ისინი იცინოდნენ, ერთმანეთს შეხაროდნენ. სალომე კი გაქვავდა, ფანჯარას მიაკვდა.

— დედა, დედა! ბესიკს რაიმე ვაჭამოთ!..

სალომე გამშრალია, მას არაფერი არ ესმის.

— დედა, ვაჭამოთ რაიმე ბესიკს!..

სალომე ისევ ქვის ლოდია, უენოა, უმოძრაოა.

— დედა, დედი...

— შვილო, შენ იცი, მე რას მეკითხები? — ალაპარაკდა ბოლოს მთლად ცეცხლმოდებული დედა და კარში გავიდა.

გამშრალი და უძილო სალომე მეორე დილას თავს დაადგა მწოლიარე მაიას. ჯერ უსიტყვოდ უცქეროდა შვილს, შემდეგ კი ძუძუები ამოყარა და ცახცახით დაიწყო:

— შენ ამათი გაზრდილი ხარ, ესენი, ეს ძუძუები ჩემი სისხლი და ხორცია... ჩემი სისხლი და ხორცი, შენი სისხლი და ხორცია... არ შემარცხვინო, სიცოცხლე არ მომისპო... მეტს არაფერს გეტყვი, მერე კი... თუ... მაშინ ამას ხედავ?!

აცრემლებულმა სალომემ შვილს საწამლავი აჩვენა.

— დანარჩენი შენ იცი, შვილო, და შენმა ქალობამ! ბესიკს ოთახი მოუწყვე, მე კანტორაში უნდა წავიდე... შვილო, იცოდე, მოშორებული მეხი ისევ თავზე დამტრიალებს...

მაიას არ უპასუხებია. იგი დიდხანს იწვა ლოგინში უძრავად.

XXV

რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც 1904 წლის იანვარში დაიწყო, მთელ ქვეყანას ახარებდა, რუსეთის ჯარი მარცხდებოდა, უკან გამორბოდა. რუსი ხალხი კი აღტაცებული იყო.

საქართველოში მღეროდნენ:

პორტ-არტური, მანჯურია,
რუსის საქმე წასულია...

რუსეთის ფლოტის ადმირალის მაკაროვის დაღუპვამ გალექსეს:

ტოგომ* უთხრა მაკაროვსო,
აწი ვერ ჭამ მაკარონსო,
დღეიდან შენი ჩინები
ზღვაში თევზმა ატაროსო.

ბესიკი ფართოდ იყენებდა ამ სიტუაციას თავის საუბრებში.

პირველად ფრთხილად უსმენდა მას სამაზრო ქალაქის ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მხოლოდ დათიკო ხაჭაპურაძეს

---

* ტოგო იყო იაპონიის ფლოტის ადმირალი, რომელმაც 1904 წელს, 24 იანვარს მიპარვით დაღუპა რუსეთის ნაღმოსანი „პეტრე პაველოვსკი“ და „ადმირალი მაკაროვი“.

და მისიანებს ჰქონდათ მასთან მჭიდრო ურთიერთობა, მერე კი, როცა დაინახეს, „ნაციხარი“ ბესიკი არც არავის რყვნიდა და მასთან ლაპარაკისთვისაც არავის იჭერდნენ, უფრო გათამამდნენ.

— დიდი ამბები გვიახლოვდება, მზად უნდა ვიყოთ, — ამბობდა ბესიკი თავის წრეში, — მშრომელი ხალხი უნდა დაირაზმოს და მტერს ეკვეთოს. პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ერთი მიზნისაკენ უნდა წავიდნენ. მანჯურიაში კისერმოგრეხილი შეძლებული კლასების ერთგული დარაჯის მეფის მთავრობის ეს დიდი მარცხი უნდა გამოყენებულ იქნას... მემამულეებს და ბურჟუაზიას ლახვარი უნდა ჩაეცეს. ხალხს თავისუფლება სწადია. ისეთი რეჟიმი უნდა დამყარდეს, რომელიც მას უნდა...

მან მოიწონა თავისი ამხანაგების მიერ ჩატარებული მუშაობა მუშებს შორის. მოიწონა დათიკო ხაჭაპურაძის მოხსენებაც წარმოებული მუშაობის შესახებ.

— ეს ყველაფერი კარგი, — განაგრძო ბესიკმა, — მაგრამ შე არ მაკმაყოფილებს, ამხანაგებო, გლეხებში მუშაობის ასეთი სისუსტე. ამ საკითხის ასე დატოვება არ შეიძლება. ხომ გესმით, რას შვება გურიის გლეხობა? ამავე გზით უნდა იაროს ჩვენი მაზრის გლეხობამ და მუშებმაც. ჩვენში აუარებელი მასალაა გლეხობის ასამოძრავებლად. მამაჩემი და მისთანები ჯერ კიდევ ბატონყმობის დროინდელ ფეოდალებად გრძნობენ თავს... მადნის მუშების საშუალებით ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავაჩაღოთ ეს მუშაობა... საბაბი ხელთა მაქვს, მამაჩემმა ჩემი ნაწილი ჩემს დებს და სიძეებს გადასცა, მე კი გამოვუცხადებ, რომ ჩემს კუთვნილ ქონებას და მიწა-წყალს გლეხობას ვაძლევ უფასოდ, დროებით ვალდებულ გლეხებსაც სრულიად ვათავისუფლებ... ამ ნაბიჯით მე ავაფეთქებ მამიჩემის და მისთანების საბუდარებს...

ბესიკის ამ ნაბიჯმა, მართლაც, დიდი აურზაური გამოიწვია, მადნების მუშებმა ფართოდ მოფინეს გლეხობაში ეს ამბავი, ატყდა ჩოჩქოლი, ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა, ამოძრავდნენ სხვა სოფლებიც.

— ეგ კი არა, ბესიკი თურმე იმასაც კი ამბობს, მემამულეებს მიწები უკანონოდ აქვთ მითვისებული და გლეხებს

უნდა დაუბრუნონო... ისიც უთქვამს, მამაჩემი პირძაღლია და ხალხს ტყავს აძრობსო... მააშ... მააშ... აბა, რავა ეგონა იმ წვერძაღლს, რომ დაწყეველა და შეაჩვენა... ბესიკი თურმე ხემწიფეს უპირებს ჩამოგდებას... რუსხემწიფეს ებრძვისო... საქართველო დაჩაგრული ყავსო. თამარ მეფის გვირგვინი რად მოიპარეთო... აბა!

ყაფლანი სიბრაზით დორბლებს ყრიდა, მისი ქალიშვილები და სიძეები შიშით კანკალებდნენ. იცინოდა და მხიარულობდა მხოლოდ თავზარაშვილი. მან უკვე გაინაღდა ნაწილობრივ, რაც სიმამრისაგან მიიღო ბესიკის ქონებიდან და დღეს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ერთ მშვენიერ დღეს ბესიკსაც კი ეწვია, სიხარულით გადაკოცნა და ციცინოსაგან რაღაც საჩუქრებიც მოუტანა, ციცინო ბესიკის საყვარელი და იყო და მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პატარა ციცინომ იგი მოიკითხა.

— სად არის ის ვარიკა ისა, — იცინოდა ბესიკი, — მოვიდეს და მნახოს, თვარა მე თუ მოვედი, წაგებული დარჩებით. სულ აგიჯანყებთ გლეხებს. ხა... ხა... ხა...

— ოღონდ შენ გნახო ჩემს ოჯახში და... — ელაქუცებოდა სიძე თავზარაშვილი.

ბესიკმა დედისაგან ცრემლით დასველებული წერილი მიიღო — ნუ დაგვღუპავ, ნუ აყვები მამაშენის უგნურებას, ნუ გადაუხდი სამაგიეროსო.

მასწავლებელი სიმონ გიმაკაძე, რომელიც მაზრის უფროსმა ექვსი-შვიდი თვის უკან სამსახურიდან დაითხოვა „სოფელში მავნე მოღვაწეობისა და მასწავლებელთა კავშირის წესდების შედგენისათვის“, თვალცრემლიანი ემუსაიფებოდა ბესიკს:

— პირდაპირ აღმაფრთოვანა თქვენმა ნაბიჯმა გლეხების მიმართ. ყველა დიდი ადამიანები ასე იქცეოდნენ — გლეხებს ბატონყმობიდან თავისით ანთავისუფლებდნენ, რამდენი ასეთი მაგალითი ვიცი მე რუსეთის ცხოვრებიდან... ჩვენში კი... ჩვენში... ასეთი სამაგალითო საქმე გამიგონია, რომ დრამატურგმა გიორგი ერისთავმა — გლუხარიჩმა მოიმოქმედა, მეორე კი თქვენ იქნებით... ქება და დიდება თქვენს სახელს, თქვენს მომავალს!.. მე ძველი ხალხოსანი ვარ, მიწა მშრომელს უნდა ეკუთვნოდეს... საქართველო არ დაიეიწყებს თქვენს ამაგს...

ჩვენმა მემამულეებმა თქვენგან ჭკუა უნდა ისწავლონ... ტოლ-სტოიმ თქვა და მეც მგონია, რომ მიწა... დიახ... მიწა...

ფრიდონმაც გაიგო ეს ამბავი ტფილისში, გაკვირდა, გაუხარდა. ბესიკს კი ასე მისწერა: სახიფათო ნაბიჯი გადაგიდგამს, ვინ იცის, მთავრობა როგორ შეხედავს ამ ნაბიჯსო. მერე ადგა და თავის სოფლიდან კორესპონდენცია შეთხზა: ბესიკის ნაბიჯმა დროებით ვალდებული გლეხები გაახარაო. მაგრამ გაზეთმა არ დაბეჭდა ეს წერილი. ასე უპასუხეს: ატროკებული ბეკეკების პეეე-პეეეს ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, ამ ნაბიჯს ცუდი ზრახვების გამოწვევა შეუძლიაო. სამაგიეროდ „ინგლისის გულისნადებზე" ვეებერთელა წერილი მოათავსეს.

სხვებს არც ახალგაზრდა მღვდელი გერასიმე ჩამორჩა, თავის მრევლიდან ათი დროებით ვალდებული გლეხი გამოგზავნა ბესიკთან მადლობის გამოსაცხადებლად და თავისუფლების ბარათის მისაღებად.

ბესიკმა სიხარულით მიიღო გლეხები და თან დაარიგა, ფართოდ გაევრცელებიათ ყველგან ეს ამბავი, რომ სხვა გლეხებიც ამოძრავებულიყვნენ.

— მოიცადეთ ცოტა კიდევ და მეტ მიწა-წყალს მიიღებთო, — დაუმატა ბოლოს.

გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ხესა და ქვასაც კი ახარეს მომავალი ბედნიერება.

— ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო, ეს რა ღვთისნიერი შვილი გამოსვლია იმ შეჩვენებულ ყაფლანს, — ამბობდნენ გლეხები.

XXVI

მაიას დღიური ახალი ლექსებით აივსო. ბესიკის მოსვლამ რვეულის მრავალი გვერდი ააჭრელა. ასეთი იყო ამ ლექსების შინაარსი:

შენ გელოდი, შენ მოხველი
სიცილად და მთვარედ...
მე ვზეიმობ, ვთინათინობ,
გაქრა ფიქრი მწარე.

— არ ყოფილა ისეთი წუთი ამ ხნის განმავლობაში, რომ მე შენზე არ მეფიქროს, — ეუბნებოდა ბესიკი მაიას, — ციხის ჯურღმულში ჩემს იდეალთან ერთად შენც მანათობელ ვარსკვლავად გიგულვებდი. მართალია, ჩვენ ერთმანეთისათვის არაფერი გვქონდა ნათქვამი, ჩვენ მანამდის მხოლოდ მეგობრები ვიყავით, მაგრამ ჩემი არსება გრძნობდა, რომ ჩვენ შორის უფრო მტკიცე ხიდი უნდა გადებულიყო.

— მე... მე, ბესიკ... ახლაც... ახლაც ძალიან მეეჭვება...

— მაია, სირცხვილია ჩემის მხრივ ასეთ დიად ისტორიულ მომენტში პირად გრძნობებზე ლაპარაკი და საკუთარი საქმეების მოწყობაზე ფიქრი... მაგრამ... მაგრამ... რა ვქნა, რაკი ასე მოეწყო ჩვენი საქმე, სინამდვილესაც პირდაპირ უნდა შევხედოთ. მე რაც გითხარი, მტკიცედ და შეურყეველად მაქვს გადაწყვეტილი, რატომ ყოყმანობ? თუ გიყვარვარ და გსურს ჩემი ბედი გაიზიარო, აი ჩემი გული, აი ჩემი ხელი. თუ არა და თავისუფალი ხარ, მე გზაზე არ გელობები! შეიძლება ვინმე სხვა გიყვარს, თქვი, ნება შენია. შენს თავისუფალ გრძნობას ვერავინ შეზღუდავს. მე მეზიზღება ყველა ის, ვინც სხვის პიროვნებას ბოჭავს და ბორკილად ედება... მე უსაზღვრო თავისუფლების მომხრე ვარ...

— კი... კი, მაგრამ... დედა... დედა...

— მაია, ოღონდ შენი გულის კარები გაიღოს ჩემთვის და დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება...

კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ფიცი, სალომე რომ არ შემოსულიყო.

— დედა, სალომე, მაია ჩემი ცოლი უნდა იქნეს! — თქვა ბესიკმა და სალომეს წინ გაჩერდა.

სალომე წელში გასწორდა, კედელზე მიმკვდარ მაიას მიაჩერდა.

— შვილო, შენ მაინც შენი ქენი, ჩემი გაფრთხილება არ მიიღე, მიღალატე შენს მშობელს, არ დეინდევი შენი სისხლი და ხორცი! შენ დღეიდან დაღუპული ხარ, ბესიკის მამამ, ყაფლან კვენიფნეველმა, წყეული იყოს მისი სახელი და მისი შთამომავლობა, მე გამაუბედურა, შენ კი მისი შვილი გისპობს ბედნიერებას. ოცი წლის ქალი ვიყავი, ცოლი სადღაც გაგზავნა, მე კი შემიტყუილა ოთახში და ნამუსი ამხადა. ერთი კვირა

მაწვალა, ოთახში ვყავდი გამომწყვდეული, მანამდის საქმითა და შიმშილით მკლავდა, იმ კვირაში კი ყველაფერს თავზე მაყრიდა, ავად გავხდი, წიხლი მკრა და გამომაგდო. დავლანდდი ბიჭებისა და გოგოების სამასხაროდ. როცა მოისურვებდა, ოთახში შემითრევდა, ცემას მპირდებოდა და თავზარს მცემდა...

ბესიკსა და მაიას ფეხებქვეშ დედამიწა უსკდებათ, სალომეს ხმა მეხივით გაისმის, თვალები ცეცხლს აფრქვევენ, ხელები ხმლებივით ჰკვეთენ ჰაერს.

— ორი წლის შემდეგ, — განაგრძო სალომემ, — მამაშენს მიმათხოვა, გლახაკ მეპურეს, აბა, სხვა ვინ წამიყვანდა. ორ წელიწადში მამაშენი მოკვდა. დავრჩი ღვთის ანაბარა... დანარჩენი იცი... ყაფლანი არც აქ მისვენებდა. ყოველთვის ჩემს ქოხში ათევდა ღამეს... მაგრამ... მაგრამ... მე ყოველთვის თავლაფსხმულს უშვებდი...

— დედა... დედიკო!

— შორს... შორს ჩემგან... შენც ასეთი ბედი მოგელის ბესიკისაგან. მოგწყვეტს მაისის ვარდივით და ფეხქვეშ გაგთელავს. მიგატოვებს, სხვა საქმროს მოგინახავს. შენ მონის შვილი ხარ, ის თავადია. შენ დედამიწა ხარ, ის ზეცაა. ზეცა, რომელიც მუდამ მეხსა და სეტყვას უგზავნის ყველა ქვევით მყოფს... აი, ჩემი გულის დარდი! როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი! დედაშენი ამის მამამ დაღუპა. ჩემი შვილი კი ამან უნდა დაღუპოს? რა ვქნა, ასეთი ბედის ვყოფილვარ!

სალომემ ჯიბიდან საწამლავი ამოიღო და პირში უნდა ჩაეცალა, მაიამ შეკივლა, ეტაკა, გამოგლიჯა და შორს გადაისროლა. ბესიკი თავზარდაცემული იდგა.

სალომე შვილს ეცა მკლავში, კბილები ჩაარჭო, საშინელმა კივილმა იქაურობა გააყრუა. ბესიკი კი ისევ ვერ გამორკვეულიყო.

XXVII

მადნის შავი გორაკები.

პატარა მოედნები სასწორებით; მტვერი, ტალახი, ბუღი; საპალნიანი ცხენები, დატვირთული ურმები, მადნით სავსე ძარები. თავაშვერილი აქლემები, ყურებდაყრილი ვირები, თმა-

შეკრეჭილი ჯორები; შავი ადამიანები სახრეებით, მათრახებით. გამგელებული სახეებით; ყვირილი, გინება, ფურთხება; შუბლიდან ოფლი, ოფლით ჩამოხაზული შავი ლოყები, თვალის ყვითელი გუგები.

მოძრაობა, სირბილი, მტვერი, სიცხე, გამწარება, მატარებლების წივილი, რონოდების ჯახაჯუხი, ადამიანი ადამიანს იმორჩილებს, შეჭმას უპირებს და ეალერსება, მარა პირუტყვი კი პირუტყვს ამოტუზვია, იტანჯება უაზროდ, უმიზნოდ.

საით წახვალ, არ იცი, რას იტყვი, არ იცი, რას გააკეთებ, არ იცი... ერთ წუთს ყველგან გზას ნახავ, უცებ კი სულ ჩაიკეტები. სული გეხუთება, გული გეკუმშება.

— ამხანაგებო, მუშებო, ჩალანდრებო, მეურმეებო, ძმებო, ამხანაგებო! — გაჰკივის ვილაცა, მადნის შავ კუზზე შემდგარი.

— დღეს მაღაროს მუშები სამუშაოს თავს ანებებენ, იფიცებიან! ხაზეინებს ებრძვიან! ვინც მუშა ხარ, მხარი დაუჭირეთ, თქვენც გაიფიცეთ, მუშაობა შეწყვიტეთ, მაღაროებში არ წახვიდეთ!

— მეურმეებო, ჩალვადრებო, შეწყვიტეთ მუშაობა! სომხებო ძმებო, თათრებო ძმებო, დაგვიჭირეთ მხარი! თქვენც მუშები ხართ, თქვენც გჩაგრავენ! — აყვირდა ვილაც მეორე ადგილას.

— დაიკეტოს სასწორები, შეწყდეს მუშაობა, ბრძოლა ხაზეინებს, ბრძოლა!... — ისმოდა სხვა კუთხიდან.

მოწოდებები მოწოდებებს ცვლიდა.

სასწორები დაიკეტა, სამუშაო იარაღები უწესრიგოდ მიმოიფანტა. მუშები ქუდებს ისროდნენ ჰაერში და ერთმანეთში ირეოდნენ. ვილაცამ ფურცლებიც გადმოყარა.

უგზო-უკვლოდ გარბოდნენ დამფრთხალი ხარები, ცხენები...

ყველას პირზე ეკერა სიტყვები: „გაგვიდიდონ ხელფასი, შეგვიმოკლონ სამუშაო დრო, მოგვეპყრან კაცურად, მოღალატეს სიკვდილი!“

აქა-იქ ასეთ საუბარსაც გაიგონებდით:

— აკი გეუბნებოდი, შე ოხერო, აგრე იქნება თქვა, რომ ვერ დაგაჯერე.

— რა ვიცოდი, კაცო, სანამდის ჩემის თვალით,არ მენახა!

— ნეტავ რა იქნება? რამდენს მოგვიმატებენ?

— დიდხანს გავჩერდებით? ხარების საკვები რო არა მაქვს?.. ფულის აღება მაინც მომესწრო!

— ღმერთო, გაუმარჯვე საწყალ კაცს! ღმერთო, შეეწიე მუშას! ღმერთო, ხელი მოუმართე მუშის შემბრალეს!

— ბიჭო, ეს რა ქაღალდია? ერთი მეც მოვიგდე ხელში!

— მაჩვენე, მაჩვენე! კომიტეტის ქაღალდი იქნება!

— პაკრამაცია ხომ არ გინდათ? სოფელში წაიღეთ, გაავრცელეთ, ხალხს წააკითხეთ...

მუშები თანდათან სტოვებდნენ მოედნებს. ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, ერთმანეთს აქეზებდნენ და ამხნევებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი მადნის კუზები განმარტოვდნენ, მაღაროები მკვდრის თვალებს დაემგვანენ. დადუმდა საწარმოები. აქა-იქ ოუ გამოჩნდებიან გაფიცვის მეთვალყურე მუშები.

— ხომ ყველამ დაანება თავი? კარგად ნახეთ! მოღალატეებს დააკვირდით, ფრთხილად იყავით, ხაზეინმა არ შეგამჩნიოთ! — დროგამოშვებით არიგებდა ვიღაცა მათ.

მოკვდა შავი ქალაქი. ყველაფერი გადასხვაფერდა. ვინც აქამდე ბატონობდა, ახლა შიშმა შეიპყრო, ვინც მონურად შრომობდა, ის კი სიხარულის მოლოდინში იყო.

იასონ ბეჟავა მიწაზე გაინართხა. დალბა, დათბა, ალერსად იქცა, მუცელი დაუწვრილდა... თავისიანებთან კი ცეცხლს აფრქვევდა:

— დავიღუპე... რა დროს შემიჩერეს მუშებმა, მადანი უნდა ჩამებარებია. ფული უნდა მიმეღო! ნახევარი მატარებელი დამიტვირთეს... დაწყებული საქმე ჩამიფუშეს; მაღარო ჩამოანგრიეს... ვექსილები უნდა გამეყიდა... ვადა გაუდის... ფულს შემიჩერებენ... დავიღუპე, რა წყალში ჩავვარდე! ბარემ ერთი კიდევ მომესწრო... რა ლუკმა დამაკარგვინეს!

— შენ რა გიჭირს, — დაამშვიდა ერთმა წვრილმა მოიჯარადრემ, — რაც მოხვეტე, ისიც გეყოფა! კაი ქონი გაქვს დადებული... მე რა ვქნა? ვალებს რა უქნა... გამყიდიან...

არც მაზრის უფროსი იყო კარგ დღეში. დათვივით ბუნაგიდან ვერ გამოსულიყო, გუბერნატორისგან განკარგულებას ელოდა.

მხოლოდ დათიკო ხაჭაპურაძე დაფოფინებდა თავისი წამოსასხამით გამალებით. ხან სად იყო და ხან სად.

ბესიკმა კი პოლიციაში დინჯად სიარულს მოუხშირა.

— ხომ ხედავ, სილოვან, გამოვცხადდი... ჩაიწერე, თუ კაცი ხარ! — ხმამაღლა მიმართავდა იგი ბოქაულს, რომელიც ამ სიტყვებზე ისე აწოწოლიკდებოდა, გეგონებოდათ ბეჭედში უნდა გაძვრესო.

— ნეტავი ერთი გამაგებინა, რა უნდა ამ ხალხს, — ელაპარაკებოდა ბოქაული ბესიკს, — თუ რამე უჭირდათ, კაცურად ეთქვათ და ის იქნებოდა. რა საჭირო იყო მუშაობის მიტოვება და ამდენი ზარალი?! თითონაც აკლდებათ და მრეწველებსაც ზარალში აგდებენ. მაგრამ, ჩემო ბესიკო, ჩვენი კაცი, ქართველი კაცი, უგნურია და მოღალატე... რაღაც ერთი მადანი გამოჩნდა ჩვენს პატარა საქართველოში და რა ვქნათ, არ ვიცით. ყველამ ვჭამოთ, ძმაო, ეს ოხერი, მუშამაც და ხაზეინმაც. ყველას გვეყოფა, რაღას ვდავობთ... ასე არაა? ის შენი კაი მამაშენი ნუ მოგიკვდება, ტყვილს ვამბობ? არ აჯობებდა, კაცურად მოქცეულიყვნენ ეს უბედურები?!

— არაფერი არ ვიცი, შენი ჭირიმე, არაფერი, — იმეორებდა ბესიკი თავიდან, — ყველამ თავის საქმე უკეთ იცის, ვისაც როგორ მოუხდება, ისე იზამს...

— აგი როგორ გეკადრება, ბატონო ბესიკ! მუშამ რა იცის, რა მოუხდება! ძალიან კი აქვს ამისი გაგება, უსწავლელი, განუვითარებელი...

— აბა, რა გითხრა მეტი, კნიაზ სილოვან... ჩემი ჭკუა მეტს ვერ მიწვდება.

— ხა... ხა... ხა... თავადო, თავადო, შენი ჭკუა თუ ვერ მიწვდება, აბა, ვისი მიწვდება?

სილოვანი მაზრის უფროსმა დაიბარა და საიდუმლოდ უთხრა: „იასონ ბეჟავას სიძე სტუდენტია და თვალყური ადევნე, ამისთანა საქმეებს რუსეთში სტუდენტები ახდენენო. თუ ვინმე ნახო მასთან მოსული, მაცნობე, უნდა იცოდე, სტუდენტები ყოველთვის საშიში არიანო“. ბესიკს კი ცალკე მოყურადე მიუყენეს.

სტუდენტები და მათი ჩაცმულობა მაშინ ყველას ყურადღებას იპყრობდა. ახალი აზრისა და საქმის მოთავედ ყველას

ისინი მიაჩნდა. მთავრობის ყოველგვარ საწინააღმდეგო ნაბიჯს სტუდენტებს .მიაწერდნენ. ბეჟავას სიძეც ასეთ ვინმედ მიაჩნდათ. ბოქაული ყურებდაცქვეტილი ესტუმრა იასონს, ერთი კარგად ივახშმა, ფულებიც მოიგო ბანქოში, ხოლო მაზრის უფროსსაც ასე მოახსენა:

— რავაც მე არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ, მუშების რაიმე. არც მაგან, საშინლად სწუხდა, სიმამრი დამიზარალესო. თუ არ დამიჯერებთ, ბატონო, აქ მოგიყვან, ვითომ ბანქოს სათამაშოდ მოვიწვიეთ... ფულები აქვს ბლომად. ხომ გახსოვს, რამდენი მზითევი აიღო...

— ეე, შენ ვერ მიუხვდებოდი! სტუდენტის ეშმაკობის შენ რა იცი?! — შეუტია მაზრის უფროსმა. — მომიყვანე ერთი აქ და მე გაჩვენებ მის სეირს... აბა, რაები არ ამოვტყვილო... ბლაღოჩინმა მითხრა, ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობს მთავრობის შესახებ, რომ... მაგისთანების ოსტატი მე ვარ... რამდენი სტუდენტი მე გამიტარებია მათრახში, ერთი აქ მომგვარე... ფულებიც წამოიღე ბანქოსთვის.

XXVIII

გაფიცვის ამბავი სწრაფად გავრცელდა მაზრაში. მუშებმა წაიღ-წამოიღეს, შემდეგ ენამ ენას გადასცა და ქარიკით მოედო არემარეს.

— მუშები აბუნტებულან... არ გვინდა მუშაობაო. თქვენ მდიდრდებით, ჩვენ ვღარიბდებით... ერთი ამბავია თურმე...

— იმე, აბა, უმუშევრად ვინ აცხოვრებს? თუ არ იმუშავებენ, ვინ რას მისცემს?! ფულები ქუჩაში არ ყრია... დიდკაცობა მოინდომეს?!

— ეგ კი არა, გლეხებმაც უნდა გამოიფხიკონ ყურებიო, ასე ამბობს კამიტეტი...

— რაო, რაო? გაიმეორე, სისო, რა თქვი?

— გლეხი კაციც უნდა ადგესო, ხმა უნდა ამოიღოსო...

— ვერ გავიგე, შენი ჭირიმე... თქვი კარგად, რა ხმაო?..

— აი, ისა, რომა... გლეხი კაციო, ისაო... ერთის სიტყვით, გაჭირვებულიაო...

— მერე? რა უშველის ჩვენს გაჭირვებას?..

— მე რა ვიცი, შენი ჭირიმე, ნასწავლებმა უფრო იციან... კამიტეტს ვერც შენ ასწავლი და ვერც მე... აბა, რავა გგონია შენ... კამიტეტი, ძმაო... ხუმრობა არ გეგონოს...

— რავა თქვი კა... კამი...

— კამიტეტი... შე გამოყრუებულო, კამიტეტი...

— რას ქვია, ბიჭო, კა... კა... კამიტეტი?

— კამიტეტი არ იცი? კამიტეტი?

— ?..

— კამიტეტი არის...

— ხო, რა არის?..

— ეხ, შენ გამოყრუებული ხარ. კამიტეტი რავა არ იცი? კამიტეტი...

— ღმერთმა აი ქნას... მაგრამ... მე რაღაც...

ასეთ საუბრებს ხშირად მოისმენდით სოფლებში.

ბესიკისა და ხაჭაპურაძის წრემ კი კიდევ უფრო ფართედ გაშალა თავისი მუშაობა. თბილისიდან დაიბარეს თანამებრძოლები და გაანაწილეს აგიტატორებად.

— მემამულეები თქვენ გახრჩობენ. მიწა არა გაქვთ სახნავი, სათესი, საძოვარი... ტყე-ველი, მინდორი, მდინარე... თქვენ არ გყოფნით, იმათ კი ბევრი აქვთ, უკანონოდ მითვისებული, წართმეული. თქვენს ნაოფლარს ისინი ითვისებენ... თქვენ შრომობთ, ისინი ჭამენ... თქვენ სიღარიბეში იხრჩობით, ისინი სიმდიდრეში... ადამიანებად არ გთვლიან. გაიღეთ ხმა, ნუ მისცემთ მეტ ღალას... ისარგებლეთ ტყეებით.

უხსნიდნენ ისინი გლეხებს ფარულ კრებებზე, ხან ერთ, ხან მეორე სოფელში.

საწერეთლოსაც მიადგნენ.

— თქვენს სოფელში მამულები წერეთელს ეკუთვნის. წისქვილი მისია, მინდს უსამართლოდ გახდევინებენ... ამ წინაზე ტყეში ფიჩხის გულისათვის ივანე ძელაშვილს სცემა... საძოვრებში ფეხს არ გადგმევინებენ, ღალასაც უსამართლოდ გახდევინებენ... ეს მე გავიგე, თქვენი სოფლის გლეხებმა მითხრეს... განა მარტო ის იქცევა ასე?

— მართალია, მართალია...

— ამოიღეთ ხმა, მოყევით, რაც მათი უსამართლობა იცით...

— არ მუშაობენ... ყაჩაღობენ, ტყავს გვაძრობენ. ქალებს დასდევენ. ლოთობენ... ჩვენ კი... — ალაპარაკდნენ გლეხებიც.

— აი, ხომ ხედავთ, რაც ხდება?

— მერე რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?.. ჩვენ არ ვიცით, გვასწავლეთ... ვინაა ჩვენი პატრონი? ვინ გვიშველის?

— შეკავშირდით, ამ შემოდგომაზე ღალაზე შეედავეთ, გაზაფხულზე კი სხვა გზას დავადგეთ.

— ბატონო, სულ ტყავს აგვაძრობენ, ცემით გაგვასიებენ... აგვაწიოკებენ... ვინ დაგვიფარავს?

— თქვენც გაეცით საკადრისი პასუხი, არ დაინდოთ არაფრით...

— ბატონო, რას ბრძანებთ... იმათ მთავრობა ეხმარება... ბოქაული, ჩაფარი...

— რა იცით, რომ მოეხმარება?

— გვინახავს, გვიგემებია...

— ამხანაგებო, თქვენ მართალს ამბობთ... მთავრობა იმათ ეხმარება, იმიტომ, რომ მათი მთავრობაა... თავადების... მდიდრების... ისინი იმათ იცავენ, თქვენ კი არა... ამიტომ მთავრობასაც უნდა ვებრძოლოთ... ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი მთავრობა გვყავდეს... თქვენი მთავრობა თქვენ დაგიცავთ და იმათ არა, მაშინ თქვენი საქმე კარგად იქნება...

— ე, როდის იქნება?.. გრძელი ამბავია... ვინ მოგვეხმარება?

— მუშებს უნდა დავუკავშირდეთ... იმათსავით ერთი პირი შეკრათ, ერთად იმოქმედოთ... ისინი ჩვენი ძმები არიან... შეხედეთ, რა ამბავი აქვთ მადნის მუშებს... თქვენც ისე უნდა მოიქცეთ...

ამ საუბრებმა შესძრეს ქოხებიც, ამოძრავდნენ მიწურებიც... გაჩნდა იმედი...

მემამულეები კი შეშფოთდნენ.

— ეს რა ისმის? რა ამბავია? ვინ ბედავს? ვინ შეგვკადრა? წუპაკები, ღორები, მართლაც გლეხები, შრომა არ უნდათ. მაშ, მე მაშრომონ? მე დაუგვი, მე დაუფარცხავ, მე მოუთოხნი?! მე ჩავიცვამ ტყაპუჭს, მე ჩავწვები მათ ლოგინში, მე დავისევ მათ ტილებს?! მღვდლებო, თქვენც მოგვარდებათ. გაბრიყვებული

გლეხობა! გაიგეთ ვინაა, რომ წყალს ამღვრევს! გამოკითხეთ აღსარების დროს, გამოტეხეთ ქალები... თუ არა ლუკმა წაგერთმევათ!..

ნაბუქოდონოსორამ ყველა ხუცებს გაუსწრო: ჯოჯოხეთის კუპრი, ეშმაკები, წაწყმენდა, საუკუნო სატანჯველი, ყველაფერი აამოძრავა და გაიგო, რომ მის სკოლაში ქალაქიდან ჩამოსულა ვილაც გადაცმული კაცი, პირახვეული, სახელი არ იციან, იმალება, ღამეს ბოსელში ათევს. ყარაულები დაყვებიან. თოფებით, რევოლვერებით, დამბაჩებით, ბომბებით და შეიძლება... კიდევ სხვა რამითაც. ხუცესმა ზარბაზანიც კინაღამ დაუმატა, როცა ეს ამბავი ჯერ ბლაღოჩინ მელიტონს გადასცა, ხოლო მერე თავად ყაფლან კვენიფნეველს.

— ჩემი შვილის ხომ არაფერი უთქვამთ? — ჰკითხა თავადმა.

— არ ვიცი, თავადო, ისე კი მოგახსენებენ, რომ... ურე...

— ურევიაო? ნუ მიმალავ, თქვი... მამაო...

— მებრალებით, ვითარცა ცდუნებულის მამა... ღმერთმა მოგცეთ მოთმინება იაკობისა, ხანი აბრაამისა...

— ე-ხე-ხე. ხე... ხე... რა შვილი მომესწრო! — ამოიოხრა ყაფლანმა და ტუჩები მოკუმა.

XXIX

სალომე ერთი კვირის განმავლობაში კარში არ გამოსულა. ჩამხობილი იყო ლოგინში, არც სვამდა, არც ჭამდა, არც ხმას იღებდა. მაია გაოგნებული დადიოდა.

ბესიკი სხვა ბინაზე გადავიდა. დილას და საღამოს სალომეს შემოაკითხავდა, შემოვიდოდა, ცოტა ხანს გაჩერდებოდა და უკანვე წავიდოდა, არავის ხმას არ გასცემდა. როცა სალომე წამოდგა, მაშინ კი დაიჩოქა მის წინ და კვლავ შებედა:

— დედა სალომე, დატანჯულო ადამიანო, მომეცი საშუალება გამოვისყიდო მამაჩემის ცოდვა! სამაგიერო ბედნიერება მოგიზღო იმ უბედურებისათვის, რომელიც ჩემმა მშობელმა მოგაყენა შენ...

— შვილო, მე არ მესმის, რას გამოელი ჩემგან, რა გინდა ჩემი ოჯახიდან? შენ შენთვის, მე ჩემთვის. ქვეყანა შენია, განა ადამიანები დაილია შენთვის? რა გინდა ამ ჩემს ქოხში, რას ჩაციებიხარ ჩემ საწყალ ოჯახს?

— დედა, სალომე! მე მოვედი შენთან ბედნიერებისათვის. არ ვიცოდი შენი უბედურება, მაგრამ... მაგრამ მაინც შენი შვილისა და შენს ბედნიერებაზე ვფიქრობდი. გულს მიკლავდა თქვენი სიღარიბე, თქვენი სისაწყლე და... მინდოდა, ამომეყვანეთ ამ ხაროდან, დღეს კი... მამაჩემის საშინელი დანაშაულის გაგებამ კიდევ უფრო გამიძლიერა ეს გრძნობა... ნუ გაგვაუბედურებ მე და მაიას!

— მე თავადიშვილის არაფერი მჯერა, არაფერი მწამს. ჩემი ახალგაზრდობა თქვენს ოჯახში გავატარე და იქ ბოროტების მეტი არაფერი მინახავს. ადამიანის წვალება, ტანჯვა, უსამართლობა... შიმშილი, ცემა, გარყვნილება, გაუტანლობა, ღალატი!.. განა ერთის, განა ორის? მთელი სოფელი კვნესოდა, ყველას სძულდით, ეზიზღებოდით... შესაჭმელად გიყურებდნენ...

— მეც ვიცი, რომ ჩემი მშობლები საწყალ ხალხს არ ინდობენ, არ დაგინდეს შენც, მოგიწამლეს სიცოცხლე. ასე იქცევა მთელი მათი გვარი, მათი წოდება... და ამიტომაც უნდა მშრომელ ხალხს მოსპოს მათი სახსენებელი. მე მინდა მაიას ბედნიერება...

— ბესიკ, შენ ნასწავლი კაცი ხარ და ლაპარაკში ვერ მოგივლი... მე ერთი საწყალი ადამიანი ვარ და ჩემს სისაწყლეში ჩემი შვილი გამომიზრდია. აი, ჩემი შვილი და აგერ ხარ შენც... თუ სინდისი მოგცემთ ან შენ და მაგას, რაც გსურთ, ის ქენით... ნამუსი წამართვა, შენ კი ჩემი სიცოცხლე გინდა წაიღო... წაიღე, რას უყურებ, მოდი მომკალი, მერე გზა ხსნილი გექნება!..

— მე მინდა შენი სიცოცხლე და არა სიკვდილი...

— ჩემს შვილს შენ ვერ გაიტან, მე ამას გული მეუბნება, შენ თავადი ხარ, შენ შენსას იზამ... მეც უბედური ვიქნები ამისი მნახველი... მუდამ შენი შიში უნდა მექნეს, უნდა გემსახურო.... არ მინდა მე ასეთი სიცოცხლე!.. მე მინდა ჩემს თანასწორებში ვიდგე. ვინ შენ და ვინ ჩვენ?!. მე ყოველთვის მეშინოდა შენი, თავზარი დამეცემოდა, როცა დაგინახავდი. მძულდი, მეზარებოდი, მეზიზღებოდი... არ მინდოდა ჩემს ოჯახში შენი ყოფნა... შიშის გამო გეპირფერებოდი... მამაშენმა და შენ შემაჩვიეთ ორპირობას, ფარისევლობას... წამწყმიდეთ ხორცით და სულით... და აწი კიდევ... აწი კიდევ შენი მონა უნდა ვიყოთ

მე და ჩემი შვილი?! ვეხვეწე ჩემს შვილს არ ჩავეგდე ამ დღეში, მაგრამ ის შეიყვარა, ვინც მძულს... არ უყვარს დედა, მშობელი დედა... თქვენი ბრალია ყველაფერი, ბესიკ... დეე, რაც გინდოდეს, ის ქენი... მე კი...

აქ ენა დაება გამწარებულ სალომეს. ბესიკი მიწასთან გასწორებული, პირქვედანარცხებული, კიდევ უფრო გაფითრდა.

— მეც მომისმინეთ, — შეირხა მაია, რომელიც აქამდე თავჩაქინდრული და სუნთქვაშეკრული უსმენდა ამ საუბარს, — ვფიცავ შენს ძუძუებს, საყვარელო დედა, რომ მე შურს ვიძიებ!.. არ დავინდობ იმას, ვინც შენ არ დაგინდო! მე სამაგიეროს გადაუხდი შენს გამაუპატიურებლებს... ცეცხლს მივსცემ იმ კარმიდამოს, რომელმაც შენ გაგაუბედურა...

— მაშინ ვაკურთხებ, შვილო, შენს გვირგვინს!.. მაშინ დავლოცავ, შვილო, შენს ბედნიერებას!..

— ბრძოლა! ბრძოლა!.. შურისძიება... სისხლი, სისხლისათვის! — ამბობდა გააფთრებული მაია.

და თავის დღიურში გამწარებული ლექსი უძღვნა შურისძიების ღმერთს. მეორე ლექსი კი ამ შინაარსისა იყო:

რატომ მწამდა მე უბედურს
ჩემი ხვედრი ასე?
რად ვიწამე გულის ღელვა,
გრძნობის სიალმასე?
რატომ ვენდე ცრუ ოცნებას
უბედურის შვილი?
საწყლის ძუძუთ, სისაწყლეში,
საწყლად გამოზრდილი?
რად მჯეროდა სიხარულის
მშვენიერი დილა?

X X X

გაფიცვის ხელმძღვანელი მუშები ღელავდნენ, წამდაუწუმ კითხულობდნენ: რას ამბობენ მუშები? ხომ არ შეშინდნენ, ან ხომ არ მოშივდა ვისმეს და მუშაობაზე დადგომას ხომ არ აპირებს? რას ამბობენ მრეწველები? გვითმობენ თუ არა? ყველა-

ფერს, თუ ნაწილს? რას ამბობს ხალხი, რას აპირებს მთავრობა?

მადნების ახლო მდებარე სოფლების მუშები ხშირ-ხშირად ჩამოდიოდნენ ქალაქში, იღლიაში ხან ქათამი, ხან კვერცხი, ხან ყველი, ხან-ლობიოთი პური და ხილი ჰქონდათ ამოჩრილი. მუშაობის ამბავსაც გებულობენ, ორ გროშსაც ხელს ავლებენ და ერთმანეთსაც ამხნევებენ.

— რაა, ბიჭი, რას ამბობს კომიტეტი? არ შეიძლება მუშაობაო? არ გვიმატებენ ქირას?

— დღეში აბაზი რომ მომემატოს, ისიც კაი იქნება.

— იასონი ვნახე, ბეჟავა... აი, ის, გაბერილი რომაა და ასე მითხრა: მუშაობა რაკი არ გინდათ, მოდექით და ირიკავეთო...

— აგრე თქვა მაგ შობელ ძაღლმა?

— აა, მაგას ის ფაშვები უნდა გამოვაყრევიოთ და მაშინ მოვა ჭკუაზე!

— მისი კუდი რომაა, აი, ის, ვალოდია გაქექილი... უნდა გენახა, რა მომბალია; უბატონოდ ხმას არ გაგცემს, სალამს ვერ მოასწრებ, სულ „გამარჯობა თქვენი"-ო იძახის, ასეა, ჩემო ბესო, როცა კაცი შეშინდება.

მთავრობა პირველ დღეებში დადუმებული იყო, ხმას არ იღებდა — მუშები დამქირავებლებს ებრძვიან, ჩვენი რა საქმეაო. მრეწველები კი მისგან მოელოდნენ ხსნას: დაგვეხმარეთ, გვიშველეთ. ჩააგონეთ რამე ამ მუშებს. ჩვენგან დიდი შემოსავალი აქვს ხაზინას... ჩვენ ვარჩენთ ამდენ მუშას, უგნურებს არ ესმით ავი და კარგი... თქვენაც არ გტოვებთ უპურმარილოდ... ახლა კი ვიღუპებით.

ბოქაული სილოვანი მთლად მახათს დაემსგავსა. ხან აქ არის, ხან იქ, ხან მუშებს უსვამს თავზე ხელს და ხან მოიჯარადრეებში შლის ხელებს.

— მე, ძმაო, ქართველი კაცი ვარ და მშვიდობიანობა მსურს, მეტი არაფერი. ასე არ არის, ბლაღოჩინო? განა მართალს არ ვამბობ? თქვი, შენი კურთხევა შემეწევა... რატომ უნდა გადავემტეროთ ერთმანეთს? როგორც გენებოს? საბოლოოდ ცუდად კი არ წავიდეს საქმე და... მე ქართველი კაცი ვარ...

ხმა გავრცელდა, პოლიციამ მუშების ერთ ჯგუფს მათრა-

ხით სცემა და დაემუქრა: თუ მუშაობა არ გინდათ, სახლში წადით... სხვა მოვა თქვენს ადგილასო.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დარაზმა მუშები და კიდევ უფრო შეაშინა დამჭირავებლებიც და მეფის მთავრობაც.

მაგრამ ამას თან ახალი ცნობაც მოყვა: უცხოელი ფირმები მუშებს შეუთანხმდნენ და მუშაობა ჩქარა განახლდებაო. ქართველ მრეწველებს თავზარი დაეცათ. თითოეული მათგანი საჩქაროდ დაფაცურდა; ორი დღის განმავლობაში ისინიც შეუთანხმდნენ მუშებს, მათი თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს და გაფიცვაც გათავდა. ისევ განახლდა მუშაობა; ოფლის ღვრა, ყიჟინა.

ახლა უკვე ზეიმი მეფობდა ყველა მაღაროსა და მოედანზე.

— ბიჭო, რავა მთხლესავით წავიდნენ. ასე უცებ, ა! აკი გუშინ ძალიანს იქადნებოდნენ! მერე როგორ გვემუქრებოდნენ? ეტირათ დედა!..

— ვენაცვალე კამიტეტს! მაგი ყოფილა, რაც ყოფილა!

— ბიჭო, თედოკა, ახლა რას იტყვი, შიშით რომ კანკალებდი... ხომ მოაჯექით ქეჩოში?..

— ღმერთმა ასე გამამტყუნოს ყოველთვის!

— ჰოდა, ახლა ერთი სიმღერა, ჩემო თედო. ქორწილში რომ დაუკიკინებ, შე რჯულძაღლო! რომელი ქორწილი ჯობია ამას?!.

— ჰო, ჰო, დაცხე, ერთი დაცხე...

თედო მხრებში გასწორდა, ჩაახველა, თავზე მოხვეული ბაღდადი მარჯვენა ხელით მოიხადა, მაღლა აღმართა და დაიწყო:

— მუუუმლი და... მუხასაო...

ვინ მოსთვლიდა, რამდენი ხმა შეუერთდა მას.

თითქოს ნიჩბებიც და წერაქვებიც ამღერდნენ.

— გარს ეხვეოდაო... — გუგუნებდა არემარე.

— მაღლა ასწიე მაგ ბაღდათი, მაღლა! — წამოიყვირა ვიღაცამ და თვითონვე ნიჩბით ააფრიალა.

— წითელი უნდა იყოს, ბიჭებო, სისხლივით წითელი! — შესძახა ბესიკმა და მუშებში შთაინთქა.

— მუუუმლი და... მუხასაო... — დიდხანს, დიდხანს ქარტეხილობდა ეს სიტყვები.,

გაფიცვის დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ დათიკო ხაჭაპურაძე დააპატიმრეს. დააპატიმრეს სტუდენტიც, იასონ ბეჟავას სიძე და ათამდე მუშა, ბესიკი იძულებული იყო დამალულიყო. მან სოფლებს მიაშურა.

ცოტა ხანს შემდეგ მაზრის უფროსი გადააყენეს. მის ადგილზე ქართველი აზნაური დანიშნეს, გვარად ახვლედიანი. ეს კაცი ნასახელევ ადმინისტრატორად ითვლებოდა. ახალ თანამდებობაზე დანიშვნის დროსაც საქვეყნოდ განაცხადა:

— კაცი არ ვყოფილვარ, თუ ორ კვირაში მთელი მაზრა არ მოვდრიკე და სულ ბატონო, ბატონო არ ვაძახებინეო.

გაფიცვის გავლენა კი თანდათან ძლიერდებოდა მაზრის სოფლებზე, მალე მაზრის ფარგლები ვიწრო შეიქნა და მთელი გუბერნიაც ამოძრავდა. ამას ხელი შეუწყო მანჯურიის ფრონტიდან რუსეთის ჯარის უკანდახევამ, პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, ტფილისის, ბაქოს და სხვა ქალაქების მუშების გაფიცვებმა, უნივერსიტეტების მოძრაობამ და მინისტრ ფონ-პლევეს საიმქვეყნო იძულებითმა ექსკურსიამ.

— დიდი ამბებია რუსეთში, დიდი ამბები! — მხრების თამაშით იტყოდა ყოველ დილას ფრიდონი რედაქციაში. — იცოდეთ, რომ კონსტიტუციას მოგვცემენ, უსათუოდ მოგვცემენ...

— ფრთხილად, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, არავინ გაიგონოს!.. — ვინ იცის, რა იქნება?

— ეშველება საქართველოსაც...

— ჩუმად... ჩუმად, ნუ ყვირით!..

— რის სიჩუმე, რას ამბობ?! ყველანი ლაპარაკობენ, მე მარტო ხომ არ ვამბობ... პირიქით, ჩვენი ისტორიული ვალია, ჩვენც... ჩვენც... დიახ, დიახ!.. გორგასლანის, დავით ალმაშენებლის, თამარის, ცოტნე დადიანის, საакაძის და... და... ერთის სიტყვით, ჩვენი ეროვნული გმირების შთამომავალნი, თუ გვინდა, რომ ისტორიამ არ შეაჩვენოს, ვალდებულნი ვართ, (ამ სიტყვებს ხაზს ვუსვამ), შევასრულოთ ჩვენი ვალი მამულის წინაშე და მოვითხოვოთ... ან, ან... ვითხოვოთ ის, რაც ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს ისტორიულად ეკუთვნის. დიახ... დიახ... ისტორიულად, ამ სიტყვასაც ხაზს ვუსვამ...

— მშვენიერი აზრია, მშვენიერი...

— დიახ, იმას მოგახსენებდით, ისტორიულად-მეთქი... ძველმა რუსეთმა დაარღვია 1873 წლის ტრაკტატი, ფეხქეშ გაითელა საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი... ხაზს ვუსვამ ამ სიტყვებს... ჩვენ... ჩვენ უნდა ვეცადოთ მის აღდგენას... ჩვენ სეპარატისტები არა ვართ, ღმერთმა გვაშოროს ასეთი აზრი, ეს დიდი უგნურება იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა, რომ ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო, ჩვენი „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ თავის ფარგლებში იყოს! თავისი ეკლესია ჰქონდეს, თავისი, თუ გნებავთ, კანონმდებლობა, რასაკვირველია, რუსეთის მეთვალყურეობით... — ჩვენი სკოლა... აი, ასე, როგორც ფინლიანდიას.

— ვაა! ყოჩაღ, ფრიდონ, მშვენიერი აზრია, მშვენიერი... გამოგვეზარდა ახალგაზრდობა, აწი არა გვიშავს... გამოიჭედება საქართველოს ბედი... კიდევ რას იტყვი, ფრიდონ, კიდევ?..

— როგორ თუ რას? მოვათხოვნინოთ თავადაზნაურობას თავიანთ კრებაზე, გამოვიყვანოთ გაბედული ეპისკოპოსები, მღვდლები, დავიხმაროთ გლეხები, მუშები და...

— ყოჩაღ, ყოჩაღ... მე ყურში მესმის დიდებული სიტყვები: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“... მოინახა შესანიშნავი სამოქმედო ლოზუნგი...

კიდევ მოგონებულ იქნა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ერეკლე, გაისმა ოხვრა, გულზე ხელის ბრაგუნი. გახშირდა ულვაშების გრეხა, ბოლოს გადაწყდა — მიენდოს ფრიდონს შესაფერი საგაზეთო მეთაურის გამოცხობა.

— მაგრამ, ბიჭო, ხომ იცი... ისე... წინ რომ წახვიდე, მერე უკან წამოდი, არც აქეთ, არც იქით... გამოსაძრომი ყოველთვის დაიტოვე, აზრის კუდი ყოველთვის ხელში უნდა გქონდეს. ისეც უნდა იყოს და ასეც... მწვადიც თავის ადგილას და შამფურიც, გარკვეულიც იყოს და... გაურკვეველიც... ერთი სიტყვით, გარკვეული, თუ გნებავს... გაურკვევლობა რაღა. ხომ იცი, რა მაგარი ცენზორი გვყავს, ეჭვი არაფერში აიღოს.. ხვალაც მის ხელში ვიქნებით... ყველაფერზე მაღლა საქართველოს ინტერესები!..

ფრიდონი აღტაცებულია... ძლევის კედელი შეანგრია. მამებს ახალგაზრდობა აგრძნობინა... ახლა ერთი კარგი მეთაურიც დაბეჭდოს! ესეც საქმეა, ესეც დიდია...

ხალხში გაძლიერდა ყრუ გუგუნი. შემოდგომაზე ერთ მემამულეს სიამტკბილობით ღალა არ აუკრეფია: ყველგან დავა, შეკამათება, დაკლება, ათასნაირი მიზეზის მოშველება.

ცხრა იანვრის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. მუშების დახვრეტამ მთელი რუსეთი ფეხზე დააყენა... მთავრობაც შეფიქრიანდა, იგრძნო, რომ ნამეტანი მოუვიდა. ნელ-ნელა ახმაურდნენ გაზეთები, კილოს მოუმატეს, ხმა აიმაღლეს...

მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

გრიგალი უკვე ამოვარდა.

მადნის ქალაქში ხმა გავრცელდა: აკაკი წერეთელი ჩამოვიდა და სცენიდან ლექსს წაიკითხავსო. ყველა ფეხზე დადგა, დიდი, პატარა, კაცი, ქალი, მუშა თუ მრეწველი, ყველა თეატრისკენ გაეშურა.

— შეგვახედეთ, გვანახეთ!

— მე მინახავს!

— მე სურათზე მინახავს!

— ნეტავ რას იტყვის, რა აზრის არის? ვის მხარეზეა?

იმტვრევა კარები, ზანზარებს დარბაზი.

— აკაკი... აკაკი... აკაკი გამოვიდეს...

— სხვები არ გვინდა... არა... არა...

სცენაზე ვეებერთელა ვაჟკაცი გამოჩნდა, ლომის ფაფარი, ვეფხვის თვალებით, დავით აღმაშენებლის მხარბეჭით, როსტომ გმირის წვერებით.

ნელი სვლა, ნელი ღიმილი, თოვლივით თეთრი წვერების ჩამოსავარცხნად აწეული ხელი...

გამაყრუებელი ტაში არ წყდება. ვარდებით აივსო სცენა.

და მგოსანმა დაიწყო:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი პირიმე.

ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა
დავიმახინჯე პირი მე...
ახლა არ გვგლეჯენ ენასა, —
სთქვით რამე, თქვენი პირიმე.

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერ“ ახლაც ეუვირი მე,
ნუ აჩქარდებით, ნურც შიშობთ,
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე.

ბევრი ვეცადე, სიმწარეს
ვერ გაეუთხარე ძირი მე.
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაჰბერეთ, თქვენი ჭირიმე.

კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ განაწირი მე,
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე.

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე,
დრო მოდის — ერთად ვიცინოთ,
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე...

სამარისებული სიჩუმე, შეჩერებული გულები, თვალებად და ყურებად გადაქცეული სახეები. შემდეგ კვლავ გრიგალივით ტაში, გაუთავებელი, თავშეუკავებელი აღტაცება, ცრემლები, შეძახილები...

— აკაკი... აკაკი... სხვა არ დაგვენახვოს!.. — ყვირის ხალხი.

იმტვრევა კედლები. ოვაციებს ბოლო არა აქვს.

და მგოსანი კვლავ სცენაზეა, ისევ კითხულობს: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! ვიცინი, აღარ ვსტირი მე“... მაგრამ სწორედ ამ დროს ატირდა აკაკი... მასთან ერთად მთელი ხალხი... მაინც კითხულობს. ახლა ლექსი თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა: აკაკი სტრიქონს იწყებდა, ხალხი კი აბოლოებდა.

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! ვიცინი, აღარ ვსტირი მე“, — მღეროდა მეორე დღეს მთელი ქალაქი.

XXXII

თავადაზნაურობის კრებაზე დორბლებს ყრის თავადი ყაფლანი:

— ჩვენ გვწვავენ, გვაწიოკებენ! ბიჭები და გოგოები წაგ-

ვართვეს... ტყეებს გვიჩეხავენ, მიწებს მუქთად იღებენ, საბალახიები გაგვიჩანაგეს, მოგვცეს მთავრობამ დახმარება, გამოგვიგზავნოს ჯარი!.. ბოლოს და ბოლოს ჩვენც შევიარაღდებით, ოღონდ იარაღი მოგვცენ!..

— მართალია, მართალი! იარაღი მოგვცენ... მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევს, ქართველ თავადაზნაურობას ეს არ დაუმსახურებია, ჩვენ მუდამ ტახტის ერთგული ვიყავით!..

— ნუ გეშინიათ, იმპერატორი ხელმწიფე ქართველ თავადობას და სამღვდელოებას არ დაივიწყებს, ჩვენ საამისო ღვაწლი მიგვიძღვის...

აწკეპილი ულვაშები, ხანჯლები, ხმლები, პაგონები... ჩოხა-ახალუხი, ბუზმენტები, ამაყი გამოხედვა, ზვიადი მიმოხვრა.

აქა-იქ ევროპიული ტანისამოსი, სერთუკი, ფრაკი, შეპარსული ულვაშები, ლამაზი ყელსახვევები.

— ამ ისტორიულ მომენტში თქვენ უნდა დაივიწყოთ თქვენი წოდებრივი ინტერესები, — დაიწყო ფრიდონმა, — თქვენ უნდა გახდეთ ღირსნი ჩვენი წინაპრებისა... საქართველო და ქართველი ერი უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ... ვინემ...

— ვინემ თავადაზნაურობა, არა? ეს გინდა სთქვა, ეაჟბატონო, ეს? ძირს, არ გვინდა! ჩამოაგდეთ, შეაწყვეტინეთ სიტყვა!..

თავმჯდომარე ღელავს, ზარს არაწკუნებს. ფრიდონი განაგრძობს:

— დიდი ისტორიული მომენტია, დადგა დრო, როდესაც ქართველმა ერმა უნდა აღადგინოს თავისი დაკარგული უფლება...

ყაფლანი კვლავ ავარდა ტრიბუნაზე:

— ჩვენი შკოლებივე გვღუპავენ, ჩვენები გვღალატობენ... აკაკი წერეთელმა ამ წინაზე ხალხი კინაღამ ჭკუაზე შეშალა; ამას ველოდიო და მოვესწარიო, თურმე ჩვენს აწიოკებას და დაწიოკებას მოელოდა!.. პენსიებს კი ვაძლევდით და შიმშილს გადავარჩინეთ... ჩემმა შვილმა რაც ქნა, ყველამ იცის... ახლა ეს აქ გამოსულა და რაღაცეებს გვასწავლის!.. საქართველოს რაც უნდა, ჩვენ კარგად ვიცით, ქართველი ხალხის პატრონი და წინამძღოლი ჩვენ ვართ... დიახ, ჩვენ, თავადაზნაურობა და არა ის ბიჭბუჭები!.. ის ბიჭბუჭები, რომლებიც ახლა ხალხს

მეთაურობენ... ამაშია მთელი უბედურება... ჩვენ არ გვიჯერის ქართველი ხალხი... ჩვენ... ჩვენ... მოგვშორდით სერთუკოსნები, მოგვშორდით გალსტუკიანები!.. უნივერსიტეტები ამისთვის გაგათავებინეთ?!. სწავლა უკუღმა გამოსაყენებლად მოგეცით?!.

ფრიდონი ოფლს იწურავს, მისიანები სკამებზე ტრიალებენ, ტაშს ძლივს ამოაღებინეს ხმა.

— აგრე არ შეიძლება, საქართველო დაიღუპება... უნდა შევიგნოთ... უნდა...

— ვინც დასაღუპავია, დაიღუპოს! იარაღი მოგვცენ და ჩვენ ვიცით, დაიღუპება თუ არა...

ატყდა ღრიალი, ყვირილი, მუშტების მოღერება, ამოძრავდნენ მელოტი თავები.

კრება ჩაიშალა.

მრეწველებიც გამწარებულნი არიან. იასონ ბეჟავამ უკვე დაკარგა ჩვეული კეთილგონიერება და ენაწყლიანობა.

— სალომე! ა, სალომე! თურმე შენი ქალიშვილიც რაღაცას ჩხირკედელობს და აქეთ-იქით დაძვრება... ბესიკის აყოლა მაგას არ არგია!.. მაგან, უმჯობესია, მის თავს მოუაროს, თვარამ გაგაგდებ აქედან და შიმშილით მოკვდები!..

გამშრალი სალომე ბნელ ოთახში შევიდა და კედელს თავს ახეთქებს.

— არამზადები, ღდინძაღლები, რა მიქნეს! ყელი გამომჭრეს. ყველაფერი არივ-დარიეს!.. ქრისტეს ტირილია, ვალებში ვიხრჩობი... გაგვიბატონდნენ, ხაზეინებად გადაგვექცნენ, უბატონოდ ხმას ვერ ვცემთ, სალამი ერთი ქცევიდან უნდა მივცეთ... გადაბრუნდა ქვეყანა, დაიქცა ქვეყანა...

ტირიან ვაჭრებიც, კბილებს ილესავენ ნოქრებზე, არ მოსწონთ გაფიცვები, დუქნების გვიან გაღება და ადრე დაკეტვა.

მთავრობის სამდურავსაც არ ერიდებიან:

— სად არის ეს მთავრობა? რას უყურებს? რატომ არ დაერევა და არ დახოცავს ყველას? რატომ ციხეებს არ აავსებენ?

ბლაღოჩინი მელიტონი გახელებულივით დარბის; ხან აქ მივარდება, ხან იქ, ამ წამში ერთი ამბით არის გატაცებული, მეორე წამში მეორეთი, ხან მაზრის უფროსი, ხან ბოქაული, ხან მრევლი, ვაჭრები, მრეწველები. ნაბუქოდონოსორი ყოველ-

ღღე დაგორავს, მონასტრიდან მონოზნები ლამის არის გაიქცნენ, ახალგაზრდა ხუცესმა გერასიმემ ადგილს თავი გაანება და, თუ კაი მრევლი არ მისცეს, ანაფორის გახდით იმუქრება.

— ღმერთი დიდია! რუსხემწიფეც ძლიერია! არ დაიღუპება მართლმადიდებლობა, არ გადაუდგება ჩვენი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებას! — იხტიბარს არ იტეხს მელიტონი.

დათიკო ხაჭაპურაძე კარგა ხანია ციხიდან გამოვიდა. გაათავისუფლეს მუშებიც, ბეჟავას სიძეც. ბესიკს ვითომ დასაჭერად დასდევენ, მაგრამ ვინ გაუბედავს ხელის მოკიდებას. მთავრობა მიმალულია, ბესიკი აშკარად მუშაობს. მისი ამხანაგებიც გაცხარებული დარბიან, გაჩდნენ სხვა პარტიებიც, ყველას თავისკენ უნდა ხალხი გადაიბიროს და თავის პროგრამა მიაღებინოს, გახშირდა მიტინგები, კრებები, კამათი, დისპუტები...

ბესიკი ყველგან მონაწილეობს, ყველგან იბრძვის.

მაიაც თავდავიწყებით გატაცებულია ახალი მოძრაობით, ბესიკის კვალს მისდევს. მისი დღიური ახალი ლექსებით ივსება. აი, ერთი მათგანი:

წითელფრთება მომერცხალობს,
ბორკილების ისმის მტვრევა,
სიხარულმა ფრთა გაშალა,
ბოროტება მფლად იმსხვრევა.

ვინც სტიროდა, აღარ სტირის,
ამთაგორდა იმედები,
მე მიწაზე ვერ ვეტევი...
ფრთები მინდა... ფრთები... ფრთები...

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც დედის წარსული სტანჯავდა მას. სულ თვალწინ ედგა სალომეს გაუბედურება.

— ბესიკ, მე ყველაზე მეტად მტანჯავს წარსულის ცოდვები, უბედური დედაჩემის...

— მეც, ჩვენ ორთავენი წარსულით ვიტანჯებოდით, მაგრამ სანუგეშოდ ის უნდა გვქონდეს, რომ ამ საშინელ წარსულს ღღეს თუ არა ხვალ ბოლო მოეღება.

— შეცდომები... ეს სიტყვა ვერ გამოხატავს იმ საშინელებას, რომელიც დედაჩემს განუცდია. ეს არის უდიდესი ბოროტება, უსაშინელესი დანაშაული...

— და შენც ბედნიერად უნდა გრძნობდე თავს, რომ ამ დანაშაულის გასწორების ჟამი დადგა.

— მე ვერ ვგრძნობ თავს ბედნიერად!

— რატომ? განა არ გაფრთოვანებს ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება? განა შენც ჩემთან ერთად არ ემსახურები ამ საქმეს? დღე და ღამე არ გძინავს, აღტაცებული დარბიხარ, კრებები, მიტინგი, პროკლამაციები!..

— უსათუოდ ცდები, ბესიკ... ჩემთვის... ჩემთვის მძიმეა ეს უღელი, მძიმე... ისე მძიმე, რომ ხშირად სუსტი ჩემი ქედი დედამიწამდის არის დახრილი, ჩაჩოქილი მოვათრევ საშინელ სიმძიმეს და არ ვიცი, როდის ამომხდება სული... მონატრულიც ვარ ამ ჟამის...

— როგორ, მაია?! ნუთუ შენ?! შენ უბედური ხარ? მაია...

— არც ბედნიერი ვარ... უბედური დედის ცქერა... ეს მძიმე და რთული ტვირთია... მე... ისიც ხშირად მგონია, რომ არა ვარ ამ ძნელი საქმისათვის გაჩენილი. ჩემს ძალღონეს აღემატება იგი...

— მაია, მეც შენთანა ვარ, მეც შენთან ეიტანჯები... მე შენი მხნეობა დარდს მიმსუბუქებს... შენც ასე უნდა გრძნობდე თავს, როცა მარტო არა ხარ...

— მე ქალი ვარ, შენ ვაჟკაცი. შენ ცოდნა გაქვს, მე უვიცი ვარ... შენ შენ არსებობაშიც შეგიძლია გამონახო თვითდაკმაყოფილება, შენი მდიდარი ბუნება აურაცხელ მასალას მოგცემს... მე კი... მე... რა ვიცი, რის პატრონი ვარ? ერთი ზეზეური საწყალი ქალი... მე არარაობა ვარ შენთან შედარებით. ეს არარაობა მე გუშინდელ მიტინგზე ვიგრძენი. მე არაფერი არ მცოდნია, უბრალო ფეხის ამყოლი ვყოფილვარ... გუშინდელი შენი სიტყვა უდიდეს გამოცხადებას წარმოადგენდა ჩემთვის. ყოველი დებულება ახალი და ათასნაირ ფიქრთა აღმძვრელი იყო, მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი; რა ვარ მე, რა ცოდნა მაქვს, რა ღირებულებას შეიცავს ჩემი საქმიანობა? და მე დავასკვენი, რომ შენი ღირსი არა ვარ, მე შენ ვერ გიცნობ, მე უბრალო არარაობა ვარ, ქარს ავყოლილვარ, მჩატედ, დაუფიქრებლად...

— არა, მაია, ქარმა კი არა, სამართლიანობის ინსტინქტმა ჩაგაბა შენ ამ მოძრაობაში. უბედური დედაშენის ხვედრმა

დაგაყენა შენ პატიოსნების გზაზე. ტყუილად შეგდის ეჭვი. შენ, მაია, დიდი მომავალი მოგელის, შენში ბრძოლის ცეცხლი ანთია და ეს ცეცხლი გაგაბედნიერებს შენ... ნუ გეშინია, ნუ შედრკები!... მეც შენთან ერთად ვარ...

— არა, ბესიკ! შენს წინაშე მე ჭიანჭველა ვარ... დედაჩემის სიტყვები სიმართლე უნდა იყოს... მე მეეჭვება, რომ შენ გიყვარდე... შენისთანა დიდი აზრების ადამიანს როგორ შეუძლია ჩემით დაკმაყოფილდეს. დედამ მართალი თქვა...

— მაია, შენ ჯანსაღ ძირზე ამოსული ყლორტი ხარ და ჩემი არსებაც ამიტომ მოისწრაფვის შენკენ...

— ბესიკ... ნუთუ?..

— მე კი მეგონა... აკი ამდენი ხანია არაფერი არ გითქვამს, თითქოს დამივიწყე... თითქოს განელდა ჩვენი... სიყვ...

ბესიკი მიხვდა თავის შეცდომას, უნებლიე შეცდომას.

— მაია, მაპატიე, მაპატიე. თავზარი დამცა მამაჩემის მიერ ჩადენილმა სისაძაგლემ... მცხვენოდა შენი, სალომესი... უმანკო მსხვერპლის, საწყალი არსების... მცხვენოდა, მეშინოდა...

ბესიკი გულში იკრავდა აცრემლებულ მაიას, თვითონაც ტიროდა.

— მე კი მეგონა, სულ დაგავიწყდი, თვალს მარიდებ. ადამიანად მაქციე, და... და უცებ გამექეცი, ყავარჯენი გამომაცალე საშინელ განცდის ჟამს... მარტო დამტოვე უძნელეს წამებში... რა მექნა, არ ვიცოდი; ვინ მეტირა, უბედური დედა, ათასჯერ მეტად უბედური ჩემი თავი, თუ კიდევ... კიდევ შენ? შენი სიყვარული?.. ბესიკ, მაპატიე ეს სითამამე... ვინ შენ და ვინ მე... მაგრამ მე არაფერს არ გთხოვ, სამაგიერო არ მინდა, მხოლოდ ნება მომეცი, მიყვარდე, შორით გიცქირო, გეალერსო... შენ კი... შენ თუნდაც გძულდე, არ გიყვარდე...

— მაია, ნუთუ ეჭვი შეიტანე ჩემში? ჩემო ბავშვო, ჩემო მშვენიერო!.. მაპატიე! შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე... შენ წმიდა ხარ, ვით პირველი სხივი, და უმანკო, როგორც პირველი თოვლის ფიფქი... მაგრამ შენ გწამლავს ყაფლან ქვენიფნეველის დანაშაული, ის სპობს შენს სიხარულს, შენს აღმაფრენას, შენს აღტაცებას და თავდავიწყებას...

— ბესიკ, მე სისხლს ავიღებ ამ დანაშაულისათვის.

— შენ იცი, ჩემო მშვენიერო, იბრძოლე და ეს იქნება უდიდესი შურისძიება.

— ვიბრძოლებ, ჩემო ბესიკ, ვიბრძოლებ...

— ჰო, მართლა, სალომე როგორ არის? მე მცხვენია შემოსვლა.

— როგორ იქნება... ოხრავს.

— რას გეუბნება?

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ერთი საყვედურიც არ წამოცდენია, მხოლოდ ლოცულობს, ლოცულობს... ხშირად ღამით პირქვეა დამთხვეული.

— ჰმ! რამ უნდა გაამხიარულოს? მაია, ჩემო მაია, რომ იცოდე, რა ძნელი დაბრკოლების წინ ვდგევართ...

XXXIII

ბლაღოჩინ მელიტონს ორი უბედურება შეემთხვა. ვიღაც ბნელი პირები თავს დაესხნენ და ცალი წვერი და ულვაში მოპარსეს, სცემეს კიდეც და როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ათასი მანეთი ფულიც წაართვეს — სულ ბაჯაღლო ოქროები.

— მაგრე უნდა მაგ წაწყმენდილს, მაგრე! — იძახოდა ყველაზე ადრე იასონ ბეჟავა, — რაც მე მაგან მიქნა, აბა, ვინ შეარჩენდა... ჩემი სიძე რომ დააჭერინა... არ იცოდა, რომ ახალთაობა მაგ საქმეს არ შეარჩენდა? ბარე სამჯერ გამოჭიმეს პაკრამაციაში და კიდევ უარეს უზამენ...

მელიტონი ისე დასახიჩრდა, რომ ხალხში გამოსვლა არ შეეძლო, ოჯახშიც კი ახვეული ჰქონდა მოპარსული წვერი და ულვაში. ხმები იყო, ეს ბნელი პირები იასონ ბეჟავამ მიუგზავნაო.

მელიტონის მეორე უბედურება კი ის იყო, რომ მის უფროს ქალიშვილს, რომელსაც იასონ ბეჟავამ საქმრო წაართვა, აშკარად დაეტყო ორსულობის ნიშნები. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოეფინა. ხუცის ოჯახის საიდუმლოება ცალთვალა მოსამსახურემ — მართამ გამოიტანა...

— უი, ქა... იმასაც კი ამბობენ, რომ ბლაღოჩინის მარუსია იასონ ბეჟავას სიძემ...

— რაო, რაო? რას ამბობ, ქალო?

— იასონის სიძემ...

— უი... ჩემი სიკვდილი ახლავე! რა გაიგონა ეს ჩემმა დასავსებმა ყურებმა... იმიტომ იყო, რომ სულ ერთად დადიოდნენ... ქალო-მეთქი, — ვეუბნებოდი ხუცის ცოლს, — არ ვარგა ცოლიანი კაცის სხვა ქალებში სიარული, მანამდის რაც იყო, იყო და აწი მაინც მოარიდე შენი ქალი იმ კაცს-თქვი... მაგრამ... არ დამიჯერა...

— თურმე კიდევ უყვართ ერთმანეთი... მართალი რომ თქვას კაცმა, იასონის ქალიშვილი იმისთანა ანგელოზივით სტუდენტს როგორ შეუყვარდებოდა?! ფულები აიღო, თვარა სიყვარული...

იასონ ბეჟავას ეამა მღვდლის ოჯახის გაბახება.

— შენ გენაცვალე, შენ! — სიცილით ეუბნებოდა იგი თავის სიძეს, — თუ მართლა შენ გაასისინე ბლაღოჩინის ქალიშვილი, კაცი შენ ყოფილხარ... მასე უნდა მაგ შეჩვენებულს, მასე... მაგ წვერ ცამეტას, მაგ ჯაშუშს... შპიონს, მაგას...

სიძე კი იღიმებოდა და არაფერს ამბობდა, მხოლოდ ეს კი შეეხვეწა: ცოლთან და სიდედრთან არ მემასხრო, თვარა შავს დღეს დამაყენებენ, ხომ იცი ქალების ამბავიო.

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, — აიმედებდა იასონი, — მე მაგისთანობაში გამოქერგული ვარ...

იასონის სიძე რევოლიუციონურ მოძრაობაში არაფერ მონაწილეობას არ ღებულობდა, დატუსაღება და რამოდენიმე კვირა ციხე სულ ტყუილად აგემა მაზრის უფროსმა. სიძის ჭკვიანობა ძალიან მოსწონდა იასონს, მაგრამ როდესაც მოძრაობა ძალიან გაიზარდა და მის გარეშე დარჩენა სირცხვილიც კი იყო, იასონმა ურჩია, მასაც ამოეღო ხმა.

— მაგრამ, შვილო, სიფრთხილეა საჭირო, ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, ეგება ძველი მთავრობა ისევ წამოდგეს... ამიტომ იქითაც უნდა იყო კაცი და აქეთაც, არსად საქმე არ უნდა წაიხდინო და სახელი არ უნდა გაიტეხო... აბა, შენ იცი, რა მოხერხებულად მოიქცევი!

იასონის სიძე ესერების პარტიას მიეკედლა. ბესიკი და დათიკო ხაჭაპურაძე ამ პარტიას ყოველ გზაჯვარედინზე ბურჟუაზიულს ეძახდნენ და სიძე ტარიელმაც შესაფერი დასკვნა გამოიტანა: თუ ეს პარტია ბურჟუაზიულია, ეს ყოფილა ჩვენი

საქმეო. იასონი აღტაცებული იყო სიძის ჭკვიანური ნაბიჯით და თვითონაც თავის თავი ესერად გამოაცხადა.

— ძალიან ზრდილობიანი სტუდენტები ქადაგობენ ამ პარტიის სახელით და არც ამ სოციალ-დემოკრატებივით შავ ხალხში არ ისვრიან ხელსო, — ამბობდა იასონი.

XXXIV

თავადი ყაფლანი ამ ბოლო დროს ძალიან უგუნებოდ არის; მოსამსახურეები გაექცნენ, შერჩა მხოლოდ უპატრონო და ქველასაგან მოძულებული სისინა. ერთხანს ამ სულიერმაც დააპირა ვითომ რაღაცა, მაგრამ, როცა გამოირკვა, რომ არც საცოლშვილოდ ვარგა და არც მუშაობა შეუძლია, ისევ უკან დაბრუნდა და გული დაიწყნარა.

ყაფლანის მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა ერთ-ერთმა ქალიშვილმა, რომელმაც მოხუც მამას და დედას მოზ-დილი ქალი გამოუგზავნა სასამსახუროდ, შინაურული პირო-ბით: ბებიასა და ბაბუას უნდა გაემზითვებია ეს გოგო.

საერთოდ კი ყაფლანი თავს დამარცხებულად არ სთვლიდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძველი მთავრობა ჯერ კიდევ საიმე-დოდ მოჩანდა. მეორეც, იმის გამო, რომ მოძრაობის მეთაურად თავის შვილს ხედავდა. მართალია, იგი უკვე დაწყევლილი და შეჩვენებული იყო მის მიერ, მაგრამ რაღაც არსება მაინც არ ასვენებდა, ყურში ჩასჩურჩულებდა:

„რაც გიქნა, შენმა შვილმა გიქნა, შენმა სისხლმა და ხორცმა... იამაყე, რომ შენს შვილს ასეთი ბრძოლა შეძლებია... ამდენი ხალხი უჯერის მის სიტყვას, ხუმრობა საქმე ხომ არ არის! მართალია, შავი ხალხის მეთაურია, მაგრამ... მაინც მეთაურია. რატომ გლეხმა ვერ შესძლო გლეხებისვე მეთა-ურობა, იმასაც კაცობა და ნიჭი უნდა!"

— ძველი მეთაურებიც ჩვენ ვიყავით და ახლებსაც ჩვენ მივეცით მეთაურებიო, — ინუგეშებდა თავს თავადი.

მაგრამ მისი გული საგულეს მაინც არ იყო.

ყაფლანი განსაკუთრებით დაფრთხა მას შემდეგ, რაც დიდ მიტინგს დაესწრო. ბესიკის გამოსვლამ ამ მიტინგზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. თვითონაც სულგანაბული

უსმენდა ბესიკის ლაპარაკს. ხანდახან თავმოყვარეობის მძლავრი გრძნობაც კი გაირბენდა მის არსებაში და მზად იყო შვილის გადასაკოცნად გაქცეულიყო. მაგრამ როცა ბესიკმა სიტყვა დაასრულა და მუშებისა და გლეხების აღელვება ყაფლანმა თავის თვალით იხილა, საშინლად შედრკა. „ასე გაცოფებული გლეხი მე არ მინახავს, როგორ გადარია ამ წყეულმა ეს მხეცებიო“, — გაიფიქრა და გაგულისებული გზას გაუდგა. ბედის მადლიერი იყო, რომ ბესიკი საქვეყნოდ შეაჩვენა; კიდეც რომ მისაყვედურონ ჩემიანებმა, თავის გასამართლებელი მაინც მაქვსო.

დიდი მიტინგის ამბავმა ბესიკის დებსაც თავზარი დასცა, თითოეული მათგანი ცდილობდა ძმის შერიგებას და მომადლიერებას. ყველაზე ადრე პატარა ციცინო მივიდა ძმასთან.

— ბიჭო, შე შეჩვენებულო, რა არის, რომ აგვაფორიაქე და თვალში ძილი დაგვიკარგე? რატომ შემოგვისიე ეს გლეხობა? — ეუბნებოდა სიცილით ციცინო და ხან ყურებზე წიწკნიდა ძმას და ხან მის ხელებს გულში იკრავდა.

— შე ვარიკა, შენა, როგორ თუ შემოგისიეთ? განა მე შემოგისიეთ?

— აბა, ვინ?

— თქვენი კაი ნამოქმედარის ბრალია, ჩემო ვარიკა, ყველაფერი! რატომ აწვალებდით გლეხებს? ახლა სამაგიეროს გიხდიან.

— არა გცხვენია, მაგეებს რომ ამბობ? განა მე ვაწვალებდი?

— შენი ქმარი, შენი მამა...

— ჩემი მამა თუ აწვალებდა, შენი მამაც ის არ იყო? ხა... ხა... ხა... მაშ!

— ვარიკა, ჩემო ვარიკა, შენ სულ ეშმაკი იყავი!..

— ბესიკ, გლეხებში რომ ქადაგობ, ყველა ადამიანი ერთნაირია, განა ეს მართალია? შენ, ბესარიონ კვენიფნეველი, ძველისძველი თავადი და ვილაცა ტილიანი გლეხი ხუროძე ან ბაძღავა ერთი და იგივე ხართ? არა, მართალი მითხარი, ძმობას გაფიცებ!..

— ჩემო ვარიკა, ერთი და იგივე როგორ ვართო? ვინ გითხრა, რომ ჩვენ თანასწორები ვართ? ნუთუ არ იცი, რომ

გლეხის სისხლი შავია და ჩემი თეთრი?!. ნუთუ ეგ არ იცი, არ გახსოვს ბებიაშენის, ცხონებულის დუდუხანის ნათქვამი? ასე მალე როგორ დაგავიწყდა, ჩემო ვარიკა, ეს სიბრძნე?!

— შენ მე მასხრად მიგდებ, არა გრცხვენია?

ვარიკა გაგულისდა, ბესიკი კი გულიანად იცინოდა.

— შენ მე სულ პატარა გოგო გგონივარ და ყოველთვის მეხუმრები, კარგი, ასე იყოს, ასე... დაგავიწყდა ჩემი სიყვარული...

— შენ ეს მითხარი, ჩემო ვარიკა, შენი ქმარი რას შვრება, შავ რაზმში ხომ არ ჩაწერილა?

— რისი შავი რაზმი? არ ვიცი, რას მეკითხები.

— აი, ჩვენს თავადებს და აზნაურებს რომ უნდათ შეადგინონ... თავს ვიცავთო, რომ იძახიან. შენი ქმარი აპრუწული თავზარაშვილია, უსათუოდ ჩაეწერებოდა.

— ბესიკ, გენაცვალე, რატომ შეგძულდი ასე? მეცა და ჩემი ქმარიც ჭირივით გეზარებით, ყველაფერი ცუდი ჩვენ უნდა მოგვაწეროთ... განა ისე თავზე ხელაღებულია ჩემი ქმარი, რომ...

— ვიცნობ, ვიცნობ, ხა... ხა... ხა... წვრილფეხა ლოთიფოთია, მაჩხუბარი, ასჯერ გალახული და სხვისი გამლახველიც...

— ქმარს მაინც რას მილანძღავ, ბესიკ?!

— ხა... ხა... ხა... ჩემო ვარიკა, ჩემო ვარიკა... ის როგორ იყო, შენი ქმარი ზესტაფონში რომ ჩხუბს ასტეხდა ხოლმე, გვერდს რომ ვინმე ჩაუვლიდა, უცებ მიუბრუნდებოდა და შეეკითხებოდა:

— ვისი მამის სულიო? გაიმეორე, გაიმეორე...

— მე არაფერიც არ მითქვამს, არავის მამის სული არ მიხსენებია! — ეუბნებოდა უცნობი და გაკვირვებული უცქერდა.

— აბა, მე ყრუ ვყოფილვარ, არა? ყრუ ვყოფილვარ?!

— რასა ბრძანებთ, ბატონო?!

— არა, არა ყრუ ვარ, არა?! — და ჩხუბიც ატეხილი იყო.

— ბესიკ, რა გესლიანი დაცინვა იცი! — ჯავრობს ვარიკა.

— ერთხელ ჩემმა სიძე ბატონმა თურმე საათი ამოიღო და უცქერის, თანაც ერთ ყმაწვილს ეკითხება:

— ყმაწვილო, რომელი საათია?

— ათი, ბატონო, უპასუხებს იგი.

— ჩემსაში თერთმეტია, — ამბობს თავზარაშვილი.

— ჩემსაში კი ათია, — იმეორებს ყმაწვილი.

— არა, მე ვტყუი? მე გლახა საათი მქონია?! მაშ, შენი აზრით, მეც და ჩემი საათიც მატყუარები ვყოფილვართ... ასეა განა?!

— მე ეს არ მითქვამს...

— რაო, რაო?! აბა, მე მოვიგონე? მე, თავზარაშვილმა?! — და კიდევ ჩხუბი, ცემა, გასისხლიანებული თავპირი.

— რა არის ამდენი დაცინვა? მაშ, მე შენი ღვიძლი და არ ვყოფილვარ?!. შენ რომ მამას ემდუროდე, ჩვენი რა ბრალია?.. მე რა წაგიხდინე? მე შენ მუდამ მიყვარდი! — სლოკინი, ცრემლები.

— კარგი, ჩემო ვარიკა, კარგი, — დაამშვიდა ბოლოს ბესიკმა ატირებული და.

სხვა დებიც ძალიან ცდილობდნენ ბესიკის მომადლიერებას. ყველა მათგანი არწმუნებდა ძმას, რომ ისინი არაფერ შუაში არიან მის წინაშე, პირიქით, ძალიანაც უყვართ იგი. მაგრამ დებსა და ძმის შუა ძველებური დამოკიდებულება მაინც არ აღდგა, მიუხედავად ამისა, რომ ბესიკი არაფრად არ აგდებდა დაწყევლა-შეჩვენებას და არასოდეს ერთი სიტყვითაც კი არ გამოუთქვამს თავის წყენა მამისეულის დაკარგვის შესახებ. პირიქით, ხუმრობდა კიდეც და სასაცილოდ იგდებდა მამას.

— მიკვირს, რატომ თავისი ნაწილის დაკარგვის შესახებ ეს ბიჭი არაფერს არ ამბობს? ნუთუ გულს არ წვავს ქონება, სულ მასხრობა როგორ შეიძლებაო! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს გაკვირვებული დები. ბოლოს ასე დაასკვნეს: ალბათ, გულში ინახავს, ფარულად გვმტრობს და როცა იქნება, გაგვისწორდებაო. ამიტომაც შიშით უცქეროდნენ ბესიკს და ყოველს წამს შურისძიებას მოელოდნენ.

XXXV

ერთ ღამეს ვიღაც პირები თავს დაესხენ თავად ყაფლან კვენიფნეველის სახლკარს და ყაფლანი სიცოცხლეს გამოასალ-

მეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. მაზრის უფროსმა ახვლედიანმა შიფრიანი დეპეშა გაგზავნა სადაც ჯერ იყო. ბოქაული სილოვანი მხრების აწევით ლაპარაკობდა;

— ამას კი არ მოველოდი და სხვას ყველაფერს! როგორ გაიმეტა ბესიკმა თავის მამა?! ქართველი კაცი თუ ამას იზამდა, არ მეგონა!..

შეშფოთდა და შეჩოჩქოლდა თავადაზნაურობის დასაცველად შემდგარი შავი რაზმი.

— ეს ჩვენი სირცხვილია, ეს ჩვენი თავლაფის დასხმაა, ასეთი კაცი მოგვიკლეს, ასეთი ჭკვიანი, დარბაისელი, მიუზღავთ სამაგიეროს! დაგვასწრეს, არა? ჩვენ კიდევ ნამუსზე ვიყავით, გვეგონა, გონს მოვიდოდენ!.. აწი კი ჩვენ ვიცით!.. მოგეხსენებათ, ვისი საქმეა ეს! ეინ ჩაიდინა ეს საზიზღრობა!

— სწორედ დაიღუპა ქვეყნიერება, — წუხდა ბლაღოჩინი მელიტონი, — მამა შვილს არ ინდობს, შვილი მამას! მეორე მოსვლის ნიშნებია... ამბობენ, ბაზალეთში ერთი მოქადაგე გამოჩენილაო... დიდ უბედურებას წინასწარმეტყველობს თურმე...

— რა ვქნათ, მამაო, როგორ მოვიქცეთ? — ეკითხებოდენ შავი რაზმის წევრები.

— უნდა მოიქცეთ ისე, როგორც ქართველს შეშვენის: გაბედულად, რაინდულად, ვაჟკაცურად, საკაძურად; იცით რა სთქვა საკაძემ, როცა შახმა აცნობა, შენს შვილს პაატას თავს მოვკვეთავო? სულმნათი გმირი არ შედრკა, გასწირა შვილი და წამოიძახა: ერი შობს პაატას, პაატა კი ვერ შობს ერსაო. მე თქვენ თავიდანვე გირჩიეთ, რაც უნდა გექნათ, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანეთ და აქეთ მოგასწრენ.. ახლა კი თქვენ იცით... თუ კიდევ გინდათ შერცხვეთ და ლაჩრების სახელი დაიმსახუროთ, ხელს ნუ გაანძრევთ, ხალხს მეთაური უნდა მოუკლა, მეთაური... ნუთუ ეს არ იცით?!

შეიქნა ხმლების ლესვა, აბჯრის აბმა, მუქარა... გაყურმახვილდა გლეხობაც, წითელმა რაზმელებმაც დაუწყეს თოფებს სინჯვა.

ბესიკისათვის სრულიად მოულოდნელი იყო მამის მკვლელობა. მან იცოდა, რომ ყაფლანი რევოლუციის მოსისხლე მტერი იყო, მისი სახელი რამოდენჯერმე პროკლამაციებში და

უფრო მეტჯერ გაზეთებშიც კი ნახა, ერთი პროკლამაცია მის რედაქციაშიაც კი დაიბეჭდა, მაგრამ მოკვლის შესახებ არაფერი იცოდა.

— ვის უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი? — ბასრი დანასავით ჩაერჭო ეს კითხვა მის არსებაში და საშინელი ტკივილები იგრძნო. — ნუთუ გვერდი ამიარეს ამხანაგებმა? ან ეგების ჩემმა მოწინააღმდეგე ფრაქციამ მოკლა? მენშევიკებმა თუ მოაწყვეს?..

ბესიკი მოშხამა ამ აზრმა, მოადუნა, ფეხები მოეკეცა,

— მე თუ ვერ გავიგე, მაიამ მაინც რატომ არ შემატყობინა? მაგრამ თუ მენშევიკების ხელითაა მამაჩემი მოკლული, მაშინ მაიას, როგორც ბოლშევიკს, არ გაანდობდენ საიდუმლოს!... მეც შეიძლება წინააღმდეგი არ წავსულიყავი, მაგრამ მცოდნოდა მაინც... მცოდნოდა...

სამი დღის უგუნებოდ ბორიალის შემდეგ ბესიკი სალომესთან მივიდა. კარგა ხანია აქ არ მოუსვენია მას. მაია მაზრაში იყო წასული პარტიულ სამუშაოზე, ეს კარგად იცოდა ბესიკმა, ორი დღე ხმის ამოუღებლივ იწვა თავის ყოფილ ოთახში. სალომე ხანდახან თუ დაესიტყვებოდა, ასე გულთბილად მას არასოდეს არ მიუღია ბესიკი: დაუღალავად ემსახურებოდა, გულმტკივნეულად უვლიდა, ყაფლანის შესახებ სიტყვაც კი არ დაცდენია. ორთავემ კარგად იცოდა, თუ თითოეულ მათგანს რა ედო გულში და ამიტომ სიჩუმეს ამჯობინებდნენ.

მესამე დღეს მაიაც ჩამოვიდა სოფლიდან. დაღლილი იყო, ფაშხდარი, უგუნებო. დედამ კიბეზე აცნობა ბესიკის იქ ყოფნა. მაიას ფეხიც კი არ შეუდგამს ბესიკის ოთახში, თავისი ლოგინი მონახა და მუნჯივით ჩაწვა. მეორე დღეს შუადღემდის იძინა, არც მერმე ფიქრობდა ადგომას.

სალომე ისე დადიოდა, როგორც მიცვალებულის პატრონი; ჩურჩული, ფეხის ცერები, უხმაურო მოძრაობა, ხან ბესიკს, ხან მაიას დატრიალებს. შუბლზე ადებს ხელს, სიცხეს უსინჯავს, ავად ხომ არ არისო. ვერაფერს ატყობს, მაშინ რატომ წევს და ზეზე არ დგება?!

საშინელი სიჩუმე, სამი წყვილი მოკუმული ტუჩები, სამი გაჩერებული გული, სამი ადამიანის ჩაშრეტილი თვალები.

სამარეში ჩასვენებული ოთახები, პირქვე დამხობილი სიცოცხლე...

ვინ გაბედავს ხმის დაძვრას?...

ბოლოს მაინც მაიამ დაიწყო:

— ბესიკ, როგორ ხარ?

— შენ როგორ ხარ, მაია?

— დღეს კარგი დღეა, ბესიკ!

— არ შემიხედავს.

— შეხედე, სხივები როგორ თამაშობენ!

— გუშინ როგორი ამინდი იყო?

— არ მახსოვს, ბესიკ!

ისევ სიჩუმე გამეფდა.

ისევ მაიამ დაიწყო:

— ბესიკ, ცენტრიდან რა ამბები მოდის?

— კარგი...

— შეიარაღებული აჯანყება

— ახლოვდება.

— იარაღის შეძენის საქმე...

— კარგად არის.

კვლავ სიჩუმე, საკმაოდ დიდხანს.

— შენ წახვედი, მაია?

— რა გინდა?

— არაფერი.

— მაინც?

— არაფერი.

მაია ისევ ფანჯარასთან იდგა, ბესიკი კი ლოგინში იყო ჩამხობილი პირქვე, კედელს მიჩერებია, სიჩუმე ისევ არ ასვენებდა, სალომე რომ არ შესულიყო მაიასთან.

— შვილო, მაია, ბესიკი ავად ხომ არ არის? არ გესმის, შვილო?

— არ მესმის.

— ავად არის-მეთქი? — გამეორდა ათრთოლებული ხმა.

— არ ვიცი.

მაია დედის ოთახში გავიდა.

— სალომე...

— რა იყო, შვილო, ბესიკ!

— სალომე დედა, მე ავად არა ვარ. მაგრამ... მაგრამ... მე რაღაც დავკარგე, რაღაც დიდი, ძვირფასი, განუზომელი, ფასდაუდებელი... წამართვეს, მომგლიჯეს... არ მკითხეს... გაცივდა გული, გაცივდა, გაცივდა, გაცივდა...

— შვილო... რაც უნდა იყოს... მამა... მამა... იყო...

— მე მინდა სითბო... სითბოსთვის მოვედი... შენთან... შენს ოჯახში... მაია სად არის?

სალომე ხელებდაყრდნობილი, თავამართული იდგა. ბესიკი თავჩაქინდრული, მაია კი დედის ოთახში იცრემლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ სალომე შვილთან შევიდა.

— შვილო, მაია. რა მოგდის?

მაიამ არ უპასუხა.

— შვილო, ხმა გამეცი...

მაია ისევ დუმდა.

— შვილო, მაია, ბავშვი არა ხარ...

ქვლავ დუმილი.

რად არ გაირღვევა დედამიწა სალომეს ჩასაყლაპავად? უფსკრულის პირად დადის მოხუცი, წამი და ქვესკნელს ჩაებარება.

ბოლოს როგორც იყო მაიამ ამოიდგა ენა.

— დედა, მე შევასრულე ჩემი პირობა, დალოცე ჩემი გვირგვინი...

— დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა... ღვთისმშობელმა დედოფალმა... ოქონის ხატმა საქალიშვილომ...

ხელებაპყრობილი იდგა წამით სულმოთქმული დედა, მლოცველი დედა.

მაგრამ უცებ ხელები ძირს დაეშვა, ხმა შეიცვალა:

— ვინ მოკლა, შვილო, ყაფლან ქვენიფნეველი?

გულისცემა შეუჩერდა მეორე ოთახში ბესიკს.

— ჩვენმა ჯგუფმა. პირველი ტყვია ჩემი იყო!

ამაყად იდგა ცეცხლოვანი მაია. ხმაც მქუხარე და მშექარე იყო.

— როგორ, შენ?! შენ?!

— დიახ, მე!...

ვედრება ტუჩებზე დააკვდა დედას.

— შვილო, მოისპო შენი ბედნიერება? სისხლი... სისხლი... სისხლია შენს ხელებზე!..

და დედის გულში ჩაწყდა ღვიძლი შვილის კუთვნილი სიმები... გაცამტვერდა დედის გული.

— მაია, შენ მოჰკალ მამაჩემი?! — წამოიჭრა ლოგინიდან გაფითრებული ბესიკი, გაშტერებული, გაევეფხვებული.

— პირველი ტყვია ჩემი იყო, ჰო!

. .

— მე ვიცოდი, რომ გიჭრიდა აზრი და ენა...

— ხედავ, თურმე ხმალიც მიჭრის!

— შეგძლებია ბედნიერებისთვის ბრძოლა... გზა მშვიდობისა...

— ბესიკ!

არ უპასუხა.

— ბესიკ!

არც ახლა უპასუხა.

— საით? მიდიხარ? მიდიხარ?!.

— არ ვიცი, შეიძლება წავიდე...

— ეს ხომ ღალატია!...

— მოვიფიქრებ... ძნელია... მამაჩემის მკვლელთან... ბედნიერება, მაია... მე ამას არ მოველოდი...

ბესიკი წავიდა.

მაიას სახეზე ზიზღი გამოიხატა, წყევლა, შეჩვენება და დამეხვა.

XXXVI

ერთი კვირის შემდეგ ბესიკ კვენიფნეველი შავმა რაზმმა გზაში მიმავალი მოჰკლა. მოკლულის გვამთან დადებულ ქაღალდზე ეწერა: „ეს ეკადრება იმას, ვინც თავისიანები გასწირა და მშობელი მამაც კი არ დაინდო.“

გაზეთებმა მთელ ქვეყანას მოჰფინეს ეს უბედურება. განსაკუთრებულად შეძრწუნდა მადნის ქალაქი და მისი მაზრა. ხალხი იარაღს მიუბრუნდა. ილესებოდა ხმლები, ისინჯებოდა თოფები.

შურისძიების გრძნობამ შეიპყრო მშრომელი ადამიანები.

შავი რაზმი დაფრთხა და სოროებში მიიმალა, შაზრის უფროსმა ახელედიანმა ბესიკის მოკვლის ამბავი ისეთივე სისწრაფით აცნობა თავის უფროსებს, როგორც მამამისის ყაფლანისა და თან დამხმარე რაზმი გამოითხოვა საგუბერნიო ქალაქიდან, მაგრამ წამოსული რაზმი ჯერ კიდევ არსად ჩანდა.

ბესიკის დასაფლავება უდიდეს დემონსტრაციად გადაიქცა; გასვენების დღეს საქართველოს ყოველი კუთხის მშრომელებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი, გაზეთები შავი არშიებით აივსო, სამაზრო ქალაქის ტელეგრაფის მავთულს ბესიკის გარდა სხვა ადამიანის სახელი გადაავიწყდა.

გვირგვინებით. ყავილებით და დროშებით იყო შემოსილი პორტრეტი. შეიარაღებული რაზმები, უთვალავი უიარაღო ხალხი, ქალი და კაცი მარსელიოზით მიაცილებდა ბესიკის ცხედარს. მრავალი მგზნებარე სიტყვა და ფიცი წარმოითქვა სასაფლაოზე შინდისფერ მუხის კუბოსთან.

დედები ტიროდნენ, ქალიშვილები იცრემლებოდნენ, მამაკაცები იმუქრებოდნენ.

— სუუ, გაჩუმდი, მამა, მაია ლაპარაკობს! — გაისმა ხმა. დაწყნარდა მღელვარე ზღვა, დადუმდა მოზღვავებული ხალხი, სმენად იქცა ადამიანთა უამრაობა...

წითელ დროშებში გამოჩნდა მაია...

დროშებთან ერთად ირხეოდა მის ბეჭებზე დაყრილი შავი თმები.

მისი თვალები ბესიკის გვამზე უფრო ცივი იყო. უპეები ბესიკისაზე უფრო შავნი, ლოყები ბესიკის ღაწვებზე უფრო ჩამქრალი.

— ჩვენ არ გვაღირსეს ბედნიერება, — დაიწყო მაიამ და ამ სიტყვებს თან ამოყვა გული, განუსაზღვრელი დარდით ავსებული.

— ბესიკ, ჩვენ მოგვიშხამეს ახალგაზრდობა! . .

ახლა უთვალავ ადამიანთა გულის კვნესაც ერთხმად აყვა მაიას სიტყვებს, თითქოს ერთი კაცი ქვითინებსო.

— სიძულვილად აქციეს ჩვენი სიყვარული... ასეთი ყოფილან მუდამ ისინი, ასეთები არიან დღესაც!. . .

— მე მწამდი შენ! მე მწამხარ შენ ეხლაც! მე მწამს შე-

ნი გაცივებული სხეული და მისი ანდერძი... შენდაში სიყვარულს სიძულვილად ვაქცევ ჩვენი მტრების მიმართ. სისხლში... სისხლში ჩავაღრჩობ შენი მკვლელობის ძესა და მომავალს... შენი სიცოცხლის მომსპობის შთამომავლობას... შენი ლამაზი არსების ჩამქრობის ნათესავსა და მოდგმას!...

მაია მოწყდა ადგილიდან, ისარივით აღიმართა ბესიკის თავთან და ცალხელაპყრობილმა ჰაერში აისროლა სისხლისფერი მანდილი:

— და ეს... ეს... ალამი... შენი ჭრილობის სისხლში ამოსვრილი ჩემი ახალგაზრდობის მანდილი, მუდამ წინ გამიძღვება შურისძიების გზაზე... მშვიდობით, ჩემო ბესიკ!

მაია გამოემშვიდობა ბესიკს, განზე გადგა, მაგრამ ქალების გულამოსკვნილი ტირილი და მამაკაცების ფიცი კიდევ დიდხანს არ დამთავრებულა.

XXXVII

17 ოქტომბრის მანიფესტმა ვერ მიაღწია მიზანს: საქართველოში არავინ არ დააკმაყოფილა; პროლეტარიატი მაინც არ მოშორდა ბრძოლის ველს, გლეხობამ მაინც არ ჩააგო ამოწვდილი ხმალი. აგიზგიზებული ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა.

— მტერი შეირყა, ერთ სიმაგრეზე უკვე აიღო ხელი... კიდევ შეტევა, ამხანაგებო, და გულგანგმირულს დავასამარებთ!

ასეთი გადაწყვეტილებით შეხვდნენ მეფის მანიფესტს, რომელსაც რევოლუციის ძალები უნდა გაეთიშა და მით დაემარცხებია იგი.

აბობოქრდა გურია; აბჯარს ისხამდა, ბრძოლებისაკენ მიისწრაფოდა და აი ნასაკირალმა უკვე გადაქუხა.

აპირმახვილდა სამეგრელოც, მტერზე გაინძრა. ვაქკაცები ყაბალახებს ინასკვავდნენ, ცხენებს მუხლებს უსინჯავდნენ, იარაღს ასხამდნენ.

ამოძრავდნენ სვანები, ლეჩხუმლები...

იმერეთი იარაღში ჯდებოდა. რაზმი რაზმს ესალმებოდა, იარაღს უსინჯავდა, ბჭობდა.

შეირხა კახეთი, ძველი რაინდი. თოფს ფერავდა დინჯი მსროლელი. ნელია მისი მოძრაობა, მაგრამ მძლეა, ვით გრანიტი, ურყევი, ლოდისებური, დაუნდობელი, მტრის სამარე და გულის რისხვა.

ამხედრდა ქართლი, შუბს დაეძებდა ჯავახეთი.

ქაფით მორისხვაობდა შავი არაგვი.

დორბლით მოისრობდა თეთრი არაგვი.

აბჯარს კვნეტდა ხევსური, ჩაჩქანს იმარჯვებდნენ მთის არწივები, ლუხუმობდა ფშაველი.

საქართველო გაერთიანდა. ყველა კუთხეში აღიმართნენ წითელი დროშები.

— დიდი რუსეთიც ჩვენთანაა! პროლეტარიატი, გლეხობა, ჯარი!..

— მაგრად ამხანაგებო, ქაქივით, ამხანაგებო! დავამხობთ, ამხანაგებო, დავაქცევთ მტარვალებს!

— ბრძოლა დაიწყო... მოსკოვის ბარიკადებზე ზარბაზნები გრიალებენ, სისხლი იღვრება!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

— ქუთაისი განსაცდელშია!

— ტფილისმა ხმალი გაიშიშვლა!

— მებრძოლი ხელი ხმალს იღებს!

— ჩქარა, ნუ დააყოვნებთ!

შმიდტმა შავ ზღვაზე ცეცხლი ააელვარა... „პატიომკინი“ იბრძვის, წითელმა დროშამ დაფარა მთელი რუსეთი!

— ამხანაგებო! ტყვიები, შაშხანები, ყუმბარები, რაზმები, რაზმები, რაზმები!

იბრძვის პროლეტარიატი, იბრძვის გლეხობა.

— რას უცდის გურია? რას შვრება სამეგრელო? სადაა იმერეთი? რად არ მოგრიალებს სვანეთი, ლეჩხუმი? კახეთო, დაიძერ! ქართლო, აღსდექი!

აღმართულ მკლავთა ჩრდილებმა დაფარა საქართველო!

მაინც მოწინავეთა რიგებშია, რაზმის მეთაურია.

ვის არ უნდა წარმტაც მაიასთან ერთად ბრძოლა და სიკვდილი!

„გავიხედე, რას შევხედე, ჩიტი ჭამდა ბაიასო,
გავიქცევი, მოვიტაცებ სალომეს ქალს მაიასო“...

იმღერიან სხვა რაზმები, იმღერის მთელი მაზრა...

დაჰქროდა მაიას რაზმი რევოლუციის ბარიკადებზე.

არაერთხელ ისახელა მან თავი, არაერთხელ დააჩოქა მტერი, მაგრამ დადგა რეაქციის შავი დღეები. მტერი ცეცხლით და მახვილით უსწორდებოდა ხალხს. დამსჯელი რაზმებით აივსო ქვეყანა.

უკუქცეულებმა პირი იბრუნეს, სასიკვდილოდ გამზადებულთ ხსნის იმედი დაუბრუნდათ.

გადაიწვა სახლები, აღიმართა სახრჩობელები, აზუზუნდა ტყვიები, შავად დააღეს პირი საპატიმროებმა...

მაია რევოლუციის მტრებს თავზარს სცემდა, არა ერთი და ორი ენატანია გამოასალმა წუთისოფელს. თავგანწირული იბრძოდა გმირი ქალი. ახლა მას დედაზე ზრუნვაც აღარ აწუხებდა — სალომეს დიდხან არ უცოცხლია იმ უბედური დღის შემდეგ.

მაიას რაზმი კარგა ხნის განმავლობაში სოფლებში თავს ინახავდა. მთავრობამ მაიას რაზმი ყაჩაღების ბრბოდ გამოაცხადა, მაგრამ ნაყაჩაღევი ვერაფერი ნახეს. წელიწადნახევარი გაგრძელდა ამ რაზმის ბრძოლა. მაია ლეგენდარულ გმირად იქცა, მას ვერც ტყვია ერეოდა და ვერც ხმალი. ბოლოს ვერაგულად გასცეს რაზმიცა და მისი მეთაურიც: შუაღამისას ხევში ამოხოცეს ისინი.

მაიას უბეში ახალი ლექსების რვეული ნახეს. ბესიკისადმი, დედისადმი, თავისუფლებისათვის ბრძოლისადმი იყო მიძღვნილი ეს ლექსები. ერთი მათგანი კი ასე მთავრდებოდა:

ამ ჩემს გვირგვინს საქორწილოს
როგორ შავად დაათოვა...

შოთა ბროლიძე

რომანი

I

შოთას მოსვლამ მთელი ოჯახი გააკვირვა. არ მოელოდნენ. სუფრას თავი მიანებეს და ახალმოსულს შემოეხვივნენ.

— ჩამოიღე, ძამიკო, ხურჯინი, აქ მომეცი, — შეეჯიბრებს შოთას და.

— ეს ფუთა რა არის? აქ მომე, შვილო,— ეუბნება დედა. მართა დარწმუნებული იყო, რომ შოთა რაიმეს მოუტანდა. ხელცარიელი არასოდეს არ მოსულა. დები, ძმები, დედ-მამა ყოველთვის გაუხარებია ხოლმე.

— მე თავსაფარს მომიტანდა ჩემი ძამიკო.

— მე ცხვირსახოცს.

— მე გარმონს დამპირდა. ხომ არ დაგავიწყდა? მითხარი, რამ მოგაწყინა? — ჰკითხა ძმამ.

შოთა ხმას არ იღებდა. ყაბალახი მოიხსნა და ლოგინზე მიწვა.

მამამ სანთელი მიანათა.

— შვილო, დაიღალე?

— დავიღალე, მამა.

ყველა სახტად დარჩა, შოთას არაფერი ჩამოუტანია.

— შვილო, ავად ხომ არა ხარ? შემოგევლოს დედაშენი! — მართა სახეში ჩააჩერდა შვილს, თვალი ვერ მოაშორა.

და-ძმანი სულგანაბულნი იდგნენ.

— შოთა, ხმა ამოიღე!

ეჭვი შეეპარათ, ასე დაღლილი როგორ იქნებაო.

— რა დაგემართათ, რამ შეგაშინათ? დაღლილი ადამიანი არ გინახავთ? — თქვა შოთამ და ტახტზე წამოჯდა.

შიში გაიფანტა, ყველამ სული მოითქვა.

— ასე გვითხარი, შვილო, რაზე შეგვაშინე? ხომ არაფერი გტკივა?

— არა, დედა!

— მაშ რაა? რამ მოგშალა ასე?

— დაღლილი ვარ, სხვა რა უნდა იყოს? ხუმრობა ხომ არაა, ათი ვერსი გამოვიარე.

— მანამდე რომ არ იქანცებოდი აგრე? — ჰკითხა უფროსმა დამ.

— დაანებეთ, ადამიანებო, თავი! ხომ ხედავთ, კაცი ოფლადაა გაღვრილი! მოისვენებს და მერე ელაპარაკეთ.

— ღმერთმანი, მიკვირს ამათი საქმე! რად მომჩერებიან აგრე? ცაცო, დაიკო, მოდი ერთი ფეხზე გამხადე... სხვა თქვენ როგორა ხართ, რას შვრებით? — იკითხა ბოლოს შოთამ.

— კარგადა ვართ,შვილო, ჩვენ არაფერი გვიჭირს; ოღონდ შენ იყავ ყოჩაღად.

— ყანები ხომ დათესე, მამაჩემო?

— კი, შვილო, დავთესე.

— წელს ვისი მიწები აიღე?

— ვისიც შარშან მქონდა, გავწმინდე, გავასამოთხე, სხვას როგორ დავანებებდი!

— სხვა, ბიძაჩემისას როგორ არიან? ხომ კარგად? — იკითხა შოთამ.

— რას იზამენ, შვილო, მიათრევენ გაჯახირებულ ცხოვრებას. სხვებს ნუ დაეძებ, შენი ამბავი გვითხარი, რას შვრები, როგორა ხარ?

— კი მაგრამ, ასე რად დაიგვიანე? აღდგომა წავიდა, დღესასწაულები გაპყვა და შენ რაღა ახლა გვეწვიე? რატომ აღდგომას არ მოხვედი? არც არას ითვლეინებოდი, — უთხრა დედამ.

— სიმართლე გითხრა, ჩამოსვლას არც ვაპირებდი, მაგრამ ქარხნის ის განყოფილება, სადაც მე ვმუშაობდი, დროებით დახურეს და წამოსვლის მეტი რა გზა მქონდა!

— უი, ჩვენს დღეს!

— დიდხანს არ გაიღება, შვილო?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი. ამბობენ ოთხი-ხუთი თვე გასტანსო.

— დავღუპულვართ და ესაა!

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო!

ყველა შეწუხდა. უნუგეშო სინამდვილე თვალწინ გადაეშალათ. იმედი გაუცრუვდათ. შვილმა ვერ გაუხარა ოჯახს გული. ყველაზე მეტად უფროსი და კესო შეწუხდა. შოთამ რამდენიმე თვის უკან მოსწერა მამას — კესო უნდა გაათხოვოთ, აგვიანდებაო. კესოსაც იმედი ჰქონდა. მაგრამ, თუ შოთას სამუშაო არა აქვს, რას უნდა გახდეს? რით გაიმზადოს მზითევი?!

„ვინ იცის, იქნებ ცოტაოდენი შემორჩენილი ფული მაინც ჩამოჰყვა“, — ფიქრობდა კესო.

— სხვა მამა, სიმინდი თუ გაქვს?

— აკი შემოგითვალე, შვილო! თვე-ნახევარია რაც ვყიდულობთ და თანაც ძალიან ძვირად.

ერთხანს ორივე დუმდა.

— შვილო, თუ მოგყვა რამე გროშები? თუ მოგცა ღმერთმა? — თითქო დარცხვენილი შეეკითხა ბოლოს მამა.

პასუხის მოლოდინში ყველამ სული განაბა.

— ცხრა თუმანი მოვიტანე, — ძლივს ამოღერღა შოთამ.

„ექვს თუმანს მოვალე წაიღებს. სხვა სიმინდს მოუნდება, ჩემთვის კი არაფერიც არ დარჩება“, — თავიდან გამოქცეული აზრი კესოს გულში ნემსად ჩაერჭო.

მაშ ისევე აქ ყოფნა, დედ-მამის შიში! ყველა ზედმეტ ბარგად თვლის კესოს. მგონი სიძულვილითაც კი უყურებენ ამ ბოლო ხანებში.

— მადლობა ღმერთს, რაც არის, შვილო! ვახშამი ჭამე, ვახშამი, მოშიებული იქნები.

ივახშმეს.

— დაწექი, ძამიკო, მოისვენე, — უთხრა კესომ.

— სად გამიშალე ლოგინი?

— ოთახში.

გიგომ კესოს დაჟინებით და შოთას დახმარებით თავის

ძველებურ სახლს ოთახი მოადგა. აქ ინახავდა კესო თავის მზითევს. აქვე ასვენებდნენ სტუმარს, აქვე უმასპინძლდებოდნენ, თორემ სამზად სახლში ხომ კვამლით აუტირდებოდათ თვალები. კვამლი ტანისამოსსაც გააფუჭებდა. კესოს დედა, მართა, მუდამ ამას სჩიოდა: ერთი ნეტავი წმინდა სახლში დამეწყო ჩემი ნამზითვი საგებ-სახურავი, კვამლისათვის არ შემეჭმია და მერე მოვმკვდარიყავიო. მაგრამ ბედმა ხელი არ შეუწყო. მხოლოდ შვილების წამოზრდის შემდეგ აუსრულდა ნატვრა და უბრალო ფიცრის ოთახი მოადგა სახლს.

აი, ამ ოთახში მოასვენეს შოთა. თეთრყურიანი ბალიში დაუდეს საგანგებოდ. ახალი ზეწარი გადაუფარეს. მის უკეთესს, აბა, ვის დააწვენდნენ ასეთ ლოგინში?

შოთა დასაძინებლად მოემზადა.

— ელენე! — მისდა უნებურად ამოხდა და თან ამოიხვნეშა. მალე მიეძინა.

II

მზე დედამიწას დასთამაშებს. ზეცა უპირლეჩაქოდაა, შუბლგადასარკული ღიმება, აღმოსავლეთისაკენ ლოყები აპილპილებია.

ჭალები ჯერ კიდევ არ მორთულან ლურჯად. სიმინდმა ახლაღა ამოწვერა.

აგერ-აგერ ხნავენ. ესენი „წვრილ ყანას“ თესდნენ: ფეტვს, ღომს.

გიგოც თესავს. შოთა ეხმარება.

— შვილო, რაა რომ სულ ჩაფიქრებული ხარ და სახე არ გიცინის?

— მამა, შენც ნუ დამიწყებ დედაკაცებივით კითხვას!

— კაცო, მა სულ ასე დაღონებული სახე და ხვნეშა? მანამდე რომ არ იცოდი ასე? მიკვირს, ღმერთმანი! პოლიციის ხომ არაფერი შიში გაქვს კიდევ?

— კარგი, მამა, გეუბნები არაფერია-მეთქი!.. დამიჯერე.

„გლახა საქმეში ხომ არ გარეულა? რისთვისაა აგრე აღერღილი? ნათვალავი თუა? ამ საღამოსვე გავგზავნი ჩემს ქალებს სიდონიასთან, ნათვალევის წამალს მოვატანინებ.

გაბრიელსაც დავითს დავაბრუნებინებ“, — ფიქრობდა გიგო.

— მამა, წყალგალმა გავალ. ყანას დავათვალიერებ.

— წადი, შვილო! წადი, არაფერი მოგეწიოს. . .

— რა უნდა მომეწიოს?

შოთამ მიწით აუვსო თოხს პირი და ისე დაასო.

მიდის. მამა მისჩერებია.

„რად უნდა ყანას დათვალიერება? მე ხომ გუშინ ვნახე! მაგრამ წავიდეს, იქნება გული გადააყოლოს. მდინარის ნახვა ეამება“.

შოთა რიყეზე გავიდა. იქაურობა სილით და კენჭებითაა დაფარული. გავლა უძნელდება, ქვებზე ფეხი უცდება.

წყლიანი სილა ,მდინარე, შხუილი, ქვებზე ჩხრიალი, ნაპირების კოცნა.

შოთას თვალწინ დაუდგა აქ გატარებული ბავშვობა. რამდენჯერ საქონელი უძოვებია, უბანავებია, მდინარისაგან ჩამოტანილ შეშის მოგროვებაში მამას მიხმარებია, თევზები უჭერია: ანკესით, ბადით, წყლის დაშრობით.

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ!

ფრთხიალა ჩიტი... უზრუნველი, უდარდელი...

ახლა კი?!. ელენე, ელენე...

ტკბილი მოგონებანი მსწრაფლ ჩაუმწარდა.

ყანას მხოლოდ ცალი თვალით გადახედა. მოლზე წამოწვა და ფიქრს მიეცა.

„ღმერთო, რა მემართება? რამ დამიშალა ეს სხეული? გული მიღონდება, უელენოდ სიცოცხლე არ მინდა. ელენე, ელენე! რად მომკალ, რისთვის გადამიჭერი ცხოვრების ძარღვი? ჩემო პირველო სიყვარულო! ჩემო უმანკო გრძნობავ! განგმირული ხარ, განგმირული! მერე რისთვის?

შოთა წამოჯდა. ვერ დააცხრო აზვირთებული გული.

„რა ვარ, რის მაქნისი? ნუთუ პირადი ბედნიერება არ მიწერია“?..

III

ზეცა მიწას რძეს აწურავს. წვეთები ხავერდის მოლს ეჟღურტულებიან, ცის ამბებს უამბობენ. მოლიც ყურებაცქვეტილი უსმენს.

ზეცა შეზანზარდა. გადაიგრუხუნა.

— ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს!

— მიქელ გაბრიელო, დამიცავ!

სხვებთან ერთად გიგომაც გადაიწერა პირჯვარი და დაბალ, სამფეხა სკამზე წამომჯდარმა მუშაობა განაგრძო. გოდორს წნავდა. წვიმაში დამბალ ტკეჩებს კი შოთა თელიდა. კესოც იქვე იყო, კედელთან მიმჯდარი მატყლს ართავდა. ბავშვები ღვარში იწკუმპლებოდნენ. კესოს გვერდით გალუმპული ხბო ატუზულიყო და ყბებს უგემურად აღრაჭუნებდა.

ფეხშიშველა მართა წვიმას გამოექცა. დერეფანში შემოირბინა.

— მოიტანე? — ჰკითხა გიგომ.

— მოვიტანე,—ჩუმად ჩაილაპარაკა მართამ.

— რა უნდა მოგეტანა, დედა?—შეეკითხა შოთა.

—ნათვალეევის წამალი.

— ვისთვის?

— შენთვის. შენ ვერც კი ატყობ შენს თავს და ახლა ჩვენიც იკითხე, ჩვენ გული გვიკვდება. ეგება ნათვალეევია, ვინ იცის? აღერღილი კი ხარ და, აბა, რის ბრალია?—მიუგო მართამ და ავგაროზი ამოიღო. პატარა სამკუთხად გამოკრული ტყავი იყო, ზედ ზონარი ება.

— დედაჩემო, თუ ღმერთი გწამს, ახლავე უკანვე წაუღე და ფული უკან გამოართვი!

— შვილო, რას ამბობ? ავი თვალიდან დაგიფარავს, ფათერაკს აგაშორებს!

— ისა სჯობია, არ მაწყენინო, დედა! ახლავე უკანვე წაიღე და ფული გამოართვი. თან უთხარი, ხალხს ნუ ატყუებ და ნუ სძარცვავ-თქო, თორემ...

— ღმერთო, მომკალი! — მართამ ლოყაზე ხელი იტკიცა.

— ქვეყანა ამას ხმარობს და შენ რა შეიქენი? ღმერთს ნუ გმობ!...

— მამაჩემო, შენც ნუ აჰყოლიხარ სისულელეს. . .

— აგწია ეშმაკმა? რა გიზის მხარში? მთელ ქვეყანას სწამს და შენ არ გინდა იწამო? აბა, არც მწარე ბლის ჯვარს ჰქონია ძალა, არც ცხენის თავს. . .

დედამ ჭიშკრისკენ გაიხედა. სარზე ჩამოშავებული ცხენის თავის ძვლები ეკიდა.

— სისულელეა ყველაფერი.

— აბა, დავითნის დაბრუნებაც სისულელე ყოფილა?

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს საუბარი, კოწია რომ არ მოსულიყო.

— გამარჯობა, თქვენი, გამარჯობა! უჰ, როგორ დავსველდი!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! ... რაღაც, შენი წაღები, მგონი, ჰკოცნიან მიწას! ერთობ ჭყაპაჭყუპი გააქვთ ...—შენიშნა გიგომ ღიმილით.

— აბა, დამეხა ეს ოხრები, წყალი შემდის,—თქვა კოწიამ და სხვების სიცილს თავისიც შეურია.

კესომ სკამი მოართვა.

მოიკითხეს ერთმანეთი, მასპინძელმა, სტუმარმა.

— სხვა, შოთა, გაზეთებში წაიკითხე ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ....

— ხო, წაიკითხავდით, წიგნები მოვაგროვეთ. ფულიც კი შემოგვაწიეს,—უპასუხა შოთამ.

— ძალიან კარგი, დიდი მადლობელი ვართ შენი და სხვა ამხანაგებისაც.

— წიგნები თან მოვიტანე... ფულიც... და ჩაიბარეთ. გამგე შენა ხარ, არა?

— მე ვარ.

შოთამ ორმოცზე მეტი ქართული წიგნი გამოიტანა და კოწიას გადასცა. ფულიც იყო ოც მანეთამდე.

— შემომწირველების სია იცით, ალბათ, გაზეთში იყო.

— დიახ... აგაშენათ ღმერთმა! ეს ფული სწორედ სულზე მოესწრო ჩვენს ბიბლიოთეკას! დიდი მადლობელი ვართ. მართლა... კინაღამ დამავიწყდა! შოთა, კვირას სოფელში ყრილობაა, ქსენონის შესახებ უნდა მოვილაპარაკოთ და, რასაკვირველია, მოხვალ.

— კიდევ არ დაანებეთ თავი იმ ქსენონს? სანამ არ დაგვახრჩობთ, არ მოგვშორდებით, გაგვაძვრეთ ბარემ ტყავი და ისაა,—შენიშნა გიგომ.

— გიგო, ჭკვიანი კაცი ხარ და მაგრე ნუ იტყვი. საქმეს უნდა დაუკვირდე და ისე...

— რას დავუკვირდე, ძმაო? ვერ მხედავ, პერანგი არ მაცვია?

— შენ რა გიჭირს, მოსწრებული შვილი გყავს!

— შვილი! აბა, ჰკითხე რა შესძინა ოჯახს? მერე კიდევ აგერ რო ბოქაული მიზის, არ ხედავ? — თქვა გიგომ და კესოზე მიუთითა. ყველას გაეცინა. კესომ კი შუბლი შეუმუხნა, გაწითლდა და რაღაც წაიბუტბუტა.

კოწია წავიდა.

— ამისთანებზე ხარ კიდევ გადაყოლილი, არა? ციხეში ჯდომამ ვერ მოგთოკა? ჯერ ქალაქიდან რა ამბები არ ჩამოაქვთ შენი და აქაც არ იშლი? არაფერი გამოვა, შვილო, ტყუილა ცდები, ქვეყანას ვერ გაასწორებ, თორემ მე რა!"

— ეს ჩემი საქმეა, მამაჩემო!

— როგორ თუ შენი საქმეა? ჩვენ რას გვიპირებ? შენი თავის მეტი არავინა გეყავს? ან ის კიდევ... რაღაცეები რომ დაგიწერია გაზეთში? რა შენი საქმეა? ვინ მამიშენის შვილი და ვინ გაზეთი?

შოთა ოთახში შევიდა. ლოგინზე წამოწვა.

IV

სოფლის კანცელარიის ეზოში ჯერ რამდენიმე გლეხი შეკრებილა. აივნის ჩამპალი იატაკი გულშეღამებული წუწკუნებდა ფეხის ყოველ გადადგმაზე. კიდეც იბრალებდნენ გლეხები, ფეხს არიდებდნენ.

არც კედელი იყო უკეთეს მდგომარეობაში: გვერდები სულ შემპალი ჰქონდა, ნახევარზე მეტ ფანჯრებში მინები ჩამტვრეული და ქაღალდებაგლესილი იყო.

წინა კედელსღა ედგა სული და ისიც ჩამონახევი განცხადებებით აჭრელებულიყო. მერე რა ენაზე დაწერილი განცხადებებით? ქართული, რუსული, ყველაფერი არეული, დამწერის მეტი ვერც წაიკითხავდა და ვერც გაიგებდა.

— ბესო, იცი რაზეა დღეს ყრილობა?

ბესომ დაკოჟრილ ხელისგულზე ყალიონი დაიბერტყა.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი! მათი ნება არაა? რაზედაც უნდათ, იმაზე გვალაპარაკებენ.

— ნეტა რას გვაცდენენ ამ გახურებულ მუშაობის დროს, ღმერთი არა სწამთ?...

— ღმერთიც მათი მოგონილი შეიქნა და ხატიც. რაც უნდათ, იმას ათქმევინებენ... ასეა, ჩემო თათაოზ, საწყალი კაცისათვის არც ღმერთია და არც ხატი....

ბესომ ყალიონის წევა განაგრძო.

გამოტეხილ ფანჯარაში მწერალმა გამოჰყო თავი.

— აა, ბესო! რავაა ის შენი მეზობელი ქვრივი?! რას შვება?

ბესომ ღრეჭით მოხედა.

— რა იყო, რა გაცინებს?—შეეკითხა იქვე მდგომი ჩაფარი და იმანაც ჩაიცინა.

— იმ ქალს თქვენ რაღაც გლახად აუტყდით და არ ვიცი, როგორ იქნება საქმე.

— როგორ უნდა იქნეს, ბესოჯან?

— ფრთხილად, ფრთხილად, თვარა ფეხს წაიკრავთ! ვერც ჩაფრობა გიშველით და ვერც მწერლობა.

— ვხუმრობ, შე კაცო, თორემ...

— ამბობენ, ჩვენებური მასხრობა ნახევრად მართალიაო.

ხალხი გროვდებოდა. შემოუღობავი ეზო თანდათან ივსებოდა.

აქეთ-იქეთ ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა.

— როსტომ ჩემო! ერთი საყალიონე თუთუნი მომიჭერი, თუ კაცი ხარ!

როსტომმა სარტყლიდან ქისა გამოიძრო, ამოიღო თუთუნი და დაბლაგული დანით დაუწყო ჭრა, მონაჭერს ხელისგულზე იყრიდა. პეტრე სახეგაცინებული მისჩერებოდა და გულის მოსაგებად ეკითხებოდა:

— სხვა, ჩემო როსტომ, ყანების მარგვლა თუ დაათავე?

— ცოტა მიკლია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მარჯვე კაცი ხარ! ბავშვი გყოლია ავად, ხო კარგად გყავს ახლა?

ყველაფრიდან ჩანდა, რომ პეტრეს ამ კითხვების პასუხი არ აინტერესებდა. იმიტომ დაუტკბა როსტომს, რომ თუთუნით გამასპინძლებოდა მას. განა ეს როსტომმაც არ იცოდა? მაგრამ როგორ უსაყვედურებდა?

— რაო, რაო? შეგირიგდე? ვინ მოგახსენა? — გესლიანად ეკითხებოდა მეორე ადგილას ერთი გლეხი მეზობელს.

— შეგირიგდები კი არა, ღდინში ჩაგყვები!.. გიცნობ რა შვილიც ხარ! ატყობ, რომ სასამართლოში წააგებ და იმისთვის მეხმატკბილები, არა? ვერ მოგართვეს! შენი ჯავრი კი მაქვს, სხვა თუ არა! გახსოვს შარშანწინდელი ამბავი? ეს ულეაში არ მებას, თუ მუხლებზე არ გაკოცნინო!

— კაცო, გარიგდით, ასე არ შეიძლება! სულ მტრობა და უბედურება ვის გაუგონია? გადაკოცნეთ ერთმანეთი და აგერ, დუქანს ხედავთ? მივიდეთ და ყელი ჩავილბოთ!—სცადა ვიღაცამ მათი შერიგება.

— შენ რა გენაღვლება? შენ ჩაცეცხვლის დალალი ხარ და არა შერიგების!...

— რა ვქნა, მე სიბერე გაძაღლებულმა, რა?

ახლა შავებში ჩაცმულმა ქალმა დაიწყო:

— რაზე გამიხადა ჩემი დღეი სატირლად დალოცვილმა ღმერთმა? დაელოცა იმ ხელმწიფესაც სამართალი! რას მერჩის მე საწყალს, ოხერს? ყველას თავს ვაზარებ, ყველას ვაწუხებ... ერთი შვილი მყავდა, მისი იმედით მენთო ცეცხლი და ისიც ციხეში მილპება. ღვთისაგან რომ ამეტებული ვიყავი, ეს კი ვიცოდი, მარა, თუ კაციც ასე მომიძულებდა, როგორ ვიფიქრებდი?..

— ნუ გეშინია, ჩემო დუდუხან, ნუ! ღმერთია მოწყალე!

— ჩემს გაჩენაში ღმერთი არ ურევია, არა!

— რას იზამ?! ჭირს გაძლება უნდაო, ხომ გაგიგონია?! განა მარტო შენ ხარ მაგ დღეში?

— იმედი ნუ მოგიშალოს გამჩენმა!—დალოცა დუდუხანმა.

— ახლაც იმიტომ წამოვედი მე მალე დასამიწებელი, რომ ეგება ბოქაული იქნეს და ხალხს შევთხოვ პრიგოული დაადგინონ. ეგება გამოუშვან... ხალხის სიტყვას დაიჯერებენ.

კანცელარიის ეზო ხალხით აივსო. მამასახლისი ჯერ არ ჩანდა. მწერალი გამალებული აფხაკუნებდა კალამს. ზოგს წერილს უწერდა, ზოგს მისამართს, ზოგს კიდევ რაღაც ასლებს. თანაც ცალი თვალი იქითკენ ეჭირა, ვინ რამდენს მომცემსო.

— გიგოს გაუმარჯოს, გიგოს!

— გაგიმარჯოს, ჩემო გაბრიელ, ღმერთმა გაცოცხლოს!

დაბალი, ჩასკვნილი, გაჭაღარავებული გიგო ხმამაღლა მიესალმა გაბრიელს. სიბერისა და მუშაობისაგან დაჯღარკული ხელი მაგრად ჩამოართვა.

—რას შვები, ჩემო გიგო, როგორა ხარ? სიბერემ ხომ არ გიწია?

— გმადლობ, ჩემო გაბრიელ, გმადლობ! არც დიდი გზა აქვს ჩემამდი სიბერეს, ამ ბოლო ხანებში ვატყობ, რომ ძაან მომიახლოვდა, თვალსაც მაკლდება, ყურსაც.

— თვალის ტკივილის წამალი მოდი, ძმაო, და წაიღე რამდენიც გინდა, ჩემი დედაკაცი მაგის მეტს რას მიკეთებს!

— მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე, მაგრამ, ვითომ მიშველის? დავბერდი, დავბერდი, გაბრიელ ჩემო, აღარც თვალი მიჭრის და აღარც მუხლი...

— სხვა, გავიგე, შენი ვაჟი მოსულა ქალაქიდან. მენატრება მისი ნახვა. შოთა რომ დაგარქმევინე, შოთა, გახსოვს? ხა... ხა!.. შოთა რუსთაველი იქნება-თქვა, რომ გითხარი. ერთი მაჩვენა ნეტავი, ჭკვიანიაო, გავიგე... ეს ვიცი... აქებენ. მაგრამ ეს მითხარი, თუ გიყვარდე, ფული თუ მოგიტანა რამე? ჭკვიანობა ამაში გამოჩნდება.

— რამდენიც კი შეუძლია, მეხმარება, ბიჯგად უდგია ოჯახს.

— აგაშენა ღმერთმა! ერთი ვნახო, სადაა?

— ახლა აქ იყო, მის ტოლებს ელაპარაკებოდა.

შოთას ძებნა დაუწყეს. ის კი სოფლის ხალხს ქალაქის ამბებს მოუთხრობდა.

— ადგილის შოვნა ახლა ქარხანაში ძალიან ძნელია. მეტსაც გეტყვით: შეუძლებელია. აუარებელი უმუშევარია ქალაქში, პირდაპირ შიმშილით იხოცებიან.

— აბა, რა უნდა ვქნათ სოფელში?! არაფერი შემოსავალი არაა: ვჩიჩქნე ეს მიწა, ვჩიჩქნე და მაინც არაფერი გამოვიდა!

— რას იზამ... სულ ასე არ იქნება, კრიზისი გაივლის.

— სხვა, შოთა, როგორაა ახალთაობის საქმე? რას ამბო-

ბენ ქალაქში? რას ფიქრობენ მუშები? ხომ არ მიყუჩებულა საქმე? — ჰკითხა ერთმა და ყველა სმენად იქცა.

— მაგ საქმის მიყუჩება არაა ადვილი, ჩემო ელიზბარ, — წყნარად უთხრა შოთამ, — კიდევაც რომ ხელი ავიღოთ, ცხოვრების განვითარება და წინსვლა მაინც წამოაყენებს მაგ საქმეს. ასე ყოფილა ყველგან და ასე იქნება ჩვენშიაც.

— ეს კი, მარა თუ აკეთებენ მაინც რამეს? რა გზას ადგია მუშა ხალხი?

— რეაქციის მიზანი იყო ხალხის დაქსაქსვა, ერთობის დაშლა, ყოველგვარი კავშირისა და ორგანიზაციის დარღვევა. ასეთი იყო მთავრობის მიზანი და უნდა გითხრათ, ეს მიზანი თითქმის მიღწეულია. აისრულა მთავრობამ ის, რაც უნდოდა. ერთი სიტყვით, შენობა კი დაგვინგრიეს, მაგრამ ის აგური, შენობას რომ ვაგებდით, იქვე ყრია. მართალია, ბევრი დაგვეკარგა, მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი კიდევ იქ არის, ძველი შენობის საძირკველთან, მინგრეულ-მონგრეულია და ახალ კალატოზს ელის, უფრო სანდოს, უფრო გამოცდილს, რომელიც გაცილებით მკვიდრად ააგებს ახალ შენობას და...

— გვყავს კი ეს კალატოზი? ან თუ მუშაობს ახლა?

— გვყავს. მუშა ხალხია. მას ბედნიერების კოშკი დაუქციეს, მაგრამ მაინც ააგებს. მართალია, ჯერ არა ჩანს, მაგრამ დადგება დრო და ეს შენობა საქვეყნოდ გამოჩნდება.

შოთამ კიდევ დიდხანს ილაპარაკა. ყველას გული იმედით აავსო.

— გამარჯობა, თქვენი, აფხანაკებო, გამარჯობა! — გიჟივით წამოიყვირა ვილაცამ და უცებ ჯგუფში შეიჭრა.

მაღალი იყო, წვრილი, გაუხედნელი მოზვერივით ფრთხებოდა. ზურგზე ახალუხი გადაფხრეწოდა, წუღებიდან თითები იჭვრიტებოდნენ.

— ოო, პოლიტიკურა, პოლიტიკურა!

— პოლიტიკურას გაუმარჯოს! პოლიტიკურას!

გაისმა ირგვლივ. ატყდა სიცილიც.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! გამარჯობა შენი! ზრასტი!

ეს პოლიტიკურა ერთი დოყლაპია ვინმე იყო. ერთხელ ვილაცა ქალაქში ჩაუძღვა. იქ დაიკარგა, გზა ვერ გაიგნო. პასპორტი არ ჰქონდა, ციხეში მიაბრძანეს. შემდეგ თავის სო-

ფელში მოიყვანეს ეტაპით, როცა სოფლელებმა ჰკითხეს, რად დაგიჭირესო, თავმომწონედა თქვა: პოლიტიკური დანაშაული ჩავიდინე და იმისთვისო და ამის შემდეგ დაერქვა პოლიტიკურა.

V

— მოდის, მამასახლისი მოდის!

— სიკო ალიხანოვიც თან მოსდევს.

— მორჩენილან დუქანში ხეთქვას.

თანაშემწეებით გარშემორტყმული, რუმბიევით გასიებული მამასახლისი მათრახის თამაშით ამაყად მოაბიჯებდა. თოფიანი ჩაფრებიც გვერდს უმშვენებდნენ.

— უფალ მამასახლისს გამარჯობა!

— მამასახლისს სიცოცხლე!

ქუდის მოხდით ესალმებოდნენ, ზოგიერთი კი გვერდს უქცევდა, ვითომ ვერ ვამჩნევო.

მამასახლისი პასუხად მხოლოდ ტუჩებს აჩიფჩიფებდა.

— სიკოს არ უნდა სალამი?

— იწყენს... დაგვემდურება ჩვენი ალიხანოვი.

ალიხანოვი მამასახლისის უერთგულესი თანაშემწე იყო. ძალიან მკაცრი და მთავრობის მოყვარული. წინათ ხელოსანი იყო. შემდეგ იმდენი ეცადა, რომ ნაცვლობა იშოვა და ახლა მამასახლისობისკენაც კი იცქირება. მუდამ ერთგული იყო, და აკი გენერალ ალიხანოვის სახელიც მიიღო. არავის არ დაინდობდა. ენატანიობაშიც მარჯვე გახლდათ.

ყრილობა დაიწყო. ბევრი ილაპარაკეს სხვადასხვა საქმეებზე. ჯერ ილაპარაკა მასწავლებელმა, მერე ახალგაზრდა მღვდელმა.

ხალხი გრიალებდა.

ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები.

უარობდნენ, ეთანხმებოდნენ.

მამასახლისი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა, განკარგულებებს იძლეოდა, იმუქრებოდა.

ილაპარაკა შოთამაც. ვიღაცას არ ეამა მისი სიტყვები. დაემუქრა მამასახლისი, ჩაფრებმაც ყურადღება მიაქციეს.

— უმჯობესია თავი მოარიდო! — ურჩიეს შოთას.

შოთა შინისაკენ წავიდა, გულში კი ალი უტრიალებდა: „რად მოვედი აქ? რა მინდოდა? ვყოფილიყავი შინ! იქნებ იქ უფრო გამქარვებოდა დარდი! როგორ იქცევიან ეს მედროვენი! როგორ პარპაშებენ!“

თვალწინ ელენე დაეხატა. სულ მოიშხამა.

სწორედ გასული თვის ეს რიცხვი იყო, რომ უთხრა ელენემ. ერთი თვეა, რაც ეს მოგონება შხამავს შოთას. მას შემდეგ შოთასთვის ბნელა. ბრწყინვალე მწვერვალიდან უფსკრულში ჩაისროლეს.

— ღმერთო ჩემო! — მისდა უნებურად წამოსცდა შოთას.

შინისკენ მიდის.

ხალხის აყალმაყალმა რაღაცეები მოაგონა. გაახსენდა, რა თავგადადებული იყო, როცა ჭრელ ბრბოს რაიმე კარგ საქმეში ვერ დაითანხმებდა; თვალთაგან ნაპერწკალს ჰყრიდა, ცეცხლად აინთებოდა ხოლმე. ახლა კი?

* * *

— შვილო, მამაშენი სადღა არის? ყრილობა დამთავრდა?

— არა.

— აბა, შენ რაზე წამოდი ასე მალე? ხომ არაფერი გტკივა? მოგიკვდა დედაშენი, კაცის ფერი არა გაქ, შვილო!..

— არა, დედა, ისე წამოვედი.

— შოთა, შენ არა ხარ კარგად, ასე არასოდეს ყოფილხარ. არ დაგვიცსო, შვილო, თვალი! ჩვენი ანთებული სანთელი შენა ხარ, მზე და მთვარე შენზე ამოგვდის!

— კარგი, დედაჩემო, ნუ სწუხარ, არაფერი მიშავს.

— რავა არ გიშავს, შვილო! დღეში კვერცხის ოდენას არ ჭამ; სულ ოხრავ, ჩაფიქრებული ხარ.

მართა დატკბა, ალერსს უმატა, მიუახლოვდა.

— შვილო, იმას თუ დარდობ, რომ ზავოდში არ ვარო, ძალიან სიგლახე მოგსვლია! რა ეუყოთ მერე? ცოცხალი კაცისათვის ქვეყანა გაშლილია. ვაუკაცი კაცი ხარ, რა გიჭირს, გზას ვერ გაიგნებ? ღარიბი კი ვართ, მარა ცოცხალი ვიყოთ, კარგად ვიყოთ და რა გვიშავს? ასე რავა უნდა დაძაბუნდე კა-

ცი? ოღონდ კარგად იყავი და ფულს ყოველთვის იშოვი. გულს ნუ გეიტეხ, დედა, თვარა შენს გამო ჩვენც ვიხოცებით.

„ასე არასოდეს არ დავუიმედებივარ საწყალ დედას, — ფიქრობდა შოთა, — ემჩნეოდა, რომ იმედი ნაძალევი იყო; ვითომ მამხნევებდა, გულში კი სულ სხვა ედო... დედა!.. ჩემო საყვარელო, დედა... დედას შვილის ტრფობა სამარეშიც თან ჩაჰყვებაო, — აკაკის უთქვამს. ვუყვარვარ მხოლოდ იმას, მხოლოდ იმას, ერთადერთს მთელ ქვეყანაზე, ერთადერთს!.. ელენე!.. შენ რად არ შემიყვარე? რად?!“

შოთა ჩრდილში წამოწვა და ისევ ფიქრს მიეცა: „რისთვის არის ადამიანი გაჩენილი? რა უნდა? რას ეძიებს? თუ ასე მალე შეიძლება მისი გაუბედურება, მოშლა, მოწყვეტა, მაშ რად ეძახიან ქმნილებათა გვირგვინს, ქვეყნის ბატონს? იბადება, ცხოვრობს, კვდება. მერე რა? მოკვდეს. საიდანღაც მოსულა და სადღაცვე წავიდეს. შეუმჩნევლად იყო და შეუმჩნევლადვე იქცეს. რას მიედ-მოედება, რას ეპოტინება? ბედნიერებას ვეძებო, — ამბობს, რა არის ეს ბედნიერება, რაში გამოიხატება იგი?“. დიდხანს ფიქრობდა. ბოლოს წამოდგა. შავ ფიქრთა ბადე ჩამოშორდა. თავი სტკიოდა. მზის სინათლეს თვალს ვერ უსწორებდა.

— ცაცო, გენაცვალე! ერთი წყალი დამალევინე. ახალი წყალი ამოიღე ჭიდან!

ცაცომ თვალის დახამხამებაში მოუტანა ცივი წყალი.

— ფეხზე გაგხდი, ცხელა, ძამიკო.

— გამხადე. გაიზარდე კარგი ქალი! წყალმა გული გადამიწმინდა, გამაგრილა.

— გაიხსენი ახალუხის საყელო, სულ ოფლადა ხარ ქცეული. თუ გეძინება, მუთაქას მოგიტან...

დამ მუთაქა მოუტანა. შოთა კვლავ ფიქრს მიეცა: „შემეძლოს მაინც ვისმე ვუთხრა ჩემი გულისნადები, ან დედას, ან მამას, ან დას? ენა გულის ცოცხიაო, გამიგონია... მაგრამ გამიგებენ კი, მიმიხვდებიან, რომ ვთქვა? არა, არა... ისევ გულით უნდა ვატარო ჩემი საიდუმლო.. მე... მე... ელენე! ნუთუ ელენე სხვისი უნდა იქნეს?.. სხვამ ინეტაროს მასთან?.. სხვამ ჩაიკრას გულში? არა, ეს შეუძლებელია!.. ელენე მე მეკუთვნის, მე!.. ჩემი უნდა იქნეს და არა სხვისი!.. როგორ, ის

ელენე, რომელიც ამდენი ხნის ჩემი მეგობარი იყო, რომელსაც ჩემს მეტი მეგობარი არ ჰყოლია... აი, ეს ელენე სხვისი უნდა იქნეს? სხვას უნდა უმეგობროს? სხვას უნდა შესცინოს? სხვას გადაუშალოს თავისი უმანკო და წრფელი გული? არა! ან იქნება მატყუებდა? არა, ეგ შეუძლებელია, ცილისწამებაა. ელენე მუდამ გულახდილი იყო, არასოდეს ტყუილი არ უთქვამს!.. მე უნდა ვიქნე მარტო მისი სამუდამო მეგობარი, მე!.. და არა სხვა ვინმე!..“

VI

ქვეყანამ შავი ჩადრი წაიფარა. აგრილდა. ბნელეთის შიშით მცენარენი ცრემლებს ღვრიდნენ.

— შოთა! ეი, შოთა!

— ბატონო!

— შოთა შინ არის?

— გახლავს.

— ერთი მოვიდეს აქ!

— ვინ ბრძანდებით?

— მე ვარ, კოწია.

— აქეთ ჩამოდი, რაღა იქედან იძახი? — გამოეხმაურა შოთა.

— არ მცალია.

შოთა მივიდა.

— კაცო, მამაშენმა დაგვღუპა დღეს და ისაა!

— რაშია საქმე?

— პირდაპირ დაგვკლა, ძმაო! გაკეთებული საქმე ჩაგვიფუშა!

— როგორ, რაფერად?!

— ის იყო შევასმინეთ ხალხს ყველაფერი, გვეთანხმებოდნენ და ამ დროს წამოდგა მამაშენი და ისეთი რამეები ილაპარაკა, რომ შენი მტერი, ყველაფერი დაგვინგრია; ეს მორჯულებული ხალხი სულ თავისკენ გადაიბირა და ცარიელზე დაგვტოვა. მერე შენ გეძებდით პასუხის გასაცემად, მაგრამ შენ წამოსული შეიქენი.

— დიახ, იმ მხეც მამასახლისს მოვერიდე, — თქვა შოთამ.

— ერთი სიტყვით, ამას მამაშენისგან არ მოველოდით. თუ კაცი ხარ, ეგება რამე გაგივიდეს, რამე შეასმინო, `თვარა...: სად არის ახლა?

შერცხვა შოთას, მიწა რომ გასკდომოდა ის ერჩია.

— ჯერ კიდევ არ მოსულა ყრილობიდან, შემოთვალა, სადღაც წავედიო. სადაც იქნება მოვა და რაც გამივა...

— თუ ძმა ხარ, ყველანი ასე გთხოვენ, განგებ გამომაგზავნეს. მერე რა გატაცებულად ილაპარაკა, იცი? გაკვირდა ყველა.

— აჰა, მგონი კიდეც მოდის.

ბნელში რამდენიმე აჩრდილი შენიშნეს.

— ეი, ვინ ხართ?

— შენ, გიგო? — შეეკითხა კოწია.

— მე ვარ.

— ესენი ვინ არიან, მამა?

— ვინ იქნება? სოლომანე და თედორეა.

— გამარჯობა თქვენი!

ყველანი ჭიშკართან მოგროვდნენ.

— სხვა, გიგო ჩემო, დღეს რა გვიქენი, კაცო, როგორ მოგვიშალე ეს აწყობილი საქმე? — შეეკითხა კოწია.

— რაო? რა თქვი? თუ ისე ადვილად დასაფუშავი იყო თქვენი ნაცოდვილევი, დაგეფუშებოდათ, არ იცოდით?

— გაკეთებული გვქონდა და შენ დაგვიქციე.

— რა საქმესაც ჩემისთანა პატარა კაცი დააქცევს, იმისთანა საქმის გაკეთება არც კი ღირს, იქ ძალაც არ უნდა დახარჯო.

ყველას გაეცინა.

— არა, ხუმრობა იქით იყოს. ჩემო გიგო, და ძალიან ცუდად მოიქეცი, შენგან სწორედ, არ მოველოდით, ყოველთვის ჭკვიანი კაცი იყავი, აზრიანს ამბობდი, ყველა გეთანხმებოდა.

— უჭკუო რო მეთქვა, არც ახლა დამეთანხმებოდნენ.

— მამა, აბა, რას ამბობ? უჭკო გითქვამს, მაშ რაა? ქსენონის დაარსების წინააღმდეგ განა რისამე თქმა შეიძლება?

— ვინ მოგახსენა, რომ ეს ვთქვი? მე ქსენონის წინააღმდეგი არა ვარ, მარა საქმე ისაა, რომ არ შეგვიძლია, ტყავი

გვაქვს გამძვრალი. კაცო, არ გინდათ გაგვიგო ავი და კაი? სად გაიზარდეთ? ზეციდან ხომ არ ჩამოფრენილხართ? არ იცით ჩვენი გლეხკაცის ავლა-დიდება? ერთი შეიხედეთ თქვენ სახლებში? მითხარით, აბა, რომელი ხართ მდიდარი, რომელს არ გიჭირს? მიკვირს, ღმერთმანი! გამოადინე ქვას წყალი! აბა, ჰე!

— ჩემო გიგო, შენ მართალს ამბობ, მარა, ახლა მეორე მხრითაც შეხედე საქმეს. ხომ ხედავ რამდენი ავადმყოფობაა სოფლად? რამდენი ფული მიდის ექიმზე, წამალზე? აქ ჩვენი გვექნება...

— მუქთად მომცემენ თუ?..

— მუქთად თუ არ იქნება, დაკლებულ ფასში მაინც იყიდი.

— კაი, თუ ღმერთი გწამს! პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გააძვრესო! დღეს სული უნდა ამოვიწვადო, რომ გაისად მიაქიმონ? არ მინდა! არ შემიძლია, ვინც ავად გახდება, თვითონ მოუაროს თავის თავს. რაც უნდა ის ქნას, მე სხვა კი არა, ჩემი თავი ვერ მირჩენია, დღე და ღამე წელებზე ფეხს ვიდგამ და კუჭი მაინც ვერ გამიძღია, ცოლ-შვილი ვერ შემიმოსავს... გაიგეთ, რომ წელში ვართ გაწყვეტილი! მარტო სიმინდის ყიდვას ვერ გავუძელი ყოველ წელიწადს. ისიც გვეყოფა, ძალით რომ გვახდევინებენ და გვთხრიან, თვარა ჩემი ნებით დავიდგა კიდევ გადასახადი? მე არ შემიძლია და სხვისი რა მოგახსენო. რაც უნდა, ის გაიკეთონ, მე კი თავი დამანებონ! — ამ სიტყვებით გიგომ სახლს მიაშურა.

— რა ვქნათ, ჩვენი სასარგებლო რაც არის კი ვხვდებით, მარა რომ არ შეგვიძლია... შეძლება რომ არა გვაქვს? — თქვა თედორემ.

— თუ მოვინდომებთ და შევიგნებთ, რა სარგებლობაც მოგველის...

წასვლისას კოწიამ კიდევ შეახსენა შოთას, იქნებ მოარჯულო მამაშენიო.

„მართალია მამაჩემი, — ფიქრობდა შოთა, — უჭირს და იმიტომაა გამწარებული. გაძაღლებული აქვს სიცოცხლე, თავის დღეში სიამე არ უნახავს, ბედნიერება არ უგრძვნია, მე მის შვილს კი შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი? უბედუ-

რის შვილი უბედური უნდა იქნეს. საშინელი რამაა ცხოვრება! ზოგისთვის დედინაცვალი, ზოგისთვის კი ღვიძლი დედა. საწყალო მამავ! შენ მართალი ხარ. ვერასოდეს ვერ იგრძნობ ბედნიერებას, ვერ გაიხარებ. ისე ვარ მეც, შენი ღვიძლი შვილი. ბედნიერება მსურდა, მაგრამ განა მაშვრალის კერაში აღზრდილს აქვს კი ბედნიერების უფლება? არა, მამა, არა! მშრომელი მუდამ ტანჯული ყოფილა. ასე ხარ შენც, ასე ვარ მეც. ჩვენთვის ბედნიერება არაა ქვეყანაზე... ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე არ ჰქვია, სატანჯავად ვართ გაჩენილი... განა კი ღირს ცხოვრება? უმიზნოთ ტანჯვა? ერთი მითხარით, რაა ჩვენი არსებობის მიზანი? რისთვის არსებობს, ვთქვათ, მამაჩემი? მხოლოდ იმისათვის, რომ მიწა თოხნოს, ნახევარჯერ მშიერი იყოს და შემდეგ კი ძაღლურად მოეღოს ბოლო? ახ, რა საშინელია ცხოვრება! შხამ-სამსალით სავსე!"

შოთა კარგა ხანს უაზროდ იყო გარინდებული. მოაგონდა კოწიას საყვედურის კილო, მამის ნალაპარაკევი.

„როგორ? შოთა ბროლიძის მამამ საზოგადო საქმეს ხელი შეუშალა? სოფლისთვის კარგი საქმე კეთდებოდა და მამაჩემი შეიქნა ხელის შემშლელი".

მამისადმი თითქოს სიძულვილიც კი იგრძნო. თავი დამნაშავედ ჩასთვალა, რომ ისე მალე წამოვიდა ყრილობიდან.

„ახლავე გავაღვიძებ და სასტიკადაც ვუსაყვედურებ", — გაიფიქრა მან.

VII

კვირა საღამო იყო. მთელი სოფლის ხალხი სათემო ადგილს შეგროვდა.

გაშლილ მინდორზე ბურთს თამაშობდნენ, მღეროდნენ.

ცეკვა-თამაში. დაირის ჟღარუნი, გარმონის ჭყიპინი, დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, მთვრალი, ფხიზელი, ყველა იქ იყო.

იქვე პატარა თეთრი ფიცრის სახლი დგას. ეს სამკითხველოა. შიგ რამდენიმე მკითხველი იყო.

მოხუცნი ღიმილით უცქეროდნენ ახალგაზრდების ცეკვა-თამაშს. აგონდებოდათ თავიანთი წარსული.

ყველაზე მეტად კი პეტრე მღვდელი იყო ქალიშვილების ცქერით დამტკბარი. თვალები გაგანიერებოდა. გულზე დაფენილ თეთრ წვერს სავარცხლით მალ-მალ ივარცხნიდა. მკერდს შავ-ყვითელი მედლები უმშვენებდა. მარჯვენა ხელში მოპედილი ჯოხი ეჭირა, მარცხენაში — კრიალოსანი. თავზე, დროთა ბრუნვისაგან დაფოკებული, გვერდებშენგრეული შლიაპა ეხურა. გახუნებულ ანაფორაში შეხვეული პეტრე ნამორს მოგაგონებდათ.

მასლაათობის მოყვარულიც გახლდათ. განსაკუთრებით ქალებზე ლაპარაკი უყვარდა.

როცა ლამაზ ქალიშვილს დაინახავდა, ნერწყვის ყლაპვას ვერ ასწრებდა. თვალები უთამაშებდა ხოლმე. თან უწმაწური სიტყვებით ამკობდა და ხითხითებდა. მრევლი შეეჩვია პეტრეს, მისგან არა სწყინდა რა, ყველაფერს მამაშვილურ ხუმრობად უთვლიდნენ.

მშვენიერი დარიგება კი იცოდა, ღვთისნიერი, სწამდა ძველი ჩვეულებანი: საკურთხი, საწირავი, აღაპები და ვინ იცის, კიდევ რა. აბა, ისეთი კი არ იყო, როგორც მეორე ახალგაზრდა მღვდელი. იმას, თქვენც არ მომიკვდეთ, არც საკურთხი სწამდა და არც აღაპი, „მეტი სწავლით ღმერთი დავიწყებიაო", — იტყოდნენ ხოლმე მასზე. სად პეტრე მღვდელი და სად ანტონი. უმეტესობა, მართალია, გარეგნულად ანტონს თანაუგრძნობდა, მაგრამ გულში კი ბევრი არ ემადლიერებოდა — ღმერთის ასე გამასხრება როგორ შეიძლებაო.

პეტრე დღესაც ჯიღასავით დგას, ოხუნჯობს, ქალიშვილებს მისჩერებია.

იქ კი, საცეკვაოდ შეკრულ წრეში, ერთი ჩოხადაკაპიწებული ახალგაზრდა დასაქმობდა: ხელში ჯოხი ეჭირა და წრეს აფართოებდა, თან გამუდმებით იძახდა:

— ტაში... ჩქარი ტაში! თქვენი ჭირიმე, ტაში! იმხიარულეთ... ჰო... აბა! იცეკვეთ, მუსიკას ნუ გააცდენთ, ტყუილა დრო იკარგება, გოგონებს ხელები ეტკინათ ტაშის ცემით!

უცებ წრე გაირღვა და ერთი ყმაწვილთაგანი ფიცხლად შეუდგა უთავბოლოდ ბრუალს. ხარხარი მოაყოლეს.

— პოლიტიკურა, პოლიტიკურა! — გაისმა ირგვლივ.

— არ შეშინდე, ბიჭო, არ შეგაშინონ ქალებმა! — ამხნევებდნენ კაცები.

პოლიტიკურა კი ჯარასავით ტრიალებდა, ისეთნაირად დაჰკრავდა ხოლმე ფეხს მიწას, თითქოს ჩანგრევა უნდაო.

— დაუკარი, ბიჭო, ვისმეს თავი, დაუკარი!

ამის გაგონება და პოლიტიკურას სარივით დასობა ერთი იყო: გამოიწვია ქალიშვილი.

ატყდა ტკვარცალი. ქალიშვილი უარობდა, დაირცხვინა პოლიტიკურასთან თამაში.

ხუმრობა ხომ არაა, მთელი სოფლის თვალია.

მაგრამ არც პოლიტიკურა იცვლიდა ფეხს. როგორც იქნა გამოიყვანეს ქალი. პოლიტიკურას თვალები გაუნათდა.

— ერთი შეხედეთ, რა ყაიდაზე უმშვენებს გვერდს ქალს! ქორივით ჩასჩერებია, გზას უღობავს, ლამის მკლავიც მოხვიოს!

მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— პოლიტიკურას გემოვნებას დამიხედეთ!

გაცხარებულ თამაშში პოლიტიკურას ქალი გაექცა — ლავიღალეო. კავალერიც ერთ ადგილს დაახტა, მადლობის ნიშნად დაფხრეწილი ფაფანაკი მოუხადა და გამობრუნდა.

კიდევ სიცილი, ოხუნჯობა.

— აბა, რა გეგონათ თქვენ?! — თავმომწონედ განაცხადა.

ყველა მხიარულობდა, იცინოდა. პოლიტიკურას ტაშს უკრავდნენ. აი, მოქეიფენიც გამოვიდნენ დუქნიდან, მოიღლაღნებოდნენ, წინ მეარღნე მოუძღოდათ თავის ზანდუკით, ქუდი კეფაზე მოეგდო.

მედუქნეც იქვე იყო. ფიცხლავ გამოიტანა დანჯღრეული შაგიდა, ჭიქები, ბოთლები, საინები. ყველაფერი თავის განაცრისფერებული ფესტამალით. გასწმინდა, ხანდიხან ტუჩებზედაც კი წაისვამდა ხოლმე ამ სამკაულს.

დარდიმანდია, იკვანწებოდა, ყველას ესიტყვებოდა, თავის სრიალა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ოხუნჯობდა, ენამაჯვილობდა.

აირია ერთმანეთში არღანი, დაირა, გარმონი.

ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა.

შოთაც აქ იყო.

დედა არ მოეშვა: წადი, ხალხში გაერიე, თორემ ესაა შე-

მშალოს შენმა დარდმაო. დედის ხათრმა და პატივისცემამ მოიყვანა, თორემ მისთვის სულ ერთი იყო. გული არც ისე უხაროდა და არც ასე, საერთო ერიამული ვერ სწვდებოდა მის სულსა და გულს. სამკითხველოში იყო. ვერაფერი წაიკითხა, გული ვერ დაუდო. ახლა კი ჩაფიქრებული მისჩერებოდა საცეკვაო წრეს.

უცებ ქალიშვილთა ჯგუფიდან ერთი ასული გამოიჭრა. შველია, თუ ჯეირანი?! მაღალი, ალვის ხის ტანა. ლერწამივით მოქნილი. მსწრაფლ ხელები გაშალა, გაიღიმა და გაფრინდა, ვით ანგელოზი. ლეკურს უელის...

შოთას გულს ისარი მოხვდა. ვიღაც მძლავრად შეეხო მისი გულის ძაფებს. აუთრთოლა. თვალებმა გაუცინეს. მოცეკვავემ მიიჯაჭვა.

ქალი არავის ყურადღებას არ აქცევდა: ხელებგაშლილი, კისერმოღერილი დაფრინავდა, მიწას ფეხს არ აკარებდა. თვალებს ნაბავდა, ტუჩებს თითქოს საკოცნელად ამზადებსო, ლოყები გაალისფერებოდა, აფეთქილ გულმკერდს ხან აქეთ მიიბრუნებდა, ხან იქით.

ყველა მას უცქეროდა, ყველა მას შეჰხაროდა.

— ნეტავი შენს დედას, თამრიკო!

— ცხონდა შენი მშობელი!

— შეგერგოს დედის ძუძუ!

გაბრიელიც აქ იყო. სახეგაცინებული შესცინოდა თავის შვილს. ვაჟი არ მისცა ღმერთმა, სამაგიეროდ, აი, რა ჯეირანი ჰყავს.

პეტრე მღვდელმაც სული გატრუნა, ენა არ მოუბრუნდა, თავისებურად უწმაწური რამ ეთქვა.

არღნის ღრიჭინიც კი შეწყდა, რაკი გაისმა, თამრიკო ცეკვავსო.

თამროს ტოლებს გული შურით ევსებოდათ, მაგრამ ტაშს მაინც მწყობრად უკრავდნენ.

რა მოსდის შოთას? რა ემართება?

თვალი ვერ მოწყვიტა, სულისთქმა შეუჩერდა.

თამრო კი ცეკვავდა და ცეკვავდა.

გათავდა ცეკვა.

თამრომ თავისი ადგილი დაიჭირა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, ტაში! დაუკარით გარმონი, დაირა! — დაიძახა წრეში მოდარაჯე ყმაწვილმა და ისევ გაჩაღდა თამაში. მაგრამ რაღაც უგულობა ეტყობოდა ყველაფერს, თამროს შემდეგ, აბა, ვინ გაბედავდა ცეკვას?

— ღმერთო ჩემო, რა იყო, რა ენახე? — ეკითხებოდა შოთა თავის თავს, — ზეციერია თუ მიწიერი?

უნდოდა თაყვანი ეცა განხორციელებულ მშვენიერებისათვის, მაგრამ თავი შეიკავა.

თამრო შოთას დას, კესოს, ემუსაიფებოდა, უცინოდა.

შოთას გული გაეხსნა.

„მივალ კესოსთან და თამროსაც გამოველაპარაკები“, — უთხრა თავის თავს და ის იყო წასვლა დააპირა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა: „ასე როგორ უნდა გამიტაცოს შეხედვისთანავე ქალმაო“, — გაუარა თავში, მაგრამ დიდხანს არ გაუჩერდა ეს აზრი, უცებ თავისდა უნებურად თამროსთან გაჩნდა.

— დიდი ხანია ჩამობრძანდით? — შეეკითხა მისალმების შემდეგ თამრიკო.

შოთა დაყრუვდა, ენა დაება, სისხლის მოძრაობა შეუწყდა.

— თვეზე მეტია, — უპასუხა ძმის მაგიერ კესომ.

— მართლა, მე რომ არ მინახიხართ?

შოთა გამოერკვა.

— რა მშვენივრად ეცეკვეთ, რომ იცოდეთ! — ღიმილით უთხრა თამარს.

კესოს გაუკვირდა: რამდენი ხანია, რაც ძმა აგრე გამხიარულებული არ უნახავს. ეჭვით დაუწყო ორთავეს ცქერა.

— მე... მე ვიცეკვე კარგად? მე? პირში მოფერება გცოდნიათ, შოთა.

— თქვენც არ მომიკვდეთ!

— ბეჩა, თამრო, რა ტკბილად დაგიფიცა შოთამ! გაიგონე? — უთხრა ღიმილით კესომ.

— ხა... ხა... ხა... როგორ არა! მართლაც რომ ტკბილად დამიფიცა!

შოთას შერცხვა. დას გადახედა.

— სხვა, ცოლს არ ირთავთ? რაა აგრე რომ იცით ახლანდელმა ახალგაზრდებმა? — ღიმილით უთხრა თამრომ შოთას.

— ბერად აპირებს შესვლას, — სიცილითვე უპასუხა კესომ ძმის მაგიერ.

— მართალია, — დაემოწმა შოთა.

ხალხი დაიშალა.

ბნელდებოდა, როცა შოთა და კესო შინ წავიდნენ.

— რა ლამაზი ქალი დამდგარა გაბრიელის თამრო! — უთხრა დას ძმამ.

— აბა, კარგი! მაგაზე უკეთესი ქალი ჩვენს საყდარში არ შემოვა, ყველა დაჩრდილა.

შოთას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ შერცხვა, კესოსთვის გული გადაეშალა.

— ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე, თამრო ჩემი რძალი იქნებოდეს! — თქვა ძმის გასაგონად.

— რა? — თითქოს ვერ გაიგონაო, ისე ჰკითხა შოთამ.

კესომ გაიმეორა. შოთას ხმა არ გაუცია.

თითქოს შურმაც გაიღვიძა კესოს გულში. მე ამდენი ხნის ქალი ვარ და გათხოვებას ვერ ვღირსებივარ, გუშინდელი ბარტყი კი უნდა გათხოვდესო. მაგრამ ამ დროს სხვა აზრმა გაუელვა: „მე ულამაზო ვარ, ღარიბი. ის კი მზეთუნახავია... მამამისი შეძლებულიცაა“!

— გაბრიელი ჩასასიძებელს ეძებს, — თქვა კესომ.

— მერე მე რაში მეპრიანება? — უპასუხა შოთამ.

IX

შოთა ყველას გამხიარულებულად ეჩვენა. ასე შუბლგახსნილი დიდი ხანია არავის უნახავს. მისმა გახალისებამ მთელი ოჯახი გაახარა.

ოხუნჯობდა, ლაპარაკობდა, იცინოდა.

— რა ვნახე, რა იყო? მოჩვენება თუ სინამდვილე? — მეათასედ ეკითხებოდა თავის თავს. რა თვალები, ტუჩები, რა ყელ-კისერი, გულმკერდი! ტანადობა, ლოყები... ახ! ლამის

დავიხრჩვე... რა მომელანდა, რა იყო? მშვენიერი თმა, ბროწეულის ტუჩები, ბროლის თითები.

კარში გამოვიდა. გრილმა ჰაერმა გამოარკვია.

„სად არის ჩემი სევდა? რა იქნა? ელენე! სად ხარ? გეტყოდი ჩემს გრძნობებზე. გაგეხარდებოდა. აკი ყოველთვის იზიარებდი ჩემს ავსა თუ კარგს! მაგრამ... რას ვსულელობ? ელენეს ამას ვერ ვეტყვი, ვერა. ის არ გაიზიარებს ამ სიხარულს, როგორ? ელენეს გარდა სხვა ქალი? შეუძლებელია. ელენეს ერთგული ვარ, ის მიყვარს, ვერ ვუღალატებ. თამრო, თამრო! არა, შეუძლებელია“...

შოთა სირცხვილმა შეიპყრო. გაწითლდა.

„ოცნებაც დანაშაულია? არა, მე მხოლოდ ვიოცნებებ თამროზე, ვიფიქრებ... რაკი სიტკბოებას მგვრის ეს გრძნობა, რაკი თავს ბედნიერად მაგრძნობინებს. ფიქრში მაინც ვილოცებ მასზე. დეე, ნუ ასრულდება სინამდვილეში. არც მინდა, რომ ასრულდეს. არა, ელენეს ერთგული ვარ, ის მიყვარს. თამროზე კი მხოლოდ ვიოცნებებ, მეტი არაფერი, მხოლოდ ვიფიქრებ, მაგრამ... ეხ, ჯანდაბას ყოველგვარი მაგრამ“. შოთაც დანებდა თამროს, გულში ჩაისვა მასზე ფიქრი და ოცნება. „სად იქნება ახლა? რას შვება, რაზე ფიქრობს? ალბათ, წევს. იქნებ სხვა უყვარს, — ჩასჩურჩულა ვიღაცამ, — არა, არ შეიძლება! მე ვუყვარვარ, მხოლოდ მე... მე... აკი ისე მიცინოდა, გულახდილად, მთელი არსებით. მისი გული ნორჩია, ხელუხლებელი...“

X

ვის არ გაეგონა გაბრიელ წყნარაძე და მისი მეუღლე სიდონია? ორთავეს აქიმის სახელი ჰქონდათ გავარდნილი. ნათვალეევის წამალი, შეშინებულის, გაციებულის და, ვინ იცის, კიდევ რა, სულ სიდონიას ხელობა იყო, ჯერ მოცილე არ გაჩოჩენოდა. გაბრიელიც გვარიანად იყო ამაში გამოწვრთნილი; მაგრამ ის მაინც სხვაფრივ იყო ცნობილი: ძველისძველი მწიგნობარი იყო მთელ სოფელში და პატივისმცემელიც ბევრი ჰყავდა. შეძლებული გლეხის შვილებს მოსწავლეებად იყვანდა. აიყვანდა იმ პირობით, რომ მთელი ზამთრის განმავ-

ლობაში ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს შეასწავლიდა. თვიური ქირა სამი მანეთი იყო. ფულს ყველას წინდაწინ ახდევინებდა. ასწავლიდა როგორც პატარებს, ისე მოზრდილებსაც, ხშირად ცოლიანებიც კი ჰყოლია ხოლმე. ქალების სწავლა კი როგორც მთელ სოფელს, ისე გაბრიელსაც ზედმეტ ბარგად მიაჩნდა. სასწავლო ოთახი ძველებური სახლის დარბაზი იყო: შუაში კერა გუზგუზებდა, იქვე სიდონია და მისი ქალები მატყლს ართავდნენ, ან აბრეშუმს ხვეწავდნენ, ან კიდევ სადილს ამზადებდნენ.

გაბრიელს ამ დროს სახეგაცინებულს ვერავინ ნახავდა. მოღუშული იყო და გულდასმით უსმენდა მოსწავლეთ. წინ ეეებერთელა შავი სახაზავი ედო. ვაი იმას, ვისაც ის მოხვდებოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ყველაზე საშინელი მაინც სიმინდის მარცვლებზე დაჩოქება იყო.

მკაცრი იყო გაბრიელი. ერთი შეცდომის ჯილდოდ სახაზავის ერთი ჩარტყმა იყო. მეორე შეცდომაზე სილებს წაუმატებდა და შემდეგ სიმინდი და მისი ჯანი. ერთს უჩვენებდა მოსწავლეს კუთხისაკენ და იმ წამსვე უნდა ადგილიდან მოწყვეტილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჩოქებასაც არ აკმარებდა: ჯერ ორიოდე პანღურს მიაყოლებდა და შემდეგ, მარცვლებზე დაჩოქილს, ხელებსაც მაღლა ააწევინებდა. ვაი მის დღეს, ვისაც ამ დროს სიცილი წასკდებოდა! ერთ ამბავს დაუთევდა. ვინ იცის, რამდენჯერ გაუგდია კარში ასეთ დროს უნებურად გაცინებული თავისი ქალიშვილები? სიდონია კი მუდამ ჩუმად იყო, მშვენივრად იცოდა, რომ გაბრიელი მოწაფეებს „მათდა სასარგებლოდ და ჭკუაში ჩასაგდებად“ სჯიდა. არა მარტო სიდონია, თვითონ მშობლებიც კი, როცა გაბრიელს შვილს მიაბარებდნენ, თან ეტყოდნენ: სცემე, თუ კარგად ვერ ისწავლოსო.

რას ასწავლიდა გაბრიელი?

პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ქართულ კითხვას. სქელ ქაღალდზე დაწერდა მთელ ანბანს, დაურიგებდა მოსწავლეებს და მთელი დღეებით აძახებდა: ანუ, ბანუ, დონუ, ნუ... ერთხელ შებორძიკება და თავში ჩატახუნება ერთი იყო.

— ჰო, შე ღორო, პირუტყვო კამბეჩო! — ასეთი სიტყვებით ამკობდა მოსწავლეს გაბრიელი.

როცა ანბანს შეასწავლიდა, წერაზე გადავიდოდა. პირველად მოწაფეს ასპიდის დაფასა და გრიფელს მისცემდა ხელში. ოთხ-ხუთს ერთი დაფა ჰქონდათ. შემდეგ კი ქაღალდზე აწერინებდა ცალკე ასოებს.

ამით თავდებოდა სწავლების პირველი საფეხური და იწყებოდა მეორე და უაღრესად ძნელი: ამოსაღებზე გადასვლა. ამ მომენტისათვის მოწაფეებიც და მასწავლებლებიც დიდი ამბით ემზადებოდნენ.

— მე უკვე ამოსაღებზე გადავედი,—სიამაყით იტყოდნენ ხოლმე შეგირდები.

— შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ, მალე ამოსაღებზე გადაგიყვანო, — წასაქეზებლად ეტყოდა ხოლმე გაბრიელი რომელიმე მოწაფეს.

ამოსაღებზე გადასვლა ასე იწყებოდა:

გაბრიელი დინჯად ამოალაგებდა თავისი სკივრიდან ყურგახეულ თამასუქებს, დაუდებდა წინ მოსწავლეებს და ისინი პირდაპირ კითხვას უნდა შესდგომოდნენ.

— ჩინუ, ვინუ, ენუ, ნარუ, ქანუ, ვინუ, ენუ, მანუ, ონუ, რა ენუ, — ამოღეჭავდნენ ხოლმე და მერე აქედან უნდა ეთქვათ ჩვენ ქვემორე ამისა და სხვა. საშინელ სიძნელეს წარმოადგენდა ეს პროცესი. ვინ იცის, რამდენჯერ გაინავარდებდა ამ დროს სახაზავი, რამდენი ლოყა აპილპილდებოდა, რამდენი მუხლი გაშიშვლდებოდა. ზეპირ კითხვას მისდევდა ნაკითხის გადმოწერა. შემდეგ პირობის ქაღალდი უნდა გადაეწერათ, მოკითხვის, ანდერძის, ლხინსა თუ ჭირში მოწვევის და წერა-კითხვაც შესწავლილი იყო. გარდა ამისა, მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ ყველა ლოცვა. დავითის ფსალმუნი და ანგარიში: დაასწავლიდა ქართულ ციფრს, ქორონიკონს და არაბული რიცხვების წერას. მორჩა და გათავდა, მეტიც არ იყო საჭირო. მშობლებიც ამისათვის აბარებდნენ გაბრიელს შვილებს. ეუბნებოდნენ: გვასწავლე ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, თამასუქ-მოკითხვის ქაღალდების წერა, ცოტა ლოცვა და დიდი მადლობელი ვიქნებითო.

სად ისწავლა გაბრიელმა წერა-კითხვა. მის მეტმა არავინ იცოდა. მაგრამ კარგად რომ ისარგებლა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. ბევრ ახალგაზრდას ასწავლა წიგნი, მაგრამ არც

თვითონ დარჩენილა ხელცარიელი: სული მოითქვა, მიწა-წყალი შეიძინა, თავის დროს ძალიან ემადლიერებოდა, მაგრამ სკოლების შემოღება მაინცადამაინც არ ესიამოვნა. დიდი ხანია, რაც მასწავლებლობას თავი დაანება. თუმც სოფლისათვის მაინც საჭირო კაცი იყო: მაგაზე უკეთ თამასუქს და პირობას ვერავინ სწერდა, ახალ სკოლებში განსწავლულნი ვერ შეედრებოდნენ. ასე რომ, „ხელის ჭუჭყი" მუდამ შემოსდიოდა. ახალ სკოლას, სადაც მარილზე დაჩოქება და სახაზავების ლაწუნი უარყოფილია, ვერ იქნა და ვერ შეეგუა ჩვენი გაბრიელი.

გარდა ამისა, გაბრიელმა საეკლესიო გალობაც იცოდა. მგალობელთა გუნდიც კი ჰყავდა. არც ერთ წირვა-ლოცვას არ დააკლდებოდა. პეტრე მღვდელი, დიაკვანი და გაბრიელი ხომ განუყრელი მეგობრები იყვნენ.

გაბრიელმა ჩონგურის დაკვრაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს რა ეჩონგურებოდა, როცა მუხთალმა ბედმა სიხარულს მისთვის არ მოაცლევინა. მართალია, სოფლის პირობაზე ღარიბი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მაგიერად ცოლ-შვილში უბედური იყო. ჯერ იყო და, „უფალმა მისთვის ვაჟი არ გამოიმეტა", სულ ქალები მისცა, მაგრამ სამდურავი არ ეთქმოდა, რომ ესენი მაინც შერჩენოდა. ყველა დაეხოცა, დარჩა მარტო თამრიკო, მისი ნუგეში, წუთისოფელში ანთებული სანთელი. მხოლოდ თამრიკოს შესცქეროდნენ იმედით. წერა-კითხვა მშვენივრად შეასწავლეს, სოფლის სკოლაშიც მიაბარეს და ორი კლასი გაათავებინეს. წამოიჩიტა თამრიკო, გათხოვების დროც დაუდგა, მაგრამ შორს არ უნდოდათ მისი გათხოვება. ვინმე ღირსეულის დასიძება უნდოდათ.

XI

მზე ბზრიალ-ტრიალით დაეშვა ცის დაღმართზე. კიდევ ორიოდე საათი და დაყვინთავს. დედამიწა ცოტათი გაგრილდა. საღამოს ქარმა მოჰბერა. მწვანე ფოთლები აჩურჩულდნენ. ხის ტოტები ერთმანეთს მოეხვივნენ.

სოფელში ჯერ კიდევ არ შემობრუნდება მუშა და საქონელი. მხოლოდ შოთას ვერ გაუძლია საღამომდე ყანაში:

კიდევ რამდენიმე წამი და სოფელშიც შემოვა. გამალებული მოდიოდა, სახეზე ღიმი უკრთოდა.

„როგორ მოვიქცე?—ეიშკრიდან დავიძახო, თუ ეზოში ჩავიდე? სახლში რომ არავინ იქნეს? რა მემართება? გული ვერ დამიმაგრებია, რა ვთქვა, რომ ჩავალ? რა მოვიმიზეზო? ვიტყვი, გავიგე, რომ გაბრიელს „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონებია და იქნება მათხოვო-თქო. ჰმ... რა სისულელეა! რა დროს „ვეფხისტყაოსანია“ ამ გახურებული თოხნის დროს? ვის სცალია ახლა წიგნებისათვის? სოფელი და ამ დროს წიგნის კითხვა!.. მაშინვე მიხვდებიან, რომ წიგნისთვის არა ვარ მისული! მიხვდებიან და მიხვდნენ! მეზობლები იფიქრებენ: ალბათ, სიდონიასთან რაიმე წამლებისთვის მიდისო. ვინც რა უნდა ისა თქვას! მე კი...“—ფიქრობდა შოთა და მისდა შეუმჩნევლად ნაბიჯს მოუმატა.

თამრიკოზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ეს ორი ღამეა თვალს ძილი არ მიჰკარებია, უწინდელი სევდა თანდათან ავიწყდებოდა. ის იყო, გაბრიელის კარ-მიდამოს მიუახლოვდა, რომ უცებ შეჩერდა, რაღაც აზრი დაებადა.

„ბავშვურად ვიქცევი! ვის გაუგონია ასეთი თავშეუკავებლობა? რას ჰგავს ასეთი აჩქარება? ასეთი აცუნცრუკება! არა, უკან უნდა დავბრუნდე, არ შევალ, არაფრის გულისათვის არ შევალ! ან კი რამ წამომიყვანა ყანიდან? რატომ დავანებე მამას თავი? მემუშავნა იქ! კიდეც მოვიტყუილე ბავშვივით, რაღაც საქმე მოვიგონე!“

შოთა გაბრიელის შუა ეზოში გაჩნდა. როდის მოვიდა, როგორ შემოვიდა—არ ახსოვს.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

აღელვებულ სათიბში თამრო მოდიოდა, სახეზე ღიმილი ეხატებოდა, თმა უსწორმასწოროდ აჰყროდა, ნახეერად დატიტვლებულ მკლავებს გულზე აფათურებდა და გახსნილ ხალათს ქინძისთავებით იბნევდა.

სიომ ჩაჰკოცნა, თმა აუშალა, გულში ჩაიხუტა, მკერდზე გადაურბინა, ბროლის მკლავები დაუკოცნა. ალვის ხეს ტანზე შემოეკრა, კაბა მუხლებში შეუკეცა.

თამრიკოს შერცხვა, მაგრამ ღიმილი მაინც ვერ შეიკავა. მოდიოდა და თან სამოთხე და ნეტარება მოჰქონდა.

— მობრძანდით, მობრძანდით!

— გეახლებით.

თამრო ძლივს სწვდებოდა სტუმარს. შოთა მოსული ეაქ-კაცი იყო, შავგვრემანი, ფართო, გაშლილი სახით. ყაბალახი მხრებზე გადაეგდო, ახალუხის გული გახსნილი ჰქონდა.

სიდონიას გულმა გაუცინა: „როგორ შვენიან ერთმანეთ-სო“,—გაურბინა ფიქრმა და მხიარულად მიაძახა:

— აა, ყმაწვილო! შენ იყავი, რომ ჩემი ნათვალევის წა-მალი არ მიიკარე? დაიწუნე არა? ყველაფერი მითხრა დე-დაშენმა. ახლანდელ ახალგაზრდებს არ გწამთ ძველების არა-ფერი, მაგრამ ვნახავთ, ჩვენზე მეტს რასაც იზამთ!

შოთა დაიბნა, რა ეპასუხა არ იცოდა, თამრომ დედას ღიმი-ლით უსაყვედურა:

— რაა, ბეჩა, დედაჩემო, ასე რო იცი! რა დროის მაგის ლაპარაკია?! ეგება მართლა აქვს გგონია შენს ნათვალევის წამალს რამე ძალა? არა, შოთა? ხომ არაფერი ძალა არა აქვს?

— რასაკვირველია.

— მაგრე თქვით, მაგრე! რომ გამოგზარდეთ და ავ თვალ-სა და ბოროტს არ შევაჭამეთ თქვენი თავი, აწი ასე იტყვით.

სკამები ხის ძირში გამოიტანეს. მოიკითხეს ერთმანეთი, ზო-გი ამ მთისა თქვეს, ზოგი იმ მთისა.

სიდონიას ეგონა, შოთა რაიმე წამლისათვის იყო მოსული, მაგრამ ხომ ვერ ჰკითხავდა, რად მოდიო.

— შვილო, თამრიკო, პატივი უნდა ვცეთ სტუმარს. წადი, არაყი გამოიტანე, ტკბილეულობაც გამოაყოლე!

ერთ წამში თამრომ არაყი და ტკბილეული მიართვა სტუ-მარს.

არაყის მოტანა იმის ნიშანი იყო, რომ შოთას დარბაზობა უნდა დაესრულებინა, მაგრამ ჯერ მაინც ვერ მოეცვალა ფეხი. სიდონიამ, რაკი შეატყო, რომ სტუმარი არ მიდიოდა, — თქვენ ილაპარაკეთ, შვილებო, მე კი ვახშამს შევუდგებიო, — თქვა და წავიდა.

ახალგაზრდებსაც ეს უნდოდათ.

კარგა ხანს სალაპარაკო საგანი ვერ გამონახეს.

მაგრამ ერთმანეთის ისედაც კარგად ესმოდათ, რას არ ამბობდნენ მათი თვალები.

რაა იქ ენა, სადაც თვალები ლაპარაკობენ, წრფელი გრძნო-

ბა ღალადებს, სადაც სახის გამომეტყველება ყველაფერს ამ-ბობს!

— თქვენ ჩონგურის ხმა მოგწონთ?

— ძალიან.

— მაშ დავუკრავ.

ერთ წამში თამრო ჩონგურით გაჩნდა.

თამრიკო ფეხმოკეცილი იჯდა. შოთა თვალდაცეცებული მისჩერებოდა.

ყრუ, ნარნარი ჰანგი მოეფინა იქაურობას. ნაზად კვნესის, წკრიალებს, ხან იცინის, ხან სევდით ქვითინებს, ხან მეჯლი-სობს, ხან მოთქვამს.

დუმდა იქაურობა.

შოთას გულის სიმს ურხევს ჩონგურის ხმები, გულში ჩაეკრა ოცნების ფერიას და მითვლემილი, გრძნობამიხდილი მიცურავს, მიქრის ეთერში.

— თამრიკო!

— რა იყო?

— თამრიკო!

თამრიკოც შეკრთა, გაწითლდა, რაღაც იგრძნო...

— მიყვარხართ!

— მეც!

თამრიკო შველივით წამოფრინდა და სახლში შევარდა.

— ახლა წადიო, — ესღა მიაძახა შოთას.

XII

თამრო ხტის, იცინის, ჩაჯდა, თვალებზე ხელს იფარებს... კისკისებს, რცხვენია ხის, მთვარის, სიოსი....

„ვაითუ დედამ გაიგონა! როგორ წამოვიძახე!.. თავი ვერ შევიმაგრე... რა ლამაზია! რად წავიდა? რად? ღმერთო, რა მე-მართება?.. როგორ მომჩერებოდა!.. ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!..“

მოსწყდა ადგილიდან, აბუმბულებულ ბალიშებს ჩაეკონა.

— შვილო თამრო, რა უნდოდა იმ ყმაწვილს? — შემოესმა დედის ხმა.

ფიცხლავ ზეზე წამოიჭრა, თმა გაისწორა.

— არ ვიცი, დედა.

თამრიოს ხმაზე ყველა მიხვდებოდა, რომ რაღაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

— სულ არაფერი თქვა, შვილო? აბა, ისე რა უნდოდა ასე უდროო დროს?

— რა ვიცი, დედა, მამა თუ უნდოდა ენახა. აგერ, მოდის კიდეც.

შუა ეზოში გაბრიელი გამოჩნდა... მაღალი, გრძელი ჭაღარა წვერი მკერდამდე სცემდა, მთვარის სხივებზე მელოტი შუბლი სარკესავით ულაპლაპებდა, მხარზე თოხი გაედო.

— ბერიკაცო, რაზე იგვიანებ ასე? ვერ მოხვალ დროზე? რას აკვდები და იგლეჯ წელსა და გულს! ცოტ-ცოტა იმუშავე, რამდენი ჯოგი შენ გყავს სარჩენი?! — უსაყვედურა ქმარს სიდონიამ.

— თუ არ ვიმუშავე, აბა, ვინ უნდა მარჩინოს? შვილო თამრო, ერთი ციცი წყალი დამალევინე.

თამრიკო იმ წუთსავე ჭისკენ გაიქცა. სიდონია ვახშმის სამზადისს შეუდგა.

გაბრიელი გვარიანი ძუნწი გახლდათ. არც სხვისი უნდოდა და არც მაინცდამაინც თავისით ასარგებლებდა ვინმეს. ფულს თუ გაასესხებდა, სათანადო სარგებელი უნდა აეღო. მეზობელს თუ რასმე ათხოვებდა, სამაგიეროდ იმასაც უნდა ეთხოვებინა, თორემ მეორედ ტყუილა ჩაუვლიდა თხოვნა. ფულის გასესხება ერთობ ეძნელებოდა, ათასჯერ უნდა მიგემართათ, რომ ესესხებინა. თან გაბრიელის ხელში ნაქონ ფულს ყველა იცნობდა — ყურები სულ შემორგვალებული ჰქონდა: ყალბი არ იყოსო, მოახევდა ყურს და მზეზე გახედავდა.

— თუ ქონება არ მექნა, ვინ მიპატრონებს?.. შვილები მარჩენენ თუ? — იტყოდა ხოლმე გაბრიელი.

— ამ საღამოს გიგო ბროლიძის შვილი იყო აქა, შენი ნახვა უნდოდა, — უთხრა ქმარს სიდონიამ.

— შოთა? — იკითხა უცებ გახარებულმა გაბრიელმა და ცოლს შეაჩერდა.

თამრიკოს პირში ლუკმა გაუჩერდა, ციცი წყალი გადაესხა, ზურგზე ჭიანჭველებმა გადაურბინეს, თავი ჩაჰკიდა.

— ხო, შოთა.

— რაო, რა მინდაო?

— არ ვიცი.

— დიდხანს იყო?

— ასე. . .

გაბრიელი ჩაფიქრდა. თამრიკომ სული გატრუნა.

— დედაკაცო, ამ წინაზე გითხარი იმისი არ იყოს, ეგ ყმაწვილი სახეიროა, არაა დასაწუნი და კარგად დაუკვირდი.

თამრომ სული განაბა.

— ნუ ჩურჩუტობ, თუ კაცი ხარ, მაგი რა ჩვენი საქმეა? გახვრეტილი კაპეიკი არ მოეძევება, ღარიბ-ღატაკის შვილია.

— კი, მაგრამ სამაგიეროდ კაცია, გარე გახედულია, შესახედავადაც კარგია.

— შესახედავად, თვარა მისი სილამაზე საქმელია! გაიგონე, ადამიანო, ხელცარიელ კაცს სწორედ ვერ დავისიძებ; ამდენ სიმდიდრეს რომ ვახვედრებ, თვითონაც უნდა ჰქონდეს რამე, თვარა ეგება ერთ წელიწადზე გააქროს ჩვენი ამდენი ხნის ნაამაგარი! რა გულს მოეწვება ჩემი ნაშრომი!

— ჭკუას შენ ვერ მასწავლი, რაცაა კარგი, მეც კარგად ვიცი! ის ყმაწვილი, რაღაც გულში შემეჭრა, პატარაობიდანვე მახსოვს, ჭკვიანი იყო, შუყაითი. ახლაა და მშვენიერი წარმოსადეგი კაცი დამდგარა. ამას წინათ კანცელარიაში ვნახე და პირდაპირ გული გამინათდა.

— კაი, კაი, ნუ მოჰყვები მონაზონივით, გოგოს მართალი ეგონება!—გაწყრა სიდონია.

— რა მეგონება მართალი? — იწყინა თამრომ.—მეტი არაფერი გახსოვთ!—თქვა და კარში გავარდა, სიცილს ძლივს იკავებდა. მთვარეს ხელით კოცნა გაუგზავნა, თრთოლვა ვერ დაუმაგრებია.

მეორე სახლში გასვლა უნდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მშობლებს მიაყურა—აბა, რას ამბობენო. ყველაფერი ესმოდა.

— რაა, ბეჩა, რომ ბავშვთან მოჰყვები ყველაფერს? მე მარტო ვერ მეტყვი?—უსაყვედურა ქმარს სიდონიამ.

— დასამალავი რა მაქვს?!

— რაც უნდა იყოს ბავშვია, ვინ იცის, რას იფიქრებს?

ხომ იცი, როგორი დროა. ბაწრით ვერ დაუმაგრებიათ შვილები სახლში.

— კარგი, დამანებე თავი. ეგ ყმაწვილი ძალიან მომწონს. ერთი, კვირას უნდა გეყურებია, რანაირად ელაპარაკებოდა ჩვენს თამროს.

— მერე, შენ მოდი და მაშინვე ყველაფერი უთხარი ბავშვს, არა?! კარგი ერთი!

— მერე რა?

— რა და ის, რომ გუშინ და დღეს იმას ახსენებდა გოგო. ხან მის დას, კესოს, ხან მის მშობლებს.

— ახსენოს, მერე რაა ამაში ცუდი? არა, ლამაზი ყმაწვილი ხომაა! როგორც შეხედავ, გული გაგეხსნება მაშინვე, იმ წამსვე შეგიყვარდება. კაცი თუ კაცად ვარგა, სიღარიბისათვის არ დაიწუნება.

— კაი, კაი! შენ რაღაც დიდ რამედ მიგაჩნია მაგ კაცი და მე კი ცხვირის წვერზედაც არ დავიდებ! მერე კიდევ, ჩემი სიკვდილი, ახლა მომაგონდა, იმდენი ხანი ციხეში იჯდა, ის არაფერია? ნაციხარი კაცი უნდა იყოს ჩემი სიძე?

— ნაციხარი! ვინ არაა ჩვენს დროში ნაციხარი? ციხეში იმას ჩასვამენ, ვინც კაცია და ვარგა, თვარა გლახა კერიაში ტუტას ჩხრეკს.

— ღმერთო, მომკალი! — იტკიცა ლოყაში ხელი სიდონიამ.—სწორედ გამოტვინდა ეს კაცი, რას ამბობს?!

სიდონიას შეხედულება „ნაციხარ ხალხზე“ გაბრიელსაც სწამდა. მეტსაც ვიტყვით, ასეთებს ყველას ქვეყნის დამამხობელ, მავნე პირებად თვლიდა, მაგრამ ამ შემთხვევაში შოთასათვის გამონაკლისი დაუშვა.

თამრიკომ დაასკვნა, რომ საქმე კარგად იყო. დედის უარში — „ჰოც“ ბევრი გამოიცნო.

XIII

შოთას გამოცოცხლება ყველას ეამა. მისი ტოლები გაკეირვებული იყვნენ.

— რამ გამოცვალა ეს კაცი ასე, რამ გარდაქმნა?

— გული ხომ არ გაუტყდა დღევანდელი მდგომარეობით?

— არ არის რაღაც დასაჯერებელი. თუ შოთასაც გული გაუტყდა და არ სწამს ბრწყინვალე მომავალი, მაშინ, მართლაც, დაღუპულა ყველაფერი და ისაა.

— ცისა და დედამიწის შეერთებას დავიჯერებ და მაგას კი ვერა. აქ რაღაც სხვა მიზეზია,—ხშირი იყო ასეთი მუსაიფი შოთას ამხანაგებში.

ბევრი იმათგანი შოთასთან ერთად იყო ქარხანაში მუშად და დღეს, იქ უმუშევრად დარჩენილი, ისევ სოფელში შემოხიზნულიყო, ზოგიც ძვირად თუ გაშორებოდა სოფელს: ადრე დაცოლშვილებულნი გაჯახირებულად ირჩენდნენ თავს ორიოდე კვალი მიწით.

კვირა საღამო იყო. სოფლის ერთ მიყრუებულ დობილოში რამდენიმე ყმაწვილი წამოწოლილიყო. დაყუდროებული ადგილი მოენახათ. ბებერი კაკლის ხე ქოლგად ადგათ.

კიდევ ცოტა ხანი და ოცზე მეტი კაცი მოგროვდა.

ოხუნჯობდნენ, ლაზღანდარობდნენ, მომავალ სამუშაოზე ბჭობდნენ.

— დღეს იმდენი ვიცეკვე, რომ ფეხები მეტკინა, — თქვა ერთმა.

— დღეს თუ ფეხები აცეკვე, ხვალ ორშაბათია და ხელები აცეკვე. შაბათამდე გაგვარდება ქირქატი.

— ნეტავ სამუშაოს ვიშოვიდე, თვარა დღეისწორ კვირასაც, სიტყვას გაძლევ, ათჯერ ვიცეკვებ.

— რავა, ბიჭო, ათავებ თოხნას თუ?

— აბა, ხომ არ ჩავბერდებით შიგ? მერე იქნება ჩვენს კნიაზს მოვურიგდეთ, ბილიდოურში სამარგლი აქვს.

— რამდენი მუშაობთ ერთად?

— თორმეტი. მაგრამ ვადენთ კი ბდღვირს.

— მე, ძმაო, ამ აბრეშუმობაზე თოხნას ცოტა ვუღალატე, სამაგიეროდ მომტეხეს ქალებმა ფურცლის თრევით, გადავყევი. მეტი არა ვარ, ღამე არ მძინავს ბეოლაზე, თვარა მუდამ ზედ ვარ. ჩამოვეხევი, თვარა სხვას ვინ ჩივა.

თავი მოიყარეს. წესისამებრ თავმჯდომარე აირჩიეს და საქმეს შეუდგნენ.

პირველი შოთამ ილაპარაკა.

ყველა სულგანაბული უსმენდა. წრფელი სიტყვები გულ-

ში ხვდებოდათ, გულის სიღრმიდან ამონაგლეჯი სიმართლე ყველას თვალწინ ეშლებოდა.

— მაშ ასე, ამხანაგებო! ჩვენი სამოქმედო პროგრამა დღეს ასეთი უნდა იყოს: ვეცადოთ, რომ დანგრეული ერთობა ისევ აღვადგინოთ, უფრო ღრმად უნდა შევაგნებინოთ მშრომელ ხალხს, რომ მათდა საბედნიეროდ აუცილებელია ხელიხელჩაკიდებული ერთად სიარული, გაწყვეტილი ფერხულის გაბმა. თუ ხალხს მდგომარეობის გაუმჯობესებაში დავეხმარებით, ისიც ჩვენთან იქნება. რა საშუალებას უნდა მივმართოთ ამ მიზნის მისაღწევად დღეს სოფლად? მშრომელი ხალხის პოლიტიკურად აღზრდა ეკონომიურ ნიადაგზე. ახლა იკითხავთ, რა გზით უნდა განვახორციელოთ ეს? როგორც აშკარა, ისე ფარული გზით, ანუ უცხო სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ლეგალურად, ისე არალეგარულად. ვიმოქმედებთ, როგორც დღევანდელი კანონების ჩარჩოებში, ისე მის გარეშეც. ამასთანავე ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ მომზადებული უნდა ვიყოთ: უნდა ვიცოდეთ ჩვენი ცხოვრების როგორც წარსული, ისე აწმყო. სულ ერთია, ეს ისტორიის საშუალებით იქნება, თუ ლიტერატურის. უნდა ვიცოდეთ კაცობრიობის განვითარების ისტორია, სხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრება, მისწრაფება, რამდენადაც შესაძლებელია, მათი ლიტერატურა.

ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა იმ აზრის აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო მოქმედების გამოცოცხლება. უკვე კარგა ხნის უკან ჩასახული მშრომელი ხალხის საკეთილდღეო მოქმედება უფრო გაეჩაღებინათ და გაეფართოვებინათ.

ყველაზე მწვავე და სადღეისო საკითხი მთელი სოფლისათვის ახლა აბრეშუმის პარკის გაყიდვა იყო. ამაზეც იმსჯელეს. დაადგინეს მასწავლებლების და ახალგაზრდა მღვდლის— ანტონის — საშუალებით მოეწვიათ ყრილობა და გამოენახათ გლეხებისათვის პარკის გაყიდვის უფრო ხელსაყრელი გზა. დადგენილება მიიღეს იმის შესახებაც, თუ როგორ ემოქმედათ ქსენონის გახსნის საქმეშიც.

მზე თავს დასტრიალებდა დედამიწას, თითქოს დაცვარული პირი უნდა შეუშროსო.

სკოლის ეზოში ჟრიამული იდგა. ბავშვების ჟივილ-ხივილი ცასა სწვდებოდა. დარბოდნენ ფეხშიშველა და ჩაყვითლებუ-

ლი ბავშვები. აქა-იქ კოჩტად ჩაცმულ ბავშვსაც მოჰკრავდით თვალს.

რიგი წიგნს კითხულობს, რიგი თავდაყირა გადადის, ასკინკილა, სიცილი, ყიჟინა. ერთ კუთხეში მოსწავლე გოგონები მოგროვილიყვნენ. პატარა ნაწნავები, კაბები მუხლებზე ძლივს სწვდებოდათ.

ერთსართულიან სკოლას კედლები შემოსძარცვოდა, სახურავი კი ჩამოქოლილი ჰქონდა. დერეფანში მასწავლებლები სეირნობდნენ.

მასწავლებელი ოთხია. ერთი მათგანი ქალია. მათ შორის არის აგრეთვე საღვთო სჯულის მასწავლებელი — მამა ანტონი.

— აბა! მამაო, გეგონა, რომ ნარდში მაჯობებდი?— უთხრა მასწავლებელმა ანტონს.

— ცოტა გადაკრული არ ვყოფილიყავი, რასაც გაიტანდი, ქე ნახავდი!—დაექადნა ანტონი მასწავლებელს.

— განა გადაკრული მე აღარ ვიყავი, შე კაი კაცო?

— რა კაი ღვინო იყო!

— კაი ღვინო, თვარა, შენ რომ მსმელი ხარ?!—უთხრა მასწავლებელმა და იქვე მდგომ ქალს გადახედა, რომელსაც კარგა ხანია ეარშიყებოდა, მაგრამ მისგან თანაგრძნობა ვერ მიეღო.

— უჩიტლებო! ეი, უჩიტლებო! — გადმოსძახა სოფლის კანცელარიიდან მწერალმა.

— რა გინდა, პლატონ ჩემო? — შეეკითხა ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ძალზე ბევრი ფოლაქები ეკერა ხალათზე.

— ჩალბით გუშინ? ვაი თქვენს ტყავს! როგორ გამოგრჩით! — ნანობდა ჩამტვრეულ ფანჯარაში თავგამოყოფილი მწერალი.

— შენს მაგივრად მამასახლისმა ხუხა! — დააიმედა მღვდელმა.

— მერე მე რაი? ჩემი მუცელი ხომ არ ჰქონებია თან!

— აწი არ არის დარეკის დრო? — იკითხა მასწავლებელმა ქალმა და კისერზე გრეხილით მიბმული უბრალო საათი სარტყლიდან ამოიღო.

— დროა უკვე

— მაშ დავრეკოთ.

ქალმა ძველი მუზარადის ენაზე ჩამოპორწიალებულ ბაწარს წააკლო ხელი... მუზარადიც აყღარუნდა.

მოსწავლენი სკოლისაკენ წამოციცქინდნენ...

ფოლაქებიანი მასწავლებელი კიბესთან გაჩერდა და თავის განყოფილებას მკაცრად აჩვენა — დაეწყვეთ და ისე ამოდითო.

დაგეშილი მოწაფეები ხელად მოეწყვნენ. მასწავლებელს ეამა და ამაყად გადახედა ამხანაგებს. გულში კი გაივლო: ღმერთო, როდის იქნება, რომ სარევიზიოდ ინსპექტორი მოვიდეს და ჩემი ასეთი ცდა და შრომა ვაჩვენოო. შემდეგ ბრძანება გასცა და მოსწავლენიც ჯარისკაცებივით ოთახში შებრახუნდნენ.

დაიწყო მეცადინეობა. მღვდელი თავისუფალი იყო.

დღეს სოფლის აბრეშუმის პარკის გაყიდვის შესახებ კანცელარიაში კრება იყო დანიშნული. რამდენიმე გლეხი უკვე მოვიდა, მათ შორის შოთაც.

მამა ანტონმა დაინახა თუ არა შოთა, მაშინვე მასთან მიეიდა. იცოდა, რომ შოთასთან საქვეყნო საქმეებზე უნდა ელაპარაკნა და ყოველ თავის ნათქვამს უკვირდებოდა და სწონიდა — ხეპრული არაფერი ეთქვა და დღევანდელი ცხოვრების უცოდინარობა, ან აზრებით ჩამორჩენა არ შემეტყოსო. შოთასაც გულდასმით უსმენდა, ყველაფერს უჯერებდა, არც ერთ მის ნათქვამში ეჭვი არ შეუტანია. მხოლოდ ხანდახან, რათა ეჩვენებინა, რომ ნასწავლია, სემინარია დაუსრულებია და ამა თუ იმ მწერალთა თხზულებანი წაუკითხაეს.— სხვადასხვა ნაწერებში გატარებულ აზრს იტყოდა, მაგრამ შიშით, მოკრძალებით: შეცდომა არ მომივიდეს და არ შევრცხვეო. მართალია, ანტონი ხედავდა, რომ ამ მხრივ შოთაზე მაღლა იდგა, მაგრამ, მეორე მხრივ, რწმუნდებოდა, რომ ყველაფერი ის, რაც თვითონ წარმოთქვა, დღემდე ხელუხლებლად ეწყო გონების საკუჭნაოში, ხოლო ის კი, რასაც შოთა ამბობდა, დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებელი რამ იყო, უსაჭიროესი. შოთას აზრები ხორცშესხმულნი იყვნენ, მისი კი გაყინული, მკვდარი.

ამას კარგად გრძნობდა მამა ანტონი და ასე ფიქრობდა:

უთუოდ ჩავუჯდები, მაინც ბევრი დრო მაქვს, და ყველაფერს შევისწავლი... ახალ აზრებს გავეცნობი, მეც ხომ კაცი ვარო. და ისეთ გუნებაზე დადგა, რომ მზად იყო შოთას წინაშე აღსარება ეთქვა, გადაეშალა გული და დაენახვებინა, რომ კაცია, ისიც იყო ერთ დროს გატაცებული ხალხის სამსახურის იდეებით, უოცნებია საზოგადო მოღვაწეობაზე, მაგრამ ულმობელმა ცხოვრებამ ჩაითრია, თავის ყაიდაზე წაიყვანა და თავისი მრწამსი დაავიწყა.

ასე არასოდეს არ მორბილებია ანტონს გული, ასე განსაწმენდად არასოდეს არ მომზადებულა. თავისი თავი დამცირებულად, დამდაბლებულად და მიწასთან გასწორებულად დაეხატა; შოთა, უბრალო მუშაც კი მასთან შედარებით ყველასათვის საჭირო ადამიანი იყო დღევანდელ ცხოვრებაში.

ხმა აუთრთოლდა, შიგ სათუთი, გულის სიღრმიდან ამონაგლეჯი გრძნობა ჩააქსოვა და თავდახრილმა უთხრა:

— ეხ! ძმაო შოთა, ცხოვრება ძნელია, ძნელი. ჩაგითრევს კაცს, ჩაგიტყუებს ორმოში და მერე, რაც უნდა ეცადო, იქიდან ვერ ამოხვალ, ცოცხალი თავით ვერ დასტოვებ ამ საშინელ ორმოს. ცოლი, შვილი, მტერ-მოყვარე, მშობლები, ყველა იმას ცდილობს, რომ ამ ორმოში იყო, ყველა გზას გიღობავს. თუ ერთხელვე დაეშვა კაცი იმ საშინელ ხაროსაკენ, მერმე ხსნა არ არის, ტყუილა შველას ნუ ელი, — მღვდელმა თმა გაისწორა, ქუდი მუხლზე დაიდო და განაგრძო: — მაგალითისათვის მოვიყვან ჩემს თავს: ვაკვირდები ჩემს აწმყოს, ვიგონებ წარსულს და ცრემლით მევსება თვალი. რას ვეტრფოდი და რა ვარ? რას ვეძებდი და რა ვპოვე? განა იმას ვიფიქრებდი, რომ მღვდელი ვიქნებოდი, დედაკაცის კაბას ჩავიცვამდი, მათხოვარივით სოფლად კარიკარ ვივლიდი და ღარიბ ხალხს ტვირთად დავაწვებოდი? ეეხ! როცა მესმის ჩემი ამხანაგების დაწინაურება, ცრემლი მადგება. ბევრი მათგანი კაცი შეიქნა, სამშობლოს გამოადგა, ხალხს თავი შესწირა, არ შეუშინდა ციხეს, ციმბირს, შიმშილს... მწერლობენ, ხალხს უძღვიან, მოღვაწეებს ეძახიან... მე კი... მე? განა მეც მათთან არ ვიყავი? მათთან ერთად არ ვემზადებოდი სამოღვაწეოდ?.. ვინ იცის, რამდენი იდეალი მეხატებოდა წინ, რაზედ არ ვოცნებობდი!.. დღეს კი ამხანაგებში გამოვწყდი, ვინც მძულდა და მეზიზღებოდა, იმის სახით დავდივარ! რაა ჩემი ყოფნა, ჩემი არ-

სებობა? რომ ცოლ-შვილი არა, სინდისს ვფიცავ, ყველაფერს თავს დავანებებდი და სადღაც გადავვარდებოდი.

შოთა გულდასმით უსმენდა ანტონს. სიბრალული იგრძნო მისდამი, აღსარებამ გული აუჩუყა.

— განა პატიოსნებაა ეს ჩემი მხრივ? — განაგრძო ანტონმა, — რაც არ გწამს, იმას როგორ უნდა ემსახურებოდე კაცი? რა საქმეც შენი სულისა და გულის წინააღმდეგია, იმას როგორ უნდა ასრულებდე ადამიანი? რა ჩემი საქმეა მღვდლობა, როცა მისი დედაბოძი არა მწამს! ვის რას უკეთებს ჩემი მოქმედება, ვისთვისაა საჭირო? განა მე რომ არ ვიყო და ყველა ჩემისთანებიც, ვითომ რამე დააკლდებოდა ხალხს? განა ვერ იცხოვრებდა? სიცრუე თანდაყოლილი სენია კაცობრიობისა. მაგრამ მე რად შევიქენი ამ სიცრუის მოციქული? რად შევიქენი იმის ბურჯი და დამმაგრებელი, რის დაღუპვაც და გაქრობა ადამიანის ბედნიერებად მიმაჩნდა ერთ დროს?

— ვინ გაიძულათ, ანტონ, ამ გზას დასდგომოდით? — თანაგრძნობით ჰკითხა შოთამ.

— ვინ მაიძულა? თვითონაც არ ვიცი, ვინ! სემინარიის დასრულებისას ერთ ხანს ვიმასწავლებლე, გადაწყვეტილი მქონდა ამ ასპარეზზე დამელია სული. მაგრამ ამ დროს ჩემი მშობლები ძალიან გაჭირვებულები იყვნენ, უნდა დავხმარებოდი, ჰოდა, ჩემი ჯამაგირი რას მიშველიდა! ამავე ხანებში ერთ მღვდელს მზითებიანი ქალი ჰყავდა. ის ქალი შემიყვარდა, ალბათ, მზითევის გამო. ახლა ასე ვფიქრობ, თუმც მაშინ, ვინ იცის რა საღებავებით არ ვამკობდი ჩემს გრძნობას! შევირთე, სული მოვითქვი. პირველად, როცა სიმამრი მეუბნებოდა: მოვკვდები და ჩემი ადგილი შენ დაიჭირეო, სასაცილოდაც არ მყოფნიდა, სამასხაროდ ვიღებდი. შვილები შემეძინა, ცოლ-შვილის სიმძიმე ვიგრძენი. დავრწმუნდი, რომ ქონება ცუდი არ იყო და როცა ჩემი სიმამრი მიიცვალა, დიდი ყოყმანის შემდეგ, ის საქმე ვიკისრე, რაც მძულდა და რასაც ვაძაგებდი. მიკვირს, ღმერთმანი, როგორ ჩავიდინე ეს, რას ვფიქრობდი მაშინ? ერთი სიტყვით, ერთხელ ორმოსკენ დაშვებულმა თავი შევიმაგრე, თუმც კი ვამბობდი და ვფიცავდი: ის დავრჩები, რაც ვიყავი, ვფიცავდი, რომ მღვდლის ფორმაში იმაზე მეტს გავაკეთებ, რაც გამიკეთებია-მეთქი. ვფიქრობდი მომეფინა ხალ-

ხში სინათლე, ჭეშმარიტება... მაგრამ ნათლად დავინახე, რომ გარს ათასნაირი წინააღმდეგობანი მეხვია. ჭეშმარიტების გზაზე ვივლიდი, უნდა მომეჭრა ის შტო, რომელზედაც დაყრდნობილი ვიყავი... და ვარ ის, რასაც მხედავ. ვიცი, რომ ბევრს ვძულვარ სოფელში, ჩემი ძვირად სჯერათ, ხშირად ადამიანადაც არა მთვლიან. ხალხმა სხვა ჩემისთანებთან ერთად მეც რაღაც გულქვად დამსახა, იქნებ ეს მართალიც იყოს, მაგრამ... ეხ... ღირს კი ყველა ამაზე ლაპარაკი? განა მოსაგონია ასეთი ფუჭი ცხოვრება?

მამა ანტონი კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, რომ ხალხი არ შეგროვილიყო მათ გარშემო.

XIV

შუადღემ მოატანა.

კრება დაიწყო. გაცხარებული მსჯელობაა. სასწავლებლის დერეფანი და მოაჯირი ხალხით გაიჭედა.

კრების მსჯელობა ხანდახან ცხარე ხასიათს იღებდა. სოფლის რამდენიმე თავკაცი, რომელნიც შარშან თვითონ ყიდულობდნენ პარკს, ერთობ ცხარობდნენ და თავს შეურაცხყოფილად თვლიდნენ, როცა მათ შარშანდელ საქციელს აკრიტიკებდნენ. ცდილობდნენ თავის მართლებას და კეთილის მყოფელად ეჩვენებოდნენ ხალხს.

— ჩვენ რომ არ გვეყიდა, იმასაც ვნახავდი, რა ფასებშიც გაასაღებდით! ისევ ჩვენ გვიმადლეთ, ბიძია!

— ჩვენ ავწიეთ ფასი და ახლა რას გვეუბნებიან?!

— ხალხის მტრებს გვეძახის, მაგრამ არც თქვენი გაკეთებული გვინახავს.

— გიცნობთ რა შვილებიც ხართ, გიცნობთ!—ეუბნებიან „თავკაცებს“.—რა მუცლის გვრემაცა გაქვთ. ვიცით... წელსაც გინდათ პარკის ყიდვა თქვენ დაგრჩეთ. ხალხის ინტერესების დაცვაზე ლათაიებს თავი დაანებეთ, ჯობია პირდაპირ თქვათ, რომ საკუთარ ჯიბეს ემსახურებით.

„თავკაცები“ ხედავდნენ, რომ ყველაფერი შოთამ და მისმა ჯგუფმა დამართა მათ და კბილებს ილესავდნენ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

— დედას გიტირებთ! — ჩურჩულებდნენ ერთმანეთში,

ხალხის ნდობა შემოეცალათ, კბილებს აკრაჭუნებდნენ, ემდურიროდნენ მღვდელს და მასწავლებელს.

მამა ანტონს გული ლმობიერებით ევსებოდა, შოთას სიტყვას ხარბად იჭერდა, თვითონ ლაპარაკში მორცხვი იყო. მართალია, საყდარში ბევრჯერ უთქვამს ქადაგება, განსაკუთრებით მღვდლობის პირველ ხანებში, მაგრამ იქ სულ სხვა იყო, მოკამათე არავინ ჰყავდა. აქ კი, კრებაზე გამოსვლა არც ისე ადვილია: გიპასუხებენ, შენს ნათქვამს ათასნაირად გადაქექავენ. ეს ძალიან აშინებდა ანტონს და იშვიათად ლაპარაკობდა. მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ილაპარაკებდა, როცა დარწმუნებული იყო თავისი აზრების უტყუარ ჭეშმარიტებაში და მასთან, რაც უმთავრესი იყო, თუ ატყობდა, რომ მისი ნათქვამი ხალხს მოეწონებოდა. ლაპარაკის დროს ღელავდა, თრთოდა, ხან აზრების გამოთქმას ვერ ასწრებდა, იმდენი გრძნობა ეხვეოდა, ხან კი სულ დაიბნეოდა და მოულოდნელად გაწითლებულს რაღაც უხერხული მოძრაობით და გამომეტყველებით სიტყვა უნდა შეეწყვიტა. ამით ყველა მიხვდებოდა, რა მდგომარეობაშიც იყო ანტონი.

მაგრამ ახლა შოთამ გამბედაობა შემატა. რაკი შეატყო, რომ მისი ნალაპარაკევი მოსწონდა შოთასაც და მის ამხანაგებსაც, ცოტათი გათამამდა...

— მამაო, რა კარგი ყმაწვილია ეს ჩვენი გიგო ბროლიძის შვილი! — ამ სიტყვებით ანტონს ფიქრები შეაწყვეტინა გაბრიელმა.

— როგორ, გაბრიელ? — დაბნეულად შეეკითხა ანტონი.

— კარგი ყმაწვილია-მეთქი, შოთა.

— ოო, კარგი, ძალიან კარგი, ჭკვიანი.

— მამაო, მაგის შესახებ ჩუმად მინდა მოგელაპარაკო, თუ დრო გექნება. მეც ძალიან მომწონს ეგ ბიჭი და... რას იტყვი, ზედსიძედ რომ შემოვიყვანო, რას მირჩევ?!

ანტონს ძალიან ეამა და დიდი დახმარებაც აღუთქვა.

კრება გათავდა. ხალხი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდა.

— ვნახოთ, ჩვენზე უკეთეს მუშტარს ვის იშოვით! — იმუქრებოდა ერთი „თაეკაცი“.

— აჰყევით ძველებურად ბიჭბუჭებს, მაგრამ გავიგებთ, რა კვერცხებსაც გამორჩებით, — უმატებდა მეორე, — რასაც მოიგებთ, ბოლოს გაიგებთ.

— კარგია, გეყოფათ! არ გვეშინია თქვენი მუქარის, ჩვენ აპეკუნები არ გვეჭირდება.

ყველა სადილისათვის მიიჩქარის.

ანტონი დღეს თავისი თავის კმაყოფილია, შოთას ღიმილით გამოემშვიდობა და უთხრა: დიდად სასიამოვნოდ დამირჩება, თუკი კიდევ ერთად მოგვიხდება ლაპარაკიო.

XV

ერთ საღამოს ჩაფიქრებული შოთა საყდრის გალავანში იჯდა. გამოურკვეველი სიამოვნებით დაჰყურებდა მშობელ სოფელს, თამრიკოს მამის კარ-მიდამოს. სატრფოს ელოდა, დაპირდა მოვალო.

„ნეტავ რად დაიგვიანა ასე? რა მოუვიდა?!"

დიდხანს იყო შოთა სულგანაბული. ადგილიდან არ იძროდა. ერთ გრძნობას, ერთ აზრს შეებოჭა ყმაწვილი, მიწაზე დაელურსმა, აღარ უშვებდა.

— ვინ მოდის? თამრიკო, შენ?

თამრო ბალახებს ფეხს არ აკარებდა. კი არ მოდიოდა, მოფრინავდა და თან მორცხვად იღიმებოდა.

— რად არ იძვრი, გენაცვალე, შემომეგებე!—შემოსჭიკჭიკა თამრომ.

შოთა კი გაქვავდა, ხმა ვერ ამოიღო. სულისთქმა შეუჩერდა.

— შოთა!....

— თამრო!...

მოსწყდნენ ადგილიდან. წამი და თამრო განზე გახტა, ვით ირემი, ხელები გაშალა, გადაიკისკისა.

— ხა... ხა... ხა!... აკი გითხარი გუშინ, სანამ ჯვარს არ დავიწერთ, ჩვენ და-ძმანი ვართ-მეთქი.

— განა ეჭვი შეგაქვს ჩემს სიყვარულში?

— შოთა არ მომიკვდეს, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყო.

— არა გწამს ჩემი!

— რა ვქნა, შენ თვითონ იფიქრე, მე უბრალო სოფლის ქალი ვარ, ჩემი მშობლების იმედი.

— თამრიკო, პირდაპირ მითხარი, გჯერა თუ არა ჩემი სიყვარულის?

— მჯერა, ვფიცავ ჩემს ახალგაზრდობას, მჯერა. მაგრამ მოიგონე გუშინდელი ნალაპარაკევი! აკი შენ თვითონ მითხარი, რომ სულ ამ ორი თვის უკან ერთი ქალი მიყვარდა... და მერმე შენ შემიყვარდიო. ვინ იცის, იქნებ მეც შემიძულო.

— თამრო, მეორედ არ თქვა მაგ სიტყვები, არ გაიმეორო.

— პირობას ვერ მოვცემ. როცა მომაგონდება, რომ შენ ოდესმე სხვა ქალი გიყვარდა, ეკლად დამესობა. მე ხომ შენი ვარ, ჩემი გული ხომ შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის.

— აბა, ჩემი გული ვის ეკუთვნის?

პასუხის ნაცვლად თამრომ ველს გასცინა.

— თამრო, სიცილი უადგილოა! რით დაგიმტკიცო ჩემი სიყვარული?

— ჯვარი დავიწეროთ.

შოთა ჩაფიქრდა. თამრომ განაგრძო:

— მართალი უნდა გითხრა, რომ გუშინდელი შენი ნალაპარაკევიდან ბევრი ჭკუაში არ მომდის. განა შესაძლებელია ჩვენი ერთად ცხოვრება ჯვარდაუწერლად? სიყვარული სიყვარულია, მაგრამ ჯვარის დაწერაც აუცილებელია. სხვაგვარი ფიქრი ყოვლად შეუძლებელია. ნუ გეწყინება და კიდეც დამაეჭვა შენმა ლაპარაკმა.

— როგორ. ვითომ მე შენი მოტყუება მინდა?

თამრომ გადაიკისკისა. მზად იყო ეთქვა — ყველაფერი შესაძლებელიაო.

— მაშ აგრე, არა? ძალიან კარგი, მზად ხარ, რომ ახლავ ჯვარი დავიწეროთ?

თამრიკო ათრთოლდა.

— თქვი, გელოდები!

— რა ვთქვა? ხომ არ გაგიჟდი?!

— თამრო, მე მართალს გეუბნები.

— ასე ვის გაუგონია?!

— აი საყდარი, სულ ორი ფეხის ნაბიჯზეა. მღვდელიც, აი, იქ ცხოვრობს. მე მივდივარ. ახლავ აქ გავჩნდები მე და მღვდელი.

შოთა წავიდა

თამრო ბალახში იჯდა. რაღაც შიშს გრძნობდა.

— რა ამბავია ჩემს გარშემო? წავიდა, მღვდელს მოიყვანს. ჯვარს დავიწერ! მერე?... რა მოულოდნელი ბედნიერებაა! რას მოვესწარი, რას ვხედავ?! მე ქმრიანი ქალი ვიქნები! შოთა იქნება ჩემი ქმარი. დედიკო, დედა! აი, კიდეც მოდიან. სიზმარია, თუ ცხადი?!

თამრო შეშინდა, სირცხვილმა აიტანა...

მამა ანტონი იცინის, კმაყოფილია, რომ შოთას აამებს, მის გულს მოიგებს. პირველად კი, ცოტა არ იყოს, შეფიქრდა: როგორ დავწერო აგრე ჯვარი, რაიმე სასჯელი არ შემხვდესო.

— გამარჯობა, თამარ!—მიესალმა მღვდელი.

თამრომ თვალი ვერ გაუსწორა.

— წავიდეთ,—უთხრა შოთამ.

— სად?

— ხომ თანახმა ხარ, შვილო, თამარ? — შეეკითხა მღვდელი. — შენი სურვილი თუა, სხვისი დარდი ნუ გექნება. დედამამის შიშს ნუ გაივლებ. ხომ იცი, შენს მშობლებს ყველაფერში დავიყოლიებ. გაბრიელი, მე ვიცი, თანახმაა.

თამრო დიდხანს ხმას ვერ იღებდა. შოთა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, გაწითლდა, ხან მღვდელს უცქეროდა, ხან თამროს. მღვდელმა კითხვა გაიმეორა.

ბოლოს თამრომ თანხმობის ნიშნად მღვდელს მორცხვად შეხედა. და აი უკვე საყდარში არიან. მღვდელი დიაკონს ეძებს...

სიჩუმეა... საყდრის კუთხეები დაჩრდილულია.

კანკელს შავი დოლბანდი აფარია.

ხატები საიდუმლოდ გამოიყურებიან.

გამოხედვა მიმკვდარებიათ, თვალები გაყინვიათ.

სიკვდილი მეფობს,გაციებულა იქაურობის სული და გული. უთანაგრძნობოა, უსიცოცხლო.

თამრო კარებთანაა. თრთის.

— რა იყო, გენაცვალე, რა გატირებს? ბავშვი ხომ არა ხარ?—ჰკითხა შოთამ.—თამრო, გენაცვალე, მე ხომ ძალას არ გატან?... მაშ რა გატირებს, რა იყო? თუ შენი ნება არ არის, ისე...

კარის ჩრდილში მიიმალნენ, შოთამ ხელები დაუჭირა.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე... ახლა ნუ.. ნუ, ნუ!..— ეხვეწება თამრო.

— თამრო, ჩემო...—ამის თქმაღა მოასწრო შოთამ, გულში ჩაიკრა...

— კმარა, გენაცვალე... კმარა.... ნუ... ნუ..

შოთა მოშორდა.

თამრო ჩრდილში დარჩა.

— ღმერთო ჩემო!... რა იყო ეს? რა მოხდა? უსიცოცხლო კოცნა, მოუხეშავი. ნუთუ მეტი არაფერი უნდა მეგრძნო?

შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, დამცირებულად.

სიყვარულს მოეხსნა საოცნებო თექა, დაეკარგა მიმზიდველობა და საშინელი მარტოობა იგრძნო თამრომ. სულ ერთი თვე თუ იქნება, რაც შოთა შეუყვარდა. ეს ხანა ოქროსია, დაუვიწყარი, სანეტარო. ახლა კი!.. ჯვრისწერის დრო მოვიდა. როგორც უთხრეს, მაშინვე წინ წარსდგა. შეშინებულია, თითქოს ანგარიშს არ აძლევს თავს. ასე ჰგონია. სადღაც ინთქება, ჯურღმულში ვარდება. ერთ წუთს ის იყო უნდა წამოეყვირა—მიშველეთ, ამომიყვანეთ აქედანო, მაგრამ თავი შეიმაგრა.

ჯვრისწერა დასრულდა.

კარში გამოვიდნენ. მღვდელმა დაარიგა, დააიმედა თამრო.

— ნუ გეშინია, ბავშვი ხომ არა ხარ, ჩემო შვილო, — ეუბნებოდა მღვდელი, — მშობლები არას გეტყვიან, ჩემზე იყოს ყველაფერი. პირველად ერთს კი შეფუცხუნდებიან, მაგრამ მაშინვე დავაწყნარებ, შენ დარდი ნუ გაქვს... კიდეც გაეხარდებათ.

თამროც გათამამდა, გულს დარდი გადაეყარა, საღამოს ნიავმა გამოარკვია. ღელვისგან მოდუნებული სხეული თითქოს განუახლდა, გამოეცვალა, მეტის მღელვარებისაგან გამოწვეული გულის ძგერა დაუნელდა.

წამოვიდნენ.

შოთა და თამრო დარცხვენილნი მოდიოდნენ.

მღვდელი კარგად გრძნობდა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. თან კმაყოფილი იყო, შოთას გული

რომ ასეთნაირად მოიგო. მაგრამ ერთი რამ უკვირდა: დარწმუნებული იყო, შოთას არც ღმერთი სწამდა, არც ხატი, არც ჯვრისწერა და არც სხვა ასეთი. „თუ ასეა, მაშინ თვითონ ჯვარი რად დაიწერაო?!“ — ფიქრობდა გაოცებული ანტონი.

XVI

თამროს მშობლები ავარდნენ და დავარდნენ. სიდონიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ლამის გაგიჟდა, მეზობლები შეყარა. რომ ღვთისნიერი ქალი არ ყოფილიყო, უთუოდ დიდ შეურაცხყოფას მიაყენებდა მამა ანტონს ასეთი საქციელისათვის. პირველად ლამის დასაგლეჯად მივარდა: შენ გამიბახე ოჯახი, შენ მომტეხე ძვალი, ქვეყანაში თავი არ გამომეყოფაო, — ეკაპასებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, თამრო მაინც ჯვარდაწერილი იყო.

— ჩემს თამროს ვინ არ ითხოვდა? მე შენ გეტყვი ლამაზი არ იყო, გაზრდილი არ მყავდა? ასე გაბახებულად უნდა დაეწერა ჯვარი? ვის გაუგონია? სად ნახულა?! მაჭანკალი უნდა მომსვლოდა, თეთრები უნდა შეეკერა, ოცდაათი ფაიტონი უნდა გაჰყოლოდა საყდარზე. სასახელო ქორწილი უნდა გადამეხადა. მტრისათვის თვალი უნდა დამევსო, ოჯახი გამემხიარულებინა, ეს იყო ჩემი ერთადერთი გამამხიარულებელი და ვინ მომჭრა თავი?! რა უნდოდა ღარიბი კაცის ხელში ჩემს შვილს?! ისეთი მდიდრისათვის უნდა მიმეცა, რომ ოქროს ტახტზე დაესვა. ჩემი ლამაზი შვილი სწორედ რომ ოქროს ტახტის ღირსი იყო!

გაბრიელიც გვარიანად შეწყრა, მაგრამ მალე მოლბა.

შოთა და თამრიკო კი შეგროვილ ხალხში იყვნენ და მოლოცვებს ღიმილით ღებულობდნენ. შეუწყვეტელი ოხუნჯობა და სიცილი იყო.

— ქორწილის გადახდას ვადა ჯერ კიდევ არ წასვლია, ჩემო სიდონია, — ღიმილით უთხრა მღვდელმა, შენ ოღონდ გული დაიწყნარე და ისეთი ქორწილი გავაჩაღოთ მე და გაბრიელმა, რომ ქუდი სულ ჭერში ვისროლოთ.

— მემასხრები, მამაო? ღმერთო შეგცოდე და ახლანდელი არც მღვდელია ქრისტიანი და არც ერის კაცი! რას ჰგავს ეს, სად ნახულა? ქალიშვილი ამას რავა უნდა ბედავდეს? გაირ-

ყვნა ქვეყანა, გაფუჭდა. მერე ვის წაჰყვა ჩემი შვილი, ვის?! ყოველ წამში დაჭერა რომ მოელის ისეთ კაცს, სამი წელიწადი ციხეში იყო. ხელმწიფე მას არ წამს და ღმერთი!

ბევრი იჯავრა სიდონიამ. ბოლოს გაბრიელმაც კი ურჩია, დაწყნარებულიყო.

— შე გამოჩერჩეტებულო, ბერიკაცო, — მიაყვირა ცოლმა, — შენი ბრალია ეს, შენი, თვარა თამრო ამას ვერ გამიბედავდა!

დიდხანს იყაყანეს. დასასრული, რასაკვირველია, ახალ ჯვარდაწერილთა გამარჯვება იყო. მეორე დღეს უნდა გადაეხადათ ქორწილი, იმ ღამეს კი ცოტა ვახშამი იკმარეს.

დილაზე ადრიანად ვიღაც მოადგა გაბრიელის ჭიშკარს. ცოლ-ქმარი ახალი ამდგარი იყო. სიდონია თავშეხვეული იჯდა და ქმარს ებუზღუნებოდა.

— მგონი პეტრე მღვდელია, — თქვა გაბრიელმა და ჭიშკარს მიაშურა.

— დილა მშვიდობისა, მამაო!

— დილა მშვიდობისა! — ჩუმად მიესალმა მღვდელი. — გავიგე, ჩემო ერთგულო ღვთის მოყვარე გაბრიელ, შენი პატიოსანი და ქებული ოჯახის გაუპატიურება და გამოვიქეცი მაშინვე. რა მოგსვლია, რავა დაღუპულხარ?! ვინ გაგლანძღა ასე? ვინ გაგაბახა ქვეყანაში?! კაცი იყავი, სახელოვანი, ცნობილი, შენი შვილი ყველასათვის სამაგალითო ყოფაქცევის იყო და ეს რა მოგვივიდა, რა გიქნეს?!

გაბრიელი უსიტყვოდ მიჩერებოდა მოხუცს და არ იცოდა, რა ეთქვა.

— ხომ იცი, ვინ გიქნა ეს შენ? ვინ გამოგჭრა ყელი? მაგ მღვდელმა გარყვნა ჩვენი სოფელი, მან გააფუჭა ხალხი, ღმერთი გადაავიწყდა ყველას. საკურთხი არ სწამს, არავის არ შემოატაინა საყდარში, საწირავს არაფრად აგდებს, წირვა-ლოცვა ფეხებზე ჰკიდია. დაგიმტკიცებ, რომ ღმერთიც არ სწამს. რაც მაგ დანიშნეს ჩვენს სოფელში, ხალხს სარწმუნოება შეერყა. მანამდე ყველას სჯეროდა ჩემი სიტყვა და მერე კი არაფრად არ მაგდებენ. გინდა მღვდელი შეხვედრიათ და გინდა ძაღლი. გარყვნა მთელი მრევლი, მაგისთანებია, რომ სარწმუ-

ნოებას ძირს უთხრიან... აფსუს ჩვენი დრო, განა ასე იყო მა-
შინ?!

სიდონიამ შეატყო, რომ პეტრე მღვდელი, როგორც მისი ოჯახის მოჭირნახულე, თამროს გამო მოვიდოდა, არ დაუდგა გული და ჯავრის ამოსაყრელად მანაც ჭიშკარს მიაშურა.

— მამაო პეტრე, ხედავ ჩემს შერცხვენას და თავსლაფის დასხმას? პატიოსანი შვილი გავზარდე მეგონა, და შეხედე რა მიქნა?!

— ახლანდელ დროში სადღაა პატიოსნება, ჩემო სიდონია! სადაა ნამუსი და სირცხვილი? გაფუჭდა ქვეყანა! ძველ დროში ამას როგორ გაბედავდა ან მღვდელი და ან ერის კაცი? მაგრამ ახლა ყველაფერი დაღმა მიდის, იღუპება ქვეყანა. მემრე როგორ ფიქრობ, ჩემო სიდონია, ვისი ბრალია ეს?

ამ სიტყვებით პეტრემ სიდონიას ჯვარი გადასახა და ხელზედაც იმთხვია.

— ეშმაკის და უხილავის, მამაო, აბა, ვისი ბრალი იქნება?!

— მართალი თქვი, მართალი. მერე, იცი, ვინაა ეს ეშმაკი და ბოროტი სული ჩვენში? ეს ჩვენი ახალგაზრდა მღვდელია, ანტონი. იმან და იმისთანებმა გაგვიტეხეს ძველ მღვდლებს სახელი და გარყვნეს ხალხი. მაგ რომ არ ყოფილიყო ჩვენ სოფელში, ხალხი ძველებურად ღვთისნიერი იქნებოდა. რომ მაგ წაწყმენდილს და ღვთის პირიდან შეჩვენებულს ჯვარი არ დაეწერა, შენი შვილიც პატიოსნად გეყოლებოდა. ეპისკოპოზის ყურამდე მივიყვან ამ საქმეს, სინოდს შევატყობინებ... თვარა გათამამდება და, ვინ იცის, რას არ იზამს!.. თუ არაფერი უთხარი, ყველას გადაწერს ჩვენ სოფელში ასე ჯვარს, არც ნათესაობას დაეძებს და არც ღმერთს. თქმასაც არ დავაჯერებ. თუ არ გაპარსეს, ამ სოფლიდან მაინც გადავაყვანინებ. მოვიშორებთ თავიდან, მაინც ყველას სძულს. არზას მივართმევ ეპისკოპოზს. შენც უნდა მხარი დამიჭირო. მაგან დაგღუპა, შეგარცხვინა და სად უნდა გამოჩნდეთ?! აქნობამდი პატიოსანს გეძახდნენ, ქუდი გეხურათ. ვინ გაგიხადა სიძედ? ვისი შვილი? ახლავე დაიჭირავენ და გააციმბირებენ. იცით? ეს ხომ იცით? პრისტავი დაეძებს. დასაბუთებული არზა წარვუდგინოთ ახლავე ეპისკოპოზს, დაქორწინებასაც მოშლის და ამ მღვდელსაც გაპარსავს. შენ თუ გამაგრდები, მაგ ქორწინება ისე ჩაიარს,

როგორც ხახვი. დედ-მამის უმისოდ ნება არ ჰქონდა ჯვარი დაეწერა. მოწმობა არ აუღია, ხალხში არ გამოუცხადებია — ეგება ნათესავებიც კი იყავით. ერთი სიტყვით, აუარებელი საბუთებია. ოღონდ თქვენ გამაგრდით და მხარი დამიჭირეთ და მე ვიცი და მაგან. ახლა ეს მითხარით, სადაა თამარი? შოთა ხომ თავის დედ-მამასთანაა?

— ორივენი აქ არიან, ოთახში, — თქვა გაბრიელმა და ჩაფიქრებულმა პირი იბრუნა.

— როგორ?! დაწოლის ნება...

— გაგვიწყრა ღმერთი და... — ამოილუღლუღა სიდონიამ. მღვდელს პირკატა ეცა. შერცხვა, გაწითლდა. მიწა რომ გახეთქოდა, ის ერჩია. ცოლ-ქმარი თვალს არიდებდა, რათა მღვდლის უხერხული მდგომარეობა კიდევ არ გაეუარესებინათ.

პეტრემ მსწრაფლ იბრუნა პირი და ბურდღუნით შინისკენ გასწია.

XVII

მამა ანტონი ბაღჩაში იჯდა. მაგიდაზე ქაღალდები ელაგა. თმას ივარცხნიდა. თავს ტალავარი ადგა, გადაცვარული, ვაზის ფოთლებით შემოსილი... მღვდელი ცდილობდა ვენახის ყლორტებისათვის ხელი არ წამოეკრა — ეშინოდა ქაღალდებზე ნამის დაწვეთების.

— გოგო, ეპრასია, გოგო! ამ წიწილებს მოხედე! რად გამოუშვი ნამიან ბალახში? — გასძახა გოგოს და ღიმილით დააცქერდა კრუხის ოჯახს.

შემდეგ ქაღალდებს დაუწყო ჩხრეკა. ძველისძველი ხელნაწერი მეტრიკული წიგნი იყო, რაღაც ცნობები უნდოდა. შლის ოცდაათი-ორმოცი წლის უკან მღვდელ პეტრეს მიერ ხელმონაწერ ქაღალდებს და ეღიმება, თან ფიქრობს: სწორედ ასე აწერს ახლაც ხელს ჩვენი ხუცესი, არც წინ წასულა, არც უკან, რაც ორმოცი წლის წინ ყოფილა, ისაა ახლაც.

ამასობაში დიაკონი მოვიდა და უამბო, რომ ამ დილაზე პეტრე გაბრიელისას იყო და საშინლად გვექადნებაო.

ანტონს თითქოს თოფი მოხვდაო. მოკვდა კაცი, მოეშალა მთელი სხეული, მოეშხამა, თავზარდაცემული სკამს გადააწვა,

თავი შეუმჩნევლად ეაზის ბარდებში გადაჰკიდა. ნამის წვეთები აცვივა, მაგრამ ვერას გრძნობს.

— ღმერთო, ეს რა ვქენი, რა მომივიდა! დავიღუპე თავი, ცოლი, შვილები! ყელი გამოვიჭერი, ვინ მრჯიდა? ვყოფილიყავი ჩემთვის, დავტეულიყავი ჩემს ქერქში! რას ვწერდი ჯვარს? რაც უნდოდა, ის ექნა იმ ოჯახდასაქცევს! შემომიჩნდა და დამიმეგობრდა, ხათრი ვერ გავუტეხე, შემრცხვა. ახ, ღმერთო, ცოლო და შვილო!

უადგილობა და ლუკმაპურის დაკარგვა მთელი თავის საშინელებით გამოესახა. ამ დილას თუ თავისი თავის მადლიერი იყო და უხაროდა, რომ შოთა სამუდამოდ დაიმეგობრა, ახლა ყველაფერი დაღუპულად ეჩვენა.

— სწორედ დამღუპა,ამომაგდო იმ კაცმა! ჩაიდგა ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში ფეხი!

სადილობამდე ასეთ მდგომარეობაში იყო, არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი, ხმას არ იღებდა. სადილობაზე კი, როცა გაბრიელისას მეორედ მიიწვიეს, ცოტათი გათამამდა, გული მოიბრუნა.

შოთა და გაბრიელი მხიარულად შეხვდნენ ანტონსა და მის ცოლს, მღვდელიც აქ იყო, საუკეთესო ადგილს მოეკალათებია და სანამ სადილს მიართმევდნენ, სული მისდიოდა. ქვაბის ყოველ გარაწკუნებაზე ყურებს ცქვეტდა.

სიცილ-კისკისი იყო, მხიარულება. ყველაზე უწინ ხელზე გიგო ბროლიძე ემთხვია. გახარებული იყო, გაბრწყინებული. როცა ანტონმა მიულოცა შოთას დაქორწინება, სიხარულით რა ექნა, არ იცოდა.

— მამაო ანტონ, აქ მობრძანდი, აქ მშვენიერი ჩრდილია, — დაუძახა პეტრემ.

პეტრეს ხმამ ყველას ყურადღება მიიქცია. გაეღიმათ, კარგად იცოდნენ, თუ როგორი მოუთმენლობით მოელოდა ხუცესი სადილს.

— ჩვენს ხუცესს არ მოშივდეს, ხუცესს, ის თუ გაძღა დღეს, გაბედნიერდება ჩვენი სოფელი! — ოხუნჯობდნენ სტუმრები.

ანტონიც ღიმილით წავიდა პეტრესკენ. გააბეს მუსაიფი.

— ანტონ ჩემო, სწორედ რომ მოიკიდე იმათი მადლი, ჯვარი რო დაწერე, — უთხრა პეტრემ.

— რა გაეწყობა, ღმერთს ასე გაუჩენია.

ანტონს სინდისი ქენჯნიდა, რცხვენოდა თავისი თავის. „სწორედ დიდი მშიშარა ვარ! წეღან ქვეყანა დამექცა მეგონა! ვფიქრობდი, რომ ყველა ჩემი მტერი იყო და ნამდვილად კი კარგად მიმიღეს. არავის ჩემდამი მტრობა არ ეხატა სახეზე. ახ, რა ბედნიერებაა! პეტრეც, შეხეთ, რას მეუბნება!“

ქორწილი გაჩაღდა. მეფე-დედოფალს, როგორც წესი და რიგია, პირველი ადგილი მიუჩინეს. ყველა მხიარულობდა და ილხენდა.

საერთო მხიარულებაში მხოლოდ შოთას და — კესო არ იღებდა მონაწილეობას. მართალია, სხვების შესახედად ისიც ვითომ მხიარულობდა, მაგრამ ხანდახან ისე ამოიხვნეშებდა, თითქოს გული თან ამოატანაო. შოთას მეტი ვერავინ ამჩნევდა ამას. ჩუმად უთვალთვალებდა დას და გული უკვდებოდა. „ჩემო დაიკო, უბედური ხარ, დატანჯული. ვიცი, ჩემი ბედნიერება გაგეხარდებოდა, მაგრამ შენც ადამიანი ხარ“.

„ღმერთო, რაზედ დამბადე ასე უიღბლო, ჩემზე უმცროსები გათხოვდნენ, შვილები ჰყავთ და მე რა ვქნა, სანამდე ვიყო ასე? დავბერდი ადამიანი. ნუთუ ჩემს სიცოცხლეში ქმარზე უნდა ვიოცნებო! ღარიბის შვილი რო ვარ, არავინ ყურადღებას არ მაქცევს. ყველას ეღირსება გახარება, გათხოვება და მე რა უბედურ საათზე შევიქენი დაბადებული?! რა ხატის მტეხელი გამოვედი! შოთა ძამიკო, შოთა! ღმერთმა გაგაბედნიეროს! მაგრამ ესაა შენი ძმობა?! ამას ველოდი შენგან?!“ — გულში საყვედურობდა კესო შოთას.

თამროს და შოთას ასეთნაირად შეუღლებამ მთელი სოფელი განსაკუთრებულ ელფერში გახვია: ქალებს, ვინ იცის, რამდენ ხანს ჰქონდათ ეს ამბავი საჭორაკანოდ. ხოლო გულდაწყვეტილი და პირში ჩალაგამოვლებული ყმაწვილები კი ჯავრის მოსაკლავად „წაიყვანეს თამარ ქალი, დიელოს“ მღეროდნენ.

სხვა შემთხვევაში ამ ლექსს უწმაწურ კუდსაც გამოაბამდნენ, მაგრამ შოთას პატივისცემისათვის ასე შორს არ წასულან.

XVIII

შემოდგომა იწყებოდა.

კარ-მიდამომ ოქროს ფერი გადიკრა. მზე დაღლილად გამოიყურებოდა. გაზაფხულ-ზაფხულში მჩქეფარე სიცოცხლის ნაკადული თითქოს მოქანცულა და მოდუნებულა. ერთ დროს მქუხარე და მოჩუხჩუხე, დღეს უხალისოდ მიტბორავს, მიიზლაზნება.

შაბათი საღამო იყო. თამრო დერეფანში იჯდა და თმას ივარცხნიდა.

კიდევ ცოტა ხანი და შოთაც მოვა ყანიდან.

არსაიდან დარდი და სევდა, კმაყოფილია თამრო. ყველაფრის მადლიერია: ცის, დედამიწის, უტყვის, მეტყველის. საოცარ შვებას გრძნობს.

იცინის, იცინის.

— შოთა, შენ? რად დაიგვიანე?

— ვმუშაობდი.

— „ვმუშაობდი, ვმუშაობდი!“ რაა ვითომ, რომ არ იმუშაო, ისე არ იქნება? სხვამ იმუშაოს, შენ კი ჩემთან იყავი, ჩემთან, ჩემთან!

— სულ შენ ხომ ვერ მოგიჯდები, საქმეც უნდა გავაკეთო. მოხუცები მარტო ვერას გახდებიან.

თამრო მუხლებზე დაისვა.

— ახლა თმას დავივარცხნი, გენაცვალე, მერე ვითამაშოთ.

— კოცნა კოცნითვე გადაუხადა.

— რა გაჭირვებული ჩვენა ვართ! სულაც რომ არ იმუშაო, რა დაგვემართება? მიწა ბევრი გვაქვს და წყალი.

— თამრიკო, იცი, დღეს წერილი მივიღე ქალაქიდან.

თამროს ეშვის ნემსი დაესო.

— ვისგან? — შეეკითხა გაფითრებული.

— ამხანაგისაგან.

— აბა, მაჩვენე! უთხრა და წერილის ჩამორთმევა სცადა. შოთამ არ დაანება და თვითონ დაიწყო კითხვა.

„ძვირფასო ამხანაგო შოთა! სხვა ამხანაგებთან ერთად მეც გესალმები! გისურვებთ ბედნიერებას. ჩვენ ყოჩაღად ვართ, თუმცა უშენობა ყველას და ყველაფერს ატყვია. ამხანაგო! ყველას გაგვიკვირდა, რასაკვირველია, შენი აგ-

რე მოულოდნელად სოფელში წასვლა. მართალია, მიზეზი ცოტათი ვიცით, მაგრამ ნუთუ აგრე ღრმა იყო იგი? პირველ გაკვირვებას მეორეც მიემატა. გვეგონა, მალე ჩამობრუნდებოდი. გვიკვირდა, მაგრამ მართალი უნდა გითხრათ, რომ ყველა აღგვაფრთოვანა და გაგვახარა, როცა ჩვენს გაზეთში წავიკითხეთ შენი ვრცელი წერილი სოფლად მუშაობის შესახებ. ამ თემაზე დაწერილი ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ, გარდა ფრაზებისა, შიგ არა ყოფილა რა. სურვილების გამოთქმა ადვილია, ხოლო საქმე კი... ყველა ის კულტურული დაწესებულებანი, რაც თქვენს სოფელში დაგიარსებიათ ამ ბოლო წლებში, ყველასათვის სანატრელი და სასურველია. მაგრამ, შენი წერილის სიტყვების არ იყოს, „ესაა მხოლოდ მედალის ერთი მხარე და. უნდა ვემსახურებოდეთ მეორესაც“, მათი დაშორება შეუძლებელია. ჩვენც შენთან ერთად ამ სიტყვებში ვგულისხმობთ არალეგალურ მუშაობას. დღეს შეიძლება ლეგალური მხარე ძალაედეს მას, მაგრამ, ხომ იცი, სასწორი ხან აქეთ აიწევა და ხან იქით. ჩვენც ასე უნდა ვიქცეოდეთ. შენ ყველაფერი ეს ჩვენზე არა ნაკლებ იცი და რა საჭიროა კიდევ სიტყვა გაგიგრძელოთ?“..

— ვინ მოგიტანა ეს წერილი? — იკითხა თამრომ.

შოთას ეწყინა, ეგონა თამროც მასავით იყო ამ წერილით დაინტერესებული, ფიქრობდა, გულდასმით მისმენსო. ხმა არ გასცა და განაგრძო:

„ამ წერილის შემდეგ ჩვენ ყველანი მოხარული ვართ, რომ შენ სოფლად წახვედი და იქ შრომობ. ვინ იცის, იქნებ დღეს სოფლად მეტად საჭირო იყოს შენისთანა თავდადებული მუშაკები, ვიდრე ქალაქად...“

— რაზე არ მიპასუხე, გენაცვალე? — თამრიკომ კიდევ გააწყვეტინა შოთას კითხვა.

შოთა ახლა უფრო გაბრაზდა. გაკვირვებულად ჩახედა თვალებში. ლამის უსაყვედურა, მაგრამ თავი შეიმაგრა და გულგრილად უთხრა:

— შალვა სურათაძემ მომიტანა, დამიგდე ყური, ბოლომდე ჩავიკითხავ.

„იშრომე, ამხანაგო, შენებურად. გახსოვდეს მშრომელი ხალხი და მას ანაცვალე ყველაფერი. მისი კეთილდღეობა

ჩვენი ბედნიერებაა, მისი კვნესა ჩვენი ვაებაა... ცოტათი შევცვლით ჭაეჭავაძის ლექსს და გეტყვით: „მაშვრალთ წყლული გაჩნდეს წყლულად, გეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დაგედაგოს მტკიცე გული“. შენ კარგად იცი, ამხანაგო, რომ სოფლის მშრომელი მაჯა ჩვენ, ქალაქისას, უნდა ამოგვიდგეს გვერდით და აგრე შრომის წითელი დროშით შეუდრეკლად წინ უნდა გავსწიოთ აღთქმულ ქვეყნისაკენ. მაშ, შრომა შენებური, ამხანაგო, სიმხნევე, თავდადება საქვეყნო სამსხვერპლოზე! გამარჯვება ჩვენია!

გავიგეთ, ცოლი შეგირთავს. გილოცავთ, გისურვებთ, რომ ღირსეულ მეუღლედ გამოგდგომოდეს, შენთან ერთად ეტარებინოს ცხოვრების მძიმე უღელი.

შენი ამხანაგები: ბიქტორი, ალექსი, კირილე, მიშა, ვასო, მარო და სხვები...“

თამრომ შემკრთალივით შეხედა შოთას. თვალებში შიში ეხატებოდა. თავს რაღაც მტყუანივით გრძნობდა უკანასკნელი სიტყვების გამო. უხერხულობის გასაფანტად წერილი გამოართვა და სინჯვა დაუწყო.

— გაიგე რამე? — ნაძალადევი ღიმილით შეეკითხა შოთა.

— რატომაც ვერ გავიგებდი? ყრუ კი არა ვარ? — წყენით უთხრა თამრომ და მოეხვია, იგრძნო, რომ რაღაც გამყოფელი ხაზი იყო მასა და შოთას შორის გავლებული. დაინახა, რომ შოთამ რაღაც ისეთი რამ იცოდა, რაც მან არა და ეჭვი შეეპარა, გულმა ღრღნა დაუწყო.

— ხომ ყოველთვის გეყვარები? მითხარი!—მარტო ამის თქმაღა მოახერხა თამრომ.

— რა საკითხავია ეს, ამას რა თქმა უნდა? შენს მეტი ვინ უნდა მიყვარდეს?

— ჩემი ხარ, ჩემი! შენს თავს ვერავის ვერ დავანებებ, ვერა, სამარემდის ჩემი ხარ, ჩემი.

— ვიშრომოთ, გენაცვალე, ერთად, დაუღალავად, თავდადებულად. ხომ გაიგონე, რას მწერენ ამხანაგები: გისურვებთ ისეთი მეუღლე გამოგდგომოდეს, რომელიც ჭირში და ლხინში შენთან იქნება და მხარს დაგიმშვენებსო. ჩემი ტანჯვა შენი ტანჯვა უნდა იყოს, ჩემი სიხარული შენ უნდა გახარებდეს.

— კი, გენაცვალე, კი... აბა, ვისი თანამგრძნობი ვიქნები, თუ არა შენი?!

— ასე, სიცოცხლეო, ასე. მუდამ ჭირის ოფლში მცურავზე უნდა ვფიქრობდეთ, უნდა ვთესოთ შეგნება, განათლება, ვაკავშიროთ მშრომელი ხალხი და მწყობრად დარაზმული მტერს შევახვედროთ. მასთან ერთად ვიმხიარულოთ, ვიკვნესოთ, ჭირი და ლხინი გავიყოთ.

— ყოველ წუთს ჩვენი მოძმე უნდა გვახსოვდეს: მშიერი, დამცირებული, დამდაბლებული. ადამიანს მაშინ დაგვიძახებენ, თუ ქვეყნის ტკივილი ჩვენი ტკივილი იქნება, თუ გაჭირვებულ ხალხთან ერთად ვიქნებით სულითა და გულით, სიტყვითა და საქმით. მშრომელმა მაჯამ შექმნა ქვეყნის სიმდიდრე, მასზეა დამყარებული მთელი ქვეყანა, მშრომელია ბურჯი კაცობრიობისა, მაგრამ ამავე დროს ცხოვრების უსამართლობამ ის ქვეყნის გერად აღიარა, ნებას არ აძლევს მისივე ნაშრომით იცხოვროს და იარსებოს. მის ნაშრომს სხვა ისაკუთრებს. აი, ამ უსამართლობის მოსასპობად უნდა ვიბრძოდეთ, ამ უკანონობის აღმოსაფხვრელად უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალღონე.

— ეს ერთობის აზრებია. მახსოვს, მაშინაც ამბობდნენ ასე. არც მდიდარი უნდა იყოს და არც ღარიბიო.

— რატომ უნდა იყოს ერთი ღარიბი და მეორე მდიდარი? რატომ უნდა შრომობდეს ერთი და მეორე კი—უსაქმური—მისი ნაშრომით ცხოვრობდეს? ეს უსამართლობაა და სწორედ ამის მოსასპობად უნდა ვიბრძოდეთ, უნდა ნელ-ნელა ვაშენოთ ბედნიერების ტაძარი, ვემზადოთ და როცა იქნება, დაჰკრავს საათი და მუშა ხალხიც დაამყარებს ქვეყნად სამართლიანობას, გაამეფებს შრომას, მოსპობს უსამართლობას. მაშინ არ იქნება არც მდიდარი, არც ღარიბი, არც დამჩაგვრელი. აი, ჩემო კარგო, რის განსახორციელებლად უნდა ვიღწოდეთ და ვშრომობდეთ მუშებთან ერთად, აი რას უნდა ვემსახუროთ.

— მალე დადგება მაგ დრო?—ჰკითხა თამრომ.

— ეინ იცის. შეიძლება მალე, შეიძლება გვიან. მხოლოდ ეს კია, რომ ჩვენ აქედანვე უნდა ვამზადოთ ნიადაგი... შენ ოღონდ გულმოდგინედ და დაკვირვებით იკითხე აი ის წიგნები, გუშინ რომ მოგეცი, როცა რაიმე ვერ გაიგო, მკითხე და აგიხსნი.

შემდეგ მე მოგიყვები ხელახლა მაგ წიგნების შინაარსს. შეგასწავლი ყველაფერს და მერმე შენვე დაინახავ და მიხვდები, როდის განხორციელდება ყველაფერი ეს. მაშ, ჯერ იკითხე, შემდეგ წრეებში წაგიყვან აქ, მერე ქალაქში და ბოლოს შენც სხვებივით გეცოდინება ყველაფერი. შენც ჩემს გვერდით დადგები ბრძოლის ველზე.

— ძნელი საკითხავი კია ის წიგნები. „ქრისტინეს“ ისე ვკითხულობდი, რომ გული ვერ მოვწყვიტე. ისე კიდევ „სიმონას“, „ელისოს“, „კაცია-ადამიანს“, „მამის მკვლელს“. ამ წიგნების კითხვა კი გამიჭირდა.

— არა უშავს, პირველად გაგიჭირდება, მაგრამ ბოლოს შეიგნებ. ისე შეგიყვარდება, რომ გულს ვერ მოწყვეტ.

— ის კიდევ, გენაცვალე, „სურამის ციხე“... რამდენი ვიტირე! რაფერ ყვარებიათ საწყლებს ერთმანეთი. ჩვენსავით ყვარებიათ, ჩვენსავით. მერე კიდევ საწყალი ქრისტინეს ამბავი! ის უსინდისო იასონი, ისა! ერთი რომ მანახა...

შოთას გაეცინა.

— რა იყო, რაზე გაგეცინა? ჰო, ის მინდოდა მეკითხა: თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით იმ ბედნიერებას, რად გვინდა ისე?.. სხვისი გულისათვის ვიწვალოთ? მერე კიდევ პოლიციამ რომ დაგვიჭიროს? შენ ხომ იყავი სამ წელიწადს ციხეში, კიდო გინდა რომ ჩაგსვან?

— რა ვუყოთ მერე? უმსხვერპლოდ რა გაკეთებულა ქვეყანაზე?

— რაო, რა თქვი? შენ ციხეში ჩაგსვამენ და მე? რა ვქნა მაშინ? რა მეშველება, რო ჩამოგახრჩონ?

— განა ჩემისთანები არიან ციხეში?

— უყურე! სხვას რას დავეძებ! თუ უნდათ ყველა გაუციმბირებიათ! ოღონდ შენს თავს ნუ წამართმევენ და სხვას რას ვნაღვლობ?

— მე რაც გელაპარაკე, ის..

— რა ვუყოთ მერმე! სხვამ იმუშაოს და აკეთოს და შენ კი აქ იყავი. სასმელი არ გაკლია და საჭმელი. ხომ იცი, მამას ჩვენს მეტი არავინ ჰყავს და შენ რომ რამე მოგივიდეს, თავს მოიკლავს, არ გეცოდება?

შოთა ნაწყენი ადგა, ხმა არ გასცა, თამროც წამოხტა.

— ქალაქში წაგიყვანო. რო თქვი, ხომ წამიყვან? კი? ო, შენი ჭირიმე! რა კარგი იქნება! ჩამოვიკიდებ გულზე ოქროს საათს, ძეწკვს, ხელებს გავიჭედავ ბეჭდებით, სამაჯურით... ახ.. რა კარგი იქნება!... მტერს თვალი დაუდგება, ჩემს ამხანაგებს ყველას ყურებს ჩამოვაყრევინებ. კაი იქნება ხომ, გენაცვალე? ა? ხომ? რაა, ბეჩა, ხმას რომ არ მცემ?... არ გიყვარვარ შენ, არა, არა!

კეკლუცობს თამრო და თან თითქოს ტირილს აპირებსო. შოთას ხმა არ გაუცია. კარში გავიდა. გაბრიელი და სიდონიაც ყანიდან მოვიდნენ, ურემი მოაჭრიალეს.

XIX

მეორე დღეს შოთამ სადილზე დაიგვიანა. როცა მოვიდა, ნახა, რომ სიმამრს მისი მშობლები და კესო დაეპატიჟებინა, ეამა. ხალისით მიესალმა ყველას, გაჩაღდა სადილი. თამრო ჯარასავით ტრიალებდა, ცდილობდა თავი გამოეჩინა მეორე მშობლების წინაშე.

— შვილო შოთა, რისთვის დაგაგვიანდა, სად იყავი ამდენ ხანს?—დინჯად ჰკითხა გაბრიელმა სადილობის დროს.

— ამხანაგებთან ვიყავი, მამა, ცოტა საქმე გვქონდა.

— ვისთან იყავი?—შეეკითხა თავის წილ გიგო, რომელმაც ხელსახოცით გაიწმინდა ღომითა და ქათმის წვნით შეგლესილი თითები და მუხლებზე ხელებდადებული მიაჩერდა შვილს.

შოთა, ცოტა არ იყოს, გაკვირდა. სახეში ჩააცქერდა და უპასუხა:

— ამხანაგებთან ვიყავი-მეთქი.

— ამხანაგებთან იყავი, — გიგომ ჩაახველა ამ სიტყვებზე და ხმას დარიგებითი კილო მისცა. — შვილო, — განაგრძო, — აქამდე რაც გიქნია, ის არ გამოგადგება აწი... ცოლიანი კაცი ხარ, ოჯახს მოკიდებული და ძველი, ახალგაზრდული ყველაფერი უნდა დაივიწყო. უწინდელი არც ამხანაგები გამოგადგება და არც სხვა. აწი ისინი შენი ამხანაგები არ არიან, შენ შენი საქმე გაქვს, იმათ კიდეე თავისი. შენს საქმეს უნდა დაუკვირდე, შვილო, უცოლობის დროს რაც გეპატიებოდა, ის დღეს არ გარგია, ახლა სხვა მდგომარეობაში ხარ.

— მამაჩემო, რა საჭიროა ახლა ეგ ლაპარაკი?

ყველა უხერხულად დუმდა, მხოლოდ თამრო საქმობდა კუთხეში, ტყუილა დაფუსფუსებდა, ვითომ ყურადღებასაც არ აქცევდა ლაპარაკს, მაგრამ ნამდვილად კი სმენად იყო გადაქცეული. წითლდებოდა, ეშინოდა შოთას შეხედვის.

— შვილო, შენ კი გგონია, რომ საჭირო არაა ამის თქმა, მაგრამ საჭირო კი არა, საჭიროზე მეტიცაა. შენი დაცოლშვილების იმედი მქონდა, თვარა ასე აგიშვებდი? ვფიქრობდი, ცოლს შეირთავს, ოჯახობას დაიწყებს, ჭკუაში ჩავარდება და ვილაც ამხანაგებთან ხეტიალს თავს დაანებებს-მეთქი. შენ კი არ იშლი, ისევ იმ გზით მიხვალ. ეს არ გამოგადგება, შვილო! როცა კაცი ცოლს ირთავს, ბორკილს იყრის ფეხებში, იცი? სულ სხვა ცხოვრება უნდა დაიწყოს. შენ კი, თითქოს აქ არაფერიო, ისევ განაგრძობ უწინდებურად ცხოვრებას.

— მთელი ოჯახი შენზეა, შვილო, შემოჩერებული, — დაეხმარა ქმარს მართა.

— მაცალე მე ჯერე, დედაკაცო, — გააწყვეტინა გიგომ და განაგრძო: — ამ კაცს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და შენ მოგცა, გიშვილა, დაგისიძა. ჰგონია, რომ მის ქონებას უპატრონებ, გაუძღვები, ოჯახს მოუბრუნებ, გაუცოცხლებ, შენ კი?!.

— მამაჩემო, ნუთუ დღეს მნახე, დღეს მიცანი! რა საჭიროა ამგვარი ლაპარაკი?!

— შვილო, მე მამა ვარ შენი, შენი მშობელი. ყველა, ვინც ამ სუფრაზე ვართ, შენი კარგის მდომი ვართ და ყველაფერი უნდა გითხრათ, დასამალი რა გვაქვს? შენ გგონია, რომ მარტო მე გეუბნები ამ სიტყვებს? გაბრიელიც ჩემი აზრისაა, სიდონიაც, დედაშენიც, და ყველა.

შოთამ უკმაყოფილოდ გადახედა ყველას, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— შენზე ადრე გავიგონე მაგ ახალთაობის აზრები და მართლა მეგონა, რამე გამოვიდოდა, გაგონილა, ჩემო გაბრიელ, კაცს ჯერ მტერი არ დაგემარცხებინოს და მის ქონებას ინაწილებდე? ა?

— რასაკვირველია, ჩემო გიგო, უთანხმოებამ დაღუპა ყველაფერი, მაგრამ მე რომ მკითხოთ, მაგ საქმე არც უნდა დაეწყოთ, — თქვა თავის წილ გაბრიელმა და, რაკი შეატყო, რომ ყურს არავინ უგდებდა, ისევ მამა-შვილს შეაცქერდა.

— მიირთვით საჭმელი, თქვენი ჭირიმე! ასე თუ მოიქეცით, ხომ უსადილოდ დარჩით... მართა... მიირთვი, გენაცვალე, კეს! — ეპატიჟებოდა სტუმრებს სიდონია.

— პოლიციამ რო გაიგოს, ხომ დაგიჭერს. რავაც გაატარე იმდენი ხანი ციხეში, ისე გიზამენ კიდევ ახლა. ვინ იცის — ეგება ციხეს არც კი დაგაჯერონ. მერმე რა უნდა ეშველოს შენს მშობლებს და სიდედრ-სიმამრს!

— ის დღეი ღმერთმა ნუ მომასწროს! მანამდე მე წამიყვანოს უფალმა! — თქვა სიდონიამ. მართაც დაემოწმა.

— შვილო, მოქრისტიანდი მეგონა და შენ კიდევ ეშმაკებისკენ გქონია გულისყური. გლეხებს და მემამულეებს რაღაც დავა მოსვლიათ სიმინდის გაყოფაზე და შენ ჩარევიხარ. ამას წინათ თავადი ფარნაოზი ვნახე და მითხრა, რომ შენი შვილი ჩამომაშორე, გლეხებს ნუ მიბუნტებს, თვარა მთავრობა ჯერ კიდევ არ დამვიწყებია, ხელად მიაციმბირებენო. ასე ამბობენ მისი სახლიკაცებიც. ერთობის მობრუნება უნდაო, იძახიან. აი, გუშინ კიდევ წერილი მოგსვლია ამხანაგებისაგან. ალბათ, გწერენ, როგორ უნდა მოიქცე აქ.

— კი მაგრამ, თქვენ ვინ გითხრათ წერილის ამბავი? — შეეკითხა შოთა და თამროს გადახედა.

თამრო თოფნაკრავივით გავარდა კარში.

— ვის უნდა ეთქვა, შვილო? ვისაც წაუკითხე, იმან თქვა. დედ-მამისათვის უთქვამს, მათაც შეშინებიათ.

შოთა გაშრა, ენა დაება.

საშინელი უხერხულობა გამეფდა. გაბრიელს და სიდონიას ერთობ ეწყინათ გიგოს სიტყვები: „რისთვის გაგვამქღავნა ასეო“. ეგონათ, გიგო ნამუსს შეუნახავდა, თორემ თავიდანვე გააფრთხილებდნენ, რომ არა დასცდენოდა რა ამის მაგვარი.

გიგომაც შეატყო ესა და თავის გასამართლებლად განაგრძო:

— დასამალავი რა გვაქვს, შვილო?! ყველაფერი უნდა ითქვას, დაფარული ეშმაკისაა!

— მამაჩემო, — დაიწყო შოთამ აღელვებით, —მე მცირეწლოვანი არა ვარ, ვიცი, რასაც ვაკეთებ, რასაც ვმოქმედობ. ჭკუის დარიგება მე არ მჭირდება.

— რას ამბობ, — ჩაერია დედამისი, — გუშინ კიდევ პეტ-

რემ მისაყვედურა — შენმა შვილმა გამლანძღაო. რაც უნდა იყოს, შვილო, ნაკურთხი ადამიანია, პატივისცემა უნდა, მოხუცია. ცოლის შერთვა ხომ კარგიაო, უმასხრია და ამას გული მოსვლია.

— დედაჩემო, მე ჭკუას ვცემ პატივს და არა ჭაღარას, — უპასუხა დედას და შემდეგ მამას მიმართა: — ასე, მამაჩემო! გითხარი, იმისი არ იყოს, თავიდანვე ამ გზაზე ვადგივარ და სიკვდილის კარამდეც მას ვემსახურები, ვერავინ და ვერაფერი ხელს ვერ შემიშლის: ვერც თავადი, ვერც აზნაური. ვინც წინ გადამეღობება, იცოდე, არ დავინდობ. ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს. დედა, მამა, ცოლი თუ სხვა. ვინც მისწრაფების აღსრულებაში ხელს შემიშლის, ის ჩემი მტერია და მე ყოველთვის მტრულად მოვეპყრობი.

— შვილო, დაგიღუპიეარ და ესაა! — უთხრა აკანკალებული ხმით გაბრიელმა.

— რატომ დაგღუპე? კაცო, მე ჩემი გზა ვიცი და შენ კიდევ შენი. შენ შენს ღმერთს ემსახურები და მე კი ჩემსას. მე არავისგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება და გთხოვთ, ვისაც ჩემი თავი გინდათ, დღეის იქით ამის მაგვარი რამ არ გამაგონოთ.

ამ სიტყვებით შოთა კარში გავიდა. თამრო კი მაშინვე სახლში შემოვიდა. გაფითრებული იყო, აცრემლებული.

ყველა გაქვავდა, სიდონიასა და მართას თვალებიც კი ამოუსველდათ.

შოთამ თან გაიტანა ჯოჯოხეთი. „ნუთუ? ნუთუ ეს სიმართლეა? თამრომ, ჩემმა ღვთაებამ, ასეთი რამ ჩაიდინა? დამასმინა. როგორ უცქერის ის ჩემ აზრებს? სწამს თუ არა? იქნებ ნაპრალია ჩემსა და მას შუა? იქნებ ხიდიც არ გაიდება? ეს რა ამბავია? ეს რა ჩაუდენია“?!

ფიცხლავ დერეფნიდან გამოვიდა და ჭიშკარს მიაშურა. შუა ეზოში შეამჩნია, რომ ქუდი არ ეხურა. სიდედრ-სიმამრი დაინახა.

გამოერკვა. ნაბიჯს მოუნელა. ჩაფიქრებული ხის ჩრდილში გაჩერდა.

საღამოზე მორიგი თავყრილობა უნდა მომხდარიყო.

შოთა დაღონებული წავიდა. ამხანაგების უმეტესობა შეგროვილი დახვდა.

წრეს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი ძველი და ახალი მწერლების შესწავლა და რამდენად ძალი და ღონე შესწევდა, კიდეც ასრულებდა ამას. გარდა მოთხრობა-ლექსებისა, კითხულობდნენ ადვილად გასაგები ენით დაწერილ მეცნიერულ ბროშურებს და სტატიებს.

წიგნებით სასოფლო ბიბლიოთეკიდან სარგებლობდნენ, რაც იქ არ მოიპოვებოდა, ყიდულობდნენ. თვალყურს ადევნებდნენ მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებასაც, არც ერთი წერილი არ დარჩებოდათ ჟურნალ-გაზეთში წაუკითხავი.

შოთა ამ წრის სული და გული იყო. მასთან სხვებზე უკეთ მომზადებულიცა და გამოცდილიც. ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა, როგორც ცოდნისათვის, ისე პირადი თვისებისათვის—თავმდაბალი და უბრალო ხასიათის იყო.

ახლაც ყველა სიხარულით მიეგება. მის ახსნა-განმარტებას ყველა გულდასმით უსმენდა.

როცა დაშლის დრომ მოატანა, ლაპარაკი ჩამოვარდა გლეხებსა და მემამულეთა შორის მომხდარ უთანხმოებაზე.

— ამხანაგებო, — ამბობდა ერთი,—ყველამ იცით, რა ურჩად დაარღვიეს მემამულეებმა გლეხების წინაშე გაზაფხულისას დადებული პირობები ყანების შესახებ. ამ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტის გამწვავებას ჩვენ გვაბრალებენ თავადები. გადასახლებით გვემუქრებიან. საჭიროა, ზომები მივიღოთ მათ წინააღმდეგ, თავი უნდა დავიცვათ.

ლაპარაკში სხვებიც ჩაერიენენ. კარგა ხანს იმსჯელეს.

შემდეგ კოოპერატიული მაღაზიის შერყეულ მდგომარეობასაც შეეხენ.

მაღაზიის რევიზია და წლიური კრება შემოდგომის გასულს უნდა მომხდარიყო. გადაწყვიტეს მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ და დუქანი ფეხზე დაეყენებიათ. აქვე უფრო ნათლად გამოირკვა, თუ რა ხრიკებით ცდილობდნენ სოფლის ჩარჩები ამ მაღაზიის დამხობას, მეორე მხრით, მტრად სოფლის ზოგი-

ერთი „თავკაცი“ გამოდიოდა: სურდათ თვითონ ყოფილიყვნენ მალაზიის გამგედ, ან რაიმე თანამდებობა ეშოვათ, რომ ამ გზით ცოტა მაინც ჩამოეთალათ სასოფლო ქონებისათვის. მომავალ წლიურ კრებაზე თანამდებობის პირთა არჩევნებიც მოხდებოდა. ამისათვის ყველა ემზადებოდა. ზოგი ადგილის შერჩენას ცდილობდა, ზოგი შიგ შეძრომას ელამუნებოდა და რიგიც მოწადინებული იყო სულ გაექრო იგი. ამ პირობებში დიდი ბრძოლა მოელოდათ შოთას და მის ამხანაგებს.

დაიშალნენ.

შოთა შინ კრიჭაშეკრული მოვიდა. თამროსათვის სახეში ვერ შეეხედნა. ხმის ამოუღებლივ მიუჯდა ვახშამს.

— შვილო, გახსენი შუბლი! — უსაყვედურა გაბრიელმა, — კაცს ცხოვრებაში საწყენიც ბევრი შეხვდება და სამხიარულოც: თუ ყოველ საწყენზე ასე მოვიქეცით, შენი მტერი! გამხიარულდი, შვილო, ნუ გეშინია, ღმერთია მოწყალე!

შოთამ თავი მაღლა აიღო და თითქოს ღიმილითაც კი გადახედა სიმამრს.

თამრომ ყურები ცქვიტა. აქამდე რაკი თავს დამნაშავედ გრძნობდა, დარცხვენილი იყო, ახლა კი ცოტათი გათამამდა.

— დამილიე ღვინო, — ღიმილით უთხრა სიძეს გაბრიელმა და ჭიქა აიღო. — შოთას გაუმარჯოს!.. მოსწი, ჭიქები შევაჯახუნოთ!...

იმ დღეს მომხდარ ამავზე ლაპარაკი, რასაკვირველია, უხერხული იქნებოდა. ეს მშვენივრად იცოდა გაბრიელმა. ამისათვის მოდგა და რაც რამ ახალგაზრდობისას თავს გადახდომია, ან წაუკითხავს, ყველაფერს მოჰყვა.

თვითონაც იცინა, სხვებიც აცინა და ოჯახი გაამხიარულა.

— აბა, რავა გეგონა, სიძე ბატონო, — მიუბრუნდა შოთას, — გაბრიელი შენ ყრუ გეგონა? უსწავლელი? აი, დედასა! ეს დრო არ წამომწეოდა, ნახავდი, რაც ვიქნებოდი! პირველი კაცი ვიყავ ჩვენს სოფელში ყველაფრად და ახლაც ასე ვიქნებოდი. არა, ერთი მითხარი, ვისი წყალობით იციან ძველმა კაცებმა ჩვენში ქაღალდი? სულ ჩემი... აბა, ერთი პირობის ქაღალდი, ან თამასუქი მაჩვენე ჩვენ სოფელში სხვისი დაწერილი! ან ჩემი დაწერილი იქნება, ან ჩემი შეგირდის. კაი მწიგნობარი გგონია ხომ შენი თავი, ჩემო შოთა, აბა, ერთი ვექსილს თუ და-

სწერ?.. ხა, ხა, ხა, ვერ დასწერ, შენ არ მომიკვდე, ვერ დასწერ. ან ცხენის მოწმობას თუ შეადგენ, ან ხარისას? არა, ხა, ხა, ვერ მოგართვეს! ბევრი გაზეთი წაგიკითხავს, წიგნიც, მაგრამ პიროობის ქაღალდს მაინც ვერ დასწერ!... აა... ტყუილი ლაპარაკი იქნება!

შოთაც გულიანად იცინოდა სიმამრის ლაპარაკზე.

თამრო დარწმუნდა — შოთა საყვედურს არ მეტყვის, ეს არის, შემირიგდაო.

გამხიარულებულთ მამალმაც კი დააყივლა.

მხოლოდ ახლა მოაგონდათ დაწოლა.

თამრო ცდილობდა ემხიარულა. უნდოდა რამენაირად შოთას გადავიწყებოდა იმ დღის ამბავი.

შოთა მიუხვდა თამროს გულის პასუხს. რაღაც სიბრალული იგრძნო მისდამი. იფიქრა: გამოუცდელია, არ იცის, გულუბრყვილობით მოუვიდა და რაკი ახლა ასე იქცევა, ალბათ, გრძნობს დანაშაულს და მეორედ არ გაიმეორებსო.

ამ სიტყვებით დაიმშვიდა გული და გადაწყვიტა არ ესაყვედურნა.

XXI

— შოთა, მაშ ასე, ამ საღამოს მოგელი, როგორც კი მორჩე საქმეს, წამოდი.

— ძალიან კარგი, მოვალ.

ამ პასუხით დაკმაყოფილებული მასწავლებელი გზას გაუდგა. ციოდა, წვიმას აპირებდა.

მთებს ღრუბლებით წაეკრა თავი, გაძარცული ხეები დასევდილი გამოიყურებოდა, ქარი სისინებდა.

მასწავლებელი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. სახე მოღუშული ჰქონდა.

შოთა დანიშნულ დროზე მივიდა სკოლაში.

— მოხვედი?—შეეკითხა მასწავლებელი, და სანთელი გაუნათა.—კარგად დააკვირდი, თვარა იატაკი ჩამპალია.

— სირცხვილი არაა ჩვენი სოფლისათვის, რომ სასწავლებლის ოთახს ასეთი იატაკი ჰქონდეს? — უთხრა და მასწავლებელს ოთახში შეჰყვა. ნესტის სუნი ეცა.

— რა ვქნა, ძმაო, სოფელი ყველაფერს ხომ ვერ გასწვ-

დება? დაჯექი... აი, სკამი... ცოტა შენჯღრეული კია, მაგრამ, იმედია, გვაპატიებთ.

მასწავლებელმა ჩაი მოამზადა და მაგიდაზე შემოდგა. შოთა რვეულებს ათვალიერებდა.

— ჩვენს დროს კი ასე არ ვწერდით,—თქვა მან და რვეულს ჩააცქერდა.

— მაშ, როგორ?

— რუსულ ანბანს ცოტა სხვა მოხაზულობა ჰქონდა. რვეულიც ასე მახსოვს, მგონი, სხვაფერ იყო დახაზული. უფრო დაქანებულად.

— ეს დიდი განსხვავება როდია, ჩემო კეთილო.

— რომელი განყოფილებისაა ეს რვეულები?

— მეორის.

—ოჰო, ბევრი უსწავლიათ.

— შენი მოწაფეობის დროს ვინ იყო აქ მასწავლებლად?

— ლევან ჩაჩანაძე. ერთობ ავგული კი იყო. გვცემდა საშინლად. სწავლით კი კარგად გვასწავლიდა.

— შენ მის ხელში დაასრულე აქაური სკოლა?

— დიახ. მასთან სასწავლებლის დარაჯადაც ვიყავი: კიდევაც ვსწავლობდი და კიდეც ვმსახურობდი. სწავლის ფულისა და წიგნების საფასს გარდა, რამდენიმე თუმანს მამაჩემსაც ვაძლევდი ხოლმე. წარმოიდგინე, რამდენი მე იმ ჩაჩანაძეს ვულანძღივარ, ვუთრევივარ, მაგრამ მაინც მიყვარდა. სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ წიგნი მეკითხა. რაც კი სასწავლებელს წიგნი მოეძეოდა, სულ გადამაკითხა. გაზეთები შემაყვარა. ისე გავერთე გაზეთების კითხვაში, რომ სოფლის მოამბე გავხდი. ამოვიკითხავდი თუ არა რაიმე ახალ ამბავს, მაშინვე სოფელს მოვდებდი. სოფლელებიც ყოველთვის მეკითხებოდნენ: აბა, ჩემო შოთა, რა წერია ახალი გაზეთში, „ვაინობა“ არ ეწყება რუსსო? შემდეგ, სასწავლებელი რომ დავამთავრე, ორი წელი სოფლად დავრჩი. დარაჯობას თავი დავანებე: მოცილე აღმომიჩნდა, ნახევარ ფასად დადგა. სოფელსაც ეს უნდოდა. მაგრამ ამ ხანებში მასწავლებელთან კავშირი მაინც არ გამიწყვეტია, წიგნებს მაკითხებდა. შემდეგ ქალაქში წავედი, ქარხანაში ვმუშაობდი. იქედანაც კი ვწერდით ერთმანეთს წერილებს მე და მასწავლებელი.

ერთ ამბავს მეორე მოჰყვა. შოთა ხმაგაკმენდილი მისჩერებოდა მასწავლებელს, მის ყოველ სიტყვას იჭერდა.

— ხო, იმას მოგახსენებდი, ჩემო შოთა, — თქვა მასწავლებელმა, — ბოროტი და კეთილი დასაბამიდან ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში გაბატონებული, არის და იქნება კეთილსა და ბოროტს შუა ბრძოლას უთვალთვალებს ის უხილავი ძალა, რომელსაც გონიერება ეწოდება. იგი ელის იმ წამს, როცა ბრძოლაში ორივე ეს ძალა დაიღუპება. და აი, იმწამს დაიწყება ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობა. გამეფდება ერთი პრინციპი: ბოროტი ან კეთილი.

შოთა ჩაფიქრდა, საიდან დაეწყო, არ იცოდა. ცდილობდა მასწავლებლისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

— შენ თქვი? — დაიწყო მან, — რომ ბუნების გარეშე არსებობს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც მთელ სამყაროს თავის ნებაზე ამოქმედებსო. მითხარი ერთი, როდის ნახე ის ძალა რეალურად, თვალსაჩინოდ. ჩემი აზრით, კაცობრიობის გულისყური იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახსნას ბუნების ყოველგვარი მოვლენათა მიზეზი, შეისწავლოს ადამიანის ბუნება და ცხოვრება. ამ შესწავლას მიზანი ჰქონდა და აქვს. ესაა ბუნების ძალთა დამორჩილება და თავის სასარგებლოდ გამოყენება, ადამიანის ყოფა-ცხოვრების უკეთ მოწყობა. კაცობრიობა ყოველმხრივ წინ მიდის, იმორჩილებს ბუნებას, სწავლობს ადამიანის ცხოვრებას და ცდილობს გააუმჯობესოს ის, მაგრამ ერთი ადამიანის მუშაობა აქ უძლურია, საერთო ძალაა საჭირო, ერთად, შეთანხმებული მუშაობა.

— ეხ, ჩემო შოთა!—თქვა მასწავლებელმა ბოლოს,—ნეტავი ყველაფერი, მართლაც, ასე მარტივი და გასაგები იყოს, როგორც შენ გგონია!—უცებ ჩაჩუმდა და გაიფიქრა: „რაც უნდა იყოს, მუშაა, მეცნიერულად მომზადებული არაა და იმიტომაა, რომ ასე ადვილად ეჩვენება ყველაფერი". — მაშ ასე, შენ გწამს, რომ ბოლოს კეთილი გაიმარჯვებს? — შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელი და წამოდგა.

— რასაკვირველია. დროთა მსვლელობა გვეუბნება, რომ იქნება წამი, როდესაც დადგება ქვეყნად კეთილის მეფობა. ბუნებას ჰარმონიულად აქცევს ადამიანი და კაცობრიობის

გულშიც გააბატონებს ერთ ძალას—სიყვარულს და მხოლოდ სიყვარულს! სიძულვილი აღიგვება პირისაგან ქვეყნისა.

— ეხ, შოთა! ბედნიერი კაცი ხარ, გწამს რომ ქვეყანაზე სიმართლე გაიმარჯვებს. მე კი ყველაფრის იმედი დამეკარგა. არა მწამს,რომ ადამიანი გაკეთილდეს, სიყვარულმა დაისადგუროს მის გულში. გაუტანლობა, შური, სიძულვილი, პირადი მე, აი რას ვხედავ ყველგან. თავისი კეთილდღეობისათვის ყველა მზადაა სამარე გაგითხაროს, გიღალატოს, არ დაგინდოს. დღეს თუ პატივს გცემს, იცოდე, რომ შენგან რასმე გამოელის, სარგებლობა უნდა, ხვალ კი პირველად ის გესვრის ქვას, გაგწირავს. ჯერ ერთი ადამიანი არ მინახავს, რომ გულწრფელად თანაეგრძნოს ჩემთვის.

— რას იქ, ცხოვრება ასეთია... „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა. უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა", — უპასუხა შოთამ.

— ეხ, ჩემო შოთა, ასეთი აზრები მხოლოდ გულის მოსაფხანადაა მოგონილი და მეტი არაფერი. მაგრამ სანთელიც რო გვიქრება! ნავთიც არა მაქვს.

გრძნობდა, რომ ლაპარაკის ხასიათი სულ დაეკარგათ, ცუდ გუნებაზე დადგნენ...

მასწავლებლის სულიერი მდგომარეობა შოთასაც გადაედო.

გარეთ წვიმდა, ქარი სისინებდა. კედლები სულ დაასველა, ოთახშიც აცივდა.

კარგა ხნის დაღამებული იყო, შოთა რომ წასასვლელად წამოდგა.

— მე წავალ, თორემ ამინდი უარესდება...

მასწავლებელმა შოთა გააცილა და შემდეგ ფანჯრიდან უნათებდა გზას.

კარგა ხანს იდგა სანთლით ფანჯარასთან. როცა სინათლე შენელდებოდა, სანათს პატრუქს აუწევდა. სინათლე იმატებდა. რა რომ მინელდებოდა, ისევ აუწევდა. თან საშინელ მარტოობას გრძნობდა: ცარიელ, ნოტიო და ჩაბნელებულ ოთახში შებრუნება არ უნდოდა. გული დაწყვიტა შოთას წასვლამ.

„მასწავლებელო, — ფიქრობდა გზაზე მიმავალი შოთა, — შენ არ გწამს, რომ ქვეყანას სინათლე მოეფინება, არ გწამს, რომ ბნელი გაიფანტება, მაგრამ მაინც ანათებ, ბნელს ებრძვი,

შენი მოსწავლენიც შენ მიერ ანთებული სანთელია. ისინიც ბნელს ებრძოლებიან. შენდა შეუმჩნეველად ანათებ, ანათებ".

XXII

მასწავლებელი მოდუნებული შებრუნდა ოთახში.

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა, — რა მარტოობაა, რა მოწყენაა? ირგვლივ მარტოობაა".

ლოგინზე წამოწვა.

„რაა ჩემი სიცოცხლე, რისთვის ვარსებობ? რას ვაკეთებ? ვის ვარგივარ?.. ნუთუ აგრე უნდა შემჭამოს მარტოობამ? ნუთუ არასოდეს არ გამიჩნდება თანამოაზრე, თანამგრძნობი? რა სიცარიელეა! განა კი ვარსებობ? ვინმე მამჩნევს? ვითომ მასწავლებელი ვარ, შეგირდებს ვასწავლი, საქმეს ვაკეთებ, განათლების ლამპარს ვანათებ. ჰმ! სასაცილოა, სასაცილო, განა ჯოჯოხეთის სიბნელეს ჩემი სინათლე გაფანტავს?!"

შოთა კი ამ დროს სულ მთლად გალუმპული შინისკენ მიდიოდა და, ვინ იცის, რაზე არ ფიქრობდა.

სახლს მიუახლოვდა. ფანჯარასთან სანთელი ენთო. გული გაუნათდა.

„მელოდება ჩემი გოგონა, სილამაზის ღმერთი, მოწყენით დაუკრეფია გულზე ხელები. ალბათ, თვალებიც მინაბული აქვს. გულში კი მე ვუზივარ, ჩემზე ფიქრობს. ყველას სძინავს, მარტო ის მომელის, მარტო ის შემხარის... თამრიკო! შენ შემაყვარე ხელახლა ქვეყანა, შენ მექეცი ყავარჯნად და მომავალშიც ასე... მხარი უნდა დამიმშვენო".

კიდევ უნდოდა ეფიქრა, მაგრამ უკანასკნელ სიტყვებზე შეკრთა.

უცებ შავი აზრები მგლის ხროვასავით შემოეხვია... შორს, შორს, ცივად ელენეს სახემაც გაურბინა... გუშინდელი წერილის ამბავიც გაახსენდა.

მოეწამლა ტკბილი ოცნება.

ხელი ჩაიქნია, შავ ფიქრთა ხროვას მოვიშორებო და სახლს მიაშურა.

— ჩემო მშვენიერო, რად იტანჯები უძილობით, დაწოლილიყავ, ხომ არ დავიკარგებოდი?

— არ გიყვარვარ!

— რა იყო, გენაცვალე, რა მოგივიდა?

— აგრე მეკითხები ყოველთვის. როგორ თუ რა მომივიდა? სადა ხარ ამდენ ხანს, ვისთან ხარ? რატომ მტოვებ მარტო? ყველას სძინავს, ყველა გულდამშვიდებულია, მე კი ასე უნდა ვიყურყუტო. მუდამ გულმკვდარმა, გაუხარელმა. შენ სხვა საქმეები გახსოვს, თვარა მე არა. ათასი რომ გთხოვო, ჩემი გულისათვის ფეხს არ გადადგამ, ერთხელ არ გამყოლიხარ საყდარზე, და ვიღაც ეშმაკებს კი მუდამ კუდში დასდევ. ხან კრებაო, ხან რა და ხან რა, მე კი... მე მიტოვებული გყავარ, ტოლში ვერ ვავრევივარ და ამხანაგებში. რად მინდოდა გათხოვება, თუ არ ვამახარებდი? ჯვარის დაწერამდე ათასწილად უფრო ბედნიერი ვიყავი. გული მიცინოდა, შევხაროდი ცას, მიწას, ტოლს, ამხანაგს. კვირის გათენება აღდგომად მიმაჩნდა. ახლა კი? შენს მეტი ამ ქვეყანაზე არავინ მყავს, შენ კი ასე მექცევი, მიტოვებ რაღაც წიგნებს საკითხავად. არ მინდა არაფერი, არც წიგნი, არც სხვა რამე. ყველაფერი ჯანდაბაში წავიდეს, ცეცხლმა დაწვას! ოღონდ შენ მყავდე, ოღონდ შენ იყო ჩემს ახლო! არაფერი არ გვაკლია, ათი გლეხის სამყოფი გვაქვს ყველაფერი და შენ განგებ იჭირვებ, რად იგდებ ცეცხლში თავს? რას დაეძებ ქვეყნის საქმეს? გინდა, რომ გადაყვე და მეც გადამიტანო? ღმერთი არ გწამს? შენი თავი თუ არ გებრალება, მე მაინც მომხედე, მაგრამ უწინდებურად რომ გიყვარდე, ასეც არ მომიძულებდი, ყოველ ღამეს ასე გულატირებული არ მამყოფებდი.

თამრო ძლივს ლაპარაკობდა. შოთა გაკვირვებული უცქეროდა.

— კარგი, თამრო, აბა, რას ამბობ? ბავშვი ხომ არა ხარ? განა ეაუკაცი მუდამ ქალს უნდა უჯდეს და ესიყვარულებოდეს? განა მეტი საქმე არა აქვს?

— სხვამ რაც უნდა ისა ჰქნას, ისინი გაჭირვებული არიან, ლუკმაპური არა აქვთ, ჩვენ კი რა გვიჭირს?

— თამრო, მიკვირს, რას ამბობ? ნუთუ ჩემი ნალაპარაკევი შენზე არ მოქმედებს? იქნებ გგონია, თავშესაქცევად ვლაპარაკობ?

— შენ ბევრ იმისთანას ლაპარაკობ, ქვეყანას შენ გასწვდები? არც მამას მოსწონს შენი საქციელი, არც დედას. არც შენს

მშობლებს. მამა და დედა რომ ვერ გიბედავენ ჯერჯერობით, შენ გგონია, უხარიათ შენი აგეთი ხეტიალი.

— მთელი ქვეყანა რომ ჩემი წინააღმდეგი იყოს, ყველას ვძულდე და ყველა მდევნიდეს, შენ მაინც ჩემი მომხრე უნდა იყო, ჩემი აზრები და გრძნობები უნდა გწამდეს. შეიძლება არც დედამ თანამიგრძნოს, არც მამამ, არც ძმამ, მაგრამ შენ კი ჩემთან უნდა იქნე!.. სხვაფრივ შეუძლებელია. სხვაფრივ მე ცხოვრება არ შემიძლია. მითქვამს და კიდევ გეუბნები!

ამ სიტყვებმა თამრო ცოტა არ იყოს დააშოშმინა, იგრძნო, შოთას ისევ უყვარდა.

— შვილო, შოთა, მოხვედი?რად დაიგვიანე? — გამოსძახა მეორე ოთახიდან გაბრიელმა.

— მოვედი, მამა, მოვედი. იმ ახალ დანიშნულ მასწავლებელთან ვიყავი, ლაპარაკს შევყევით.

— როგორი კაცია, ვარგა მასწავლებლად? თუ ჯობია იმ ჩაფოლაქებულს?

— ასე, ჩვეულებრივია. ძველზე უფრო ჭკვიანია.

— კი, კი, სახეზე ეტყობა, გონიერი კაცი უნდა იყოს. აბა, ის ჩაფოლაქებული ღვინის სმისა და იმ მასწავლებელ ქალის კურკურის მეტს არას აკეთებდა. კარგი ჰქნა სოფელმა, რომ თავიდან მოიშორა, მაგრამ შენ რო არ ყოფილიყავი, ის მასწავლებელი დღესაც აქ იქნებოდა. ძალიან კი მოეხმარე .მაგაში სოფელს, ყველა გიმადლის, შვილო. ბავშვების დედ-მამა სულ შენ გლოცავს.

შოთას კი წეღანდელ შავ ფიქრთა ხროვა ისევ დახვეოდა, სწიწკნიდა, დახარხარებდა, გულს უღრღნიდა, თამროს სიტყვები თავიდან არ შორდებოდა. რწმუნდებოდა, რომ თამრო მოწადინებული იყო რაღაც უპიროვნო არსებად გადაქცეულიყო, ტიკინად დაესახა თავისი თავი. იგი არას ითხოვდა, გარდა ალერსისა, სიყვარულისა და თამაშისა.

უცებ ელენე გაახსენდა. თითქოს ვიღაცამ ყურში ჩასძახა:

„ელენეც ასეთი მეუღლე იქნებოდა შენთვის! აი, ის ელენე, შენ რომ სიყვარული გამოუცხადე და მან კი უარი გტაცა“.

შოთას თავზარი დასცა ამ სიტყვებმა. შეკრთა.

— რა იყო, გენაცვალე, რა მოგივიდა?! — ჰკითხა თამრომ. შოთამ ლამის ხელი ჰკრა, პირქუშად შეხედა.

XXIII

— მამა, შენ უთხარი და ეგება ხათრი არ გაგიტეხოს.

— შენ უთხარი, შვილო, სულ ერთი არაა?

— არა, მამა, არა, როცა ვეუბნები, ჭკუის სწავლებას დამიწყებს, ყველაფერში გამამტყუნებს, შენი კი მოერიდება.

გაბრიელი გარეთ გამოვიდა, თამრო კარებს მოადგა.

— შვილო შოთა, გამოეწყვე და ერთი ეკლესიაში წავიდეთ. თამროც წამოვა. ეგება დედაკაციც წამოვიტყუო, კარგი ამინდია.

თამრო სმენად გადაიქცა.

— ვნახოთ, აბა, დღეს ის ჩვენი აყინწილებული ახალი მასწავლებელი როგორ აგალობებს საყდარში მოწაფეებს! ვითომ შემეცილა, მაგრამ ვნახოთ, თუ ჩემზე უკეთ მოაწყობს გალობას! უწინაც უქნიათ ასე მასწავლებლებს, მაგრამ მალე მიუნებებიათ თავი. არა, იცი, შოთა, წარსულ კვირას ისევ მე რომ არ მეთქვა ბანი, ცუდად იყო მათი საქმე. გაუჭირდათ მაგრამ რა გაუჭირდათ! ხა... ხა... ხა... ის მასწავლებელი გეიჭიმა, გასოსოლიკდა, გაწვრილდა. ისე აუწია ხმას, რომ კინაღამ სული ამოხდა. მეც ამ დროს შემეცოდა და ისეთი ბანი დავაგუგუნე, რომ შენგან მოწონებული. კიდევ ძველი კაცი, ამბობდა ხალხი. დღესაც მოვეხმარები და, აბა, შენ დააფასე, ვინ სჯობს.

— მე საყდარში არ წამოვალ, — ჩაილაპარაკა შოთამ და თავისი საქმე განაგრძო, თან საშინელი წყენა იგრძნო: მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— რისთვის, შვილო? — ჰკითხა გაბრიელმა. — ჯვარი რომ დაიწერე, მას აქეთ საყდარში არ ყოფილხარ. არ ვარგა, შვილო. შენი ძირი ხატი უნდა გიყვარდეს, თაყვანს უნდა სცემდე... ძლიერი ხატია, მისი მუხლის ჭირიმე! წამოდი, შვილო, სოფელ-ქვეყანაში გამოჩნდები, სანთელი აანთე, ღმერთს შეეხვეწე. ჩემ შეწირულ ბაირაღებს და სახარებასაც გაჩვენებ. ხომ არ გინახავს? ა? ნახე?

— არა.

— ოო, მით უმეტეს, თუ არ გინახავს. გაჩვენებ. წამოდი. მტერს თვალები უნდა დავუვსოთ. მთელ სოფელში სახელოვანი კაცი ხარ და ისე უნდა მოიქცე, როგორც შეგშვენის.

თამრო სმენად იყო გადაქცეული.

— რა უნდა გავაკეთო, მამა, საყდარში?

— როგორ, შეილო? ჩვენ რას ვაკეთებთ? ღმერთს უნდა ეველრო, მეტს რას გააკეთებ?!

— ღმერთს უნდა ეველრო?! რა ვთხოვო?

გაბრიელს ეწყინა. შოთას სიტყვებში ირონია დაინახა.

— მე, არ წამოვალ. თქვენ, ვისაც გინდათ, წადით.

შოთა ოთახში შევიდა. გაბრიელი არ მოელოდა გაწბილებას. გული მოუვიდა და ნაწყენი წავიდა სამზად სახლისკენ.

— რა ვქნა? რა ბედის შეეიქენი? მე უბე... — მხოლოდ ამის თქმა მოასწრო თამრომ და ტირილი წასკდა.

— რას ჰგავს, ადამიანო, შენი საქციელი, რა იყო? ახლა გაიგე, რომ საყდარში არ წამოვალ? შენ თუ გინდა, წადი! ხომ არ გაკავებ?! — უთხრა შოთამ.

— ერთი მითხარი, ქმრიანი ვარ თუ ქვრივი? ცოცხალი მყავს ქმარი თუ არა?! — აენთო და შოთას შეაჩერდა. — მითხარი მალე! თუ არსად გამყვები, მტერში არ გამომაჩენ, მოყვარეში არ დამამშვენებ, ისე რად მინდებხარ? დეე! თქვას ყველამ, რომ ჩემი ქმარი ხარ, დაგინახონ ჩემთან გავლილი! ხომ არ გერცხვინები? მახინჯი ხომ არა ვარ?!

— თამრო, შენ თუ აგრე განაგრძე...

— არ მინდა მოგისმინო, არა,—გააწყვეტინა თამრომ,— შენ არ გიყვარვარ, არ გებრალები, თორემ ასე არ მომექცეოდი. არც ჩემი დედა გიყვარს, არც მამა! არავინ! შენი გულისათვის ყველაფერი დავივიწყე და დღეს? შენს ხელში ერთი გახარება არ მინახავს. თავიდან უბედური ვიყავი. ჯერ ჯვარი როგორ დავიწერე? უპატრონოსავით, უპირისუფლოსავით, აგდებულად. ჩემი ჯვარისწერა მთელ სოფელს უნდა გაეგო, ძვირფასი ტანისამოსი უნდა შემეკერა. შენ კი ისე ამიბნიე აზრები, რა ვქენი, თვითონაც არ მახსოვს.

შოთა ხმაგაკმენდილი მისჩერებოდა.

— მერე კიდევ... თუ ღმერთი არ გწამდა და ხატი, ჯვარს რად იწერდი, მაშინ მაინც რისთვის შედი საყდარში?!

შოთას ამ სიტყვებზე შერცხვა, გაწითლდა, თავი მტყუანად იგრძნო, ჭიშკარს მიაშურა.

— რაო, გული მოიყვანა? არ წამოვალო? — შეეკითხა სიდონია ქმარს.

— არ წამოვალო!...

— რა შეიქნა ეს კაცი? ხომ გეუბნებოდი, არაა ჩვენი საქმეთქვა, ახლა ხომ აგიხდა? ცარიელ-ტარიელიცაა!

— რატომაა ცარიელ-ტარიელი? ახლა ხომ ჯამაგირშია? მალაზიიდან აქვს ჯამაგირი, — გააწყვეტინა გაბრიელმა.

— ასე თუ მოიქცა, ბევრი შერჩება, მისმა სიცოცხლემ! გუშინწინ, მისი ლაწირაკი ამხანაგები რომ არიან, ისინი მოსულიყვნენ და ფული ეთხოვათ. ქალაქში მივალთ და სამგზავრო არა გვაქვსო. მასაც აუღია და ოცი მანეთი მიუცია, როცა გექნეთ, მაშინ მომეცითო.

— შენ ვინ გითხრა?

— თამრომ. საწყალს ჰგონებია, საათს მიყიდისო, მაგრამ გაგიგონია! ეშმაკებში გაუცია ფული... ჰოდა, მითხარი ერთი, რისი იმედი უნდა ჰქონდეს მის პატრონს? გოგო მომიკვდება ჯავრით, თვარა სხვას ვინ ჩივა! მე რომ რამე ვუთხარი, შევძულდი, შევზარდი. ვატყობ, რომ ჩემი ნალაპარაკევი ეკალივით ესობა გულში. თავიდანვე სხვანაირად მიყურებს. რა გველი შევუწვი მაგ ცეცხლშემოკიდებულის შვილს! კაის მეტი რა მიქნია?!—ამბობდა სიდონია.

— კარგი, დედაკაცო, ნუ დაიწყებ ჩურჩუტს, ვის ჰყავს ჩვენზე უკეთესი სიძე? მაგ საყვედურებს თავი დაანებე და ისა ჯობია, რომ ცოტა დავეხმაროთ, მგონი დას ათხოვებს, მერე უფრო დაგვანდობს გულს. შევუყვარდებით,—ამბობდა გაბრიელი, თან ეტყობოდა, თავისი თვითონვე არა სჯეროდა. ტყუილა იკეთებდა გულს.

— შენმა სიცოცხლემ, ახლა დასაც მე გავუთხოვებ, ესღა გვაკლია! გიგო ბროლიძის ოჯახსაც მე ვარჩენ, შე გამოშტერებულო, შენა!

— წადი, წადი და იმ გოგოს მიხედე, ტირის მგონი, შენ ჭკუა ვინ მოგცა?!—გაწყრა გაბრიელი.

წირვის დარეკეს. გაბრიელმაც პირჯვარი გამოისახა. მესმა, უფალო, ხმა შენიო, თან დაატანა. „რო ვაკვირდები, ჩემი დედაკაცი მართალს ამბობს. ტყუილა ვჯიუტობ და ვიცავ ჩემ სიძებატონს. თუ კიდევ ასე გაგრძელდა, არ ვიცი, რა მოგვიხდება“, — ფიქრობდა გაბრიელი და საყდრისკენ მიდიოდა.

XXIV

შოთა მამამისის ოჯახში მივიდა. ახლა გიგომ მოხსნა საყვედურის გუდას თავი:

— შვილო, მდიდარ კაცს ჩაესიძე, იმედი მქონდა, რომ შვილს გამათხოვებინებდი, თვალში გამომახედებდი და ეს რას ჰგავს? არ გებრალები მაინც? შენ მყავდი იმედად და შენც ხელი ამაღე? რა უნდა ეშველოს ჩვენს ოჯახს, რამ უნდა დააყენოს ფეხზე? შენ თუ არ გაიგებ ჩვენს გაჭირვებას, სხვა ვინ გვიკითხავს? აი, შენი დაი არაა, აგერ რო შემომაბერდა ხელში? შენი სისხლ-ხორცი არ გებრალება? დაძმობა არ იცი?!

— არ დამანებებთ თავს? მე არავისი საჭირნახულო არა ვარ, არავის არ ვეკიდები ბარგად! ჩემს თავს კი ვირჩენ. არ მინდა ეს თქვენი გათხოვება და რას ჩამციებიხართ? მოლოზვნად წავალ! — საყვედურის კილოთი თქვა კესომ.

— მამაჩემო, რაზე ცხარობ და მესაყვედურები? როდის იყო, რომ საშუალება მქონდა და არ მოგეხმარე? ახლა რასაც ჯამაგირს ავიღებ, კესოს გათხოვებას მოვანდომებ. მაჩვენოს, ვინც მას უნდა და მეც მზადა ვარ.

კესოს გულში ჩიტი აუფრინდა.

— დიდი ხანია მაჭანკლობა გვაქვს, შვილო,—ჩაერია მართა,—კაი ოჯახის შვილია, მაგრამ უშენოდ რას ვიზამდი? კესოსაც მოსწონს.

— მეტი გაგიხმა ის ენა შენ!—მიაწყევლა დედას კესომ.

— როგორ, დაო, შენ არ მოგწონს? თუ შენი სურვილი არ იქნება, ისე ვინ შეგრთავს?

კესო დაიწვა, მიწა გაუსკდა. ყველა მის პასუხს ელოდა, ენა დაება.

— თქვი!

— მომწონს, მომწონს რა, ის კი არა ვარ? უნამუსო კი არა ვარ, რო სოფლის ბიჭებს ვსდიო! ვინც მაგენს მოეწონება, ის მეც მომეწონება. მშობლების წინააღმდეგი როდის ვიყავი? — ძლივს მოახერხა კესომ და კიდეც გაცამტვერდა ადამიანი. „როგორ გამოვედი სირცხვილიდან და დავკარგე ნამუსიო“, — გაიფიქრა და თავი ჩაქინდრა გაწითლებულმა.

მშობლები გამხნევდნენ შვილის პასუხით. იქვე გადაწყვიტეს გათხოვების დაჩქარება.

— დაუდგა იმ შენს სიდედრს თვალები, რო ვერ გიცნობს, შვილო! ყოველდღე დადის და თავი მოგვაძულა: დაარიგეთ, თქვენი შვილიო, — დაიწყო მართამ დაბეზღების კილოთი, რაკი დაინახა, რომ შოთა ოჯახზე ზრუნავდა და არ ივიწყებდა მათ.

— როგორ, აქ დადის?!

— დადის და მეტი არა? ჩააგონეთ რამე, ნუ იქცევა ასეო. მაშინ კი ძაან გააფიჩინა ყურები, მთელმა ხალხმა რომ ნოქრად აგირჩია და ტაშს გიკრავდნენ. მაშინ კაი იყავი... მე მიმადლოს, თვარა შენისთანა სიძეს ვინ მიაშავებდა?!

„რა ხდება ჩემს გარშემო? — ფიქრობდა შინ მიმავალი შოთა, — სად მოვხვედი? დედა, ცოლი, სიდედრ-სიმამრი... თამრომ კიდევ რა მითხრა: ჯვარი რად დაიწერეო? მართალია, მართალი! საყდარში არ უნდა შევსულიყავი. აკი იქაურობის არა მწამს რა... რა ჩავიდინე ეს, როგორ შევცდი?.. ან აქნობამდე რად არ დავაკვირდი ამას?.. იმით მაინც კმაყოფილი ვარ, რომ მაღაზიის საქმე მშვენივრად წავიყვანეთ, დაღუპვას გადაეარჩინეთ, ხალხი მადლიერია, სასწავლებელი შევაკეთებინე, ქსენონის საქმე უკვე მოგვარდა, ბანკიც. ბიბლიოთეკა მშვენიერ მდგომარეობაშია. მემამულეებთან შეტაკებაში ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენი წრე გაიზარდა, ქართულ ლიტერატურას მალე დაასრულებენ. პოლიტიკურადაც გვარიანად მომწიფდა. ხალხში გავლენა გვაქვს“.

დარდები გადაეყარა, კერძო, საოჯახო უკმაყოფილება სულ დაავიწყდა, ოცნებამ გაიტაცა, ფიქრთა სავანეში შეცურდა. „რა ბედნიერება იქნება, როცა ყველგან ასეთი დაწესებულებები მოიფინება. კოოპერატივი, სწავლა-განათლება, მშრომელი ხალხი წელში გაიმართება, თავს აიღებს, თავის ბედზე იზრუნებს, მონობას თავს დააღწევს“.

კოოპერატივის წარმატებით, რასაკვირველია, მისი მტრები კმაყოფილი არ იქნებოდნენ. რაკი სხვას ვერას გახდნენ, განსაკუთრებით, კბილებს ილესავდნენ შოთაზე და მის ამხანაგებზე, ვინც მას ეხმარებოდა. რა ხრიკებს არ მიმართეს, მაგრამ არა ვაუვიდათ რა, იძულებულნი იყვნენ დროებით მიწყნარებულიყვნენ.

მაგრამ საქმემ უცებ ცუდი ხასიათი მიიღო:

ერთ ღამეს კოოპერატივს ყაჩაღები დაეცნენ და გაძარცვეს. მიეცათ სალაპარაკო შოთას მტრებს, ყაჩაღობა შოთას ამხანაგებმა ჩაიდინეს და ისიც ამხანაგად იყოო. მემამულეებმაც თავი წამოჰყვეს.

— ახლა, ხომ ხედავთ, რა შეგძინათ თქვენმა ახალმა ვაჟბატონმა! — ამბობდა ერთი თავკაცთაგანი.

— ამ სამ თვეში რაც მოგება გამოაჩინა, ყველა თავის ამხანაგებს გაატანა, — დაცინვით უმატებდა მეორე.

— გაგაბედნიერებთო, რომ პირდებოდა ხალხს, ხომ აასრულა! — ღრეჭით ემოწმებოდა მიკიტანი.

— დამპალი საქონელი მიაქვს და იმიტომ ჰყიდის იაფად, თვარა ისე დუქანი რას მოიგებდა? აქამდე რად ვერ იხეირა? რა შეიქნა მაგ შოთა ამისთანა?

ყაჩაღები ვერ აღმოაჩინეს. ყველა დარწმუნდა, რომ მძარცველები მათსავე სოფელში იყვნენ.

— აი. იმ ვაჟბატონების საქმეა, სოფელში რომ უქმად დაეხეტებიან. ახალი თაობის კაცები ვართო, იძახიან. მაგათ დაგვღუპეს და ამოგვაგდეს! არ ვიცოდით, რაც ხალხი იყვნენ? როდის გაუკეთებიათ რამე ხეირიანი. შეაცდინეს ხალხი, არიგდარიეს ქვეყანა.

ასე ამბობდა სოფლის უმეტესობა.

— შოთა, მოიგონე ჩემი ნალაპარაკევი, ხალხი არაა სანდომეთქი, რომ გეუბნებოდი. მე კი მწამს, რომ შენ ამ საქმეში მართალი ხარ, მაგრამ არ გადის შენი სიმართლე, ძამია. — ეუბნებოდა შოთას მასწავლებელი.

შინაურებიც ქვა და გუნდას აყრიდნენ.

— შეილო, ხომ აგიხდა ჩემი სიტყვა! — ეუბნებოდა გაბრიელი. — გირჩევდი, ნუ აყოლიხარ ამ ლაწირაკებს, თავი დაანებე, სანამ უბედურებას შეგყრიან-მეთქი, არ დამიჯერე და ა, ბატონო!

— შენი არ იცი და ჩვენიც არ გჯერა. შენს მეტს თუ რამე გამოცდილება აქვს და რამე უნახავს, არ გგონია! — ესაყვედურებოდა გიგოც.

— თავი დაიღუპე, შვილო, შენი ჯიუტობით და ესაა. ქვეყანაშიც შერცხვი!

— კმარა, მამა, მე არსად არ შევრცხვენილვარ. არც არა-

სოდეს არ მომეცხება ტალახი, — გააწყვეტინა კრიჭაშეკრულმა შოთამ.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. რა ექნა, არ იცოდა. მასზე ნაკლები დღე არც მის ამხანაგებს ადგათ. ყველასათვის თითით საჩვენებელი შეიქნენ. ეცადნენ ხალხს მოლაპარაკებოდნენ, რაიმე საერთოდ ეღონებინათ, მაგრამ ვინ უჯეროდა მათ.

წარბშეკრული იჯდა შოთა, არ იცოდა, რა ექნა, ვისზე მიეტანა ეჭვი. „ნუთუ მართლა ვინმე ჩემიანი იქნებოდა? არა, ეგ შეუძლებელია!“ — ფიქრობდა მეათასეჯერ.

მეორე ოთახიდან კი მუსაიფი ესმოდა:

— ძალიან კარგია, — ეუბნებოდა თამრო დედას, — მოუხდება! აწი მაინც არ აჰყვება იმ ვიღაც ლაწირაკებს, აწი მაინც მოქრისტიანდება. ხო ხედავს, რომ არავინ უმადლის მის კაი ნაქნარს. ხალხს მაგი აამებს? გული მიკვდება, როცა მესმის, ავად რომ იხსენიებენ. პირში ვერ მიბედავენ, მაგრამ ტირილი მომდის, როცა ცუდად ახსენებენ. გულში მაშინაც ძალიან მიხაროდა, როცა აქებდნენ, მაგრამ პირში რავა ვეტყოდი კარგს შვები-თქვა. რაც დაემართა, მოუხდება, ახია მაზედ, აწი მაინც არ ისწავლის ჭკუას?!

შოთას თავზარი დასცა ამ სიტყვებმა.

— უი, ჩემი სიკვდილი, შენ აქ იყავი? — მიაძახა თამრომ. როცა ოთახში შემოვიდა და ცოტა დაბნევის შემდეგ გვერდით მოუჯდა, თავზე ხელი გადაუსვა.

— რამ მოგაწყინა? გამხიარულდი, გენაცვალე, რა გაქვს სადარდელი? შენ იყავი მხიარულად და ყველაფერი შავ წყალს წაუღია, გამხიარულდი, მაკოცე, — ესიყვარულებოდა ქმარს.

— მომშორდი! — უთხრა უცებ შოთამ და ზეზე წამოიჭრა.

თამროც წამოხტა.

ზიზღით შესჩერებოდნენ ერთიმეორეს და ერთმანეთისათვის სიტყვა ვერ ეთქვათ.

XXV

ხვალ ახალი წელია.

დედამიწას თეთრი ჩადრი წაეხურა.

ტოტებგადაფიფქული ხეები ხმაგაკმენდილი იდგნენ.

— თუ ასე ითოვა, ისეთს დაყანთრავს ამეღამ, რომ... — თქვა გაბრიელმა.

კარგა შეგვიანების შემდეგ შოთაც მოვიდა. თოვლით იყო შეთეთრებული.

— დიდი ვაჭრობა გექნებოდა, შვილო, დღეს, — უთხრა გაბრიელმა.

— ასე.

— შვილო შოთა, დღეს ჩემი დისწული იყო აქა.

— მერე?

— მერე და ის, რომ შემეხვეწა, ხვალ ნათვლა მაქვს და შოთამ შვილი მომინათლოსო. იმედია, უარს არ ეტყვი. ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემს ოჯახში გაზრდილი, ჩემი მომხედავი და დამტირებელი.

შოთას დიდხანს ხმა არ ამოუღია. სხვებიც ჩუმად იყვნენ. ყველა გრძნობდა, რომ შოთას არ ეამა ეს ამბავი.

— თუ არ დაგვიკარგავ, შვილო, შენ იცი, — ბოლოს ისევ სიდონიამ ამოიღო ხმა, — ესაა მისი პირველი შვილი, გულის ყვავილი. მოუნათლე, შვილო, და ეამება, ღმერთი მოგიწონებს და კაცი. შენი ნათესავი უნდა გიყვარდეს, მტერ-მოყვარეს ანგარიში უნდა გაუწიო. ოჯახის კაცი ხარ.

— რამე კაი სახელი უნდა გამოვუგონოთ, იცი, შოთა? — ჩაერია თამრო, — მე ვფიქრობ...

— რისთვის გინდათ, რომ მომიწამლოთ ეს დღესასწაული? — თქვა აღელვებულმა შოთამ.

— რას ქვია, შვილო, მოწამვლა? რას ამბობ ამას?!

— განა არ იცით, რომ მე ბავშვს არ მოვნათლავ?

— დაიწყო კიდევ მისებური! — ჩაილაპარაკა თამრომ.

— რა თქვი, ქალბატონო? ხმამაღლა მითხარი! — შოთა თამროს ჩააცქერდა.

— არაფერი, — ჩაილაპარაკა ცრემლმორეულმა თამრომ.

— შვილო, ხომ არ შეშლილხარ?! — შეწყრა გაბრიელი. — რას ერჩი მაგ ბავშვს? რაც სათქმელი გაქვს, ჩვენ უნდა გვითხრა. ჩვენ ვართ აქ უფროსები... და არა გუშინდელი ბარტყი.

— დაიწყნარე, შვილო, გული, — მოეფერა დედა თამროს.

— ჩემს ცოლს, ჩემს ამხანაგს, რასაც მინდა, იმას ვეტყვი, ეგ ჩემი საქმეა და თქვენ ნუ ერევით!

გაბრიელი დარწმუნდა, რომ, თუ თავს არ შეიმაგრებდა, რამე ცუდი მოჰყვებოდა მის პასუხს. თავი შეიკავა. თან გაცეცხლებულ თვალებს ხან შოთას მიაჩერებდა და ხან თამროს.

კარგა ხანს სიჩუმე იყო.

— შვილო, სულ აგრე ლაპარაკი არ გარგია! სიბრიყვეს თავი უნდა ანებო. ხომ ხედავთ, რომ შენი კაი ნაქნარი არ გადის... მიენდვე სოფელს და აკი შენც ხედავ, რა გიქნეს! ისევ შენმა ამხანაგებმა შეგარცხვინეს, იმათ რა ენაღვლებათ, რას აგებენ!

— მამა, თუ ღმერთი გწამდეს, ერთსა და იმავეს ნუ მელაპარაკებით ყოველ წამს! ყოველთვის ნუ მარიგებთ ჭკუას, სრულწლოვანი ვარ, არავის გაძღოლა არ მინდა. ჩემს ამხანაგებსაც ცუდად ნუ იხსენიებთ.

— ნუ ვიხსენიებ, დიახ, ნუ ვიხსენიებ! კაი რამე კი შეგძინეს!

— მაგას ისე აქვს აბნეული გზა-კვალი, რომ ჩვენ ვეჩვენებით მტრებად, მისი ამხანაგები კი წმინდანებად მიაჩნია, — თქვა თამრომ.

შოთას ხმა არ გაუცია.

— აბა, რა ვუთხრათ, შვილო, იმ ადამიანს? დავკარგოთ? სამუდამოდ გავეთიშოთ?

— როგორც გენებოთ.

— შენ თუ ჩვენს ნათესავებს ასე მოექცევი, ხომ დაგვიკარგე ყველა! ჩვენ თუ გინდებვართ, ჩვენი ნათესავ-მოყვრებიც უნდა გინდოდეს. თუ ჩვენი შვილობა გინდა...

— ნუ მომაბეზრეთ თავი! ათასი რომ მითხრათ, იმას ვერასოდეს ვერ ჩამადენინებთ, რაც მე არა მწამს. არა მწამს არც თქვენი მღვდელი, საყდარი, არც ნათვლა.

— შვილო, ასეთი შეჩვენებული თუ იყავი, ჩვენთან რა გინდოდა! მღვდელი შენი მტერია, თავადი, აზნაური, ვაჭარი და ყველა. ვინც სოფელში კაცური კაცია, ყველას შენ კბენ და ვიღაც გუდამშიერებს კი ეამხანაგები. ამისთანა კაცს რა უნდა ჩემს ოჯახში! — წამოიძახა გააფთრებულმა გაბრიელმა. — აქნობამდი, შვილო, ხელს გაფარებდი: ვფიქრობდი, ეგება გაიგონოს ჩემი, შეიბრალოს ოჯახი-თქვა, მაგრამ რაკი არაფერი გადის, აწი მე ვიცი. შეგონა, გამიტანდი, შვილობას გამიწევდი,

მთელი ჩემი ქონება ხელში ჩაგიხვიე და შენ კიდევ ამისთანა ამბებს მითვე? როცა კისერში ჩამაჯექი, მერე იძახი თქვენი არაფერი მწამსო? ესაა შენი პატიოსნება? ესაა შენი კაი კაცობა? ამისათვის იძახი, რომ ჭკვიანი კაცი ვარო?! — გაბრიელი დორბლებს ჰყრიდა, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა. — სინდისიანი მეგონე და უსინდისო ყოფილხარ! კაცი მეგონე და დედაკაცი ყოფილხარ! ყველაფერი უნდა გადმოვანთხიო, ყველაფერი! შენი ჩამოსვლის მერე ოჯახი ამერია, ამიფორიაქდა. ვინ არ დადის? ვინ არ დაჩანჩალებს ჩემს ეზო-გარემოში? სულ სათოკე ხალხი, ჩამოსახრჩობი! კაცს ლუკმაპური გიჭირდა, ჩამოგისიძე და შენ კიდევ ამას მიშვები? მერე ვისი შვილი? ვისი? ვინ გამიბატონდა? ახლა კიდევ თავისი დაი ჩემი სახლიდან უნდა გაათხოვოს. ღმერთო, რას მოვესწარი? ეიქნებოდი ჩემთვის უდარდელად, უზრუნველად. ახლა კი...

შოთა აღელვებული იდგა.

— თუ ამდენი რამ გქონდათ სათქმელი, აქნობამდე რად არ მითხარით? — შეეკითხა წყნარი, თავშეკავებული ხმით გაბრიელს.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმმა ხმამ და მტკიცე კილომ გაბრიელი თითქოს შეაშფოთა. თამარმაც დედასთან ერთად გაკვირვებით შეხედა შოთას. ის კი ჩუმად ადგა და პასუხს ელოდა, მაგრამ ამაოდ.

— მითხარით, მე თქვენ გეკითხებით! — განაგრძო მან ისევ წყნარად. — თუ თქვენთვის ასე უცხო ვიყავი, ასე გეჩოთირეებოდით, დღემდე რატომ არაფერი მითხარით?

ხმა არავინ გასცა.

— მაშ, მე ვიტყვი ჩემსას, — განაგრძო შოთამ იმავე ხმით, — უპატიოსნობა ჩემს დღეში არ ჩამიდენია, მით უმეტეს თქვენს წინაშე ჩემი სინდისი წმინდაა. შეიძლება თქვენ სხვაფრივ გესმით პატიოსნება, მე კიდევ სხვაფრივ, მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არაა. რაც შეეხება ჩემს ხასიათს და ჩემს რწმენას, ეს, მე მგონია, ყველამ კარგად იცით და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ის დავრჩები, რაცა ვარ. თუ ჩემი თავი გინდათ, მომასვენეთ, რა გინდათ ჩემგან? ლოთი არა ვარ, გარყვნილი არა ვარ, ქონებას არ ვფლანგავ. რამდენადაც შემიძლია, ვმუშაობ, ზარმაცობას ვერავინ შემომწამებთ.

მართალია, ღარიბი ვარ და ღარიბის შვილი, მაგრამ სიმართლით კი გვიცხოვრია, სხვისი ნაოფლარი არც მე და არც მამაჩემს არ უჭამია. ამით ვამაყობ. ჩემს დას მე ვათხოვებ, მე ვაძლევ ფულს ჩემს ნამუშევარს და არავის ნება არ აქვს რამე წამომძახოს. რაც შეეხება თქვენს სიმდიდრეს, ამაზე აი, რას მოგახსენებთ: თქვენ ხალხს ფულს სტყუებთ, ეს რაღაც უსარგებლო წამლებიო, ეს დავითნიო, მკითხაობა და რაღაც ასეთები. თუ დღეის იქით ამისმაგვარი რამე აქ დავინახე, იცოდეთ, თავს დაგანებებთ, თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვის. მე თქვენი სიმდიდრის არა მინდა რა.

შოთას ხმა აუკანკალდა, თვითონაც ათრთოლდა. გაბრიელს და სიდონიას უნდოდათ რამე ეპასუხათ, მაგრამ შოთას მტკიცე კილომ შიში მოჰგვარათ.

თამრო გულაფანცქალებული მისჩერებოდა შოთას.

— შენ კი, ჩემო ქალბატონო, — მიმართა შოთამ მას, — შენ მაინც რად მიწამლავ სიცოცხლეს? შენ მაინც რად არ თანამიგრძნობ, რად არა ხარ ჩემს გვერდით? აკი მეფიცებოდი ჯვარისწერამდე: შენთან ერთად მოვკვდები, შენი ვარ ჭირში და ლხინშიო...

ყველანი შეშინდნენ. გულაჩვილებულ თამროს ტირილი წასკდა და ათრთოლებული მივარდა შოთას, მზად იყო ფეხქვეშ ჩავარდნოდა, მის წინ დაჩოქილიყო და პატიება ეთხოვა, თან ფიცი მიეცა, რომ სამარის კარამდე მისი უერთგულესი მეგობარი იქნებოდა.

„რით დავაღწიო თავი ამ მდგომარეობას, რით? — ფიქრობდა შოთა, — ნუთუ მე და თამრო სამუდამოდ ვშორდებით ერთმანეთს? ნუთუ ამხანაგებმა მიღალატეს? ნუთუ, მართლაც, წილი უდევთ მალაზიის გაძარცვაში?“

მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. იცოდა, რომ თამროც კარგ დღეში არ იყო, მასთან ერთად ისიც იტანჯებოდა, მაგრამ ხმა ვერ გაეცა.

რამდენიმე დღე შოთა დამუნჯებულივით დადიოდა. კოოპერატივის ანგარიშები სხვას გადააბარა, ამხანაგებს გამოეთხოვა, თან საჭირო დარიგება მისცა და ბოლოს სიმამრ-სიდედრს და თამროს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— მშვიდობით, მე აქ არ მედგომება, ქალაქში მივდივარ. ყველას თავზარი დაეცა.

მატარებელი გამალებული მირახრახებდა...

მესამე კლასის ვაგონი თავისი აჭრელებული მგზავრებით თავდავიწყებული მირბოდა. აგერ ხურჯინიანი მგზავრი, იქ მეორეს ტომრები სკამქვეშ ამოუწყვია, მესამე ქათმებს აკრიახებს. ხმამაღალი ლაპარაკი, სიცილი, ატირებული ბავშვი, ოფლის სუნი, ყალიონის კვამლი, შეზავებული ჰაერი...

შოთა დაღონებული მისჩერებოდა ხალხს, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში: თამრო, დედ-მამა, თავის სოფლელები, ამხანაგები, ხან ერთი, ხან მეორე.

„ყველა დავტოვე, ყველას გამოვეთიშე. თამრო... რა დღეში იქნები! რაა ახლა შენს გულში? ნეტავი არც მომაგონა. დედა! შენ რას ფიქრობ ჩემზე? კესო, შენ მაინც ხომ მოგიმადლიერე, დაო. აგისრულდება შენი ოცნება. მამავ! მუდამ შრომა, მუდამ შიში, მუდამ სხვის წინ ცახცახი. ნუთუ ვერასოდეს ვერ იგრძნობ თავს ბედნიერად? ხალხი!.. რას ფიქრობს ახლა ჩემზე ჩემი სოფელი? ალბათ, ყველას ცუდ კაცად მივაჩნივარ. ამხანაგებო... ვინ იცის, იქნებ თქვენში, მართლაც, არის იუდა. ალბათ, მასწავლებელი ახლა გამარჯვებულად იცინის და ნიშნს მიგებს. ვფიქრობ ამდენი ხანი და ვერ გადამიწყვეტია — ვის უნდა გაეძარცვა კოოპერატივი? ყოველ მხრივ დავმარცხდი“.

ფანჯარაში გაჰყო თავი. კარგა ხანს იყო ასეთ მდგომარეობაში. მთა-გორები, ველები თითქოს ცეკვავდნენ მატარებლის ხმაზე. გადათოვლილი მიდამო მზის სხივებზე ქათქათებდა. თოვლში ჩაფლული ქოხმახები, საკომურიდან კვამლი.

„რა უნდა ეშველოს აქ მცხოვრებ ხალხს, — ფიქრობდა იგი, — როდის მოაღწევს აქამდე ბედნიერება“?

— გვცივა, გვცივაო, — მოესმა შოთას და ფანჯარა დაახურინეს.

ისევ თავისიანებზე ფიქრობდა, ისევ თამრო ედგა თვალწინ. „ალბათ, ფიქრობს: მიღალატა, მომატყუაო, უსინდისო ადამიანად მთვლის. რა ვქნა, ჩემო თამრო, როდესაც ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა!.. არ მომიტყუებიხარ, არა!“

რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს, მით უფრო დარდი

უმსუბუქდებოდა, შუბლი ეხსნებოდა. მოაგონდა ამხანაგები, მათთან გატარებული ათი წელი საერთო შრომა და გული ხალისით აევსო...

„მაშ, მოვდივარ, მოვდივარ, ამხანაგებო! ისევ თქვენთან, თქვენთან სიკვდილი, თქვენთან დარჩენა. ელენესაც ვნახავ. როგორ მოვექცე?“

ეს კითხვა უსიამოვნოდ შეეჭრა შოთას გონებაში, პასუხის გაცემა ვერ მოეხერხებინა, ეშინოდა, რცხვენოდა.

„როგორ? რამდენიმე ხნის უკან ქალაქიდან სოფლად ქალის გულისათვის გამოვიქეცი. ახლაც სოფლიდან ქალაქში თითქმის ამისათვის მივალ და ახლა კიდევ ქალზე ვიფიქრო?! არა, სირცხვილია, შეუძლებელია. განა ქალის სიყვარულის მეტი არაფერია ცხოვრებაში?“

მატარებელი მიუახლოვდა ქალაქს. შორს, სერებზე შენობები გამოჩნდა. თეთრი, მოწითალო სახლები, საყდრები, ქარხნების მილები.

მზეს ოქროს მძივები გადაებნია თოვლით გათეთრებულ სახლების სახურავებზე. პირველად ნისლში გახვეულს ჰგავდა ქალაქი... შემდეგ კი, მატარებლის მიახლოებასთან ერთად, თანდათან გამოირკვა.

შოთას გული აუთრთოლდა. სოფელი სრულიად გადაავიწყდა, ასე ეგონა, რაღაც ტალახიან ადგილს დაახწია თავი და სისუფთავეზე გამოვიდა.

„შენგანა გულობს ეგ გული, შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი. შენი მიწოლავ მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი!“

წარმოთქვა აღტაცებით.

XXVI

ფართო დარბაზი. თეატრის პარტერი.

მუშები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ. ზოგი კარგა ხნის მოსული იყო. ერთ კუთხეში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ერთგან გაზეთს კითხულობდნენ, მეორეგან წიგნს. ზოგი ჩაფიქრებულიყო, ზოგიც სკამებს შორის გადი-გამოდიოდა და დასაჯდომად ადგილს ეძებდა.

— ამხანაგო, როგორ მოგწონს ჩვენი გაზეთის დღევანდელი მოწინავე?

— ვერაფერი შვილია მაინცდამაინც. გუშინ კი მშვენიერი იყო...

— მოთხრობა როგორია?

— საუცხოო.

— რა ქენი, ამხანაგო, თუ გაათავე ჩემი წიგნის კითხვა?

— არა, ცოტა კიდევ დამრჩა. ხვალ უთუოდ მოგიტან. დრო არა მაქვს, კაცო! სადილობის დროს ვკითხულობ. ცალი თვალი წიგნში მაქვს და ცალი საჭმელზე.

ფარდა აიწია. მოისმა ზარის წკარუნი. ლაპარაკი შეწყდა.

— ამხანაგებო, კრების მსვლელობისათვის საჭიროა აირჩიოთ თავმჯდომარე, — მოისმა სცენიდან მტკიცე ხმა.

— მე ვასახელებ ამხანაგ კირილეს, — დაიძახა ერთმა მუშამ.

— კირილეს არ შეუძლია თავმჯდომარედ იყოს — ის გამგეობის წევრია, — უპასუხეს სცენიდან.

ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა შოთა ბროლიძე.

მან წყნარი გამომეტყველებით და დინჯი სიარულით დატოვა პარტერი და სცენაზე ავიდა.

მისი სცენაზე გამოჩენა და ტაშის საერთო გრიალი ერთი იყო.

შოთამ აუჩქარებლად დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და, ზარის ხელში აღების შემდეგ, ამხანაგებს ღიმილით მადლობა გადაუხადა.

ახოვანი ტანი, გაშლილი პირისახე, შავი წვერ-ულვაში და არწივისებური გამომეტყველება.

ტაშისცემა კარგა ხანს არ შეწყვეტილა.

— ამხანაგებო, ნება მომეცით კვლავ მადლობა გითხრათ გულწრფელი სალამისათვის. ახლა კი დროა, საქმეს შევუდგეთ. გთხოვთ აირჩიოთ მდივანი.

მდივნის არჩევის შემდეგ სიტყვა ითხოვა ელენემ. ელენეს ხმის გაგონებაზე შოთა შეკრთა. ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— შემიძლია დავიწყო? — მიმართა ელენემ შოთას.

— გთხოვთ, — წყნარად უპასუხა შოთამ.

რამდენი ხანია ელენე არ ენახა. ქალაქში ჩამობრუნებისას რამდენჯერმე ჰქონდა შემთხვევა შეხვედროდა, მაგრამ განზრახ გვერდი აუქცია. ვერ ბედავდა მასთან პირისპირ შეხვედრას.

ელენე ლაპარაკობდა ნელა, ხმადაბლა, მისი ლაპარაკის დროს ხშირად ისმოდა: „ხმამაღლა, ხმამაღლა“... ელენე ხშირ-ხშირად ახველებდა, გულზე ხელს იჭერდა.

შოთას ნაცნობი ხმების გაგონებაზე გული აუთრთოლდა.

ელენეს სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც დიდ-ხანს გაგრძელდა. კამათის შემდეგ ათწუთიანი შესვენება გამო-აცხადეს.

სცენაზე რამდენიმე მუშა ავიდა და შოთასთან მუსაიფობ-დნენ, ეტყობოდა, გამგეობის წევრობის კანდიდატებზე ბჭობ-დნენ. შემდეგ შოთასთან ელენეც მივიდა.

— ოო, სალამი! — შოთამ ხელი გაუწოდა.

ელენემ გაუღიმა.

— ეს შავი რა არის? რად გაცვია? — შეეკითხა შოთა.

— დედა მომიკვდა, — უპასუხა ელენემ.

— როგორ?! როდის?

— გაცივდა, ვერ მოვუარე, ექიმი ვერ მოვუყვანე დროზე.

ელენეს თვალები აუცრემლდა. შოთამ მიუსამძიმრა, ანუ-გეშა.

— ცოლი შეგირთავს, გავიგე, — უთხრა კარგა ხნის შემ-დეგ ელენემ.

— კი, შევირთე, — მიუგო დაბნეულმა შოთამ.

ცოტა ხნის შემდეგ კრებაც განახლდა. დაიწყო არ..ევნები. ყველა მწყობრად მიდიოდა საარჩევნო ყუთებთან. აირჩიეს ასისტენტი. ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამგეო-ბის ცხრა წევრიდან ოთხი მუშა იყო არჩეული, დანარჩენი — თანამგრძნობი ინტელიგენტები. სხვათა შორის გამგეობაში მოხვდა შოთაც. შემდეგ აირჩიეს სარევიზიო კომისია. აქ ელე-ნეც მოხვდა. კრება ტაშისცემით მიეგება არჩეულებს და დაი-შალა.

XXVII

შოთა გახარებული დაბრუნდა შინ.

„ელენე... როგორი რწმენით ლაპარაკობდა! ერთხელაც არ შებორძიკებია ენა. ჩემთან ღიმილით მოვიდა. გაზრდილა ამ ხნის განმავლობაში, გონებრივად მომწიფებულა“...

უცებ თამრო მოაგონდა.

„რა ჩაიდინე ყმაწვილო? გააუბედურე თამრო, მისი მშობლები, საზოგადოების ნდობა სამუდამოდ დაჰკარგე, შენს ამხანაგებს სოფლის ქონება გააძარცვინე. ტყუილად ფიქრობ, რომ შენი ამხანაგები არ ჩაიდენდნენ მაგ საქმეს! ტყუილად ესარჩლები! მაშ, ვინ ჩაიდენდა? სოფელი ტყუილა კი არ იძახის ამას!.. შენ ხარ აქ დამნაშავე, შენ! შემდეგ კი თავი მიანებე და გამოიქეცი!“ — უსაყვედურებდა თავის თავს.

„არა, ერთი ესეც გვიბრძანეთ, ვაჟბატონო! თუ შენ თამრო არ გიყვარს უწინდელივით და არ აღმერთებ, მაშ რადაა, რომ ახლა იტანჯები, რად იგონებ?“ — შოთა წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ლოდად ქცეული შავი ფიქრები მოიშორა, თავისუფლად ამოისუნთქა, გული დაიწყნარა. კარგა ხნის შემდეგ დაწვა.

აი, თამრო, გაბრწყინებულია, გაფოფინებული, შეჰხარის ზეცას, მიწას. ჭიკჭიკებს, უზრუნველია, უდარდელი. ყვავილები დაუკრეფია, კისკისებს, შოთასკენ მოდის, ულიმის, თაიგული ჩონგურად გადაიქცა. თვალები მინაბა. ეს რაა? ეუეუნა თვალებიდან ცრემლები ჩამოეპარა. ნუთუ სიმართლეა? ნუთუ ტირის? თამარო, თამრიკო! რა მოგივიდა, რა იყო? განა ხუმრობდი? მატყუილებდი? განაგრძე, განაგრძე სიმების წკრიალი. თამრო, თამრო, აი მამაშენი, გაბრიელი. შეხედე! რა გატირებს, რამ შეგაშინა? რაო რა თქვი? მე? მე დაგტანჯე? როგორ არ გრცხვენია? თამრო!..

შოთას ძილი გაუკრთა, გამოეღვიძა.

„რა ბედნიერი წამები იყო, — წაილუღლუღა. აწმყოს მოგონებამ უცებ ჩაუმწარა ტკბილი სიზმარი. — რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ თამრო ისეთი ყოფილიყო, როგორიც მე მინდოდა! როგორ მოვტყუვდი! ნეტავი მოხდებოდეს სასწაული და ამ წუთს თამრო აქ გაჩნდებოდეს... ფეხქვეშ ჩაუვარდები, პატიებას ვთხოვ... რა ბედნიერი ვიქნებით! — შოთა შეშინდა. — რა გავიფიქრე ეს? განა შესაძლებელია დღეიდან ჩვენი შერიგება?“.

დიდხანს ფიქრობდა შოთა. მართალია, გონების თვალით და ხშირად გრძნობითაც ამართლებდა თავის საქციელს, მაგრამ ხანდახან გრძნობა მაინც თავისას შვებოდა. დაკარგული ბედნიერების წარმოდგენა მთელ სხეულს ურყევდა.

XXVIII

გათენდა.

ის იყო შოთა ოთახიდან უნდა გამოსულიყო, რომ დერეფნიდან ფეხის ხმა შემოესმა.

— შოთა, შინა ხარ?

ხმაზე იცნო, აღელდა, დაიბნა.

„ელენე?! რას მივაწერო?“

ელენე ოთახში შემოვიდა.

ამ დილას ჩვეულებრივზე ლამაზი ჩანდა, თუმც მის შესახებ არავის უთქვამს ლამაზიაო, მაგრამ ულამაზობასაც ვერავინ დასწამებდა. შავგვრემანი, მოგრძო ცხვირი და ჭკვიანი თვალები.

— წიგნისთვის შემოვიარე.

— რა წიგნი გინდა?

— შენ, მგონი, რამიშვილის პიესა გაქვს. მომავალი კვირისათვის ჩვენს თეატრში „მეზობლებსა“ ვდგამთ და როლისთვის მჭირდება.

— დიდი სიამოვნებით.

— სამკერვალოში წავიღებ და, თუ დრო მექნა, გადავათვალიერებ. მართლა, არ მითქვამს, თამბაქოს ფაბრიკას თავი დავანებე, ახლა მკერავთან ვარ. ექიმმა მითხრა, სუსტი აგებულება გაქვს და ფაბრიკაში მუშაობას ვერ აიტან, ძლიერ საშიშიაო.

შოთამ წიგნი მისცა.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ მრცხვენია, როცა სცენაზე ვარ... თვითონაც ვგრძნობ, რომ სასცენო ნიჭის არა მაცხია რა, მაგრამ რომ არ მეშვებიან, ითამაშე, ითამაშეო.

— არა უშავს, გაიწვრთნები, შეეჩვევი. ნიჭს განვითარება უნდა... ჩვენი მუშური სცენა ახლა იდგამს ფეხს და თუ ერთგული მუშაკები არ ეყოლა, დაიღუპება...

ელენე ამ ლაპარაკში დაჯდა. ეტყობოდა, წასვლა მაინცდამაინც არ უნდოდა, ლაპარაკი სწადდა. შოთა უხერხულ მდგომარეობაში იყო. ქარხნისკენ მიეჩქარებოდა. თვალი კარისაკენ ეჭირა. ელენე მიხვდა, რომ მასპინძელს სადღაც მიუჩქაროდა.

შოთა ფეხზე იდგა, არ ჯდებოდა. ხშირად კარებისკენ მი-

დიოდა, პალტოს ფოლაქებს იბნევდა — იქნებ მიხვდეს, რომ წასვლა მინდაო.

— მგონი მეც მაგვიანდება და შენც, — უთხრა შოთას.

შოთა და ელენე ქუჩაში გამოვიდნენ. ცოტა მანძილზე ერთი გზა ჰქონდათ. დაშორებისას ორივემ ერთმანეთს ქურდულად თვალები გააყოლეს.

შოთა დააეჭვა ელენემ. გადასწყვიტა თავი ფრთხილად დაეჭირა და წარსული არ მოეგონებინა.

ელენე მშვენივრად ამჩნევდა შოთაში ღრმა ცვლილებას, დასევდიანებას, ამხანაგებისაგანაც გაეგონა — შოთას ცოლისათვის თავი დაუნებებიაო. ეს გარემოება რაღაც იმედებს უღვიძებდა, თუმცა დიდად კი არა.

„აკი ერთხელ უარი ვუთხარი, — ფიქრობდა იგი, — ვუყვარდი, მე კი გული არ გადავუშალე, რაღაც უშინაარსო, მაღალფარდოვანი სიტყვებით ვუპასუხე“.

დედის სიკვდილის შემდეგ საშინელ მარტოობას გრძნობდა. ახლო მეგობარი ციურ მანანასავით ესაჭიროებოდა. ფაბრიკის მიტოვების შემდეგ დასასვენებლად უნდა წასულიყო, მაგრამ ერთი რომ შეძლება არა ჰქონდა და მეორეც, არც ისე ავადმყოფად სთვლიდა თავს, თუმც საშინელი სენის უტყუარი ნიშნები უკვე გამოაჩნდა.

მეორე დღეს შოთას ელენეს ოთახის ახლო მოუხდა გაელა.

— შოთა! — მოესმა ნაცნობი ხმა.

ელენე შეუძლოდ ყოფილიყო და იმ დღეს სამკერვალოში არ წასულა.

— ამინდიც რომ დაღვრემილია! ყველაფერი ხელს უწყობს ჩემი სევდისა და დარდის გაძლიერებას! — უთხრა ელენემ და ოთახში მიიპატიჟა.

ორივემ უხერხულობა იგრძნო, ლაპარაკს თავი ვერ მოაბეს. ორივე სირცხვილმა და მოკრძალებამ აიტანა. გრძნობდნენ, რომ რაღაც საჩოთირო მდგომარეობაში იყვნენ.

— ცუდი გაზაფხულია, — თქვა ბოლოს შოთამ.

— აბა, ძალიან, — დაემოწმა ელენე.

უცებ ელენე გათამამდა, წელში გასწორდა და შოთასათვის სრულიად მოულოდნელად იკითხა:

— შოთა, კმაყოფილი ხარ თუ არა ცოლის შერთვით? ბედნიერად გრძნობ თავს?

შოთას თითქოს ცივი წყალი გადაესხა. მაგრამ ფიცხლად გონება მოიკრიბა და მტკიცედ უპასუხა:

— რატომ კითხულობ?

— შეიძლება არ მქონდეს ამის უფლება, მაგრამ გთხოვ მითხრა, ხარ ბედნიერი თუ არა?

— შენს მეტს ამ კითხვაზე ყველა ამხანაგს ვუპასუხებ, — უთხრა შოთამ და თვალებში ჩააჩერდა.

— თუ ოდესმე ჭეშმარიტად გიყვარდი, მიპასუხე! გაფიცებ იმ წამებს!

შოთა დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა. იგრძნო, რომ ელენე არ მოეშვებოდა.

— ელენე! რად გინდა იცოდე ჩემი პირადი ცხოვრება? მე ხომ იმ წუთის შემდეგ შენთვის არ ვარსებობ.

— მინდა ვიცოდე! — ელენეს უცებ ტირილი წასკდა. — მე შენ მუდამ მიყვარდი, მიყვარდი, შენ კი, შენ რად წამართვი ბედნიერება, რად?! მკაცრად მომექეცი, მხოლოდ ერთხელ მითხარი, დრო არ მომეცი გულში ჩამეხედა, ჩემს სულსა და გულს ჩავკვირვებოდი. მაშინვე სოფელში გაიქეცი. მე კი საშინელ მდგომარეობაში დამტოვე, გულში ცეცხლი ამინთე და მერმე კი გამშორდი.

ელენეს ხველა აუტყდა.

— როგორც ვატყობ, შენ მე მდებ ბრალს, მე კი შენ... არა, დაბრალება რასა ჰქვიან? ეს სიტყვა ვერაა თავის ადგილს ნახმარი... შენ მაშინ ასე მიპასუხე: ჯერ ერთი, რომ არ მიყვარხარ, და მეორეც, რაც მთავარია, პრინციპიალურად გათხოვების წინააღმდეგი ვარო. ხომ შენი სიტყვებია ეს?

— ხო, ჩემი სიტყვებია, მაგრამ მე მაშინ ვცდებოდი... ახლა კი... მინდა ბედნიერი ვიყო და ეს ბედნიერება მხოლოდ შენთან შემიძლია ვპოვო.

შოთამ უსაზღვრო სიბრალული იგრძნო ელენესადმი. დალაგებით მოუყვა ელენეს თავისი თავგადასავალი, რაც მისგან უარის მიღების შემდეგ გადახდა, არ დაუმალავს არაფერი.

იმედი, ეჭვი, კმაყოფილება, სიხარული ყველაფერი ერთმანეთში აერია ელენეს.

— შოთა, მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია! — წამოი-

ძახა უცებ, ადგილიდან მოწყდა და მკლავებში ჩაუვარდა შოთას.

— ელენე!

— შენი ელენე, შენი, სამარის კარამდე შენი ერთგული!

— ეგ შეუძლებელია, შეუძლებელი, ელენე!

— არა, შოთა, შენ ჩემი ხარ, ჩემი!..

XXIX

— დღესაც უნდა ვკერო, ჩემო ალექსი, თორემ ხომ იცი ჩემი მდგომარეობა? — უთხრა ახლადმოსულ მუშას ელენემ და საცვლების კერვა განაგრძო.

— მე მეგონა, კვირას შეისვენებდი, თორემ მაგის საწინააღმდეგო რა მექნება! რაც ადრე შეიკერება და გაიგზავნება, მით უკეთესი, — თქვა ალექსიმ.

— კი მაგრამ, ოთახში რომ შედიხარ, მარტო დიასახლისი უნდა შეამჩნიო?

— ოო, უკაცრავად, შოთა, უკაცრავად! ამ ბოლო ხანებში სიბერე მესტუმრა და მოგეხსენებათ, კარგად ვეღარ ვხედავ, — ღიმილით უთხრა ალექსიმ და მიუახლოვდა.

— შენ მიზეზი მუდამ მზადა გაქვს. ხელი, ხელი, ნუ მადებ მხარზე, წერას შემაშლევინებ.

— რასა წერ? სახალხო უნივერსიტეტის ანგარიშებია?

— მაშ, ვითარცა ხაზინადარი.

— ალექსი, ნატო სად არის? ხომ არ გინახავს ამ დილაზე? — შეეკითხა ელენე.

— არა, გუშინ კი ვნახე.

— გუშინ ნახე? შარშანაც ხომ არ გინახავს? გუშინ მეც კი ვნახე, ერთად არ ვიყავით?

— რად გინდოდა?

— მითხრა, კერვაში მოგეხმარებიო.

— ყმაწვილო, — მიუბრუნდა შოთა ალექსის, — საცვლები დღეს კი მოთავდება, მაგრამ ეს მითხარი, ხომ გყავთ საიმედო კაცი, რომ გადასცეს ციხეში?

— როგორ კითხულობ, კაცო! გვყავს, აბა, ისე როგორ იქნება?!

— ალექსი, ახლა ეს მითხარი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში წევრთა ჩაწერის საქმე როგორაა? რამდენი მიემატა ძველებს? — შეეკითხა შოთა, რომელიც თავის საწერს ჩასჩერებოდა და გაცხარებული მუშაობდა.

— მშვენივრად. ძალიან მუშაობს ჩვენი კომისია, მაგრამ იმ დასკვნამდე მივედით, რომ პროფესიული კავშირის გამგეობას უნდა ვთხოვოთ, უფრო მეტი დახმარება გაგვიწიოს.

— მაშ, ვერ გქონიათ საქმე კარგად.

— ცოდვა გამქლავნებული ჯობია, მაინცადამაინც ვერ მიდის სახარბიელოდ.

— ძალიან ეცადეთ, ძალიან, ამ შავბნელ პირობებში, სადაც კი ჰუპრუტანას დავინახავთ, ყველგან უნდა ვეცადოთ თავი გავყოთ.

— შემიძლია გეახლოთ? — დაიძახა ვიღაცამ დერეფანში და შემდეგ ფანჯარას მოადგა.

— ვასიკო ხარ? როგორ კითხულობ, შე კაცო, შემოდი!

— ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ოთახში დაუკითხავად შესვლა ვის გაუგონია?

ვასიკო შემოვიდა. შუა ტანის ჯმუხა ყმაწვილი. შემოსვლისთანავე „ოკეკ“ მოიძრო. ყველას მიესალმა, ცოცხლად მიიარ-მოიარა ოთახში.

— სხვები არ მოსულან? — იკითხა და პასუხისთვის არ დაუცდია, გაზეთის კითხვა დაიწყო.

— თავადები არიან, ჯერ როგორ მობრძანდებოდნენ! — უთხრა ალექსიმ.

— ახალი ამბავი იცით, ყმაწვილებო? — იკითხა შოთამ და წერა განაგრძო.

— არა, არ ვიცით.

— ხომ გახსოვთ ჩვენი დეპუტატების შეკითხვა სათათბიროში?

— როგორ არა!

— ჰოდა, დღეს წერილი მოიწერეს, ჩვენგან გაგზავნილ ფაქტებს რაღაც დაჰკლებია და დამატება უნდაო. თან რამდენიმე კითხვაზე პასუხი უნდა გავცეთ. საქმე ძალიან საჩქაროა და ახლავე უნდა დავფაცურდეთ.

— ჩვენ ფაქტები მივაწოდეთ და დანარჩენი მაგათი საქ-

შეა, — თქვა ვასიკომ, — თუ კიდევ რამე აკლიათ, ინტელიგენტები გვყვანან, მაგათ ჩვენზე უკეთ იციან!

შოთამ წერას თავი ანება და ამხანაგებს მიუბრუნდა.

— ვინ ინტელიგენტები, ერთი მითხარი?! — შეეკითხა გაკვირვებული. — ვერ ხედავ, რომ ყველა ჩამოგვშორდა? ბრმა ხომ არა ხარ! ყველა თავთავის საქმეს შეუდგა და ჩვენც ჩვენ საქმესთან დაგვტოვეს. როცა ქეიფი და მეჯლისი გვქონდა, მაშინ გვეწვივნენ და დავლურს უვლიდნენ, ახლა კი, როცა მასპინძლებს შავი დღე გვადგია, თავი გვანებეს და ისევ თავიანებისაკენ გასწიეს.

— ცდები, ჩვენ ბევრი ინტელიგენტი შეგვრჩა, ყველაზე მაგას ვერ ვიტყვით.

— შენ დამასწარი, — მიუგო შოთამ, — მეც ეს უნდა მეთქვა. მართალია, ინტელიგენტური ძალები დღეს კიდევ შეგვრჩენია, მაგრამ ვინაა ეს ინტელიგენცია?.. ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი მუშათა კლასისა.

შოთა ლაპარაკობდა.

— მიმოიხედეთ გარშემო, — განაგრძობდა ის, — ვინ გვიდგას დღეს გვერდით? ვინ ცდილობს ფეხზე წამოაყენოს დანგრეული საქმე? ისევ ჩვენ, მუშები. დიდი უმეტესობა ინტელიგენციისა მიიმალა, ზოგმა თბილი ადგილი იშოვა, ზოგიც სადღაც მოეწყო. თითქმის არ ესწრებიან არალეგალურ კრებებს. აი, მაგალითი: დღეს შტაკელბერგის ქარხანაში სამი დღის უკან სტიქიურად გამოწვეული გაფიცვის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ და ნახავთ, ვინ მოვა კრებაზე.

— ვიცით, ვიცით, კმარა აწი, დაწყნარდი, — ღიმილით შენიშნა ელენემ.

— როგორ დაეწყნარდე? — ამბობდა შოთა, — რად არ იცის ამ ამხანაგმა, რომ შეკითხვა ჩვენ შეგვეხება და ჩვენვე უნდა გავუწიოთ მას ანგარიში?.. სხვას ვის ეპრიანება ჩვენი საქმე? დიახ, ეს უნდა ვიცოდეთ. საზოგადოების მამოძრავებელი ყოფილა და იქნება მუშათა კლასი. ჰგონიათ, რომ ჩვენ აგვლაგმეს, მაგრამ ჩვენ კიდევ ვარსებობთ. მომავალი ჩვენია, ციხეს, ბორკილს, სახრჩობელას მხოლოდ დროებით შეუჩერებია ისტორიის წინსვლა. ყველგან უნდა ვერეოდეთ, როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში. ყველგან ჩვენი უნდა შეგვქონდეს, — განაგრძო მან.

— იმედია, ხელს მომიწერთ, — თქვა ბოლოს ვასიკომ და პალტოს ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო.

— რა არის?

— უმუშევარ ამხანაგთა სასარგებლოდ ფულს ვაგროვებთ.

— ჩაიწერე ჩემგან ათი შაური, — უთხრა ელენემ.

— ჩემგანაც ათი, — დაუმატა შოთამ.

— მე, ძმაო, ამდენი არ შემიძლია, — თქვა ალექსიმ და ჯიბეს ხელი გაიკრა, — აბა, ვნახოთ რამდენი მაქვს.

ჯიბიდან თუთუნში არეული გროშები ამოიღო და ხელისგულზე თვლა დაიწყო. ვასიკოც ეხმარებოდა.

— ხუთი შაური სადილად, აბაზი, ან სამი შაური ვახშმად, — ხელად უანგარიშა ვასიკომ.

— კარგი, ძმაო, დავიტოვებ შვიდ შაურს. ექვსი შაური კი ჩასწერე. ამ კვირაში თუ რამე ვიშოვე, კიდევ მოგცემ.

— ელენე წყალაძე აქ ცხოვრობს? — მოისმა დერეფანში.

ვასიკომ წერილი შემოიტანა.

— ელენე, შენი წერილია, ფოსტალიონი იყო.

ელენემ წერილი გამოართვა, სახეზე მღელვარება დაეტყო, გაწითლდა. წერილი მსწრაფლ ჩაათვალიერა.

— უი, ბიძაჩემი მწერს სოფლიდან.

— რას იწერება?

— „ჩემო საყვარელო ელენე! ყოვლისშემძლებელ ღმერთს ვთხოვ შენს კარგად ყოფნას. ვიცი, შენი კეთილი გულის ამბავი, რომ ჩვენც გვიკითხავ. ჩვენ ღვთისა და შენის იმედით“... — კითხულობდა ელენე მისუსტებული ხმით.

— ძალიან მოიმედე კი ყავხარ, — ჩაილაპარაკა შოთამ.

— ნუ მაშლევინებ, ბეჩა!.. „შენი იმედით კარგად ვართ. გავიგეთ, რომ საწყალი დედაშენი გარდაცვლილა. შვილო ელენე! ისე გემდურით, რომ ენა ვერ იტყვის. რაზე დაუკარგე დედაშენის თავი ჩვენი სოფლის მიწას? რაზე დეიწუნე სოფელი? შემოგეთვალა ჩვენთვის, ჩვენც კაცები ვართ, ჭირისუფლობას გაგიწევდით. ერთი ქაღალდის ყური რომ გამოგეგზავნა, მეტი ხომ არ გინდოდა. ჩამოვასვენებდით იმ ცხონებულს ლამაზად და მისი ქმრის გვერდით დავასაფლავებდით. ეს არ უნდა გექნა, შვილო ელენე. ძალიან გემდურით. ქე მაინც ჩამოდი და აღაპი გადოუხადე აქ, უპატრონოდ ნუ დააგდებ. კაი

ადამიანი იყო საწყალი. ახლა, შვილო, იმას გთხოვ, რომ რაცხა ერთი კვალი მიწა რომ გაქვს სოფელში, სხვაზე არ გამიყიდო. კანონითაც მე მერგება და ისეც... თუ დიდს არ გამომეკიდები და მამიშენის სულს გლახად არ მახსენებიებ, შენ იცი ჩემი ქონება. თუ ღმერთმა შენი გათხოვება გამაგონა, ამ მიწის ფულს მაშინ მოგცემ".

— ე, უშველე!.. იქნებ ერთი ორასი თუმანი მერგოს.

ატყდა სიცილი.

— მაცალეთ, ნუ მაწყვეტინებთ. „მოგიკითხეს ცუცამ, კატომ, სინომ, გაბომ, ფეფემ, დესპინე ჩემმა და ყველა მეზობლებმა. ასე, ჩემო შვილო, მიწას თუ არ გამიყიდი და პირში ლუკმას თუ არ გამომტაცებ, შენ იცი".

— არა, არ გავყიდი. მქონდეს მამაჩემის სახსოვრად. იშოვა დრო და მწერს, — ამბობს ელენე, — დედაჩემის სიცოცხლეში ერთი წერილიც არ მოუწერია, სოფელში არ გვიშვებდა, ერთი ღამე არ გაგვათევინა და ახლა რას იწერება! ძალიან ენაღვლება, სადაა დედაჩემი დამარხული. იმ მიწას, სულიც რომ ამოხდეს, მაინც არ გავყიდი, მეც მედგას სოფელში ფეხი.

კიდევ მოვიდა რამდენიმე მუშა და ორიოდე ინტელიგენტიც. ღარიბულად ეცვათ, თავს შეძველებული ქუდი ჩამოეფხატათ. მუშებიდან დიდად ვერ გაარჩევდით.

დღეს ადგილობრივი კომიტეტის ფარული კრება იყო. უნდა ემსჯელათ ერთ-ერთ ქარხანაში მომხდარ გაფიცვაზე, მოახლოებული პირველი მაისის მუშათა დღესასწაულზე და სხვა საკითხებზე...

XXX

თამრო კი სანთელივით დნებოდა სოფლად. დარდმა დააჭკნო, სევდამ დააზრო... „სადა ხარ, შოთა, სად?" — ამ კითხვით შესჩიოდა ცას, მიწას, დედას, მამას. მაგრამ ამაოდ. შოთა არ ჩანდა. თამრო მხოლოდ იმედითა და მოგონებით სულდგმულობდა.

წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც თამრომ და შოთამ ერთმანეთს გულისნადები გაუმხილეს. იგივე მომხიბლავი ღამე, იგივე სიცოცხლე, იგივე მეჯლისი ბუნებისა.

ყველაფერი ისე იყო, ვით შარშან ამ დროს. სამყარო გაზვეულა ვერცხლის ჩადრში და სულგანაბული ბულბულს უსმენს, ჰანგებით ტკბება. თამროც ეზოშია, მთვარეს შესჩივის.

„მთვარეე, რამ მოგაწყინა? რამ დაგაღონა? შენ მაინც რა გაქვს სადარდელი? გაიცინე, ჩემო ტურფავ!.. აკი შარშან ეგრე ტკბილად მიღიმოდი! წელს რამ მოგაწყინა? შენც სატრფო ხომ არ დაგკარგვია?.. მითხარი, ჩემო მშვენიერო, მითხარი მხოლოდ, მე თანაგიგრძნობ, მე!“

მთვარე მაინც ვერ ხალისობს თამროს თვალში, ისევ სევდიანად გამოიყურება.

„შენ მაინც რამ დაგაღონა, ციმციმა ვარსკვლავო? რამ დაგადარდიანა, ჩემო შუქურა? რა გაქვს სანაღვლო? გაიცინე, მშვენიერო, გაიცინე! სატრფოს თვალებს მომაგონებ. ისიც კმარა, მე რომ გულმოკლული ვარ, შენ მაინც იმხიარულე. რა იყო? რა თქვი? სატრფომ გიღალატა?.. ახ! მებრალები, შუქურა, მებრალები!“

ვარსკვლავმა სევდით თვალი მინაბა.

„ბულბულო, ბულბულო! რატომ გლოვობ ასე? ვის დასტირი? ვინ დამარხე მაგ ხის ძირში. კიდევ ვერ მოიჯერე გული ტირილით? მაშ, მე დაგეხმარები, მე... ჩემზე გულწრფელად არავინ გივალალებს, არავინ გისამძიმრებს. ხომ იცი, ჩემმა შოთამ როგორ მომიძულა! მეც შენებრ მიტირის გული. იტირე, იტირე, სანამ სატრფო არ დაიბრუნოო. მეც ვიტირებ, მაგრამ ახ, დედიკო... დედა, მე ტირილი არ მინდოდა, არა. მე სიცილი მინდოდა, სიცილი! ვინ წამართვა იგი, ვინ?!“

თამრო აქვითინდა.

ბულბული კი ჰანგს ჰანგში აწნავს, სევდით აზავებს, დარდით ჰკაზმავს, დაჰყეფს მიდამოს, დასტირის არემარეს.

„შოთა, შოთა! რას მერჩოდი, რა დაგიშავე?!“

* * *

კვირაა. შოთა და ელენე თავისუფალი არიან. ელენე ოთახში დაფუსფუსებდა, შოთა კი იქვე ახლო ბაღჩაში იჯდა.

ეს ბაღჩა სახლის პატრონმა ოთახთან ერთად მიაქირავა

ცოლ-ქმარს, რაღაც ბოსტნეულობა ეთესათ შიგ, გულს აყოლებდნენ, სოფელს ამითღა იგონებდნენ.

შოთა ფიქრებშია, სახე უცინის.

„ასე მგონია, მთელი ქვეყანა ჩემია. უძლიერეს არსებად ვთვლი ჩემს თავს. დევგმირის ძალას ვგრძნობ. აგრე მტკიცედ, აგრე შეურყეველად არასოდეს არ ვმდგარვარ დედამიწაზე. აგრე ბრწყინვალედ არასოდეს არ მჩვენებია ჩემი მომავალი. რა კარგია ცხოვრება, რა კარგია მასთან ჭიდილი, მასთან ბრძოლა. რამდენი სიტკბოებაა შიგ. ტანჯვაც ბევრია, სიხარულიც, სიყვარულიც. მაგრამ მაინც კარგია ცხოვრება, კარგი! მარტო იმისთვისაც, რომ ადამიანი ხარ, გრძნობ, აზროვნებ, ყველაფერი შენ გემორჩილება. ოღონდ ძალა გქონდეს! დღეს უმეტესობა დამონებულია, მაგრამ ცხოვრება მუდამ წინ მიდის, მუდამ უმჯობესდება... რა ბედნიერებაა, როდესაც გრძნობ, რომ შენც წილი გიდევს წინსვლაში! როდესაც ხედავ, რომ შენ ეკლიან გზასა სწმენდ, რათა მოძმესა შენსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გაუქროლდეს!..“

გაზაფხულის მკვირცხლი მზე სიხარულით დაქათქათებდა შოთას. ნელ სიოს ყვავილთა სურნელება მოჰქონდა მისთვის.

— ელენე!

— მე ვარ!..

— მოდი, გვერდით დამიჯექი.

— იცი, დილას აქეთ ქალაქს დავყურებ და ვერ დავმტკბარვარ მისი მშვენიერებით. აქ, აქ იზრდება და იფურჩქნება ქვეყნის ძალა, აქ მწიფდება კაცობრიობის გამაბედნიერებელი გრძნობა, გონება. ნანას ჩაქუჩთა რახუნი უგალობს, დედის რძედ ოფლი აქვს, ოფლი მაშვრალის. ასე რომ, შემიძლია მივესალმო ჩემს სამშობლოს მგოსნის სიტყვებით:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია!
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია!
მათ, ახალთ, აღგიდგინონ შენ დიდების დღენია.
ჩემო ტურფა ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?

— იქ კი, სიცოცხლევ, აი, იქ გაიხედე... სიმდიდრე მეფობს, ფუფუნებაა. უშრომლობაა. ის ძველი ძალა, ძველი, რომელსაც თანდათან უშრება სასიცოცხლო შრატი, უდუნდება სიცოცხლის ძარღვი, იხრწნება, იშლება.

კიდევ დიდხანს მუსაიფობდა ცოლი და ქმარი. ბედნიერნი, ურთიერთის ძალით გამხნევებულნი, უკეთეს მერმისის მომლოდინე.

— ელენე, ხედავ, მგონი ფოსტალიონი მოვიდა ჩვენსა, — თქვა შოთამ და ოთახის დერეფანს მიაჩერდა.

ელენე მაშინვე წამოიჭრა, ფოსტალიონს მივარდა, წერილი ჩამოართვა და კითხვა დაიწყო. შოთასკენ წამოვიდა. თანდათან ფითრდებოდა. თავზარდაცემულმა ძლივს მოატანა შოთამდე.

— რა მოგვივიდა, ადამიანო, რა ამბავია?! — მიაძახა შოთამ და შეეგება. წერილი გამოართვა.

წერილი თამროს ხელით იყო დაწერილი.

სწერდა: „რად მომიძულე, რად მიღალატე? ამდენს გეხვეწები და შენი ნახვის ღირსი არ გამხადე. ხომ იცი, რომ ფეხმძიმედ დამტოვე, ამ მოკლე ხანში მშობიარობას ველი და მაშინ მაინც ჩამოდი. იქნებ ღმერთმა ინებოს — შენი გულის წადილი ასრულდეს — მშობიარობის დროს კიდეც მოვკვდე და სამუდამოდ მოგშორდები შენ მიერ დატანჯული. ამას ვთხოვ ღმერთს, ამას ვევედრები და შენც უკანასკნელად გთხოვ, სულის გაყრისას დამესწრო. თუ ოდესმე გყვარებივარ და გულწრფელი ყოფილხარ, გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, ჩამოდი“.

საშინელი ამბავი მოიტანა ამ წერილმა, თანაც სასიხარულო.

„მაშ, შვილი მეყოლება, შვილი?!“ — გაუელვა შოთას და სიხარულმა მოიცვა.

ელენე თავზარდაცემული იდგა.

„წავა, წავა ჩემი შოთა“.

დიდხანს იდგა ცოლ-ქმარი გაფითრებული. ბოლოს ელენემ ძალა მოიკრიფა, თავი მაღლა ასწია და ოთახისაკენ წავიდა.

შოთამ ვერ მიიხედა მისკენ, თავი დამნაშავედ იგრძნო.

მთელი დღე სიტყვა არ უთქვამთ ამ წერილის შესახებ. ლაპარაკობდნენ სხვა რამეზე. სად იყო ამდენი სიმშრალე, უსულგულობა?! რამ გააცივა ასე შოთას და ელენეს საუბარი?!

„წავა ჩემი შოთა, წავა... მაგრამ დაბრუნდება კი?! წასვლაც მისი ნებაა და მოსვლაც!.. რა უფლება მაქვს დავაკავო? მაგრამ, ღმერთო, რა ვქნა, რა მეშველება?!.“ — ფიქრობდა ელენე.

მთელი ღამე არ დაუძინიათ. ჩუმად ოცნებობდნენ, თუმცა ერთმანეთისათვის ხმაც არ გაუციათ, თითქოს ეძინათ.

— ელენე, ხომ იცი, ამაღამ აქ ერთმა არალეგალურმა ამხანაგმა უნდა გაათიოს ღამე! შენ კი ნატოსთან წახვალ, — უთხრა დილას შოთამ.

— ვიცი, გენაცვალე. შენ... სად?

— მე სოფელში მივდივარ.

ელენე გაშეშდა. არ ელოდა, თუ ასე უცებ წავიდოდა შოთა.

დიდხანს ხმა ვერ გასცეს ერთმანეთს, პირდაპირ ვერ შეხედეს.

XXXI

სადგურზე მისელისთანავე ახალი გაზეთი იყიდა. კორესპონდენციების განყოფილებაში თავისი სოფლის სახელი ამოიკითხა. წერილის ბოლომდე ჩაკითხვამ სახე გაუბრწყინა. სასიამოვნო ამბავი იყო: წერდნენ შოთას ნოქრობის დროს კოოპერატივის გაძარცვის შესახებ. გატაცებული ნივთები აღმოჩენოდა სოფლის ორ „თავკაცსო“. წერილი ასე თავდებოდა: „ეს ვაჟბატონები დიდი ხანია ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს აბრალებდნენ ამ საზიზღარი საქმის ჩადენას. ორი მათგანი, ადგილობრივ მემამულეთა დახმარებით, ცივ ქვეყნებშიც კი გაისტუმრეს. დღეს კი აღმოჩნდა სიმართლე, დამნაშავეთ ხალხი სამართალში აძლევს“.

შოთამ წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა.

გადასახლებული ამხანაგების მოგონებამ გული დაუნამა, წარმოიდგინა, რა მდგომარეობაში იქნებოდა მათი ცოლ-შვილი. მეც კიდევ ცოტა დამყოვნებოდა სოფლად, მათთან ერთად მიმაციმბირებდნენო, გაიფიქრა და ისევ კოოპერატივის გარშემო დატრიალდა მისი ფიქრები.

იგრძნო, თითქოს ვეებერთელა ლოდი მოიშორა, უაღრესი კმაყოფილება განიცადა.

მართალია, მართალი იყო და ყველასთან შეეძლო თავის გამართლება, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებდა, მაინც სინდისის ქენჯნას განიცდიდა.

დღეს კი თავის სოფელში ნდობა აღიდგინა, დღეიდან ყველა უწინდელ შოთად მიიღებს, უფრო მეტ ნდობასაც აღმოუჩენენ. მისი ამხანაგებიც მეტ პატივისცემას მოიპოვებენ, მათი შრომაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

პირველმა მღელვარებამ გაიარა, შოთა დაწყნარდა.

„დიახ მივდივარ ისევ სოფელში, მაგრამ რა მომელის იქ? ვინ დამხვდება? თამრო? ერთხელ ხომ გამოვექეცი იქაურობას და თავი დავაღწიე... და ახლა კიდევ... ასე მგონია, რაღაც ნაპრალს ვუახლოვდები. მაგრამ შვილი?" შვილის მოგონებამ გული სიამით აუვსო.

„პატარა შვილიკო... ჩემი სისხლი და ხორცი!.. ჩემი მომავალი!.. აღვზრდი ისე, როგორც მე მინდა. ნამდვილ მამულიშვილად აღვზრდი. წმიდა აზრებს აქედანვე შთავუნერგავ, დედის ძუძუსთან ერთად შევაწოვებ. მაგრამ დედამისი! დედამისი, ვინ იქნება დედამისი?!"

„განა თამროს შეუძლია ნამდვილი მოქალაქე აღზარდოს? გაბრიელის ოჯახში შეიძლება აღიზარდოს ის, ვინც მე მინდა? ელენე, ჩემო ელენე! შენ, შენ, თამრო... რას მეტყვის შეხვედრისას? ან მე როგორ მოვიქცე? ვთქვა თუ არა ჩემი ელენესთან დამოკიდებულება? როგორ შეხვდება ამ ამბავს... თამრო?"

თამროს სახე ისე წარმოუდგა, ვით უკუნეთ ბნელში, გათენებისას, სადღაც ცის კიდურში ახალი მთვარე... უსიცოცხლო, უსხივო, თუმც ლამაზი, თვალისათვის სასიამოვნო.

„მიყვარდა ერთ დროს, ახლა კი რაა თამრო ჩემთვის? განა ვიფიქრებდი, რომ ასე შემეცვლებოდა გული და იმ თამროს, რომელმაც ჩემი თავი ქვეყანას დაუბრუნა, აგრე მოვექცეოდი?"

რამდენად უახლოვდებოდა სოფელს, იმდენად მეტ შიშსა გრძნობდა. მაგრამ მამაშვილური გრძნობა უძლიერდებოდა.

„ვთქვა თუ არა სიმართლე? ცუდად რომ იმოქმედოს? შვილს რომ გადაჰყვეს?!.“

ამ დროს საშინელმა აზრმა გაურბინა: „ხომ კარგი იქნება, რომ თამრიკო მოკვდეს მშობიარობის დროს? შვილი კი ცოცხალი დარჩეს. ხომ გავთავისუფლდები ამდენი ტანჯვისაგან? შვილს ელენე აღზრდის“.

ამ აზრმა შიშის ზარი დასცა.

შოთამ მთელი ოჯახი გაახარა და დააიმედა. მშობლებმა სიხარულით ხმა ვერ ამოიღეს, მხოლოდ თამრო მიეგება შოთას:

— შოთა, შენ? — მიაძახა და სახეგაბრწყინებულმა, მისი ხელები გულში ჩაიკრა. ათრთოლდა, ცრემლი მოერია. — მაშ კიდევ გიყვარვარ? არ შემიძულე, ჩემო შოთა, ჩემო! როგორ გამაბედნიერე, როგორ! აწი არ ვინაღვლებ, თუ მოვკვდები. არა, მიპატიებია, რაც მტანჯე. რაკი გიყვარვარ და მოხვედი, მიპატიებია. ჩემო სალოცავო, მოდი, მოდი!.. ამ განსაცდელში მომიგონე!

შოთამ იგრძნო, რომ თამრომ ხელები ცრემლით დაუსველა. თვითონაც გული აუჩუყდა.

— თამრო, თამრო, — ესლა თქვა და თავი ჩაჰკიდა.

სიდედრ-სიმამრიც გარეგნულად თითქოს შეურიგდნენ შოთას... გაბრიელი აცრემლებული დაჩიფჩიფებდა ეზოში.

— ღვთიშობელო ქალწულო! მოხედე ჩემს ოჯახს და მშვიდობით გადამირჩინე ჩემი თამრო... ნუ დამიდაგავ გულს მისი დაკარგვით. შენი მუხლის ჭირიმე, დედაო ღვთისაო, შენ იცი დედის მდგომარეობა. ოღონდ გულს ნუ მომიკლავ და, როგორც დაგპირდი, ჩემ სიმაღლე სანთელს ფეხშიშველი შემოგიტან საყდარში და მანამ ვიდგები შენს წინაშე დაჩოქილი, სანამ ხელში არ ჩამეწვება.

შოთაც აზრდაბნეულია. შინ მოსვლამდე სიხარულით აწკრიალებული სიმები თითქოს დადუმდნენ, ოცნების ადგილი წამსვე სინამდვილემ დაიკავა. აქნობამდე თუ უმეტესად შვილზე ფიქრობდა, ახლა თითქმის სულ გადაავიწყდა, დაეჩრდილა; ამ წუთს ის თამროს დასტრიალებს, ებრალება, რით გაუადვილოს ტანჯვა, არ იცის. ნაცნობმა კარ-მიდამომ წარსულის რვე-

ული გადაუშალა: თვალწინ უდგას თამროსთან გატარებული ბედნიერი წუთები, თითქოს დამნაშავედ გრძნობს თავს. ამ წუთს მხოლოდ კარგი, მხოლოდ ბედნიერი წამები აგონდებოდა. მხოლოდ კარგი მხრით უნდა ახსოვდეს და იგონებდეს ამ განკითხვის ჟამს თამროს. მისდა უნებურად, თითქოს ვილაც უხილავ არსებას უნუსხავს თამროს კარგ თვისებებს.

ღამდებოდა. სიჩუმე იყო. გაბრიელი და შოთა უაზროდ დადიოდნენ ეზოში. ერთმანეთს ხანგამოშვებით ჩუმად ესიტყვებოდნენ. აწმყოზე, წარსულზე კი ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ.

ორივეს სული და გული თამროზე იყო მიჯაჭვული.

შუაღამე გადავიდა.

— გაბრიელ, შოთა, სად ხართ? შემოდით! — მოისმა უცებ ბებიაქალის ხმა.

ხმის სიწყნარემ და სიმშვიდემ იმავე წუთს დაარწმუნა ორივე, რომ მშობიარობა მშვიდობით დასრულდებოდა. არც კი გაუგიათ, როგორ მივარდნენ კართან.

— მომილოცავს, შვილო შოთა, ვაჟის შეძენა, ღმერთმა გაგიზარდოს!

— მაჩვენეთ ჩემი შვილი! — წამოიძახა უცებ შოთამ და თამროსთან მივარდა.

თამრო მითვლემილი იყო, ღონემიხდილი. სრულიად უსიცოცხლოდ, მოღლილად გადახედა შოთას და ისევ მინაბა თვალები.

მოისმა ბავშვის ხმა.

მთელი ოჯახი გააღვიძა ამ ხმამ. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც ახალი ძალა შეემატა აქაურობას, ძალა სიცოცხლის და ბედნიერების მატარებელი.

შოთა და გაბრიელი დასცქეროდნენ ახლად დაბადებულს და არ იცოდნენ, რით გამოეხატათ თავისი აღტაცება.

— მამას ჰგავს, მამას... ზედგამოჭრილი მამაა!

— ვაშლი ხომ გაგიჭრია, ვაშლი! — ამბობდნენ ქალები.

— ღვთიშობელო, ვმადლობ შენს წყალობას, ვმადლობ! — ჩურჩულებდა გაბრიელი. — თამრო როგორაა? — შიშით და კრძალვით ჰკითხა ბებიაქალს.

— არა უშავს, კარგად არის. ახლა კი გადით, ნუ ხმაურობთ, ავნებს.

შოთა გიქივით გამოვარდა კარში, აღტაცებული იყო.

— მაშ, შვილი, შვილი მყავს, შვილი... ჩემი სისხლ-ხორცი! — ანგარიშმიუცემლად იმეორებდა.

მთვარე ამოსულიყო. აღმოსავლეთში ვერცხლის ტახტი დაედგა.

XXXII

გაბრიელის ოჯახი გაბედნიერდა. ამდენი ხნის განმაელობაში მოწყენილი კარ-მიდამო გამოცოცხლდა, იგრძნო ახალი ძალის შემატება. ასე ბედის კმაყოფილი დიდი ხანია არ ყოფილა გაბრიელი.

მეორე დღეს გათენებამდე გაიქცა მღვდელთან — სახლის საკურთხევლად უნდა მოეყვანა. შოთა მოუსვენრად დადიოდა დილის ცვრით მონამულ ეზოში.

ქუჩაში გადაიხედა. პეტრე მღვდელი მობაჯბაჯებდა, თან მოჭედილ ჯოხს ქვებზე მოკრაკუნებდა.

— ოო, მოსულხარ, შვილო? ძალიან კარგი გიქნია, მე და ჩემმა ღმერთმა! ვის გაუგონია ახალგაზრდა ცოლის ასე მიტოვება! — მოაყოლა პეტრემ სალმის შემდეგ.

— ასე, შვილო, ასე! ეს ქვეყანა უნდა მოიხმარო! უნდა გაახარო სულიც და ხორციც. მიწაში არაფერს არ ჩაგატანენ. ქვეყნის საქმეს შენ ვერ გაარიგებ. დაიჯერე, შვილო, ჩემხელა კაცს ცხადს კი არა, სიზმარს დაუჯერებენ.

ამასობაში გაბრიელი და დიაკონიც მოვიდნენ.

სახლი აკურთხეს. შოთა არ მიჰკარებია მათ.

გაბრიელის ოჯახში უსაზღვრო ბედნიერება დამყარდა. ყველა ახლადშობილს შეჰხაროდა, სული და გული მას მიეჯაჭვა.

ყველა ერთი გრძნობით და ფიქრით გაიმსჭვალა...

როცა შოთა შვილზე ფიქრობდა, ბედნიერად, მომხიბლავად ეშლებოდა მომავალი თვალწინ, ხოლო თამროსა და ელენეს მოგონება ტანჯვა იყო მისთვის.

— ჩემი წასვლა აქაურობას მოშხამავს, აქ დარჩენა კი... რომ წაიიდე, შვილი ვის დავუტოვო? ვის მივაბარო აღსაზრდელად? თამრო, თამრო! რამდენი იმედი დამისამარე!

— შვილო შოთა, გამხიარულდი, რამ მოგაწყინა? რა გაქვს სადარდებელი? ბედნიერი კაცი ხარ. ვაჟი შეგეძინა, ცოლიც კარგად გყავს! — ეუბნებოდა შოთას გაბრიელი და თან სახეში აკვირდებოდა, — იქნებ გავიგო, რას ფიქრობს, შეგვირიგდა თუ არაო.

შოთა ან ხმას არ გასცემდა და ან მოკლე პასუხით ცდილობდა მოეშორებინა.

— შვილო, მთელი სოფელი შენი მადლიერია. ხომ იცი, როგორ შერცხვნენ ის ვაჟბატონები! შენ და შენს ამხანაგებს აბრალებდნენ ქურდობას და თვითონ კი დაესხათ ლაფი. თუ მოისურვებ, სიხარულით დაგაყენებენ ისევ მაღაზიაში... იცხოვრებ ტკბილად შენს ოჯახში, იბანჯალებ ნელა, სასმელი არ მოგაკლდება და საჭმელი. ალმასივით ცოლ-შვილი მოგცა ღმერთმა. რა გინდა იმ ქალაქში? განა აქ ყოფნა არ გირჩევნია! შენს დედ-მამასთან, შენს ნათესავებში? პატარა დახედულადაც შეჰყევი საქმეს. ის თავადები მომდურებული რომ გყვანან, დაუტკბი და არაფერს გიმტრობენ. შვილო, ძალ-ღონე და სამართალი დღეს მაგათ ხელშია, რაც უნდათ, იმას გიზამენ. ხომ ხედავ, შენს ამხანაგებს რა უყვეს? ცოლ-შვილი ოხრად დააყრევინეს. შენც ასე მოგივა, თუ ჭკუით არ იქენი. სხვას რას დაეძებ?

გაბრიელის ყოველი სიტყვა შოთასათვის საწამლავი იყო. ბევრჯერ სმენია ასეთი ტკბილი დარიგებები, გაუგონია თავის თავზე სახარების კითხვა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უგრძვნია რაიმე მოკრძალება და პატივისცემა ამგვარი დარიგებისადმი, არასოდეს არ მოხვედრია „ჩამაგონებლის“ სიტყვა მის სულსა და გულს.

„რით უნდა გათავდეს, რით, ყველაფერი ეს?“ — ფიქრობდა იგი და გულდასერილი აქეთ-იქით დაბორიალობდა. გრძნობდა, რომ აქაურობას უნდა გაშორებოდა, მაგრამ როდის? როგორც თამროსა და მისი მშობლებისათვის, ისე შოთასათვის ეს წამი საშინელი იქნებოდა. ამისათვის იყო, რომ ფეხს

ითრევდა. ვერაფერ საქმეს ხელს ვერ ჰკიდებდა, უგზო-უკეელოდ დაბორგავდა. ერთ საღამოს ასეთი ამბავი მოუვიდა: ფარული ორგანიზაცია, რომლის წევრიც თვითონ იყო, მთავრობას ჩაეგდო ხელში. ამხანაგები ატყობინებდნენ, რომ საჩქაროდ ჩამოსულიყო და თან თავს გაფრთხილებოდა, თურმე მასაც ეძებენ დასაჭერად, ელენე კიდეც გაეჩხრიკათ.

თავზარდამცემი იყო ეს ამბავი.

„ესღა მაკლია, — თავი ჩაკიდა შოთამ, — სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა, სანამდის?.. რაც დაგვმართეს, განა ის არ კმარა!“

შოთა გაქვავებული იჯდა.

— შოთა, მგონი დერეფანში ხარ, შემოდი, — დაუძახა თამრომ მისუსტებული ხმით.

შოთა უხმოდ შეევიდა. თამროს შეცინებაზე ოდნავ გაიღიმა.

— მოდი აქ, დაჯექი ლოგინზე... გიყურო, რამდენი ხანია არ მინახავხარ, — უთხრა თამრომ და ხელები გაუწოდა.

შოთამ მორცხვად ჩახედა. საუცხოო სანახავი იყო თამრო. მშვენიერი სახე ცოტა გამხდარი უჩანდა, ფერი გაკრთომოდა, თვალები კი უწინდებურად მკვირცხლი და მეტყველი ჰქონდა.

შოთა უხმოდ ჩამოჯდა თამროს ლოგინზე.

— ხმა გამეცი, გენაცვალე, რამდენი ხანია არ დამლაპარაკებიხარ, თქვი რამე! რა გაწუხებს, სიცოცხლეო? მითხარი, აქნობამდე თუ რამე გაწყენინე, ეს ჩემი გამოუცდელობით იყო, არაფერი ვიცოდი. დღეიდან კი სულით და ხორცით შენი ვიქნები. მითხარი, რა გადარდებს?!

შოთას გულში ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ეთქვა ყველაფერი თუ არა? ბავშვს მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა.

— რა არის, რომ სულ იმ ბავშვს უცქერი და მე კი არ მიყურებ? მე უფრო გიყვარვარ თუ ის? ვისთვის ჩამოდი — ჩემთვის თუ ამისთვის?!

— ამისთვის... ამისთვის... — წამოიძახა შოთამ და ბავშვს მივარდა. გულში იკრავდა, ჰკოცნიდა.

თამრო კი გაქვავებული მიშტერებოდა, უნდოდა რაღაც შამოეყვირა, მაგრამ ენა ვერ დაძრა.

XXXIII

სიჩუმეა.

ქალაქი ჯერ კიდევ თვლემს.

გადამწვანებულ სერებს სიყვარულით შემოუხვევიათ მისთვის მკლავები, ნიავს არ აკარებენ, ძილს არ უფრთხობენ.

შუა ქალაქში მძიმედ მიიზლაზნება ვეებერთელა მდინარე. ნაპირებს უკოცნის, ეჟღურტულება. პირქუშია, ტალღაძლიერი, ამაყი.

ლაჟვარდის კამარაც თავს გვირგვინად ადგია ქალაქს.

შოთა თავის ბალჩაში ბარავდა. ფიქრებში წასულიყო.

„სად არის ახლა ჩემი შვილი? ჩემი ჩვილი, ჩემი სისხლ-ხორცი? თამრო?..“ ფიქრებს თავი მიანება და ბარს დაეყრდნო. მთელი სოფელი თვალწინ დაუდგა... შვილი, თამრო.

ელენე კი ოთახში ფუსფუსებდა. კარგა ხანია სამკერვალოსაც დაანება თავი, ექიმმა დაითხოვა.

— შოთა!

— რა იყო?

— აქ მოდი!

— შენ მოდი, მე ვმუშაობ, ბარემ დავბარავ.

შოთა ბარზე დაყრდნობილი უცქეროდა ელენეს. რაღაც ახალ ამბავს ელოდა. უკვირდა ელენეს ასეთი გამხიარულება, ასე კაი ხანია, არ უნახავს. თან გულში შხამად ჩაეწვეთა ექიმის სიტყვები: თუ კარგად მოუვლი, ვინ იცის, ეგების დასძლიოს სენსაო.

— იცი, შოთა, ფეხმძიმედა ვარ, — თქვა ელენემ და სირცხვილით თავი ჩაჰკიდა.

შოთა სიხარულით ჩურჩულებდა.

— ელენე, შენც? შენც? ელენე!..

სოფელი, ქალაქი უცებ ორივე შეერთდა მის გონებაში...

— შვილები, შვილები! იქაც, აქაც.

— შოთა, ჩემო ძვირფასო!..

შოთას თამროს სახე წარმოუდგა თვალწინ. აი, ის ტახტზე ზის ხელგამოწვდილი, სწორედ ისე, როგორც შოთამ დატოვა...

შოთას თავზარი დასცა ამ სურათმა... მეტის ძალით ჩაიკრა ელენე, თითქოს შეეშინდა, თამრიკომ არ წამართვასო.

ქალაქმა გაიღვიძა.

მზეც ამოცურდა. შოთას და ელენეს ოქროს სხივების გვირგვინი დაადგა...

1911 წ.

ეს რომანი პირველად 1911 წ. გამომცემლობა „კულტურამ" დაბეჭდა. რომანს მაშინვე ყურადღება მიაქცია ცენზურამ და რამდენიმე ადგილი ამოაკრეფინა გამომცემელს. საცენზურო კომიტეტის საქმეებში, რომელიც ცენზურულ არქივში ინახება, ამას წინათ აღმოჩნდა ერთი საქმე (№ 76/80, 1911), რომელიც ამ რომანის გამო შეუქმნია კომიტეტს. საქმეში მოყვანილია რომანის რამდენიმე ადგილის თარგმანი (მღვდელი ანტონის ლაპარაკი, პირველი რევოლუციის შეფასება, მეშათა კლასის ბრძოლა რეაქციის დროს და სხვ.) და ჩაკერებულია რომანიდან ამოკრილი ადგილები.

სამნი

რომანი

ნაწილი პირველი

1

რეზო ნამიანიძის ოჯახური ცხოვრება ყოველთვის ერთნაირი წესით მიმდინარეობდა: დილის რვა საათზე ჩაი, თერთმეტის ნახევარზე საუზმე, სამ საათზე სადილი, ხუთის ნახევარზე ეტლით გასეირნება, რვა-ცხრა საათზე საქველმოქმედო კომისიის სხდომაზე დასწრება. ძვირად თუ დაირღვეოდა ეს წესი. ცუდ ამინდში გასეირნება არ მოხდებოდა და რეზოს მეუღლე ევა სხვა რამით ჰკლავდა დროს: პიანინოს უკრავდა, რომანს კითხულობდა, დარბაზობას ესწრებოდა.

დღეს კარგი ამინდი იყო და ევა სასეირნოდ გამოსულიყო. სხვა დროს რეზოც მის გვერდით იჯდა ხოლმე ეტლში და, ჯოხზე ოდნავ დაყრდნობილი, შეკავებული ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს. მაგრამ დღეს რეზომ ბანკიდან ტელეფონით დარეკა, რამდენიმე საათს დამაგვიანდებაო და ამიტომ ევა მარტო წავიდა სასეირნოდ. ეტლი ელვის სისწრაფით მიქროდა ქალაქგარეთ.

მეეტლე ჩამოსხმულივით იჯდა ეტლის კოფოზე, მიერეკებოდა შავ ბედაურებს. ფაფარაყრილი ცხენები მედიდურად მიაქანებდნენ კუპრივით შავ ეტლს. ეს მეეტლე მუმიად ქცეულ ასირიელ მოგვს მოგაგონებდათ: გაქვავებული პირისახით, შავი თვალ-წარბით და ოთხკუთხად შეჭრილი შავი წვერით. სურა-

თის მთლიანობას ამთავრებდა მოშავო ტუჩები და ცეცხლის მკვეესავი, შავწამწამებიანი, აფრიკული თვალები.

ეტლისა და მეეტლის სილამაზეს აგვირგვინებდა მშვენიერი ევა. რეზოც ლამაზი ვაჟკაცი იყო: ახოვანი, წაბლისფერ თმაწვერიანი, გაშლილი შუბლით, მოხდენილი მიმოხრით და ამაყი იერით.

საღამო იყო, მაგრამ მარტის მზე მაინც საკმაოდ ათბობდა ჰაერს და გაპარული ზამთრის სიცივე არც ისე იგრძნობოდა. გაზაფხულის სუნთქვა ყველაფერს ემჩნეოდა. ქალაქის შემოგარენი უკვე ამწვანებას აპირებდა, ბუნება ხელახლა იღვიძებდა და ადამიანსაც თან იყოლიებდა.

ქალაქის ქუჩებში ჩვეულებრივზე მეტი ფუსფუსი იყო: აქაიქ მოქალაქენი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გაზეთს კითხულობდნენ, რაღაცაზე მსჯელობდნენ. ბავშვები გიჟებივით დარბოდნენ და „დეპეშა, დეპეშაო“, გაჰკიოდნენ.

„რაიმე საყურადღებო რომ მომხდარიყო, რეზო დამირეკავდა“, — ფიქრობდა ევა.

ცხენები მწყობრად სცემდნენ ფლოქვებს, მეეტლე შეუმჩნევლად არხევდა აღვირს.

— ევა, — მოესმა მას, როცა უკან დაბრუნებულმა ქალაქის მთავარ ქუჩას მიაღწია. მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ ეტლს ოციოდე წლის ყმაწვილი შეახტა.

— ხომ არ შეიშალე, ადამიანო, რას სჩადიხარ! — მიაძახა ყმაწვილს ზეზე წამოჭრილმა ევამ.

— გავგიჟდი, მაშ! შევიშალე! შევიშალე!

— რაშია საქმე? რა მოგივიდა? — შეეკითხა ევა.

— რევოლუცია, ევა, რევოლუცია!.. მთავრობა ჩამოაგდეს! დროებითი მთავრობა!.. ჩხეიძე... სკობელევი!

— პეტუშა, რა ახირებული ხარ!..

— არ გჯერა? ხა... ხა!.. აი, წაიკითხე! — მიაძახა პერუშამ და გაზეთი გაუწოდა, თან მეეტლეს გასძახა: — ასირიელო, ეტლი ნელა, ქალბატონი კითხულობს!

მეეტლემ აღვირებს მოსწია და გაქაფული ცხენებიც უცებ შეჩერდნენ.

— რა ამბებია, რა ამბები! — ცმუკვით ამბობდა პიერი და მოუთმენლად ელოდა, როდის დაასრულებდა ევა კითხვას.

— რას შვრები, ადამიანო, ზეპირად ხომ არ გინდა ის-წავლო?!

— ასე მგონია, სიზმარში ვარ! ნუთუ ყველაფერი ეს დასაჯერებელია! — თქვა გაკვირვებით ევამ.

— თუ არ გჯერა, აი, იმ ხალხს შეხედე! — უთხრა პიერმა და ხელი იქით გაიშვირა, სადაც აუარებელი ხალხი ბობოქრობდა.

ევამ დაინახა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აღფრთოვანებული ირეოდა წითელი დროშის გარშემო. სუნთქვა შეუჩერდა, თითქოს გაქვავდა.

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“, — ისმოდა ხალხში და სასიხარულო გუგუნი მთელ მიდამოს მოედო. ამღერდა ყოველივე, ამეტყველდა არემარე. ცეცხლი მოედო იქაურობას, ცეცხლი განწმენდისა და აღტაცებისა, ცეცხლი ხსნისა და განახლების!

— ნუთუ ეს სიმართლეა! სიზმარია თუ ცხადი! — ჩურჩულებდა პიერის მკლავს დაყრდნობილი ევა. აზვირთებული ხალხი ტალღასავით მოგორავდა, მისი გუგუნი ერუანტელს ჰგვრიდა იქაურობას. წითელი დროშა იალქანივით ქანაობდა.

ყოველი ქუჩიდან გამოდიოდნენ ახალ-ახალი ჯგუფები. თითქმის ყველა ჯგუფს წითელი დროშა მიუძღოდა: უბრალო სარზე წამოცმული სადა წითელი ქსოვილი, ზოგან დიდი, ზოგან პატარა...

— გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

აივნები ხალხით იყო გაჭედილი, ისმოდა სიცილი, სალამი, ტაში, ვაშა.

ყველა მოედნისკენ მიეშურებოდა, იქ მიტინგი უნდა გამართულიყო.

პოლიციელები სადღაც მიმალულიყვნენ. თუ სადმე თითოოროლა გამოჩნდებოდა, სულელურად იღიმებოდნენ და ყველას თავს უკრავდნენ — სულ ერთია, იცნობდნენ თუ არა, საჭირო იყო თუ არა.

ვინ იცის, რა ბოღმას ფარავდა მათი ნაძალადევი ღიმილი!

ორიოდე წამის განმავლობაში ქალაქის მთავარი ქუჩა ხალხით გაიჭედა, მოზღვავებულ ბრბოს არც დასაწყისი უჩან-

და, არც დასასრული. ჩქარი სიარული შენელდა. ნემსს ვერ ჩააგდებდი ხალხში, ისე იყო გაჭედილი ქუჩა.

2

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს! — გუგუნებდა ბრბო.

ევა და პიერი ხალხის ტალღას გაჰყვა.

— სუუ... ვიღაც ლაპარაკობს! — გაისმა ხალხში.

სიტყვები გარკვეულად ისმოდა, აშკარა იყო, ორატორი ახლო იყო. ევა პიერს დაეყრდნო და თითის წვერებზე აიწია.

— გუბერნატორის სახლის წინ ვართ. მოიცა, მოიცა, ეს ვინ ლაპარაკობს? — ამბობდა პიერის მხარს დაყრდნობილი ევა.

— აა, ეგ ჩვენი გიგოა, ჩვენი გიგო! — თქვა ვიღაცამ.

— რომელი გიგო? ხიათაშვილი? — იკითხა პიერმა, რომელიც ყანჩასავით იგრძელებდა კისერს, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— დიახ, ხიათაშვილი.

გიგო დახელოვნებული ორატორი იყო, მისი სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა მაყურებელსაც ამოქმედებდა, და როცა იგი წყევლა-კრულვას უთვლიდა ხალხის მტრებს, მსმენელებიც ზიზღით იმსჭვალებოდნენ.

პირველი ორატორი მეორემ შესცვალა, მეორე — მესამემ, მეოთხე — მეხუთემ. ხალხის ყიჟინი ზეცას სწვდებოდა, მიდამო მთვრალი იყო საერთო სიხარულითა და აღტაცებით.

გუბერნატორის ორსართულიანი სახლის ფანჯრები დაეკეტათ, კარიც დაეხშოთ.

გუშინ ამ დროს აქ ყველაფერი გაჩირაღდნებული იყო. სინათლე, უკმეხობა, ძალა, კადნიერება. გაშლილი აივნიდან გუბერნატორი არწივივით იყურებოდა. მისი უკმეხი სახე თავზარს სცემდა ქვეშევრდომთ.

დღეს კი ყველაფერი თალხებში მორთულა და ამ ზვიად სახლს თავი ჩაუქინდრავს.

— ბიჭო, ჯარი არ ჰყავდეს გამოწვეული, პოლიციელები არ შემოგვისიოს.

— ვერ გაბედავს!

— მერედა, ჯარი ასე დაუჯერებს? სწორედ ჯარის ღალატმა დაამხო მაგათი ტახტი, — ჩურჩულებდნენ ერთმანეთში, თუმც ბევრს გულში შიში მაინც ჰქონდა. ვინ დაიჯერებდა აგრე მოულოდნელად მონობის ბორკილების ახსნას!

— გზა მიეცით, გზა! — გაისმა უცებ და ხალხში ვიღაც მხედარი შემოიჭრა.

ხალხმა გზა უტია, მსწრაფლ მიიფანტ-მოიფანტა.

მხედარი ტრიბუნასთან მიიჭრა.

ხალხმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მხედარი ამოწვდილი სმლით საპატიო დარაჯად დაუდგა საორატორო ტრიბუნას.

იგრიალა ტაშმა, ყიჟინა დიდხანს ისმოდა ქუჩიდან ქუჩამდე.

— ვაშაააა!.. ვაშაააა!..

— ჯარი, ჯარი მოდის! — გაისმა უცებ. ხალხი შეტორტმანდა. ჯარი მწყობრად მოდიოდა. რა უნდა ამ ჯარს, რისთვის მოდის? სამტროდ თუ სამოყვროდ? ვინ გამოიწვია იგი?

შიში, სიხარული, იმედი, უიმედობა — ყოველივე ერთმანეთში აირია და საშინელი ძალით დატრიალდა მოზღვავებულ ბრბოში.

რამდენიმე ასეული ჯარისკაცი სწრაფად შემოვიდა ხალხში და, ბრძანების თანახმად, შესაფერი ცერემონიალის დაცვით, მწყობრად გაჩერდა ტრიბუნის წინ. გაქვავებული სახეები, თოფზე მიყინული ხელები.

ტაშის ქუხილი, დაუსრულებელი ყიჟინა, ბედნიერების ცრემლები, აღმაფრენის ამოძახილი:

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

— ვაშა! ვაშა!

ცხვირსახოცების ქნევა, ნეტარების ცრემლი, ქუჩათა გუგუნი, დროშების ფრიალი.

გუბერნატორის სახლი კი ისევ სოდომივით გამოიყურებოდა და დარბაზის სიღრმეში ანთებული ლამპარი ისე ანათებდა, თითქოს სამარის ფსკერზეა დადგმულიო.

3

ევა აფორიაქებული დაბრუნდა შინ. დღეევანდელმა ამბებმა სრულიად მოულოდნელ ბურუსში გაახვია და ერთიანად აუბნია გზა-კვალი. უნდოდა მხიარულება და სიცილი, სწადდა სხვებთან ერთად საერთო ზეიმს მისცემოდა, დამთვრალიყო საყოველთაო ბედნიერებით და თავდავიწყებით ეყვირა: გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

მაგრამ, რაღაც სხვა გრძნობამ წამოჰყო თავი და... ევას აღფრთოვანებაც ელფერს ჰკარგავდა.

პიერიც თან მოჰყვა. პოეტი ისე იყო აღტაცებული, რომ ბავშვივით კისკისებდა.

— დედილო, დედილო! — მიეგება ევას სოფო, რომელიც რამდენიმე წუთით ადრე მოსულიყო. — რა ამბებია! გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს!..

სოფო ციბრუტივით ტრიალებდა, მის ტიკტიკს დასასრული არ ჰქონდა. შუშანიკაც შინ იყო, ისიც სოფოსავით იყო აღტაცებული და გიჟივით გაჰკიოდა:

— მონობა მოისპო, განთავისუფლდა მშრომელი ხალხი! ძირს ბორკილები, გაუმარჯოს მშრომელებს, გაუმარჯოს ჩაგრულებს!

— ოოჰ, ჩვენს შუშანიკას სულ მშრომელი ახსოვს! თითქოს სხვას არ ეამება თავისუფლება! — შენიშნა პიერმა.

— უკაცრავად შენთან, პოეტო! ზეეროვნულო, ზეკლასიურო, ზებუნებრივო! ხა... ხა... ხა!.. შენთვის ხომ მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკის შეცვლას!.. თავი და ბოლო სულია, თა..ვი...სუფალი სული... ხა.. ხა.. ხა!..

— მოგესალმები, მშრომელთა პოეტების თაყვანისმცემელო! ქედს ვიხრი მათი ოფლიანი მუზის წინაშე! ვაღიარებ, რომ ეს რევოლუცია მათმა ქნარმა მოახდინა! რვასაათიან სამუშაო დღეზე დაწერილმა ლექსებმა, ზრდილობიანი მოპყრობის პრინციპზე აგებულმა, ხელფასის მომატების ჰანგზე ანაჟღერმა!

ქალიშვილებს ერთობ უკბილო ხუმრობად ეჩვენათ პიერის ნათქვამი და სიცილი დააყარეს, ესეც არ აკმარეს: წამოაელეს ხელი და კინაღამ ტანისამოსი შემოაგლიჯეს.

— რას შვრებით, თქვე კუდიანებო, თქვენა! — ყვიროდა პიერი.

— არისტოკრატიის მომღერალო პოეტო! უტვინო ბრბო, შეუგნებელო ჯოგოო, რომ იძახდი!

— დემოკრატია ბილწავს ყოველივეს, არა? ახლა რას იტყვი, ნიცშეს თუთიყუშო?

— კარგის მთქმელს კარგი გამგონე უნდა!

— კორდელის მუზაც რვასაათიანია? — მიაძახა სოფომ. — ახლაც იტყვი მაგ სისულელეს? შე დეკადენტო, სიმბოლისტო, სატანისტო!

ევა კამათში არ მონაწილეობდა. მხოლოდ ერთი სიტყვა მოხვდა გულში ახალგაზრდების ლაპარაკიდან, ეს იყო კორდელის ხსენება. აგერ, წელიწადი გადის, რომ განუწყვეტლივ ესმის ამ პოეტის სახელი და ერთობ არ მოსწონს ეს გარემოება.

კორდელის სახელს სხვაზე უფრო ხშირად მისი ქალი სოფო ახსენებს. სოფოს გაგიჟებით უყვარს კორდელის ლექსები და თითქმის მთელი მისი კრებული ზეპირად იცის. ბევრი ეცადა ევა, დაეცნობინა სოფოსათვის ეს პოეტი, მაგრამ ვერას გახდა.

„ეს სულ შეშანიკას ბრალია“, — ფიქრობდა ევა.

— ახ, ჩემი კორდელი, ჩემი კორდელი! — წამოიძახებდა სოფო და გულში იხუტებდა სათაყვანო პოეტის წიგნს.

კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა ახალგაზრდების კამათი. ბოლოს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— ვინ ბრძანდებით? მამა!.. უი, შენ კი გენაცვალე, მამა! მომილოცავს, მომილოცავს! — მიუჭიკჭიკა სოფომ და რეზოს თვალები დაუკოცნა.

— სწორედ რომ სასიხარულო ამბავია, სწორედ! — ამბობდა სიცივისაგან ყურებდაწითლებული რეზო და თან პალტოს იხდიდა. — ოო, პიერ, შენც აქა ხარ? გამარჯობა! აბა, ერთი შენებურად ლექსი ამ ამბებს!

— რად დაიგვიანე? — შეეკითხა ევა, როცა რეზომ პალტო გაიხადა და საკვარძლის ზურგზე მიწოლილი თმას ივარცხნიდა.

— ოო, ნუ მკითხავთ, თქვენი ჭირიმე! ფრიად მნიშვნელო-

ვან კრებაზე ვიყავი. არ გაგიგონიათ აღმასრულებელი კომიტეტი? აი, ამ კომიტეტის არჩევნებზე ვიყავი. ეს რეოლუციის ორგანოაო, ასე თქვეს.

— მერე, მერე?! — გაისმა მოუთმენელი შეკითხვები.

— მოხდა ამ კომიტეტის არჩევნები. იგი მთავრობას შეცვლის. გუბერნატორი რომ გადააყენეს და დაატუსაღეს, ხომ იცით?

— ვიცით, ვიცით!

რეზოს ყველანი გარს შემოეხვივნენ და წამდაუწუმ ეკითხებოდნენ: ვინ აირჩიეს? ნეტავ ჩამოახრჩობენ გუბერნატორს? რას უზამენ პოლიცმეისტერს?

რეზო ცდილობდა ყველა კითხვაზე პასუხი გაეცა.

— კაცო, ეს სხვადასხვა პარტიები საიდან გამოძვრნენ? ერთი იძახის, ნაციონალ-დემოკრატი ვარო, მეორე — სოციალ-დემოკრატების სახელით ელაპარაკობო, ზოგმა — ფედერალისტი ვარო, ესერიო და რა ვიცი კიდევ რა! ყველამ თავისი კაცი მოითხოვა კომიტეტში.

რეზომ ჩამოთვალა ყველა, ვინც კომიტეტში იყო არჩეული და, სხვათა შორის, დაასახელა თავისი თავიც, ეაჭარ-მრეწველთა წრემ წამომაყენაო.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა, — ამბობდა აჩქარებით რეზო, — იცით, ვინ აირჩიეს კიდევ კომიტეტში? ჩემი ბანკის უბრალო მოსამსახურე ქათამაძე, მოანგარიშის თანაშემწე, რომელიც ამ დღეებში, უცოდინარობის გამო, უნდა დამეთხოვა. ხა-ხა-ხა! მერე იცით რა მედიდურად გადმომხედა? პა! პა! პა! თურმე სოციალისტი არ ყოფილა! კომიტეტის წევრად არჩეული იყო მუშების მხრივ ერთი ქალიც — თვითონაც სოციალისტი ყოფილა და ქმარიც სოციალისტი ჰყოლია! — დაცინვით თქვა რეზომ.

4

სადილობისას სხვებზე მეტს რეზო ლაპარაკობდა. ახალ გაზრდების კისკისი იქაურობას აცოცხლებდა, განსაკუთრებით სოფოსი. ევა კი დუმდა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ, — ლაპა-

რაკობდა რეზო და თან მადიანად ილუკმებოდა, — ჩვენ აღმასრულებელი კომიტეტი კი ვართ, მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ, რა უნდა ავასრულოთ? რა იცის სახელმწიფო საქმეების ჩემმა ქათამაძემ და აი, თუგინდ იმ ქალმა... სოციალისტი რომ ყოფილა! თურმე უბრალო მკერავია, რომელიღაც მადამის სახელოსნოში მუშაობს.

— ვითომ რა, ქალი რომ არის, იმიტომ? — ამრეზით იკითხა შუშანიკამ.

— არა, საქმე ქალობა კი არ არის, საქმე სწავლაა, — განაგრძობდა რეზო და თან ილუკმებოდა.

— ჩემს ქმარს ბრძნული აზრების გადმოლაგება უყვარს! — გესლიანად შენიშნა ევამ.

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, — თქვა ცოლის საპასუხოდ რეზომ და განაგრძო: — დიახ, ყველაფერისათვის ცოდნაა საჭირო. თუ უვიც ხალხს ჩაუვარდა ხელში მართვა-გამგეობა, მტრისას, სახელმწიფო მალე მოიტეხს კისერს. განა ქათამაძეები და მკერავი ქალები შესძლებენ ქვეყნის მართვა-გამგეობას.

— მაშ, შენ არა გწამს დემოკრატია, მშრომელი ხალხი? — გააწყვეტინა შუშანიკამ.

— აცალეთ დემოკრატიის ვექილს, აცალეთ! — სიცილით წარმოთქვა პიერმა.

— რათა? მე დემოკრატიაც მწამს, მშრომელი ხალხიც, მაგრამ...

— აკი ვთქვი, ჩემი ქმარი ბრძნული აზრების სათავეა-თქო, — კიდევ შენიშნა ევამ.

— ხა.. ხა... ხა! რეზოს ყველაფერი სწამს: დემოკრატიაც, მონარქიაც, ანარქიაც! — ხარხარებდა პიერი და თან ტუჩებს იწმენდდა. — გაუმარჯოს რეზოს! გაუმარჯოს! ასეთი უნდა სიფართოვე სულისა, სისრულე არსებისა!.. ადამიანმა ყოველივე უნდა დაიტიოს თავის თავში. ექსტრად რეზოს სადღეგრძელო, ექსტრად!

ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფი ევა, რეზოს სიტყვებმა კიდევ უფრო გაანაწყენეს. მზად იყო ქმრისათვის საყვედური ეთქვა, მაგრამ აყალმაყალს მოერიდა.

ან კი რა უნდა გამოსულიყო ევას საყვედურიდან? რეზოს

მაინც ვერ გარდაქმნიდა. განა ერთხელ ჩაუგდია თავისი თავი სასაცილო მდგომარეობაში?

— საწყალი ჩვენი გუბერნატორი! — ამბობდა კუჭდაკმაყოფილებული რეზო, რომელიც ახლა სკამის ზურგს გადასწოლოდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ღიმილით შეჰყურებდა ყველას.

რა ლამაზი და მომხიბლავი იყო რეზო ამ დროს! გაშლილი შუბლი, მოცინარე თვალები; კოხტა, ქერა წვერი, თეთრი კბილები (ერთგან ოქროს კბილი მოუჩანდა), საუცხოო ევროპული მორთულობა.

მერე, როგორ უხდებოდა ლაპარაკი, ხელების მოძრაობა! ნამდვილი დენდი იყო! ამიტომაც შეუყვარდა ევას ასე უსაზღვროდ, პირველი ქმარი სულ დაივიწყა.

— საწყალი ჩვენი გუბერნატორი! გუშინდელი ღმერთი, დღეს უბრალო მომაკვდავად გადაიქცა. გუშინ სასახლეში, დღეს ციხეში. ჭეშმარიტად თქმულა: ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო არისო. საცოდავი ლანდივით მიდიოდა ციხისაკენ, ყაბალახში ჩაემალა თავი: ოღონდ ნუ მომკლავთ და რაც გინდათ, მიყავითო, იხვეწებოდა თურმე. ცოლს განუცხადებია: მეც მასთან წამიყვანეთო, მაგრამ უარი მიუღია, მეორე საკანში თურმე პოლიცმეისტერი მოათავსეს... ის სათოკე, ისა!

რეზო ისე გულგრილად ლაპარაკობდა, თითქოს ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავი იყო. გუშინ და გუშინწინაც ასე მსჯელობდა, დიდი და პატარა ამბავი მისთვის არ არსებობდა, ყველაფერს ერთი საზომით ზომავდა. ეს დღესაც შეამჩნია ევამ და იყო წამები, როცა ეზიზღებოდა კიდეც ლამაზი და მთელ ქალაქში ცნობილი ქმარი.

ქვეყანა აფორიაქებულია, ყველა ღელავს, ეს კი აგრე დინჯად და აუჩქარებლად მსჯელობს!

რას მიაწეროს ეს ევამ: რეზოს ეგოიზმს თუ განუვითარებლობას? ქალი თანდათან მოიღუშა და მოდუნდა.

— ევა, ავად ხომ არა ხარ? — შეეკითხა რეზო.

ევა პასუხის ნაცვლად წამოდგა და როიალს მიუჯდა. მარდად შეათამაშა თითები და ყველას გასაკვირად „მარსელიოზა“ დაუკრა.

— სუუუ... ეს რა არის? — შეფრთხიალდა სოფო.

— მოიცა!.. „მარსელიოზა“! — შეჰყვირა პიერმა და მუსიკის ჰანგებს თვითონაც ააყოლა ხმა.

ევა კი უკრავდა და უკრავდა... თავდავიწყებით ჰფანტავდა მომხიბლავ ჰანგებს. სულსა და გულს ატანდა, მთელი არსებით ექსოვებოდა ყოველ ბგერაში. მისდა შეუმჩნევლად მუსიკას ევამაც ააყოლა ხმა. ქალის აგზნებულმა კილომ ყველა მოაჯადოვა და აამღერა. ყველაზე ხმამაღლა პიერი მღეროდა. გრძნობად ქცეულ შუშანიკას ცრემლი ჩამოსდიოდა, სოფიკო კი სულგანაბული მისჩერებოდა დედის ხელების მოძრაობას და სახეგაბრწყინებული მზად იყო სიცილად გადაქცეულიყო. მხოლოდ რეზო არ ღელავდა და მშვიდად უცქეროდა მომღერლებს.

უცებ ევა შედრკა, თითქოს კლავიშების დამსხვრევა უნდაო, ნერვიულად ჩამოკრა თითები და... ცეცხლის მომდები ჰანგიც კვნესით მიაკვდა კედლებს, თავისუფლების ჰიმნი უცებ შეწყდა.

ევა კი თოფნაკრავივით შევარდა თავის ოთახში.

ყველა გაქვავებული დარჩა, ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინათ.

— სუუ, თქვენი ჭირიმე! ავად არის და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იხმაურებთ! — თქვა რეზომ და ტუჩზე ხელი მიიდო.

5

ევა სავარძელში ჩაიკეცა. უნდოდა ამოეკვნესა და თან ამოეტანა გულის ბოღმა, მაგრამ ენა ჩაუვარდა, გრძნობათა ჩქერმა შებოჭა, ლამის დაახრჩო. უსაზღვრო სევდით შებოჭილი სავარძელზე გადაესვენა.

რა ქნას, როგორ მოიქცეს? იმხიარულოს თუ იტიროს? პირქვე დაემხოს თუ სხვების სიხარულს აჰყვეს? საშინელია ეს კითხვები ევასთვის.

— რა მოხდა? ეს რა უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე? — იმეორებდა უთავბოლოდ. გულის სიღრმეში გველივით დასრიალებდა ერთი პატარა ნაკადული. ეს გველი თავაწეული დასისინებდა და შეუბრალებლად შხამავდა. ეს იყო შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის გრძნობა...

ევა ნამიანიძის ოჯახს მთელი ქალაქი იცნობდა. დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მის მეუღლესაც — რეზოს, რომელიც ბანკს განაგებდა. ცოლ-ქმარი ქალაქის ინტელიგენციის დამამშვენებელი იყო. ევას სილამაზე და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად დააფასა ყველამ.

და აი, როდესაც მთელი ხალხი აღფრთოვანებული და გახარებულია, როცა მონობის ბორკილი დაიმსხვრა, ევა თითქოს გაღმა დარჩა გარიყული: ერთ-ერთი პარტიის სახელით აღმასრულებელი კომიტეტის წევრად ვიღაც მუშა ქალი აურჩევიათ.

ევა კი არავის მოჰგონებია, ის ევა, რომელიც, — ოოხ!.. რომელიც ერთ დროს პარტიის აქტიური წევრი იყო.

რა სიამოვნებით ამოიგლეჯდა იგი ამ მწარე მოგონებებით აღსავსე გულს და რა ზიზღით გადაისვრიდა.

დიდხანს იყო ევა ასე ჩაფიქრებული. ასეთი დამცირება ჯერ არ უგრძვნია. ეს იყო უჩვეულო და უნახავი ტანჯვა: სირცხვილის და დანაშაულის გრძნობა თავისივე თავის წინაშე.

კარგ ორატორთა რიცხვში ევასაც შეეძლო ყოფილიყო: საამისოდ ნიჭიც შესწევდა, ცოდნაც, უნარიც და საკმაო დამსახურებაც. აღმასრულებელ კომიტეტშიც პირველი ქალი იქნებოდა, რომ არ ეღალატნა თავისავე მისწრაფებისათვის და ძველ გზაზე დარჩენილიყო. ევამ თავისივე ხელით გაითხარა სამარე და ცოცხლად ჩაესვენა შიგ.

მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მის წინ კედლის სარკე იყო ამართული. საკუთარი სახის დანახვამ შეაკრთო, შერცხვა თავისი თავის. თითქოს ვინმე მოწმე აღმოუჩნდა იმის მალულ, სულიერ ტანჯვას და მისი სინდისის საიდუმლო ქენჯნა ვიღაც გარეშეთათვის აშკარა შეიქნა. თავისივე აჩრდილმა გააწითლა და უცებ წამოდგა. ჰაერი არ ყოფნიდა, აივანს მიაშურა.

გრილმა ჰაერმა გამოაცოცხლა.

ევა ხედავდა, რომ რაღაც მიუწვდომელი და განუზომელი წამები იწყებოდა, მის თვალწინ საშინელი ძალით ამოძრავდა ისტორიის ვეებერთელა ბორბალი, რომლის კლაკვნა და ხმაური ზეცას სწვდებოდა, მთელ ქვეყანას აზანზარებდა.

ამ წუთას ევას გონება ნათელი იყო. იგი ძველ ევად იქცა,

რომელიც ერთ დროს სულ სხვა გზით მიდიოდა და სულ სხვა-გვარი იდეალებით იყო გატაცებული.

ოთახში შემობრუნებისას ქალი უფრო დაწყნარებულად გრძნობდა თავს.

მაგრამ ჩაწვა თუ არა ლოგინში, ისევ ეწვია კაეშანი. მოაგონდა აწმყო, წარსული და... სულისთქმაც თანდათან უძნელდებოდა. ცდილობდა შორს გაეხედა, აღარ გაეხსენებია წარსული... ქმრის დღევანდელი ლაპარაკიც და უჭკუო გულგრილობა აბრაზებდა ევას.

ამდენი ხანია რეზოს მეუღლეა, უყვარს და ასე უაზროდ და ცოცხალ ლეშად არასოდეს არ მოჩვენებია.

რამდენად უფრო მეტს აკვირდებოდა ქმარს, იმდენად უფრო იმსჭვალებოდა მისდამი ზიზღით.

— როგორ შეხვდებოდა შალვა ამ ამბავს? ნუთუ ისიც ასე უსულგულოდ?

მოაგონდა პირველი ქმარი, შალვა ღრუბელიანი... წამსვე გადაეშალა ძველი ცხოვრების ჩაფერფლილი რვეული... სირცხვილის საშინელმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს დასწვა მისმა ალმა.

...ეფიცებოდა, მიყვარხარ... შენი ვარ, სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნები, კუბოს ფიცრამდე სალოცავ ხატად მეყოლები, თაყვანს ვცემ შენს ღმერთს, გუნდრუკს ვუკმევ შენს კერპს, შენთან ერთად ავალ გოლგოთაზეო, და... ყოველივე ეს ფუჭი გამოდგა, ლიტონი სიტყვები.

სადღაა შალვას სიყვარული? დაივიწყა ფიცი, უარყო ძველი სალოცავი და სათაყვანო კერპი, ფეხქვეშ გათელა პირველი სიყვარული, ურცხვად შებილწა უმწიკვლო აღტაცება და ახლა ამავე სიტყვებით სხვას ეფიცებოდა სიყვარულს.

ევას შეეზიზღა თავისი თავი.

შალვას კოცნას წმიდა ამბორად იგონებდა... რეზო კი საშინელ პირუტყვად წარმოუდგა. შალვა კდემამოსილებით აღსავსე მლოცველი იყო ევას მეხსიერებაში, ხოლო რეზო ნამდვილი ყასაბი, რომელიც მუშტრის ვნებით ეწაფებოდა მის ლამაზ სხეულს.

რამდენიმე წელიწადია რეზოს ცოლია და ამის მსგავსი არაფერი უგრძვნია. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ეძინა

პირველ ევას, რომელმაც ასე პირნათლად მიიტანა შალვა ღრუბელიანის წინაშე თავისი უმანკო სხეული, მიუწვდომელი აღმაფრენა და შეუბღალავი ზნეობა? ნუთუ ასე ღრმად ჩაინთქა რეზოსთან ერთად ავხორცობის მორევში, რომ ერთიანად დაივიწყა თავისი უმანკო სული და მხოლოდ დღესღა მოაგონდა თავისი თავი?

6

ევას მოაგონდა ის დრო, როცა პირველი რევოლუციის რიყრაჟზე საზაფხულოდ იყო მისული თავის სახლში, გიმნაზია ახლად დასრულებული ჰქონდა და, ბოლო წლებში შეთვისებული ჩვეულების მიხედვით, თავის გამდელთან — შუშანიკას დედასთან უნდა წასულიყო. მაგრამ წელს მშობლების დაჟინებით მოთხოვნას გვერდი ვერ აუქცია და თავის სახლისაკენ წამოვიდა. ევა დედას დედინაცვალივით შეხვდა, არც მამას მისალმებია მაინცადამაინც თბილად. ყველაზე გულწრფელად და ხალისიანად ევა გოგო-ბიჭებსა და განსაკუთრებით ნაცნობ კარ-მიდამოს მიეგება. ჩვენს ეზო-გარემოში ფეხის ჩადგმისთანავე სხეული დამიამდება ხოლმე და თავს უხილავი მფარველის ფრთის ქვეშ ვგრძნობო, — იტყოდა ხოლმე.

— ოო, ევა, ევა! — გადმოსძახა აივნიდან ბაბუა დავითმა.

ევა ცივი ღიმილით შეხვდა მოხუცს და ჩამომჭკნარ ლოყაზე აკოცა.

— გასათხოვარი ქალი გამხდარხარ, შვილო, ალბათ, საქმროც გეყოლება, მაქეიფე ერთი ამ სიბერის ჟამს!

— თქვენ სულ მაგრე მეუბნებით, ბაბუა...

— მერედა რა ცუდს გეუბნები, შვილო! ქალიშვილი დროზე უნდა გათხოვდეს, კარგმა პატრონმა თავის დროზე უნდა მიაქციოს ქალს ყურადღება.

— დაიწყო აქაური საშინელება, — ჩაილაპარაკა ევამ და ოთახს მიაშურა.

— ეს ქალბატონი ჩვენი ოჯახისშვილს არ ჰგავს რაღაც, შეხეთ როგორ მოიწყინა, აქაურობა ეზიზღება, — წარმოთქვა ბაბუამ მოსამსახურე ქალის გასაგონად და წამოდგა.

ევა წარბშეკრული შევიდა თავის ოთახში და ფანჯრის რაფას გადააწვა. მის თვალწინ იშლებოდა საყვარელი კარ-მიდამო, სადაც თავისი ცხოვრების უტკბილესი დღეები გაუტარებია და შეუმჩნეველად წარმოუდგა ერთი სურათი ბაბუას ცხოვრებიდან...

ამაყად გამოჭიმული ბაბუა გამოქანდაკებულივით დგას აივანზე, ხელში მომართული თოფი უჭირავს. ნახევრად თოფისწამლის კვამლშია გახვეული და წყნარი გამომეტყველებით აკვირდება ეზოს: აბა. სად გდია ჩემი ტყვიით განგმირული ჩემივე შვილი — ბეჟანიო, — ევას მამა.

ახოვანი მოხუცის თეთრ წვერს შარავანდედად ეხვია თოფისწამლის კვამლი და თითქოს ქვადქცეულ ვაჟკაცს საშინელ გამომეტყველებას აძლევდა; თავადის მთელი სახლობა ეზოში გამოფენილიყო, საშინელი აურზაური იდგა. ევას დედა გონებადაკარგული ჰყავდათ, მამა კი — ბეჟანი — გაფითრებული იდგა ბიჭებს შორის და შეშინებულ-შერცხვენილი ბუტბუტებდა:

— მამა არ იყოს, მე ვიცი, რას ვიზამდი! მამა არ იყოს, მე ვიცი, რასაც ვიზამდი!..

ევა თავზარდაცემული გამოვიდა ეზოში ატეხილ კივილწივილის ხმაზე, ჯერ არ იცოდა, რაში იყო საქმე; როცა გაიგო, ბაბუამ თოფი ესროლა მამაჩემსო, კინაღამ ჭკუა დაჰკარგა და რამდენიმე დღის განმავლობაში არც კი უკითხავს, რა იყო ამის მიზეზი.

— არ არის შენი საქმე, რაღაც უბრალოზე მოუვიდათ დავა. — ეუბნებოდა დედა.

ევამ ბოლოს, როგორც იქნა, მოსამსახურეებისაგან გაიგო ყველაფერი: თურმე ევას მამას განუზრახავს მამის ქონება ხელში ჩაეგდო და ძმებისათვის არ გაენაწილებინა. მამისაგან კანონიერი მტკიცებაც კი მიეღო. მამა დააჯერა: შენი შვილები ვალში ჩავარდნენ, მევალეები აქაურობის აწერას აპირებენ და, ისა ჯობია, ყველაფერი ჩემს სახელზე დაამტკიცო; როცა ჩემს ძმებს მოვალენი ჩამოშორდებიან, მე, ხომ იცი, იმათ არაფერს წავართმევ, თავის დროზე ყველაფერს მივცემ და შენც, რასაკვირველია, მეფესავით გარჩენო.

მამა მოტყუვდა. ბეჟანმა ქონება რომ ხელში ჩაიგდო,

მეტი ნაწილი მაშინვე გაჰყიდა და მოხუცსაც ლუკმაპური მოანატრა: არ ჩააცვა, არ დაჰხურა. მამაც ერთ ხანს უთმენდა შვილს; ეგონა, გონს მოვაო, მაგრამ რაკი ვერას გახდა, თოფი ესროლა, სასიკვდილოდ გაიმეტა. მაგრამ ტყვია ააცდინა.

— ახლა კი დავბერებულვარ, — წამოიძახა თავადმა დავითმა, როცა დაინახა, ტყვია ააცდინა შვილს, — ახალგაზრდობისას დანის პირს შევაჭრიდი ტყვიას, ახლა კი ამოდენა ყარყუმს დავაშორე, ჩემი საქმე წასულია!

ამ ამბის შემდეგ ევას ეშინოდა ბაბუასი და მისადმი პატივისცემაც დაჰკარგა.

— სათოფედ როგორ გაიმეტა ღვიძლი შვილი?! — ფიქრობდა და შიში და ძრწოლა იპყრობდა.

ეს საშინელი მოგონება ღრმად იყო შთაბეჭდილი ევას სულში და ყოველთვის თავზარსა სცემდა მისი გახსენება. მამაზედაც აიყარა გული: განა ასე უნდა მოქცეოდა ძმებს და მოხუც მამასო. ეს ხომ გაუტანლობაა! რას ერჩოდა ძმებს, რა დაუშავა მამამ? თუ არ უყვარს ისინი და ემტერება, პირში რაღას ელაქუცება, ეს ხომ ორპირობაა.

ევა არც წინათ სცემდა მამას დიდ პატივს. მამის პატივისცემა პირველად მაშინ დაჰკარგა, როცა შეამჩნია, რომ ბეჟანს კავშირი ჰქონდა იმ ქალთან, რომლის ოჯახშიც ევა ცხოვრობდა გიმნაზიაში სწავლისას და რომლის შესახებ ევამ მშობლებისაგან იცოდა, ჩვენი ნათესავები არიანო. ბეჟანი ხშირად აკითხავდა ევას ქალაქში და რამდენიმე დღით რჩებოდა ხოლმე.

7

ერთხელ დედა დაჟინებით ჩაეკითხა ევას: ვისთან ათევს მამაშენი ღამეს, როცა ქალაქში ჩამოდისო? ევამ გულუბრყვილოდ უპასუხა: ბიცოლა თეოსთანო. დედამ საშინლად შეჰკივლა:

— ის უნამუსო, ისა! კიდევ არ შორდება იმ კახპას? აკი მეუბნებოდა, თეოს თვალითაც კი არ ვნახულობ და ევას სასწავლებელში ვაკითხავ ხოლმეო!

ევა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, სირცხვილით დაიწვა, მაშინვე მოშორდა დედას და მთელი საათი გულამოსკვნილი ტიროდა.

ყოველივე ეს მოაგონდა ევას: მოაგონდა თოფისწამლის კვამლში გახვეული ბაბუა, მამა, რომელიც ასე უსირცხვილოდ ატყუებდა დედას... მოაგონდა კიდევ სხვა რალაცეებიც, რომლებმაც ახალგაზრდობა მოუწამლეს. წელში გაიჭრელა, ხელი ჩაიქნია და წყნარად ჩაილაპარაკა:

— რა ღმერთი გამიწყრა, აქ რომ ჩამოვედი! განა არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა?

ოთახიდან გამოვიდა და სამზარეულოს მიაშურა, იქ ბავშვობიდანვე გულის გადაყოლება იცოდა მოლაზღანდარე მოსამსახურეთა შორის.

ივნისის შუა რიცხვები იყო, საკმაოდ თბილოდა: მზე კიდევ არ ჩასულიყო. ევამ სამზარეულოს აივანზეც კი ვერ მოასწრო შესვლა, რომ ჭიშკრიდან მამის ხმა შემოესმა.

— ატესტატი თუ კაი მოიტანე, თვარა ისე არ მომეკარო! — სიცილით დაუძახა მამამ და ხელგაშლილი შემოეგება.

— მშვენიერი ატესტატი მაქვს, მამა, მშვენიერი, — მიაძახა ევამ და კისერზე ჩამოეკიდა ბეჟანს.

— შვილო, უცხო კაცი მახლავს, ხელი ჩამოართვი, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ბეჟანმა ევას, რომელმაც მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მამას, მართლაც, უცნობი ახლდა.

— ჩვენი ნათესავია, შვილო, სტუდენტია, სტუმრად მოვიდა ჩვენსა.

— შალვა ღრუბელიანი, — ჩაილაპარაკა სტუმარმა და ხელი გაუწოდა. ერთმანეთისათვის თითქმის არც შეუხედავთ. ევას ამ დროს, მამის გარდა, სხვა არავინ აინტერესებდა. თანაც გულში გაიფიქრა: ასეთი გვარის ნათესავი ჩვენ არასოდეს გვყოლია... მაგრამ ეს ხომ მამაჩემის ჩვეულებაა: თუ ვინმემ ჩვენსა ფეხი შემოადგა, ყველას ნათესავს ეძახისო.

— დედა შინ დაგხვდა, შვილო? — ჰკითხა ბეჟანმა.

— არა, მამა, დეიდასთან წასულა და მითხრეს, მალე მოვაო.

— აბა, შენ მოუმხიე, შვილო სტუმარს... ახლა წლოვანი ქალი ხარ, გიმნაზია დაგისრულებია, დიასახლისობაც უნდა ისწავლო, წიგნი მარტო არ გეყოფა...

— კი, მამილო, კი!..

— აქეთ მობრძანდით, ყმაწვილო, — ეუბნებოდა ბეჟანი სტუმარს, — ისეთი ბინა მოგიჩინოთ, ეშმაკმაც კი ვერ მოგნახოთ! არავინ თქვენი ხელის შემშლელი არ იქნება, რაც გინდოდეთ, ის აკეთეთ, ვერავინ აქ ვერ გნახავთ, ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ... საჭმელი, სასმელი, ყველაფერი ჩემს კისერზე იყოს. ისეთი ღვინო მაქვს, ისეთი... რომ...

— გმადლობთ, ბატონო, ნუ შეწუხდებით, — ეუბნებოდა სტუმარი, რომელიც ერთობ უხერხულად გრძნობდა თავს თავადიშვილის ოჯახში, სადაც, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო თავისებური, არისტოკრატიული წესები: თავადური მოწყობილობა, თავადური ზნე-ჩვეულება, სიტყვა-პასუხი.

ყოველივე ეს კი მისთვის, როგორც გლეხისათვის, ძნელად შესათვისებელი და მისაჩვევი იქნებოდა.

— თუ თქვენ მოისურვებთ, სადილ-ვახშამსაც აქ მოვართმევთ, — ეუბნებოდა ბეჟანი.

მორცხვი სტუმრის ისედაც უხერხული მდგომარეობა ერთიათად ორკეცდებოდა, როცა ცნობილი თავადიშვილი — „თქვენობით“ მიმართავდა.

„ჩემმა მშობლებმა რომ ეს ნახონ, „რა შვილი გაგვიზრდიაო“ — იტყვიან და სიხარულით ზეცას ეწევიან... შეხე, თავადი მემსახურება!“ — ფიქრობდა შალვა.

— არა, ბატონო ბეჟან, მაგრე ნუ შეწუხდებით, — ბოდიშობდა დარცხვენილი სტუმარი.

— ოო, როგორ გეკადრებათ, შეწუხება რას მიქვიან.

თავადმა შალვას საუცხოო ოთახი მიუჩინა: სრული, მშვენივრად განათებული, ხალიჩებით მორთული. ოთახი აივანზე გადიოდა, აივნის სვეტები ვენახის ბარდით და ყვავილებით იყო შეფოთლილი, გეორგინის ყლორტების ბადე ერთგულად ჩაწნულიყო რიკულებში... სახლი მაღლობზე იდგა, ასე რომ აივნიდან მაყურებელ თვალს მომხიბლავი სურათი ეშლებოდა: დაფენილი ველები, თაიგულივით შემკული სერები, რომელთა ბორცვიანი გრეხილი ცის ლაჟვარდოვან კიდურში ინთქებოდა.

ეს აივანი უსაყვარლესი ადგილი იყო ევასათვის, მშობლიურ კარ-მიდამოს თუ ოდესმე სიყვარულით მოიგონებდა,

უპირველეს ყოვლისა, ამ აივანს გაიხსენებდა. განსაკუთრებით მომჯადოებელი იყო იქაურობა მთვარიან ღამეში.

მრავალი ღამე გაუტარებია აქ ევას ოცნებასა და წიგნის კითხვაში.

შალვასაც ძალიან მოეწონა აქაურობა.

— დაღლილი იქნებით, ბატონო შალვა, ცოტა მოისვენეთ, ნუ მომერიდებით, — უთხრა შალვას ბეჟანმა და კარში გავიდა.

შალვასათვის მართლაც საჭირო იყო მოსვენება: ხუთი თუ ექვსი ვერსი გზა სადგურიდან ფეხით გამოიარა, თანაც მოზრდილი ფუთა მოჰქონდა. ცოტა გაიარ-გამოიარა, იქაურობა მიათვალიერა და წამოწოლა დააპირა. მაგრამ ამ დროს თავისი ფუთა დაინახა და კუნჭულში მიმალა: „რა გამოსაჩენია ასეთ ძვირფას მორთულობაში ეს ღარიბული ბარგი-ბარხანა. ჩემი წითელი ჩითის საბანი რომ აქ გავშალო, პირდაპირ სირცხვილს ვჭამო“, — ფიქრობდა და ცდილობდა ფუთა ისე დაემალა, რომ არავის დაენახა.

შალვა მორიდებით წამოწვა საწოლზე. ერთობ ფრთხილობდა, უნდოდა ისე მოთავსებულიყო, რომ თავადის სახლში შეუფერებელი რაიმე არ ჩაედინა.

ფიქრში წასული შალვა ოცნებობდა იმ საქმეზე, რომლის გულისთვისაც აქ მოვიდა და რომელზედაც ფიქრი და ზრუნვა მთელ მის სიცოცხლეს შეადგენდა.

როგორი იქნება მისი პირველი ნაბიჯი, ვის დაიახლოებს, საიდან დაიწყებს ლაპარაკს, ვისთან, ვის სახლში?

ყოველივე ეს დიდად აინტერესებდა და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც თავის საყვარელ საქმეს შეუდგებოდა.

— ამაზე მეტი უსინდისობა იქნება? — დაასკვნა ბოლოს. — მე უნდა შევაკავშირო და ავამოძრაო ღარიბი გლეხობა იმ მემამულის საწინააღმდეგოდ, რომელმაც ბინა მომცა და რომელიც დაუსრულებელ მფარველობას მპირდება?

ისინი, მართლაც, ერთმანეთის მტრები იყვნენ, მაგრამ მტრობას ჯერ აშკარად თავი არ ეჩინა.

— ღმერთო კი მომკალი! ჩვენში ვინმე პოლიციის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებს და იმას არ დავეხმარები? — კვეხ-

ნით ამბობდა ბეჟანი. — ჩემს დღეში მეფის მთავრობას ვებრძოდი! ვინ იცის, რამდენი პრისტავი მე გამიპანღურებია, რამდენი მაზრის უფროსისათვის კბილები ამიკანკალებია და ახლა ისე წახდება ბეჟან ვეფხიაშვილი, რომ ახალი თაობის ხალხი, საქართველოს შვილები ვერ შეინახოს და თავის სახლში ბინა ვერ მისცეს?

ბეჟანს ხანდახან სხვა გრძნობაც ამოძრავებდა: გაეგონა, რომ ახალი მოთავენი, ანუ „სოციალისტები“ გლეხებს აჯანყებენო, თავადებს სახლ-კარს უწვავენ და მოსამსახურეებს ართმევენო. ჰოდა, როცა ჩემთან ნაპურმარილევი იქნებიან, ცუდ რამეს როგორ მკადრებენ, პირიქით, გლეხებისაგან დამიფარავენ და უვნებლად დავრჩები ჩემს სახლ-კარშიო.

9

სასადილო ოთახში მარტო თავადი ბეჟანი, შალვა და ევა ვახშმობდნენ.

ლამბაქებზე დალაგებული ნესვისა და საზამთროს ნაჭრები, ქარვასავით მოკაშკაშე ყურძენი, ბუსუსიანი ატმები ისე მოჩანდნენ სურათებიდან, როგორც სინამდვილეში. საგანგებოდ გაკეთებულ ძვირფას თაროებზე ჩამოლაგებული იყო ყანწები, აზარფეშები, კულები და თასები...

შალვას მთელი ეს მორთულობა ლოდივით აწვა გულზე და თავს ხელფეხშეკრულად გრძნობდა. ათასწილად უკეთ იგრძნობდა თავს, რომ მის გარშემო სრული უბრალოება ყოფილიყო: სადა, სუფრაგადაუფარებელი მაგიდა, უბრალო კედლები და იაფფასიანი თეფშები.

პირველი შეხვედრის დროს ევას ყურადღებაც კი არ მიუქცევია შალვასათვის, ახლა კი, როცა კარგად დააკვირდა, ერთობ მოეწონა.

მაღალი, შავგვრემანი ყმაწვილი, ჭკვიანი თვალები, გაშლილი შუბლი, შავი თმა, ნაზი ხმა, დარცხვენილი გამოხედვა, თავშეკავებული და სიწრფელით აღსავსე მოძრაობა, — ყოველივე ეს მიმზიდველ ადამიანად ხდიდა სტუმარს. ევამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შალვას ხელებს და როცა

თავისას შეადარა, ერთობ დიდი განსხვავება აღმოაჩინა: ევას ხელები შალვას ხელებთან შედარებით ულამაზო იყო. ეს დასკვნა არც ისე სასიამოვნო იყო ახალგაზრდა ქალისათვის და ამიტომაც ცდილობდა ხელები დაემალა როგორმე.

ევას მოეწონა შალვა, მაგრამ შალვა ყურადღებას არ აქცევდა მას.

მერე ულამაზო მაინც იყოს ევა! აკი ახლა დაასრულა გიმნაზია! მაშ, რად არ აქცევს შალვა ყურადღებას? აკი ისიც ახალგაზრდაა, სტუდენტია და გაგონილა, რომ სტუდენტი ყურადღებას არ აქცევდეს გიმნაზიადასრულებულ ქალს?!

ბეჟანს დარდიმანდულად ეჭირა თავი: სტუმარს ეპატიჟებოდა ბევრი ესვა, ბევრი ეჭამა და ემხიარულა. მასპინძელი ერთობ განაწყენდა, როცა შალვამ პირდაპირ განუცხადა: ღვინოს არ გეახლებითო.

— არა, ქებით არ გეტყვით, ბატონო შალვა, და ჩემისთანა სათნო მემამულე ჩვენს მხარეზე მეორე არ მოიძებნება, — ამბობდა ბეჟანი ვახშმობის დროს, — ერთი გლეხი მაინც თუ ჩემი მომდურავი იქნება, საციმბიროდ მოვაწერ ხელს! სიმართლის მოყვარული კაცი ვარ, ყოველთვის პატიოსნად ვიქცევი... და გლეხი კაცი, რაც უნდა შეუგნებელი და გაუნათლებელი იყოს, პატიოსან კაცს მაინც შეამჩნევს და დააფასებს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — ემოწმებოდა შალვა.

— დიახ, ბატონო, დიახ. მართალია გლეხკაცი ყველა ერთი არაა, ნასწავლსა და უსწავლელს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ მაინც... ასე ითქმება ხოლმე, — განაგრძობდა ბეჟანი, რომელსაც ლაპარაკის დროს მოაგონდა, რომ შალვა გლეხი იყო და ვაითუ ეწყინოსო, იფიქრა და ამიტომ შეეცადა ნათქვამის გადასხვაფერებას.

— ჰო, იმას მოგახსენებდით: ვერავის ჩემს მომდურავს ჩვენს სოფელში ვერ ნახავთ-მეთქი, და ეს იმ დროს, როცა ღვთის მოცემული მიწა-წყალი ბლომად მომეპოვება: სახნავი, სათესი, საბალახო, ტყე. თითქმის მთელი სოფელი ჩემს ადგილ-მამულში ირჩენს თავს... დიახ!

ევას ბევრი რამ არ ეჭაშნიკა მამის ნალაპარაკევიდან — ულმერთოდ სტყუისო, — გაიფიქრა.

— მერე, რა მოწყობილი მამული მაქვს, რა მორთული!

— მეც გამიგონია თქვენი მამულის ქება, — თქვა შალვამ, — როცა ამხანაგებმა აქეთკენ გამომისტუმრეს, ასე მითხრეს: ისეთ ადგილას მიდიხარ, რომ იქაურობა სამუდამოდ დაგამახსოვრდებაო.

— ვინ გითხრა, თუ კაცი ხარ, მითხარი? — შეეკითხა ბეჟანი, ძალიან ეამა, რომ მამული უქეს.

— საშამ მითხრა, ბატონო, საშამ... აი, ჩვენ რომ...

— ოოო, ეიცი, ეიცი! მან, რასაკვირველია, იცის; რამდენჯერ უქეიფია აქ მამამისს! თვითონაც რამდენჯერ ყოფილა! დიახ, დიახ... დიდი განათლება შემოვიტანე ჩვენს სოფელში: რა ნერგები გინდა, რომ მე არ მქონდეს? ისიც უნდა გითხრა, რომ ჩვენი სოფლის გლეხობა სხვა გლეხებივით შეუგნებელი როდია! თქვენც არ მომიკვდეთ! აი, თვითონ თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა გლეხი ჩვენში — კაცი თუ ქალი, დიდად პატიოსანი, შეგნებული და განათლებულია. ეს იმიტომ, რომ... ქებით ნუ ჩამომართმევთ და ჩვენ გვბაძავენ, ჩვენ — თავადიშვილებს. ჩვენგან იძენენ განათლებას, ზრდილობას, პატიოსნებას... ხე... ხე... ხე... დიახ, ბატონო შალვა, დიახ...

ევა დააინტერესა სტუმრის ვინაობამ და როცა ვახშამი გაათავეს, მამას ჰკითხა:

— მამა, ვინ არის ეს ყმაწვილი და რისთვის მოვიდა ჩვენსა?

ბეჟანმა მხოლოდ ეს უთხრა: შენი საქმე არ არის და მეორედ არ მკითხო.

10

მეორე დღეს ბეჟანი, დიდი ბოდიშების შემდეგ, სადღაც წავიდა. შალვა მარტო დარჩა, ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

ევამ შეატყო, რომ სტუმარი შორს იჭერდა თავს და თვითონაც მორიდებულად იქცეოდა, თუმცა ძალიან კი აინტერესებდა მისი ახლო გაცნობა.

შალვა წიგნს კითხულობდა და თითქმის მთელი დღე შინ იჯდა. ხშირად კითხვას თავს მიანებებდა და რაღაცაზე ოცნებობდა.

„ვიღაც არის, ან ერთიანად დაუმონებია თავის საქმეს, ანდა ერთობ გაუთლელი ვინმე უნდა იყოს“, — ფიქრობდა ევა.

— ნეტავი რა საქმე უნდა ჰქონდეს? აშკარად ეტყობა, რომ რაღაც უჩვეულო საქმის გამოა ჩამოსული! ეს ნათესაობა რო მოჩმახა მამაჩემმა — ესეც რაღაც მოსაზრებით უნდა იყოს ნათქვამი.

საღამოზე ბეჟანთან ერთი კაცი მოვიდა და ევას უთხრა, თქვენი სტუმრის ნახვა მინდაო.

ევას გაუკვირდა ამ კაცის ასე თამამად მოსვლა; იცნო მათი სოფლის გლეხი, მაგრამ ასეთი სითამამე მისი მხრივ რაღაც უჩვეულო იყო. როცა ევამ ჰკითხა, საიდან იცნობ ჩვენ სტუმარსო, გლეხმა მიუგო — მამათქვენისაგან ვიცნობ და თან რაღაც იდუმალი გამომეტყველებით გაიცინა.

შალვა ამ გლეხს დიდი ხალისით შეხვდა, შორიდან შესცინეს ერთმანეთს და ისე შეხვდნენ, როგორც ახლო მეგობრები.

ევას გაუკვირდა შალვასგან ასეთი გამოცოცხლება. „მერე, როგორ შვენის სიცილი“. — გაიფიქრა ქალიშვილმა.

შალვა გამხიარულდა, გამოცოცხლდა.

რა უნდა ამ გლეხს, რისთვის მოვიდა ნეტავი?

მოსამსახურენიც ძალიან დაინტერესდნენ: რისთვის მოვიდა ამ ნასწავლ და განათლებულ სტუმართან იაგორა ნალბანდის შვილი ნესტორი, რომელიც კარგა ხანია ბათუმიდან ჩამოვიდა და მთელ სოფელს მოჰფინა იქაური ამბებიო. ეს ნესტორა ოთხი-ხუთი წელიწადი იყო იქ, ნავთობის ქარხანაში მუშაობდა.

— იცი, ბიჭო, — ჩუმად უთხრა ერთმა მოსამსახურემ მეორეს, — სოფელში ამბობენ, იაგორას ნესტორა სოციალისტიაო, ბათუმში რო იყო, სოციალისტობა უსწავლია.

— რა უნდა იყოს, კაცო, ეს ცოციალისტობა? ცეკვას ხომ არ ჰქვია? ცოციალი ცეკვაში იციან.

— რა ეიცი, დალახვროს ღმერთმა! მაგ კი არა, ამბობენ, ხელმწიფე და ღმერთი აღარ სწამთ და ამიტომ ქვიათ სოციალისტებიო, — უთხრა მეორემ.

— აი, კაცი ისა ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა!

— არც ღმერთი, არც ხელმწიფე! აბა, ვინ ვიწამოთ? — იაგორას ბიჭი ნესტორა? კაი ამბავია, შენმა მზემ!

ევა ერთობ დააინტერესა ნესტორას ამბავმა — ბათუმში ნამყოფია და სოციალისტიაო. ევას უცებ რაღაც სასიამოვნო გრძნობამ გაუელვა და პირზე ღიმილი შეეფინა.

„ვინ იცის, ეგების ეს ყმაწვილი ახალი თაობის კაცია, — გაიფიქრა მან აღტაცებით, — სწორედ ასე იქნება! მაშ, რად უპირავს ასე თავი?!"

ნესტორა დიდხანს დარჩა შალვასთან, ამასობაში შუადღემაც მოატანა.

ევა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალყურს და გული სიამით ევსებოდა. „სწორედ! პროპაგანდისტია, — ფიქრობდა იგი და უკვირდა, — როგორ მოხდა, რომ იგი მამაჩემმა მოიპატიჟა?!"

ევას საკმაო წარმოდგენა ჰქონდა ახლად დაწყებულ სახალხო მოძრაობაზე. მართალია, ბევრი რამ მისთვის ბნელით იყო მოცული, მაგრამ ის მაინც კარგად იცოდა, რომ სოციალისტები, უპირველეს ყოვლისა, სოფლად გლეხებს აკავშირებდნენ თავადების საწინააღმდეგოდ.

და აი, უცებ მას თვალწინ დაუდგა ერთგვარი შეუსაბამობა, თუმც გაღარიბებული, მაგრამ მაინც საკმაოდ მდიდარი თავადი მამამისი — ბეჟანი — მფარველობას უწევს და თავის სოფელში მიუძღვის ისეთ პირს, რომლის მოღვაწეობა კიდევ უფრო გააუარესებს ბეჟანის მდგომარეობას.

ან ეგების ბეჟანიც ახალ თაობას თანაუგრძნობს, იცის, რომ სიმართლე იმათ მხარესაა და მზად არის ხელი აიღოს ყოველივე იმაზე, რაც მას უკანონოდ და უსამართლოდ ეკუთვნის? თუ ასეა, ევა ბედნიერი ქალია, ასეთი კეთილი მამა რომ ჰყოლია. ევას ერთგვარი სიამაყის გრძნობამაც კი დაურბინა ტანში.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენში პირველად ამოაშუქეს განმათავისუფლებელი მოძრაობის სხივებმა, საუკუნეთა განმავლობაში ქედმოხრილმა მშრომელმა ხალხმა ამოისუნთქა და იმედის უსაზღვრო ზღვა ატივტივდა მის თვალწინ.

ყველაზე ადრე მოსწავლე ახალგაზრდობა მიეგება ქვეყნის განმაახლებელ სიოს და უნივერსიტეტიდან მოკიდებული

პროვინციების უკანასკნელ გიმნაზია-სემინარიებამდე ათრთოლებული გულით გადაეშვა ახალი ცხოვრების ტალღებში.

ევას საპატიო ადგილი ეჭირა გიმნაზიის აბობოქრებულ შეგირდებს შორის. იგი გრძნობდა, რომ „ერთობა“ ხალხისათვის ბედნიერებას მოასწავებდა: თუ რაში უნდა გამოხატულიყო ეს ბედნიერება, გარკვეულად არ იცოდა, ვერც დალაგებულ მსჯელობას გამართავდა ამის შესახებ, მაგრამ სხვები მხიარულობდნენ და მასაც უნდა ემხიარულა... საერთო აღფრთოვანებას როგორ გამოეთიშებოდა!

11

მეორე დღეც წინანდელსავით გაატარა შალვამ. საღამოზე კი, კარგა შეღამების შემდეგ, საჭირო საიდუმლოების დაცვით, სადღაც გაჰყვა ხელახლა მოსულ ნესტორას და შუაღამემდის შინ არ დაბრუნებულა. ამ გარემოებამ სრულიად დაარწმუნა ევა, რომ შალვა გლეხებში „საქადაგოდ“ იყო ჩამოსული.

ევა გულის ფანცქალით დადიოდა იმ კრებებზე, რომელთაც საიდუმლოდ აწყობდნენ მოწინავე შეგირდები. ასეთ კრებებზე თითქმის ყოველთვის ესწრებოდა თითო-ოროლა გარეშე პირი: მათი ვინაობა არც ისე ადვილად გასამჟღავნებელი იყო. მათი პიროვნება ერთმა ან ორმა შეგირდმა იცოდა, ხოლო დანარჩენი მოსწავლენი მარტო გადარქმეულ სახელებით იცნობდნენ მათ. ერთს ვანოს ეძახდნენ, მეორეს ანდრიას. ვანო შესანიშნავი მოლაპარაკე იყო, მოწაფე ქალების სიტყვით, მას „პირდაპირ ოქრო მოცვივოდა პირიდან“. ანდრიაც გატაცებით უხსნიდა შეგირდებს სხვადასხვა საკითხებს, ის ისე გულწრფელი და თავდავიწყებული იყო, რომ მოსწავლენი ერთიანად იხიბლებოდნენ და არც ერთი მისი სიტყვა არ იკარგებოდა.

კრებები საიდუმლოდ იმართებოდა ხან ერთ ბინაზე და ხან მეორეზე. შეგირდები შეხაროდნენ იმ დღეს, როცა წრეში მეცადინეობა ჰქონდათ.

ევას ძალზე აინტერესებდა ეს კრებები. რაღაც ახალს, ამამაღლებელსა და განმაახლებელს გრძნობდა ამ საიდუმლო მეცადინეობაზე.

გიმნაზიის გულგამოფიტულ მასწავლებელთა გარდა არიან თურმე ისეთნიც, რომელთაც მთელი არსებით სწამთ, რასაც ლაპარაკობენ, სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი ყოველივე, რასაც სხვას ასწავლიან და ყოველ წუთს იმაზე ოცნებობენ, რომ სათაყვანო იდეა სხვასაც შთაუნერგონ და შეასისხლხორცონ.

რამდენი რწმენა, რამდენი აღტაცება იყო ჩაქსოვილი ამ ახალ მასწავლებელთა სულსა და გულში!

როცა ევა თავის სახაზინო მასწავლებლებს ვანოსა და ანდრიას შეადარებდა, ერთის მხრივ თვალწინ დაუდგებოდა კოხტად მორთული, გადავარცხნილ-გასპეტაკებული, ფოლაქებბრეყვიალა და სერთუკებში გამოწკეპილი ადამიანები, რომელთა მთელი ყურადღება გარეგან მორთულობაზე წასულიყო, ხოლო გული კი ერთიანად გაციებოდათ და გამოფიტოდათ.

მეორე მხარეზე ევას გონების თვალს ეხატებოდნენ შავბლუზიანი, ღარიბულად ჩაცმული, თმაწამოზრდილი ახალგაზრდები, რომელთა სულში შეუჩერებლად სცემდა სიცოცხლე და დაუშრეტელი ნაკადული.

ერთი მხრივ უსულგულობა, ძალდატანებითი მუშაობა და სიცივე, ხოლო მეორე მხრივ სიცოცხლის ფეთქვა და ამაყვავებელი სითბო.

ამ წრეებში მეცადინეობის სიომ განმაახლებელ ნიავად დაჰბერა მოწაფეებს და ბევრი მათგანის გულში გააღვივა ჯერ გაუფურჩქნელი ადამიანური გრძნობები... შეუმჩნეველად გაცხოველდა მათ შორის ამხანაგური გრძნობები, ერთმანეთის გატანა და პატივისცემა, ძმური და მეგობრული დამოკიდებულება, გაცხოველდა გონებრივი მუშაობა.

— რა კარგი საგანი ყოფილა პოლიტიკური ეკონომია!

— ვინ არიან ბელტოვი და მიხაილოვსკი?

— რა შინაარსისაა ევდოშვილის ლექსი!

— რა კარგი წერილია „კვალში“ დაბეჭდილი!

— სად მომხდარა ტერორისტული აქტი?

— მე ამდენი წიგნი წავიკითხე!

— მე კი ამდენი!

ხშირი იყო ასეთი ლაპარაკი.

როცა ევამ გიმნაზია დაასრულა და სოფელში წამოვიდა, საშინელი გულისტკივილი იგრძნო.

მას უთხრეს, ახლა სოფელშიაც ბევრგან ხდება ასეთი კრებებიო, მაგრამ, აბა, ჩვენ სოფლამდის როდის მიაღწევსო — ფიქრობდა წყენით.

მოდი, მე დავიწყებ ქადაგებასო, — ხანდახან გაუელვებდა მას, მაგრამ ეს ფიქრი მიუწვდომლად ეჩვენებოდა, ამდენი გამბედაობა არ ჰქონდა.

და აი, დღეს ხედავს, რომ მის სახლში დაბინავდა ვანოსა და ანდრიასებური კაცი. იგი აქ, ნამდვილ მშრომელ ხალხში, დაიწყებს იმ თესლის თესვას, რომელმაც უნდა გამოიღოს მთელი ქვეყნიერების განმაახლებელი ნაყოფი.

ამიტომ იყო, რომ ევას გული აუტოკდა და შალვას პიროვნებამაც ერთიანად დააინტერესა იგი. ახლა მიხვდა ევა, რატომ არ აქცევდა შალვა მას ყურადღებას.

12

შალვაზე წმიდა ადამიანი, მასზე სათაყვანო და სადიდებელი პიროვნება ამჟამად ევასთვის არ არსებობდა:

სიმართლისათვის მებრძოლი.

ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლე.

დიად აზრთა და გრძნობათა წყარო....

მეორე დღეს ევა მთვრალივით დადიოდა... ხან გარინდებული იყო, ხან იცინოდა, მხიარულობდა, დარბოდა... ხანაც თვალებს მინაბავდა, ჩაჩუმდებოდა და რაღაცაზე საამურად ოცნებობდა... ოცნებობდა ტკბილად, ქალიშვილური გატაცებით, წმინდა გრძნობით.

მთელი დღის განმავლობაში შალვა რამდენჯერმე გამოვიდა აივანზე. ეს ევას არ გამოპარვია და ყოველთვის აღტაცების ცეცხლით აუპილპილდებოდა ხოლმე ლოყები. მაშინვე მიჩუმდებოდა, ლაპარაკს უკლებდა და სიცილს შეაჩერებდა — უსაქმო, ფუქსავატ ადამიანად არ ჩამთვალოსო, ის ხომ „იდეური კაცია“ და ადამიანის სიმჩატეს ვერ მოითმენსო.

ევას გამხიარულება ყველას თვალში მოხვდა, ასე აღტაცებული კარგა ხანია არავის უნახავს.

— ეს ახალგაზრდული სისხლის ჩუხჩუხია, — თქვა ბაბუამ

და ღრეჭით გაიხედა იმ ოთახისაკენ, სადაც შალვა ცხოვრობდა.

ევამ შეამჩნია ეს ღიმილი და შეურაცხყოფა იგრძნო. უნდოდა რაიმე სასაუვედურო ეთქვა ბაბუასათვის, მაგრამ თავი შეიკავა. ბაბუა დავითს ვეებერთელა ყალიონი ეჭირა ხელში, ზარმაცად ლოკავდა მის ტარს და თან დროგამოშვებით გრძელ ულვაშს ისწორებდა.

— ყოველგვარი წმიდა გრძნობა აქ ყოველთვის შებღალული იყო! — უთხრა გულნატკენმა ევამ ბაბუას და ბაღისაკენ წავიდა.

თავად ბეჟანის კარ-მიდამო, რომელიც მაღალი და თითქმის გარდუვალი წალამიანი მესრით იყო შემოფარგლული, საკმაოდ დიდ ადგილს მოიცავდა: მშვენიერი ხეხილის ბაღი, ვეებერთელა ზვარი, რამდენიმე ქცევა საყანე მიწა, კარგა ძალი ტყე, საძოვარი მინდორი...

ევას მარტო ამ ადგილმამულისათვის უყვარდა მამის სახლკარი და ახლაც სიამოვნებით მიაშურა თავის საყვარელ კარმიდამოს. კარგა ხანს იხეტიალა ბაღნარში, ბევრიც იღუღუნა და იოცნება.

ერთ ადგილას ვერ გაჩერებულიყო, მთელი ტანი უთრთოდა, სიხარულით სული ეგუბებოდა. ყოველ წუთს შალვა ელანდებოდა. ბაბუას შენიშვნაც ყურებში უწიოდა.

„ახ, ნეტავი მართლაც!..“

ევას უნდოდა ეს ფიქრი ბოლომდე განევითარებინა, მაგრამ შერცხვა, იდეური ადამიანის შესახებ ასე როგორ ვიფიქროო. ჩიტივით მიფრთხიალებდა ბაღის ერთი კუთხიდან მეორისაკენ, ხეხილს ათვალიერებდა, ვენახებში დარბოდა და უცებ... ნახევრად წაქცეულ კარავთან აღმოჩნდა.

აქ სამი წლის უკან ასე ხეტიალის დროს საშინელ სურათს შეესწრო: მიუახლოვდა თუ არა კარავს, დაინახა, რომ ბიძამისი საჩქაროდ გამოვიდა იქიდან და ვენახებში შეიმალა. ბიძიაო, უნდოდა დაეძახა ევას, მაგრამ ამ დროს კარავში დაინახა თავისი დედა, რომელიც ტანისამოსს ისწორებდა და გაწითლებული იყო...

ევა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მაშინვე თოფნაკრავივით გაშორდა იქაურობას. მას აქეთ იმ ადგილს სიახლოვესაც არ მიკარებია...

ნეტავი მიწა გახეთქოდა და ეს ადგილი არ ენახა!

საშინელი წარსული!

აკი, ამ კარავმა იყო, რომ მოწამლა მთელი მისი ახალგაზრდობა, შეაძულა სიცოცხლე, დედა, მამა და სადღაც გადაკარგვაც კი აფიქრებინა.

ნუთუ ასე შეუბრალებელია ბედი, რომ აგრე ულმობლად სდევნის ევას და ნებას არ აძლევს ინეტაროს, დაივიწყოს საშინელი წარსული.

ტკბილი აწმყო ერთნაირად დაავიწყა ამ მოგონებამ: ერთხელ კიდევ ზიზღით მოაგონდა დედაც, ბიძიაც, მამაც, ბაბუაც, მთელი სახლობა და ცრემლმორეულმა სასოწარკვეთით დაუწყო ცქერა მზის ჩასვლას.

მოშორებით, მაღლობზე მოსახლეობა გამოჩნდა. ქოხმახები, ეზოები, ბუხრისთავები, ზვინები.

აი აქ, იმ ადგილას, გლეხებში, წუხელის შალვა ღრუბელიანი ახალ აზრებს ქადაგებდა.

ევამ იცის, რა ნაყოფსაც გამოიღებს ეს თესლი. რამდენ იმედს, რამდენ აღტაცებას და აღფრთოვანებას გამოიწვევს იგი. იცის, რომ ამ ქადაგების გამოგონების დროს ყოველივე წმიდა ძალუმად აფეთქდებოდა გლეხების სულსა და გულში. სიამოვნებით ათრთოლდებოდა ობოლი გული და ბრწყინვალე ბომაელის თვალწინ დასახვა განუზომელ აღმაფრენას მოჰგვრიდა მათ.

ბედნიერი ადგილი, ბედნიერი ყურე!

აქ კი...

— უბედურო ჩემო ბედო, სად გავიზარდე? ვისი შვილი ვარ? ვინ მაწოვა ძუძუ, ვინ ჩამიდგა პირში სული? ვისი სისხლი და ხორცი ვარ? წყეულიმც იყავ, აქაურობავ!

— იქ, იქ იფურჩქნება განახლების კოკორი!.. იქ ცემს ახალი ცხოვრების ტალღა! იქ, იმ ისლით დახურულ ქოხებში იწყება ჯერ უნახავი, ჯერ განუცდელი ცხოვრება! იქ გაისმა თავისუფლების პირველი ხმა!

13

ზაქარია ილაშვილის სახლს ოცზე მეტი სტუმარი ეწვია.

შავ კედელთან მიდგმულ გრძელ მაგიდაზე კარგა მოზრ-

დილი ჭრაქი ლაპლაპებდა, მისი ალი მჭვარტლს ათამაშებდა ჰაერში.

ჭრაქის გვერდით რამდენიმე ბოხოხის ქუდი ელაგა.

სტუმრები სულგანაბული ისხდნენ ჩაშავებულ ტახტზე და ვილაცას ელოდნენ. დაკვირვებული თვალი იყო საჭირო, რომ ყველა მათგანი გაერჩია: ჭრაქის სინათლე ოდნავადაც ვერ აღწევდა ჩაბნელებულ კუთხეებამდის. მხოლოდ ყალიონის „ჩხუტუნზე“ თუ მიხვდებოდი, რომ ჭრაქის ახლო მჯდომთა უკან კიდევ იყო რამდენიმე გლეხი.

საერთო სიჩუმეს ისევ ზაქარია არღვევდა.

— უკაცრავად კი ვარ... თქვენ იცით, რასაც არ დამძრახავთ, — ბოდიშობდა იგი და წამდაუწუმ კეფას იფხანდა.

— კაი, თუ ღმერთი გწამს, ჩვენ ხომ მაგისთვის არ მოვსულვართ?!

ბავშვები კარგა ხანია დააძინა დიასახლისმა. თვითონ დროგამოშვებით გამოყოფდა თავს უკანა კარიდან და ხან ერთ გლეხს აწვდიდა ყალიონისათვის მუგუზალს, ხან მეორეს.

გლეხებს დიდხანს არ უცდიათ: მალე ვილაცამ კარზე დაარახუნა, ზაქარია წამსვე მივარდა და კარი გააღო. პირველად შემოვიდა ნესტორა, რომელსაც დავალებული ჰქონდა კრების მოწყობა, ბინის მოძებნა და „მოქადაგის“ მოყვანა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — უთხრა ზაქარიამ შალვა ღრუბელიანს, რომელიც ნესტორას შემოჰყვა.

ყველა ფეხზე წამოდგა და მოწიწებით მიესალმა ახალმოსულებს.

— დაბრძანდით, ამხანაგებო, დაბრძანდით, — ღიმილით თქვა შალვამ, ყაბალახი გადაიძრო და ყველაზე ადრე თვითონ დაჯდა.

შალვა ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი, თავზე ყაბალახი ეხურა.

— სხვა, ამხანაგებო, როგორ მოგეწონათ ჩემი აზრი? თუ მოგვემატა ვინმე, ან დაგვაკლდა? — ამბობდა შალვა და თან ღიმილით აცქერდებოდა ყველას. ცდილობდა ყველასათვის ახლობელი და სანდო ყოფილიყო, დამეგობრებოდა მათ.

მისი უბრალო ლაპარაკი და ასეთივე მოპყრობა, მართლაც, კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა გლეხებზე, მაგრამ ხმა მაინც არავინ ამოიღო, ყველა დუმდა.

— ეგების გაუგებარი რაიმე ვთქვი და კიდევ ახსნაა საჭირო, ან ეგების თქვენ რომ გინდათ, იმაზე არ მილაპარაკნია!.. მითხარით ყოველივე, ამხანაგებო, ნუ მომერიდებით, მეც თქვენსავით უბრალო ადამიანი ვარ, მამაჩემიც თქვენისთანა გლეხია, მეც სწორედ ასეთ სახლში ვარ დაბადებული და გაზრდილი.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, გიცხონდა მშობელი, ღმერთმა გადღეგრძელოს, — გაისმა გლეხებში.

— თქვით, ძმებო, თუ ვაქვო რაიმე საოქმელი, — მიმართა ნესტორამ დანარჩენებს.

— მე ჩემდათავად არაფერი მაქვს საოქმელი, ყველაფერი კარგად ბრძანეთ, ყველაფერი მომწონს...

— მეც, მეც, — გაისმა ირგვლივ.

— ყველაფერი კაი ილაპარაკეთ, ბატონო, ყველაფერი მართალია... ყველაფერი ჩემი თვალით მინახავს.

— დიახ... დიახ... რასაკვირველია... მე და ჩემმა ღმერთმა, რომ კარგი იყო!

შალვა ამჩნევდა, რომ გლეხები სრულიად გულწრფელნი არ იყვნენ, მაგრამ თუ მაინც გაიძახოდნენ, ყველაფერი გავიგეთო, ეს იმიტომ, რომ არ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ აზრი.

ვერ ვიტყვი ისე, როგორც უნდა და სასაცილოდ ამიგდებენ, — ფიქრობდა თითოეული მათგანი.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა გლეხმა გაბედა და ენის ბორძიკით დაიწყო:

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ერთი რამე მინდა ვთქვა. რა ვქნა, უსწავლელი კაცი ვარ და გლახად ნუ ჩამომართმევთ.

— თქვი, ამხანაგო, თქვი, რას ქვია ცუდად ჩამორთმევა!

— ბოდიშს ვიხდი, მარა... ეგება მე არ მესმის, მარა... უსწავლელ კაცს ბევრი არ ეძრახვის... რას იზამ, შენი ჭირიმე!

ზოსიმეს — ასე ეძახდნენ ამ გლეხს — სირცხვილის გამო ენა უჩერდებოდა.

— ისა... ბატონო, — განაგრძო ზოსიმემ, — ეს მიწაო, გვიბრძანეთ, დაგირიგდებათო... ხო... ასე ბრძანეთ, ბატონო, დაგირიგდებათო... სხვას წაართმევენ და თქვენ მოგცემენო, ასე არ თქვით, ბატონო?

— დიახ, მართალი ბრძანებაა, სწორედ მასე ვთქვი, — დაეხმარა შალვა.

ზოსიმე უფრო გათამამდა.

— ახლა ესეც გვიბრძანეთ, შენი ჭირიმე, სხვას რომ წაართმევენ, ეგი სამართალი იქნება? წართმევა... წართმევაა... ეგება მე არ მესმის, ვერ გავიგე, უსწავლელი ვარ, შეუგნებელი... შეუსმენელი...

— გავიგე, გავიგე, — მიაძახა შალვამ, — ახლავე მოგახსენებთ, ეს ძალიან კარგი შეკითხვაა, ძალიან კარგი... აი, ასე უნდა მკითხოთ ყოველთვის, რასაც ვერ გაიგებთ, ამხანაგებო, ან რაშიც დაეჭვდებით.

და შალვამ კარგა ხანს ილაპარაკა, ათასნაირი მაგალითები და საბუთები მოიყვანა თავისი აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ზოსიმე მაინც ვერ დააკმაყოფილა.

— უსტავლელი კაცი ვარ და არაფერი ვიცი, მაგრამ... წართმევა მაინც... ეგება იმ კაცს ურიის ვალი აუღია და ისე შეუძენია მიწა! ეგება მე მაშინ კაკლის ჩრდილში ვგორავდი, ანდა დუქანში ვქეიფობდი... და ახლა მე... წავართვა?

საზოგადო სულიერი განწყობილება ისეთი იყო, რომ არავის არ უნდოდა რაიმეში ეჭვი შეეტანა, შალვას ნათქვამი შეურყეველ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ამიტომ შალვას განმარტება ყველამ შეუმცდარ სიმართლედ მიიღო.

სულისა და გულის დამაამებელმა სიომ დაჰბერა, წარმტაცმა ქარმა დაქროლა, ჭირ-ვარამის გამანიავებელმა გრიგალმა ამოხეთქა. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ ამ დროს ეჭვიანობით მოეწამლა თავი?

თითქმის შუაღამემდის გაგრძელდა შალვას საუბარი, ლაპარაკობდა ნელა, გარკვევით. მთელი მისი საუბარი გადაჭრელებული იყო უბრალო, ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოღებული მაგალითებით, რაც ერთობ აინტერესებდათ გლეხებს.

— კაცო, უყურებ შენ, რა უსამართლობა ყოფილა ჩვენს გარშემო და ვერ ვამჩნევდით!

— პირდაპირ თვალები აგვიხილა ამ კურთხეულის შვილმა!

— ღმერთო, შენ მოხედე საწყალ კაცს! ღმერთო, შენ უწინამძღვრე მის მაწინამძღვრებელს!

— თქვენ რომ გგონიათ, არც ისე იოლია ეს ამბავი, — ჩაილაპარაკა თავისთვის დაეჭვებულმა ზოსიმემ.

კრება ნელ-ნელა დაიშალა. შალვასთან ნესტორა და სახლის პატრონი ზაქარია დარჩა.

— თქვენც აქ ბრძანდებით, ამხანაგო? — შეეკითხა შალვა თხელ შალში გახვეულ ქალს, რომელიც ზაქარიას ცოლის ახლო იდგა.

— დიახ, მეც აქა ვარ! — უთხრა ქალმა და ღიმილით გაუწოდა ხელი.

ეს ქალი იყო ევა.

ევა კრებაზე მოიყვანა ერთმა მათმა მოსამსახურე გლეხმა — შიომ, რომელიც თურმე პირველ დღიდანვე ესწრებოდა შალვას კრებებს.

შიო სანდო, ჭკვიანი და ღვთისნიერი ადამიანი იყო და ევასაც ბავშვობიდანვე უყვარდა იგი. ამ გლეხმა მშვენივრად იცოდა თავისი ბატონების ავ-კარგი.

— ცოდვილიანი ხალხი ცხოვრობს ამ ეზო-გარემოში, ცოდვილიანი! — ხშირად უთქვამს შიოს ევას გასაგონად და თანაც ისეთი ამოუხვნეშია, თითქოს გული უნდა ამოატანოსო.

ევას არაერთხელ უკითხავს შიოსათვის, რისთვის არის აქაურობა ცოდვილიანიო, მაგრამ შიოს არასოდეს არ უთქვამს, რაში იყო საქმე.

— გაიზრდები და გაიგებო, — მხოლოდ ამას ჩაილაპარაკებდა შიო.

და ეს მართალიც იყო: ევა აშკარად დარწმუნდა, რომ მამამამისის ოჯახი, მართლაც, ცოდვილიანი იყო. ღვიძლ მამას არ ექცეოდა იგი ისეთი პატივისცემით, როგორც ამ მოსამსახურეს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ბეჟანის ოჯახში გაეტარებინა და საკუთარი თავი ისე დავიწყებოდა, რომ ცოლიც არ შეურთავს.

შიომ ადრევე გაიგო, რომ მათ სოფელში ვილაც „მოქადაგე“ ჩამოვიდა და ისიც, როგორც სანდო და პატიოსანი ადამიანი, გლეხებმა თავიდანვე დაისწრეს კრებებზე.

— ერთი ეს მითხარი, ევა, შენს გაზრდას, ერთობაო რომ იძახიან, ქალაქებშიაც არის?

ევას ეამა, ხედავ, ამ დიად მოძრაობას ჩვენს სოფლამდისაც მოუღწევიაო.

ამ საგანზე ლაპარაკი ევას და შიოს შორის ამით არ დასრულებულა: ხშირად საუბრობდნენ ევა და შიო ერთობის შესახებ.

ბოლოს, მართლაც, გამოირკვა, რომ მათ სოფელშიაც ჩამოსულიყო ვიღაც სოციალისტი და ერთობას ქადაგებდა. ევამ მაშინვე ყურები ცქვიტა.

შიოს პირველად შიში დაეტყო, არ გამცეს, ბაბუამისი ძველი თავადია და მთავრობას შეატყობინებსო.

— ნუ გეშინია, ჩემო შიო, მე არ გაგთქვამ, მე თვითონ სოციალისტი ვარ, გლეხების მომხრე...

— ვიცი, შვილო, ვიცი, შენ ღვთისნიერი ადამიანი ხარ და საწყალ ხალხს არ უღალატებ, — უთხრა შიომ და მოჰყვა მოქადაგის ქებას და დიდებას.

— რას ამბობს მაინც, მითხარი, გამაგებინე.

— ყველაფერ კარგს ამბობს, შვილო, ყველაფერს...

ბოლოს ეს საუბარი იმით დასრულდა, რომ შიომ პირდაპირ მიიყვანა ევა კრებაზე და თავისი ყურით მოასმენინა მოქადაგის აზრები.

ევას იქ მისვლა მაინცდამაინც არავის ესიამოვნა: თავადის ქალია, ღმერთი არ გაუწყრეს და არ გაგვცესო.

— კაცო, რა უნდოდა ჩვენთან დავითის შვილიშვილს?

— არა, ძმაო, ის ნასტავლი ქალია და არ გაგვცემს. პირიქით, ჩვენი მომხრეა.

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, — დაუმატა მესამემ.

გლეხებმა მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს ამ საგანზე ლაპარაკი, როცა ერთმა მათგანმა გადაჭრით განაცხადა: შიომ მითხრა, მაგისთანა ღვთისნიერი ადამიანი გლეხებშიც კი არ მოინახებაო.

შიოს ისიც ეთქვა, რომ ევა ქალაქში ერთობის სახლში ყოფილა და საწყალი ხალხის მომხრეაო.

— ღმერთმა უშველოს, თუ ასეა...

— ამბობენ, ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო.

ევა მოუთმენლად მოელოდა გათენებას.

რას იტყვის შალვა, როგორ შეხვდება ევას?

კიდევ ცივად იქნება, თუ ისე ტკბილად დაუწყებს საუბარს, როგორც წუხელ — კრების შემდეგ?

ევას შიში არ გამართლდა: შალვა აღფრთოვანებული შეხვდა მას და კარგა ხანს ეკითხებოდა, ვის წრეებში მეცადინეობდა ქალაქში, ვის იცნობდა და რომელ მიმართულებას თანაუგრძნობს.

გამოირკვა, რომ ის ვანო და ანდრია, რომელთა ხელმძღვანელობით იწრთვნებოდა ევა, შალვას თანამოაზრენი ყოფილან.

ამ გარემოებამ ძალზე გაახარა ევა. წუხელ მათ შორის გადებული თანაგრძნობის ხიდი დღეს ერთიორად გამაგრდა და მეგობრობასაც საფუძველი ჩაეყარა.

ევას აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა, მასავით ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზე: „ახლა კი მიეცა ჩემს სიცოცხლეს აზრი და მიზანიც", — ამბობდა გულში და გადაწყვიტა კიდეც, რომ თვითონაც დადგომოდა იმ გზას, რომლითაც შალვა მიდიოდა.

ევა ერთიანად გაიტაცა ხალხის სამსახურზე ფიქრმა.

ასეთი ძალით ევა ჯერ არც ერთ აზრს არ გაუტაცნია. მართალია, ქალაქში მან უკვე იგრძნო განმაახლებელი მოვლენის ძალა, მაგრამ მაშინ, როგორც ახლა რწმუნდება, ნამდვილი აზრი და შინაარსი ვერ ჩააგონეს.

ოო, აქაური კრებები განუზომელი მნიშვნელობისაა!

იქ, ქალაქში, წრეებში მეცადინეობას თეორიული ლეჩაქი ფარავდა, სამოწაფო ხასიათი ჰქონდა და უბრალო ლაპარაკით განისაზღვრებოდა.

აქ კი, პირდაპირ საქმე პრაქტიკულად კეთდებოდა.

იქ, ქალაქში, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა შესახებ შორიდან ლაპარაკობდნენ... აქ კი, სოფელში, ისენი ყოველდღიური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებული ევასთან.

— ამათ უნდა განაახლონ ჩვენი ცხოვრება, ამათ! — აღტაცებით ამბობდა იგი. — მეც ამ ხალხის სასამსახუროდ უნდა გადავდო თავი. მას უნდა დავედო მტლად, მას უნდა ვენა-

ცვალო. შალვა მასწავლის, რაც საჭიროა, მას ამოვუდგები გვერდში.

შალვა ერთობ ნასიამოვნები იყო, რომ ასეთ მივარდნილ კუთხეში აღმოაჩინა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მისთვის მრავალგვარი დახმარების აღმოჩენა.

ევა რომ გამოიცვალა, გახალისდა და გარდაიქმნა, ეს მთელმა ოჯახმა შენიშნა.

— შენ რაღაც კაი გუნებაზე გხედავ, ის ვიღაც სტუმარი რომ მოუყვანია მამაშენს, იმისი ბრალი ხომ არ არის?! — უთხრა ერთხელ დედამ ალერსით.

ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, რომ ევას დედას არ სიამოვნებდა ამ სტუდენტის მათ სახლში ყოფნა. რა კარგი იქნებოდა, რომ ევა ამ ზაფხულს არ ჩამოსულიყო და ის ლამაზი ყმაწვილიც უმისოდ ყოფილიყო აქო, — ფიქრობდა იგი გულში.

ევას არ ეამა დედის კილო, ტუჩები მოკუმა და წარბები შეიკრა. თანაც ამ რამდენიმე წლის წინ ვენახის კარავში ნანახი სურათი მოაგონდა.

15

შალვას წრე იზრდებოდა. ცოტა ხანში მთელ სოფელს მოედო მისი ამბავი, რომელმაც ძირიანად შეარყია ამ სოფლის მდორე და მიყუჩებული ცხოვრება.

ხმამაღლა ვერას ბედავდნენ, მაგრამ სამაგიეროდ დაუსრულებელი ჩურჩული იყო, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გარკვევით არვინ იცოდა, რა უნდა მოყოლოდა ამ ახალ სიტყვას, არავის შეეძლო ეთქვა, ვის რას შესძენდა იგი. მაგრამ ის კი ყველასათვის ცხადი იყო, რომ რაღაც დიდი სიკეთე, ადამიანის გამაბედნიერებელი და საუკუნოდ გამახარებელი რამ უნდა მოჰყოლოდა. ყოველი ცუდი უნდა მოსპობილიყო, საწყალი კაცის ცხოვრება უნდა გარდაქმნილიყო, არ იქნებოდა ჩაგვრა, შევიწროება, სიღარიბე, სხვისი ბატონობა.

ცრემლიანი თვალები უნდა გამშრალიყო, შეკრული შუბლი უნდა გაცისკროვნებულიყო. ფერი უნდა ეცვალა დედამიწას, ადამიანს და მის ცხოვრებას... როგორ? რა გზით? ვისი ხელით? ვერც ერთ ამ კითხვაზე ვერავინ პასუხს ვერ მოგცემდათ.

ეს იყო ანგარიშმიუცემელი გაღვიძება, ბუნდოვანი სიყვარულის აფეთქება, ახალგაზრდის შინაგანი ძალ-ღონის აჩუხჩუხება... შორს გაჭრის სურვილი, აღტაცებითი ყიჟინი, დიდების ჰიმნის თავდავიწყებით გალობა. სიცილი... კისკისი...

ასეთი იყო სოფლის პირველი გაღვიძება...

სახალხო მოძრაობა ჯერ შეუმჩნეველი იყო, ვით თოვლის დნობის პირველი ნაკადი, მაგრამ მალე მთელი არემარე გალხვა. „ერთობის“ ხმა მარტო ერთ სოფელში როდი იყო, ერთმა სოფელმა მეორეს მისცა ხმა, ერთმა ადამიანმა მეორე დააიმედა, მეორემ — მესამე და ასე სულ მაღლა-მაღლა იწევდა სულიერი განწყობილება, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. სადაც არ უნდა მისულიყავით, ვინც არ უნდა გენახათ, ყველა „ერთობის“ შესახებ ბაასობდა, ყველა სოციალისტებს ახსენებდა.

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო;
ეიმხიარულოთ, ბიჭებო,
დავძახოთ დელა-დელაო...

მღეროდნენ სოფლებში.

მემამულეები და მდიდრები თავზარდაცემული იყვნენ, მღვდლებიც დაღონებულნი დადიოდნენ.

— რა ქვეყნის დამაქცევარნი და შემჭმელები ჩვენ შევიქენით, რომ ყველა მოქადაგე ჩვენზე ილესავს კბილებს, — ამბობდნენ ბოლმაშეკავებულნი და ბევრი მათგანი მთავრობისაკენ იყურებოდა დახმარებისათვის. მაგრამ მათი უბედურება ის იყო, რომ მთავრობამაც თითქმის დაკარგა იმედი; ყური წაეყრუებინა, კანცელარიებში მტყუანივით შემალულიყო და დიდად როდი აქცევდა ყურადღებას თავადებისა და მღვდლების წუწუნს.

— კარგი უქნია, ვისაც არ უმუშავნია და უსაქმოდ ყოფილა, ყველას ერთნაირი ქონება უნდა ჰქონდეს, მდიდარი და ღარიბი უნდა გათანასწორდეს. მოხედა ღმერთმა ზარმაცებს, დოყლაპიებს... მათი დრო დგება... მაგრამ ვნახოთ.

— ზოგს რომ ჰგონია, არც ისე აგვიშვებენ, — იტყოდნენ უფრო ხნოვანი და დაკვირვებული გლეხები, — ასე ჩვენს ნებაზე არ გვათამაშებენ, თვარა მალე ნახავთ.

— რუს ხელწიფეს ჩვენ კი არა, ხვანთქარმა ვერაფელი უქნაო, გამიგონია.

— მაგრე ნუ გგონია, შენ, — ეტყოდა ამისთანებს ზაქარია ელაშვილი, რომლის სახლშიაც იმართებოდა კრებები, — ხალხმა თუ მოინდომა, ეს ქვეყანა ახლა ასე რომ არის, აი ასე გადატრიალდება, — და თან გამოწვდილ ხელს ჯერ რომ ხელისგულით ზევით გაშლიდა, მერე უცბად გადაატრიალებდა და ხელისგულს ქვევით მოაქცევდა.

ზაქარია სოფელში ჭკვიან კაცად ითვლებოდა და ბევრს მართლა სწამდა მისი სურათოვანი შედარება ქვეყნიერების გადატრიალების შესახებ.

— ცოტა მომიცადე, ქალო, და მალე სულ თეთრი პურით გარჩენ ბალღებიანად, — ეტყოდა ხოლმე ზაქარია ცოლს.

თავად დავითს — ევას ბაბუას ერთობის ამბავი კარგა ხანს არ გაუმხილეს, მაგრამ როდესაც ხე და ქვაც ალაპარაკდა, მოხუცის ყურამდე თავისთავად მიაღწია ყველაფერმა.

— გლეხები ამბობენ, თავადი და აზნაური არ იქნება, ყველა გლეხად იქცევა, სუყველა უნდა გაერთიანდნენ, თავადებს მიწები უნდა წაერთვას, მოსამსახურეები არ უნდა ჰყავდეთ, ხელმწიფე არ გვინდაო, წირვა-ლოცვა არაა საჭირო, ნათესაობა არააო, — ასე გააცნეს დავითს ახალი თაობა.

პირველად დავითს არ სჯეროდა, ალბათ, მეხუმრებიანო, ფიქრობდა. მაგრამ ბოლოს შეეჭვდა და ბეჟანი მოიხმო მოსალაპარაკებლად, ერთი, გამაგებინე რაშია საქმეო. ბეჟანმა, რომელიც გლეხებთან ლაპარაკში ვითომ მათი თანამგრძნობი იყო, მამასთან ერთობ უნიადაგოდ და სასაცილოდ დახატა ეს მოძრაობა და თან დაატანა:

— ჯერ ეს ამბები არ გაუგია რუს ხელმწიფეს, თორემ იცოცხლე, მამაჩემო, მაგათ დღე დააყენოს.

დავითს ისიც გააგონეს, რომ ერთი „ბუნტოვჩიკი" და ხალხის ამრევი შენს ეზო-გარემოშიც კი ცხოვრობს — ბეჟანმა მოიყვანა, აი, სწორედ ის ლამაზ-ლამაზი ყმაწვილი, ხშირ-ხშირად რომ ევას ელაპარაკებაო.

დავითმა ამის შესახებაც გამოჰკითხა შვილს.

ბეჟანი დაბნეულ პასუხს აძლევდა.

დავითს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, რაღაც უგუნებოდ

ათვალიერებდა იქაურობას და ბეჟანსაც ზიზღით გადახედავდა ხოლმე. ბოლოს წამოდგა და მტკიცედ უთხრა:

— მე იმას არ ვიკადრებ, რომ ეს ამბავი პოლიციას ვაცნობო, მაგრამ იმას კი ვიზამ, რომ იმ ვაჟბატონს, აი იმას, — და ხელი შალვას ოთახისაკენ გააშვირა, — ჩემი ხელით გავაგორებ, იცოდე!

ბეჟანი გაშრა, ენა ჩაუვარდა.

— წადი, დამეკარგე თვალიდან! შენ არასოდეს ვაჟკაცი არ ყოფილხარ, შენში თავადის სისხლი არ დუღს!.. შენი საქმეა ქალების დევნა და პადლოგების ჯღაბნა! შენ რომ გული გერჩოდეს და ვაჟკაცი იყო, მაგისთანა წუპაკ გლეხებს სიახლოვესაც არ მიიკარებდი! ვერც ნასწავლი და ვერც უსწავლელი გლეხი თავადს ვერ გაუტოლდება! გლეხი მუდამ გლეხი იქნება! მოგითრევია ვიღაც უღირსი და ქალიშვილიც კი მიგიჩენია საარშიყოდ! ფუ, შენს კაცობას, შე ორპირო, შე ორჭოფო! ორ სკამზე ჯდები, მაგრამ იმასაც მალე ვნახავ, ორივე გამოგეცლება და კისერს მოიტეხ!

ბეჟანი გაფითრებული იდგა და გულში ფიქრობდა:

„რა იცის ბებერმა, ძველი კერპია და მისი დროი ჰგონია! მაგას არ გაუგონია, რომ დროება გადაბრუნებულია, ძველებურად არაფერი გადის! ყველას თუ არ აყევ-დაყევი, ისე ჩვენს დროში პურს ვერ ჭამს კაცი.“

— მამაჩემო, — მოკრძალებით უთხრა ბეჟანმა მეორე დღეს მამას, — თუ გიყვარდე, ცოტა ხანს კიდევ მაცალე, ეგება ევაზე დავწერო ჯვარი... რაღაც ისე ვატყობ, რო კარგადაა საქმე და მერე მე ვიცი, როგორ მოვაჭკვიანებ... სასარგებლო კაცია, ამ არეულობის დროს დაგვიფარავს.

დავითი უსმენდა შვილს, მაგრამ ეტყობა, მისი არა სჯეროდა რა. „მეც მატყუებს და თავსაც იტყუებს ეს საცოდავიო“, — ფიქრობდა იგი.

10

ამასობაში სოფელშიაც გაიგეს, რომ მათი მოქადაგე „მიხაკო სუდენტი“ — ასე ეძახდნენ სოფელში შალვას — თურმე თავად ბეჟანის სახლში ცხოვრობს და იქიდან დაიარება კრებებზე. ეს ამბავი ერთობ არასასიამოვნოდ და საეჭვოდაც

კი დაურჩათ. დავითის სტუმარი და კარგი კაცი? ეს შეუძლებელი იყო გლეხების თვალში.

— კაცო, კი არ ეტყვილდებოდეთ და რაიმე ხაფანგს არ გვიგებდნენ ის წყეული დავითი და მისი შვილი ბეჟანი! — ამბობდნენ ისინი. — მათი სტუმარი მუდამ ქურდი და ყაჩაღი იყო, მუდამ ჩვენი ამაწიოკებელი და დღეს ვინმე პატიოსანი ესტუმრებოდა მათ?!

— მართალია, მართალი!.. თუ ჩვენზე გული შეტკივა იმ მიხაკო სუდენტს, მოვიდეს და ჩვენთან იცხოვროს. ბეჟანისთანა სახლ-კარი არა გვაქვს, მაგრამ ვისაც ჩვენთვის კარგი უნდა, ის ჩვენთვის გაჭირვებასაც აიტანს.

— ჩვენ თუ ვცხოვრობთ ჩვენს სახლში, იმას რა უჭირს, ისიც ჩვენისთანა ადამიანი არ არის?

ამ მითქმა-მოთქმამ ნესტორა ნაბადაძის ყურამდეც მიაღწია.

— თქვე კაი კაცებო, როგორ შეიძლება მაგრე ლაპარაკი, — ეუბნებოდა იგი თავისიანებს, — განა მე, თქვენი შვილი, თქვენ გიღალატებთ და თავადებს მივეხმარები? ჩვენს მტანჯველებს, სისხლის მსმელებს? მაშინ მე ხომ ჩემი ძმების, ჩემი მშობლების და მეზობლების მოღალატე ვიქნებოდი!

— მართალია, მართალი, — გუგუნებდა იგივე ხალხი, — ნესტორა ჩვენი სისხლი და ხორცია, ჩვენ არ გვიღალატებს, ჩვენ არ გაგვწირავს...

— მართალია, მართალი!.. ვინ თქვა პირველად, ჩვენი მიხაკო სუდენტი საეჭვო კაციაო? ვინა თქვა უწინ? — ისმოდა ირგვლივ.

— მე არ მითქვამს, მე არ მითქვამს, — იმართლებდნენ თავს.

— გაუნათლებელი ხალხი ვართ, რას ვამბობთ, თვითონ არ ვიცით, — ხსნიდნენ ზოგიერთები.

— გული მაქვს, ძმაო, იმ თავადებზე გატეხილი და ამიტომაა, რომ, თუ რამე სიკეთე იქნება მათგან, არ მგონია!.. აკი ბეჟანის შვილი ეეაც სულ ჩვენთან არის და ყველა კრებებზე ესწრება...

— მართალია, მართალი!

აშკარა იყო, რომ იმ ოჯახში შალვას დარჩენა არ შეიძლე-

ბოდა. ამიტომ ნესტორამ გადაწყვიტა რომელიმე გლეხისას ჩაესახლებინა იგი. მაგრამ რა მიზეზი მიეყვანა შალვასათვის, ეთქვა თუ არა, რაში იყო საქმე?

ცოტა ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, რომ სტუმრისათვის სიმართლე არ გაემჟღავნებია: ახალგაზრდა კაცია, გამოუცდელია და ვინ იცის, როგორ იმოქმედებს ეს ამბავიო.

მაგრამ ამ დროს ნესტორას სრულიად მოულოდნელმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: მეზობელ სოფელში პროპაგანდისტს თხოულობდნენ, შალვა ღრუბელიანი კომიტეტის მოწერილობის თანახმად დროებით იქ უნდა წასულიყო.

17

ამ განკარგულებას შალვა ხმის ამოუღებლივ დაემორჩილა, კომიტეტის გადაწყვეტილება მისთვის შეურყეველი კანონი იყო.

— სულ ორიოდე კვირით მოგიხდება იქ წასვლა, ამხანაგო, — უთხრა ნესტორამ, — ცოტას წაიმუშავებ, პარტიულ ორგანიზაციას შეჰკრავ, ამის შემდეგ ისევ აქ მოხვალ.

ნესტორა დარწმუნებული იყო, რომ შალვასა და ევას შუა რაღაც საიდუმლოებით მოცული ურთიერთობა გაიბა. ხშირ მუსაიფს და ტკბილ მეგობრობას, ნესტორას აზრით, თავისი უნდა ექნა, ანუ როგორც ის იტყოდა ხოლმე, „მოხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“. ამიტომ ნესტორა ოსტატურად აკვირდებოდა შალვას: აბა, როგორ იმოქმედებს აქედან წასვლის ამბავიო, მაგრამ ვერაფერი ვერ შეამჩნია, პირიქით, შალვას კიდეც ეამა ეს გარემოება. ხომ არ ვტყუვდებიო? — ასეც კი გაიფიქრა ნესტორამ.

ნესტორა საკმაოდ გამოცდილი კაცი იყო, 25 წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ ჭკუითა და გამოცდილებით მოხუცებს არ ჩამოუვარდებოდა. დიდი ცოდნის პატრონი არ იყო. წერა-კითხვა ძლივს ისწავლა. მამამ ერთ მებაღეს მიაბარა ბიჭად: გაზარდე, კაცი გახადე, დროზე მომესწრება და ცხოვრების ჭაპანის ზიდვას გამიადვილებსო. ეს მებაღე ნესტორას სოფლელი იყო და ბათუმში რამდენიმე ქცევა ბოსტანი ჰქონდა; თესავდა ისე, როგორც ყველა სოფელს შეეძლო დაეთესა — არა-

ფერი ცოდნა არ ებადა, მაგრამ მაინც მებაღეს ეძახდნენ და სოფელში ერთგვარი დაფასებაც ჰქონდა.

ნესტორა თვალცრემლიანი გამოეთხოვა სოფლის სკოლას, მაგრამ წიგნის კითხვისათვის თავი მაინც არ დაუნებებია. როგორც კი იშოვიდა თავისუფალ დროს, სოფლიდან წამოღებულ „დედაენას“ კითხულობდა. შემდეგ „ბუნების კარს“, მერე საიდანღაც ხელში ჩაიგდო „ქალ-ვაჟიანი“, „არსენას ლექსი“, „ალექსიანი“. „არსენას ლექსი“ სულ ზეპირად ისწავლა, მთელი ღამეები ოცნებობდა ამ სახალხო გმირზე. სხვებსაც რამდენჯერმე წაუკითხა და თავისებურად აუხსნა. შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვასაც შეუდგა, მაგრამ დიდი ვერაფერი გამოიტანა. თუმც ბუნდოვნად კი გრძნობდა, რომ რაღაც საინტერესო წიგნი კი უნდა ყოფილიყო.

ამასობაში სამმა-ოთხმა წელმაც განვლო. ნესტორა წამოიზარდა, ქირაც გვარიანი ჰქონდა, მაგრამ სრულებით არ მოსწონდა ჭაობიან ბაღში ცხოვრება. მოსწყინდა მწვანილის რეცხვა და ქალაქში გასაყიდად თრევა. თავისი მდგომარეობა გააცნო ორ მუშას, რომელიც ნავთობის ქარხანაში მუშაობდნენ.

ნესტორამ ბაღს თავი დაანება და ნავთობის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, აქ მალე მიიქცია ყველას ყურადღება. და ორი წლის შემდეგ შესაფერისად დააწინაურეს.

მის ოთახში სამი სხვა მუშა ცხოვრობდა, ისინი მუდმივი ლაპარაკით წიგნის კითხვას უშლიდნენ, ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც.

— წიგნის კითხვა თუ გინდოდა, ზავოდში რას მოდიოდი? — ღრეჭით ეტყოდნენ ხოლმე.

ნესტორას ტახტის ქვეშ ერთი ყუთი ჰქონდა შენახული და თავის ბიბლიოთეკასაც იქ ინახავდა. ხშირად უცდია სხვა მუშებიც დაეინტერესებინა წიგნის კითხვით, ბევრ მათგანზე კიდეც მოუხდენია გავლენა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა იყო საჭირო.

იმ დროს, როდესაც საქართველოში პირველად გაისმა ხმა ხალხის განთავისუფლების შესახებ, იგი მუშათა პირველ რიგებში მოექცა; განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა ქალაქებიდან სოფლებსაც მოედო და ნესტორას დაავალეს ერთ მისთვის ნაცნობ მხარეში მუშაობის წარმოება.

და აი, აქ მას შეხვდა შალვა ღრუბელიანი. შალვა ზეპირ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა, ხოლო ნესტორა უმეტესად საერთო საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა.

მემამულეთა საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა გამომუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება, ადმინისტრაციისა და სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული ბოიკოტის განმტკიცება-გაფართოება, გლეხების შეკავშირება და დარაზმვა, — აი, რას აკეთებდა ნესტორა შალვასთან ერთად.

ნესტორა შალვასთან შედარებით უფრო გამოცდილი იყო. გავლილი ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრების ერთგვარი სკოლა და ბევრი ისეთი რამ იცოდა, რაც შალვას არ შეეძლო სცოდნოდა. სამაგიეროდ შალვა თეორიულად უფრო მომზადებული იყო, მაგრამ ნესტორას მაინც დიდ პატივს სცემდა, ყოველ მის სიტყვას და შენიშვნას ისე უგდებდა ყურს, როგორც მცოდნე და გამოცდილი ამხანაგისას.

ნესტორა და შალვა გატაცებით მუშაობდნენ სოფელში. გლეხობა მათ მხარეზე დადგა, პირად საქმისათვის არც ერთ მათგანს არ ეცალა, მაგრამ დროგამოშვებით მომხიბლავი ყმაწვილების — ევას და შალვას — შეხვედრა თავისთავად აფიქრებინებდა ნესტორას, ქალ-ვაჟს, ალბათ, სასიყვარულო ძაფი აქვთ გაბმულიო. მისი შეხედულებით ეს სრულიად ბუნებრივი ამბავი იყო, მაგრამ თავისი აზრი შალვას არ უთხრა.

18

ევას თავზარი დასცა შალვას წასვლის ამბავმა. შალვასთან საუბარს, მასთან ერთად კრებაზე სიარულს ისე შეეჩვია, რომ უმისობა ყოვლად შეუძლებლად ეჩვენებოდა. ევას აზრით, შალვა ვანოსა და ანდრიას გაცილებით სჯობდა.

„ისინი ხომ კარგები იყვნენ, მაგრამ შალვა მათთან შედარებით მომჯადოებელია. ასეთი მასწავლებელი მარტო ოცნებაში თუ შეიძლება წარმოიდგინო“, — ფიქრობდა ქალი.

— იმედია, მალე დაბრუნდებით, — რამდენჯერმე უთხრა ევამ ნაძალადევი ღიმილით შალვას, როცა იგი ევას არიგებდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მისი აქ არყოფნის დროს.

ევას თანდათან აკვირვებდა შალვას თავდაჭერა და აუღელვებლობა. შალვას წარბიც არ შეუხრია, დამწუხრებული

კი არა, გახარებულიც კი იყო და ერთი სიტყვითაც კი არ გამოუხატავს რაიმე უკმაყოფილება ევას დაშორების გამო.

— უთქვენობა ძალიან დაეტყობა აქაურობას. თავს მოუარეთ, მთავრობას არ ჩაუვარდეთ ხელში, სხვაფრივაც, ვინ იცის, რა პირობებში ჩავარდებით, — უთხრა ევამ, — ვინ მოგიმზადებთ საქმელ-სასმელს.

ამ დროს ნესტორა შეუმჩნეველად აკვირდებოდა ახალგაზრდებს და ცდილობდა ლაპარაკში არ ჩარეულიყო: თან უხერხულად გრძნობდა თავს და მოშორება უნდოდა. არც ევას სიამოვნებდა ნესტორას იქ ყოფნა: ეგების უკანასკნელ წამს მაინც წამოსცდეს რაიმე შალვასო!

„ეს ყმაწვილი ან დიდი ეშმაკია, ან მართლაც ყურადღებას არ აქცევს ევასო, — გაიფიქრა ნესტორამ, — ან კი რა მაგისი საქმეა თავადიშვილის ქალი? სად გლეხი და სად თავადი? მათი შეთანხმება შეუძლებელია.“

შალვას წასვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბეჟანის ოჯახს და ყველა აამოძრავა, განსაკუთრებით კი ბაბუა დავითი.

— აქამდე ვინ აკავებდა, — ამბობდა იგი, — ვინ დააგლიჯა ჩოხის კალთა? ან ვინ ეხვეწებოდა, რომ მოეთრია! მაგრამ ჩემი ლაქლაქა შვილი რას არ შეგვძენს? კაი სასიძო მოიყვანა, ღმერთი მას უშველის! ამას ჰქვია წაგსვი, წაგჭამე და წავედიო! იმ გოგოსაც კაი ხანს ეკურკურა! გლეხებიც აგვიბუნტა!

შალვა გატაცებით შეუდგა ახალ პირობებში მუშაობას. სახალხო მოძრაობის თანდათან გაღრმავება და გაფართოება განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენდა მის სულიერ განწყობილებაზე.

წარმოიდგინეთ გაზაფხულის ნიაღვარი, როცა კოკისპირული წვიმის შემდეგ მთებიდან დაეშვებიან გაშმაგებული ნაკადულები, რომელნიც ელვის სისწრაფით იზრდებიან, ფართოვდებიან და აქაფებულ-აზათქებულნი ხეილით მოაგორებენ ქვას, ხეს, ბალახბულახს, მიწას.

დგახარ ამ ლანქერში და გრძნობ, რომ ყოველ წუთს უფრო და უფრო მაღლა გცემს ტალღა.

და შენც გსიამოვნებს და იცინი: გაღელვებს ახუვლებული სტიქიონი, კიდევ წამი და... აჰა, ეს არის, შენც აცურდები!.. ლამის გაგიტაცოს თქეშმა, ცახცახებ...

ასეთი იყო შალვას შეგრძნებაში სახალხო მოძრაობის ტალღათა თანდათან აწევის პროცესი და აზვირთება.

შალვას გადავიწყებული ჰქონდა ყოველივე პირადი, არ ახსოვდა საკუთარი თავის მოთხოვნილებანი და ყმაწვილური გატაცებით ეხსახურებოდა წმიდა საქმეს. სმა, ჭამა, მოსვენება, ჩაცმა-დახურვა — ამაზე ფიქრი არც კი არსებობდა მისთვის.

რამდენიმე ღამე ისე გაატარა, რომ საფიქრებლად არც კი სცალოდა. მუშაობით დაღლილ-დაქანცული, მოსვლისთანავე ძილს მისცემდა თავს. ხოლო ცოტათი რომ გაიადვილა სამუშაო და თავისუფალი დროც მეტი მოიპოვა, ფიქრს მიეცა და... ჰოი, საკვირველებავ... რაღაც მოწყენილობა იგრძნო, მარტოობის სევდა ეწვია და ევაც მოაგონდა. ჯერ უცნობმა და განუცდელმა სიტკბოებამ აავსო მისი სული და გული... რა ტკბილად მუსაიფობდნენ! რა საინტერესო საკითხებს ეხებოდნენ, მერე რამდენ ნიჭს და დაკვირვების უნარს იჩენდა ევა! რამდენი გრძნობა და ცეცხლი იყო მის თვალებში!

— ევა ნამდვილი რევოლუციონერი იქნება, — ხშირად ვაუფიქრია შალვას.

ნეტავი ახლაც ამ გლეხის ოჯახში იყოს ევა! საყვარელ საქმეზე ილაპარაკებდნენ. რამდენი ახალი საკითხი წამოეჭრა შალვას ახალ პირობებში მუშაობისას!

ევა შალვას წასვლის შემდეგ მოწყენილობის საწყაულად გადაიქცა. იმ დღიდან გაცინებული არავის უნახავს, უცებ ჩაკვდა მასში სიხარული და აღმაფრენა. ფრთხიალა ჩიტმა ფრთები შეიკეცა, ძირს დაეშვა.

ხუთუ წამიერი იყო ევას აღფრთოვანება და დღეიდან ვეღარ შეხვდება შალვას? ნუთუ თან გაჰყვა მისი სული და გული იმ მომჯადოებელ ყმაწვილს, რომელიც ასე მშვენივრად ლაპარაკობს, ასე ნარნარად, ასე მომხიბლავად!

და კიდევ... რომელსაც ასეთი მომხიბლავი თვალები აქვს, ბროლივით ჩამოსხმული თითები, ახლად აყრილი წვერ-ულვაში. ევა სრულებით ვერ აკეთებს იმას, რაც შალვამ დაუბარა. განა უშალოდ შეიძლება ან კითხვა, ან კრებებზე წასვლა, ან რაიმე აზრის გაგება?

ევა ხორცშესხმული ფიქრია, წიგნით ხელში რეტიანივით დახეტიალობს ეზო-გარემოში. მხოლოდ ხორციელად არის

მამის კარ-მიდამოში, ფიქრითა და გრძნობით კი ისევ შალვასთანაა: მასთან ერთად წარმოთქვამს აღფრთოვანებულ სიტყვას, წითელი დროშით ხელში წინ მიუძღვის ხალხს და შურისძიების ცეცხლით გაალმურებული, მზად არის კბილით ეკვეთოს მტარვალთა ხროვას...

რა ლამაზია ამ დროს შალვა, რა ამაყია! როგორ შვენის ხალხის წინამძღოლობა! როგორ ჰქუხს და რანაირ ცეცხლს აფრქვევს ხანდახან! ევასაც გადმოხედავს, მძლავრად ჩაუკიდია მისთვის ხელი და მხიარულად მიაქანებს წინ, სულ წინ!.. ხალხი აღტაცებულია გმირი ქალ-ვაჟის გამბედაობით, სილამაზით!.. და... „ვაშა, ვაშა, ჩვენს ბელადებს“! — გაჰკივის აღტაცებით. ტკბილად ოცნებობს ევა, ნარნარად ევლება თავს სხვაგან წასული მეგობრის ძვირფას სახელს.

ეჰ, ნეტაკი სრულებით არ იყოს ეგ მწვავე სინამდვილე!

ვაითუ ევა შალვას წასვლით იძულებული იქნეს ისევ თავჩაქინდრული იდგეს სულისა და გულის მომწამველელ სინამდვილის მორევში და თავისი ძიძის ოჯახში უნდა მიეცეს განუსაზღვრელ სევდას. ნუთუ ბნელეთში მხოლოდ ერთხელ გაიელვებს?

ნახევრად უიმედო ევა მწარედ ქვითინებს. შალვას გარეშე მისთვის არც იდეა არსებობს და არც ცხოვრებას აქვს აზრი, მხოლოდ მის გვერდით არის იგი მებრძოლი და სიცოცხლის მოტრფიალე...

19

ერთ საღამოს, როდესაც შალვა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციის სხდომის შემდეგ დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდებოდა, გზაში ნესტორა ნაბადაძე შემოეყარა.

— დაგაგვიანდათ, ამხანაგო, დიდხანს გელოდეთ, — მეგობრული კილოთი უსაყვედურა შალვამ.

— ბოდიშს ვიხდი, იმედია, მაპატიებთ, ცუდი ცხენი მყავდა, — უპასუხა ნესტორამ და ჰკითხა, კრებამ რა გააკეთაო.

— თქვენი დაუსწრებლობის გამო, ყველაზე ძნელი საკითხი — მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტის მოწყობის

შესახებ — ხვალისთვის გადაიდო. შენს გარდა კიდევ ორი წარმომადგენელი არ დაგვსწრებია, ხვალ მოვალთო. ამიტომ უმჯობესად ვცანით ხვალისთვის გადაგვედო ეს საკითხი.

— ძალიან კარგი გიქნიათ, ბარემ მთელი რაიონი გამოვა შეთანხმებულად და ის იქნება, ისე არეულ-დარეულად დარჩენა კი, როგორც აქნობამდის იყო, არ შეიძლება.

შალვამ გამოჰკითხა, როგორ მიდიოდა საქმეები ნესტორას საზოგადოებაში, როგორი იყო ხალხის სულიერი განწყობილება შალვას წამოსვლის შემდეგ.

ნესტორას სიტყვით, ხალხი ძლიერ იყო დაინტერესებული იმით, რა ხდებოდა სხვა სოფლებში და საზოგადოდ, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში. ამის გამო საჭირო გახდა აგიტაციის ფართოდ გაშლა. ეს საქმე ნესტორას კარგადაც მოეწყო: გამოუძებნიათ კაცი, რომელიც კვირაობით გლეხებს გაზეთს წაუკითხავდა. მკითხველის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა მთელი კვირის განმავლობაში გაზეთებისათვის და ამოერჩია გლეხებისათვის გასაგები და საინტერესო მასალა, რომელსაც დანიშნულ დროზე ახსნა-განმარტებით წაიკითხავდა.

— როცა გელაპარაკები, ან შენს ნამოქმედარს ვუკვირდები, ყოველთვის რაიმე ახალს ვიძენ ხოლმე, — უთხრა ნესტორას.

— დიახ, დიახ, მე ყოველთვის ახალი და სასიამოვნო ამბები მომაქვს შენთვის, — ღიმილითვე უპასუხა ნესტორამ. — აბა, ახლა ყური დამიგდე, კიდევ რა სასიამოვნო ამბავი გითხრა: გაზეთის მკითხველად არის შენი მეგობარი — ევა.

— რატომ არის მარტო ჩემი... მეგობარი, და არა შენიც, — დაბნეული გამომეტყველებით და სიცილით შენიშნა შალვამ, რომელსაც ძალიან ეამა ევას ხსენება.

— მართალია, ორთავეს მეგობარია, მაგრამ უფრო კი შენი.

ნესტორამ ისეთი კილოთი თქვა სიტყვა „შენი“, რომ შალვა ყურებამდის გაწითლდა.

— მაგისთანები არ იყოს, ამხანაგო! — უცებ მოუჭრა მან ნესტორას.

ამ დროს ნესტორამ აუჩქარებლივ წაიღო ხელი ჯიბისკენ

და შალვას წერილი გადასცა, თანაც დაუმატა, ევასაგან არისო.

წერილმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილ კაცზე. თითქმის მთელი ღამე ოცნებობდა ამ წერილის გამო. ბოლოს და ბოლოს, ეს სრულებითაც არ იყო ჩვეულებრივი წერილი. იგი იყო ნამდვილი მოთხრობა, წრფელი გრძნობებით აღსავსე პოემა. რამდენი გრძნობა იყო შიგ ჩაქსოვილი, რამდენი აზრი.

დიდხანს, დიდხანს ოცნებობდა შალვა ამ წერილზე, ზეორედაც წაიკითხა, მესამედაც...

და ყოველთვის ახალ-ახალ სურათებს ნახულობდა შიგ.

„ჭეშმარიტად, რევოლუციონერი ქალი იქნება ევა",—ფიქრობდა კმაყოფილებით.

20

ნესტორამ წერილის სიდიდის მიხედვით დაასკვნა, ეს ბარათი საქმიანი ხასიათის არ იქნებაო.

მეორე დღეს, როცა შალვამ ნესტორასთან ლაპარაკი ჩამოაგდო სოფლად ევას საქმიანობის შესახებ, ნესტორამ რაღაც ეჭვიანად გაიღიმა:

— ამხანაგო შალვა, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. მართალია, სწავლა ბევრი მიგიღია, წიგნი ბევრი წაგიკითხავს, მაგრამ ამხანაგურად გეტყვი, რომ ცხოვრების სინამდვილეს, ალბათ, ჩემსავით ვერ იცნობ. მე შენზე მეტი მიცხოვრია და ამიტომ...

— რაშია საქმე, ნესტორ? რაღაც ძალიან შორიდან იწყებ, — ღიმილით შენიშნა შალვამ.

— მოიცა, თუ ძმობა გწამს, ნუ აჩქარდები! ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ცუდიცა და კარგიც გვაქვს, ერთი სიტყვით — კაცნი ვართ, ადამის ძენი, ბერივით ცხოვრება არ შეგვიძლია...

შალვა მიხვდა, გაწითლდა და შეურაცხყოფილი ღიმილით უთხრა:

— ნესტორ, შენ კარგად იცი, რომ დიდ პატივს გცემ და ამხანაგურად გთხოვ, მაგ საგანზე ლაპარაკს ნუ ჩამომიგდებ. შენ არ იცი ჩემი აზრი მაგ რთული საქმის შესახებ და ამიტომ გეხვეწები, მაგ საკითხს ნუ შეეხები. ევა და შენ ჩემს თვალში

ერთნაირი ადამიანები ხართ, არც ერთ თქვენგანს უპირატესობას არ მივცემ...

შალვას ლაპარაკის კილო ისეთი გულწრფელი და დამარწმუნებელი იყო, რომ ნესტორამ მაშინვე ბოდიში მოიხადა და სიტყვა მისცა, დღეის იქით ამ საკითხს არ შეეხებოდა.

ამ ლაპარაკის შემდეგ არ გასულა რამდენიმე წამი, რომ მათ წინ იდგა ევა, დარცხვენილი, ლოყებალეწილი, ცრემლმორეული... ბავშვივით თრთიოდა, აქეთ-იქით იხედებოდა. რაღაცას ჩიფჩიფებდა.

— რა ამბავია, ამხანაგო, რაშია საქმე! — თითქმის ერთხმად შეეკითხნენ შალვა და ნესტორა.

— ისეთი... არაფერი, — დარცხვენილი ღიმილით თქვა ევამ.

— მთავრობას ხომ... არაფერი?.. — შეეკითხა გაკვირვებული ნესტორა.

— არა, არაფერი ყოფილა... მხოლოდ... მხოლოდ... საქმე იმაშია, რომ... რომ... — ევას ტირილმა უსწრო და, ხმააკანკალებულმა, თვალებზე ხელი მიიფარა.

— თქვი, ევა, შენ რაღაც ცუდი ამბავი მოგაქვს! — მიაძახა მოუთმენლად შალვამ.

— მე... მე... ჩემი სახლიდან გამოვიქეცი... სამუდამოდ დავტოვე მამაჩემის სახლი. მე... თქვენთან ერთად მინდა მუშაობა და სახალხო საქმისათვის თავდადება! დღეიდან იქაურობას არ დავუბრუნდები!..

ევა აქვითინდა, ბავშვივით ამოუჯდა გული და თავჩაქინდრული სლოკინებდა. შალვა და ნესტორა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ: რა ეთქვათ და როგორ ენუგეშებინათ ევა.

— ევა, თქვენ... — ჩაილუღლუღა შალვამ.

— ვერაფერი გამიგია, რაშია საქმე, — თქვა ნესტორამ.

— ამხანაგო ნესტორ, შენ კარგად იცი, თუ რას წარმოადგენს მამაჩემის ოჯახი! ჩვენი სოფლელი ხარ და ჩემზე უკეთ გეცოდინება ჩვენიანების ამბავი, — თქვა ევამ. ისევ აცრემლდა და ნელი ხმით განაგრძო: —ნესტორამ ყველაფერი კარგად იცის... მე... არ ძალმიძს იქ ცხოვრება, ვერ ავიტან იქაურობას. დიდი ხანია, რაც მამიჩემის სახლი შემძულდა. იქ აშ-

შორებული წუმპე დგას, თქვენთან ერთად მინდა მუშობა, თქვეთან ერთად სიკვდილი და სიცოცხლე! თქვენი წამოსვლის შემდეგ ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაიქცა. იქ მზე ჩადის, აქ კი ამოდის. არ მინდა ჩამავალ მზეს ჩემი ეარსკვლავი თან ჩაჰყვეს. თქვენთან გამოვიქეცი და მინდა თქვენი სიცოცხლით ვიცხოვრო!.. სილამაზე, თავდადება, გმირობა, აღტაცება — აი, რა სწყურია ჩემს სულს... ჩემს გულს!..

შალვას სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო. ეს ჭეშმარიტად რევოლუციური ნაბიჯიაო, ფიქრობდა იგი.

— თქვენი გადაწყვეტილება მოსაწონია, — უთხრა ბოლოს ნესტორამ, — ჩვენთვის დიდად სასიხარულო იქნება შენისთანა ამხანაგის შეძენა.

შალვა კი დარცხვენილი იდგა.

21

და აი, ყოველივე ეს, დიდი ხნის ამბავი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის შემდეგ ისე ცოცხლად მოაგონდა უკვე ხანში შესულ ევას, როგორც გუშინდელი შემთხვევა...

რამდენმა ხანმა განელო იმ ბედნიერი დღეების შემდეგ...

რა არ გამოსცადა მას აქეთ ევამ! აზრთა ცვლა, ახალი წრე, ახალი ადამიანები...

ერთი დასამარდა, მეორე დაეფუძნა, ერთი მოკვდა, მეორე აღსდგა... მაგრამ დღესაც ევას გული ისევ ძველებურად აძგერდა. ისევ ათრთოლდა ახალგაზრდული ცეცხლით.

გადიშალა ნეტარების წიგნი, კვლავ იკითხება ბედნიერების ასოებით აღბეჭდილი ამბები! მაგრამ... ვაი, რომ შხამი ეწვეთება ამ ნეტარებაში! ევა ხომ ძველი ევა არ არის!.. მაშ რად ეწვია ისევ ძველი გრძნობა...

ტყუილად ჩაუვლია ამდენ ცდას, ამდენ წვალებას! მეხსიერებამ მაინც თავისი გაიტანა: პირველმა სიყვარულმა თავისი წაიღო და მრავალ წელთა შემდეგაც ერთიანად დაიმონა უმანკოების ჟამის ნეტარებამ, იმ წმიდა დროის მოგონებამ, როცა მისი შეუბღალავი გრძნობა ანკარა მდინარესავით მისჩქეფდა, როცა ჩვილი გული პირველად ათრთოლდა ცაცური ცეცხლით, როცა კდემამოსილ ქალწულს პირველად გაუწითლ-

და სიყვარულის ალით დაუსუნთქავი ღაწვები... რა ბედნიერი იყო ის დრო! შეუბღალავი გრძნობა, უმანკო ღიმილი, გაურკვეველი სიყვარულით აღსავსე გული. ეშვმიუტანელი რწმენა, სიცოცხლის შეუჩერებელი ფეთქვა!..

დღეს კი, თხუთმეტი წლის შემდეგ, რა არის ამის მაგიერ, რა შერჩა ევას? რამდენჯერმე განაცადი ერთი და იგივე გრძნობა, დაცვეთილი ნერვები, დაცვეთილი სხეული... ქმარი... კიდევ ქმარი... შვილები... პირველი ქმრისაგან, მეორე ქმრისაგან... ერთ დროს სხვა ცხოვრება, დღეს სულ სხვა!.. ის ძველი დრო მხოლოდ სიზმარია, მშვენივრად მოსაგონი სიზმარი....

შალვასთან გატარებული დრო თუ რეზოსთან ცხოვრება? პირველ ქმარ-შვილში ნეტარება თუ მეორე ოჯახი? როდის იყო ევა ბედნიერი — მაშინ თუ ახლა?

იმ დროს ევა მთელ ქვეყანას პირისპირ უყურებდა, შეჰხაროდა ყველაფერს; მისი გული მთელი ხალხის გულთან ერთად ფეთქავდა, მისი მაჯა მთელი ქვეყნის მაჯასთან ერთად სცემდა... ყველას შეტრფოდა ევა, ყველა შეტრფოდა ევას!.. დღეს კი?.. დღეს! რამდენიმე საათის უკან აბობოქრებული ხალხის ყიჟინას მისი ხმა არ შეწყობია, ხალხის სიხარულში მისი აღფრთოვანება არ გარეულა... მაშინ, შალვას დროს, ევა სახალხო სიხარულის სული და გული იყო. დღეს კი შორიდან მაყურებელი შეიქნა, თითქმის დაუპატიჟებელ სტუმრად გადაიქცა... მიტინგი, ორატორები, დროშები, უამრავი ხალხი, ვაშას გრიალი — ყოველივე ეს ევასათვის უცხო და თანაც დაობებული და დაფერფლილი რაღაცა იყო, დავიწყებული, უკუგდებული. მოიგონე ძველი წიგნი, რომლის შინაარსს ერთ დროს აღტაცებით აჰყოლიხარ, მერე კი უცებ შეგძულებია, და შენი თავი ამ წიგნის შინაარსზე მაღლა გიგრძვნია. შორს, შორს ეს უფერული უსტარი! გრცხვენია უკვე გონებამომწიფებულს, რომ ერთ დროს ასე თავდავიწყებით გყვარებია ეს უმნიშვნელო და საბავშვო წიგნი.

მაგრამ, ჰოი, საშინელებავ! უცებ გაიგებ, რომ ეს წიგნი თურმე უსამართლოდ გაგიგდია ხელიდან, დასაგმობი შიგ არაფერია, მოგლანდებია რომ შენი ღირსი არ არის იგი, განგიდიდებია შენი თავი! შემკრთალი ხარ, გაოცებული... სირცხვი-

ლით იწვი, გინდა მიწა გაიპოს და შიგ ჩაგიტანოს და პატარავ-
დები სირცხვილად ქცეული...

ასეთმა განცდამ შეიპყრო ევა. სრულიად არ მოელოდა
ამ ვულკანის ამოხეთქვას და პირველ წამებში ვერც გაერკვა,
ვერ მოისაზრა, როგორ დაეფასებინა იგი.

რისთვის მოხდა ეს? რეზომ ამბად მოიტანა: აღმასრულე-
ბელი კომიტეტის წევრად ერთი ქალიც აირჩიესო. ვინ უნდა
იყოს ის ქალი? ან რატომ მოხდა ისე, რომ ევა არ აირჩიეს მის
ადგილას? ვისი ბრალია ეს — თვითონ ევასი, თუ სხვისი?

ძველი გზა ევამ სრული შეგნებით უარყო, დიდი სულიერი
ტანჯვის შემდეგ გადაუდგა მას და დღეს განა უნდა ინანოს
ეს გადადგომა?

მოშხამულივით ჩაიკეცა ლოგინში, ცრემლიც კი ვერ იპო-
ვა გულის დასაპკურებლად. აწმყო და წარსული, ძველი და
ახალი საშინელი დაუნდობლობით იბრძვიან მასში, გაშმაგე-
ბულ გრიგალივით ტრიალებენ მის სულსა და გულში და...
ხან ერთია გამარჯვებული, ხან მეორე. ევა უბედურია: მას არ
დასცალდა პირველი ქმრის ხელში ბედნიერება, ულმობელმა
სინამდვილემ შეუბრალებლად გასთიშა ისინი. დაიღუპა ტკბი-
ლი ცხოვრება, შეწყდა მომხიბლავი ზღაპარი, მოულოდნელად
ჩაწყდა გულის სიღრმეში უძვირფასესი სიმები, დასამარდა
უმანკო დროის მოგონებანი, შეიბილწა ქალწულებრივი შარა-
ვანდედით მოცული პირველი სიყვარული. იმ დროის მოსაგო-
ნებლად ევას ორი შვილი ჰყავს — სოფიო და ვაჟა... მაგრამ...
რა ბედნიერი იქნებოდა ევა, რომ ბედს მაინც შეეწყო მის-
თვის ხელი და ბავშვები არ გასჩენოდა! საშინელება დატრი-
ალდა მის გარშემო, გრძნობს, რომ სრულიად მოულოდნელად
ენგრევა ვითომდა ბედნიერი ცხოვრების კოშკი, ხედავს, რომ
ერთი წამიც და... თვითონაც ნანგრევებში მოჰყვება...

რა ქნას, როგორ მოიქცეს?.. ვინ იცის, რას უმზადებს ხვა-
ლინდელი დღე? მეგობარი მაინც ჰყავდეს დამხმარე! რეზოს
მაინც შეეძლოს მისი მხარდაჭერა და მწვავე ბრძოლაში მის
გვერდით დგომა! დღემდის, მართლაც, ასე ეგონა ევას: დარწ-
მუნებული იყო, რომ რეზო ნამიანიძე ისეთივე სასურველი
მეგობარი იქნებოდა მისთვის, როგორიც შალვა ღრუბელიანი.
ეგონა, რომ უკვე მეორედ შეხვდა ცხოვრების გზაზე შესაფერ

თანამგზავრს. მაგრამ დღეს შესაძლებელია ისეთი პირობები შეიქნეს, რომ რეზო ევასათვის სრულიად შეუფერებელი დარჩეს...

22

რეზო დიდ პატივს სცემდა ევას: სწამდა მისი ჭკუა, ცოდნა და ვონებრივი სიმწიფე. გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ ევა ბევრ რამეში მასზე მაღლა იდგა.

ახლაც, დღევანდელ ვახშამზედაც, ევამ ერთხელ კიდევ დააჩაჩა რეზოს თავისი უპირატესობა, რაც აგრე მომხიბლავად და გულის წარმტაცად დააგვირგვინა „მარსელიოზის" მომჯადოებელი დაკვრით. ამ გარემოებამ აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა რეზო და რომ გარეშე ხალხი არა, აუცილებლად გადაპკოცნიდა ევას.

გავიდა თუ არა ევა თავის ოთახში, რეზომ ჩურჩულით გასცა განკარგულება, რომ ევასათვის ხელი არ შეეშალათ უადგილო ხმაურობითა და თვითონაც ფეხაკრეფით მიაშურა თავის ოთახს. ამაოდ ცდილობდა ეფიქრა თავის საბანკო ოპერაციებზე. დღევანდელმა ამბებმა ერთიანად აუფორიაქეს ნერვები და დიდ ხანს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა მოხდა.

რეზო დიდად შეურაცხყო მისმა ერთ-ერთმა ხელქვეითმა. ეს ვაებატონი გახლდათ შავ ხალათსა და ძველ პიჯაკში გამოწყობილი ქათამაძე. მართალია, როგორც მუშა, ქათამაძე კარგი იყო: ერთგული, სანდო, საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ ნამეტანი აპრუწული ვინმე იყო და ამიტომ არ ეკარებოდა რეზოს გულს.

სხვა მოსამსახურენი ღიმილით ელაპარაკებოდნენ რეზოს; არასოდეს მის საწინააღმდეგოდ სიტყვას არ იტყოდნენ, სახეში იყვნენ მიჩერებული და იმაზე ფიქრობდნენ, რითი ესიამოვნებინათ: ცერებზე დადიოდნენ, ტუჩებზე ხელის მიდებით ახვევლებდნენ, პალტოს აცმევდნენ და კალოშებს მიართმევდნენ... ვიღაც ქათამაძე კი მარტო მშრალ სალამს აძლევს ბანკის დირექტორს და ისიც ისე მედიდურად, თითქოს იმადლებდა. ერთი ღიმილიც კი არ გადაურბენს ხოლმე სახეზე, ჩაფიქრებულია, წარბებშეკრული მუშაობს — თითქოს დიდი რამე კი უყრია იმ ცარიელ გოგრაში.

და აი დღეს, ამ ღირსშესანიშნავ და საქვეყნო ამბების დატრიალებისას, ეს ჩია ქათამაძე თავისებური თავხედობით სტოვებს ბანკის დარბაზს და სადღაც კრებებზე მიდის... და ჰოი, საკვირველებავ! აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც კი ხდება! ახალ მთავრობად გადაიქცა!

მერე როგორ ამაყად ეჭირა თავი კომიტეტის სხდომაზე! როგორ თავისუფლად ლაპარაკობდა! კომიტეტის წევრებიც რომ ყურადღებით უსმენდნენ! ვითომდა დიდი ჭკუის კოლოფი ყოფილიყოს! ძველისძველი შავი ხალათი, ნაპირშემოვლეჯილი სარტყელი, პირი მოუპარსავი... და კადნიერება, კადნიერება...

ბანკში გაჩაღებული მუშაობა იყო: კალმები გულმოდგინედ წრიპინებდნენ, სასაზავები არშიებს ავლებდნენ, ერთ ადგილას ფულს თვლიდნენ, მოლარე ისეთი მოწიწებით აღებდა სალაროს ვეებერთელა ლითონის კარებს, თითქოს აღდგომა დილას მღვდელთმთავარი ეხება აღსავლის კარებსო. ჩურჩულით გადიოდნენ და შემოდიოდნენ.

რეზო წარმართული კერპივით იჯდა ძვირფას სავარძელში. ლამაზად დავარცხნილი თმა, აპრეხილი ულვაში, ასჯერ სარკის წინ შემოწმებული წვერი, ჯიბეებში ჩაწყობილი ფუნთუშა ხელები, გაშლილი გულ-მკერდი და კმაყოფილება, კმაყოფილება...

რეზომ შეამჩნია, რომ ბანკის დარაჯმა ქათამაძე ტელეფონთან მიიწვია. ცოტა ხნის შემდეგ ქათამაძე „თავისებურის კადნიერებით“ მიეჭრა რეზოსთან და ცივად უთხრა: საქმის გამო დღეს სამსახურში ვერ დავრჩებიო.

რეზოს არც უარი უთქვამს და არც ჰო. გააკვირვა ხელქვეითის კადნიერებამ. ქათამაძემ კი რაღაც წასჩურჩულა მოსამსახურეებს და საჩქაროდ სადღაც წავიდა.

რეზოს ეწყინა, რომ დანარჩენმა მოსამსახურეებმა ქათამაძის წასვლის შემდეგ სამუშაოზე რაღაც გული აიცრუეს და უსაქმო ლაპარაკი გაიბეს. რეზომ მოიხმო უფროსი მოსამსახურე და უთხრა: გადაეცით ქათამაძეს, რომ იგი სამსახურიდან დათხოვილი არისო. ამის საპასუხოდ იმ მოსამსახურემ ჩურჩულით უთხრა რეზოს, თუ რა თქვა ქათამაძემ წასვლის წინ.

— ეს შეუძლებელია! ვის შეეძლო მთავრობის ჩამოგდება?! — გაკვირვებით თქვა რეზომ.

— რა მოგახსენოთ, ქათამაძემ კი აგრე თქვა!.. ახლა მითხრეს ტელეფონითო.

— ჰოდა... მეც მაგისთანებისთვის ვითხოვ სამსახურიდან მაგ კადნიერ ვაჟბატონს!

ამ დროს ვიღაცამ ბანკში შემოარბენინა ცალკე ფურცლებზე ვეებერთელა ასოებით დაბეჭდილი დეპეშა, რომელშიც მოკლედ იყო ნათქვამი, რომ პეტროგრადში თვითმპყრობელური მთავრობა დაემხო და მის ადგილას დროებითი მთავრობა შედგაო. ქათამაძე ისევ აჩქარებით შემობრუნდა: საწერი მაგიდის ყუთში რაღაც დავიწყებოდა. მაშინვე შემოესივნენ მოსამსახურენი და მოუთმენლად ეკითხებოდნენ, თუ რაში იყო საქმე, ქათამაძემაც წამსვე დაიწყო დეპეშის განმარტება. მის გარშემო უცებ შეიკრიბნენ ყველანი და გაფაციცებით უსმენდნენ. პირველად რეზო განზე იდგა და სრულებითაც არ უნდოდა ვიღაც ქათამაძის განმარტების მოსმენა, მაგრამ შეატყო, რომ ქათამაძის ნათქვამმა ყველას ყურადღება მიიპყრო. ისიც ძალაუნებურად ახლოს მივიდა. რამდენი დაცინვა და სიამაყე გამოიხატებოდა ამ დროს რეზოს სახეზე! ქათამაძე თავისებური მედიდურობით ხსნიდა პეტროგრადში მომხდარ ამბებს:

— ჩვენ გავიმარჯვებთ! მუშათა კლასი...

ამ ამბავმა ხომ საბოლოოდ გადააწყვეტინა რეზოს ქათამაძის სამსახურიდან დათხოვნა.

მაგრამ, ჰოი საშინელებავ! საღამოზე ისევ ის ქათამაძე გვერდით მოუჯდა მას საზოგადო მოღვაწეთა კრებაზე და რიხიანად დაიწყო მსჯელობა.

მართალია, ცუდი არაფერი უთქვამს, პირიქით, ძალიან ჭკვიანურად ილაპარაკა. მაგრამ... ქათამაძე მაინც ქათამაძეა...

23

ნეტავი არ გათენებოდა ევას მეორე დღე: სინათლეს თვალებს ვერ უსწორებს, დარცხვენილია, საბნიდან თავი ვერ გამოუყვია, მის ხელთ რომ იყოს, საუკუნოდ დააბნელებდა, მთელ ქვეყანას კუპრის სამოსელში გახვევდა, რათა მასთან ერთად არც სხვას გაეხილა თვალი. რა ქნას, როგორ გაიაროს საზოგადოებაში, როგორ დაიჭიროს თავი?

ეგონა, ვითომ მოეწყო, ფეხი მოიმაგრა, ურყევ ნიადაგს დაეყრდნო. ჰპოვა ნავსაყუდარი და უცებ ყველაფერი თავდაყირა დგება, ინგრევა და უფსკრულში ვარდება. მერე რამდენჯერ მოუვიდა ასე? განა ერთხელ დაეცა ბედნიერების კოშკი? რა უთხრას ორ შვილს, რომელნიც შალვა ღრუბელიანისაგან ჰყავს? დაუმალოს თავისი წარსული, როგორც დღემდის უმალავდა, თუ ყოველივე გაუმხილოს? საწყალი სოფო! როგორი აღფრთოვანებითა და ამპარტავნული გამომეტყველებით უსმენდა დედას, როდესაც „მარსელიოზას“ უკრავდა! რამდენი სიამაყე გამოიხატებოდა იმ წუთს ახალგაზრდა ქალის სახეზე, რომელიც ასე აღტაცებით შეხვდა რევოლუციას.

რატომ არ იცის, ვინ არის მისი ღვიძლი მამა!

გუშინ, როცა ევამ „მარსელიოზა“ დაუკრა, აღფროვანებული სოფიკო შურდულივით გაექანა დედისკენ, მაგრამ დედამ ცივად ჰკრა ხელი, თითქოს რაღაც სინდისის მქენჯნავ მოგონებას იშორებდაო და ოთახისაკენ მიმავალმა, თავიდან მოიშორა აღფრთოვანებული ქალი, რომელსაც ამ დროს ხელიდან გაუვარდა თავისი საყვარელი პოეტის, კორდელის ლექსთა კრებული.

ოჰ, ეს კორდელი და მისი ლექსები! რომ ვერ მოაშორა თავის ოჯახს, რომ ვერ გადაჰკარგა შორს! რამდენჯერ დაუმალა სოფოს, რამდენჯერ ურჩია არ წაეკითხა ეს წიგნი, მაგრამ არაფერი გაუვიდა.

ამ წიგნის გამოსვლამ თავზარი დასცა ევას და დიდი ხნის განმავლობაში ისე ეშინოდა მისი, როგორც საშინელების. არც კი იცოდა ამ შავბედითი წიგნის შინაარსი, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი, წაიკითხა თუ არა ავტორის ფსევდონიმ-, მაშინვე, თითქოს თავს მეხი დაეცაო, დარეტიანებულივით გაშორდა იქაურობას და მთელი კვირის განმავლობაში გონზე ვეღარ მოვიდა. ცდილობდა არ ეფიქრა ამ წიგნზე, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ლექსებმა მალე მიიქციეს საზოგადოების ყურადღება და ევაც რამდენჯერმე მოხვდა ისეთ წრეში, სადაც ამ კრებულზე იყო ბაასი. სხვა დროს და სხვა პირობებში ასეთი მუსაიფის დამწყები თუ გამგრძელებელი უსათუოდ ევა იქნებოდა, მას ძვირად გამოეპარებოდა ქართულ ენაზე ახალი წიგნი, — რუსულ ლიტერატურასაც ძალიან ეტანებოდა — მაგრამ კორდელის წიგნს შავი ჭირივით გაურბოდა.

ერთ დღეს ეს საშინელი წიგნი მის ოჯახშიც შემოვიდა. ევამ არ იცოდა, რითი და რა საშუალებით განედევნა იგი სახლიდან:

— ღმერთო ჩემო, ეს რა კარგი პოეტი ყოფილა, — გაიძახოდა სოფიკო წამდაუწუმ და რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის მთელი წიგნი გაიზეპირა. — რამდენი სევდაა ამ ლექსებში, რამდენი! თანაც რამდენი სიხარული და აღფრთოვანება! — დღეში ასჯერ მაინც ეტყოდა დედას და თან რომელიმე ლექსს ზეპირად ჩაარაკრაკებდა.

და გუშინ, როცა ასეთი საშინელი ამბავი დატრიალდა, მისი საყვარელი ქალი სოფო, რომელიც ნათლად აგონებს მას პირველ ქმარს, ამ საშინელი წიგნით აღფრთოვანებული მიექანება დედისკენ და გადაკოცნას უპირებს... მაგრამ მოგონებებით შეპყრობილმა დედამ არ მიიღო უმანკო შესაწირავი. როგორ შეკრთა მაშინ სოფიკო, როგორ ეწყინა!

— რომ იცოდე, შვილო, რა ცეცხლი გიზგიზებს დედაშენის გულში.

სოფომ იცის, რომ რეზო მისი მამინაცვალია; მამაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს: გაურკვეველად იცის, რომ რომელიღაც სოფელში ახლაც ცხოვრობენ მისი ღვიძლი ბებია და ბაბუა, მგონი კიდეც უნახავს ისინი, სიზმარივით ახსოვს.

რამდენიმე წლის უკან დედამ სოფლად წაიყვანა ის და მისი პატარა ძამიკო. სოფიკოს ახსენდება, რომ ბაბუაც და ბებიაც შვილიშვილების დანახვაზე მწარედ ტიროდნენ, გულამოსკვნით ქვითინებდნენ და თან ეხვეწებოდნენ ევას: აქ დარჩი, ნუ დაგვტოვებო.

ევამ კარგად იცის, რომ ამის მიზეზი თვითონაა, მან დააშორა შვილიშვილები მოხუცებს; ის არის, რომ მუდამ ცდილობს, ბავშვებმა საკუთარი მამა არ მოიგონონ და მხოლოდ რეზო უყვარდეთ. და დღეს ევას წინაშე ხელახლა საშინელი სიძლიერით აღიმართა ეს კითხვა: როგორ მოიქცეს? განაგრძოს ძველი გზა და ღრუბელიანის შვილებს მამის მაგიერ მამინაცვალი დააფიცოს, თუ გადაშალოს თავისი გული მათ წინაშე და დაწვრილებით გააგებინოს ყოველივე?!

ის გზა, რომელზედაც იგი დღემდის იდგა, ხომ მოტყუილე-

ბის გზაა, სიცრუეზე და სიყალბეზე დაყრდნობილი! მერე რა, თუნდაც ასე ყოფილიყო, ვის რა წაუხდებოდა ამით? ევაც ბედნიერი იყო და მისი შვილებიც. მაგრამ დღეს?..

ოჰ, ეს საშინელი რევოლუცია!

— ეხე... ხე! — ამოიგმინა ევამ. — რას მოვესწარით ამას? ერთ დროს თავგამოდებული მებრძოლი, დღეს რევოლუციას ვგმობ!.. ღმერთო ჩემო, რა რკალში მოვემწყვდიე! ნუთუ დაღუპული ვარ?

უცებ ზეზე წამოიჭრა და საჩქაროდ შეუდგა ჩაცმას. ყოველი მისი მოძრაობა თამამი და გაბედული იყო, წეღანდელი ტანჯვისა და სულიერი მღელვარების ნასახიც კი არსად იყო, ქოველივე ის თავიდან მოიშორა... ჩვეულებრივი ნაბიჯით გავიდა სასადილო ოთახში, სადაც კარგა ხანია ელოდნენ.

ლამაზად გადავარცხნილი და მოხდენილად ჩაცმული რეზო სწრაფად მიეგება ცოლს და ხელები დაუკოცნა. ევა თავის მხრივ ჩვეულებრივ მიესალმა ქმარ-შვილს და მაგიდას მიუჯდა. არ ეამა ევას რეზოს ასეთი შეხვედრა. ჩინოვნიკური ცერემონიის მონაა ჩემი ქმარიო, გაიფიქრა და ელვის სისწრაფით გაირბინა მის თვალწინ შალვა ღრუბელიანის სახემ.

24

პეტროგრადის ამბები გრიგალიეით დატრიალდა... ხალხი გაფაციცებით ეძებდა ახალ ამბებს: ასკდებოდნენ რედაქციებს, იტაცებდნენ დეპეშებს, იმართებოდა კრებები, მიტინგები.

ყოველ ახალ წუთს ახალ-ახალი ამბები მოჰქონდა. სახელმწიფო დუმის აღმასრულებელი კომიტეტი, როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე, სკობელევი, მეფის ტახტიდან გადადგომა, ფრონტის გახსნა, რევოლუცია გერმანიაში...

— გვეშველება, ომი გათავდება... ზავი ჩამოვარდება, იძახდა ხალხი.

— გავთავისუფლდით, გავთავისუფლდით!...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. — ყიჟინებდა არემარე.

— მობილიზაციის მეშინოდა, აწი რა მიჭირს!..

— ახლა კი დაადგებათ სპეკულანტებს ქაი დღე! კიდევ გადამალავენ საქონელს? ნახავ, რომ ჩალის ფასად გახდეს ყველაფერი!..

— მაშ, მაშ!.. დღეიდან ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!..

იყო დაუსრულებელი ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა. ვინ შვილის დაბრუნებას მოელოდა ბრძოლის ველიდან, ვინ — ახლო ნათესავის დაბრუნებას, ეგონათ, ომი ახლავე შეწყდებოდა, ვინ საქონლის გაიაფებაზე ოცნებობდა. სიცილი, აღტაცება, კოცნა, მილოცვა... და ამბები, სულ ახალი ამბები... ერთიმეორეზე წარმტაცი, ერთიმეორეს დამფარავი...

— ახალი მეფე... მიხეილ ნიკოლოზის ძე... საერთო ამნისტია... მიწები ხალხს უნდა გადაეცეს... გერმანიის მეფეც ჩამოუგდიათ, — გაისმოდა წამდაუწუმ ქუჩებში.

ხალხი ირეოდა, ნერვიულობდა.

— ტელეგრამ... ტელეგრამ, — გაჰკიოდნენ ქუჩებში მეგაზეთეები და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

რევოლუცია ფრთებს შლიდა, მის ტალღათა ბრუნვა თანდათან ძლიერდებოდა, ამოვარდნილი გრიგალი ყოველ წუთს ძალას იკრებდა...

მთელი ქალაქი ქუჩაში გამოფენილიყო.

სიცილი, ერიამული... ხარხარი..

დღეს დიდი მიტინგია დანიშნული...

დგება მუშათა საბჭო... სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები კლუბებს ხსნიან, პარტიულ კრებებს აწყობენ, ათასნაირი წარწერიანი დროშები მხიარულად ფრიალებენ სახლებიდან...

სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები, — ყველას პირზე ეკერა ეს სიტყვები. ყველა ცდილობდა რომელიმე პარტიას მიკედლებოდა.

ამაყად იდგნენ წესიერების ახალი დამცველნი, მოწაფეახალგაზრდობას მკლავზე წითელი ლენტები გაეკეთებინათ, მუშაობისთვის ხელი ვერ მოეკიდათ, დაუსრულებელი მსჯელობა, ამბები, ჭორები...

ევა შუშანიკასთან ერთად დასეირნობდა, ხორციელად აქ იყო, სულიერად კი, ვინ იცის, სად დაფრინავდა და რაზე ფიქრობდა!

უპირველეს ყოვლისა, უნდოდა გაეგო ვინ იყო ის ქალი, რომელიც გუშინ აღმასრულებელი კომიტეტის წევრად ამოერჩიათ. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა პირდაპირ ეკითხა

იმ ქალის ვინაობა, ამიტომ შეუმჩნევლად უნდოდა გაეგო ვინ იყო იგი.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრად არჩეული ქალი იყო ერთ დროს ევას კარგი ნაცნობი რევოლუციონერის, სერგო ცრემლაძის, თანამებრძოლი მეუღლე, ევა თვითონ ამ ქალსაც იცნობდა, მაგრამ მერე, დროთა ბრუნვაში, მიივიწყა. ან კი რა მისი საკადრისი იყო ღარიბულად ჩაცმული ქალი, რომელიც ხშირად სამრეცხაოშიც კი მუშაობდა და ჯერ რომ თეთრეულის რეცხვით ჰქონდა ხელები გამოთეთრებული, მერე უთოს გამო ხელისგული სულ დაბებრებოდა. დღეს კი საქვეყნო ადგილზეა წამოსკუპებული...

ევას დიდი ხანია არ ენახა სერგო ცრემლაძე. ნეტავი სად უნდა იყოს ახლა სერგო? ერთი მხრივ ეამა, რომ მისი ნაცნობი ადამიანები ასე მოულოდნელად ამოტივტივდნენ მის თვალწინ, ხოლო მეორე მხრივ საშინელი სირცხვილი, დამცირება და მიწასთან გასწორება იგრძნო...

„იმ ქალმა ყოველგვარი ტანჯვა გადაიტანა, ერთგულად შერჩა ერთხელ არჩეულ გზას და არც დაეკარგა ნაშრომი... მე კი? მე?“ — ფიქრობდა ევა და წარბებშეკრული დახეტიალობდა.

რა დღე გაუთენდა? ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე იდგა და უცებ აგრე უმოწყალოდ ძირს ჩამოისროლეს. სხვაზე ნაკლები მაინც იყოს აზრით, ჭკუით, მომზადებით!.. მიიღოს ევამ ეს რევოლუცია თუ არა? იწამოს იგი თუ უარყოს?.. განა ასეთი საკითხი კიდევ უნდა არსებობდეს ევასათვის? აკი ის უკვე გადასჭრა მან პირველი რევოლუციის შემდეგ და გარკვეულ გზაზედაც შედგა? მაშ, რად დასჭირდა ისევ ამ საკითხის დაყენება თავის თავის წინაშე? შეშინდა? დაიბნა?

— სალამი მანდილოსნებს, სალამი! — მიაძახა მას ვიღაცამ.

უცებ საიდანღაც პიერი გაჩნდა, მან ქუსლი ქუსლს მიარტყა, მხედრულად გაიჭიმა და მხიარულად შეჰყვირა:

— მანდილოსნებს გაუმარჯოს, მანდილოსნებს!

— რა ამბავია, რა გიჟივით ყვირი?!

— როგორ თუ რა ამბავია? განა პოეტის გული შეიძლება ამ დროს არ შფოთავდეს? იმ დროს, როდესაც ხალხი გრგვინავს!... ერი იღვიძებს! მტარვალი დაემხო! — ქვეყანა ხარობს! მიწა ჰყვავდება! ცა ელვარებს... სამყარო ზანზარებს...

— კმარა, კმარა!..

— რომ იცოდე, შუშა, რა ლექსი დავწერე წუხელ! მთელი ღამე არ დამიძინია. მუზა არ მომეშვა! მერე რა ორიგინალური სათაური აქვს: „წითელი მოზვერი“... რა ფორმა! რა სილამაზე! ხა-ხა-ხა... შუშა, გარწმუნებ, რომ მოგეწონება, სალამოს ვაწყობ, წითელ სალამოს და იქ უნდა წავიკითხო, შენც უნდა მიიღო მონაწილეობა. გამოაფინე შენი რითმები: სიხარული — სიყვარული, ლევანი — მტევანი, ხელი — ცელი, დედა — ბნედა...

პიერი უცებ ჩაყლაპა ხალხის ტალღამ.

— რა ამბებია, დედა, რა ამბები! — ჩიტივით მიუჭიკჭიკა სოფიკომ და დედას მკლავზე ჩამოეკიდა.

„სულ შალვას თვალები აქვს, ენაცვალოს დედა,“ — გაიფიქრა ევამ.

— აა, თქვენც აქა ხართ? — შეეკითხა მათ რეზო, რომელსაც იღლიაში გაზეთების მთელი გროვა ამოედო და შინ მიდიოდა.

დღეს მის ბანკში ციებ-ცხელება იყო: ვის ფული გაჰქონდა, ვის შემოჰქონდა, ყველა ნერვიულობდა, ყველა ჩქარობდა. ეს ნერვიულობა და საერთო აფორიაქება რეზოსაც გადაედო და საშინელ გაურკვევლობაში ჩააგდო. „რა მოჰყვება ამ ამბებს!.. რა სახეს მიიღებენ ფინანსიური ოპერაციები?!“

„საბრალო, — ზიზღით გაიფიქრა ევამ, — დღემდის მისი საკითხავი მასალა ბირჟის ცნობები იყო, ახლა კი გაზეთებისთვის მოუკიდნია ხელი. არ გაემტყუნება, აღმასრულებელი კომიტეტის წევრია, მთავრობაა!..“

25

სერგო ცრემლაძე ღარიბი დიაკვნის შვილი იყო. მამამისის ოჯახს მწიგნობრობის ბეჭედი ესვა: იქ ყველამ წერა-კითხვა იცოდა, განსაკუთრებით კი სერგოს დედამ, რომელსაც არა ერთ და ორ ყმაწვილ ქალისთვის უსწავლებია კითხვა და ლოცვები.

მოკითხვის წერილის წაკითხვა თუ დაწერა მთელ უბანში მისი საქმე იყო. სახლის ერთ კუთხეში რამდენიმე ხატი ეკიდა,

კედლებზე მეფის და დედოფლის უბრალო სურათები იყო მიჭედილი. სამოციქულოს გვერდით „კარაბადინი“, „ქალვაჟიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ იდო ხისა და ტყავის მაგარ ყდებში ჩაჭედილი. „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა სერგოს მამას ზამთრობით უყვარდა, რამდენიმე ადგილი ზეპირადაც კი იცოდა.

სერგო მათი უფროსი ვაჟი იყო. ექვსი წლის ბავშვი მამამ „ძმასავით ამოიყენა გვერდით“ და ამნაირად ერთი მუშახელი მიამატა დიაკონმა მის ოჯახს. გზადაგზა წერა-კითხვასაც ასწავლიდა და ბოლოს სასულიერო სასწავლებელში მისცა.

— ჩემი სერგო მალე სემინარისტი იქნება, ისეთი მღვდელი იქნება, ისეთი, რომ!.. — სიამოვნებით იტყოდა ხოლმე გლეხებში და თავმომწონედ მიიხედ-მოიხედავდა.

სერგომ ისე მიაღწია სასულიერო სემინარიის მესამე კლასამდის, რომ სულ პირველთა რიცხვში იყო. მაგრამ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, თავს დაატყდა დიდი უბედურება: მოსწავლეებმა ერთი უგვანო საქციელის გამო სემინარიის დირექტორს პროტესტი განუცხადეს. პროტესტის ინიციატორად სერგო იცნეს და „ოცდაოთხი საათის განმავლობაში“ სასწავლებლიდან გამოაძევეს, თანაც ისეთი მოწმობა მისცეს, რომ ვერც ერთ სასწავლებელში ფეხს ვერ შედგამდა.

სერგოს პირველად თავზარი დაეცა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ცხოვრების გზაზე აცურებული ფეხი დროზე შეიმაგრა: სამსახური იშოვნა.

შვილის უბედურებით სასოწარკვეთილებამდე მისულმა მამამ მალე მოიბრუნა პირი სერგოსაკენ.

— ღმერთო, გმადლობ შენს წყალობას, რომ ჩემი საწყალი ლუკმით გაზრდილ შვილს ხელი მოუმართე და განსაცდელისაგან იხსენი, — ხელაპყრობით ამბობდა დიაკონი, — ჩემი სიმართლე არ დამიკარგავს მის თავს.

სერგო ნელ-ნელა დაუახლოვდა მუშათა წრეებს და მალე საპატიო ადგილიც დაიჭირა მათ შორის. ენერგიულად ეწეოდა ფარულ რევოლუციურ მუშაობას. როცა მუშათა კლასი ამოძრავდა და თავის უფლებათა დასაცავად ხმალი აიღო ხელში, სერგოც მათ რიგებში იდგა და მედგრად იცავდა ხალხის ინტერესებს.

ამ ხანებში სერგომ ცოლად შეირთო ერთი ღარიბი ქალი,

რომელიც მასთან ერთად ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას. ამ ქალს მცირე განათლება ჰქონდა და ერთ სასწავლებელში ხელსაქმეს ასწავლიდა.

კესიკო სერგოს გაცნობამდისაც საკმაოდ იცნობდა იმ ფარულ წრეებს, სადაც რევოლუციური ცეცხლი მზადდებოდა. სისტემატურად კითხულობდა რადიკალურ ჟურნალ-გაზეთებს და ამნაირად საკმაოდ მომზადებულმა კესიკომ სულ იოლად შესძლო ქმართან ერთად დაეწყო ნაყოფიერი მუშაობა ხალხის გათვითცნობიერებისა და ამოძრავების საქმეში. ცოლ-ქმარი უანგაროდ და თავგამეტებით ეწეოდა სახალხო მუშაობას, აღფრთოვანებული მიიწევდნენ თავის საყვარელ იდეალებისაკენ. მაგრამ შეტრიალდა თუ არა ცხოვრების ჩარხი, დამარცხდა თუ არა სახალხო მოძრაობა, ისინი მსწრაფლ გარიყა ცხოვრებამ და ერთი დაკვრით ჩააბრუნა ისევ იმ ნაჭუჭში, საიდანაც ამოატივტივეს აქაფებულმა ტალღებმა. სერგოს წინ გადაეშალა არალეგალური ცხოვრების გზა, ასეთივე იყო კესიკოს ხვედრიც. ცოლ-ქმარი ცუდ პირობებში ჩავარდა, მათ შვილებიც ჰყავდათ, რაც მათ მდგომარეობას ართულებდა.

რეაქციის პირველი ხანების მძვინვარებამ ჩაიარა. სერგომ, როგორც იქნა, თავი დააღწია პირდაპირ საფრთხეს. მას შემდეგ ნახევრად ლეგალურად მაინც შეეძლო ცხოვრება და ლუკმაპურისათვის ბრძოლაც გაუადვილდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი თავგამოდებით ებრძოდა ცხოვრების სიდუხჭირეს იმ იმედით, რომ მაშვრალთა საქმე კიდევ გამოსწორდებოდა და ტანჯულებთან ერთად ისინიც გაიხარებდნენ. უიმედობა ერთი წუთითაც არ დაუფლებია მათ სულსა და გულს, ერთხელაც კი არ უთქვამთ ბედის მიმართ სამდურავი.

სერგო სალ კლდესავით იდგა ძველ გზაზე და ზიზღით იხსენიებდა ზოგიერთ თავის ამხანაგებს, რომელნიც იმ ბედნიერ დღეებში, რევოლუციის დროს მის გვერდით იყვნენ, ხოლო განსაცდლის ჟამს სულმოკლენი აღმოჩნდნენ.

სერგო ახალ პირობებში ცოლის დახმარებითა და ხელის შეწყობით ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას: მუშათა გათვითცნობიერებას და შეკავშირებას, ბროშურების ბეჭდვას,

მუშათა პერიოდულ ორგანოებში მუშაობას და სხვა. ამ საქმიანობაში ერთ უბედურ დღეს იგი სხვებთან ერთად არალეგალურ კრებაზე დაიჭირეს და ერთი წლის განმავლობაში ციხეში ყოფნის შემდეგ ციმბირში გადაასახლეს სამუდამოდ.

მარტო დარჩენილი კესიკო შრომას არ ერიდებოდა, ოღონდ შვილებისათვის ეპატრონებია და ქმრისათვის ორიოდე გროში მიეწოდებია. დროგამოშვებით ამხანაგებიც ეხმარებოდნენ. მუშათა წრეებს არ დაეიწყებიათ სერგო და კესიკო. მამამთილიც არ ივიწყებდა და ხშირად ეუბნებოდა: გულს ნუ გაიტეხ, შვილო, ჩემი პატიოსანი ლუკმით გამოზრდილი შვილი უსამართლოდ არ დაიღუპება, სიმართლეს ღმერთი არ დაკარგავს, როცა იქნება გამოჩნდებაო. კესიკო ამ დროს მარტო პირად საქმეზე არ ზრუნავდა. როგორც კი მორჩებოდა ოჯახის საქმეს, მაშინვე საზოგადო საქმეს შეუდგებოდა.

კესიკო ევასაც იცნობდა და მის პირველ მეუღლესაც, შალვა ღრუბელიანს. მშვენიერად იცოდა ყოველივე, რაც ამ ორ ადამიანს შორის მოხდა და ევას რომ უდიერად მოიხსენიებდა, შალვას წინაშე მოწიწებით ქედს იხრიდა. ევა კესიკოს თვალში ერთი იმ სტუმართმოყვარე იყო მუშათა სუფრაზე, რომელმაც, როცა დრო იყო, „წასვა და წაჭამა“, დღეს კი, უკან გამობრუნებულმა, თბილ ადგილზე მოიკალათა.

ხშირად უნახავს მას ევა ბრწყინვალე ეტლში და რჩეულ საზოგადოებაში, რითაც ერთიანად მოშხამვია გული.

რამდენი გაჭირვება არ უნახავს, რა არ გადაუტანია, მაგრამ გული არასოდეს გაუტეხია და გაუმართლდა კიდეც. დღეს, მეორე რევოლუციის დროს, მან მსწრაფლ დაიჭირა შესაფერი ადგილი.

26

მეორე დილით, ჩაიზე, რეზომ შემთხვევით თქვა, რომ კესიკო ცრემლაძის ქმარი, სერგო ცრემლაძე, ციმბირში ყოფილა გადასახლებული და, როგორც მისმა მეუღლემ განაცხადა, ამნისტიას მიიღებს და მალე დაბრუნდებაო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ევა გაშეშდა. უნდოდა დაწვრილებით ეკითხა ეს ამბავი, მაგრამ შეეშინდა, ეგების თავი ვერ შევიკავოო, და ხმაამოუღებლივ თავის ოთახში გავიდა.

— მაშ ასე, შეიძლება ყველაფერი დაიღუპოს!.. ჩემი ბედი ბეწვზე ჰკიდია... სერგო ცრემლაძე ჩამოვა. რასაკვირველია, ჩამოვა... როგორ ვერ მოვიაზრე აქამდის, რომ რევოლუციას ამნისტია მოჰყვებოდა! როგორ წამერთვა მოფიქრების უნარი! ყველაფერი იღუპება, „ისიც“ შეიძლება ჩამოვიდეს. ყველაფერი იღუპება, -- ბუტბუტებდა ნერვებაშლილი და თვალებგაშტერებული ევა.

მისი ყოველი მოძრაობა შეუგნებელი და ანგარიშმიუცემელი იყო. თვალები გაგანიერებოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

— მაშ, ყველაფერი დაიღუპება... ყველაფერი... შალვა... შალვა... ჩემო შალვა!

დიდხანს იდგა ევა გაშტერებული. ამ მდგომარეობიდან შუშანიკამ და სოფომ გამოიყვანა. ისინი ამ დილით ქუჩაში გავიდნენ ახალი ამბების გასაგებად და ახლა შინ შემობრუნდნენ.

— იცი, დედა, რა არის ახალი? — შემოიფრთხიალა ოთახში სოფიკომ. — მთელ რუსეთში ამნისტია გამოუცხადებიათ და ყველა ტუსაღი გამოუშვიათ... პოლიტიკური დამნაშავენი გაუთავისუფლებიათ...

ევას ხმა არ ამოუღია, თითქოს ტყვია ესროლესო, ისე შეკრთა.

— დედა, რა მოგივიდა?

—არაფერი, ჩემო კარგო, არაფერი...

სოფიო წყლისათვის გავარდა.

— ევა, ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ, — დააიმედა შუშანიკამ და გვერდით მიუჯდა. კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა მის დასამშვიდებლად. ევაც მიხვდა, რომ გასცა თავისი თავი და თავმოყვარეობა შეელახა, არ უნდოდა ეჩვენებინა შიში და დამცირება.

-— მე არაფრის არ მეშინია, მაგრამ... მიშველე!.. შალვა ჩამოვა. შალვა ჩამოვა... ჩემი შალვა, ჩემი შალვა!..

— ნუ გეშინია, ევა, ყველაფერი მოგვარდება, ის არ ჩამოვა, არა. რამდენი ხანია, მისი არაფერი ისმის.

ევამ კარგა ხანია, რაც თავისიანები დაარწმუნა, რომ შალვა ციხეში გარდაიცვალაო, მაგრამ შუშანიკას ეს ამბავი არა

სჯეროდა. მერე კი, როცა შალვას ლექსთა კრებული გამოვიდა, ამაში აშკარად დარწმუნდა, თუმცა ევასთვის არაფერი უთქვამს. ევამ კარგად იცოდა, რომ შუშანიკასათვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ამ კითხვაზე არასოდეს მათ ბაასი არ ჰქონიათ. რამდენიმე წლის განმავლობაში მოხერხებულად გაურბოდნენ ამ საკითხს. ევას გარშემო საშინელი კვანძი გაინასკვა: ყველა საკითხი, რომელიც ერთ დროს თითქოს გადაწყვიტა, დღეს მოულოდნელად გარს შემოეხვივნენ და შთანთქვას უპირებდნენ.

პირველად, როცა შალვას კატორღაში გაგზავნის შემდეგ ევამ იდეურად უარყო ძველი გზა და თანაც ამ დროს რეზოს დაუახლოვდა, ჩუმ-ჩუმად ხმებს ავრცელებდა — თითქოს შალვა ციხეში გარდაცვლილიყო, მერე რეზოსთან ერთად საცხოვრებლად რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში წავიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი თავი ერთიანად დაავიწყა საზოგადოებას და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამობრუნდა სამშობლოში.

რეზოც დარწმუნებული იყო, რომ ევას პირველი ქმარი გარდაიცვალა, შალვას მშობლებიც, ევას მეოხებით, ერთ ხანს ძალიან დაეჭვებული იყვნენ დაკარგული შვილის სიცოცხლეში, ამ ეჭვს ევას მეორედ გათხოვება ჰბადებდა, რაც შემთხვევით გაიგეს, ვინაიდან ევამ შალვას მშობლებთან კარგა ხანია გასწყვიტა ყოველივე კავშირი. ყოველ შემთხვევაში, შვილის ცოცხლად დაბრუნების იმედი არც მათ ჰქონიათ. თავის მხრივ ევას უკვე რამდენიმე წელიწადია ერთი სიტყვაც კი არ მიუწერია შალვასათვის, არც შვილების შესახებ უცნობებია რაიმე: დარწმუნდეს, რომ ჩვენ მისთვის სამუდამოდ დაღუპული ვართო, — ფიქრობდა ევა: დიახ, ასე ოსტატურად დაუძვრა ევა ცხოვრების ხლართს, მაგრამ ეს სხვა პირობებში მოხდა, ამიტომ ყველაფერი იოლად მოგვარდა. დღეს კი, როცა საქმე სხვაგვარად დატრიალდა, გამოირკვა, რომ ევას თურმე სრულიად მოუფიქრებლად და ბავშვურად გადაეწყვიტა თავისი ცხოვრების საკითხი.

რამ გამოაყეყეჩა ეს ჭკვიანი ადამიანი, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი? ვის რა პასუხი გასცეს, რითი იმართლოს თავი? განა ასეთ ადამიანად ეხატებოდა მას თავისი თავი ცხოვრების განთიადისას? აი, იმ დროს, როცა ზიზღით იგო-

ნებდა ბაბუას მიერ მისი მამის მოკვლის განზრახვას, მამის საქციელს, დედის ყოფაქცევას...

— რა ვქნა?.. რა ვქნა?! — ჩურჩულებდა ანგარიშმიუცემლად.

უცებ ზეზე წამოიჭრა.

— მე მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავ და კიდეც ვიყავ ბედნიერი! მე მინდა ბედნიერი ვიყო და კიდეც ვიქნები ბედნიერი! მე ჩავიდინე ის, რაც მე მინდოდა! რას ჰქვია ჩემი დანაშაული? მე არავის წინაშე დანაშაულს არ ვგრძნობ! ჩემი სინდისი წმინდაა, ჩემი ნამუსი შეუბღალავია!

— ევა, რა გემართება, რა მოგდის? — შეშინებული ეკითხებოდა შუშანიკა.

— შუშანიკ, — მიმართა მას ევამ, — შენ ყველაფერი იცი, იცი, რა დღეში ვარ, იცი რაც მომელის, მე ჩემი ბედი ყოველთვის საკუთარი ძალ-ღონით წარმიმართავს, ჩემი საკუთარი ცხოვრების წინამძღოლი მუდამ მე ვიყავი! ეს მომავალშიც ასე იქნება: მარტო მივლია და მარტო ვივლი. შეგიძლია ჩემთან იყო, შეგიძლია წახვიდე, ეგ შენი ნებაა, მაგრამ ეს კი უნდა იცოდე, რომ ჩემი საიდუმლო არ გაიტანო. ეს ოთახი და შენ — აი, ვინა ხართ ჩემი გულისნადების მოწმენი. რაც აქ მოხდა, მარტო ჩვენ სამმა უნდა ვიცოდეთ...

ნაწილი მეორე

1

1917 წლის თებერვლის ამბები შალვა ღრუბელიანმა გადასახლებაში გაიგო იმ დროს, როცა იგი საღამოზე გადათვლის შემდეგ ძილისათვის ემზადებოდა.

ჩაფიქრებული შალვა ლოგინს შლიდა: ამ დროს ვიღაცამ საკანის ვიწრო სარკმელზე დააკაკუნა. შალვამ იცოდა, რომ საღამოს გადათვლის შემდეგ მათ საყარაულოდ ახალი დარაჯი დადგებოდა.

ეს დარაჯი აგერ მესამე თვეა, რაც აქ მსახურობდა. შედარებით ახალგაზრდა იყო, სხვებისაგან ნაკლები სიმკაცრით გამოირჩეოდა.

ერთადერთი კაცი, რომელსაც საკატორღო ციხის ჯურღ-მულებში შემოჰქონდა გარეშე ცხოვრების ნიშანწყალი, ახალი დარაჯი იყო. მის მოსვლას ტუსაღები ყოველთვის მოუთ-მენლად მოელოდნენ. ამიტომ იყო, რომ შალვამ ხმაურის გა-გონებისთანავე სარკმელისაკენ მიიხედა.

— ახალი ამბავი თუ იცით? — მოისმა დარაჯის აჩქარე-ბული ხმა. — პეტროგრადში აჯანყებაა!.. მინისტრები დაიჭი-რეს!.. ახალი მთავრობა შემდგარა!.. მეფე გაქცეულა!..

დარაჯი სწრაფად მოშორდა სარკმელს — უფროსისაგან შენიშვნის მიღების ეშინოდა და ვითომ აქ არაფერიაო — დინჯად დაიწყო სიარული ბნელ დერეფანში, იგი უაღრეს სიამოვნებას განიცდიდა, რომ ასეთი კარგი ამბავი მოუტანა ამ ცოცხლად დასამარებულ ადამიანებს.

შალვასთან ერთად პატარა საკანში კიდევ სხვა ორი ტუსა-ღი იყო: ქართველი — სიმონიკა აბზიანიძე და რუსი — ელასი.

სამთავეს ერთნაირად ეცვათ: რუხი ტანისამოსი და რუხი-ვე ქუდები, ფეხზე ერთნაირი ჩუსტები, კოჭებზეევით ერთ-ნაირივე ბორკილები; შუაზე გასკვნილი და თასმებით წელზე მიმაგრებული.

მათი ერთმანეთისაგან გარჩევა არც ისე იოლი იყო: უფე-რულ, სანგრძლივ ცხოვრებას და ერთნაირ პირობებში ყო-ფნას მათი სახეც კი ერთმანეთისათვის დაემსგავსებინა: ჩაყვითლებული და დაბეჟილ-დასიებული ლოყები, დათალ-ხული თვალები და ერთნაირად გაპარსულნი.

დარაჯის სიტყვები ტუსაღებმა კარგად ვერ გაიგეს, ლო-გინის გაშლას თავი ანებეს და სარკმელს მიცვივდნენ. ყველა-ზე წინ სიმონიკა აბზიანიძე მივარდა.

— გაიმეორე, კუზმა, რა თქვი, გაიმეორე! — უთხრა სიმონიკამ.

დარაჯი თუმც დინჯად იდგა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ მხარში რაღაც ეშმაკი უჯდა და მოსვენებას არ აძლევდა. წამდაუწუმ იღიმებოდა, ტუჩებს განგებ კუმშავდა, წარბებ-საც ძალად იჭმუხვნიდა, განუწყვეტლივ ბოლთასა სცემდა და ცალი თვალით რომ შალვას საკანს მიჩერებოდა, მეორე იქით მიეპყრო, საიდანაც უფროსის გამოჩენას ელოდა.

სიმონიკა აბზიანიძე მაშინვე შიხვდა, რომ კუზმას რაღაცა ამბავი აწუხებდა: ასე იცოდა ხოლმე ყოველთვის, როცა საყურადღებო რამეს გაიგებდა.

ახალი ამბების მიტანა კუზმას საქმე იყო. ტუსაღები სარგებლობდნენ მისი გულკეთილობით, მუსაიფის სურვილით და როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, მაშინვე აალაპარაკებდნენ ხოლმე. კუზმაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა: ჩაი, შაქარი, თუთუნი და მორჩენილი პური არავის ეშურებოდა მისთვის.

— კუზმა, თქვი, რას უყურებ! — გაუმეორა სიმონიკამ.

— სატახტო ქალაქში ბუნტია!.. ჩვენს ქალაქში ახლა მიტინგია, მთელი ხალხი იქით მიდიოდა, პოლიცია სულ დაიჭირეს და აქ მოათრევენ... ხა... ხა... ხა... თქვენ გაგიშვებენ... — ამბობდა კუზმა ღიმილით და ბოლთას სცემდა.

— კუზმა, ტყუილი იქნება, ვინ გითხრა?..

— როდის მომიტყვილებიხართ?.. გეუბნებით, ასეა და დამიჯერეთ. პოლიციის ვირთხებს სულ აქ მოათრევენ...

კუზმამ ეს სიტყვები ისეთი დარწმუნებითი კილოთი თქვა, რომ ტუსაღებმა მაშინვე დაიჯერეს მისი ნათქვამი.

ტუსაღისთანა იმედიანი და ყველაფრის დამჯერე არავინ არის ქვეყანაზე: სახრჩობელაზე რომ აიყვანენ, მაინც სჯერა, რაღაც სასწაული მოხდება და განთავისუფლდება. ყოველგვარ სმას და ყურმოკრულ ამბებს სინამდვილედ ღებულობს და მყისვე შეუდგება სასიამოვნო ოცნებას: როგორ განთავისუფლდება ციხიდან, როგორ ნახავს თავისიანებს, მტერს მტრულად მიეგებება, მოყვარეს მოყვრულად და ამნაირად მთელი მისი სიცოცხლე იმედებში გადის.

სიამოვნებით გარინდებული სიმონიკა აბზიანიძე თვალებში მიჩერებოდა შალვას, აბა, რას იტყვისო. ბოლოს სიმონიკას მოთმინებასაც ბოლო მოეღო და გიჟივით გადაეხვია შალვას.

— გვეშველა, გვეშველა!... ხა... ხა... ხა!.. რევოლუცია! რევოლუცია!.. დაბრუნდა პიატი გოდა, დაბრუნდა!..

— ყველა გახარებულია! ახლა კი დავამარცხებთ გერმანელებსო... სპეკულანტებს დედას ვუტირებთო, — განაგრძობდა კუზმა.

კიდევ წუთი და სამივენი ხარხარებდნენ, თრთოდნენ, იცინოდნენ.

წლების განმავლობაში ფიქრისა და გრძნობის სამეფოში ყოფნის გამო ნერვებად ქცეულნი ძლივს იმაგრებდნენ მოულოდნელი სიხარულით ათრთოლებულ გულს. მათი ტანის ყოველი კუნთი შეუკავებლად ცახცახებდა. სხეული მოძრაობას მოითხოვდა და ისინიც თრთოდნენ.

— ხა... ხა... ხა!.. ხა... ხა... ხა!.. — გაისმოდა ვიწრო საკანში, რომლის უჩვეულო სიხარულს ბანს აძლევდა ყრუდ მოგუგუნე ციხე.

— ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, ღმერთმანი, ვიცოდი!— იძახდა ხელების ქნევით სიმონიკა. — შენ ნუ მომიკვდები, შალვა, მე ეს ყველაფერი ვიცოდი! აკი ვლაპარაკობდი, პიატიგოდის ამბები ისევ დატრიალდება, ნიკოლოზ ხელმწიფეს არ შერჩება ჩვენი ციხეში გამოლპობა-თქვა! აბა, ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ, განა სამართალი ჰქონდა მაგ ჯალათს? განა შენისთანა კაცები, ჩემო შალვა, ციხეებში უნდა ჰყავდეს? თქვი, თუ ძმა ხარ!

— ოო, შენ ყველაფერი წინდაწინ იცოდი, ჩემო სიმონიკა, წინდაწინ!

— აბა, სამართალი ჰქონდა იმას? ვის რა წავუხდინე, ვის რა წავართვი?.. არა, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ამსანაგო შალვა, კანონია, რომ ალალ-მართალი კაცი ციხეში იჯდეს? არა, მითხარი, თუ გიყვარდე, მითხარი!..

— მართალი ხარ, მართალი, — ეუბნებოდა შალვა სიმონიკას, რომელიც თავის თავზე ლაპარაკს უნდებოდა და თან ცდილობდა, რომ ყველას მისი სიბრძნე მოესმინა. ეს აზრები მისგან ათი ათასჯერ მოუსმენია შალვას, ათასჯერვე დამოწმებია — მართალი ხარო, მაგრამ დღესაც, ამ უალრესად ბედნიერ წუთებშიაც სიმონიკა ისევ თავის გულის ტკივილს დასტრიალებს და შალვას გულისყურიც თავისკენ უნდა მიიქციოს.

— დიახ... ცეცხლის ასაბრიალებელი მასალა ბლომად იყო დაგროვილი: გამანადგურებელი ომი, ხალხის საერთო უკმაყოფილება, უუფლებობა, დამონება, ბიუროკრატიის აღვირახსნილი თვითნებობა... დიახ, ყოველივე ამას თავისი უნდა ექნა, ეს ცხოვრების კანონია... — თქვა ბოლოს შალვამ.

— დიახ, დიახ, მე ეს თავიდანვე ვიცოდი, თავიდანვე, — დაემოწმა სიმონიკა.

მესამე ტუსაღი, რუსი, თავზარდაცემული იდგა და თვალებდაცეცებული ხან სიმონიკას უყურებდა და ხან შალვას.

— Скажите, ну, что будет? скажите, ну что будет?— მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა იგი. შალვა ყურადღებას არ აქცევდა, სამაგიეროდ სიმონიკა შეუდგა მის გათვითცნობიერებას. ბევრი ელაპარაკა „პიატი გოდის" რევოლუციაზე, ომზე, ბევრი უმტვრია რუსული, მაგრამ ეტყობოდა, რომ ბევრს ვერას გახდა. ვლასის, ეტყობოდა, მანიფესტი აინტერესებდა და მარტო ამას კითხულობდა:

— Значит, будит манихвест?.. да?..

— ფუ, რა ჩერჩეტია ეს ოხერი, — თქვა ქართულად სიმონიკამ და თან დაუმატა: — Слушн, не адин, а сто манифест будит, паими, შე ხვადაგო, შენა!..

— Ну, чего серчаешь, товарищ,—მტყუანივით ჩაიბუტბუტა ვლასმა, — Объясни мине и только... вразуми...

შალვა ღრუბელიანის თავში კი ათასნაირი კითხვები ირეოდა: რა ხდება პეტროგრადში? ვინ უდგას სათავეში რევოლუციას? პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია? რა არის გადატრიალების მიზანი: ომის გაგრძელება თუ უკეთესი საშუალებით მისი წაყვანა, თუ ახლავე სისხლის ღვრის შეჩერება? რა უნდა მოჰყვეს ქვეყნისთვის ან პირველ ან მეორე გზას? როგორ შეხვდება პროვინცია პეტროგრადის ამბებს: მიიღებს თუ უარყოფს? იქნებ სასახლის უბრალო ტრაგედიად გადაიქცეს ყოველივე? რა გავლენას იქონიებს ყოველივე ეს ფრონტზე, მრავალმილიონიან სამხედრო ბანაკზე?

2

რამდენიმე წამში ეს ამბავი მთელ ციხეს მოედო: პატიმრებმა კედლებზე კაკუნით დაუყოვნებლივ გააგებინეს ერთმანეთს პეტროგრადის ამბები.

მთელი ციხე უჩვეულო გუგუნმა და ხმაურობამ მოიცვა.

ტუსაღების გადათვლის შემდეგ ციხეში სიწყნარე უნდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ იმ დღეს ვერა და ვერ დაწყნარდა ციხე.

— უუ!.. უუუ!..

— გაგვიშვით!.. გაგვიშვით! თავისუფლება! თავისუფლება!

— სუ!.. სუ!,. მგონი მოვიდა ხალხი!.. მგონი ამტვრევენ ციხის კარებს!.. სუ!.. სუ!.. — იძახდა სიმონიკა და თან ბორკილის რაჩხუნს ხელი რომ არ შეეშალა, ფეხებს ფართოდ ადგამდა და ბორკილებსაც ხელებიდან არ უშვებდა.

— Бох мой... бох мой!.. что будит?.. — ჩიფჩიფებდა ვლასი და პირჯვარს იწერდა.

შალვა ჩაფიქრებული იჯდა, დუმდა, მაგრამ სიხარულის ნაკადი ჩანჩქერად სცემდა მის არსებაში და სასიამოვნო ჟრუანტელად ქცეული ნელი ტალღებით დაუცურაედა მთელ სხეულში; ხან წყნარი და შეუმჩნეველი იყო ამ ნაკადის ტბორა, ხან კი საშინელი სიმძაფრით ეხეთქებოდა იგი მის მოღლილ სხეულს.

შალვა, სიმონიკა და ვლასი წელიწადზე მეტი იყო, რაც ერთ საკანში ისხდნენ და ძალიანაც დამეგობრდნენ. განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული შალვას, რომელსაც სიმონიკა და ვლასი თითქმის აღმერთებდნენ. იატაკის დაგვა იყო თუ ჩაის შემოტანა, შალვას მაგიერ ისინი აკეთებდნენ.

შალვას სხვა საკნების ტუსაღებიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ეამებინათ მისთვის.

ამ პატივისცემის მიზეზი ის იყო, რომ შალვა ღრუბელიანი პოლიტიკურ საქმისთვის იყო დასჯილი. ეს გარემოება ტუსაღების თვალში ერთიასად ამაღლებდა მას. ჭკვიანი კაცი იქნება და მასთან ყოფნით კაცი რამეს შეიძენსო.

სიმონიკამ გაიგო თუ არა, პოლიტიკური პატიმარი მოიყვანესო, მაშინვე საიდუმლოდ პატარა წერილი მისწერა: მომწერე, მრავალტანჯულო ამხანაგო, ვინა ხარ, საიდან მოხვედი და სხვა ასეთები.

როცა სიმონიკამ შალვას ვინაობა გაიგო, აღტაცებაში მოვიდა და რუსი ტუსაღების გასაგონად იძახდა: ჩემი ძველი პოლიტიკური ამხანაგი მოუყვანიათო. სიმონიკამ როგორღაც მოახერხა შალვას ნახვა საავადმყოფოში. უნდა გენახათ რანაირად შეხვდა! გეგონებოდათ ძველისძველი ნაცნობები და მეგობრები შეეყარნენო ერთმანეთს. რის შესახებ არ. გამო-

ელაპარაკა, რა ამბავი არ გამოჰკითხა! შემდეგ ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— როგორ ფიქრობ, აფხანაკო, რევოლუცია მალე მოხდება? თუ გიყვარდე, ნუ დამიმალავ!

მალე სიმონიკამ ზედამხედველის გული მოინადირა და თავი შალვას საკანში გადააყვანინა.

— აწი არაფერი მიჭირს, ციხეში ჯდომა ტყვილა არ ჩამიელის, სულ ლექციები უნდა მიკითხო და გამაგებინო რამე, — ეუბნებოდა შალვას.

სიმონიკა სისხლის სამართლის საქმის გამო იყო დასჯილი, მაგრამ თავი პოლიტიკურ დამნაშავედ მოჰქონდა. მოხერხებულად მალავდა თავის „ნაკაიკაცევს" და მუდამ იმის ლაპარაკში იყო, თუ რა გაუკეთებია „პარტიაში" ყოფნის დროს, „პიატი გოდაში" როგორ მონაწილეობდა ტერორის მოწყობაში, ექსპროპრიაციაში, ყუმბარების დამზადებაში და სხვა.

— რომ იცოდე, აფხანაკო შალვა, როგორ მაფასებდა პეტრე, — ეტყოდა ხოლმე შალვას რომელიმე ცნობილი რევოლუციონერის შესახებ, — შენი მოშორება არ შემიძლიაო მეტყოდა ივანე... იმან ორჯერ მნახა ციხეში, ამან დახმარება გამომიგზავნა, მე და ის ერთხელ ისეთ სახიფათო კრებაზე ვიყავით, რომ...

სულ სხვა იყო მეორე ტუსაღი — ვლასი. ის არ ცდილობდა სიმონიკასავით თავი სხვა მხრივ მოეჩვენებია და პირდაპირ ამბობდა — ნამდვილი „დუშეგუბი ვარო".

მაგრამ განურჩევლად კი არ ღუპავდა ადამიანებს, არა: იცოდა კარგის და ავის გარჩევა.

ვლასი მუდამ გულჩათხრობილი იყო, ზოგჯერ ერთი კვირა ისე გავიდოდა, რომ ხმასაც არ ამოიღებდა: იჯდა ტახტზე ფეხებმოკეცილი და მუდამ ლოცვაში და ღვთის ვედრებაში იყო.

ომი რომ დაიწყო, ვლასი უსაზღვრო სიხარულმა აიტანა: უსათუოდ ჩვენი „ღვთით ბოძებული მეფე ბატონი" გაიმარჯვებს და მანიფესტს გამოსცემს ტუსაღებისთვისო.

რევოლუციის ამბავი რომ გაიგო, ერთობ ჩაფიქრდა:

— მაშ, არა გვყავს მეფე?.. მეფე გაიქცა... როგორ ვიცხოვრებთ უმეფოდ?! — ფიქრობდა და თან პირჯვარს იწერდა.

3

— Значит будит манихвест, — ამბობდა ვლასი, — но ешели царя нету... то как те манихвест будит?..

სიმონიკა ამ დროს გიჟივით დარბოდა, ხელების ქნევით ყვიროდა:

— ხომ დავუყენე მიხას თვალები! ხომ მივედი კიდევ ცოცხალი შინ? ვაჩვენებ სეირს, თუ კაცი ვარ, მაგ ძაღლს, მაგას!.. მე ვიცი, ახლა რა დღესაც დავაყენებ! აბა, რავა ეგონა! ახალი თაობა ციხეში დამალპობდა?!

თვითმპყრობელობა დაემხო, როგორი უნდა იყოს ახალ პირობებში ჩვენი საქმიანობა? — ფიქრობდა შალვა, — რა ფორმებში უნდა შეიქმნას ახალი სახელმწიფო?

ერთადერთი ძნელად გადასაწყვეტი საქმე ომის საკითხი შეიქნა: რამდენიც არ უტრიალა შალვამ მას, დამაკმაყოფილებლად პასუხი ვერ გასცა.

ახლავე უნდა დასრულდეს იგი თუ გაგრძელდეს? თუ გაგრძელდეს, რისთვის, რა მიზნების მისაღწევად? თუ არა და რატომ შეჩერდეს, რა მოსაზრებით? და, რაც თავიდათავია, რა გზით გატარდეს ეს ლოზუნგი ცხოვრებაში?

რამდენად მეტს უკვირდებოდა შალვა ამ საკითხს, იმდენად უფრო ძნელად გადასაჭრელი ეჩვენებოდა. მაგრამ... დამჯდარად და ლოგიკურად მსჯელობა შალვას ამ წუთს არ შეეძლო.

მართალია, იყო წამები, როცა იგი თავს იკავებდა და აფეთქებულ გრძნობებს აჩერებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გრძნობების ხელთ რჩებოდა, სასიამოვნო გრძნობების, რომელთა ღელვა უაღრეს სიტკბოებად უვლიდა სხეულში. იმის გათვალისწინება, რომ ახლო მომავალში იგი თავისუფალი იქნება, თავის ნებაზე იმოქმედებს, ჟრუანტელს ჰგვრიდა და თავდავიწყებამდის მიჰყავდა.

მაგრამ ამავე დროს სრულიად მოულოდნელად, ნელინელ, ამ გამარინდებელი გრძნობების გვერდით გაიზარდა მეორე გრძნობაც, რომელიც არ იყო გარკვეული და მკაფიო, მაგრამ რაღაც შიშისა და კრძალვის წინამორბედი რომ იყო, ეს აშკარად ჩანდა.

როგორ ვიგრძნობ თავს საზოგადოებაში? როგორი იქნება

ჩემი ზნეჩვეულება, ლაპარაკი, მოქცევა? ვაითუ ბელამის იმ გმირს დავემსგავსო, რომელმაც ასი წლის ძილის შემდეგ გაიღვიძა და... ჰოი, საკვირველებავ, დაინახა, რომ არც აზრით და არც გრძნობით იგი არ ჰგავს იმ ადამიანებს, რომელთა შორის თავი ამოჰყო!

მართალია, ის მთელი თავის არსებით, ამ წელთა განმავლობაში, სულით და გულით გარეთ იყო, მისი აზრი და გრძნობა თავისუფლად დანავარდობდა ცის კამარაში. ციხის კედლებს მხოლოდ მისი სხეული ჰყავდა დატყვევებული; დიახ, შალვას სული მუდამ გაუტეხელი და თავისუფალი იყო, მუდამ ამაყი და ქედმოუხრელი...

მაგრამ... ერთია შორიდან ცხოვრების თვალთვალი, წიგნებისა და გაზეთების საშუალებით მისი გაცნობა და სულ სხვაა თვით ამ ცხოვრების შუაგულში ყოფნა და შიგ ტრიალი...

მუდამ წიგნებისა და ჟურნალების კითხვაში იყო, ერთი დღე რა არის, უსაქმოდ არ ყოფილა, მაგრამ ყოველივე ეს ნაპირიდან თვალიერება იყო იმ აბობოქრებული და მრავალფეროვანი ზღვისა, რომელსაც ცხოვრება ეწოდება. ეს მუშაობა ბოლოს მაინც ხმელეთზე ცურვის სწავლას უდრიდა.

— ციხეში რომ არ ვყოფილიყავი, ვერასდროს ვერ ვიშოვიდი ამდენ დროს თვითგანვითარებისთვისო, — ხუმრობის კილოთი იტყოდა ხოლმე შალვა.

„რად გინდა ყოველივე ეს, ეგების მოულოდნელად ჩაკვდე ამ ჯურღმულში სამშობლოდან გადმოკარგული, ცოლშვილისაგან დაუტირებელი, მშობლების მიერ ცრემლებდაუყრელი“, — ეტყოდა ხოლმე თავის თავს შალვა.

და დღეს უკვე გამარჯვებული, ყოველ წუთს მოელის საკანიდან გამოსვლას.

ათასნაირი სურათი აგონდება შალვას, როდინდელი მოგონება არ ტივტივებს მის არსებაში? არეულად, დაულაგებლად... ძნელი იყო ამ ქაოსში გარკვევა და რაიმე მნიშვნელოვანი მთლიანობის წარმოდგენა... აი, განვლილი ცხოვრების მომენტები, პირველი რევოლუციის სურათები: მიტინგები, კრებები, დროშები...

განსაკუთრებით, ცხოველად ახსოვს ერთი დიდი მიტინგი, რომელიც ნესტორ ნაბადაძის დახმარებით მოაწყო იმ სო-

ფელში, როცა ევას მამის სახლიდან წავიდა და როდესაც მასთან ერთად მუშაობდა მამის სახლ-კარიდან გამოქცეული ევა.

აბორცვებულ ფერდობზე ზღვა ხალხია. წითელი დროშები, თვითონ ბექობზე დგას, მეორე მაღლობიდან ევა შემოჰყურებს და...

— ეხ, რა კარგი დრო იყო! რა ბედნიერი დრო იყო!.. ოჰ, ევა... ევა!.. სად არის ახლა, ცოცხალია, თუ მკვდარი?..

ამ უნებლიეთ მოფრენილმა აზრმა ერთიანად დასცარა შალვას სული და გული, შხამად ჩაეწვეთა არსებაში და ისე ძლიერად შეარყია მისი ორგანიზმი, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში გაშეშებულივით იდგა.

4

შუაღამე იყო. ხმაურობა ხან მინელდებოდა და ხანაც გაძლიერდებოდა ხოლმე.

ციხის ადმინისტრაცია გონებადაკარგული მოელოდა რაღაც უბედურებას; იდუმლად ჩურჩულებდნენ, თავიანთი ხმების თვითონვე ეშინოდათ, სმენად და ნერვებად გადაქცეულნი აჩრდილებივით დადიოდნენ. ირგვლივ მხოლოდ გუგუნი და გაურკვეველობა იყო. თითქოს ერთხორცად ქმნილი ტუსაღები ერთი ენით გუგუნებდნენ რაღაც ყრუ ხმას, რომელშიც შურისძიება და აღტაცება ერთად იყო გადანასკვული. ხუნდებიანი მონა ბორკილების დასამსხვრევად ემზადებოდა.

— რა ამბავია? მართლაც რევოლუციაა!.. დავკრათ, ბიჭებო, დავკრათ!.. — გაჰკიოდა სიმონიკა.

— бох мой, бох мой! — ჩურჩულებდა ვლასი.

— რევოლუცია, რევოლუცია! გვეშველა, გავნთავისუფლდებით... დავკრათ, ბიჭებო, დავკრათ! დასცხეთ კარებს მუშტები, დავსცეთ მტარვალი! — არ ისვენებდა სიმონიკა.

გუგუნი ძლიერდებოდა, ხმაური მატულობდა, ირგვლივ საერთო ბორგვა იყო...

— უუუ... უუუ, — გუგუნებდა ციხე.

და აი, შალვას საკნის კარებს მოადგნენ. აცახცახებულ-

მა დარაჯმა ძლივს მონახა ბოქლომი, მოისმა კლიტის ხმა და... კარიც გაიღო...

უბრალოდ ჩაცმული ყმაწვილი: შავი ხალათი, ფიჯაკი, გაცრეცილი პალტო, წავის ქუდი, კეთილზე კეთილი სახე, მოწითალო წვერ-ულვაში.

რუხფარაჯიანი ჯარისკაცები, ხელში შაშხანით... გაკვირვებულნი...

— ეს... გახლავთ... ღრუბელიანი!.. თქვენო... კეთილ... თქვენო ალმატებულებავ!..

— ამხანაგო ღრუბელიანო! მახარობელი ვარ: დაემხო ის რეჟიმი, რომელმაც შენ გაწამა! — დაიწყო ყმაწვილმა, მაგრამ უცებ ხმა აურთოლდა. — მომილოცნია!.. თქვენ თავისუფალი ხართ! — მხოლოდ ამის თქმაღა მოასწრო.

— ამხანაგო!.. — იყო პასუხი და ეს ორი სრულიად უცნობი ადამიანი, სხვადასხვა ქვეყნის შვილები, ღვიძლი ძმებივით გადაეჭდნენ ერთმანეთს.

ვლასი პირჯვარს ისახავდა, სიმონიკა ბავშვივით ატირდა, ჯარისკაცები ცრემლს ვერ იმაგრებდნენ.

— მთავრობა დაემხო, სატახტო ქალაქს თან მიჰყვა. პროვინციაც, ამ წუთს მთელი რუსეთის სივრცეზე ფრთას შლის თავისუფლება... ჩვენს ქალაქშიც უდიდესი მიტინგია, ჩვენი პარტიის წევრთა კრება შედგა, ადმინისტრაცია გადავაყენეთ...

ბორისმა — ასე ეძახდნენ იმ ყმაწვილს — აჩქარებულად უამბო შალვას, რაც იცოდა.

— ჩვენმა ამხანაგებმა იცოდნენ თქვენი ამ ციხეში ყოფნა, — ამბობდა ბორისი, — ამიტომ მყისვე აქეთკენ გამომგზავნეს, თან გამომატანეს სახელდახელოდ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება.

— უუუ... უუუ... — ზანზარებდა ყველაფერი.

— ახლა კი წავიდეთ, ამხანაგო, — უთხრა ბოლოს შალვას, — თან წამოიღეთ, თუ რამე გაქვთ.

— დიახ... მე... მე... მზადა ვარ...

— ახლავე გამოგიწყობ ყველაფერს, — წამოიძახა სიმონიკამ და ჯარასავით დატრიალდა; აქეთ ეცა, იქით ეცა, ცდილობდა, ბორისის ყურადღება მიექცია.

— თქვენ, რასაკვირველია, ამხანაგო, არც ჩვენ დაგვივიწყებთ, — უთხრა ბოლოს სიმონიკამ ბორისს.

— ნუ გეშინია სიმონიკა, ყველაფერს მოვაგვარებ, — აიმედებდა შალვა.

— ყველაფერი გამოირკვევა, ამხანაგო, ყველაფერი... თქვენც გაგანთავისუფლებთ, დარდი ნუ გაქვთ, — უთხრა ბორისმა.

— აბა, თქვენ იცით, მეც პოლიტიკური ვარ... პიატი გოდაში... მე... ტერორი... ყუმბარა... პარტია...

შალვამ გადაჭოცნა ვლასი და სიმონიკა და კარისაკენ გასწია. ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი მისცეს.

— არ არის, ამხანაგო, საჭირო, არა! — ღიმილით უთხრა შალვამ.

— შალვა, აფხანაკო, აბა, შენ იცი. არ დამივიწყო, გახსოვდეს ჩვენი პარტიის ინტერესი, — აბარებდა სიმონიკა.

— ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე, — ჩიფჩიფებდა ვლასი, თან პირჯვარს იწერდა.

5

შალვა ანგარიშმიუცემლად დამორჩილდა ბორისს, რომელმაც თბილი პალტო ჩააცვა და ეტლში ჩასვა. ჯარისკაცები წინ ჩამოსხდნენ. შალვა გრილმა და სუფთა ჰაერმა მალე დააწყნარა, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ შეეძლო.

გზა კარგა ხანს გაგრძელდა. ციოდა. ყველაფერი მიჩუმებული იყო. არემარეს ნისლში არეული ბნელეთი ბურავდა.

ეტლი გამალებული მიქროდა, ცის გაყინულ გუმბათში ვარსკვლავები ციმციმებდნენ. პოლიცია არ ჩანდა, არც მოქალაქენი მიდი-მოდიოდნენ ქუჩებში, მხოლოდ დროგამოშვებით თუ დაინახავდით თითო-ოროლა კაცს.

ჯარისკაცები გაკვირვებული აცქერდებოდნენ შალვას, შალვა და ბორისი რევოლუციაზე ბაასობდნენ.

— მივუახლოვდით ქალაქის თვითმმართველობას, — თქვა ბოლოს ბორისმა.

თვითმმართველობის შენობის გარშემო აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ელექტრონის ვეებერთელა ლამპარით გაბრ-

წყინებულ კიბეზე უამრავი ხალხი ირეოდა: ზოგი დარბაზში შედიოდა, ზოგი იქიდან გამოდიოდა. ყველას სიხარული ემჩნეოდა, ყველას სახე უბრწყინავდა.

ფართო მოედანზე, სადაც მეფის ძეგლი იყო აღმართული, უამრავ ხალხს მოეყარა თავი: ძეგლის გვერდით ორატორი იდგა და სიტყვას ამბობდა. თუ კარგად არ ჩააკვირდებოდით, მოგეჩვენებოდათ, თითქოს თვითონ ძეგლი ალაპარაკებულაო, ეტყობოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მიტინგი, ხალხი შენობის დარბაზში შედიოდა.

მოზღვავებული ხალხი ცხენებს გზას არ აძლევდა. ტაშის გრიალი აყრუებდა იქაურობას, ცხენები ფრთხებოდნენ, ძველი და ახალი ერთიანად არეულიყო. შალვას ისე ცხოველად მოაგონდა პირველი რევოლუციის სურათები, თითქოს გუშინ ენახოს ყოველივე, თითქოს მას აქეთ მის ცხოვრებაში არ ჩამოწოლილიყოს შავი ხანა, შავი ვეშაპი, რომელიც შთანთქმას უქადდა მას. არც ერთი ციხე, არც ბორკილები და არც შავად მღრღნელი ფიქრთა ხროვა არ ახსოვდა, თითქოს არც სსეულის ტანჯვა უნახავს, არც სულის წუხილი. გული ბუდეში არ უმაგრდებოდა და უნდოდა ტრიბუნისაკენ წასვლა, მაგრამ გზას ვერ იგნებდა. მოზღვავებულ ხალხში გასვლა შეუძლებელი იყო, თანაც სისუსტეს გრძნობდა, მუხლები უკანკალებდა.

შალვა თვითმმართველობის დარბაზში შევიდა. იქაურობა ხალხით იყო სავსე, მხოლოდ ტრიბუნიდან მოლაპარაკე ჩანდა. ცხელოდა. დარბაზის შუა ჭერიდან ჩამოკიდებული კანდელი აუარებელი სანთლებითა და ბროლის შუშებით დათამაშებდა საზეიმოდ თავშეყრილ ხალხს, ტრიბუნამდის მისვლა შეუძლებელი იყო.

— ამხანაგებო, მოქალაქენო, — გაჰკიოდა ტრიბუნაზე ბორისი, — ავასრულე თქვენი დავალება და საპყრობილედან გაყათავისუფლე ჩვენი ძვირფასი კავკასიელი ამხანაგი — შალვა ღრუბელიანი, რომელიც თერთმეტი წელია, რაც მტარვალთა განაჩენით იტანჯებოდა ჯალათების მიერ...

— ვაშა... ვაშა... — გრიალებდა ხალხი.

უცებ შალვა ზევით ასწიეს და ხალხის თავზე გადავლებით ტრიბუნამდე მიიყვანეს.

ის ჯერ კიდევ ციხის ტანისამოსში იყო: მისმა დანახვამ აღტაცება გააძლიერა. მთელი დარბაზი აგრიალდა, ვაშას ძახილი და გაცხარებული ტაშისცემა ზეცას ასდიოდა... დაუსრულებელი ოვაციები, ხვევნა, კოცნა, ცრემლები...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. ძირს მტარვალები, ძირს!..

ათრთოლებული შალვა დაიბნა, ხან დაბნეული ღიმილით იცქირება აქეთ-იქით, ხან მადლობის ნიშნად თავს უკრავდა.

გრძნობადქცეული შალვა ერთიანად გარინდდა, აუწერელი ბედნიერების მორევში გადაცურებული მზად იყო გულში ჩაეკრა მთელი ხალხი, მაგრამ ერთიანად მოთენთილი და ხალხის აღტაცებით გაბრუებული მხოლოდ იღიმებოდა, მხოლოდ სალამს აძლევდა. ბედნიერია, გამოუთქმელად ბედნიერი... კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, კვლავ გადასცურა ადამიანთა ზღვაში, კვლავ გაითქვიფა იმ ხალხში, რომლის გულის სიღრმიდან უღვთოდ ამოგლიჯეს იგი, კვლავ აძგერდა მისი გული მთელი ერის გულთან ერთად.

სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები საჩქაროდ შეკრებილიყვნენ ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში და გაცხარებული მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ დაპატრონებოდა ვეებერთელა ქალაქს და გუბერნიას? ყველა თავისებურ გეგმას აყენებდა, შეთანხმება არსად ჩანდა, მსჯელობა საშინელი ნაჩქარევი და დაუშუშებელი იყო. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას!

ერთი სიტყვით, ეს იყო ხელისუფლების ერთგვარი დატაცება და დანაწილების უცნაური დრო. მოკვდა დიდი ბატონი და დღეს მისი დანაშთი უნდა გაიყონ.

არავის არ უნდოდა ხელცარიელი შინ დაბრუნება, ყველა ჯგუფს სურდა, თუნდაც ერთი ფეხით, მომაგრებულიყო იმ ადგილას, საიდანაც ამდენი ხანია ძველი ბატონი მბრძანებლობდა.

— სირცხვილია ამ ბედნიერ წამს, რომელიმე ჯგუფის ინტერესებზე ლაპარაკი. ასეთი ბედნიერი დღე გაგვითენდა, ასრულდა მრავალ თაობათა ოცნება, მტარვალი დაემხო, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, შვება გვეღირსა... და თქვენ რაღაც შენ-ჩემობაზე ლაპარაკობთ! დღეს მთელი რუსეთის გული ერთნაირად ცემს, არ არსებობს ჯგუფები,

პარტიები, წოდებანი! ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, ერთი გრძნობით აღტაცებულნი, ერთი აზრით გამსჭვალულნი! ვინ იქნება ჩვენს უფართოეს სამშობლოში ამ ბედნიერ ჟამს ისეთი, რომ თავის თავზე, პირად ბედნიერებაზე და თავის წრის კეთილდღეობაზე იფიქროს. განა ჩვენი გმირული ინტელიგენცია იმისათვის იბრძოდა, რომ ის ეგოისტი იყო და თავისათვის უნდოდა ძალაუფლება? არა, თავისუფალნო მოქალაქენო! იყავით სასახელონი, თქვენ თავისუფლებისათვის დაღუპულთა შთამომავალნი ხართ, დიად მომენტში ცხოვრობთ და თქვენი მოქმედებაც დიადი უნდა იყოს. ნუ ითქმება გამთიშველი სიტყვა, განმცალკევებელი აზრი! ჩვენ ყველანი ერთი ოჯახის შვილები ვართ, ერთნაირად სათნონი, ერთნაირად კეთილნი, ერთნაირად გვიყვარს საწყალი ადამიანი, ტანჯული ძმა!..

მისმა სიტყვებმა აღფრთოვანება გამოიწვია და მხურვალე ტაშით დააჯილდოეს, მაგრამ... მართვა-გამგეობის განაწილების დროს მაინც თავისას თხოულობდნენ, არავინ არ ფიქრობდა დათმობაზე.

— თავისუფალნო მოქალაქენო, — არ ცხრებოდა ექიმი, რომლის სიტყვას მეორეჯერ გატაცებით ნაკლები ყურადღებით ისმენდნენ, — თავისუფალნო მოქალაქენო, მე ჭე�d idეალისტი ვარ, გაუსწორებელი იდეალისტი... დიახ! მე ერთგვარი სიმეონ მოხუცი ვარ, რომელმაც ვიხილე მაცხოვარება მისი და გთხოვთ, გემუდარებით სახელითა თავისუფლებისათა და სხვა და სხვა.

ახლა უფრო ხანგრძლივად ილაპარაკა „ძველმა გაუსწორებელმა იდეალისტმა“, მაგრამ... ჯგუფები მაინც თავიანთი სურვილების მიღწევაზე ოცნებობდნენ. ილაპარაკა ღრუბელიანმაც, რომლის ყოველი სიტყვა გულიდან ამონაგლეჯი იყო და დაუსრულებელ ტაშს იწვევდა.

ამ ქალაქში შალვა არავის იცნობდა, ისე კი კარგად იცოდა, რომ აქ მისი თანამოაზრენი ბევრნი იყვნენ. პოლიტიკურ საქმეზე დატუსაღებულნი ხშირად უამბობდნენ ამ ქალაქის რევოლუციური კომიტეტის არსებობაზე. ზოგიერთი რევოლუციონერების გვარიც კი იცოდა.

და დღეს, როცა მისი ოცნება სინამდვილედ იქცა, შალვა

ცდილობდა პირადად გაცნობოდა მათ, დაახლოებოდა და მათთან ერთად გაეზიარა საპირბოროტო საქმეების გაძღოლა.

ეს უცნობი ამხანაგები ამ წუთს ისე უყვარდა, როგორც საკუთარი ძმები; ყველა ამ პეტროვებს და ივანოვებს, პავლეებსა და კუზმებს პირველად ხედავდა; არც ერთი მათგანი ჯერ თვალით არ ეხილა, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა, რომ სულითა და გულით მათი უღვიძლესი ნათესავი იყო, მუდამ მათი აზრითა და გრძნობით უცხოვრია.

ხორციელად ერთმანეთის ჯერ არმნახველნი. უცხო ხალხთა და ქვეყანათა შვილები, სულიერად ერთნი ყოფილან, ერთი მიზნისკენ მიმავალნი.

ეს ნათესაობა ისე ძლიერი იყო მათ შორის, რომ ერთიმეორეს ორიოდე სიტყვითაც კი აცნობებდნენ თავიანთ გულისნადებს.

აქამდის შეუმჩნეველად და იდუმლად არსებული ერთობა, დღეს, როცა ქამი დაუდგა, ერთიანად გამოირკვა. რა მკვიდრი და ძლიერი ყოფილა ეს კავშირი! რაგვარი სიძლიერით შეძლებია ადამიანთა შედუღება და შეწებება!

— ამხანაგო, ამხანაგო, — მოესმა შალვას ყოველი მხრივ უგრძნობიერესი სიტყვა და ასე ეგონა, რომ ამ სიტყვებზე უფრო წრფელი და ღრმა მეორე არ მოიპოვებოდა ამ ქვეყანაზე.

6

მესამე დღეს, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, შალვას აცნობეს — ვილაც კაცი გიხმობთო. შალვამ შაშინვე დატოვა კომიტეტის სხდომა და დერეფანში გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა და... მის წინ იდგა ჩოხა-ახალუხში მორთული, თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი... სიმონიკა აბზიანიძე.

— სიმონიკა!..

— შალვა!

შესძახეს და ხარხარით გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

— კაცო, ეს რა ამბებია, როგორ მორთულხარ!.. ხა... ხა... ხა... — ვერ იმაგრებდა სიცილს შალვა. — ამ ტანსაცმელში ნამდვილი კუდაბზიკა ხარ, გიორგი წერეთლის კუდაბზიკა!..

— მართლაც, მართლაც, — ხარხარითვე უპასუხა სიმონიკამ, გაიარ-გამოიარა, თავისივე თავს დასცინოდა შალვას გულის მოსაგებად.

— ღმერთმანი, კუდაბზიკა ვარ, სწორეად კუდაბზიკა! რამ მოგაგონა ეს სახლი, შე ეშმაკო, შენა! ხა... ხა... ხა!.

სიმონიკამ მოხდენილად გაუყარა შალვას მკლავში მკლავი და ამაყად გაატარ-გამოატარა. თან წამდაუწუმ გადახედავდა მაყურებლებს — ერთი შემომხედეთ, რა დიდკაცთან მაქვს საქმე, უბრალო ვინმე არ გეგონოთო, — ამბობდა მისი გამომეტყველება. სიმონიკას უნდოდა ყველასთვის ეჩვენებია, რომ ის შალვას უბრალო ნაცნობი კი არ იყო, არამედ ახლობელი ამხანაგი და თანამებრძოლი. ამიტომ სულ „შენობით" ელაპარაკებოდა და თანაც წამდაუწუმ აგონებდა ციხეში ერთად ყოფნასა და „თავისუფლებისათვის ერთად ტანჯვის დღეებს".

— ოხო-ხოხო, შენი ღმერთისა! რა დავარტყი, რა დავარტყი ციხის კარებს! სულ ზანზარი დავაწყებინე იმოდენა შეხობას! — ტრაბახობდა სიმონიკა, რომელსაც ერთობ ეამა, როცა გაიგო — გუშინ ნდომებია შალვას ჩემი განთავისუფლება, როგორც პოლიტიკური საქმისათვის დასჯილისაო.

— შენ რომ წამოგიყვანეს, ყველას იმედი მოგვეცა. ტუსაღები ამბობდნენ, შალვა ჩვენ აქ უყურადღებოდ არ დაგვტოვებს, ყველას გაგვანთავისუფლებსო, — ამბობდა სიმონიკა, — მაგრამ გულმა არ მომითმინა და დავკარი და დავკარი ეს ჩემი ფუთიანი მუშტები! რევოლუცია ასე უნდა, აბა! ნეტავი გამაგებინა, ჩვენში რა ამბავია ახლა? პა-პა-პა! ერთი იქ მამყოფა ახლა!

— იქაც ასეთივე ამბები იქნება, — უთხრა შალვამ.

— როდის უნდა წავიდეთ, შალიკო? აქ ხომ არ დავრჩებით სულ, ჩვენიანებიც უნდა გავახაროთ! მე უკვე გავუგზავნე ჩემს ძმას დეპეშა.

ამ სიტყვებზე შალვას სიამოვნებასთან ერთად მწვავე გრძნობამაც გაურბინა. მაგაზე ჯერ არ მიფიქრიაო — უთხრა.

მართალია, შალვას ციხეში არ გაუნდვია თავისი გულისნადები სიმონიკასათვის, მაგრამ სიმონიკა მიხვედრილი იყო, რომ შალვა ცოლის მხრივ ბედნიერად არ გრძნობდა თავს.

კარგა ხანს ტკბებოდნენ ერთმანეთთან მუსაიფით თანამემამულენი. ხალხმა უკვე შეაჩვია სიმონიკას თვალი, ახლა არ უკვირდათ ამ „კინჟალიანი კაცის“ ფართიფურთობა.

— იცი, ჩემო კუდაბზიკავ, — ღიმილით უთხრა ბოლოს შალვამ, — მე ახლა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე უნდა შევიდე და შენ აქ დამიცადე.

— იმე, შე კაცო, კუდაბზიკამაც უყუროს კომიტეტის სხდომას, მეც შემოვალ, შენთან ვიქნები, — სიცილით უთხრა სიმონიკამ.

შალვამ იცოდა, რომ სიმონიკას დასწრება კომიტეტის კრებაზე როგორც უცხო პირის, უხერხული იყო, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა, და ყოყმანის შემდეგ — შემოდიო, უთხრა.

დარბაზში შესვლისას შალვას უნდოდა თავისი თანამემამულე საერთო მისალმებით გაეცნო კომიტეტის წევრებისათვის მაგრამ სიმონიკამ ეს იუკადრისა და „зрасти товарищ“-ის ძახილით და ხელის გაწვდით ყველას სათითაოდ ჩამოუარა. ვეებერთელა „ბოხოხის“ ქუდი მარცხენა ხელში ეჭირა, წელში კოხტად მოხრილი უხმაუროდ დაასრიალებდა ფეხებს გაპრიალებულ იატაკზე.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი შალვა ირონიულად ადევნებდა თვალს სიმონიკას ტანის რხევას და ღიმილით ამბობდა გულში: თავი მომჭრა ამ მართლაც კუდაბზიკამო.

7

სამი კვირა გავიდა, რაც შალვა ციხიდან გამოვიდა, მაგრამ ფიქრისა და მოსვენებისთვის სად ეცალა? სულ საქმეებში იყო გართული. ამ სამი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ მოუხედია უკან, უბრალო თვალის გადავლებითაც კი არ მოუგონებია თავისი წარსული და ანგარიშმიუცემლად მიილტვოდა ბრწყინვალე მომავლისაკენ.

საზოგადო საქმეების გარდა, პირადიც ბლომად მოეპოვებოდა, საფიქრალი და საგონებელი ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა.

ამდენი ხანი ციხეში გაატარა და თავიც არ წამოსტკენია.

მართალია, დიდად ჯანსაღი არ იყო, მაგრამ თავს რიგიანად უვლიდა, ავადმყოფობა მისთვის უცნობი იყო. ახლა კი სადღაც გაცივდა და უცებ შეშინდა, მოულოდნელად რაღაც ობლობა და მარტოობა იგრძნო. მარტო წევს ამხანაგის ოთახში, ირგვლივ სიწყნარეა, არ ესმის ქუჩის ჟრიამული, ხმაური. არავინ არის მის წინაშე, არავინ ელაპარაკება. დაუამდა სხეული, დაუწყნარდა ნერვები...

სად არის იგი? ვინ არის მასთან? რა უნდა ამ ოთახში? ნუთუ შალვა, რომელიც ამდენი ხანია მოწყვეტილი იყო ყოველგვარ ბედნიერებას, თავისუფალია, ციხეში არ არის? არ დარაჯობენ, არ უბრძანებენ და თვითონ არის თავისი თავის ბატონი?

ბნელა. შალვა მარტოა ვეებერთელა ოთახში, სანთელი ძლივს ბჟუტავს, ტანში აჟრჟოლებს, ყელში რაღაც ებჯინება, შუბლი უხურს.

სუ... მგონი მისი ჩურჩულიც კი ისმის, ნელი შრიალი, ჭულჩათხრობილი ახმაურება... სუუუ... ჩურჩულია, ჩურჩული. ციხე, დარაჯები, ბორკილები.

შალვა უცებ წამოდგა, დაფეთებული თვალებით მიიხედ-მოიხედა, გულზე ხელები მიიჭირა და რაღაც საშინლად ამოიხრიალა.

— რა მოგდით, გული ხომ არ შეგიღონდათ? — მიაძახა ამხანაგის მეუღლემ და წყალი აპკურა.

შალვა გამოერკვა. ბოდიში მოიხადა და შუბლზე ცივი ტილო დაიდო.

— არაფერია, ისე... რაღაც უღონოდ შევიქენი! უკაცრავად...

— დაწყნარდით, ამხანაგო, საბოდიშო არაფერი გაქვთ. რასაკვირველია, უღონოდ შეიქნებოდით! მიკვირს, როგორ აიტანეთ ამდენი ხანი ციხეში ჯდომა! მერე კიდევ, იქაური მყუდრო ცხოვრების შემდეგ ასეთი აფორიაქებული დღეები! ნერვები აგეშლებოდათ, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი გაივლის.

— დიახ, დიახ... მეც ასე მგონია... დიახ, გაივლის, გაივლის...

მართლაც, შალვამ მალე თავი უკეთ იგრძნო და დიასახლისს სთხოვა, რომ მასთან დარჩენით არ შეწუხებულიყო.

შალვა ლოგინზე წამოჯდა, სანთელი ახლო დაიდგა და საბანმოხვეული კედელს მიეყრდნო. გულისცემაც დაუწყნარდა და დამშვიდებით გადახედა იქაურობას, გაზეთი აიღო, მაგრამ ერთი აზრი მეორეს ვერ გადააბა: აშლილი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ.

ციხეში ყოფნისას, როცა ფიქრს მიეცემოდა ხოლმე, თვალწინ ედგა სამშობლო, ამხანაგები, მშობლები, ცოლ-შვილი. მისი აზრი ამათ გარშემო ტრიალებდა. მაგრამ, საკვირველია, ციხიდან გამოსვლის შემდეგ არც ერთი მათგანი არ მოჰგონებია, თითქოს საკანში დატოვა მათზე ფიქრი და ზრუნვა. მაგრამ განა სინამდვილეს შეეფერებოდა? განა შალვას თან არ წამოუღია თავისი დასერილი გული? მაშ, რამ დააეიწყა ამდენი წლის განმაელობაში მისი ფიქრების საგანი? მართალია, სიმონიკამ მოაგონა სამშობლო და იქ წასვლა, მაგრამ შალვამ მაშინვე თავიდან მოიშორა ეს აზრი. ახლა კი, ამ ავადმყოფობისა და მარტო დარჩენის დროს, როცა პირისპირ დაუდგა საკუთარ თავს, — შეუმჩნეველად წამოეშალნენ მიჩქმალული ფიქრები.

ბედნიერი თუ უბედური? გადარჩა განსაცდელს თუ კიდეკ მის ხელთ არის? უკან მოიხედა თუ თვალწინ ციხეებში გატარებული დღეები წარმოუდგა.

შეაკრთო ამ სურათმა, თავიდან მოიშორა ჯურღმულებთან შეკავშირებული მოგონება და აწმყოში გადმოფრინდა.

ბალიშზე გადასვენებულ შალვას აგონდებოდა დედა, მამა, ევა, სოფო, ვაჟა. სად არიან ისინი? ცოცხალნი არიან თუ დაიხოცნენ, შალვას ერთგულნი არიან თუ უღალატეს? რას შვება ევა? უმწიკვლოდ შეინახა გვირგვინი თუ შებღალა? გაქრა თუ არსებობს მათი სიყვარული?

— დედა, საყვარელო დედა, სადა ხარ? სად?... მოდი შენს ავადმყოფ შვილთან, ის უკვე თავისუფალი გყავს!

რა ტკბილი ხელი ჰქონდა შალვას დედას! რა მზრუნველად იცოდა შვილების მოვლა!

ათასნაირი ფიქრები ერეოდა შალვას, ათასნაირი ცეცხლი უტრიალებდა გულში! რას უქადის მომავალი, რას მოუტანს

ხვალინდელი დღე? სანამ ციხეში იჯდა თავს იმით ინუგეშებდა, რომ არ შემიძლია ვნახო ჩემიანებიო. მაგრამ ახლა ხომ თავისუფალია და ადვილად შეუძლია ყველანი ნახოს! რად ემალება სინამდვილეს, რად იტყუებს თავს?

8

რამდენიმე წამის შემდეგ შალვას თავს ადგა ჩვენი ნაცნობი მოხუცი ექიმი, „ძველი, გაუსწორებელი იდეალისტი" და მამობრივი მზრუნველობით სინჯავდა.

— ბედნიერი ვარ, რომ თავისუფლებისათვის წამებულ ადამიანს ვექიმობ.

განუწყვეტლივ ლაპარაკობდა მოხუცი ექიმი და თან ღიმილით ჩასჩერებოდა სნეულს თვალებში.

— არა გიშავს რა, ჩემო ძვირფასო შვილო! უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი... ნება მომეცით ასე გიწოდოთ... მე აგერ სამოცდაათი წლის ვიქნები... დიახ... მე ბევრის მომსწრე ვარ...

— რაც გენებოთ, ის მიწოდეთ, რაც გენებოთ... მეც მომეცით ნება, მამა გიწოდოთ...

— კი, ბატონო, დიდად ბედნიერი ვიქნები, დიდად... ჩემო შვილო, თავისუფლებისათვის წამებულო და ტანჯულო!.. დიახ, მე ბედნიერი ვარ!.. მე ბევრი რამის მომსწრე გახლავართ!.. ვიცნობდი მიხაილოვსკის, ლავროვს, პირადი მეგობარი ვარ კარეევის, მიცნობს ჩერნოვი, მიწერ-მოწერა მქონდა ტოლსტოისთან... დიახ... ტოლსტოისთან... მოგეხსენებათ, რევოლუციონერთა რევოლუციონერი იყო. რასაკვირველია, თავისებურად... დიახ. ანტონ ჩეხოვიც ჩემი დიდი მეგობარი იყო, ერთად გვიმსახურნია. კარგი ადამიანი იყო განსვენებული. სულ იმას მეუბნებოდა: მოთხრობის ტიპად უნდა გამოგიყვანოო... ხა... ხა... ხა... დიახ, კეთილი ადამიანი იყო. მიხაილოვსკი, აი, ნამდვილი რევოლუციონერი ის იყო, ალექსანდრე მეორე რომ მოჰკლეს, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ბედს ვწყევლიდი — რატომ მე არ მარგუნე მისი მოკვლა-ოჭო... დიახ... დიახ... ბევრი რამ მინახავს ჩემ ცხოვრებაში და პირადი ცხოვრების უკუღმა შეტრიალება კი არა, შეიძლება მეც დღეს ერთი იმ პირთაგანი ვყოფილიყავი, რომელ-

ნიც თავისუფლებისათვის იბრძვიან... მართალია, მეც ვიბრძოდი, მაგრამ... ეხ... ჩემი ბრძოლა, რა ბრძოლა იყო! მხოლოდ სიტყვები და ლირიკული განცდანი. მეც შემეძლო რაიმე გამეკეთებინა, მაგრამ... „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს“. ასე წერია სახარებაში. ალბათ, მე არ ვიყავ ამისი ღირსი... თქვენ კი... „ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი“...

— ივანე ივანეს ძევ, თქვენ ჩინებული მეხსიერება გქონიათ, რომ ასე გახსოვთ სახარების ტექსტი.

— ეს, ჩემო კარგო, ჩემი არაფერი არ არის მოსაწონი! მე რომ რაიმე ღირებულების მქონე ვყოფილიყავი, დღეს ასე გარიყულიც არ ვიქნებოდი... დიახ... აბა, ვნახოთ ახლა თერმომეტრი, მომეცით, გეთაყვათ!...

ექიმმა თერმომეტრს დახედა.

— სიცხე გაქვთ... მაგრამ არა გიშავთ რა, ეს ყველაფერი ციხის ბრალია. ხუმრობა საქმეა ამდენი ხანი იმ საშინელებაში ყოფნა! ნუ შეშინდებით, შეიძლება კიდევ იავადმყოფოთ, მაგრამ ეგ არაფერია, აგრე იცის ხოლმე... იქ დაჭიმული ნერვები ახლა რო თავისუფლებას იგრძნობენ, სხვა პირობებში როდ ჩავარდებიან, რასაკვირველია, ერთგვარ ცვლილებას განიცდიან... სხვაფრივ არა გიშავთ რა... თქვენი ძვირფასი სიცოცხლე სჭირდება ახლა ჩვენს განთავისუფლებულ სამშობლოს!... რუსეთს სწორედ ახლა სჭირდება გამოცდილი ადამიანები, თქვენისთანა თავდადებულნი, ბრძოლაში ნაწრთობნი... მაგრამ უკაცრავად... მე, გამოჩერჩეტებული მოხუცი, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, თქვენ კი ახლა სიჩუმე და სიწყნარე გინდათ... ასე დაჰყავით რამდენიმე დღე და მერე უკეთ იქნებით. იცით, ვალოდია, — მიუბრუნდა ექიმი შალვას ამხანაგს, — წამლებს გამოვწერ, თვითონ წაეალ აფთიაქში და მოვიტან. თქვენ კი ეცადეთ, რომ აქ სრული სიწყნარე და სუფთა ჰაერი იყოს... დიახ, მეტი არაფერი... წამალს ახლავე მოვიტან, ახლავე.

ბევრი ეხვეწეს ექიმს, რომ არ წასულიყო წამლებისათვის, მაგრამ არაფრის გულისათვის არ დათანხმდა. მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ წამლებით ხელში გაჩნდა ავადმყოფთან.

შინ არას გზით არ წავიდა — პირადად უნდა ვადევნო თვალ-ყური ავადმყოფსო. მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია, თავს უაღრესად ბედნიერად გრძნობდა და სულ იმას ეხვეწებოდა დიასახლისს — შალვამ არ გაიგოს, რომ აქ ვარ, თორემ შეწუხდება,აღელდება და ავნებსო.

შალვას აგონდებოდა ის წამი, როდესაც ამ ათი წლის წინათ სამშობლოში, რკინიგზის სადგურზე, სვეტზე მიყრდნობილი ევა მისჩერებოდა და ცრემლებს ღვრიდა. იქვე იყვნენ მისი სოფო და ვაჟა. ევას გვერდით ტიროდნენ შალვას მშობლებიც.

შალვას დედა ქვითინით სთხოვდა ყველას — მიეშვათ თავის საყვარელ შვილთან, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდა და თანაც „ორიოდე გროში" ესაგზლებია შვილისათვის.

— ვიცი, რომ ცოცხალს ვერ გნახავ, შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო, მწუხარებაში და სიღარიბეში გამოზრდილო, სიმართლით გამოჩიჩქნილო, უღვთოდ დაღუპულო, შვილო!— ჩიფჩიფებდა და თან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

— მოშორდი, ბებრუხანა, მოშორდი! არ შეიძლება-მეთქი, ძომწყდი თავიდან! — უწყრებოდა ჯარისკაცი.

— ეს მაინც გადაეცით, მიქენით სიკეთე... შემიბრალეთ! ადამიანები არ ხართ?! შვილი მეკარგება, პირმშო შვილი, წვითა და დაგვით გამოზრდილი შვილი!

— ახლა არ შეიძლება, ციხეში უნდა მოგეტანა, — შეაწყვეტინა მცველმა.

შალვა ხან მშობლებს მიაშტერებდა თვალს, ხან მტირალ ცოლ-შვილს. დედის სევდით დაყურსული პატარა სოფო ცრემლად იღვენთებოდა, ხოლო წლი-ნახევრის ვაჟას ვერ გაეგო რაში იყო საქმე და ნაცვლად იმისა, რომ სხვებთან ერთად მასაც ედარდა მამის უბედურება, არხეინად მიმოდიოდა ხალხში და ხან ერთ მგზავრს წაეპოტინებოდა კალთაზე და ხან მეორეს, ტუსაღების გარშემო მდგომ ჯარისკაცებსაც კი მიუახლოვდა და თოფზე დაუპირა ხელის მოვლება.

— შვილო, შვილო, ჩემი სიმართლე არ დაგღუპავს შენ, ჩემი სიმართლე დაგიფარავს! — ამბობდა ნახევრად გასაგონად შალვას მამა, რომელიც წამდაუწუმ ცრემლს იმშრალებდა.

შალვა განსაკუთრებით მამის წინაშე გრძნობდა თავს დამნაშავედ, მთელ თავის იმედებს ჩემზე ამყარებდა და მე ასე ეუღალატეო. დედის ცრემლს და გლოვას ისე არ უმოქმედია შალვაზე, როგორც მამის ქვითინს.

მშობლებს განსაკუთრებით ის უკლავდა გულს, რომ მათ შვილს, სასახელოდ გამოზრდილ ვაჟს, ხელ-ფეხზე ბორკილები ედო და ტუსაღის ტანისამოსში იყო.

— შვილო, კაცის მკვლელი ხომ არ მყავხარ, ან ყაჩაღი, — ქვითინით ამბობდა დედა, — ჩემო ნასწავლო ბიჭო, ჩემო სტუდენტო ბიჭო, ჩემო სიღარიბეში გაზრდილო შვილო! ვინ გამილანძღა შენი თავი, ვინ? ბორკილები ვინ გაკადრა? განა ამიტომ გზრდიდი და ვაკვდებოდი! ეის რა წაართვი, ეის რა მოჰპარე?!

ვისთვის რა უნდა ეთქვა შალვას, რითი ენუგეშებინა? განა რაიმე საიმედო სიტყვა იმოქმედებდა აქ? რითი დაეშოშმინებინა მშობლები? რა დაებარებია ცოლ-შვილისათვის? რა ეთქვა ევასთვის — რითი არჩინე შვილები, რითი გამომიზარდეო? რა ჰქენ, როგორ მოიქეცი უჩემოდაო?

9

სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე შალვა ყველას ანუგეშებდა, ყველას პირდებოდა, მალე ცის სინათლეს ვიხილავ და ამდენ ტანჯვას სიხარულით შეგიცვლითო. დიახ, ბევრი ანუგეშა ცოლ-შვილი და დედ-მამა სამხედრო სასამართლოს მოლოდინში, მაგრამ... უცებ ყოველივე უკუღმა შეტრიალდა.

მართალია, შალვას ერთხელაც კი არ უგრძვნია რაიმე შიში, ერთი წუთითაც კი არ დაუგმია ის გზა, რომელმაც ამ დღეში ჩააგდო; ღრმად სწამდა ბრწყინვალე მომავალი.

შალვას სწამდა, რომ დედამისი არასდროს არ იტირებდა და არ იკვნესებდა, რომ შეეძლოს მისი ღვიძლი შვილის გულისნადების სწორად გაგება...

ევა ხომ მისი სათაყვანო მეგობარი და თანამგრძნობია! ყოველ წუთს მზად არის შეუმსუბუქოს გოლგოთაზე ჯვარის ატანა, გაიზიაროს მისი ხვედრი... შალვამ მწარედ ამოიხვნეშა.

შალვას გარდა ეტაპში ორმოცზე მეტი ტუსაღი იყო. ზო-

გი მათგანი შალვასთან ერთად მიდიოდა საკატორღო ციხეში, ზოგი კი ადმინისტრაციული წესით იყო ციმბირში გამწესებული. მათი ნათესავებიც სადგურზე იყვნენ.

— კმარა, კმარა!.. წადით აქედან! — ყვიროდნენ ჟანდარმები და ატირებულ ნათესავებს ჯოგივით ერეკებოდნენ.

— დაიკარგეთ აქედან, გასწით-მეთქი! არ გესმით?! — გაისმოდა წამდაუწუმ.

რკინის სვეტზე მიყრდნობილი ევა დიდხანს იყო გარინდებული, მწუხარებად ქცეული. შეუმჩნევლად იცრემლებოდა და თავი ერთხელაც არ დაუხრია. მხოლოდ მაშინ დაუკრა შალვას თავი, როცა მატარებელი დაიძრა.

ეს ამბავი ათი წლის უკან მოხდა. მაგრამ ახლა კვლავ განახლდა ძველად ნაგრძნობი. ისევ გაიხსნა ძველი ჭრილობა — პირველზე გაცილებით უფრო ღრმად, ათასჯერ უფრო მწვავედ!

ევა, ევა რამდენი იმედი გაუმტყუნე შალვას!

პირველ ხანებში, მართალია, წერილებს უგზავნიდა, მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ერთი სტრიქონიც არ მოუწერია, რაშია საქმე, რა მოხდა? ცოცხალია თუ მკვდარი? სად არიან ბავშვები?.. რა მოუვიდათ შალვას მშობლებს?

„ვიცოდე მაინც, რა არის ჩემს თავს, — ათასჯერ უფიქრია შალვას, — მიღალატა ევამ თუ ისევ ჩემი ერთგულია?"

როცა შალვა ამ მოგონებებში იყო, „ძველი გაუსწორებელი იდეალისტი" მეორე ოთახიდან გულმოდგინედ ადევნებდა თვალს და თანაც ჩურჩულით ეუბნებოდა დიასახლისს:

— თქვენა ბრძანეთ, რომ შალვა ღრუბელიანი ქართველია? მერე რა ვუყოთ! მით უკეთესი! რა განსხვავებაა ჩვენ შორის? სრულებით არაფერი, ჩვენსავით აცვიათ, ახურავთ... მათი ქვეყანა კავკასიის მთებშია. დიახ, მე ყველანი მიყვარს: რუსი, ქართველი, თათარი და, ასე წარმოიდგინეთ, გერმანელიც... დიახ, ვინაიდან მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ გვეომება არა ნამდვილი გერმანია, არამედ მუქთახორა იუნკერი. მაგრამ იქაც მოხდება რევოლიუცია და მაშინვე დამყარდება ქვეყნად მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. დიახ, დიახ! საკმარისია, რომ მშრომელებმა თავიდან მოიშორონ მეფეები და ყველაფერი რიგზე დადგება და მოეწყობა. მე წინასწარმეტყველი არა ვარ,

მაგრამ მაინც მწამს, რომ მალე მთელი ქვეყანა სამოთხედ იქცევა... აი, ნახავთ, რა დიდებულად მოეწყოს ჩვენი ცხოვრება! რუსი ხალხი გენიოსია... დიახ, გენიოსი: შრომის მოყვარე, ნიჭიერი! ნუ დაგავიწყდებათ, რომ მისი შვილებია ტოლსტოი. ჩეხოვი...

ექიმის ლაპარაკში კარგა ხანმა გაიარა. დაღლილი დიასახლისი გულმოდგინედ ამთქნარებდა და ხშირად ყურსაც არ უგდებდა „ძველ, გაუსწორებელ იდეალისტს".

— ო, ქართველები! ქართველები! — განაგრძობდა მაინც ექიმი, — თურმე ხანჯლის ხმარება ძალიან იციან, ყველა რევოლუციონერია! ეტყობა, ერთობ თავდადებული მებრძოლია ჩვენი ღრუბელიანიც... მე პირდაპირ ვაღმერთებ ასეთ ადამიანებს. მათთვის არ დავიშურებ სიცოცხლესაც კი...

10

შალვა ღრუბელიანი უბრალო გლეხის შვილი იყო. მამამისს — ტარასი ღრუბელიანს — ორიოდე ქცევა სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა.

დედა შალვასი, ბარბარე, მხნე ადამიანი იყო. მამამთილმა თითქმის ცარიელ-ტარიელი გამოისტუმრა ის და მისი ქმარი. უსახლკაროდ დარჩენილებმა მაშინვე პატარა ქოხის აგება განიზრახეს. ბარბარეს ხელმომთბარი ნათესავები ჰყავდა და მათი იმედით ვალის აღებას არ შეუშინდა.

— ცუდი საქმისთვის ხომ არ ვიღებთ ვალს, სახლ-კარს ვიდგამთო, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარი. ბარბარეს განსაკუთრებით აიმედებდა და მხარში ედგა მოხუცი დედა.

— უბედური ტარასი ქალის ჭკუას აჰყვა და ნასესხები ფულით წამოიჭიმა სახლიო, — დასცინოდნენ მეზობლები.

— ვნახავთ, რომ მაგ სახლი მოვალეებს ფიცარ-ფიცარ მიჰქონდეთ მარტო სარგებელში და თავნი კიდევ თავნად დარჩებაო.

ცოლ-ქმარმა ორი წლის განმავლობაში სულ გადაიხადა ვალები და მერე იქვე ეზოზე მიკრული ადგილი შეიძინეს. ტარასი ხშირად ოჯახს ტოვებდა და ქალაქში მიდიოდა სამუშაოდ:

ხან მოჯამაგირე იყო, ხან მეურმე, ხან ჩალვადარი და, ამნაირად, წვითა და დაგვით იხდიდა ვალებს.

შინ დარჩენილი ბარბარე დღე და ღამეს შრომაში ატარებდა: ქათმების გამოზრდით, საქონლის მოშენებით და საჩოხე შალის ქსოვით ქმარზე ნაკლებად არც ის შოულობდა ფულს.

ბარბარეს დედა თითქმის ყოველდღე თავის ქალთან იყო და შრომაში ეხმარებოდა.

— ღარიბი კაცის ხელში შემექნა შვილი და რომ არ დაეხმარო, დამეღუპება, — ამბობდა მოხუცი. მისი სახლი იმავე სოფელში იყო და ყოველდღე ქალიშვილისათვის ხან რა მიჰქონდა და ხან რა.

როცა პატარა შალვამ სიარული დაიწყო, ხშირად აეკვიატებოდა ბებიას და „დედულეთს" გასდევდა. ბიძები დიდი ამბით შეეგებებოდნენ პატარა დისწულს. რაც არ უნდა მოწყენილნი ყოფილიყვნენ და მუშაობით დაღლილნი, ყოველივე დაავიწყდებოდათ შალვას დანახვაზე.

შალვას მამამ, ტარასიმ, წერა-კითხვა არ იცოდა, რის გამოც ბევრჯერ ამოხვნეშით უთქვამს: მე რომ უბრალო წერა-კითხვა და დავთარში ციფრების ჩაწერა შემძლებოდა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო. შალვას დედა კი საკმაოდ იყო ამაში დახელოვნებული.

იმ უბანში მარტო ბარბარემ იცოდა კითხვა: არც ერთი მოკითხვის ქაღალდი უიმისოდ არ წაიკითხებოდა და არც დაიწერებოდა. თამასუქისა და პირობის ქაღალდის შედგენაზე კი არავინ აწუხებდა — ქალია და მის ნაწერს რა ძალა ექნებაო.

ბარბარემ ზეპირად იცოდა ლოცვანი, აუარებელი ხალხური ლექსი და გამოცანა. ათი მცნების კარგად თქმისათვის ერთხელ ეპისკოპოსს ვარდისფერი ქვის თვლებიანი ბრილჯაოს პატარა ჯვარიც კი უჩუქნია. ეს ჯვარი მზითევთან ერთად მოიტანა ბარბარემ და დიდხანს ინახავდა თავის საყვარელ სკივრში, საიდანაც სხვადასხვა ხილეულობის მშვენიერი სურნელება ამოდიოდა.

როცა შემთხვევა მიეცემოდა, ბარბარე ღიმილით ამოიღებდა ამ ჯვარს და სიამოვნებასთან შეზავებული თავმოყვარეობით იტყოდა:

— წყალივით ვუთხარი იმ კურთხეულს „ათი მცნება" და

„მიწყალე ღმერთო“. ახლა რო გაადვილებულია ყველაფერი, უწინ ასე კი არ იყო! ათი მცნება რო არ გეთქვა ზეპირად, მღვდელი ჯვარს არ დაგწერდა, აპა!

ბარბარე თავმდაბალი და მშრომელი ადამიანი იყო. მისი პატიოსნება, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და ყოფაქცევა ყველასათვის სამაგალითო იყო. მთელი მისი ყურადღება და ენერგია იქითკენ იყო მიქცეული, რომ სიღარიბედან ფესი ამოედგა და შვილები წესიერად აღეზარდა; მისი აზრით, მისი შვილი უნდა ყოფილიყო თავაზიანი, კარგი სიტყვა-პასუხის, გულმართალი, ადამიანის გამტანი და შემბრალე, მშრომელი და ღვთისმოყვარე.

შალვას არ ახსოვს რომ ოდესმე დედამისი ყალბად მოქცეულიყოს: ერთი ეთქვას და მეორე გაეკეთებინოს.

ერთხელ სოფლის „ბორჩიკმა“ ივანე ელაძემ ბარბარესაგან სახაზინო გადასახადი წაიღო და ხურდა ფული დაუბრუნა; თურმე ხარკის ამკრებს შეცდომით ერთი მანეთი მეტი დაებრუნებია მისთვის. დედამ მაშინვე უთხრა შალვას რაშიც იყო საქმე და თან გააფრთხილა: ხვალ დილით სასწავლებელში რომ წახვალ, ეს ფული თან წაუღე ივანესო.

დილაზე შალვამ სიამოვნებით ჩაბღუჯა ვერცხლის მანეთიანი და იმ ფიქრით, ერთობ აამებდა ივანე ელაძეს, ისარივით გაექანა მისკენ, მაგრამ შინ ვერ ნახა და პირდაპირ ყანაში მიაკითხა.

ივანე სიმინდს მარგლავდა.

— ივანე, გამარჯობა შენი! გუშინ ჩვენსას რო იყავი, ფული გადმოგყოლია და დედამ გამომატანა. ა, წაიღე შენი ფული.

— შენ გაგზარდოს, შვილო, ღმერთმა, — უთხრა გახარებულმა ივანემ, ღმერთმა აკურთხოს შენი მშობელი დედა! რა პატიოსანი ის ყოფილა! ღმერთი უწინამძღვრებს შენი დედ-მამის მარჯვენას, შენ გაიზარდე სახელოვანი და სასახელო კაცი!..

შალვას მეზობლად ცხოვრობდა ერთი გლეხი — ანდრია, რომელსაც ბაზრობის დღეს მახლობელ ქალაქში გზაზე მოსასხამი შალი ენახა. ბევრი ძიებისა და კითხვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოაჩინა შალის პატრონი. ამ ნამდვილ ამბავს, რომელიც მთელმა სოფელმა იცოდა და რომლისთვისაც ბევ-

რი ანდროს დასცინოდა კიდეც, ბარბარე ათასნაირის ფერებით შეამკობდა და ისე უამბობდა ხოლმე შვილს.

შალვას მამა არ იყო ბარბარესავით განვითარებული. ის უფრო გულუბრყვილო ადამიანი იყო: ბუნების უშუალო შვილი, გაურყვნელი, დამნდობი და დაუღალავი მუშაკი, ერთიანად ემორჩილებოდა ცოლის ნებას და გამჭრიახობას; ძვირად თუ რამეში დაჰპირდაპირებია ცოლ-ქმარი ერთმანეთს, ხოლო თუ ეს როდისმე მომხდარა, საქმე ისე მოგვარებულა, როგორც ბარბარეს ერჩია.

11

ზნეობრივ აღზრდასთან ერთად ბარბარე უდიდეს ყურადღებას აქცევდა შვილის სასწავლებელში აღზრდასაც.

— ღმერთმა სიცოცხლე ნუ მომცა, თუ შალიკო ნასწავლ კაცად არ გავხადო, — ამბობდა იგი თავიდანვე, — ტყავი რო გავიძრო, ურიის ვალი რო ავიღო, ამას მაინც არ ვიზამ.

ქართული წერა-კითხვა თვითონ ასწავლა შვილს მოკითხვის წერილების, თამასუქებისა და ასპიდის დაფის საშუალებით. მათ სოფელში იმ დროს სასწავლებელი არ იყო, მხოლოდ ზამთრობით სოფლის დიაკვანი გახსნიდა ხოლმე თვიურ სკოლას; გაზაფხულამდე ასწავლიდა, თვეში ათ შაურს, ხან სამ აბაზს აკრეფდა მოწაფეებისაგან, რომელთაგან ბევრი წვერულვაშიანიც კი იყო და მარტში — ხვნა-თესვის დროს — სასწავლებელიც იკეტებოდა.

— ბავშვებში გაერევა, გათამამდება და იმიტომ მინდა, რომ მივაბარო, თვარა ჩვენი დიაკვანი რომ ასწავლის, იმდენს მეც კი ვასწავლიდიო, — ცოტა არ იყოს თავმომწონედ იტყოდა ხოლმე ბარბარე.

დიაკვანს იმ თვეში ამხანაგად ერთი ნასალდათევი „მწიგნობარი“ ჰყავდა, რომელსაც მთელ სოფელში თავი მოსწონდა „უჩენიის“ ცოდნითა და „ნალევო-ნაპრავოს“ ძახილით. სოფლელები მას „ფეთებელს“ უწოდებდნენ. ამ ნასალდათევ მასწავლებელს მართლაც გაგიჟებით უყვარდა ტანვარჯიში და სოფლის ტიტლიკანა ბიჭებს მთელი საათობით აყუნცულებდა სიცივეში, შალვასაც არა ერთი და ორი საათი გაუტარებია ამ ყოფაში.

— Раз, два, раз, два, — ყვიროდა „ფეთებელი".

როცა სოფელში სკოლა გაიხსნა, შალვაც მაშინვე იქ მიაბარეს მშობლებმა. რაკი შალვამ სოფლის სკოლის კურსი დაასრულა, ტარასიმ ღმერთს მადლობა შესწირა: გადაწყვიტა მისი სავაჭრო დაწესებულებაში მიცემა. ბარბარეს სულ სხვა გზა ჰქონდა შვილისათვის ამორჩეული: გადაწყვეტილი ჰქონდა შალიკო სოფლის მასწავლებლად გამოეზარდა, ასე ურჩია სკოლის მასწავლებელმა, რომელიც შალვას ნიჭით აღტაცებაში მოდიოდა.

ცოლის ასეთი გადაწყვეტილება ტარასიმ კარგა ხანია იცოდა, მაგრამ ეგონა, ისე ლაპარაკობსო, თორემ სერიოზულად ასეთი აზრი როგორ მოუვიდოდა თავში ჩემ დედაკაცს — ვინ ჩვენ და ვინ ნასწავლი შვილიო!

მაგრამ ამაოდ: ბარბარემ მაინც თავისი გაიტანა, მაგრამ არა უთავბოლო დაჟინებით, არამედ სრული საზრიანობით და დაფიქრებული მსჯელობით. შალვამ ბრწყინვალედ დაიჭირა გამოცდა საოსტატო სემინარიაში. ბარბარეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ჩემი შვილი მასწავლებელი იქნება და სხვა შვილებსაც გამომიზრდისო.

მეზობლები შურის თვალით უყურებდნენ: გადიდკაცება უნდა , გაკვირვებულია, თავის ქერქში არ ეტევაო. ,

შალვამ ბრწყინვალედ დაასრულა სემინარიის კურსი.

— ახლა ხომ კარგი შეიქნა ჩემი რჩევა, — ეუბნებოდა ქმარს ბარბარე, როცა შალვამ მასწავლებლობის ხარისხი მიიღო და თავზე ბრჭყვიალა კაკარდიანი ქუდი დაიხურა, — ხომ გაგვეზარდა სასახელო შვილი, თვითონაც კარგი კაცია და ჩვენაც მოგვეხმარება.

— შვილო, დიდი კაცი ხარ, მასწავლებელი გამოდი, მაგრამ ჩემი სწავლება კიდევ დიდხანს დაგჭირდება, — ეუბნებოდა შვილს, — ამპარტავნობა არ დაიწყო, უკადრისობა არ დაგჩემდეს, არავინ დაჩაგრო, არავინ დაამცირო, ყველას ტკბილი სიტყვა უთხარი, პირიდან შაქარი უნდა გცვიოდეს... ნუ დაგავიწყდება, რომ საწყალი კაცის შვილი ხარ, აბა შენ იცი, თუ მამაშენივით გულსაწყალი და ალალ-მართალი იქნები...

შალვას გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი განათლება მიეღო.

ოთხი წელიწადი იყო შალვა სოფლის მასწავლებლად. ამ ხნის განმავლობაში სიმწიფის მოწმობის მისაღებადაც ემზადებოდა.

პირველად, როცა სოფელში გაიგეს, ჩვენი ახალი მასწავლებელი უცოლშვილოა, ქალიშვილებმა ეშმაკურად გადახედეს ერთიმეორეს — აბა, ვინ დააკვესინებს იმის გულს ნაპერწკლებსო. მაშინვე მიიტანეს შესაფერი იერიში; მაგრამ ამაოდ, მალე დარწმუნდნენ, რომ ფუქსავატ ადამიანთან არ ჰქონდათ საქმე და უკან დაიხიეს. ან არ კადრულობს ჩვენისთანა დაბალ ხალხს, ანდა ბერად თუ უნდა შედგომაო, — ირონიით ამბობდნენ უკუქცეულნი.

შალვა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. ერთი რა არის, ახალგაზრდული თავდავიწყება და უზრუნველი განავარდება არ განუცდია: ღარიბული ჩაცმა-დახურვა, ასეთივე სმა-ჭამა და შრომა, გამუდმებული შრომა.

ოთხი წლის შემდეგ შალვამ მშვენივრად ჩააბარა სიმწიფის გამოცდა და ორიოდე ათეული მანეთით უნივერსიტეტს მიაშურა.

მშობლებს არ მოეწონათ შალვას ასეთი ნაბიჯი, ასე გასინჯეთ, ბარბარეც წინააღმდეგი იყო.

— შვილო, ერთი საწყალი გლეხის შვილი ხარ, წვითა და დაგვით გამოგზარდეთ, გეკმარებია, რაც ისწავლე; რაც შენ შეგეფერებოდა, იმისი სწავლა გაქვს, რა საჭიროა მაინცდამაინც მეტობა და სხვაზე წინ გასწრება, — ეუბნებოდა დედა, რომელსაც გულის სიღრმეში სიხარული უღვიოდა, რომ მისი შვილი „უნივერსში“ შედის და დიდი ნასწავლი გამოვა, მაშინ მისი შესაფერი ვინ იქნებაო, ფიქრობდა.

-- ეგ სულ შენი ბრალია, — უსაყვედურებდა ბარბარეს ქმარი, — შენ შეაყვარე წიგნი და მალე ვნახავ, რომ ისე გადიდკაცდეს, არც კი გიკადროს. ბევრი გამიგონია ნასწავლ კაცს თავისი ღარიბი დედ-მამა არ უკადრებია და თავის გვერდით სუფრასთანაც არ დაუსვამს. ჩვენაც ასე დაგვემართება, სწავლა დიდი კაცების საქმეა.

ტარასი გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ ბარბარე მისდა გასაგონად ესაყვედურებოდა შალვას, თორემ ჩუმად, ალბათ, კიდეც აგულიანებდა, მამაშენს არ დაუჯეროო.

შალვა წელიწად-ნახევარი იყო უნივერსიტეტში. ამ დროს სახალხო მოძრაობა დაიწყო და შალვაც შეცურდა ატივტივებულ ზღვაში.

ევას სოფელში კომიტეტის დავალებით სარევოლუციო მუშაობისათვის წასვლა — ეს პირველი ნაბიჯი იყო, რომელიც გადადგა საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოქმედოდ.

მშობლები აშკარად ხედავდნენ რომ შვილი თანდათან იზრდებოდა მათ წარმოდგენაში, ყოველდღე შორდებოდა მათ და სრულებით არ ჰგავდა იმ შალვას, რომელსაც ისინი უყურებდნენ მისი სოფლის მასწავლებლობის დროს. მაშინ მისი ყოველი ნაბიჯი მშობლებისათვის ასე თუ ისე გასაგები იყო, დღეს კი, ამ სახალხო მოძრაობაში ჩარევით, სულ სხვა კაცად დაესახათ იგი: მიუწვდომლად, უჩვეულო აზრების წყაროდ, დიდი და რთული საქმის მკეთებლად.

ეს გარემოება ერთი მხრივ რომ სიამაყის გრძნობას აღვიძებდა მშობლების გულში, მეორე მხრივ გაურკვეველ შიშსა და ძრწოლას ბადებდა მათში.

— ვინ ჩვენი შვილი და ვინ ხელმწიფის მოჩხუბარი, — ჩაფიქრებით იტყოდნენ ისინი, — განა უფალს მადლობას არ უნდა ვწირავდეთ იმის გამო, რომ შიმშილით არ დაგვხოცა! ვინ ვიყავით და ვინ ვართ? მერე ამიტომ ისე უნდა გავამპარტავნდეთ, რომ ჩვენმა შვილმა ხელმწიფეს დაუწყოს დავა? განა იმ ხელმწიფემ არ გამოზარდა იგი თავის ხარჯზე? იმას რო არ გამოეზარდა, ახლა უბრალო მიწის მუშა იქნებოდა, ან მეკურტნე... ვაითუ ჩვენზე ახდეს ნათქვამი: „ჭიანჭველას ღმერთი მაშინ გაუწყრა, როცა ფრთები გამოესხაო“.

შალვასა და მის მშობლებს შორის ნაპრალი მაშინ უფრო გაღრმავდა, როდესაც მშობლებმა გაიგეს, შალვა თავადიშვილის ქალს ირთავს ცოლადო.

— რა ჩვენი საქმეა თავადიშვილის ქალი, ჩვენ გლეხები ვართ და რძალიც გლეხი შეგვშვენის. არ გვიკადრებს, სხვანაირად დაგვიწყებს ყურებას; გლეხისა და თავადის სისხლი სხვადასხვანაირია, ერთმანეთში არ შეერევა, — ეუბნებოდა დედა შალვას, — ისა სჯობია, შვილო, გლეხის ქალი შეირთო, ყველაფერს იკადრებს, გვერდით ამომიდგება.

— ნახავ, ჩვენ რა დაგვემართოს, — შიშით ამბობდა ტა-

რასი, — ჩვენი შვილი კარგა ხანია, რაც კეთილ გზას ასცდა, ხელმწიფეს ეჩხუბება, ღრუბენატალს არ აყენებს... ახლა კიდევ თავადიშვილის ქალს ირთავს?.. ღმერთმა კაი ქნას, მაგრამ მე რაღაც გული მიშლის. იგი გამომიცხობს მჭადს?.. იგი დამბანს ფეხს?.. იგი იკადრებს ჩემს ჭვარტლიან სახლს?.. მეტი არა ჩემი მტერი!.. ჩემი შვილი მეთოხედ უნდა გამომეზარდა აგერ, ჩემი მეზობლებივით და მაშინ იქნებოდა ჩემი მასიამებელი, თვარა ახლა...

შალვამ მაინც შეირთო თავადიშვილის ქალი. ცოლთან ერთად ჩაბმული იყო სახალხო მოძრაობაში და სრულებით არ ჰგავდა ისეთ ადამიანს, რომელსაც მყუდრო ცხოვრების და წყნარი ოჯახის შექმნა უნდოდა.

ასე გასინჯეთ, მხოლოდ სამი დღით მოვიდა დედ-მამასთან, მხოლოდ მოაჩვენა მშობლებს რძალი და სასწრაფოდ წავიდა ცოლიანად თავის საქმეზე.

12

ცოლის შერთვაზე შალვას ევასთან დაახლოებამდე არც კი უფიქრია.

მისი პირველი, მტკიცე გადაწყვეტილება ასეთი იყო: არავითარ შემთხვევაში ცოლი არ შეერთო უნივერსიტეტის დასრულებამდე.

საზაფხულო არდადაგებზე, ორიოდე გროშის აღების მიზნით, შალვა ამხანაგთან ერთად შეგირდებს ამეცადინებდა. შენობად სამრევლო სკოლა ჰქონდათ, სოფლის მღვდელმა ათხოვა ახალგაზრდებს.

ერთ დღეს შალვამ ეკლესიის გალავანთან აგებულ სენაკში, მონაზვნის დერეფანში, ვიღაც თეთრად მორთული ქალი დაინახა. შალვას გაუკვირდა:

— ბიჭოს, მაკრინე მონაზონი თეთრად მორთულაო, — უთხრა ამხანაგს.

გამოირკვა, რომ მონაზონი კი არა, მისი ნათესავი ქალი ყოფილიყო, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქეთინო, რომელიც დროებით მოსულიყო თავის მამიდასთან.

შალვა მსწრაფლ მოაჯადოვა მოხდენილმა ქეთინომ, რომელსაც გიშრის თვალები მუდამ უცინოდა შავი წარბების

კალთებქვეშ და ერუანტელის მომგვრელ წითელ ტუჩებზე ყოველ წამს ღიმილი დასთამაშებდა. განსაკუთრებით გამგმირავნი იყვნენ ქეთინოს თვალები, რომელნიც ისე შემოგაცქერდებოდნენ, თითქოს გიბრძანებდნენ — რას აყოვნებ, პასუხი მომეცით.

— უკაცრავად... მაკრინე შინ არის? — მიადგა ერთ დღეს შალვა მონაზნის საკანს და ჰკითხა ქეთინოს.

— შინ გახლავთ, — გაუცინა ქეთინომ, ლამაზი ყმაწვილის დანახვამ შეაშფოთა და თავისი დაფანტულობის დასაფარავად სენაკისაკენ შებრუნდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ საძირკველზე ფეხი ნელა გადაედგა, უცებ ქურციკივით შეახტა ზედ, ორივე ფეხები დაჰკრა და ზე შუა სენაკში დასკუპდა.

— რა დაგემართა, გენაცვალე, რა გიჟი რამა ხარ, ბაბაშინე, — უთხრა მაკრინე მონაზონმა, რომელსაც მოხუცებულობის გამო ყბა ყბაზე გაკვროდა და ერთიანად მოღრეცილი, ზღაპრულ ჯადოქარს მოგაგონებდათ.

— ვილაც ყმაწვილია...

მაკრინე მოჩვენებასავით მიადგა დაწმენდილ, დაკანკალებულ სენაკის კარებს და თვალის ხუჭვითა და ზედ გაშლილი მარჯვენა ხელის აფარებით უსიამოვნოდ დაუწყო სტუმარს თვალიერება.

— შალვა, შვილო, შენა ხარ? წყალი ხომ არ გინდოდა?

— არა, მაკრინე... ისე მოვედი... კი, წყალი მინდა, წყალი, — დაიბნა შალვა.

— შვილო, ქეთინო, მიაწოდე წყალი. ეს ყმაწვილი ღვთისნიერი ადამიანის შვილია, ბარბარეს შვილია. მაგ გაეზარდა მის მშობლებს სასახელო კაცი, ასე ჭკვიანი რომ არის და დედ-მამას ამაგი არ დაუკარგა.

ქეთინომ შეკავებული ღიმილით, თვალ-წარბის მოქმუხვნით წასჩურჩულა მაკრინეს — შენ მიუტანეო.

— რათა ხარ, შვილო, აგრე დაუდეგარი!..

ქეთინომ არც დააცალა სიტყვის დასრულება — კიდეც ეწყინებოდა, რომ მართლა მაკრინეს მიეწოდებინა წყალი და თავისებური ჩამკითხავი გამომეტყველებით წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა სტუმარს, თანაც ეცადა წარბები შეეკრა და

არ გაეღიმა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით შესძლო: ღიმილსა და სიცილს შეჩვეული თვალები ჩვეულებრივ აციმციმდნენ და თითქოს შეწუხებული ტუჩები თრთოლვით გაეთიშნენ ერთმანეთს. აღელვებულმა შალვამ ნაძალადევად შესვა წყალი და მადლობის ჩურჩულით მყისვე გაშორდა იქაურობას.

ამ სურათმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა შალვაზე, რომ ერთი კვირის განმავლობაში გონებადაკარგული დადიოდა, დღე და ღამე ქეთინოზე ფიქრობდა და ოცნებობდა. ასეთი ნარნარი, უმანკო და ჰაეროვანი ქალი ჯერ არ ენახა, ნამდვილი მოჩვენებაოო, ფიქრობდა.

მაკრინეს სენაკი უსაყვარლეს ადგილად გადაიქცა მისთვის, ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და საუკუნო სიყვარულიც შეჰფიცეს.

ის ამხანაგი, რომელიც მასთან ერთად ამეცადინებდა შეგირდებს, ღიმილით ისმენდა შალვას აღსარებას და თვითონაც სიამოვნებით შეჰყურებდა ქეთინოს. როცა შალვა მოწიწებით მოჰყვებოდა ქეთინოს ამბის მოყოლას, მისი ამხანაგი სრულიად მოულოდნელად რაღაც ისეთ შეუფერებელსა და ნახევრად ქუჩურ სიტყვებს იტყოდა ქეთინოს შესახებ, რომ შალვას შერცხვებოდა.

— სიმო, თუ გიყვარდე მეორედ არ მითხრა მაგისთანები! განა შემიძლია მაგ აზრით დავუახლოვდე ისეთ ციურ და უმანკო ადამიანს, როგორიც ქეთინო არის? მე არასოდეს არ მიგრძვნია მაგის მსგავსი რამ, პირიქით, ასე მგონია, როცა ქეთინოს ველაპარაკები, ხატის წინაშე ვდგავარ. არა, მაგ ხომ წმინდა გრძნობის გატალახება იქნებოდა, გაპირუტყვება.

შემოდგომაზე შალვა სასწავლებელში წავიდა, სიმო კი სოფლად დარჩა. არ გაუვლია ერთ თვეს, რაც ქეთინო და შალვა დაშორდნენ ერთმანეთს და შალვამ ასეთი ამბავი გაიგო: სიმო და ქეთინო დაქორწინდნენო. შალვასათვის თავზარდამცემი იყო ეს ამბავი, როგორ, განა ისეთ მშვენიერ ადამიანს ორპირობაც შეეძლო? ასე უსინდისოდ მოტყუება, წმიდა გრძნობის ასეთნაირად ფეხქვეშ გათელვა?

რა იქნა მისი ფიცი, სად გაჰქრა სამარადისო ერთგულების დაპირება?

მთელი თვეები შალვა გაბრუებული დადიოდა, სწავლა-

ზეც გული აიცრუა, ბოლოს ასეთი დასკვნა გამოიტანა: ქალი მართლაც მზაკვარი ყოფილა, დაუნდობელი...

ამ შემთხვევის შემდეგ შალვასთვის დიდი ხნით მოიხსნა ცოლის შერთვის საკითხი. გადაწყვიტა, მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურისათვის შეეწირა.

13

მან შემთხვევით წაიკითხა ერთი მოთხრობა. მოთხრობიდან ბევრი მისთვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ ერთი რამ სრულიად ნათელი იყო: მოთხრობის გმირს სრულებით არ ახსოვდა თავისი თავი და სხვების ბედნიერებისათვის იღწვოდა, დღედაღამ იბრძოდა და ბოლოს თავიც კი შესწირა ამ საქმეს.

უპატიოსნესი მისწრაფება, კეთილშობილური იდეალი, სიმართლისათვის თავგანწირვა — აი, რაზე იყო ლაპარაკი მოთხრობაში.

შალვა დაინტერესდა, თუ რაში იყო საქმე, ამხსნელი და გზის მაჩვენებელი მას არავინ ჰყავდა, ამიტომ საკუთარი კვლევა-ძიებით შეუდგა გაღვიძებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას...

ამ ძიებაში იყო, რომ ერთი მგოსნის ლექსებმა საშინლად გაიტაცეს იგი. ამ მგოსნის ლექსებს საზოგადოდ მთელი მაშინდელი ახალგაზრდობა მოჰყავდა აღტაცებაში.

რამდენი აღტაცება, რამდენი აღმაფრენა იყო ჩაქსოვილი ამ ლექსებში! დაუცხრომელი ბრძოლის ყიჟინა, მქუხარე ენერგია, თავგანწირული თრთოლვა, უსამართლობის წყეული და კრულვა!..

შალვა მარტო როდი იყო, მას მრავალი თანამგრძნობი აღმოუჩნდა, რომელთაც ასე თუ ისე გააგებინეს, თუ რა გვარი ბრძოლისაკენ მიუთითებდა ეს მგოსანი, რას ნიშნავს ამქვეყნიური წმინდა იდეალები და მაშვრალთათვის თავდადება.

ახლა კი მიხვდა შალვა, რაშიც იყო საქმე და რისთვისაც იბრძოდა იმ მოთხრობის გმირი აგრე თავგამოდებით.

ამის შემდეგ მთელმა ქვეყანამ შალვას წარმოდგენაში ფერი იცვალა: მან აშკარად დაინახა უსამართლობის ტახტი და მისი მსხვერპლნი. მსწრაფლ გაერკვა ცხოვრების ავ-კარგში

და აღტაცებული გამომეტყველებით ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

სად ვიყავი ამდენი ხანი? როგორ ახვეული მქონდა თვალები! რა უგნური ვყოფილვარ, გონებადახშული! თურმე ამდენი ბოროტება და უსამართლობა იყო ჩემს გარშემო და არაფერი მესმოდა, — ამბობდა თავის თავის შესახებ შალვა. ახლა მუშათა გაფიცვებიც გასაგები შეიქნა მისთვის, სტუდენტების არეულობაც, სოციალისტების გამოჩენაც და ტერორისტული აქტებიც. სულ ორიოდე თვის განმავლობაში შალვას შეხედულებანი ძირითადად შეიცვალნენ, მისი მსოფლმხედველობა ერთიანად გარდაიქმნა.

რა სიამოვნებით იგონებს შალვა ამ კურთხეულ მგოსანს! რამდენი წმიდა გრძნობა, რამდენი აღტაცება და თავდავიწყება განუცდია მას ამ პოეტის ლექსების კითხვის დროს! ეს კრებული ისე უყვარს შალვას, ვით უძვირფასესი ცოცხალი არსება. მას ახლაც მშვენივრად ახსოვს, რომ ნახევრად დაფლეთილი წიგნი დედის სკივრში აქვს შენახული მოწაფეობის დროინდელ რვეულებთან ერთად.

რა ბედნიერი იქნება იგი, როცა თავის ღარიბ სახლ-კარს ნახავს, ღიმილით მივა საყვარელ დედის სასთუმალთან დადგმულ გაჭვარტლულ სკივრთან, თავს ახდის, იქიდან ხილეულის სუნი ეცემა, იქვე დახვდება დედის ტანსაცმელი და კუნჭულში კიდევ მისი ბავშვობის რვეულები, რომელთა შორის სხვა წიგნებთან ერთად ის სათაყვანო კრებულიც არის. ოჰ, რა ბედნიერი იქნება შალვა ამ დროს! ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებია ციხის კედლებში ყოველივე ამაზე და რამდენჯერ სევდით ჩაუქნევია ხელი, როცა ოცნებიდან გამორკვეული, სინამდვილეს დაინახავდა. ცოლის შერთვა და, საზოგადოდ ოჯახი, საზოგადო მოღვაწეობისათვის ხელის შემშლელიაო, — გაიგონა შალვამ ცხოვრებაში გამოსვლის დროს და თავი ბედნიერად ჩათვალა, რომ ქეთინოს დროზე ჩამოშორდა. მადლობა ღმერთს, რომ ბორკილები არ შევიყარე ფეხებშიო, — ფიქრობდა იგი.

დარწმუნებული იყო, რომ ცოლის შერთვის საკითხი მან სამუდამოდ მოიშორა თავიდან და ახლა მთელი მისი ყურადღება იქით ჰქონდა მიქცეული, რომ ასკეტად ქცეულს, მხოლოდ

იმაზე ეფიქრა, თუ როგორი თავგანწირვით ემსახურნა ხალხის ინტერესებისათვის. ყოველივე კერძო, ყოველივე პირადი ამ დროს დავიწყებული უნდა ყოფილიყო!

ისეც ღარიბულად ნაცხოვრებ შალვას ძალიან მოსწონდა თავისი ამხანაგების სულისკვეთება. თავის თავზე წინ ამხანაგების დაყენება და მათი პატივისცემა, — აი ეს არის ნამდვილი დემოკრატობა.

ამ ხანებში შალვამ ისიც გაიგო, რომ მათ ლიდერებს ერთერთ კრებაზე ასე შეეფიცნათ ერთმანეთისათვის: არც ერთმა მათგანმა პირად საქმეზე არ იზრუნოს, ჩვენი დევიზი იყოს, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა სამსახური და მისთვის თავგანწირვა. ამ პირობის თანახმად, მათ ხელი უნდა აეღოთ ოჯახურ ბედნიერებაზე და საკუთარ თავის ზრუნვაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო წამქეზებელი შეიქნა შალვასთვის პირად ბედნიერებაზე ფიქრის დავიწყებაში.

ასეთი აზრებით იყო გაჟღენთილი, როდესაც ხალხი გასათვითცნობიერებლად სოფლად წასული პირველად შეხვდა ევას. ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ იგი სრულიად გულგრილად ეპყრობოდა ევას, რომელიც, როგორც ქალი, მისთვის დიდი ხნის განმავლობაში არც კი არსებობდა.

ამიტომ იყო, რომ შალვას პირველ ხანებში ნესტორ ნაბადაძის ორეოფული აზრები და სიტყვის გადაკვრა ევას შესახებ არ მოსწონდა.

14

როცა შალვა მამის სახლიდან გამოქცეულ ევას უსმენდა, გული სიხარულით ევსებოდა.

ევა შალვასათვის მანამდე იმდენად არსებობდა, რამდენადაც ევა ახალი იდეების სამსახურს ეწეოდა. დღეს კი ასეთი რომანტიული ნიადაგის გამო შალვა დაინტერესდა მისი პირადი თვისებებითაც.

„რამდენი რევოლუციური ტემპერამენტი უნდა ჩქეფდეს იმ ადამიანის სხეულში, რომელმაც ასე დემონსტრატიულად და კადნიერად უარყო ის წრე, რომელმაც გაზარდა და ძუძუ აწოვა“, — ფიქრობდა შალვა.

— თქვენი ასეთი ნაბიჯი, ევა, მთელ გლეხობას აღტაცება-

ში მოიყვანს, — ეუბნებოდა ღიმილით,—თქვენ უარყავით მემამულეთა წრე, მშრომელთა მყვლეფელების ბუნაგი!.. თქვენი საკუთარი მშობლების უსამართლობაც კი არ დაინდეთ, თამამად დადექით ჩაგრულების მხარეზე.

შალვას მუშაობა ერთიასად გაცხოველდა ევას მოსვლით. დაუშრეტელმა ენერგიამ იფეთქა მასში და მთელი მისი საქმიანობაც წარმტაცი საღებავებით გაცისკროვნდა. სად გაუქრა ჩვენ ბერს ის აზრი, რომელიც ქალებზე ჰქონდა შექმნილი. ყოველივე ეს სამუდამოდ დაიღუპა იმ წუთს, როცა ევამ იდაყვსზევით გაშიშვლებული თეთრი ხელები უზრუნველის მოძრაობით წაიღო თმის გასასწორებლად...

— შალიკო, კარგი მეგობრები ვართ და, იმედია, არ გეწყინება, ერთი რამე რომ გკითხო, — ღიმილით მიმართა ერთხელ ნესტორმა შალვას.

— მითხარი, რას ბოდიშობ!

— ასრულდა თუ არა ჩემი ნათქვამი?

— რის შესახებ? ამხანაგო ნესტორ... თუ გიყვარდე, მაგ კითხვაზე პასუხს ნუ მომთხოვ, ეს პირადი ჩემი საქმეა და... — შალვას ხმა აუთრთოლდა.

— ბატონი ბრძანდებით, გავჩუმდები, მაგრამ ერთი რამ კი იცოდე: ეს მეორეჯერ გამაწყვეტინე ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ... მაინც სრულ სიმართლეს ვლაპარაკობ.

ცოლქმრობაზე ფიქრიც კი არ უნდოდა შალვას, ისე იყო გატაცებული რაღაც იდეალური მეგობრობითა და ამხანაგური დამოკიდებულებით. რა ვუყოთ, რომ ამ ბოლო ხანებში, მუსაიფის დროს, ახლო მიუსხდებიან ხოლმე ერთმანეთს, წამოსელის დროს ხელიხელჩაკიდებულნიც მოდიოდნენ და ხანდახან ტანისამოსსაც კი უსწორებდნენ ერთიმეორეს.

ცოტა ხნის შემდეგ ნესტორი გამარჯვებას დღესასწაულობდა, შალვამაც ქედი მოიხარა მის წინაშე და გულახდილად უთხრა: ახლა კი დავრწმუნდი მართლა, რომ ჯერ კიდევ ბალღი ვყოფილვარო.

როცა შალვა ქალაქში ჩავიდა და კომიტეტს თავისი მუშაობის ანგარიში წარუდგინა, ერთმა ამხანაგმა მოხსენების განხილვისა და მოწონების შემდეგ ეშმაკური ღიმილით უთხრა:

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც უნდა განვაცხადო,

რომ ამხანაგ შალვას სრული მოხსენება არ წარმოუდგენია: არ ვიცი, მან შეგნებულად დამალა თუ შემთხვევით გამორჩა ერთი დიდი მხარე მისი იქაური მუშაობისა. საქმე შემდეგში გახლავთ: მან, ჩვენმა პატივცემულმა ამხანაგმა — შალვა ღრუბელიანმა — ერთ თავადიშვილს ღირსებაც ახადა, მიწებიც ჩამოართვა და ბოლოს ქალიშვილიც წაართვა...

ატყდა საერთო სიცილი და ხარხარი. შალვა გაწითლდა და არ იცოდა, რითი ემართლებია თავი. მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამხანაგები მეგობრულად იცინოდნენ.

რა ბედნიერი იყო შალვა იმ დროს! მთელი ქვეყანა წარმტაც ედემს წარმოადგენდა, მომხიბლავ წალკოტს. იგონებდა და ტკბებოდა, იგონებდა და იტანჯებოდა!.. სად არის დღეს ყოველივე ეს? იყო და არ იქნება?

შალვამ იცოდა ისტორიის ჩარხის ბრუნვა, ცივი გონების ანგარიში ყოველთვის მის მხარეზე იყო, ათასჯერ ფიქრის და ნაფიქრის შეურყეველი დასკვნა ყოველთვის იმის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, მაგრამ ეს გული რომ ხანდახან მოუთმენლობას იჩენდა! ვაითუ მოულოდნელად ჩაკვდეს ამ მიბნელებულ ჯურღმულში, ვინ იქნება მისი დამტირებელი, თვალების დამხუჭავი? ვაითუ ისიც სახაზინო დროგით გადაათრიონ სასაფლაოზე და უცხოეთის მიწამ შეჭამოს მისი სხეული!

იმედად შვილები ჰყავდა, ჩემს სახელს განაგრძობენო, მაგრამ მათი ამბავიც რომ არ იცის! რა მოუვიდათ, სად არიან? რად მოექცა ევა აგრე მკაცრად, რად?! რა დაუშავა ისეთი?!

შალვას ავადმყოფობას სერიოზული სახე არ მიუღია, მაგრამ ათი დღე მაინც ლოგინში იწვა. ვინ არ ინახულა იგი ამ დროის განმავლობაში, მართალია, „ძველი გაუსწორებელი იდეალისტი“ მუდამ თავს ადგა და ყველას ემუდარებოდა: ნუ შეაწუხებთ ძვირფას სნეულს, მაგრამ მისი სიტყვები არავის სჯეროდა. მუშები, პარტიული ამხანაგები, პატივისმცემლები, უბრალო მოქალაქენი, ქალი, კაცი, ყველა მის სანახავად მოდიოდა.

მოხდა ისე, რომ შალვას ავადმყოფობა სხვებზე გვიან სიმონიკა აბზიანიძემ გაიგო. დარცხვენილი შევარდა შალვას ოთახში და არ იცოდა, რით ემართლებია თავი.

— შალვა, მკვდარი ვიყო, კი მირჩევნია! მომეჭრა თავი

და ეს არის, გამოეწყდი ხალხში!.. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაპატიებ ამ შეცდომას, გამიწყრა ღმერთი და ეს არის! შევრცხვი, მარა რავა შევრცხვი! ღმერთმა შეაჩვენოს ჩვენი ბიჭები! გადამეკიდნენ და მთელი სამი დღე და ღამე მაქეიფეს.

— ნუ შეწუხდები, ჩემო სიმონიკა, — ღიმილით უთხრა შალვამ, — მჯერა შენი გულწრფელობა, ჩემო კუდაბზიკა, მჯერა!..

— ოხ, რა მეხსიერების კაცი ხარ, ამხანაგო შალვა! — სიცილით გააწყვეტინა სიმონიკამ. — კიდევ არ დაგავიწყდა ეს სახელი?

ამავე დროს სიმონიკა გრძნობდა, რომ მის თავმოყვარეობას ერთგვარი განსაცდელი დაუდგა: მთელ იქაურ ქართველობას არწმუნებდა — ღრუბელიანი ჩემი პირველი ამხანაგიაო და ახლა რითი ემართლებინა თავი, რომ ეკითხათ: თუ პირველი ამხანაგი იყო, ავადმყოფობა რად არ გაცნობა, ან შენ რად ვერ გაიგე დროზეო?

აქეთ ეცა, იქით ეცა: ექიმი ხომ არ მოგიყვანო, საჭმელი თუ გაქვსო. მაგრამ ერთობ ნაწყენი დარჩა, რომ გასაკეთებელი არაფერი შეექნა — ყველაფერი უმისოდ იყო მოგვარებული.

— ნუ შეწუხდები, ჩემო სიმონიკა, მე ყველაფერი მაქვს, სულ ცოტა ხანში ფეხზედაც დავდგები, ჩემი ავადმყოფობა სულ იოლია.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას! ამისთანა დროს შენისთანა კაცის ავადმყოფობა პირდაპირ უბედურება იქნება! რა ეშველება მაშინ აქაურობას, შენოდენობა ვის შეუძლია გასწიოს? ის კი არა — მთელ ქალაქში იძახიან — დაგვღუპა შალვას ავადმყოფობამ, ვერაფერი გავიგეთ ამ ახალ საქმეებშიო, — იცრუა სიმონიკამ, რაც მაშინვე შეამჩნია შალვამ. ზედმიწევნით იცოდა სიმონიკას ხასიათი: მარტო ლაპარაკის კილოზე შეატყობდა, როდის იყო მისი ნათქვამი დასაჯერებელი და როდის არა.

სიმონიკა მაინც აფართიფურთდა და მალე შალვას მთელი პატრონობა მის ხელში გადავიდა.

სიმონიკამ განსაკუთრებით ისახელა თავი „ჩვენებური“ საჭმელების მომზადებაში. მთელი იქაური ქართველობა ფეხზე

დააყენა — ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი ავად არისო, მერე რომ იცოდეთ, როგორ ბერავდა შალვას ავადმყოფობას და თავის როლს, როგორც მომველელისას.

— დედა, დედა! კაცო, რა ავად იყო ჩვენი შალვა! მე რომ არ ვყოფილიყავი, სწორედ გლახად იქნებოდა მისი საქმე! როგორც ავად გამხდარიყო, იმ საღამოსვე ტელეფონით დაეძახა. აბა, მერე ეს რუსები რომ მოცვივდნენ!

ქართველები თავს დასტრიალებდნენ შალვას, არ იცოდნენ, როგორ ეცათ პატივი მისთვის.

— აი, ღმერთი მოინდომებს და მალე მორჩება ჩვენი შალვა. მაშინვე გავსწევთ სამშობლოსაკენ... იქ ახლა გაზაფხული იქნება, მშვენიერი სითბო და ნათესავები, — ცოლ-შვილიც უნდოდა დაემატებია სიმონიკას, მაგრამ თავი შეიკავა.

— რას ფიქრობ, ჩემო შალვა, როდის მივაშუროთ ჩვენს სამშობლოს? — ჰკითხა ერთხელ სიმონიკამ.

— ჯერ კიდევ ვერ წავალ სამშობლოში, — თქვა შალვამ, — ჯერ კიდევ აქა ვარ საჭირო.

სიმონიკას არ მოეწონა ეს წინადადება, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ჩვენ, რევოლუციონერები, მოვალენი ვართ ერთნაირი თავგანწირვით და გულწრფელობით ვიმუშაოთ, — ეუბნებოდა იგი სიმონიკას, — ჩვენი იდეა საერთოა ყველა ერისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი: ქართველი, რუსი, თათარი, ფრანგი... ყველასათვის ისეთი ბედნიერება უნდა გვინდოდეს, როგორიც ჩვენი მშობელი ერისათვის გვწადია. ჩვენ გვძულს ყველა ერის მტარვალი და სისხლის მწოველი, ჩვენ ერთნაირი სიძულვილით ვებრძვით, როგორც ქართველ, ისე რუს ბურჟუას, ისე ინგლისელ და გერმანელ კაპიტალისტს; ჩვენ ერთნაირი სიყვარულით ვეპყრობით ყველა ერის მუშებს, ვინაიდან მათი ინტერესები ერთი და იგივეა. ქართველი მუშა, რუსი მუშა, თათარი მუშა, ყველა ერთნაირად იტანჯება, ყველა ერთ ტაფაში იწვის. ამიტომ სულ ერთია, სადაც კი იმუშავებს რევოლუციონერი...

დიდხანს ელაპარაკა შალვა სიმონიკას ამ თემაზე, სიმონიკა გულდასმით უსმენდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გულის სიღრმეში სულ სხვა აზრისა იყო.

როდესაც შალვა მოკეთდა, სიმონიკამ სამი „ზემლიაკი“ ასტუმრა, თანაც სიცილითა და ოხუნჯობით ბლომად მოიტანა „ჩვენებური“ საჭმელები.

— ღმერთმა ამოაგდოს ბორშჩი! ჩვენებურ ხარჩოს რა ჯობია?.. ან კიდევ ნივრიან ქათამს და კარგად შეხუტკუნებულ გოჭს!.. შამფურზე კოხტად აცმულს!.. ახალი ნივრის წვნით ზედ წასმულს!.. ოხო-ხო-ხო!.. რავა დაიბრაწება! პირდაპირ ნერწყვი მომდის!.. ნერწყვი!..

სტუმრად მოსულ ქართველებიდან ერთი საჩაიეს პატრონი იყო, შალვას პირდაპირ ვერ უბედავდა შეხედვას და ლაპარაკის დროს სიმონიკას აჩერდებოდა.

მეორე „თავისუფალი პროფესიის“ ყმაწვილი იყო, მშვენივრად მორთული; სანამდის შალვასთან მივიდოდა, სიმონიკას არწმუნებდა — პარტიის კაცი ვარო, ხოლო შალვასთან ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ამიტომ სიმონიკა მაშინვე მიხვდა, „რა პარტიის კაციც“ იყო იგი.

მესამეც ძალიან ცდილობდა რევოლუციას გამოსარჩლებოდა, მაგრამ ის კი არ მოსწონდა, რომ არაყის თავისუფლად გაყიდვის ნებას არ იძლეოდნენ. როგორც მისი სიტყვიდან ჩანდა, ის სულ ორიოდე დღის უკან დაბრუნებულიყო სამშობლოდან და რაღაც-რაღაცეები ჩამოეტანა გასაყიდად. სიმონიკამ იცოდა, რას ერქვა ეს „რაღაც-რაღაცეები“, მაგრამ შალვასთან ხომ არ გაამხელდა.

„აა, შე მესპირტე, შენა, თუნუქის პერანგით რო დადიხარ!“ — ფიქრობდა სიმონიკა.

შალვას ძალიან ეამა თანამემამულეთა ნახვა, მაგრამ განსაკუთრებით ასიამოვნა იმ საჩუქარმა, რომელიც მიართვეს: ეს იყო ძველი ქართული გაზეთების მთელი შეკვრა.

სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ შალვას ქართული გაზეთი თვალითაც კი არ უნახავს. აღტაცებაში მოვიდა გაზეთების ნახვით და ხარბად დაუწყო თვალიერება, სულ დაავიწყდა ჩვენებური საჭმელებიცა და სტუმრებიც. მთელი ღამე კითხულობდა, არ დაუტოვებია წაუკითხავი უბრალო განცხადებაც კი. სამშობლო, საყვარელი სამშობლო! ათასნაირი მოგონებანი, ნაცნობი ადგილები, ნაცნობი პირები, მეგობრები, ამხანაგები...

ძხოლოდ გათენების ხანს მოხუჯა თვალები და მაშინაც სულ სიზმარში იყო: ვინ არ ნახა, ვინ არ მოელანდა! სად არ იყო, ვის არ ემუსაიფებოდა! მეორე დღეს ხელახლა შეუღგა გაზეთების თვალიერებას. მოულოდნელად წააწყდა შემდეგი სათაურის წერილს: „ბიბლიოგრაფია. ლექსები კორდელისა“.

„ჩემი ლექსების გარჩევა“, — ელვის სისწრაფით გაურბინა თავში და რაღაც სასიამოვნო მღელვარება იგრძნო, გაწითლდა.

შალვამ გულის ფანცქალით გადახედა წერილს, აგერ-აგერ ამოიკითხა და მაშინვე დარწმუნდა, რომ წერილის ავტორი უარყოფითად უყურებდა მის ლექსებს. წერილის ბოლოში ავტორს დაუწყო ძებნა, იქ ეწერა: „ბედობნელი მკითხველი“.

„ნეტავ ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა და ისევ დაუწყო წერილს კითხვა, ახლა უფრო მეტი დაკვირვებით.

„ბევრმა არც კი იცის ჩვენში, რომ მწერლობა ცხოვრების სარკეა, ურწმუნო თომას მე ახლავე დავანახვებ ამას“, — წერდა ავტორი. „ჩვენ რომ პუშკინივით კარგი პოეტები გვყავდეს, მაშინ რა გვიჭირდა,“ „ჩვენში ყველა ლექსებს წერს“, „ვეფხისტყაოსნის ავტორს ჩვენი კორდელი მუხლამდის ვერ მისწვდება“, „აგერ-აგერ ლექსების შინაარსს არა უშავს რა, მაგრამ ფორმა არაფრად არ ღირს“, „კარგი იქნებოდა, რომ რითმებად ეხმარა: ლევანი — მტევანი, ლოთი — ფოთი, ორი — ღორი“ და სხვა.

შალვას თანდათან ღიმილი მოსდიოდა, რა უნდა მოეთხოვა ასეთი ავტორისაგან?

„საბრალო ავტორი და საბრალო ქართული გაზეთი, რომელსაც თავი სერიოზულ გამოცემად მოაქვს! ნუთუ ასე დაბლა დგას ქართული პრესის კულტურა?!“ — ფიქრობდა შალვა.

არასოდეს არ ყოფილა დიდი აზრის თავისი ლექსების შესახებ, „გარითმული პროზაა“ — ხშირად უთქვამს. სხვა პირობებში შეიძლება არც კი ცდილიყო მათ გამოქვეყნებას, შეიძლება სრულებითაც არ დაეწერა, მაგრამ იმაში კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასე გაბიაბრუებაც არ შეიძლებოდა, არ იყო ამის ღირსი მისი კრებული.

დიდხანს ფიქრობდა შალვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, თუ

ვინ უნდა ყოფილიყო მისი კრიტიკოსი. ბოლოს ერთი შემოჰ-კრა ხელი ხელს და წამოიძახა:

— აა, ვიცი, ვიცი!... ახლა კი მიეხვდი!.. ეს უთუოდ ჩვენი „შაბლონი" არის. ის სწორედ რომ ბედობნელია და კიდეც მოიკორესპონდენტ-მოიეურნალისტებს!.. საწყალი დიანოზა წუწუნაძე!.. მაგრამ რა ვაწყენინე ასეთი ამ კაცუნას, რომ ასე მომექცა? ის უთუოდ გაიგებდა, რომ ეს ლექსები ჩემია, ის ყველა რედაქციაში დაძვრება! რა ვაწყენინე ისეთი?

შალვას დიდხანს არ დასჭირვებია ამ საკითხზე ფიქრი, აკი მან მონათლა დიანოზა „შაბლონად" და მას აქეთ ყველა შაბ-ლონს ეძახდა. ბევრჯერ მოუნდომებია დიანოზს შალვასათვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

— აა, დიანოზ, ახლა იშოვე დრო? — ღიმილით ამბობდა შალვა, — გაზეთიც რომ შესაფერი მოუნახავს, ყოჩაღ, დია-ნოზ!...

15

შალვას თვალწინ ედგა შუა ტანის წითური კაცი, რომელ-საც წვერ-ულვაში ხავსივით ჰქონდა გამხმარ ყბებზე და ტუჩებზე მიმაგრებული. ტანზე დიანოზას მუდამ სხვისი გა-მონაცვალი პიჯაკი და შარვალი ეცვა, ყოველთვის ძველი, ყო-ველთვის წვირიანი შარვლის ტოტები მუდამ დაფოჩვილი იყო, ფეხსაცმელები ათ ადგილას დაკერებული, ისიც, რასაკ-ვირველია, სხვისი გამონაცვალი. თავზე დატყლეჟილი ქუდის შუა ადგილას, „ზედ კოკორიაზე", მრგვლად აჩნდა ოფლისა და თებოს ამონაჟონი.

დიანოზა მუდამ წუწუნებდა, მუდამ ჩიოდა და მუდამ სხვას შენატროდა, ოხუნჯ და სიტყვამოსწრებულ კაცად თელიდა თავის თავს, მაგრამ ძვირად თუ გაარკვევდით — როდის უცი-ნოდა სახე: მისი შებურდული წითელი წვერ-ულვაში, რო-მელსაც დროთა ვითარების გამო გამოხუნებაც კი დასტყო-ბოდა, ერთნაირი ერთგულებით მალავდა დიანოზას ღიმილსაც და მწუხარებასაც.

ის ყველას ღარიბ და საწყალ კაცად მიაჩნდა: ჯიბეები რომ ფულით სავსე ჰქონოდა, მაინც სასესხებლად წავიდოდა,

ათი ძველი შარვალი რომ ჰქონოდა, მაინც გამონაცვალს გთხოვდათ. ქუდსაც, ფეხსაცმელსაც და საცვლებსაც თხოულობდა, როგორც თავისთვის, ისე ცოლ-შვილისათვის. თავი ლიტერატორად მოჰქონდა და თავის სიღარიბესაც ამით ამართლებდა.

— ეხ, ძმაო, ასეთია ქართველი მწერლის ბედი, ის მუდამ სხვას შესთხოვს, — ჩაილაპარაკებდა მასპინძლის გასაგონად, როცა გამონაცვალ შარვალს თავის კალთაში ჩაჰკეცავდა.

თხოულობდა თავის ნაცნობებში, ამხანაგებში სრულიად მეგობრულისა და ამხანაგურის კილოთი. თუ დაახელებდა, არც რომელიმე გამოჩენილ ტუზ ვაჭარს, თუნდ მემამულეს აუვლიდა გვერდს. გარკვეული საქმე არასოდეს არ სჭერია. მუდამ გზაში იყო თავის მოზრდილი ჩემოდნით, რომელშიც მუდამ ედო ბანქო, რაღაც საცვლისებური და საჭმელები. საქართველოს ყოველ კუთხეში ჰყავდა მეგობარი და დაახლოებული ნაცნობი. დეკანოზი, მასწავლებელი, მემამულე, ვაჭარი, საზოგადო მოღვაწე, — ვინ არ იცნობდა დიანოზს! ყველას „შენობით“ მიმართავდა და გაცნობისთანავე შინაურ კაცად იქცეოდა, ყველას ისე შეეგუებოდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, გზა და ხიდის გაგებაც მოხერხებულად იცოდა: სულ უბრალო რამე რომ დაენახა ადამიანის ხელში, უსათუოდ ძოუწონებდა.

— ბიჭოს, ეს რა კარგი რამე გქონიათ! ღმერთს გეფიცებით, შესანიშნავი რამ არის! — წამოიძახებდა გაოცებული.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო დიანოზ, ეს ნიეთი არც ისე ძვირფასია, თქვენ აზვიადებთ.

— მაშ, თქვენ არ გცოდნიათ, რა სიმდიდრის პატრონი ბრძანდებით! ეს... ეს ჩვენებური დაუდევრობაა, ქართველური დაუდევრობა, დიახ... დიახ...

ოჯახში შესვლისთანავე დიასახლისის გულის მოგებას ცდილობდა, პირველი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად ბავშვები იყო.

— უჰ, რა ლამაზი ბავშვი გყოლიათ! — მიაძახებდა ბავშვს და მაშინვე ხელში აიყვანდა.

რომელი მშობელია, თავისი შვილი არ მოსწონდეს და თუ კიდევ სხვა ვინმეც დაეთანხმება ამაში, მის გულს მოინადი-

რებს. დიანოზმა ეს კარგად იცოდა და შესანიშნავადაც სარგებლობდა ამით.

ძეორე საგანი, რაც აუცილებლად უნდა მოეწონებია, დიასახლისის ოჯახური ნიჭი, საჭმელების მზადება, ოთახების გემოვნებით მოწყობა და სხვა ასეთები იყო. დიანოზისათვის არასოდეს არ უმტყუნია ასეთ ხერხს, ყოველ ოჯახში შინაურ კაცად ხდებოდა და წინა კარებზე უფრო ადრე უკანა კარებს შეისწავლიდა ხოლმე.

ხანდახან დიასახლისსაც კი ამოუდგებოდა გვერდით და სადილის გამზადებაში მოეხმარებოდა, ან სურსათ-სანოვაგისათვის გაეგზავნებოდა.

ამავე დროს მოხერხებულად აგრძნობინებდა მასპინძელს, რომ ის ცნობილი ლიტერატორია: რომ ყველა რედაქციაში მიესვლება, სულ იოლად შეუძლია ამა თუ იმ პირის გაქიაქება; ამოეფარება ფსევდონიმს და მორჩა, ამტკიცოს მერე გალანძღულმა, რომ იგი კურდღელია და არა აქლემი.

დიანოზა თითქოს სხვათა შორის ამბობდა, და მასპინძელს კი აგონებდა, რომ აკაკის პირადი მეგობარი იყო, ილიას კარგად იცნობდა, ნინოშვილის სასარგებლოდ ფული უგროვებია, ვაჟა-ფშაველასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, არაგვისპირელს ძალიან ემეგობრებოდა.

დიანოზა ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ მისი ნამდვილი სახელია დიონისე, რომელსაც კავშირი აქვს ძველ საბერძნეთთან და მალე ყველა გაიგებს, რომ მან შექმნა დიდი ნაწარმოები, ღირსი ამ სახელისა. ჯერჯერობით კი ის „ცნობილი იყო" მოკლე კორესპონდენციებით, ჩვენი დაბა-ქალაქებიდან სათეატრო რეცენზიებით და სხვა ასეთებით.

საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ მთელ საქართველოში მის მეტი რედაქციებიდან ჰონორარს ვერავინ ვერ აიღებდა. შეუჩნდებოდა რედაქციის კანტორას და არ შეიძლებოდა, რომ ორიოდე გროში არ დაეძრო, უკიდურეს შემთხვევაში რედაქტორ-გამომცემელს ძველ ჟილეტკას, ან შარვალს აართმევდა ჰონორარში.

ბევრი ირწმუნებოდა, რომ დიანოზა კალამს ბოროტადაც ხმარობდა. ერთხელ, მაგალითად, რამდენიმე ათეულ მანეთად ერთი მემამულის თხოვნით მეორე გამოელანძღა გაზეთში.

შერგ გალანძღულთან მისულიყო და იქიდანაც ცოტათი ხელის მოთბობით პირველ მემამულესათვის ეპასუხნა — თავის მიერ დაწერილ წერილზე თვითონვე გაეცა პასუხი.

დიანოზამ რევოლუციურ მოძრაობაშიც მიიღო მონაწილეობა: ყოველ შემთხვევაში ხალხში ახალი თაობის კაცად მოჰქონდა თავი და ცნობილ რევოლუციონერებსაც ფეხებში ესკვნებოდა.

ყველა კითხვა მისთვის ნათელი და განმარტებული იყო, არაფერზე დაფიქრება არ სჭირდებოდა, ქვეყანას გულღიად შეჰყურებდა.

— ვინ არ იცის, რომ დღეს ქვეყანა ორადაა გაპობილი: აქეთ არის გამხმარი პროლეტარი და იქით მსუქანი ბურჟუა, აქეთ დგას მშიერი და იქით სკდება მაძღარი, აქეთ არის პატიოსნება და იქით უსინდისობა, — დაიწყებდა დიანოზა...

შალვას არასოდეს არ უფიქრია, მწერალი გავხდებიო. მისი გზა ასეთი იყო, რომ თუკი რაიმე აზრი ექნებოდა სხვებისათვის გასაზიარებელი, პირდაპირ და უშუალოდ შეეძლო ამისი გადაცემა: შუამავლად ქაღალდი არ სჭირდებოდა, მაგრამ... ერთ უბედურ დღეს გაწყდა სინამდვილესთან შემაერთებელი ძაფი, ჩაიქცა დამაახლოებელი ხიდი, პირი ააღო საშინელმა უფსკრულმა და შალვაც იძულებული შეიქნა ახალი საშუალებებით გადაეცა სხვებისათვის თავისი გრძნობა, თავისი აზრი.

მისი მუდამ მაძიებელი და მოქმედი ბუნება არ შეიძლებოდა ციხეს დამონებოდა, უპროტესტოდ მიეღო მისი მომაკვდინებელი სიჩუმე და თვითონაც გულჩათხრობილი მდუმარედ გადაქცეულიყო. შალვა არ იყო ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ სულსა და გულში ხედვით კმაყოფილდება. მას არ შეეძლო სხვების გარეშე, სხვებთან დაუკავშირებლად არსებობა და რაკი ადამიანს ასე უმოწყალოდ მოგლიჯეს, ქაღალდი და მელანი დაიმეგობრა.

ბარტოდმარტო, ყველასაგან დავიწყებული, რუხ კედლებშუა მომწყვდეული, რუხად მორთული შალვა, ვინ იცის რამდენჯერ დაყრდნობია მბჟუტავი სანთლის სინათლეზე ქაღალდის ნაგლეჯს, ესღა იყო იმ დროს მისი გულის მალამო, სასოება და იმედი...

სანამდის გადაასახლებდნენ, ხანდახან მაინც ახერხებდა თავისი ნაწერების ქართულ რედაქციებში საიდუმლოდ გაგზავნას, ხოლო რუსეთში გადაყვანის შემდეგ ეს შეუძლებელი შეიქნა. მრავალი ხელნაწერი დაუგროვდა.

თებერვლის რევოლუციამდე ერთი წლით ადრე შალვამ თავისი ლექსები გამოუგზავნა ერთ ამხანაგს სამშობლოში. ამხანაგმა ამ ლექსების გამოცემა მოახერხა. შალვამ მხოლოდ ის გაიგო ამ ამხანაგისგან, რომ მისი ლექსები დაიბეჭდებოდა, მაგრამ როდის — ეს არ იცოდა. წიგნი ისე გამოსულიყო, რომ შალვას არ გაუგია და მხოლოდ დღეს შეიტყო ძველი გაზეთების საშუალებით.

აი, ეს წიგნი იყო, რომ გაგიჟებით უყვარდა სოფიკოს, რომელსაც ამ წიგნის ავტორი ვიღაც უცნობი და გადამთიელი ეგონა. 15—16 წლის ქალის უმანკო სულმა რაღაც გამოუთქმელი და გამოუსახავი იგრძნო კორდელის ლექსების სტრიქონებშუა, რაღაც იდუმალი აზრი და გრძნობა გამოემუსაიფა მის სულსა და გულს. კითხულობდა და შეუმჩნევლად უნათესავდებოდა პოეტის ცრემლსა და სიხარულს, ტანჯვას და აღტაცებას.

ჩუმი სევდა და სიცოცხლისადმი თავშეუკავებელი მისწრაფება, მძლავრი აღმაფრენის ზეცისაკენ ლტოლვა და მწვავე სინამდვილის ხუნდები, ფრეთბშეკრილის და მიწაზე გართხმული არწივის გულის გამგმირავი ყივილი — აი, რა ამოიკითხა და იგრძნო სოფიკომ ამ კრებულში.

— ვინ უნდა იყოს ეს ტანჯული ადამიანი, ვინ? როგორ უყვარს საწყალს სიცოცხლე, როგორ შეტრფის თავისუფლებას! — ხშირად იტყოდა სოფიკო.

ევას თავზარს სცემდა ეს გარემოება, ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ეს საშინელი წიგნი, მაგრამ ვერას გახდა.

შალვას დაღუპვის შემდეგ, ბედნიერების მოწადინე ევამ მალე მოაწყო მისი ცხოვრების გემი, რომელიც მოულოდნელმა ქარიშხალმა ძალუმად გადაისროლა გაშლილ ზღვაში დასაძირავად, უვნებლად გადარჩა კატასტროფას და კვლავ შეცურდა მყუდრო ნავსადგურში: უკვე იალქნები დაშვებულია და უზრუნველად განაგრძობს ზღვის მდორე ტალღებში სასიამოვნო ქანაობას... ზღვა დაწყნარდა, ანძები არ იზნიქე-

ბიან! მაგრამ... უცებ საიდანღაც ეს თავზარდამცემი წიგნი გამოტყვრა და ევას მყუდრო არსებობასაც ბოლო მოეღო, თითქოს შეურყეველ საძირკველზე დაყრდნობილი კოშკი ერთიანად დაქცევას აპირებს.

ვინ იცის, რა მოჰყვება ამ წიგნის ოჯახში შემოსვლას! რომ გაიგოს სოფიკომ ავტორის ვინაობა! რას იტყვის ამაზე რეზო, რომელიც დარწმუნებული ჰყავს, რომ მისი პირველი ქმარი გარდაცვლილია! ბოლოს — რაც ყველაზე თავზარდამცემია — რას იტყვის მთელი ქალაქი, მთელი ქვეყანა! მაშინ ხომ ბოლო მოეღო ევას კეთილდღეობას! განა იმიტომ იწვალა ამდენი, რომ აგრე მოულოდნელად დანგრეოდა თავზე ამდენი ტანჯვით აგებული ბედნიერების სასახლე?!

16

შალვა გადასახლდა პეტროგრადში, სადაც ოლქის დავალებით ესწრებოდა სხვადასხვა ყრილობებს: მუშათა საბჭოებისას, პარტიულს და სხვა. ამ ყრილობებზე შალვას ყოველთვის პასუხისმგებელ ადგილებზე ირჩევდნენ, ყველგან თვალსაჩინო როლს თამაშობდა და საერთო ყურადღებას იპყრობდა.

ამ ხანებში შალვა ღრუბელიანმა ორჯერ მიიღო სამშობლოდან დეპეშა: რევოლუციური ორგანიზაცია სთხოვდა, ჩამოსულიყო და აქ, სამშობლოში, მიეღო მონაწილეობა რევოლუციურ საქმიანობაში.

— განა სულ ერთი არ არის საერთო ინტერესებისათვის სადაც ვიმუშავებ? — ამბობდა შალვა და პასუხიც ამგვარი გაგზავნა პირველ დეპეშაზე.

„რევოლუციის ტალღები სამშობლოს მთებსაც ეხეთქებიან, მაგრამ პირადად მე რა მდგომარეობაში ჩავვარდები იქ ჩასვლისას: ცოლი, შვილები, მშობლები!“ — ფიქრობდა იგი და გაურბოდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

„ვთქვათ, ჩავედი სამშობლოში და შევუდექი საზოგადო ასპარეზზე მუშაობას, ვცხოვრობ დედაქალაქში... რა უნდა დაერქვას ჩემს საქციელს მაშინ, თუ მე არ მოვიკითხე ჩემი შვილები, ცოლი, მშობლები? წარმოვიდგინოთ, რომ არც ერთი მათგანი არ მიყვარს — არც შვილები, არც ცოლი, არც

ვშობლები. ვშრომობ ჩემთვის და ეს ჩემი სისხლნი და ხორცნი არ მაგონდებიან. რა ვიქნებოდი ასეთ შემთხვევაში?"

ასეთნაირად ჯერ არასოდეს არ მისდგომია საკითხს. იგრძნო, რომ ნორმალურ ადამიანს არასოდეს არ შეუძლია ცხოვრებას ზურგი შეაქციოს, თავისი თავი უარყოს, სხვებს ემსხვერპლოს, სხვებს შეეწიროს. ეს იქნებოდა თავისებური ასკეტიზმი, რომელიც თვით ბუნებისაგან არის უარყოფილი და საზღვარდადებული.

საწყალი დედა, საბრალო მამა!.. ვინ იცის, იქნებ ცოცხლებიც აღარ არიან...

ეგებ ევა!.. ევა აშინებდა, მისი მოგონება თავზარს სცემდა და ერთიანად არყევდა მის სულსა და გულს. როგორ დაახვედრებს ერთ დროს ასეთი აღტაცებით ნაკურთხ გვირგვინს? როგორ დაიცვა ევამ თავისი წმიდა სიყვარული, რომელმაც დაავიწყა დედა ,მამა, ნათესავები და სრულიად უცხო ადამიანს შეაუღლა? ვის ეკუთვნის ევას გული — ისევ შალვას თუ სხვას?

რევოლუციის შემდეგ მეოთხე თვის დასაწყისი იყო, რომ შალვა ღრუბელიანი მეორე კლასის კუპედან ჩაფიქრებული ათვალიერებდა რუსეთის თვალუწვდენ მინდვრებს, რომელიც ერთიანად დაეყურსა შემოსული პურის მოოქრულ თავთავებს. ირგვლივ დაუსრულებელი სივრცე, ყველგან ერთნაირი, ყველგან ერთფერი... მატარებელს თითქოს თავზარს სცემდა ეს უსაზღვრო მარტოობაში ჩაფლული არე და მსგავსად ვეებერთელა შავი წურბელისა გამალებული მიიზლაზნებოდა კავკასიონის ქედისაკენ თავშესაფარის მოსაძებნად.

გულზე ხელდაკრეფილი შალვა, ვაგონის ფანჯარაში გადმომდგარიყო და სულგანაბული ელოდა იმ წამს, როდესაც შორით დაინახავდა სამშობლოს ერთგულ დარაჯს — ჭაღარა კავკასიონის ქედს. თანაც აბორიალებული მტვრისაგან თავდასაცავად თვალებს ხუჭავდა და მარჯვენა ხელით აშლილ თმას ისწორებდა.

— ტრახ-ტრახ, — გაიძახოდა შეუჩერებლივ ველთა სივრცით შეშინებული მატარებელი და გამალებული გარბოდა.

ათი წლის უკან ამ გზით შალვა სამშობლოდან რუსეთი-

საკენ მიემგზავრებოდა. დახურულ ვაგონში იჯდა სხვა ტუსაღებთან ერთად და მხოლოდ სარკმლიდან ხედავდა ცის სინათლეს...

შალვა ღრუბელიანი იმ დროს არარაობა იყო, მიწასთან გასწორებული, მოსპობილი, განადგურებული... კიდევ ერთი ნაბიჯი და მისი კვალიც ამოიშლებოდა წუთისოფლის ხსოვნიდან, ისე დაიღუპებოდა, ჯვარსაც კი არავინ აუგებდა სასაფლაოზე.

მაგრამ აი, შეტრიალდა ბედი და ის ციცინათელა, რომელიც ასე შორიდან უნათებდა ათი წლის უკან, დღეს უკვე ქვეყნის განმანათებელ ჩირაღდნად გადაიქცა და შალვას კრული არსებობაც ერთიანად გაასხივოსნა. ერთ დროს საფლავისაკენ მიმავალი შალვა, დღეს სიცოცხლისაკენ მოდის. შალვამ გაიმარჯვა, შალვა ვერ დასძლიეს! მისი იმედი გამართლდა, ბოროტება დამარცხებულია, სიმართლე ხარობს!...

და აჰა, დადგა ჟამი და ისიც გამარჯვებული დაუბრუნდა გამარჯვებულ სამშობლოს!...

ცა, ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ეღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო...

ასე მიღიღინებდა აღფრთოვანებული შალვა. სამშობლო მიწა-წყლის მოახლოებამ გაურკვეველი სითბო გაუღვიძა ძარღვებში...

მეგობრებო!... ამხანაგებო!... საყვარელო საქართველო!...

ნაწილი მესამე

1

ხალხი ნერვიულობდა, შფოთავდა, უმნიშვნელო ცვლილებაც კი ძირიანად აფორიაქებდა მის სულსა და გულს.

არ იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც თვალი ჭიშკრისაკენ არ სჭერიყო და ვინმე მომსვლელის დანახვაზე სულისთქმა არ შეჩერებოდა: ყოველი ადამიანი ომის ამბების მომტანად ელანდებოდათ და გაქვავებულნი შესჩერებოდნენ.

ზოგს შვილის ბედი უღრღნიდა სულს, ზოგს ძმის, ზოგს ქმრისა და ზოგს კიდევ მეგობრის. არ მოიძებნებოდა თუნდაც ერთი ოჯახი, რომელსაც ვინმე ახლობელი და გულსაწვავი არ ჰყოლოდა ბრძოლის ველზე. ბევრი დედა უკვე შავებში დადიოდა და გულადუღებული ცასა და მიწას შესტიროდა. ბევრი უდროოდ დაობლებული ბავშვი უნუგეშოდ აცქერდებოდა ატირებულ დედას და ცრემლს აფრქვევდა. ბევრიც საშინელი ამბის მოლოდინში ანგარიშმიუცემლად თრთოდა და მუდამ შიშით იყო შეპყრობილი.

ასეთი იყო ომის ამბებით გაბრუებული ხალხის მდგომარეობა.

აგრუხუნებულმა ბრძოლის ველმა ყოველგვარ ზღაპარს გადააჭარბა: ერთი ახმაურებით გააბათილა უკიდურესად მონავარდე ფანტაზიის კაპრიზიც კი და სინამდვილე ისეთ ზღაპრად აქცია, რომლის მსგავსი თვით ინდოელის გიჟურ ოცნებასაც კი არ შეუქმნია.

ვეებერთელა ხომალდების ჩიტის ბულულივით ჰაერში ბორიალი, ადამიანის მიერ გამოწვეული ღრუბელი და ჭექა-ქუხილი, ამოგლეჯილი ვეებერთელა ორმოები... ყუმბარების სეტყვა... ატლანტიკაში ჩაძირული „ანდალუზია"... მილიონიანი ჯარების დაჯახება... მთელი ერების მოსპობა და გაჩანაგება... გადალეკილი სერბია. თავგაჭეჭყილი ბელგია... გაჯეკილი პოლონეთი... დარდანელის ზანზარი... კარპატები... ვერდენი...

და ყოველივე ეს უცებ, ელვის სისწრაფით იცვლებოდა-ჯალათური შეუბრალებლობით მიქროდა...

ისტორიის ბორბლის საშინლად აგრუხუნებამ ერთიანად გააყრუა ერი და მთელ მის არსებაში მიუწვდომელი ქაოსი გაამეფა. რა ხდება? რისთვის ხდება? ვის სასარგებლოდ? ვისდა საზიანოდ? ვინ ამოაგდო ქვეყნის დამანგრეველი გრიგალი? როდის ჩადგება იგი? ვინ შესძლებს მის გაჩერებას?

ყველა ეს საკითხი უპასუხოდ რჩებოდა. გაბრუებულ ადამიანს ისღა დარჩენოდა რომ თავი ჩაექინდრა და აცეცხლებული თვალებით ბნელით მოცული მომავლისათვის ეცადა.

ხან დაზავებაზე ლაპარაკი, ხანაც ომის ცეცხლის საშინლად გამძაფრება. დღეს იმედი და გადარჩენის გათვალისწინება,

ხვალ უძირო სასოწარკვეთილება და შავბედითი წარმოდგენა...

ხან უსაზღვრო პატრიოტული აღტკინება და ტაშისცემით მხოლოდ გამარჯვებისა და გამარჯვების ყვირილი... ხანაც მხოლოდ დამარცხებაზე ფიქრი, მისი ნატვრა, ოღონდ კი ბოლო მოეღოს ამ უბედურებას! ოღონდ კი ისევ დავწყნარდეთ და კალაპოტში ჩავდგეთ; დაგვიბრუნე ძმა, შვილი, მამა, მეგობარი!

ამ საშინელი ყოფისა და ცნებათა აღრევის დროს ელვის სისწრაფით გავრცელდა: ნიკოლოზ ხელმწიფე ტახტიდან ჩამოაგდესო...

მეხივით გავარდნილმა ხმამ განსაკუთრებით სოფელი ააჩურჩულა და ყურები აცქვეტინა. დაჩლუნგებულ და გრძნობამოდუნებულ ნერვებისათვის მეფის ტახტის დამხობა ახალი მოვლენა იყო. ეპვის თვალით შეხვდა სოფელი ამ ამბავს—ასეთი გაპირვების დროს ოჯახის მამას და პატრონს ვინ აუჯანყდებოდაო, მაგრამ როცა კიდევ მოიტანეს გაზეთებმა ამბავი და თანაც სოფლად დარჩენილი თითო-ოროლა ინტელიგენტიც ამოძრავდა, მაშინ კი დაიჯერეს ყოველივე...

და... ფრთა გაშალა უსაზღვრო სიხარულმა.

— მაშ, ომიც დასრულდება, ჩვენი შვილებიც დაბრუნდებიან... მოვა მამა... მოვა ოჯახის პატრონი... მომივა ძმა, სატრფო, მეგობარი...

ნიკოლოზ მეფის ჩამოგდება ჩვენმა ხალხმა ისე გაიგო, როგორც ომის დასრულება, სულ ერთია, რა პირობებშიაც არ უნდა მომხდარიყო იგი.

— გვეშველა, სულს მოვითქვამთ... ყველაფერი გაიაფდება: პური, ფართალი, სასმელი, საჭმელი... სპეკულანტებს დედა ეტირებათ... ვაჩვენებთ მაგათ!.. — და დაიწყო მიტინგები, კრებები... დროშების ფრიალი, მეჭევრმეტყველების ქუხილი... მთავრობის აგენტების გადაყენება, ახლების არჩევა.

სოფლად ბევრი იყო ისეთი გლეხი თუ ინტელიგენტი, რომელთაც კარგად ახსოვდათ ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია, ისინი მყისვე სოფელში ჩავიდნენ და მსწრაფლად გაჩაღდა ის ცეცხლი, რომელიც ჩაფერფლილი იყო პირველი რევოლუციის შემდეგ, საკმაო იყო მხოლოდ ერთი სულის შებერვა,

მხოლოდ ერთხელ კაჟზე კვესის ჩამოკვრა და ცეცხლიც კარგად და სწრაფად აინთო.

უმალ გაერკვნენ შექმნილ მდგომარეობაში, მსწრაფლ აფრიალდა დროშები, ენას შეატყდა დაჟანგებული ბოქლომი და ნელინელ ინთხევა საუკუნეთა განმავლობაში დაგუბებული ბოღმა და უსაზღვრო სიძულვილი — წყეველა, კრულვა, აღფრთოვანება, აღტაცება.

— ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს, შემოვიბერტყოთ ფეხთაგან მტვერი, — სიხარულით აღმოხდა ხალხს.

— მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეებს, მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ...

2

შალვა ღრუბელიანის მშობლების ყურამდეც მიაღწია მეფის ჩამოგდების ამბავმა. მაგრამ ისინი მხოლოდ ისმენდნენ სხვებისათვის სასიამოვნო ამბავს, ხოლო მათ სულსა და გულს არაფერი სწვდებოდა: გულჩათხრობილნი მისჩერებოდნენ საერთო ჟრიამულს და ისედაც ბეჩავნი კიდევ უფრო ბეჩავად გრძნობდნენ თავს.

უკიდურესმა სიღარიბემ და განუზომელმა სევდამ ერთიანად დაასაწყლა და დააჩაჩანაკა ისინი. წლიდან წლამდე დარდით აღსავსე გულის ტარებამ განხორციელებელ მწუხარებად აქცია ისინი და ცრემლამომშრალებს ყოველგვარი იმედი გადაუწურათ. „ქვეყანა ხარობს, მერე ჩვენ რა?“ უსიტყვოდ ამბობდნენ. „სიხარული ჩვენთვის არც ყოფილა და არც იქნება.“

შალვას დედა, ბარბარე, მოხუცდა და წელში მოიხარა. პირმშოს დაკარგვამ და გაუბედურებამ ყოველივე ამქვეყნიური შეაძულა, გული დაუწყლულა და ხორცშესხმული სევდის სახე მიანიჭა. არ იყო დღე, არ იყო წამი, რომ ბარბარეს თავისი შალვა არ მოეგონებინა, — საყვარელი შვილი, რომელიც ასე გააუბედურეს და, რომელსაც ცოლმაც კი უღალატა.

შალვას მამაც გატყდა წელში. მის სახეზე ერთი ღიმილიც არავის უნახავს. როცა შვილს კატორღა მიუსაჯეს, მამამ რამდენჯერმე უსაყვედურა ცოლს: შენი დაჟინება იყო შალვას სწავლაში მიცემა, თორემ ჩემთვის რო დაგეჯერებია, დღეს ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდით. ჩვენი შვილი ისე უნდა გა-

მოგვეზარდა, როგორც ჩვენ შეგვეფერებოდა, ჩვენსავით საწ-ყლებს, ჩვენსავით ღარიბებს. გვესწავლებია რაიმე ხელობა, თუნდაც ხარაზობა, მჭედლობა და სიბერის დროს პურს გვა-ჭმევდაო. მაგრამ რაკი დაინახა, რომ ეს სამდურავი ტყვიასა-ვით ხვდებოდა ისედაც მოშხამულ დედას, შეწყვიტა ამგვარი ლაპარაკი და თავისი ბოღმა საკუთარ მწუხარებაში ჩაიხრჩო. ასეთნაირად დაბეჩავებულმა და სევდით წელში გაღუნულმა ცოლ-ქმარმა გულგრილად მიიღო მეფის ტახტის დამხობის ამბავი.

რამდენიმე დღის მერე შეიტყეს, რომ ნიკოლოზის ჩამოგ-დების შემდეგ ციხის კარები გაიღო და შალვასთანა დამნაშა-ვენი გაათავისუფლესო. ეს ამბავი მიტინგზე დამსწრე მეზო-ბლებმა მოიტანეს. ამასაც გულგრილად შეხვდნენ მოხუცნი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ ჩაბნელებულ გულებშიც იმე-დის ციცინათელები გაჩნდნენ.

ბარბარეს მაინც სწამდა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო და ერთხელაც არის ბედი გაუღიმებდა. ბევრჯერ მოტყუვდა ანგარიშში, მაგრამ მისი გული მაინც იმედით სცემდა და ყო-ველთვის რაღაც სასწაულს მოელოდა: ვინ იცის, ეგების არ გამწიოს ბედმაო.

ტუსაღების განთავისუფლების ამბავი თანდათან იმონებდა, და უცებ, ელვის სისწრაფით განხორციელებულ იმედად აქცია.

ვინ იცის?!. აკი ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება მოულოდ-ნელი! ეს კარგად იცის ბარბარემ.

და ეს მოხუცი ძლები, დარდით გატეხილი და სევდით დაჭმული ადამიანი, თითქოს გაახალგაზრდავდა, თითქოს ხე-ლახლა იშვაო: ერთიანად ატორტმანდა, გახალისდა და ბებე-რი ფრთები აიბერტყა, თითქოს გაფრენა უნდაო...

— ვითომ დავიჯეროთ, დედაკაცო? ხომ არ გვატყვილებენ?

— დავიჯეროთ, დავიჯეროთ! აკი მუდამ გეუბნებოდი — როცა იქნება ჩვენი სიმართლე გამოჩნდება და შალიკო დაგ-ვიბრუნდება-თქო! გწამდეს, მოახლოვდა ეს დრო...

ბარბარეს მეტის თქმა არ შეეძლო. ცრემლის ამოშრობა-სთან ერთად სალაპარაკო სიტყვებიც შეუმცირდა, მისი გო-ნება დაიშრიტა. მეტი სიტყვა არ მოსდიოდა ენაზე, მხოლოდ

„ღმერთო, ღმერთო“-ს ძახილში აქსოვდა თავის ვედრებას და ბოღმას, თხოვნას და მუდარას.

შალვას მშობლებმა უკვე სარწმუნოდ გაიგეს, რომ მათი შვილი განთავისუფლებული იქნება, ვინაიდან გაზეთებში სწერია: ყველა პოლიტიკურად დასჯილები თავისუფალნი არიანო. ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ მათი შვილიც თავისუფალი იქნება, თუ... თუ...

ჰოი, საშინელებავ... თუ სული უდგას და ცოცხალია! უკვე დიდი ხანია მისგან არაფერი იციან, ვაი თუ უკვე ჩაკვდა რომელიმე ციხის ჯურღმულში. ეს საშინელი ფიქრი მოხუცებს წამოეჭრათ მოულოდნელად და საფრენად გამზადებულ იმედებს ლამის ფრთები შეეკვეცა.

მაგრამ... მაგრამ ის „დალოცვილი ღმერთი ასე გულქვა როგორ იქნება!“ ეგების არ მოიძულა არც შალვა და არც მისი მშობლები, ეგების... ცოცხალია, პირში სული უდგას და ამ ბედნიერ წუთს მათ სანახავად მოეშურება... რა ბედნიერება იქნება! რა ნეტარება!..

მაგრამ რა მოელის მას აქ, სამშობლოში? რა დახვდება ტანჯვაში ჩამწვარს? მოძებნის ცოლს, შვილებს, მშობლებს?.. მუდამ მისი ერთგული და მისი სულის ჩამდგმელი მშობლები, ყოველ წამს მის სიკეთეზე მაფიქრალნი ისევ ერთგულად დახვდებიან მას, ისევ წარბშეუხრელად და სისპეტაკის სინდისით შეხედავენ თვალებში.

მაგრამ ცოლი? შალვას სათაყვანებელი ცოლი? რომელიც მას ერთ დროს უერთგულეს მეგობრად მიაჩნდა და რომელიც შეირთო ისე, რომ მშობლების აზრს ყურადღებაც არ მიაქცია!.. ეგონა, ის იქნებოდა მისი უერთგულესი და ყველა მეგობარზე უკეთესი. და ასეთმა საიმედო ადამიანმა ის დაივიწყა და სხვაზე გასცვალა. შუა გზაში მიატოვა უთანასწორო ბრძოლაში დაცემული ქმარი. უღელი არ გაუწია, სიღარიბეში ჩატოვა, შიმშილი და რაც ყველაზე უარესია — ციხეში და ბორკილებში! თვითონ კი ფუფუნებით ცხოვრობს, თავდავიწყებას მიეცა ახალი ბედნიერების კალთაში. ესეც არ იკმარა, შვილებიც კი მოჰგლიჯა უბედური მამის გულს, ცდილობს არ მოიგონონ მამა და ვინ იცის, რა აზრებს არ უნერგავს პატარებს მამის შესახებ. ბებიას და ბაბუას შვილიშვილებიც კი არ აჩვენა.

მაგრამ... დეე, ჯანდაბის იქით იყოს ყოველივე, ოღონდ შალვა კი მოვიდეს! ოღონდ ის კი ეჩვენოს მშობლებს! ამქვეყნად ყოველგვარი ჭრილობა გამრთელდება, შალვაც გადაიტანს ამ უბედურებას... ოღონდ კი მოვიდეს! მოვიდეს და მოიტანოს თავისი ძვირფასი სიცოცხლე! მოიტანოს ის დავაჟკაცებული სხეული, რომლის ძარღვებში ბარბარეს სისხლიც სჩქეფს! მოუვიდეს დედას მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი! ყველაფერს მოესწრება. ყველაფერს ეღირსება, ოღონდ კი ცოცხალი იყოს, ცოცხალი!

— სხეული გრძნობს, რომ ჩემი ბიჭიკო ცოცხალია! მოვა, მოვა, მტრის გულის მოსაკლავად! — ამბობდა ერთიანად გარდაქმნილი და წელში გასწორებული დედა.

— წავიდეთ, წავიდეთ, ვეძებოთ ჩვენი შალვა! ვკითხოთ ამხანაგებს, მის ნაცნობებს. ვიაროთ ცის კიდემდის, ოღონდ კი მოვნახოთ ჩვენი ბიჭიკო, მოვნახოთ... მოვნახოთ...

3

ევა და რეზო ერთობ გაკვირდნენ, როდესაც სრულიად მოულოდნელად გაიგეს, რომ „ვიღაც" შალვა ღრუბელიანის მშობლები ეძებდნენ...

ერთ ხანს თავზარდაცემული იდგნენ და ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინათ. ევამ არ იცოდა, როგორ გაერთმია თავი შექმნილი მდგომარეობისათვის?

მსწრაფლ დაებადა ერთი აზრი, რომლის შესრულებასაც ამ წუთშივე უნდა შესდგომოდა: მის ოჯახში არავის არ უნდა გაეგო რაში იყო საქმე — არც სოფიკოს, არც ვაჟას და არც შუშანიკას.

რეზო ანგარიშში ჩასათვლელად არ მიაჩნდა. მეორე: დაუპატიჟებელი სტუმრები თავიდანვე უნდა მოეშორებინა.

„მაშ, დაიწყო, რასაც გავურბოდი, რასაც ამდენი ხანი ვემალებოდი და რაც უკვე აშორებული მეგონა", — ფიქრობდა ევა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ექნათ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ბოლოს შემკრთალი ხმით რეზომ.

— რა იყო, რა მოხდა ასეთი? — პასუხის მაგიერ მკვა-

ხედ შეეკითხა ევა და რეზოც მსწრაფლ მომაგრდა. კილოზე შეატყო, რომ ევა სრულებით არ იყო შეშინებული.

— ისეთი არაფერი მომხდარა, — განაგრძო ევამ, — სოფლელები არიან, შეუგნებელნი! ალბათ, გაიგეს, ამნისტია არისო და ჰგონიათ, რომ შვილი დაუბრუნდებათ. ის კი არ იციან, რომ მათი შვილი ალარ არის ამქვეყნად. ალბათ, არ გაუგიათ, მთავრობასაც არ უცნობებია, არ გამოუცხადებია თავის დროზე, მორჩა და გათავდა! მეტი აქ არაფერია! როცა ყოველივეს შეიტყობენ, დაწყნარდებიან.

— დიახ, დიახ! მეც ასე მგონია. ხომ იცი, როგორი დაუდევარი იყო ძველი მთავრობა! ჰმმმ... ალბათ, არ მოიწერეს, დააგვიწყდათ...

ევა ტუჩების კვნეტით ისმენდა ქმრის ლაპარაკს, გარეგნულად კი სრულიად დამშვიდებული იყო.

— რეზო, შენ ახლავე წახვალ და ეტყვი მათ, რომ მე აქ არა ვარ და არც ვიქნები კარგა ხნის განმავლობაში. სხვა ქალაქში არის ნათესავებთან-თქო... გესმის?

— მესმის...

— რაც შეეხება მათ შვილს, ასე უთხარი: ჩვენ არა ვიცით რა მისი, დიდი ხანია არაფერი გაგვიგია, მიაკითხეთ თქვენი სოფლის ახალ მთავრობას და ის გამოგინახავთ-თქო... ხომ გესმის?

— მესმის, მესმის, გეთაყვა! ჩინებული აზრია. დაე თვითონ მთავრობამ უთხრას სიმართლე, რაღა ჩვენ ვაწყენინოთ უბედურებს! დიახ, ასე აჯობებს, სწორედ ჩინებული აზრია!

— თანაც ისე დაიჭირე თავი, რომ... ხომ მიხვდი, რაშიც არის საქმე... ტკბილად ელაპარაკე, წყნარად...

— დიახ, დიახ, მე ყველაფერს მივხვდი, ყვლაფერს...

— მოიცა, დამაცადე, ნუ ჩქარობ, — გააწყვეტინა ევამ ქმარს, რომელიც მოწაფესავით მისჩერებოდა თვალებში და ყოველ მის სიტყვას ხარბად იჭერდა, — თანაც ისა... ნუ მიახვედრებ, რომ შენ ჩემთვის მათი შვილის მაგიერი ხარ... ხომ გაიგე, რისი თქმა მინდა?

— გავიგე, როგორ არა, გავიგე, დიდებული მოსაზრებაა... არ ეამებათ, რასაკვირველია, დიახ, დიახ...

— ბავშვებს იკითხავენ... ეტყვი, რომ ბავშვებიც ჩემთან

არიან, ჯერჯერობით მათი ნახვა არ შეიძლება, ხოლო ახლო მომავალში, როცა ევა დაბრუნდება, უთუოდ ორივეს სოფელში გამოგიგზავნით-თქო. ასე ეტყვი, ხომ გაიგე? მოიცა, ნუ ჩქარობ!... ლაპარაკში შიში არ დაგეტყოს, არ აჩქარდე, თანაც ფული მიეცი სამგზავროდ... ხომ მიხვდი?

— მივხვდი, მივხვდი, გენაცვალე, ყოველივე ჩინებულად არის მოსაზრებული.

რეზო მაშინვე შეუდგა ცოლის დავალების შესრულებას და ჩინებული დიპლომატიც გამოდგა! ტკბილად მიეგება მოხუცებს, დაუყვავა, ანუგეშა და ბოლოს ურჩია ისევ სოფლად დაბრუნებულიყვნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა, რომ.., გულგაცეცხლებულ ბარბარეს ბევრ რამეში ეჭვი არ შეეტანა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს მაინც ვერ გავიგე, რამდენი ხანია შალვას მისი ცოლისათვის წერილი არ მოუწერია? რომელ ქალაქშია? თქვით ყველაფერი, ნუ მიმალავთ, ჩემს შვილიშვილებს რად არ მიჩვენებთ? ისინი მაინც ხომ ჩემი სისხლი და ხორცია! ამდენი ხნისა არიან და მე ორჯერაც არ მივსიყვარულებივარ მათ!.. შვილი დამეღუპა, ისიც მეყოფა, ბავშვები მაინც მიჩვენეთ!

რეზოს დავთრები ებნეოდა. ბარბარე გულდასმით უსმენდა რეზოს, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მაინც ვერ მიიღო, მისმა მიკიბ-მოკიბვამ ვერაფერში გაარკვია.

— ღმერთი არა გწამთ, პირჯვარი არ გიწერიათ?! თქვენ ბავშვებს მიმალავთ, ისინი კი აქ არიან, ევაც აქ არის... ის პირშავი! ვიცი, ვინა ხართ თქვენც, ჩემი შვილის მაგიერი ხართ, ეკას, უნამუსო ევას მეორე ქმარი, იმ ლეჩაქახდილის! ვიცი, მე ყველაფერი ვიცი!...

ბარბარე თანდათან ენთებოდა, გამწარებული დედა შვილის კვალს ეძებდა, მას კი რაღაც მიბანდულ-მობანდული აზრებით უპირებენ გასტუმრებას... თვალები ელვარებენ... ბებერი ძვლები გაახალგაზრდავდნენ... რძით დაშრეტილი ძუძუები თავის მიერ აღზრდილს მოითხოვენ...

რეზო ერთიანად, დაიბნა, რა ეთქვა, არ იცოდა, ცივმა ოფლმა დაასხა და წამდაუწუმ შუბლზე ცხვირსახოცს ისვამდა.

— არა, ბატონო, რატომ კადრულობთ ასეთ სიტყვებს?...

ჩვენი ბრალი აქ არაფერი არ არის... არაფერი... ღმერთს გეფიცებით...

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი! ისიც ვიცი, რომ შვილი ცოცხალია და თქვენ მკვდრად გინდათ მომაჩვენოთ! მე ყველაფერი გავიგე...

რეზო თავზარდაცემული უსმენდა გააფთრებულ დედას.

— დაწყნარდი, დაწყნარდი! — ეუბნებოდა ბარბარეს ქმარი.

— როგორ თუ დავწყნარდე?! დავწყნარდე კი არა, სისხლი უნდა დავლიო მაგათი, სისხლი!

— ჩემი საქმე არ არის, ბატონო, — ამბობდა დაბნეული რეზო, — ღმერთს ექნას და თქვენი შვილი, მართლაც, ცოცხალი იყოს. მე... ღმერთმა... ღმერთმა... გააბედნიეროთ...

— უკაცრავად! ჩემი შვილი მოღალატეს არ მიიკარებს, ჩემმა ძუძუმ ვაჟკაცი აღზარდა! — მიახალა ბარბარემ. — თქვენთვის დაგვილოცნია ევაცა და მისი ქალობაც! ეს ფულიც თქვენი იყოს! მე შვილს არ ვყიდი! — და რეზოს მიერ მიცემული ფული მასვე შეაყარა სახეში.

რეზოს ენა დაება, არ იცოდა, რა ექნა, რითი ეპასუხნა... წავიდეს და მოშორდეს იქაურობას, თუ კიდევ პირისპირ უდგეს გაცოფებულ დედას.

ბოლოს, როგორც იქნა, მორცხვად მიიხედ-მოიხედა, ჩაქინდრა თავი და ცოცხალ-მკვდარი გამობრუნდა.

— რა ჰქენი, რაშია საქმე? — განგებ თამამად შეეკითხა ევა და ამ კილოთი რეზო კიდეც გამოარკვია და კიდეც გაამხნევა.

— არაფერი ისეთი... მოველაპარაკე...

— მერე? თქვი ჩქარა!

— არ სჯერათ... არაფერი არ სჯერათ...

— არა სჯერათ, რომ შალვა გარდაცვლილია?

— არ დამიჯერეს. ამბობენ, ცოცხალიაო, — ჩაილაპარაკა მან და მტყუანივით დაიწყო თვალების ცეცება.

— ჰა-ჰა-ჰა! შენც ეჭვი შეგეპარა, არა? ჰაი, ჰაი, რა ადვილად იცი ყველაფრის დაჯერება!

— რათა? მე სრულებითაც არა მჯერა, მხოლოდ ისე... მიცნეს, ვინც ვიყავი და...

— მერე, რა ვუყოთ, თუ გიცნეს! დასამალი რა გაქვს? ქვეყანამ იცის...

ევა ცდილობდა აფორიაქებული ნერვები დაეოკებინა და ლაპარაკისათვის დინჯი ელფერი მიეცა. გამომეტყველება წყნარი მიეღო. რეზო მშვენივრად ატყობდა ამას, მაგრამ მისთვის საინტერესო აზრი ჯერ ვერ გამოეკვლია: რად ღელავდა ევა, მართალი იყო იგი თუ მტყუანი? ცოცხალია შალვა თუ არა?

— რას იზამ... მშობლებია, გული ეწვით, ვერ გავამტყუნებ, — ლაპარაკობდა ევა, — ალბათ, გულის მოსაგებად ვინმემ უთხრა, ცოცხალი არისო, და იმათაც დაიჯერეს, გასაგებია!

ევა ლაპარაკობდა და თან ქურდულად თვალს ადევნებდა შეშფოთებულ რეზოს, რომელმაც გაზეთს მოჰკიდა ხელი და ვითომდა ამის გუნებაზე იყოსო, კითხვა დაიწყო. მაგრამ ამაოდ: ასოების მაგიერ მისი თვალები შალვას ხედავდნენ.

ევა ბოლოს სრულიად დამშვიდდა და ასე მიმართა ქმარს:

— რეზო, აბა, შენ იცი! სიძვირე კი არის, მართალია, მაგრამ მე და სოფიკოს, უსათუოდ, დღეს რომ ავირჩიეთ, ის მატერია უნდა გვიყიდო.

— უსათუოდ... უსათუოდ...

— იცი კიდევ რას გეტყვი,' ჩემო ძვირფასო! შემომხედე, როცა მელაპარაკები, რა დროს გაზეთია! აი, აგრე, მე არ მიყვარს, როცა ლაპარაკის დროს არ მისმენენ! დიახ, რას ვამბობდი? ჰო, ისა, მე დღეს ბავშვებიანად ივანესას უნდა წავიდე, ამ დილით დეპეშით დამპატიჟა ორი ან სამი დღით.

— კარგს იზამთ, შეგიძლიათ ერთი კვირაც დარჩეთ. დაისვენეთ...

რეზო მიხვდა, რასაც ნიშნავდა ივანესას წასვლა — ეს ერთგვარი გაპარვა და უშიშარ ადგილას წასვლა იყო და მისი ეპვებიც გაძლიერდნენ: ევა შეშინდა, გარბის... მაშ, საქმე არც ისე ოლი ყოფილა. ეგების შალვას მშობლები მართალნი არიან და შალვა ცოცხალია? მაშ რა ქნას რეზომ?

— მე ახლავე შევუდგები გამგზავრების თადარიგს, — თქვა ევამ და რეზო ჩაჰკოცნა. რეზომ იგრძნო, რომ ეს კოცნა რა-

ღაც ხელოვნური და ნაძალადევი იყო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, თვითონაც ცივად აკოცა ცოლს.

ევამ ფანჯარაში გადაიხედა და ნაცვლად იმისა, რომ საჩქაროდ შედგომოდა გამგზავრების თადარიგს, გაშტერებული მიაჩერდა რაღაცას და წეღანდელი ღიმილიც ერთიანად დაეკარგა. მან ქუჩაში მიმავალ შალვას მშობლებს მოჰკრა თვალი. წინ შავებში ჩაცმული ბარბარე მიდიოდა, უკან ჯოხით მიჰყვებოდა ქმარი, რომელიც გათეთრებულიყო და წელში მოხრილიყო.

ევა ფანჯარას მოშორდა და ოთახში გავიდა. დაეჭვებული რეზო მსწრაფლ მიეჭრა ფანჯარას, მაგრამ შვილის მაძებარი მშობლები უკვე მიმალულიყვნენ. რეზო მოტრიალდა და უაზროდ შეუდგა გაზეთის თვალიერებას.

4

რეზო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.

რა ხდება მის გარშემო? ვინ არის მართალი? ევა თუ შალვას მშობლები? ცოცხალია თუ არა შალვა ღრუბელიანი? ნუთუ ევამ მოატყუა?

ეგების მოხუცები სტყუიან, თავს იტყუებენ? შეუძლებელია ევა ტყუოდეს — როგორ იკადრებს! არ შეჰფერის!

მთელი დღე რეზომ უგუნებოდ გაატარა; სამსახურში არ წასულა.

ან კი რა აქვს სამუშაო? ყველაფერი აფორიაქდა. ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, მოსამსახურეებიდან ნახევარი არ დადის.

უმცროსი მოსამსახურეები უფროსებად იქცნენ: როცა მოეპრიანებათ მაშინ მოვლენ. მიტინგი, პარტიული კრება, სურსათ-სანოვაგეზე ზრუნვა; კიდევ მიტინგი, კიდევ კრება და მოხსენება... პური... შაქარი... ფართალი... ყველას ეს სიტყვები აკერია ენაზე.

რეზო კი ძველებური მუყაითობით დგას თავის ადგილას, ერთხელაც ფეხი არ დასცდენია: თავის დროზე მისვლა, თავის დროზე წამოსვლა... ჰოდა, რა იქნება, რომ დღეს არ მივიდეს სამსახურში? არაფერი. ვთქვათ, ევა მოტყუვდა, შალვა ცოცხალია და მართლაც მოდის. ასეთი რამე სულ ადვილად შეიძ-

ლება მოხდეს. რა ქნას მაშინ რეზომ? როგორ მოიქცეს? რითი დააღწიოს თავი გაჯოჯოხეთებულ ცხოვრებას? მართალია, შალვას მშობლებს უცებ უთხრა: თუ თქვენი შვილი ჩამოვა, ევაც მას ჰყავდესო, მაგრამ განა ასე ადვილად შეიძლება ამ საკითხის გადაჭრა? გონება ასე სჯის, მაგრამ გულს რა უქნას? საკუთარ გულს, სიყვარულით გამსჭვალულს; სამარადისო ვნებით დაპყრობილს, ევას წინაშე განრთხმულს და მონად ქცეულს? განა ამის შემდეგ გროშად ეღირება მისი სიცოცხლე? თვითონ რომ შეურიგდეს ამ მდგომარეობას, საზოგადოებას რა პასუხი გასცეს? როგორ უნდა შეხედოს ნაცნობებს, ნათესავებს, შვილებს?

ამათ რა უთხრას?

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბებია ჩემს თავს? ხომ არ ვიღუპები?

მისი ცხოვრება მუდამ წყნარად და მშვიდად მიმდინარეობდა. ჯერასოდეს კალაპოტი არ შეუცვლია, თავის დღეში არ აღელვებულა. ახლა კი ლამის შეირყეს.

— ჰო, რა ცუდი აზრები მომდის თავში! განა შესაძლებელია ყოველივე ეს? სისულელეა! საიდან დამებადა ასეთი უცნაური აზრები? რისთვის შევიშფოთე სული? რად ავყევი აგრე ჩემ ნაცად და დასანდობ ნერვებს? სისულელეა! ცხოვრებაში დრამა არ არსებობს. დრამას ადამიანის დაავადებული ნერვები ქმნიან... ადამიანს საკუთარი თავის გაბედნიერებაც შეუძლია და გაუბედურებაც, — გადაჭრით თქვა რეზომ და გული დაიწყნარა.

რეზოს ცხოვრება ბავშვობიდანვე ზლაზვნით მიმტბორავ მდინარეს ჰგავდა, რომელიც ზარმაცად გაწოლილა დაუსრულებელ ვაკეში და უსიცოცხლოდ აქანავებს ნაპირებზე აბობოქრებულ ლერწმებს. მხოლოდ ერთი უჩვეულო რამ მოხდა მის ცხოვრებაში: ევა შეუყვარდა, მაგრამ ეს ძირიანად ამაფორიაქებელი გრძნობაც ერთობ წყნარად აითვისა, ერთობ უმტკივნეულოდ ჩაისვენა გულში.

ღრმა და უანგარო იყო გრძნობა, რომელმაც რეზოს გულში ჩამოჰკვეესა და ცეცხლად აქცია ევას სილამაზემ, ლამაზმა ცხოვრებამ, ლამაზმა ბედმა...

ქმრის კატორღაში გაგზავნით გულდათუთქულ მანდილო-

სანს ხშირად ხედავდა იგი თავის აივნიდან. მთელი ქუჩა იცნობდა ევას, ყველა იბრალებდა, ყველა თანაუგრძნობდა.

- თავადიშვილის ლამაზი ქალი, საქვეყნო საქმით გატაცებული, საქვეყნო საქმეებისათვის თავდადებული; იდეალური სიყვარულით ქმარს გაყოლილი, თავის აღმზრდელი წრის გმირულად უარისმყოფელი.

იმ დროს, როცა მას სამუდამოდ უნდა გაემარჯვა, როცა წამებულთა უსაზღვრო აღტაცებას მისი ხმაც უნდა შეერთებოდა, აი, ამ დროს სრულიად მოულოდნელად პირქვე დაემხო.

რეზოს მოაგონდა ერთი დრამის მთავარი გმირი, რომელსაც იმ წამს გადმოუვარდა სამრეკლოდან ტანჯვით შექმნილი და ზედ ატანილი ზარი, როდესაც ის იყო უნდა დაეგუგუნებინა. ამ მიზანს შეალია ამ გმირმა მთელი თავისი ნიჭი და აღმაფრენა, ჭკუა და გონება, და უცებ აგრე შეუბრალებლად დაწყდა ქნარს სიმები...

აი, ვის შეადარა რეზომ ევა და მისი ცხოვრება, რომელსაც იგი ჯერ კიდევ თავის აივნიდან უთვალთვალებდა.

ხშირად დაუნახავს როგორ ბრუნდებოდა შინ ციხის კედლებთან ტრიალით დაქანცული ევა, როგორ ჩაიკრავდა თვალცრემლიანი თავის ბავშვებს და როგორ ეალერსებოდა მათ... მერე რა სანახავია ლამაზი, დასევდილი ლამაზი ქალი, რომელიც მტირალ ნიობესავით გულში იკრავს თავის მომხიბლავ შვილებს. ხშირად ხედავდა ამ სურათს თავისი მდიდრული ოთახიდან რეზო ნამიანიძე და ნელ-ნელა იმსჭვალებოდა თანაგრძნობით.

ისინი მართლაც დაახლოვდნენ და სამი წლის განმავლობაში რეზო ევასათვის მფარველი ანგელოზი იყო. მათი მეგობრობა შალვას რუსეთში გაგზავნის შემდეგ უფრო მჭიდრო კავშირით დასრულდა: შეუღლდნენ, მალე ეს ქალაქი დატოვეს და სხვაგან გადაბარგდნენ.

რეზო მუდამ ხელმომთბარი იყო: მშობლების სიმდიდრე და თავისი ჯამაგირი ყოველთვის საშუალებას აძლევდა ერთობ კარგ პირობებში ჰყოლოდა ცოლ-შვილი. ევამაც თავისუფლად ამოისუნთქა: როგორც იქნა დააღწია თავი ლუკმაპურისათვის ზრუნვას და შვილებზე ფიქრსა და დარდს...

ეს იყო და ეს: ამაზე არაჩვეულებრივი ამბავი რეზოს ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა.

შალვაზე ზრუნვის საქმეში რეზო ერთგულ მეგობრად გაუხდა ევას. გულმტკივნეული ვაჟკაცი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ჩარჩოს არ გადაშორებოდა. მაგრამ გადიოდა დრო და რეზო ამჩნევდა, რომ მისი გულის ერთი სიმი რაღაცნაირად გათბა. რეზო შეკრთა; ის თავის თავსაც კი უმალავდა ამ თბილი ერძნობის ჩასახვას და ერთგულად ასამარებდა მას გულის კუნჭულში.

მაგრამ დროთა განმავლობაში ეს გრძნობა ერთიანად ეუფლებოდა, ვერ შეაჩერა მისი გაღვივება გონების წვალებამ და დაგვამ. რეზოს პირველად ერთობ მანკიერი ბუნების პატრონად ეჩვენებოდა თავისი თავი, რომ ასეთი ულირსი გრძნობა აღეძრა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ღვთაებრივი უცოდველობის და მეგობრული პირმტკიცობის საწყაულად ეჩვენებოდა.

ქალი, რომელსაც ევასავით ბრწყინვალე და გმირული წარსული აქვს, არ შეიძლება ცხოველური გრძნობის საგნად გახდეს. ამაში კარგად არის დარწმუნებული რეზო და მხოლოდ რეზოსთანა უბრალო პიროვნებას შეიძლებოდა დაბადებოდა ასეთი ჩვეულებრივი გრძნობები ევას შესახებ.

ეს კარგად იცის მან და ამიტომაც არის, რომ თავს იმაგრებს.

— განა არ ვხედავ, რომ ძმასავით მეპყრობა? ჭირსა და ლხინს მინაწილებს. და განა ისეთი სულმდაბალი უნდა აღმოვჩნდე, რომ მის უანგარო გრძნობას ჩემი ქვენა ზრახვანი დავუპირდაპირო? არა! ამას არასოდეს არ ჩავიდენ! ასე არ დავიმცირებ თავს! ის ღირსეული ადამიანია და მეც მისი ღირსი უნდა ვიქნე! — ფიქრობდა რეზო.

განა ევას გმირობა ჩვეულებრივი ადამიანის საქმეა?.. რეზოს წარმოდგენით, ევა არაჩვეულებრივი ადამიანია. მოდი და ასეთი ადამიანის წინაშე ჩვეულებრივი გრძნობით წარდექი!

სამი წელიწადი იტანჯა რეზო, უკანასკნელი წელი სულ საშინელება იყოს მისთვის; და რომ თვითონ ევას არ მიეცა მისთვის სიყვარულის გამჟღავნების საბაბი, რომ თვითონ ევა

არ მიყრდნობოდა მას სრულიად მოულოდნელად, რეზო თავს გაიუბედურებდა, შინაგანი ცეცხლით დაიწვოდა და ევას კი სიყვარულს ვერ გაუმეღავნებდა.

სათაყვანო ევა მისია, დიდებულმა პიროვნებამ, სულით სპეტაკმა, ხორცით მშვენიერმა, თვით აამაღლა იგი.

მაგრამ არის წამი, როდესაც რეზოს შიშიც კი იპყრობს და თავზარდაცემული გაურბის ევას ენებას.

დიდბუნებოვან ადამიანში ყველაფერი დიდბუნებოვანია, — ფიქრობს რეზო და მოწიწებით იდრეკს ქედს ევას წინაშე.

და აი, ასეთი დიდი ადამიანის პატიოსნებაში დღეს ლამის ეჭვი შეატანინოს!.. ვიღაცის უღირსმა ხელმა მოინდომა მისი ლამაზი და წარმტაცი ცხოვრების მოწამელა და მოშხამვა.

მაგრამ არა, ეს შეუძლებელია!..

რეზო ამის ნებას არავის არ მისცემს!

არა... არა!

შალვა მკვდარია და ევა რეზოსია სამუდამოდ...

ეს ყველამ უნდა იცოდეს... ყველამ...

5

პირველ ხანებში ევა ყურადღებას არ აქცევდა რეზოს. იგი მის თვალში „ბურჟუაზიული ინტელიგენტი" იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ აითვალისწუნა, როცა გაიგო, რომ ეს ოხტად მორთული ახოვანი კაცი, რომელიც ფერ-უმარილს იცხებდა და ტუჩებსაც ხელოვნურად იწითლებდა, თურმე ისეთ დაწესებულებაში მსახურობდა, როგორიც არის ბანკი.

— სწორედ რომ მის შესაფერ ადგილას მოკალათებულა! — ირონიით თქვა ევამ.

„ბურჟუაზიული ინტელიგენტი" კი გულმოდგინედ განაგრძობდა თავისას: მუდამ სიყვარულით და მზრუნველობით ესაჩუქრებდა ევას ბავშვებს. თვითონ ევას კი ყოველთვის თავაზიანად, თანაგრძნობით და ჯენტლმენურად ესალმებოდა. გადიოდა დრო და რეზოც სიმპატიურ ადამიანად ხდებოდა: როგორ არის შალვა ციხეში, გამოძიება, დაცვა?... ფული ხომ არ არის საჭირო? — მზრუნველობით კითხულობდა რეზო.

რამდენად უფრო მეტად აკვირდებოდა ევა, იმდენად უფ-

გადიოდა დრო. ევა თითქმის მიივიწყეს მისმა ამხანაგებმა და არც ის იტკიებდა თავს მათი მოგონებით. ერთადერთი ადამიანი, რომელიც გულშეუცვლელად ეხმარებოდა, რეზო ნამიანიძე იყო. სამსახურიც კი უშოვნა ერთ საკრედიტო დაწესებულებაში. ევა თანდათან ჩაეფლა სინამდვილის მორევში და ძველი აზრები ისე ეჩვენებოდა, როგორც დიდი მდინარის გაცურვის შემდეგ გამოღმა დარჩენილი ხეები და ადამიანები..

რეზო ნამიანიძე... რა კეთილშობილური სახით აღიმართა ეს ადამიანი ევას წინ. საკვირველია, რომ ევასთან ყოველთვის ერთნაირია და წონასწორობიდან არ გამოდის! ერთი გაცინებულიც კი არ უნახავს ევას: მუდამ სერიოზულია, საქმიანი. ეს კი ზოგჯერ მომაბეზრებელია, ევას ისიც ეყოფა, რომ თვითონ დათალხულია და რაა, რომ რეზოც ასეთ სახეს იღებს! ერთხელ მაინც გაიცინოს!

ერთ საღამოს რეზო თავის ამხანაგებში იყო და ისეთი გატაცებით მხიარულობდა, რომ ევა შურმა შეიპყრო: რატომ ჩემთან არ მხიარულობს ასეო. დიახაც, რომ სჭირდება ევას გულს გამხიარულება, თორემ დამძიმდა, დაისერა, დაშავდა, დაგლოვდა.

რეზო შესანიშნავი პიროვნებაა, კეთილია, თავდაჭერილი, ზომიერი, გონიერი, მაგრამ ყოველთვის როდია გამოსადეგი ეს ქებული ზომიერება.

როდესაც მუსაიფობენ, ასე გეგონებათ, მონასტრის წევრები შეყრილან და სულიერ საქმეზე მსჯელობენო.

ეს მეტისმეტია. სიყვარულზე ლაპარაკს საშინლად უფრთხის, იბნევა, ქალიშვილივით წითლდება.

ეგების ვინმე უყვარს რეზოს და იმიტომ არის ასე თავდაჭერილი? ნეტავი, მართლაც, ასე იქნებოდეს! რომ იცოდეთ, რანაირად ესიამოვნება ეს ევას. ხელს შეუწყობს თავის მეგობარს, რომ ცოლი შეირთოს, და მერე სამივე ტკბილი ცხოვრებით განაგრძობენ ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

მაგრამ... ეს რა გრძნობაა, გულში რომ გაურბინა? ეჭვი? რა აქვს საეჭვო? რა არის საერთო მასსა და რეზოს შუა?

ისინი მხოლოდ დროებით შეხვდნენ ერთმანეთს, ვინც უნდოდეს, ის შეირთოს, ევას რაში ესაქმება? მშვენიერად იცის

თავისი მოვალეობა: შალვა, შვილები... მაგრამ ისევ რეზო, რეზო!..

რატომ ახსენებს აგრე ხშირად მას ევა? უიმისოდ ფეხი ვერ გადაუდგამს, ერთად მსჯელობენ სულ უმნიშვნელო საგნებზედაც კი... დაწვრილებით გაიგეს ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობა. შალვას შესახებაც ხშირად ბაასობენ, ფულს უგზავნიან, ამანათებს. რა დიდბუნებოვანი ადამიანი უნდა იყოს რეზო, რომ ასე უანგაროდ გაუწოდა ხელი საშინელ მდგომარეობაში მყოფ ევას, ყველასაგან დავიწყებულს.

შალვა ღრუბელიანი რომ სათაყვანო კაცია — ეს კარგად იცის ევამ, მაგრამ რეზო ნამიანიძეც რომ დიდებული ადამიანია, ისიც აშკარაა!..

მაშასადამე, აქაც ბრწყინვალედ მართლდება ევას შეხედულება: დიდი შეცდომაა, რომ წმინდანებს და ქვეყნის განმაახლებლებს მარტო ერთი კლასის წიაღში ეძებენ.

ევას აქვს თავისი იდეალი, მაღალი და სპეტაკი მისწრაფება, მაგრამ არა სხვების მსგავსი, არამედ განსხვავებული და ინდივიდუალური, მხოლოდ მისდამი კუთვნილი...

სწამს ხალხიცა და მისი მისწრაფებაც, მაგრამ იმ სახით, როგორითაც აქამდე ესმოდა...

ევა დღეს გონებრივად მომწიფებულია და ეს, მისი რწმენით, სრულებით არ არის ძველის უარყოფა, ახლის აღიარება! არა, ეს მხოლოდ აზრთა ერთგვარი გადაჯგუფებაა, შელამაზება, პრინციპიალურ სიმაღლემდე აყვანა.

ევას არ უნდა სხვებს ემსახუროს, სწამს ადამიანის შემოქმედების ძალა.

მას ხშირად გაუზიარებია ეს აზრი რეზოსათვის და რეზოც ყველაფერში დათანხმებია მას, კეთილშობილი რეზო, რომელსაც მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ ზომიერია, არასოდეს საზღვარს არ გადასცდება, და თავის თავს ისე ეპყრობა, რომ თითქოს წყლით სავსე ჭიქა დაჰქონდეს ხელით და ცდილობს არ დაღვაროსო.

ეს კი არ არის ყოველთვის კარგი, საჭიროა დაბარბაცებაცა და წყლის დაქცევაცა! არ შეიძლება ადამიანი ყოველთვის ჭკვიანი იყოს, დინჯი, აუჩქარებელი... ბერ-მონაზონები ხომ არ ვართ, რომ ყოველთვის დათალხულნი ვიყოთ, სახე დაღალულნი და გულხელდაკრეფილნი!..

აი, ასეთ მოძრაობაშია ცხოვრების აზრი.

რა ცუდია, რომ რეზოს მთელი ძალ-ღონე საანგარიშეს რახუნში ელევა და ან საბუღალტრო წიგნების ხაზებში იხრჩობა! ეს არის ნიჭის მიწაში ჩამარხვა, მსგავსად ზარმაცის მონისა.

არა, ევა ამას არ დაუშვებს! უსათუოდ უნდა ჩამოიკრას ტალკვესი, ასე არ შეიძლება!.. ეხ, შალვა, შალვა! სადა ხარ, სად? შენ მუდამ ცეცხლი იყავი, ცეცხლი მდაგავი... დამწველი ჯერ შენი თავისა და მერე სხვების!...

გავიდა ხანი და ევამ ნელინელ მოიწყინა. ბევრი სევდა უნახავს ევას: მშობლიური ბუდიდან იცნობს მას, შალვას ბედმაც საშინლად აწამა, მაგრამ ასეთი ძალით, ასეთი გამანადგურებელი სიძლიერით ჯერ არაფერი დაუფლებია.

ეს იყო სიამოვნებაში ჩალესილი სევდა, სიტკბოებაში გახსნილი კაეშანი, მძიმე, ვით ლოდი, შემპყრობი, ვით საშინელი სენი...

დიდხანს იბრძოდა ორივე გრძნობა ევაში, მაგრამ გავიდა დრო და ერთი მათგანი — შალვა — ვით წარმტაცი ციცინათელა ნელინელ მოშორდა ევას და შეუმჩნევლად ჩაინთქა ღამის წყვდიადში... სამაგიეროდ ევას სულსა და გულში რეზოს ხატება მოახლოვდა. ხატება ცოცხალი, სიცოცხლით მფეთქავი, პასუხის მომთხოვნი, ვნების აღმძვრელი...

მისი სულისთქმაც, მაჯის ცემაც, გულის ფანცქალი... მისი სახე ათბობს, გულს უჩვილებს, სასიამოვნოდ ეღიტინება, ვნებით გულს უთრთოლებს ევას....

რა ქნას, როგორ დააღწიოს თავი ამ საშინელებას?.. ვერა, ვერ დააღწევს და უნდა აგოს პასუხი.

6

სტუმრად წასულმა ევამ რამდენიმე დღის შემდეგ ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „საშიშროებამ გაიარა, ისინი წავიდნენ, შეგიძლია ჩამოხვიდე. რეზო“.

ტყვიასავით მოხვდა ეს სიტყვები ევას.

როგორ? განა ევას რაიმესი ეშინოდა და იმიტომ გაიხიზნა?

საბრალო რეზო! ამდენი ხანია ევას იცნობ და ისიც კი ვერ შეგიგნია, რომ მშიშარა არ ვარ და ყოველგვარ მოვლენას პირისპირ შევხვდები.

ევას აზრით, რეზოს ზერელე თვალებს, რასაკვირველია, მეტის დანახვა არ შეეძლო. ის ყოველთვის ჩვეულებრივად მსჯელობს, მუდამ სხვას ჰგავს, ორიგინალობის მასში არაფერია, ფაქტებს იქით ვერას ხედავს, მოვლენათა სიღრმე მისთვის მიუწვდომელია.

ვის ეძებდა და ვინ იპოვა? ის მოელოდა რაღაც ძლიერ ძალას, წარმტაცს, სისხლის ამაჩქეფებელს, აზრთა აღმატკინებელს და... შეხეთ, რა ჭაობში ჩაეფლო, რა ბადეში გაეხლართა!

მაგრამ ჯანდაბას ყოველივე ეს, ახლა ევას არ უნდა ამაზე ფიქრი! მხოლოდ ეს კი უნდა იცოდეს რეზომ, რომ ევას არაფრის არ შეშინებია და არც ეშინია.

რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად მოულოდნელად რეზოც ევას მასპინძელთან ჩავიდა. ძალზე მხიარულობდა და წამდაუწუმ იცინოდა, მაგრამ ევას დაკვირვებულმა თვალმა მაშინვე შეამჩნია, რომ ამ გადაჭარბებულ მხიარულებაში რაღაც შიში და ნერვიულობა იყო ჩაქსოვილი.

— ვერ წარმოიდგენ, შენი წამოსვლით რაგვარი მოწყენილობა და სულის ობლობა მეუფლება, — ტკბილად ეუბნებოდა რეზო ევას.

ევა ყურს არ უგდებდა.

— ევა, ევა, რადა ხარ აგრე მოწყენილი? თითქოს არც კი მისმენ...

— ეგ საიდან მოგეჩვენა? პირიქით, დიდად მოხარული ვარ.

— ოო, ეგ კარგია, გენაცვა, კარგი! რა გაქვს მოსაწყენი და სავალალო? ცხოვრებაში არაფერი არ გაკლია; არასოდეს შეფერხება და უსიამოვნება არ მოგვსვლია... კი, მართალია, ცოტა რაღაც საწყენი შეგეხვდა, მაგრამ ეგ არაფერია! განა მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი ვინმე, რომელსაც რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდეს? მუდამ გამარჯვება და უზრუნველობა კიდეც მოეწყინება ადამიანს... ცხოვრებაში ერთგვარი სხვადასხვაობაც საჭიროა. დიახ, საჭიროა... მე... ჩემო ძვირფასო ევა, შენს ყოველგვარ წყენას ისე გადავიტან და შეეგე-

ბები, როგორც საკუთარს; ჩვენი ცხოვრება ისეა გადახლართული, რომ მათი დაშორება და ცალ-ცალკე წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ჩემი და შენი ინტერესები განუყრელი და გაუთიშავია. მე... მე ყოველთვის შენთან ვიქნები, შენს გვერდით, შენი განუშორებელი მონა და მოსამსახურე. მე მხოლოდ შენს სიყვარულში და შენ ახლო ყოფნაში ვპოვებ უაღრეს ბედნიერებას, უშენოდ ჩემი სიცოცხლე საშინელება იქნებოდა... დიახ, საშინელება...

„რაშია საქმე? რა ალაპარაკებს ასეთნაირად რეზოს?“ — ეკითხებოდა თავის თავს ევა და პასუხს ვერ პოულობდა. ასეთი აზრები რეზოს არასოდეს არ გამოუთქვამს, ასეთ სულიერ განწყობილებაში ის არასოდეს არ ყოფილა. ალბათ, რაიმე საშინელების მოახლოებას გრძნობს. ევას დაკარგვა ხომ არ ეფიქრება?...

— ცხოვრება რომ ძნელია და რთული, ეს შენგან გამიგია, — განაგრძობდა რეზო დარიგებითი ტონით, — ამიტომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა.“ დიახ...

— რეზო, — გააწყვეტინა ევამ, — ნურაფრის შიში ნუ გაქვს, ტყუილა ხარ დამფრთხალი!.. მე მუდამ შენთან ვიქნები და ჩვენ ბედნიერებას ვერავინ ვერ შეარყევს!.. ახლა კი კმარა, მაგგვარ ლაპარაკს თავი დაანებე!...

— კარგი, კარგი... შენ იცი, ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ბედნიერებავ! უშენოდ მე სიცოცხლე არ შემიძლია, არ შემიძლია... რა მოუვიდოდა საწყალ ჩვენს ბავშვებს.

რეზო მოულოდნელად აქვითინდა.

— რეზო, ეს რასა ჰგავს? ეს ხომ ლაჩრობაა!

მხოლოდ ამ სიტყვების თქმა დასჭირდა ევას, რეზო მაშინვე გამოერკვა და წელში გასწორდა. კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ევას მხრივ ეს ვაქკაცური დაძახილი და თავიც უშიშარ ფრთათა ქვეშ იგრძნო.

მეორე დღეს რეზომ სრულიად მოულოდნელად გადასცა ქალაქიდან ჯიბით ჩამოტანილი გაზეთი, რომელშიც ერთი ადგილი წითლად შემოეხაზა. აი, რა ამოიკითხა ევამ: „ახლო მომავალში რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდება ცნობილი რევოლუციონერი და მგოსანი კორდელი, რომელსაც ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის მეფის მთა-

ერობის მიერ ოცი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი და რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ განთავისუფლებული თავგამოდებით ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას ქალაქში... კორდელს დიდი ამბით უპირებენ შეხვედრას".

ევა ხმისამოუღებლივ ჩაიკეცა.

7

სოფიო გაიტაცა რევოლუციამ. მუდამ მიტინგებზე დაიარებოდა, კრებებს ესწრებოდა, ისმენდა მოხსენებებს, ასრულებდა პარტიულ დავალებებს. დღე და ღამე მისთვის ერთი იყო, მოქანცვა და უგულო მუშაობა არ იცოდა. ხშირად მშიერიც კი რჩებოდა. მას, როგორც გამოუცდელს, საინიციატივო მუშაობა არ შეეძლო, მაგრამ უფროსი ამხანაგების დავალებებს კარგად ასრულებდა.

დედამ სთხოვა, დაანებე თავი მაგ საქმესო, მაგრამ სოფიოზე არაფერი მოქმედებდა.

— დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა აბობოქრებულია, როცა ცა და მიწა ენერგიით ფეთქავს და შეუწყვეტელ მოქმედებაშია, შინ დავჯდე? გულზე ხელები დავიკრიფო? არა, დედა, ნუ გამაგონებ მაგგვარ სიტყვებს, სანამ ცოცხალი ვარ, თავგამოდებით უნდა ვემსახურო საქვეყნო საქმეს! — ეუბნებოდა სოფიკო დედას.

„ნამდვილი მამაა, ნამდვილი! ასე თავდადებული იყო შალვაცო," — გაიფიქრებდა ევა და საკუთარი ფიქრით დამფრთხალი იმ წუთსავე ტუჩების კვნეტით იბრუნებდა პირს.

ევას აგონდებოდა თავისი ახალგაზრდობა, იხსენებდა პირველი რევოლუციის ბრწყინვალე დღეებს, შალვასა და მის უსაზღვრო სიყვარულს, სახალხო მოძრაობის ზღვას, მასში თავგამოდებით გადაცურვას და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა თავისი ქალის ასეთი გატაცება.

იგი ახლადგაშლილი ყვავილია, ძალუმად სცემს მასში სიცოცხლის სიტკბოების ნექტარი: მხოლოდ მშვენიერება და აღფრთოვანება, მხოლოდ გულწრფელობა და თავდავიწყება ელანდება მის მტოკავ და მთრთოლვარე სულს.

ევა მაინც კმაყოფილია იმით, რომ მის საყვარელ სოფიკოში ამდენი ენერგია და კეთილშობილური გრძნობები ყოფილა.

სოფიო რევოლუციის პირველ კვირეებშივე ჩამოშორდა თავის უსაქმურ ამხანაგებს: ათასში ერთხელ თუ მოიცლიდა პოეტი პიერის გამოსაჯავრებლად; ასე გასინჯეთ, შუშანიკასაც ვერ შეეწყო, რადგან რაღაც უგულობა შეამჩნია. შუშანიკას ვერ მოეხერხებია თავისი თავის დავიწყება და ვერ იჩენდა სათანადო ფხიანობას, თავიდან ემორჩილებოდა ევას გავლენას...

ახალი აზრები, ახალი გრძნობები, ახალი ადამიანები, ახალი წრე!

რომელ ერთს გაართვას თავი გამოუცდელმა სოფიომ?

„იტიტინე, ვინემ დრონი შენიაო, — ფიქრობდა მისი შემხედვარე ევა და თანაც დასძენდა: — ალბათ, ვინმეს კიდეც შეიყვარებს ჩემი სოფიკო, ენაცვალოს დედაო", — და თითქმის შურის თვალით ადევნებდა თვალყურს.

სტუმრად წასული ევა თავიდან ვერ იშორებდა სოფიკოზე ფიქრს. შალვას ჩამოსვლის ამბის შემდეგ ეს ფიქრი საშინელ ლოდად გადაიქცა.

კორდელი სოფიკოს საყვარელი მგოსანია და მისი ჩამოსვლის ამბავი რომ აღაფრთოვანებს, ეს ცხადია. მერედა რა უნდა მოჰყვეს ამას?

როცა რეზო ქალაქში წავიდა, ევამ სოფიოს მისწერა: ავად ვარ და აუცილებლივ მნახეო; სოფიო მეორე დღესვე გაჩნდა დედასთან და რაკი დიდი ავადმყოფობა ვერ შეამჩნია, სიხარულით გულში ჩაეკრა და ბავშვური უდარდელობით მოჰყვა ტიტინს.

— დედა, ჩემო დედიკო, გენაცვალოს ჩემი თავი! მაპატიე, რომ თან არ წამოგყევი, ათასი საქმე მქონდა: იქ მუშები, აქ ჯარისკაცები, პარტიის წევრები და უბრალო მოქალაქენი... კაეშირები, მოხსენებები, სიები... რომელი ერთი მოვიგონო? დედა, რამდენი ხალხი გავიცანი, რამდენი ამხანაგები შევიძინე! ვინ იცის, რამდენი ახალი აზრი და გრძნობა აღმეძრა. ასე მგონია ერთიანად მოვშორდი იმ ცოდვილ დედამიწას, რომელზედაც რევოლუციამდე დავღიოდი და სულ სხვა საოცნებო პლანეტაზე გადავფრინდი, სადაც სულ სხვაგვარი ზეცაა, სხვაგვარი მიწა-წყალი და ადამიანები. მიკვირს, თუ რამ გარდაქმნა და გამოსცვალა ასეთნაირად მთელი ქვეყანა, მთელი ხალხი!

თუ ამდენი აზრი და ენერგია იყო მასში, რანაირად იკავებდნენ აქამდის თავს? მართლაც, საშინელი სიძლიერის პატრონი უნდა ყოფილიყო ის რეჟიმი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ასე შებოჭილი და შეხუთული ჰყოლია ადამიანთა ეს თვალუწვდენელი ზღვა. ოო, მიკვირს, რა აკავებდა ამ გადარეულ თქეშს. ასეთი ძალის დამუხრუჭება ჭეშმარიტად უდიდეს დამნაშავეს შეეძლო და კიდეც მიტომაა, რომ ყველას ასე ეზიზღება ძველი რეჟიმი...

— ამდენი ახალი სანახაობა, ამდენი ჯერ უხილავი სურათი! სადღაც წამიკითხავს: ზღვის სილამაზეს ადამიანი ისე ვერ მისწვდება, თუ იგი მღელვარების დროს არ უნახავსო. სრული სიმართლეა. ხალხის ნამდვილ სახეს მხოლოდ აბობოქრების დროს გამოიცნობს კაცი. რამდენი იმედი და აღფრთოვანება ფეთქს ხალხში! ყველა დარწმუნებულია, რომ ბედნიერება მის ხელთ არის. წარმოიდგინე ასეთი სურათი, ჩვენი კომიტეტის შენობაში შემოდის უსაწყლესი, უღარიბესი ქვრივი დედაკაცი და ასეთი თხოვნა შემოაქვს: მიშველოს კომიტეტმა, ჩემი მაზლი ასე და ასე მჩაგრავსო, ობლებს ლუკმა-პურს ართმევსო. ბევრი ვეძებეთ სამართალი ნიკოლოზის დროს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვიცი, კომიტეტი სამართლიანია და უსათუოდ დამეხმარებაო. სახეზე იმედი და სასოება უთრთის, უსაზღვრო სიყვარულით შემოგვყურებს. იცი, რომ მისი თხოვნის დაკმაყოფილება შენ არ შეგიძლია, მაგრამ გული არ გიშვებს, პირში უთხრა ეს, აგრე მოიმედე ბებერს... ამიტომ ტკბილად ელაპარაკები, არ გინდა გული გაუტეხო, მიასწავლი სხვა დაწესებულებაში, თანაც გებრალება და გეშინია — ვაითუ იქაც იმედი არ გაუმართლდესო. მერე რამდენია ასეთი შემთხვევა! ვინ ჩამოთვლის?... ყველას სწამს, რომ ბოროტებას ბოლო მოეღება და ჩაგრული ხალხი წელში გასწორდება. ოო, რა უზომო ბედნიერების მოტანა შესძლებია რევოლუციას!

სოფიო დაუსრულებლივ ლაპარაკობდა, ხან რას ამბობდა, ხან რას!

— რა ბედნიერია ჩემი შვილიკო, — ფიქრობდა ევა, — რა ღრმად არის დარწმუნებული თავის ბედნიერებაში და ის კი არ იცის, რომ დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება საშინელი

ამოცანის წინაშე დადგეს და ამქვეყნიურმა პროზამ ერთიანად მოუწამლოს სული და გული...

— დედა იცი რას გეტყვი, — უთხრა ბოლოს სოფომ, — ამ მხრიდან ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტში ხშირად შემოდის სხვადასხვა პარტიულ საქმეებზე ერთი შესანიშნავი ამხანაგი — ნესტორ ნაბადაძე, რომელიც გაგიჟებით მომწონს, როგორც საქმიანი და ჭკვიანი ადამიანი.

— ვინა? ნესტორ ნაბადაძე?! — გაკვირვებით შეეკითხა დედა.

— დიახ, ნესტორ ნაბადაძე, პარტიულ მუშაობას აწარმოებს აქ, ძველი რევოლუციონერია...

— ოო, ვიცნობ, ვიცნობ!... — ევამ ენა მოიკვნიტა.

— აბა, საიდან, დედა?

— ჩვენი სოფლელია, შვილო, ახალგაზრდობისას ვიცნობდი, — ევა დაიბნა და მეტის თქმა ვერ მოახერხა.

— მითხარი, დედა, მართლა ძველი მუშაკია? კარგი კაცია? მომზადებულია? დატუსაღებული ყოფილა. შენ ახლო იცნობ?

— ისე... შვილო, არც მაინცდამაინც ახლო ვიცნობ... უბრალო მუშაა, მოწინავედ მოაქვს თავი... ცოდნაც, რასაკვირველია, მუშის შესაფერი აქვს. ციხეშიც ბევრჯერ მჯდარა... დიდი ხანია, მისი არაფერი ვიცი...

— რამდენი ხანია, არ შეხვედრიხარ?

— არ მახსოვს, შვილო... იქნება ასე, ათი-თოთხმეტი წელი.

— დედიკო, მართლა... ლამის დამავიწყდა შენთვის მეთქვა, — უცებ შეიფრთხიალა სოფიომ და აღფრთოვანებით მიმართა, — კორდელი ჩამოდის... კორდელი, ჩემი საყვარელი მგოსანი...

— ვინ კორდელი?.. რომელი კორდელი?

ევას თავზარი დაეცა.

— დედა, თურმე გამოჩენილი რევოლუციონერი ყოფილა... პირველი რევოლუციის შემდეგ ციხეში მჯდარა... ის საუცხოო ლექსებიც ციხეში დაუწერია... სწორედ იქ, იქ უნდა დაეწერა მას ღვთაებრივი ცეცხლით გაჟღენთილი ლექსები!.. ამას მე ყოველთვის ვგრძნობდი და რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წინათგრძნობა გამართლდა! დედი, დედი რა ბედნიერი ვარ!..

გაქვავებული ევა მიჩერებოდა შვილს და მეხის გავარდნასავით მოელოდა საშინელი საიდუმლოს გამჟღავნებას.

— რუსეთში ყოფილა აქამდის, იქ უტანჯავთ ჯალათებს... ოო, რა ამბით უპირებს ჩვენი პარტია შეხვედრას! მეც უნდა მივიღო მონაწილეობა ამ ზეიმში, უსათუოდ უნდა წავიდე ქალაქში მის შესახვედრად, ის ჩემი სათაყვანო პოეტია...

ეტყობოდა, რომ სოფიკომ სხვა არაფერი იცოდა კორდელის — იგივე შალვა ღრუბელიანის შესახებ; როგორც კი ევა ამაში დარწმუნდა, ცოტა არ იყოს, დაწყნარდა.

მაგრამ მან მშვენიერად იცოდა, რომ ეს დაწყნარება დროებითი იყო, საშინელი ამბის ცოტათი წინგადანაცვლება და მეტი არაფერი.

„ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, — ფიქრობდა ევა, — შალვას მშობლები, შალვა, ნესტორ ნაბადაძე... ღმერთო ჩემო, რა საშინელი ამბის წინაშე ვდგავარ!"

უდარდელი და ბედნიერი სოფიო კი განაგრძობდა:

— მე ვერ წარმომიდგენია, ამ წუთს, კორდელზე უფრო ბედნიერი კაცი! განა შეიძლება მისი ბედნიერება ადამიანმა აღწეროს? იბრძოდა თავგანწირვით, ეწამა საყვარელი იდეისათვის, მთელი ათი წელიწადი გოლგოთაზე ჯვარი აჰქონდა, რწმენით, იმედით, აღფრთოვანებით და... და კიდეც მიაღწია თავის მიზანს... ამაზე მეტი ბედნიერება განა შესაძლებელია?... ოო, რამდენ ტანჯვას და სულიერ ჯოჯოხეთს გამოივლიდა ციხეში? დავიწყებული, მიტოვებული. შეიძლება მისი გულის ერთ-ერთ ხვეულშიღა ბჟუტავდა იმედის ციცინათელა, რომელსაც ყოველ წუთს ფრთების შეტრუსვას უპირებდა საშინელი სინამდვილე... ეგების იმედიც კი გადაეწურა და... უცებ ასე გაბედნიერდა... ოოხ, ნეტავი მას, დიდებულ მგოსანს, დიდებულ რევოლუციონერს! როდის იქნება, ვეღირსები მის ნახვას და თაყვანისცემას?!

8

ევამ გადაწყვიტა, ისე მოეწყო საქმე, რომ სოფიო ნესტორ ნაბადაძეს არ შეხვედროდა. სრულიად მოულოდნელად გამოუცხადა სოფიკოს, რომ რამდენიმე საათის შემდეგ შინ უნდა წავიდეთო.

მართლაც, საღამოზე დედა-შვილი სადგურზე იყვნენ და მატარებელს ელოდნენ.

ღამე იყო. სადგურის ვეებერთელა დარბაზი ცუდად იყო განათებული. რა ჯურის ხალხი არ იყო აქ!

ნამძინარევი და მთქნარებით ყბებატკივებული ჯარისკაცი, რომელიც ზარმაცად გულ-მკერდს იქექავდა და ყურადღებას არ აქცევდა იქვე ატუზულ ოფიცერს თუ გენერალს, სალამის აღება ხომ არ ნებავს ვაუბატონს? მიართმევენ!

აგერ ხურჯინიანი გლეხი. იქ სოფლის დედაკაცს კოკისოდენა ძუძუ ჩაუდევს ბავშვისათვის პირში და პატარაც ისე შედგომია რძის ნაკადულს, როგორც ღვინით გაბეჟუებული ლოთი მასრას. მხოლოდ ხანდახან შეაცმაცუნებს ბავშვი ტუჩებს და პაწაწინა ცხვირს ღონივრად ჩაფლავს რბილ ნაკვთებში...

აი, კარიც გაიღო და ბუნტყლიანი ტომრებითა და მოჭრიახე ქათმებით დაყურსული ებრაელიც შემოემატა აქაურობას... იგი თავისი ვეებერთელა ბარგი-ბარხანით პირდაპირ იმ დიდ მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც ზოგი დაციებულ და უშაქრო ჩაის მიირთმევდა, ზოგსაც იქვე ჩასძინებოდა. ბარგი მიალაგა და მოჭრიახე ქათმებს მიაწყვევლ-მიაკრულა. თანაც მარაოსავით გაშლილი წვერის ქექაში ხანდიხან ისე დააცქერდებოდა თითებს, რომ უთუოდ რაღაც ცხოველის დანახვას მოელოდა.

ბაქანისაკენ გასასვლელ კარში თოფიანი მილიციელი იდგა, მაგრამ წესრიგის დაცვაზე თავსაც არ იტკიებდა: უგულოდ შეჯუჯღურების შემდეგ ყველას ბაქანზე უშვებდა.

ირგვლივ უწესრიგობა იყო, ბუფეტში გამხმარი პურის ყუასაც ვერ იშოვიდით. ყვირილი, ხმაური, უსუფთაობა, მახორკის სუნი, უთავბოლო ფუსფუსი, დაუსრულებელი წრიალი...

მატარებელმა ორი საათი დაიგვიანა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს არ მოვა! მე თქვენ გეტყვით, გაიგებთ მოსამსახურეებისაგან რაიმეს! არავინ არ ზის თავის ადგილას: არც მორიგე, არც სადგურის უფროსი... სრული უწესრიგობა და უპატრონობაა. თუ ვინმეს წააწყდი და ჰკითხე მატარებლის შესახებ, უკმეხად გიპასუხებს და თავიდან მოგიშორებს... „ესეც თქვენი რევოლუციური წესრიგი! — ფიქრობს დამცინავი გამომეტყველებით ევა. — ვნახავ რაც მოჰყვება ყოველივე ამას! უტვინო ბრბო რომ ქვეყნის მეთაური გახდება, ყოველთვის ასეა... არც წესი, არც სისუფთავე! აირია ყოველივე, ძა-

ღლი პატრონს ვერ ცნობს... მალე გაიგებთ, რაც დღე დაგიდ-
გებათ! რჩეულთა და ჭკვიანთა წინამძღოლობის გარეშე არა-
ფერი არ გაკეთდება! ამ ბრბოს წინამძღოლი უნდა...“

ევა ფიქრში იყო გართული, რომ უცებ, თითქოს მძინარე ჩიტმა დაიფრთხიალაო, თავჩაქინდრული სოფიო ზეზე წამოიჭრა და ვიღაცას აღტაცებით შესძახა:

— გამარჯობათ, ამხანაგო ნესტორ, გამარჯობათ! რა სასიამოვნოა თქვენი ნახვა!..

თავზარდაცემული ევა ერთი შეტორტმანდა, ანგარიშმიუცემლად წამოიჭრა, უნდოდა რაღაც ეთქვა, ვიღაცისათვის ხელი წაეტანებია, მაგრამ გვიან იყო: სოფიო უკვე გამოეცნო ნესტორ ნაბადაძეს და ახლა ევას მხრივ მხოლოდ სიჩუმე იყო საჭირო — ეგების ამ გზით მაინც დაეღწია თავი ხიფათისათვის.

— საიდან მოხვედრილხართ აქ, რამ ჩამოგაგდოთ? — ეუბნებოდა ღიმილით სოფიოს ნესტორი, რომელიც ისე შეჰყურებდა ახალგაზრდა ქალს, როგორც მასწავლებელი შეგირდს. ევასათვის ნაცნობი იყო ეს პოზა და კილო, ეს დარიგებითი და სხვისი დამარწმუნებელი ელფერი ლაპარაკისა.

„შეხე, ისევ ის ძველი დიდაქტიკური კილო! სწორედ ასე მელაპარაკებოდა მე ეს ნესტორა ერთ დროს, სწორედ ასე ზევიდან დამყურებდა!.. თითქოს ის რაღაც განსაკუთრებული ადამიანი იყოს!..

ასე ფიქრობდა ევა, რომლის თვალწინ ელვის სისწრაფით გაიელვა ძველმა მოგონებებმა: შალვას შეხვედრამ, ნესტორის მათთან სიარულმა, შალვასთან მისმა გაქცევამ... მაგრამ ეს ლანდები მყისვე უფსკრულში შთაინთქა. რა დროს მოგონებები იყო, როდესაც ლამის ერთი ხელის მოქნევით გადაიშალოს ის ძველი, საიდუმლოდ დაკეცილი წიგნი...

— მე... მე... აქ დროებით ჩამოვედი... დედაჩემი იყო აქ და... ახლა ისევ მივდიეართ, ხვალ დილიდანვე კომიტეტში ვიქნები...

— დაისვენე, განა?..

— დედის ავადმყოფობა გავიგე... და იმიტომ, თორემ აბა... მე... მე... მე... რა დაღლილი ვარ, რომ დასვენება დამჭირვებო-

და? მე მინდოდა თქვენთან მოსვლა, მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ძალიან ვწუხვარ, რომ...

— აკი მნახეთ...

— არა აგრე კი არა, — მინდოდა მეყურებინა თქვენი მუშაობისათვის, თქვენი პარტიული საქმიანობისათვის... მე ხომ ამხანაგო ნესტორ... ჯერ არაფერი ვიცი. თქვენ შემოგყურებთ, უფროსებს შევცქერი და ისე ვსწავლობ ხალხის სამსახურს... თორემ... მე... თქვენ ჩემი მასწავლებელი ხართ...

— არა უშავს, კიდევ მოესწრებით მუშაობას, მთავარია, საქმის სიყვარული და თავდადება იყოს...

სოფიო ნესტორისათვის სრულიად უცნობი პიროვნება იყო. მართალია, დედის ქალაქში ყოფნის დროს ხშირად ხედავდა მას კომიტეტში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. განა სოფიოს გარდა ცოტა ახალგაზრდები მუშობდნენ იქ? დღეს რომ თვითონ სოფიოს არ ეცნო იგი, ალბათ, ყურადღებასაც არ მიაქცევდა, მაგრამ რაკი სოფიო თვითონ გამოეცნო, ნესტორმაც იცის, რომ ამ დროს შესაფერი ლაპარაკია საჭირო. მისთვის მუდამ უაღრეს ბედნიერებას შეადგენდა „ადამიანის კეთილ გზაზე დაყენება", ერთგვარი „ქადაგება" და როცა საშუალება მიეცემოდა, სიამოვნებით კისრულობდა მას.

სოფიო სულგანაბული უსმენდა და ყოველ მის სიტყვას ღრმად იმარხავდა გულში. თანაც ნესტორი ნელ-ნელა და თანდათან იზრდებოდა მის თვალში, შეუმჩნევლად იბურებოდა ბრწყინვალე შარავანდედში და რაღაც წმინდანის სახეს ღებულობდა.

სოფიო კი თითქოს უკან-უკან იხევდა და ერთიანად შორდებოდა ნესტორს.

„როგორ გავბედე და ასეთ ადამიანთან აგრე მეტიჩრულად მივედიო", — გაიფიქრა მან. მაგრამ ნესტორის მოქცევა და ლაპარაკის კილო იმდენად უბრალო, სადა და წრფელი იყო, რომ ნელინელ მხნეობა მოიკრიბა და როცა ნესტორმა დაასრულა, ღიმილით უთხრა:

— ბატონო ნესტორ... მმმ... თქვენ, თურმე, დედაჩემის ნაცნობი ყოფილხართ... დიახ, ბატონო... ახლავე... დედა! დედა!..

სოფიოს ბატონის მაგიერ ამხანაგო უნდოდა ეთქვა, მაგ-

რამ მას შემდეგ, რაც ნესტორი ასე დიდკაცად წარმოუდგა, ამ სიტყვის ხმარება ვერ გაბედა.

— დედა, დედა! აი ნესტორ ნაბადაძე, შენი ძველი ნაცნობი, — სწრაფად მივიდა დედასთან და თითქოს ძილში წასული დედა თითქმის ძალით წამოაყენა, გამოიყვანა ჩრდილიდან და ნესტორისაკენ წაიყვანა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ევამ უარის თქმა ვერ მოასწრო.

— უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა მკრთალად მბეუტავ სანთელთან მდგომი ნესტორი. — ვერ გიცანით... დაგბერდი, მეხსიერება...

ევა წელში გასწორდა, თავი მაღლა ასწია, მარჯვენა ხელით თავსაფარი გადაიწია და ამაყად უპასუხა:

— ევა...

— ევა?! თქვენ? ჩვენი ევა?.. უკაცრავად... ევა ბრძანდებით?

— დიახ, ევა, რომელსაც თქვენ ახლო იცნობდით ამ რამდენიმე წლის უკან. დიახ, ის ევა ვარ...

ნესტორი დაიბნა, სრულებით არ მოელოდა ამ ამბავს. ასეთნაირი დაბნევა და აზრებთან ერთად ენის არევაც არასოდეს არ მოსვლია მას.

რა არ უნახავს, რამდენი მკაცრი მმართველის თუ ჟანდარმის წინაშე არ წამდგარა, მაგრამ ამნაირად არასდროს არ დაფანტვია გონება. შეუგნებლად გაუწოდა ევას ხელი და იმანაც უგრძნობლად ჩამოართვა.

სოფიო საშინლად გააკვირვა ამ შეხვედრამ და დამფრთხალივით მისჩერებოდა მათ.

— და... ეს თქვენი ქალია? — შეეკითხა ცივად ნესტორი.

— დიახ, ჩემი ქალია...

— რაღაც ნაცნობ სახედ კი მეჩვენა... ვამბობდი, ვიღაც ჩემს ძველ ამხანაგს უნდა ჰგავდეს-თქო... დიახ...

— თქვენ არ შემცდარხართ, ბატონო ნესტორ...

— დიახ, მაგონდება ის დრო... ის... ადამიანები... დიახ, თქვენი ქალი ძალიან ჰგავს... დიახ... რა მინდოდა მეთქვა? ისა...

— მართალია, ძალიან ჰგავს, ბატონო ნესტორ, ძალიან!.. დაბრძანდით, ბატონო! სოფიო, მოართვი ბიძია ნესტორს სკამი!

სამივენი ხმის ამოუღებლივ დასხდნენ... კარგა ხანს დუმდნენ. სიჩუმე და უხერხულობა მეფობდა.

ნესტორი გამოქანდაკებულივით იჯდა, სინათლის სხივებს მოყვითალო ლეჩაქში გაეხვია მისი გამხდარი და დაფიქრებული სახე.

ათი წელიწადია, რაც იგი ევას არ ენახა. მაშინ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ნესტორი, დაუშრეტელი ენერგია ფეთქავდა მის ყოველ ნაკვთში, ენერგია, რომელიც სამოქმედოდ მიიწევდა, სამოძრაოდ მიილტვოდა. დღეს კი სულ სხვა იყო: მართალია, საერთო გამომეტყველება იგივე იყო, მაგრამ ევას წინაშე იდგა არა ახლად ფეხადგმული და ჯერ გამოუცდელი ადამიანი, არამედ უკვე გამობრძმედილი პიროვნება, გაკაჟებული ფერ-ხორცითა და ძარღვებად ქცეული კუნთებით. ასე გეგონებოდათ, ნესტორის სახეს არსად ხორცი არ აკრავს, მხოლოდ ტყავია ძვლებზე გადაჭიმულიო.

დანაოჭებული სახე, ძარღვად ქცეული კისერი, გაღრმავებული და ფიქრში წასული თვალები, მაგრად მოკუმული ტუჩები, რომელიც თითქოს დასაღრჭენად გამზადებულ კბილებს გადაკვრიან...

მაშინ, ათი წლის უკან, ნესტორი რაღაც უფრო რბილი პიროვნება იყო, ხათრიანი და სოფლური ალალმართლობით სავსე, დღეს კი მისი სახე, მიმოხედვა თუ მოძრაობა აშკარად ამტკიცებდა, რომ მას უაღრესად სწამდა თავისი თავი და საკუთარ ნებისყოფას არასოდეს არ მოსდრეკდა სხვის წინაშე. ის იყო მხოლოდ ნებისყოფა და განსაზღვრული იდეის მონა.

ევაზე ნესტორი არ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას, ამაყად ეჩვენა, ბედნიერად და მბრძანებლად.

არც ნესტორს მოსწონდა ევა, პირველ დანახვისთანავე იგრძნო, რა უფსკრული იყო მათ შორის.

ის, მშვენიერი ბანოვანი, შესანიშნავად მორთული და მოკაზმული, სხეულის განებივრებით მთვრალი და ამაყი; თხემით ტერფამდის პირადი, თავის სიყვარულით გაჟღენთილი არსება, რომელსაც ამქვეყნიური სიცოცხლე პირადი სიტკბოების ბაღად წარმოედგინა... თავაშვებულად დატრიალებდა ამ ბაღში და თავისი სურვილის მიხედვით ყოველივე მიუმსხვრევ-

მოუმსხვერევია, რათა თავის თავის სასიამოვნო ადგილი მოენახა.

ამან კი, ნესტორ ნაბადაძემ, ბევრი წამება გამოიარა, ევას დაშორდა; ტანჯვისა და გვემის მეტი სხეულს არა უნახავს რა, ცხოვრების სიმშვენიერე მისთვის არ არსებობდა. მისთვის მარტო ეკლები იყო, ვარდებს კი შორიდან უთვალთვალებდა. მისი სულის ქროლვამ ერთიანად იმსხვერპლა მისივე სხეული.

ეს ორი ადამიანი, ამ წუთს რომ მკრთალ სინათლეზე მიჩერებიან ერთმანეთს, ერთ დროს ერთ უღელში ებენ, ერთ ჭაპანს ეწეოდნენ... მაგრამ გავიდა დრო და აღმართში ერთად მიმავალნი დაღმართში სხვადასხვა გზით წავიდნენ, მაგრამ ეინ რითი მოვიდა აქამდე? ვინ რა შეიძინა, ვინ რა დაკარგა?..

ამ კითხვებით მიჩერებიან ისინი ერთმანეთს და არ იციან რით დაიწყონ მუსაიფი.

9

— სოფიკო, შვილო, — დაარღვია სიჩუმე ევამ, — კალათი მომიტა, ნესტორი დავპატიჟოთ!

— გმადლობთ, ქალბატონო ევა, ნუ შეწუხდებით!

— რისი შეწუხება, ბატონო ნესტორ, ვიცოდი, რომ სადგურზე ვერაფერს ვიშოვიდი და...

სოფიკომ უკვე შემოდგა მაგიდაზე კალათი.

— გახსენი, გეთაყვა, და ამოალაგე შენი ქადები...

— ახლავე, დედა, ახლავე...

— ეტყობა, არც ჩაი აქვთ ბუფეტში... ღმერთო ჩემო, რა უწესრიგობა და არეულობაა!... მიირთვით, ბატონო ნესტორ, მიხრთვით...

— გმადლობთ!.. იმედია, თქვენც მიირთმევთ, მარტო მე ხოქ...

სამივე შეუდგა ვახშამს. უხერხულ მდგომარეობას ბოლო ჰოეღო, მეტი თავისუფლება და ბუნებრიობა ჩამოვარდა.

— სხვა, ბატონო ნესტორ, როგორი აზრის ბრძანდებით დღევანდელი რევოლუციის შესახებ, როგორ ფიქრობთ — მოელის თუ არა მას რაიმე საფრთხე? — ჰკითხა ევამ.

— ამისი თქმა, ქალბატონო, არც ისე იოლია. იმ დროს, როდესაც ზღვაზე ქარიშხალი გრიალებს, ძნელი გამოსაცნო-

ბია — გადარჩება თუ არა გემი. ჩვენ არ ვიცით, რა სახეს მიიღებს მსოფლიო ომის შემდეგი განვითარება, არ ვიცით, ობოლი იქნება ჩვენი რევოლუცია თუ ამხანაგს მოიპოვებს იგი... დარწმუნებული ვართ, რომ მარტო არ დარჩება, ეს ომი მრავალ ტახტს დაამხობს. მაგრამ საქმე იმაშია, თუ როდის მოხდება ეს: თუ დროზე მოგვისწრო, ერთი სურათი იქნება, თუ დაიგვიანა — სულ სხვა.

— თქვენი აზრით, საშიშროება საგარეო გართულებით არის მოსალოდნელი და არა საშინაოთი! მე ასე გავიგე თქვენი აზრი.

— თქვენ მართალი ხართ: ეროვნულ რევოლუციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მდგომარეობას. რამ დაღუპა ოსმალეთისა და სპარსეთის უკანასკნელი პერიოდის რევოლუციები, თუ არა საერთაშორისო რეაქციამ? ასეთივე ბედი მოგველის ჩვენც, თუ ამხანაგი დროზე ვერ ვიშოვეთ. რაც შეეხება შინაგან ძალებს, შეუძლებელია. რომ ძველის აღდგენა მოხერხდეს. ისიც აუარებელი ჯარისკაცი, რომელიც ასე დატანჯა საშინელმა ომმა, არა მგონია, რომ ისევ უღელში შეჰყოფს თავს... უამრავი ჯარის დემობილიზაციის პროცესი ისე მწვავე იქნება, რომ ძველი რეჟიმის არა დარჩება რა...

— მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო რეაქციის მოქმედება ისე ჩქარი და გაბედული ვერ იქნება, როგორც ეს სხვაგან ყოფილა. რუსეთის ტერიტორიული მდგომარეობა ისეთია, რომ...

— დიახ, დიახ, ეს გარემოება, ალბათ, დიდ როლს ითამაშებს ჩვენს რევოლუციაში. ნაპოლეონი სწორედ თვალუწვდენელმა რუსეთის მიწა-წყალმა დაამარცხა, შეიძლება ახლაც ასე იქნეს, მაგრამ ეს მაინც დროებითი იქნება: თუ ტერიტორიის მიუწვდომლობით ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ, ეკონომიურად მაინც ამოგვახრჩობენ: ნაპოლეონის დროს კარჩაკეტილი ეკონომიკა — ფეოდალიზმი იყო; დღეს კი კაპიტალიზმის ბრჭყალები მთელი მსოფლიოს სხეულშია გაყრილი, ერთ ეკონომიურ სტრუქტურაში ერთნაირად ვითარდება რევოლუცია, მეორეში — მეორენაირად.

ევამ კიდევ მისცა ნესტორს რამდენიმე შეკითხვა, ისიც თავაზიანად აძლევდა პასუხს, თუმც ყველაფრიდან ეტყობოდა,

რომ მისთვის მაინცადამაინც არ იყო სასიამოვნო ამ საკითხებზე შეჩერება: მას სულ სხვა გრძნობები აუშალა ამ მოულოდნელმა შეხვედრამ, აუარებელი მოგონებები აღუძრა, მოგონებანი ტკბილი, მწარე, გულის დამსერი და სიტკბოების მომგვრელი...

ნესტორას სწადდა ამ ძველი რვეულის გადაფურცვლა და ძველ მოგონებასთან ერთად მისი კითხვაც... აკი ამ რვეულში ევას ხელითაც მრავალი სტრიქონი ჩაწერილა!

მაგრამ... მაგრამ... ამ საბედისწერო წიგნის ხმამაღლა კითხვა შეუძლებელი იყო. თანაც ამჩნევდა, რომ ევა განგებ იმის ცდაში იყო, ნესტორს უკან არ მოეხედნა და ამიტომაც, თანამედროვე მომენტის გარშემო იჭერდა მის ყურადღებას...

მატარებელმა კარგა ხნით დაიგვიანა, სადგურის დარბაზი ხალხით აივსო; საშინელი ბუღი, ცხელი ჰაერი და ყრუ გუგუნი იყო. მთელი დარბაზი ბარგი-ბარხანით გაიჭედა, სინათლე აგერ-ეგერ ბუუტავდა.

— სხვა, პირადად თქვენ როგორ მოეწყვეთ, ქალბატონო ევა, როგორ გაატარეთ ეს წლები? — შეეკითხა ნესტორი.

— ეხ, ჩემი ცხოვრება რა საკითხავია!.. ვისთვის რა საინტერესოა?.. — ევა ოსტატურად გაექცა სრულ პასუხს და განაგრძო: — საინტერესო თქვენი და თქვენისთანების ცხოვრებაა... გამიგონია, რომ მრავალი უბედურება გამოიარეთ... ციხე, ციმბირი... დევნა, მიამბეთ რაიმე პირადად თქვენი ცხოვრების შესახებ.

— რა უნდა გიამბოთ, ქალბატონო ევა? ჩემი ამბავი თქვენთვის შეიძლება არასაინტერესო და მომაბეზრებელიც იქნეს... ციხე, ციმბირი, დევნა. თქვენ მიერ ნათქვამი ეს სამი სიტყვა ყოველივეს ამოწურავს... გარეგნულად ეს იყო და ეს... ხოლო რაც სულში განვიცადე, ამას...

— სწორედ ეს არის, ბატონო, საინტერესო ჩემთვის. რას გრძნობდით თქვენ ამ დროს და როგორი სულიერი განწყობილებით მიდიოდით ცხოვრების გზაზე!.. გულმტკიცედ იყავით, თუ ყოყმანობდით; მოგბეზრდათ არჩეული საქმის...

— მობეზრება?.. განა შეიძლება ცოცხალ ადამიანს მობეზრდეს საკუთარი საქმე?

— როგორ თუ საკუთარი?

— აი ისეთი, რომელიც პირადად მას შეეხება, პირადი მისი სიცოცხლის და არსებობის დედაძარღვია... თუ სიცოცხლე უნდა, კიდეც უნდა ემსახუროს მას, თუ არა და უკვალოდ უნდა გაჰქრეს ცხოვრების ასპარეზიდან.

— მესმის თქვენი ნათქვამი, მაგრამ ის საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, განა პირადად თქვენ შეგეხებოდათ? განა თქვენ პირადი ბედნიერებისათვის იბრძოდით? მე მგონია, ეგ აგრე არ არის.

— პირადი ჩემი ცხოვრება და ის მისწრაფება, რომელსაც ვემსახურებოდი, ისეა ერთიმეორეში ჩაგრეხილი, რომ მათი განცალკევება ყოველად შეუძლებელია. ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება წარმოუდგენელია ამ წრის გარეშე: მისი სულისთქმა ჩემი სულისთქმაცაა. მისი გულის ფეთქვა — საკუთარი ჩემი სულის ფეთქვაც არის... ამიტომ მოგახსენებთ, რომ ეს საქმე ჩემი საკუთარი საქმეც არის-მეთქი...

— ასეთი სულიერი განწყობილება პირადად ჩემთვის, ბატონო ნესტორ, წარმოუდგენელია... როგორ შეიძლება პიროვნებამ დაიკარგოს თავისი თავი და მასის განუყრელ ნაწილად აღიაროს იგი?.. უარყოს საკუთარი „მე", ხელი აიღოს საკუთარ აზრზე, პირად გრძნობაზე და ბრბოში გაითქვიფოს!..

ნესტორი კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული, ეტყობოდა, რომ აზრის გამოსათქმელად სიტყვას ეძებდა.

— ასეთი მომენტი თქვენს ცხოვრებაშიც ყოფილა; მოიგონეთ, ქალბატონო, წლები, როცა მე, თქვენ და... კიდევ სხვები ერთ საქმეს ვემსახურებოდით, — უთხრა ბოლოს ევას.

— ეს იყო ჩემი მხრივ უნიადაგო ახალგაზრდული გატაცება და სწორი გზიდან დროებითი გადახვევა.

სხვა დროს და სხვა პირობებში ნესტორი ამ სიტყვებზე მკვახე პასუხს გასცემდა: ეტყოდა, რომ რევოლუციით გატაცება ევას მხრივ, მართლაც, უნიადაგო ოცნება იყო, როგორც სხვა წრის ქალისათვის. ეს ოღონდაც რომ სწორი გზიდან შუკაში დროებითი შეხვევა იყო სეირის საყურებლად. ხოლო მისთვის კი — ნესტორისათვის, რომელიც მშობლების ხორცთაგანია, ეს პირდაპირ საკუთარი საქმე იყო, ამიტომაც ის ბოლომდე შერჩა ერთხელ არჩეულ მიმართულებას. დიახ,

ასე ეტყოდა სხვა დროს ევას, მაგრამ ახლა ამისი თქმა შეუძ-ლებლად მიაჩნდა.

— რას იზამთ, ქალბატონო, სხვადასხვა მდგომარეობის გა-მო ადამიანები ცხოვრებაში სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ხოლმე, — თქვა მან ბოლოს.

— მაშ, მდგომარეობაა ყველაფერი და არა ადამიანის თა-ვისუფალი აზრი?

— დიახ, მდგომარეობა.

— ვერასოდეს მაგ აზრში ვერ დაგეთანხმებით, საზოგა-დოდ, უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ რევოლუციურ აფეთქებებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს საზოგადოებისა-თვის. იმ ტიპის რევოლუციები, რომელნიც დღემდე მომხდა-რა, მხოლოდ აუარესებს ცხოვრებას და სხვა არაფერი, — თქვა სიჩუმის შემდეგ ევამ.

— კარგად ვერ გამიგია, რისი თქმა გსურთ.

— მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოებრივი �b-ცხელება, რომელიც სრულიად მოულოდნელად, თუ გნებავთ მოლოდინითაც, ერის ერთ ჯგუფს შეეყრება ხოლმე, ხალხის მდგომარეობას აუარესებს, თორემ არ აუმჯობესებს. რევო-ლუციები დღემდის მიმდინარეობს ერთგვარ პრიმიტიულ პი-რობებში: სისხლი, ხოცვა-ჟლეტა, თოფების გრიალი, აღვირ-ახსნილი ინსტინქტი და მეტი არაფერი. ასე იყო დასაბამიდან და ასევეა დღესაც. აიღეთ მონური ქვეყნები: ბაბილონი, ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი... მოიგონეთ ინგლისელები თავი-ანთი კრომველით და ფრანგები რობესპიერით... ყველგან ერთ-ნაირი ფორმა, ერთნაირი ჯახაჯუხი... და ბოლოს მხოლოდ სისხლთა მორევი... ადამიანები კი ისევ ისეთები არიან, რო-გორიც იყვნენ: გაუტანელნი, ერთმანეთისათვის მგლები და ნი-ღაბიანი მხეცები.

— მაგალითად, თქვენ რა ფორმას დაასახელებთ?

— ზრუნვა ადამიანის შინაგან გარდაქმნაზე და მის სული-ერ გამშვენიერებაზე, რასაც შემდეგ საზოგადოებრივი ცვლი-ლება ერთობ იოლად მოჰყვებოდა, ხოლო გარეშე პირობების შეცვლით კი ადამიანი არასოდეს არ გამოიცვლება, თქვენი აზრი მცდარია.

— თქვენი შეხედულება, ქალბატონო ევა, არც ისე ახალი უნდა იყოს...

— ამის პრეტენზია არ მქონია. მინდა მხოლოდ ძველთაგან თქმული ბრძნული აზრები არსებულ სინამდვილეს შეეუფარდო. ღრმად მწამს, რომ ცხოვრებაში ახლაც მოიპოვებიან საუკეთესო ადამიანები, სხვებზე კეთილშობილნი, სხვებზე მაღალნი. აი, ესენი უნდა შეადგენდნენ დანარჩენთათვის ერთგვარ იდეალს, — განაგრძო ევამ.

— საქმე, ქალბატონო, მარტო ადამიანის შეგნებაში როდია. თავი და თავი ის ობიექტური პირობებია, რომელშიც ადამიანი ტრიალებს და რომელნიც მასში ქმნიან ერთგვარ შეგნებას. ადამიანს შეგნებულიც რომ არ ჰქონდეს რაიმე მიზნისაკენ მისწრაფება, გარეშე პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ მაინც იქითკენ მიაქანებდეს მას. აი, მაშინ გადაებმის პირადი და საზოგადოებრივი ერთმანეთს, ასეთ პირობებშია რომ ძნელი ხდება ამ ორი რამის ერთმანეთისაგან გამორჩევა.

— თქვენ ისევ თქვენსას იმეორებთ: მდგომარეობა ქმნის შეგნებას. მისი საფუძველი ის არის, რომ თითქმის ადამიანის აზრი და ნებისყოფა სრული მონა-მორჩილია უსულგულო ნივთისა. თქვენ გინდათ თქვათ, რომ რომელიმე გუთანი, ან მანქანა უკარნახებს ხოლმე ადამიანის ამა თუ იმ აზრს და მოქმედებას... არა, მე ამ აზრს ვერასოდეს ვერ მივიღებ. მე მწამს ადამიანის სულის შემოქმედება, მწამს მისი დამოკიდებულება და ეს თქვენი ფეტიშიზმი, ეს ახალი კერპთაყვანისმცემლობაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია... მე მწამს, რომ ქვეყნად არსებობს ადამიანის ისეთი ტიპი, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია პირადი „მე“ დაივიწყოს და მშვენიერი უბრწყინვალესი მწვერვალებამდის მისწრაფება... და მე არ შემიძლია იმ ადამიანის დამცირება და მისი შარავანდედის ტალახში ამოსვრა... ისინი კი, ვინც ჩემი თვალსაზრისით წინააღმდეგნი არიან, ადამიანის პიროვნებას ამცირებენ, არა სწამთ მისი შემოქმედება; მისი აზრისა და გრძნობის სიწმინდე და არც ცდილობენ მის ამაღლებას... უსულო საგნების გაღმერთებით ისინი საშინლად პირუტყვულ მდგომარეობაში უპირებენ ადამიანს ჩაფვლას... დიახ... მე მწამს ადამიანი — მეფე და შემოქმედი, ბატონი და მოკარნახე, მბრძანებელი და წინამძღოლი... და ვერასოდეს ვერ შეეურიგდები სხვა აზრს.

ევას ლაპარაკი გულწრფელი იყო, ყოველი მისი ბგერა,

ყოველი სიტყვა გულის სიღრმიდან ამონაგლეჯი. ეს იყო მწვავედ გადანაფიქრი და ათასჯერ ნაგრძნობი. ჯერ არავის წინაშე არ ამოუნთხევია თავისი გულისნადები და რაკი საშუალება მიეცა, რასაკვირველია, ყოველივე უნდა წარმოითქვას.

მით უმეტეს, ნესტორ ნაბადაძის წინაშე, რომელთანაც ამდენი საერთო ჰქონდა ერთ დროს და რომლის წინაშე ერთგვარად თავიც უნდა ემართლებინა.

-- ქალბატონო ევა, — დაიწყო თავდაჭერილად ნესტორმა, — ვის შეუძლია თქვას, რომ ის რევოლუციონერი, რომელსაც ყოველივე პირადი უარუყვია და სხვათათვის თავდადებულს ვაჟკაცურად უზიდავს წამების ჯვარი, — ვინ იტყვის, ვიმეორებ, ამ ადამიანის შესახებ, რომ მასში არ ჩქეფს მშვენიერი სული, შემოქმედი? ასეთებს შევხვედრივარ დღევანდელი საზოგადოების ნაწილში, სწორედ იმ ნაწილში, რომელიც ისე აზროვნებს, როგორც მე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს თეალსაზრისი სრულებით არ უშლის მათ ხელს, იყვნენ მშვენიერნი და თავგამოდებულნი მებრძოლნი, სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებზედაც თქვენ ლაპარაკობდით.

— ოო, რა ცალმხრივობაა, რა ცალმხრივობაა! — ამბობდა ევა.

— დამეთანხმებით, რომ თავგანწირული მებრძოლები ბარიკადის იქეთა მხარეზედაც ბლომად არიან, — ამბობდა ნესტორი, — ისინიც გააფთრებით იბრძვიან, მათაც სწამთ თავიანთი საქმის სიწმინდე. არ ვიცი, ამ მებრძოლთაგანს თქვენ რომელს მიანიჭებთ უპირატესობას, ხოლო მე თუ მკითხავთ, ჩემი პასუხი აშკარაა — იმას, ვინც ახალი ცხოვრებისათვის იბრძვის, ვინც განახლების მოციქულია... აშკარაა, რომ ყველასათვის ერთი ჭეშმარიტება ქვეყნად არ არსებობს. ვფიქრობ, რომ კაცობრიობა სწორედ ყველასათვის ერთი ჭეშმარიტების შესაქმნელად მიისწრაფის წინ, იგი თავის ისტორიის გზაზე სწორედ ამ ჭეშმარიტებას ეძიებს. მისი სული ამ ძიებით არის დაავადმყოფებული... ეს ძიების გზაც ხშირად ნარ-ეკლიანია და ყოველთვის მშვიდობიანად არ მიმდინარეობს. კაცობრიობა აზრის მუშაობით მარტო არ განვითარებულა, აზრთან ერთად ხმალიც ელავდა, იგი აზრის ხერხემალი და გზის გამკაფავია. ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის ჭეშმარიტება მეორეს

არ სწამს, მაშასადამე, ერთი აზრის მეორე ჯგუფის აზრთან დაპირისპირება ერთგვარ ავადმყოფურ ტანჯვას ქმნის, ავადმყოფური სხეული კი ნესტარდაუკვრელად არ განიკურნება... — ეს არის რევოლუცია, რომელიც მუდამ ერთი ფორმით მიმდინარეობს: ხმალი და სისხლი, ტყვია... ძველისა და ახლის ჭიდილში საბოლოოდ მაინც ახალი იმარჯვებს, ბატონდება ერთი აზრი, ერთი ჭეშმარიტება, რითაც ქაოსბრიობა უახლოვდება მის მიერ დასახულ იდეალს. თქვენ არ მოგწონთ ეს რევოლუცია, მაგრამ რას ვიზამთ, მისი ფორმა სამარადისოა, მშობიარობის პროცესის შეცვლა არავის შეუძლია, ის დასაბამიდან ერთი ყოფილა, უსათუოდ მტკივნეული...

10

ევასა და ნესტორის შეხვედრა ჩვეულებრივად დასრულდა. მართალია, სოფიკო ხშირად გაკვირვებული უსმენდა მათ ლაპარაკს, მაგრამ ფარდა მაინც არ ახდილა და მას არ დაუნახავს ის, რისი გამეღავნებაც ევასათვის ასე მძიმე იყო.

— აა, მობრძანდით? მადლობა ღმერთს! — მიეგება რეზო ევას.

— მადლობა უფალს, რომ კარგად დამახვედრა შენი თავი!

რეზოს ირონია მოესმა ამ სიტყვებში.

— აქ მშვიდობაა... სრული სიწყნარეა...

— ეგ სულ ერთია ჩემთვის, სიწყნარეს თუ შფოთს პირადად მე ვატარებ და სხვას არ შეუძლია შემიქმნას იგი გარედან!

— მე ხომ მაგის საწინააღმდეგო არაფერი მითქვია!

— კმარა, რეზო!

„საზიზღლაროო“ — უნდოდა დაემატებია, მაგრამ თავი შეიმაგრა.

„ოო, რა გამოყეყეჩებული ადამიანია, — ფიქრობდა ევა, — ყოველ წუთს სულის ამომხრჩობ ბადეში ვიხლართები და ეს... ეს... ოოხ, ღმერთო ჩემო!.. ნუთუ მომეჭრება გზები? ნუთუ მოახლოვდება ჩემი ჭიდილის უკანასკნელი ჟამი?.. ნუთუ თავს უნდა დამენგრეს ბედნიერების კოშკი, რომელიც ამდენი წვალებით აღვიგე?“

უკვე მეოთხე თვე იყო, რაც რევოლუცია მოხდა. ვინ იცის რამდენი ახალი და ჯერ კიდევ სრულიად გაუგონარი ამბავი მოედო ქვეყანას. ტყვე მეფე, კერენსკი... რესპუბლიკა... რევოლუცია გერმანიაში, პეტერბურგის მუშათა საბჭო, ჩხეიძე, დამფუძნებელი კრება, ლენინის ჩამოსვლა... ტროცკი და წერეთელი...

პირველ ხანებში მთელი ხალხი ფრონტისაკენ იხედებოდა, ჯერ კიდევ ბრძოლის ამბებით იყვნენ გატაცებულნი და დაყრუებულნი. როცა გაიგეს, მეფის ტახტი დაემხოო, ბევრს ასე ეგონა, რომ ეს მოახდინეს ომის საქმეების უკეთ წასაყვანად და წაღმა წასამართავადო.

— ახლა კი გავიმარჯვეთ, აწი არაფერი უჭირს ჩვენს ჯარს! — აღტაცებით ამბობდა ზოგიერთი.

— დღეიდან ხომ მოვიშორებთ მოღალატეებს!.. აწი მაინც ხომ პატიოსანი კაცები ჩადგებიან სათავეში და გამცემლობას ადგილი არ ექნება!

ეს აზრი ბატონობდა ზედა ფენაში, მის გავრცელებას და განმტკიცებას ხელს უწყობდა აუარებელი ჟურნალ-გაზეთები. თვითეული წერილი, ყოველი სტრიქონი უსაზღვრო პატრიოტიზმით იყო გაჟღენთილი და მხოლოდ და მხოლოდ ომის უკეთეს წაყვანაზე ჩასჩიჩინებდა მკითხველს.

ხოლო ხალხის დაბალი ნაწილი, რომლის შვილები და ძმები სისხლით იცლებოდნენ, სრულებით არ იყვნენ ომის გაგრძელების გუნებაზე და პირველი მათი ამოძახილი იყო:

— მალე დაგვიბრუნდებიან თუ არა ჩვენი მარჩენალებიო?

ეს ხმა ყრუ და გაურკვეველი იყო, გარკვევით მისი წარმოთქმა ვერავის გაებედა, საერთო აღტკინება ერთიანად აყრუებდა მას, მაგრამ იმავე დროს აშკარა იყო, რომ ეს დახშული გუგუნი მთელ იმპერიას არყევდა.

— რა ეშმაკად მინდა ეს ომი? რა შემძინა, რა შემმატა?

— შემმატა კი არა, დამავსო და ამომაგდო! მარჩენალი შვილი, ვინ იცის, სადა მყავს!.. არც ის ვიცი — მომივა ცოცხალი თუ არა?..

— ომის გაგრძელება მას უნდა, ვისაც სარგებლობა აქვს მისგან... ჯიბეებს ისქელებს და ქონებას ხვეტავს... მაგათ თავიც მოხერხებულად დაიხსნეს ჯარისაგან. ფულის წყალო-

ბით ზოგი ჯარის ზურგშია მოკალათებული, ზოგი შინაა და ზოგი სად.

— ჩემმა შვილმა იკითხოს, ტყვიას რომ თავი შეაკლა, თვარა ცოცხალს რა უჭირს!.. ცოცხალ ადამიანს ყოველთვის ეშველება... მკვდარს არაფერი ეშველება თორემ... ოო, შვილო, რა უიღბლო ყოფილხარ! ნეტავ მოსწრებოდი ამ დღეს!

დაუსრულებლივ გაისმოდა ასეთი სიტყვები გლეხებსა და მუშებში.

მაგრამ თანდათან პრესაცა და ერის მაღალი ფენებიც იძულებული გახდნენ სალაპარაკო და სააგიტაციო თემა შეეცვალათ.

ფრონტი და მისი ინტერესები შეუმჩნეველად იჩქმალებოდა, პირველ ადგილზე დგებოდა საშინაო საკითხები.

— პეტროგრადის მუშათა საბჭომ მისწერა გერმანიის მუშებს: თქვენაც ჩვენსავით ჩამოაგდეთ თქვენი ხელმწიფე და მერე რა გვექნება საომარიო.

— რასაკვირველია, მუშებს რა აქვთ ერთმანეთში სადავო? ეს ომი სულ ბურჟუების, მეფეების გავლენაა.

— იცოცხლეთ, ვილჰელმიც გადმოაყირაონ ნიკოლოზივით!.. მერე ინგლისის და საფრანგეთის მეფეებსაც მოეგრიხებათ კისერი... მაშ!.. მუშამ თუ გაიღვიძა?!

ბევრი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის მუშები პეტერბურგის საბჭოს მიწერილობისთანავე გადმოაგდებდნენ მეფეს და სისხლის ღვრასაც ბოლო მოეღება. ეს საქმე ერთობ იოლი და ხელის წამოსაკრავ რაიმედ მიაჩნდა. ჩვენ თუ ერთი სულის შებერვით გადმოვაყუნცულეთ ნიკოლოზი, იმათ რა ღმერთი გაუწყრებათო?

ხალხი ისე აღტაცებული და აღფრთოვანებული იყო მოულოდნელი ბედნიერებით, რომ ყოველივე უნიადაგო ამბავს იჯერებდა და ბავშვივით აღტკინებულს ასე ეგონა, მარტო იერიქონის საყვირის ამღერებითაც კი დაამხობდა ციხე-სიმაგრეებს.

არაფერი არ მიაჩნდათ შეუძლებლად, წარმოდგენაც კი დაკარგა რაიმე დაბრკოლებაზე... ყველა თავდავიწყებული შესცინოდა ცა და ქვეყანას და მთელ მსოფლიოს თავის სურვილისა და მოფიქრების თანახმად უპირებდა მოწყობას.

— დღეს საზიზღარი მთავრობა დამხობილია, ვაჭრებს მფარველი არა ჰყავთ, გამოიტანენ საქონელს, აბა, რას იზამენ? თუ არ გამოიტანეს, იცოცხლეთ, ჩვენ იმათ დღე დავაყენოთ!.. წავიდა მათი მეფობის დრო! დღეს ხალხია თავისი ბატონი. ხალხი!.. დედას ვუტირებთ ყველას!...

— მთავრობაც ისეთია, როგორსაც ხალხი ეტრფოდა და ამდენი ხანი ელოდა. ყოვლად პატიოსანი პირები, სანდო, სათაყვანო. ისეთ დღეს დააყენებენ ჩარჩ ვაჭრებსა და ბურჟუებს, ისეთ დღეს გაუთენებენ, რომ დაბადების საათს დააწყევლინებენ! მაშ!...

-- ახალ მთავრობაზე საყვედურის თქმა როგორ შეიძლება! ვის მოუბრუნდება საამისოდ უნა? განა იმიტომ ჩამოაგდეს ნიკოლოზი, რომ ნიკოლოზობა თვითონ დაიწყონ?

— არა, ეს შეუძლებელია, ეს დაუშვებელია!

— ახალი მთავრობა უმწიკვლო მთავრობაა, ის მთელი თავისი გატაცებით ხალხის საკეთილდღეოდ იღწვის, რა ეუყოთ, რომ ერთი ხელის დაკვრით ყოველივე ბოროტება ვერ მოსპო? კიდევ ცოტა და იგი ერთიანად გასწმენდს ნიკოლოზის მომხრეებისაგან სახელმწიფოს, გამოსცემს ახალ კანონებს, შემოიღებს საქონელზე ნიხრს და ყველაფერი წესიერად წავა. აჩქარებით, აბა, რა გაკეთდება?

რომ გეკითხათ, რაზე ამყარებენ ისინი ამ რწმენას, გარკვეულად ვერას გეტყოდნენ, გაიკვირვებდნენ კიდეც — ასეთ კითხვას როგორ გვაძლევ, ნუთუ არ იცი, რომ რაკი თავისუფლება მოვიპოვეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ისინი იყვნენ უაღრესად გულკეთილნი, გულკეთილობას თესავდნენ ირგვლივ და ღრმად სწამდათ, რომ ეს გრძნობა მთელ ქვეყანას გააბედნიერებდა.

11

და აი, საერთო იმედიანობისა და აღტაცების ხანაში ახალი ცხოვრების ახალი მეთაურნი აშკარად ხედავდნენ, რომ ხალხის გასაჭირი ვერ შეამსუბუქეს...

დაიწყო საშინელი ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა იმედიანი და გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული.

ვის შეუძლია წინ აღუდგეს რევოლუციას? მან მონობა დაამსხვრია და სიძვირეს ვერ დასძლევს?

12

ახალი მთავრობა ანუ აღმასრულებელი კომიტეტი პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. სახალხო არჩევნების უცებ მოწყობა შეუძლებელი იყო. პარტიების წარმომადგენლებმა დროებით ასეთი გზა აირჩიეს: ძველი მთავრობის ნაშთი პოლიტიკურმა პარტიებმა პროპორციულად გაინაწილეს.

სუსტი და ძლიერი! ამ სიტყვების თქმას მაშინ გამბედაობა უნდოდა. კარგი კაცი იყავი მეორე პარტიას შებედავდი: შენ სუსტი ხარ და მე ძლიერიო. ისეთ დღეს დააყენებდა, რომ კუდით ქვას ასროლინებდა.

— როგორ თუ სუსტი ვარ! რას ჩმახავთ, ვინ მოგახსენათ? სუსტი და უძლური თქვენა ხართ, ჩემ პარტიაზე ძლიერი და ხალხის ნდობით აღჭურვილი მეორე არ არის!.. აი, მოხდეს თავისუფალი არჩევნები და გაჩვენებთ თქვენ სეირს!

მოწინააღმდეგე, რასაკვირველია, ასე იოლად არ ჩაჩუმდებოდა და გაიმართებოდა დაუსრულებელი კამათი, რომელიც შეზავებული იყო ტრაბახით, ძველი ცოდვების მოგონებით, ხალხის რისხვის მუქარით და ვინ იცის, კიდევ რა მაგარ-მაგარი სიტყვებით! უდიდესად ავტორიტეტული და შეუბღალავი სიწმინდის მატარებელი იყო ამ დროს ხალხი და მისი წმინდანების გამომჟღავნება, რაც მომავალ არჩევნებში უნდა გამოაშკარავებულიყო; ამიტომ ყველა მოწიწებითა და გულის ფანცქალით მოელოდა ამ დროს.

— კენჭი გაგვასწორებს, კენჭი!

ახალი მთავრობა პირველ ხანებში შედარებით ზომიერი ელემენტებისაგან შედგებოდა და მისი ნაბიჯიც ერთობ მკრთალ და ზომიერების ფარგლებში იყო მომწყვდეული.

მაგრამ ახალი საშინაო საკითხების წამოჭრის გამო მთავრობა იძულებული იყო ნელ-ნელა დაშორებოდა ძველ კალაპოტს და თანდათან მემარცხენეობის გზაზე იყო დამდგარი. საჭირო ხდებოდა ცხოვრების კალაპოტის გასაძღოლად ახალი

გზებისა და მეთოდების ძიება, სინამდვილის მუჯლუგუნები მძლავრად მიაქანებდნენ მას ამ გზაზე.

პოლიტიკური ბრძოლაც თანდათან მწვავდებოდა, პარტიული ენაც სწრაფად მახვილდებოდა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ ხნის განმავლობაში უკვე მრავალი რევოლუციონერი დაუბრუნდა ჩვენს ქვეყანას. ზოგი ციხეებიდან, ზოგი ციმბირიდან და ზოგიც საზღვარგარეთიდან. საყოველთაო პოლიტიკურმა ამნისტიამ მრავალ ტანჯულ და წამებულ მებრძოლს მიანიჭა თავისუფალი ცხოვრება და სამშობლოს კერას დაუბრუნა.

დაცარიელდა ნარიმის მხარე, ირკუტსკის მიდამოები, არხანგელსკის ტუნდრები და ასტრახანის ყვითელი სილიანი ველები...

ვინ იცის, რამდენი სამუდამოდ გადავიწყებული დაუბრუნდა სამშობლოს! მშობლებისაგან მკვდრად მიჩნეულნი, ცოლშვილისა და ნათესავებისაგან დავიწყებულნი!

ვინ იცის, რამდენი განგმირული გული გამრთელდა და რამდენს მოშხამული არსებობა სიტკბოებად შეეცვალა!

დაბრუნდნენ ძველი მებრძოლები გულგაკაჟებულნი, ბრძოლაში ნაწრთობები, უსამართლოებისადმი სიძულვილით გაჟღენთილნი, ცეცხლის ალში გამობრძმედილნი.

მათი ნებისყოფა მტკიცეა, რწმენა ფანატიკურია, მისწრაფება უტეხი, შეუდრეკელი. მედგრად გაჰყურებენ ახალ ცხოვრებას.

— წინ, წინ! — გრგვინვად გაისმის მათი მოწოდება.

ხშირი იყო მათ შორის ისეთები, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს დიდ რევოლუციურ დავალებებს ასრულებდნენ: არალეგალური მუშაობის ტექნიკური მხარე, ტერორი, საიდუმლო მინდობილებათა შესრულება...

დღეს კი მათი მუშაობა გამოუსადეგარი იყო: უბრალო ასოთამწყობი, რომელიც არალეგალური ლიტერატურის აწყობით და დაბეჭდვით უდიდეს საქმიანობას ასრულებდა — რისთვისაც კატორღით ან ციხით დაისაჯა — დღეს, თავისუფლების მოპოვების შემდეგ, ისევ უბრალო ასოთამწყობად უნდა დარჩეს, მისი მთელი დღევანდელი საქმიანობა უწინდელივით როდი არის შარავანდედით მოცული.

მერედა შეურიგდება ამას ძველი რევოლუციონერის გული?

იმ დროს არალეგალური ლიტერატურის გადამტან-გამავრცელებელიც კი უდიდესად საჭირო პირი იყო: მის ერთგულებაზე და თავგანწირულებაზე ხშირად მთელი პარტიის მუშაობის ბედი ეკიდა; თუ მთავრობას ხელში ჩაუვარდებოდა, სასჯელიც დიდი მოელოდა, მაგრამ დღეს იგი უბრალოზე უბრალო წევრი შეიქნა პარტიისათვის, მისი ხელობა და ძველებური უნარი ახლა საჭირო არაა.

ბევრი, რასაკვირველია, რომელიც უფრო გონებაფხიზელნი, განვითარებულნი, მომზადებულნი იყვნენ, მყისვე გაერკვნენ ახალ პირობებში და თავდავიწყებულნი მუშაობდნენ. მათი მოსაზრება და გარკვეულობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ისინი უაღრესად გამოცდილნი ყოფილიყვნენ მართვა-გამგეობის საქმეში და ცხოვრების წინამძღოლობაში. ისინი სამშობლოში დაბრუნებისთანავე ბუნებრივად მოექცნენ ახალი ცხოვრების სათავეში და მედგრად მომართეს საქმე აბობოქრებულ ტალღებში.

სხვათა შორის ციმბირიდან დაბრუნდა ცრემლაძეც, რომელსაც კარგად იცნობდა ევა. პირველი რევოლუციის დროს იმ ცრემლაძის ცოლი იყო სწორედ საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის წევრად რომ აირჩიეს.

ცრემლაძე ჩუმად და შეუმჩნეველად ჩამოვიდა დედაქალაქში, სადაც მას მრავალი წლის განმავლობაში ეწარმოებია რევოლუციური მუშაობა. არ იყო არც ერთი ქარხანა, არც ერთი სახელოსნო, რომელიც ცრემლაძეს არ სცოდნოდა. ზოგან პროპაგანდა გაუწევია, ზოგან პროფესიული კავშირი შეუკრავს, გაფიცვა მოუწყვია და სხვა. მეფის დროს მის სახელს ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს მუშები, სულს ერჩიათ იგი და ყველაფერში ენდობოდნენ.

ეს ნდობა ცრემლაძემ დაიმსახურა: უბრალოდ ეცვა და ეხურა, უბრალო ცხოვრებას ატარებდა და საზოგადოდ ყველაფერში უბრალო ადამიანი იყო. მუშები ხედავდნენ. რომ იგი სწორედ ისეთივე ადამიანი იყო, როგორც თვითონ ისინი — მუშები: უბრალო, სადა, სათნო, თავმდაბალი, იოლად მისად-

გომი, შუა იყოფდა მათ ლხინსა და ჭირს და კიდეც შეიყვარეს და შეითვისეს იგი.

დღესაც ციმბირიდან დაბრუნებულმა, მონახა თუ არა თავისი ცოლ-შვილი, მაშინვე შეუდგა საყვარელ საქმეს.

გადიოდა დღეები, კვირეები და ცრემლაძის გავლენაც უფრო და უფრო იზრდებოდა, მისი სახელი მთელ საზოგადოებას მოედო. პირნათლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას და დიდ ადგილასაც ისეთი სანდო და შესაფერი აღმოჩნდა, როგორც სულ პატარა საქმეში.

ამ ამბავს „ფართო საზოგადოება" ერთობ გაკვირვებული შეხვდა: ვინ არის ეს ვიღაც ცრემლაძე? რა კაცია, რა დამსახურება მიუძღვის, რომ ყველგან იმას გვაჩრიანო?

— ნუ გიკვირთ, ახლა ბურთი და მოედანი ვიგინდარების არის, — გაიგონებდით ზოგიერთისგან ცრემლაძის ხსენების დროს.

მაგრამ ახალ კალაპოტში ჩამდგარმა ცხოვრებამ ნელ-ნელა ჩამოაშორა რევოლუციის პირველი დღეების არამკითხე ხელმძღვანელები და ცხოვრების ასპარეზი ცრემლაძეების ხელში გადავიდა. „დამსახურებულ მოღვაწეთა" ჩამოყენება არაფრად ეპიტნავა იმავ „ფართო საზოგადოებას", მაგრამ სინამდვილე თავისას აკეთებდა.

13

შალვა ღრუბელიანის სამშობლოში დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდნენ მისი ამხანაგები. მას უკვე იცნობდა არა მარტო ვიწრო პარტიული წრე, არამედ ფართო საზოგადოებაც. ამისი მიზეზი იყო მისი თხზულებათა მეორე ტომის გამოსვლა. წიგნმა ყურადღება მიიპყრო, ავტორის ნიჭი, ჭკუა და სულის მდუღარება ყველასათვის აშკარა იყო; ყოველ გვერდზე უტყუარი ნიჭი და ორიგინალური აზრი იყო.

წიგნმა უსათუოდ ახალი სიტყვა თქვა. ციხის ჯურღმულებს არათუ ჩაეხშო ავტორის წმინდა გრძნობა და მაძიებელი სული, არამედ კიდევ უფრო ეწრთო იგი და ახლის განცდებით დაეტვირთა.

დღეს მკითხველის წინაშე უკვე ჩამოყალიბებული მწერალი იდგა: ფართო მხატვრული ტილო, ღრმა ანალიზის ნიჭი და ნააზრევ-ნაფიქრის შესანიშნავად გამომხატველი საშუალებანი.

შალვა ღრუბელიანი საგანგებოდ დანიშნულ ვადაზე ორი დღით ადრე ჩამოვიდა...

უბრალო პალტოში ჩაცმული, ხელში პატარა ფუთით, შეუმჩნეველად ესტუმრა ერთ-ერთ ქართული გაზეთის რედაქციას, მაგრამ რადგან კანტორის მოსამსახურეთა გარდა ჯერ რედაქციაში არავინ მოსულიყო, მან ითხოვა ნება დაერთოთ რედაქტორის მოსვლამდე დარჩენილიყო.

უხეშ მოსამსახურეს გაუკვირდა მთხოვნელის მხრივ ასეთი თავაზიანი კილო და მოითმინეო, უთხრა, თანაც დანჯღრეული სკამისკენ მიიხედა, მაგრამ ღრუბელიანი იმის ღირსად მაინც არ იცნო, რომ მისთვის სკამი შეეთავაზებია.

გაზეთის რედაქციაში დიდი არეულობა იყო: უწესრიგოდ დაგროვილი გაზეთები თითქმის ყველა კუთხეში ეყარა. მაგიდაზე მიბნეულ-მობნეული ადრესები, უთავბოლოდ დალაგებული საწარმოო წიგნები, — უბრალო, სქელი დავთრები, დაზიანებულ-დაღანჭალებული სკამები.

მოსამსახურეებიდან ორი თუ სამი ინტელიგენტი იყო, ესენი წიგნებს უჯდნენ, ხოლო დანარჩენნი უბრალო მუშები იყვნენ. ისინი იყვნენ პარტიის უერთგულესი წევრები, რომელნიც მთელი თავისი გატაცებით მუშაობდნენ. მათ არ იცოდნენ სამუშაო დღის განსაზღვრა.

ღრუბელიანი დიდი ინტერესით ადევნებდა მათ თვალყურს. მშვენივრად იცოდა ამ მუშაკების სული და გული, იცოდა მათი უსაზღვრო ერთგულება მშრომელ ხალხისთვის მებრძოლ პარტიის რიგებში და სიმპატიის გრძნობა იღვიძებდა მასში.

მან იგრძნო, რომ მის გარშემო ძველი მშობლიური ატმოსფერო იყო, ნაცნობი გულების ფეთქვა და სულისთქმა, ნაცნობი და თან შეზრდილი დანაოჭებული შუბლი, ხან უკმეხი და ხანაც მოსწრებულ-ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი.

„მაგრამ... მაინც რისთვის მოვედი აქ პირდაპირ სადგურიდან? როგორ დამავიწყდა გამომუშავებული გეგმა?“ — გაიფიქრა შალვამ, რომელმაც მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ წინდაწინ ნავარაუდევი სრულიად შეუცვლია.

გადაწყვეტილი კი ასე ჰქონდა: სადგურიდან პირდაპირ სასტუმროში წასულიყო, იქ მოესვენებია და მხოლოდ მეორე დღეს მოეძებნა მისი პარტიის ორგანოს რედაქცია. მაგრამ...

სრულიად მოულოდნელად პირველად იქ მისულა, სადაც სულ ბოლოს უნდა გამოცხადებულიყო.

— „ეგ რა მომივიდა! ნუთუ სამშობლოში დაბრუნებამ ისე გამახარა, რომ არც კი ვიცი რას ვშვრები?“ — ამ ფიქრებით საჩქაროდ მონახა თავისი ბარგი და დარცხვენილივით დაეშვა რედაქციის კიბიდან.

— „არასოდეს ასეთი რამე არ მომსვლია, ეს პირველი შემთხვევაა ჩემ სიცოცხლეში!..“

მეორე დღეს შალვა ისევ შევიდა რედაქციაში, მშვიდად იკითხა გაზეთის ფაქტიური ხელმძღვანელი, მოსამსახურემ რედაქტორის ოთახისაკენ მიუთითა. შალვა მოკრძალებით შევიდა მოზრდილ ოთახში, რომელშიც ოთხი მშვენიერი მაგიდა იდგა, ერთი კუთხიდან კი საუცხოო განჯინა გამოიყურებოდა.

„ესეც ჟანდარმერიის ქონება უნდა იყოს, თორემ ასეთ მაგიდებს ჩვენებს ვინ აღირსებდა?!“ — გაიფიქრა სტუმარმა.

ოთხივე მაგიდას თანამშრომლები უსხდნენ და კალმებს აწრიპინებდნენ. შესულს არავინ შეხედა. ის პირადად იცნობდა გაზეთის ხელმძღვანელს, ამიტომ ოთხივეს დაუწყო თვალიერება — აბა, რომელი უნდა იყოსო... და ბოლოს იცნო. შალვა ნელი ნაბიჯით მივიდა ძველ ამხანაგთან, რომელსაც წერა ჯერ კიდევ არ შეეწყვიტა და ისე ახედა სტუმარს, თანაც ერთი ხელით სკამზე მიუთითა.

— ვინ გნებავთ?! — შეეკითხა იგი ცივად.

— თქვენ.

— რაშია საქმე?

— მასალა მოგიტანეთ, ეგების გამოგადგეთ?

— დატოვეთ და პასუხს მოგახსენებთ.

— როდის?

— ხვალ.

— ეგების დღესვე?

— ყოვლად შეუძლებელია! აუარებელი საქმე მაქვს!

შალვამ წერილი მიაწოდა.

— თქვენი ვინაობაც ზედ უნდა იყოს აღნიშნული.

— გახლავთ.

„ისევ ძველებური მეხია, შეუპოვარი და შეუდრეკელი“, — გაიფიქრა შალვამ.

რედაქტორმა ავტორის სახელსა და გვარს დახედა.— იფიქრა, თუ ვინმე უცნობი „მწერალია“, მისი რამდენიმე წერილის დაწუნება წუთის საქმე იქნებაო.

— შალვა? შენ?! — წამოიყვირა მან.

— პეტრე...

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მეგობარო... ამხანაგო... ძვირფასო...

— რად დაიგვიანე ამდენი?.. შალვა... შალვა...

— უკაცრავად... ამხანაგებო, იცნობდეთ, — მიმართა პეტრემ რედაქციის წევრებს, — რუსეთიდან დაბრუნდა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი შალვა კორდელი... იცნობდეთ...

— შალვა კორდელი?! — მოისმა მაგიდებიდან და კალმების წრიპინიც შეწყდა. სამივემ გადაჰკოცნა ღრუბელიანი.

— გაჭაღარავებულხარ, ბიჭო, გამოცვლილხარ...

— ეხ, რას იზამ, ძმაო, სული რომ მომყვა არ გიკვირთ?

ათასნაირი მოგონებები და აზრები ტრიალებდა ამხანაგებში, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა ,საიდან დაეწყო ლაპარაკი. დუმილი, უხერხულობა... და ბოლოს კითხვები, ათასნაირი კითხვები.

შალვას ჩამოსვლის ამბავი მთელ რედაქციას მოედო, განსაკუთრებით აფუსფუსდა კანტორა და ექსპედიცია თავისი მუშებით, ყველამ ყურები სცქვიტა. ის მოსამსახურენი, რომელნიც გუშინ და დღეს ასე გულცივად შეხვდნენ შალვას, ბედნიერი ღიმილით მიდიოდნენ მასთან, აძლევდნენ ამხანაგურ სალამს და მხურვალედ ულოცავდნენ სამშობლოში დაბრუნებას და მისი იდეალების მიღწევას.

— ჩუმად ჩამოხვედით და შეხვედრა ჩაგვიშალეთ, — თქვა ღიმილით ერთმა.

— აბა, რა ამბით ვემზადებოდით!

— რა საჭირო იყო, ეგ ზედმეტია, — ჩაილაპარაკა შალვამ.

— რისთვის? მუშები ყოველთვის ვაფასებდით ჩვენთვის თავდადებულთა მოღვაწეობას.

— მე არ მიყვარს ცერემონიები... უმნიშვნელო რამეზე დროს დაკარგვა.

— კი, ამხანაგო, მაგრამ... ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ რაიმეთი თქვენი დაბრუნება...

— უსათუოდ... უსათუოდ...

— ეს იქნება ჩემი სურვილის წინააღმდეგი... თუ არ მომეშვებით, მე ისევე მოულოდნელად ჩაგიშლით მაგ განზრახვას, როგორც უკვე ჩაგიშალეთ ნავარაუდევი შეხვედრა... განა ცოტაა დღეს საქმე?

კარგა ხანს გაგრძელდა მუსაიფი, დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ შალვას, თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ.

მისი უდროოდ გაჭაღარავებული წვერ-ულვაში, ოდნავ დანაოჭებული სახე, მოყვითალო პირის კანი, დიდრონი ჭკვიანი თვალები და სიყვარულით აღსავსე გამომეტყველება უსაზღვრო აღტაცებას იწვევდა ამხანაგებში.

უბრალო ტანსაცმელი, უბრალო სიტყვა-პასუხი, უბრალო ყოფაქცევა.

— სხვა, რევოლუციის შესახებ რას იტყვით, ამხანაგო? თქვენ მთელი რუსეთი მოიარეთ, როგორია თქვენი შთაბეჭდილება? როგორი მდგომარეობაა რუსეთში?

შალვამ თავი უკვე მისთვის შესაფერ ატმოსფეროში იგრძნო და მოკლედ ილაპარაკა რევოლუციის შესახებ. შალვას სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ მდგომარეობა სრულებით არ არის ისეთი ბრწყინვალე და სანუგეშო, როგორც ამას გაზეთები აღნიშნავენ.

— თავი და თავი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, — ამბობდა შალვა, — ეს კიდევ ცოტაა, უბედურება ისაა, რომ მთავრობა კიდეც გაურბის ამ საკითხის წამოყენებას და გადაჭრას. ეს არის ომის საკითხი.

— ახალი მთავრობის წინაშე საშინელი სფინქსი დგას. ძველი მთავრობა მთელი თავისი არსებით ომს ემსახურებოდა, მას ჰქონდა ერთგვარი ნათელი მიზანი და ამ მიზნისაკენ მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. მართალია, ამ სიმტკიცეს თან გადაჰყვა, მაგრამ ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ აქ ჩანდა ძლიერი ნებისყოფა და თავის თავისადმი უსაზღვრო რწმენა, რწმენა ნათელი და გარკვეული.

— დროებით მთავრობას რწმენა დიდი აქვს, მაგრამ საუბედუროდ მან არ იცის, თუ რა სწამს და რას უნდა ემსახურეს. მისი მიზანი ბუნდოვანი და გაურკვეველია, გზა რთული და ნისლოვანი.

— სიტყვით ის ყოველივე კარგის მოსურნე და მოტრფიალეა, ლაპარაკში მას მიზანიც აქვს და იდეალიც, მაგრამ სინამდვილეში გაურკვევლობა და ჯვარედინ გზაზე თრთოლვაა: ომის გაგრძელებაც უნდა და ზავსაც ეტრფის. არც ფრონტი უნდა მოშალოს და საშინაო საკითხების გადაჭრასაც ლამობს. მასთან არც საშინაო საკითხების გადაჭრაშია გარკვეულობა: ვის სასარგებლოდ გადაჭრას საკითხი, რომელ კლასს მისცეს უპირატესობა? ან ეგების ყველა კლასს ერგოს რაიმე ამ ნადავლიდან, რომელიც ძველმა რეჟიმმა დატოვა? ჭეშმარიტი რევოლუციონერები სულითა და გულით მშრომელთა მხარეზე არიან, მაგრამ სინამდვილეში სხვა კლასების მომდურებისაც ეშინიათ! ამიტომ საკითხის გადასაჭრელად დამფუძნებელ კრებაზე მიუთითებენ. ის გვიხსნის, ის მოაგვარებს ყველაფერსო, მაგრამ გადაჭრით ვერც აქეთკენ წასულან. აქაც ისეთი ორეროფობაა, როგორიც ომთან დამოკიდებულებაში: გულში ერთი სურვილი, სინამდვილეში კი მეორე.

შალვა ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, რომ არავინ აწყვეტინებდა სიტყვას.

— ყოველი მოქმედი არსება გადამწყვეტ მომენტში უნდა იხედებოდეს ერთი თვალით, მეორე კი ახვეული ჰქონდეს, რომ არ გაიფანტოს მისი ყურადღება. ძველი რეჟიმი სწორედ ერთი თვალით იხედებოდა, ხოლო დროებითი მთავრობა და მასთან ჩვენც ათასი თვალით ვცდილობთ წინსვლას.

ზოგი მართლაც ჩააფიქრა ამ სიტყვებმა, უმეტესობას კი გულზე ოდნავადაც არ მიჰკარებია იგი: ისე იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ შავი ღრუბლის დანახვა არც უნდოდათ და არც შეეძლოთ. ჯერ კიდევ ისეთი ხანა იყო, როცა ზღვა ყველას მუხლის თავამდის ეჩვენებოდა და რა გასაკვირია, რომ შალვას სიტყვამ ისინი არ დააეჭვა.

— რაკი შეხვედრა ჩაგვიშალეთ, ინტერვიუ მაინც უნდა გავმართოთ ჩვენი გაზეთის თანამშრომლებთან, — ღიმილით უთხრეს ბოლოს ძვირფას სტუმარს.

14

ღრუბელიანმა სამშობლოში თავი ახლადშობილად იგრძნო. მშობლიურმა ჰაერმა და მიწა-წყალმა სხეული დაუამა და სულიერი სიმშვიდე მოჰგვარა

— ვნახე ჩემი სამშობლო... ველირსე ჩემი ქვეყნის ნახვას, — ჩურჩულებდა თავისთვის, — რა ტკბილი ყოფილა შენს მიწაზე ფეხის დადგმა!

ქვეყანა, სადაც ამდენი ხანი იცხოვრა, რაღაც უზარმაზარ და ვეებერთელა ყინულად წარმოუდგა. ერთსახოვან მინდვრად, დაუსრულებელ და უფორმო არედ, სადაც ციხეებისა და ბორკილის რახუნის მეტი არაფერი უნახავს. მაგრამ ეს რა გრძნობაა ოსტატურად რომ მიუჩქმალავს? ცდილობს პასუხი არ გასცეს, გვერდი აუაროს და... ახალი საბედნიერო წუთები არ ჩაიშხამოს.

შალვამ იცის, რომ ამ გრძნობის დამალვა შეუძლებელია, მას აუცილებლივ ფარდა აეხდება. იცის ყოველივე ეს, იცის მაგრამ, მაინც ცდილობს თვალი მოარიდოს... რათა? რისთვის?

— სად არის ევა? ცოცხალია თუ მკვდარი? გაიგო თუ არა ჩემი ჩამოსვლა? სად არის ჩემი სოფიკო, ვაჟა, დედა, მამა?..

ღრუბელიანის ჩამოსვლის ამბავი უკვე მთელ საქართველოს მოჰფინეს გაზეთებმა, მაშასადამე, ყველა მისი ნაცნობი და ნათესავი გაიგებდა. ყველამ იცის სად არის იგი, ბევრმა იცის, ალბათ, თუ რამე უბედურებაა მის თავზე და... ყოველ წუთს მოსალოდნელია საიდუმლოების გაგება.

ერთი გარემოება შალვას რუსეთშიაც არ აძლევდა მოსვენებას და აქაც, სამშობლოშიც, ეკალივით მოხვდა თვალში: ახალი ცხოვრების მეთაურებიდან ბევრი არ ეჩვენებოდა თავის წრის ხალხად. მათი წარსული სრულიადაც ჩვეულებრივი იყო, მრავალი მათგანი რევოლუციამდე უბრალო მოქალაქეს წარმოადგენდა, რომელიც საკურთხეველსაც საკმეველს უკმევდა და ტახტსაც ქედს უხრიდა... იმ დროს, როცა შალვა და მისიანები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, როდესაც გოლგოთაზე ჯვარი ჯვარზე აჰქონდათ, ციხეები სავსე იყო ხალხით და სახრჩობელების ანძები გულის შემზარავად გამოიყურებოდნენ და იყო კვნესა, დაუსრულებელი კვნესა. აი, ამ საშინელ ხანაში ბევრი მათგანი უწყინარ ცხოვრებას ეწეოდა, გმირთა ბრძოლა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ.

დღეს კი... დღეს ხელთეთრი საზოგადოება ეპატრონება ცხოვრებას, ჭეშმარიტი მებრძოლები ლამის შთანთქან თავი-

ანთ ზღვაში. ყველგან ეგოიზმი, პირად კეთილდღეობაზე ფიქრი, მდიდრული ჩაცმა-დახურვა, ქონების შეძენა.

მართალია, ძველი გამობრძმედილი პირები, ხალხის ნამდვილი მოჭირნახულენი ვაჟკაცურად უდგანან ცხოვრებას სათავეში, მაგრამ რა უნდა გააწყონ ამ ადამიანთა ზღვაში, ამ უცხოთა ხროვაში, რომელთაც პირადი კეთილდღეობის მეტი არაფერი აწუხებს?

„არ დაგვაყრის ეს ხალხი ხეირს", — ფიქრობდა იგი.

ძველ ამხანაგებს შორის მან დიანოზ წუწუნაძეც ნახა — მის თხზულებათა პირველი ტომის „გამრჩევი" დიანოზი განსაკუთრებული ცერემონიით ეახლა მას.

— ხა... ხა... ხა!.. ჩემო სასახელო მებრძოლო, მტრების რისხვავ, მოყვარეთა მალამოვ, ჩემს ხელში გამოზრდილო და ჩემის ოლარით ნაკურთხო! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი, რომ კვლავ ვეღირსე შენს ნახვას! მოდი ერთი გაკოცო... „ამბორი გიყო შენ არა ვითარცა იუდა, არამედ...!" — და ამ სიტყვებით მაგრა ჩაიკრა გულში შალვა.

„შავი ძალის მძლეველო", „მამულისა და მშრომელთა სასარგებლოდ აღმდგარი, ხოლო ბურჟუაზიის დასამხობად მოვლინებული," „გაუტეხელი გული", „ბასრი კალამი", „მახვილი ენა", ვინ იცის რა ეპითეტებს არ ისროდა დიანოზი!

— რას შვები, როგორ ცხოვრობ, ჩემო დიანოზ?

— კარგად, ჩემო შალიკო, კარგად... ძველებურად, ჩვენებურად... სხეულით ვითომ დავბერდი, მაგრამ სულით... სულით ისევ ძველი დიანოზი ვარ!.. ყველაფერს მოვესწარი, ბიჭო, ყველაფერს: ორი რევოლუცია მოვახდინე, ორი მეფე მოვინელე... ხოლო ევროპაში რამდენი პრეზიდენტი გადავიტანე, ამას ვინ მოსთვლის.

— ყოჩაღ, დიანოზ, ყოჩაღ!.. მაგრამ არა ხარ კარგი კაცი, ჩემო დიანოზ, არა! განა ასე უნდა დაგვიწყებინა ძველი მეგობარი და ერთი წერილი არ უნდა მიგეწერა?

— მოგიკვდეს ჩემი თავი! ნუთუ არ მიგიღია?

— არა, არ მიმიღია.

— სამი წერილი მოგწერე, ჩემ პატიოსნებას გეფიცები.

— არც ერთი არ მიმიღია.

— პასუხი რო არ გამეცი, ვიფიქრე, არად ჩამაგდო, არ

მიკადრა-თქო და თავი დაგანებე... სინდისს გეფიცები, ჩემ სინიდისს!

— იცოცხლე, დიანოზ, იცოცხლე... მჯერა ყოველივე, კეთილი კაცი ხარ... სხვა, დიანოზ ჩემო, როგორ უყურებ დღევანდელ ამბებს, როგორ „აფასებ მომენტს“...

— შენ კარგად იცი, ამხანაგო შალვა, — პათეტიურად დაიწყო დიანოზმა, — დიახ, შენ კარგად იცი... ბიჭო, შენობით რომ გელაპარაკები, არ გეწყინოს, ახლა შენ დიდი კაცი ხარ, რუსეთი და საქართველო გიცნობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ჩემ ხელში გამოჩიჩქნილი ბიჭი ხარ და ამიტომ შენობით გელაპარაკები.

— განაგრძე, განაგრძე, ჩემო დიანოზ, არა უშავს, სულ ერთია!

— ჰო, იმას ვამბობდი, შენ კარგად მოგეხსენება, რომ დღევანდელი საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი მხრივ დგანან ჩაგრულები და მეორე მხრივ — მჩაგვრელნი, ერთ ბანაკს ეწოდება მუშათა კლასი, პროლეტარიატი და მეორეს — ბურჟუაზია.

„ჩემი დიანოზი ისევ ძველი შაბლონია, ძველი შაბლონი“, — ფიქრობდა შალვა და ძლივს იმაგრებდა სიცილს.

— პროლეტარიატს რაც ეამება, იგი ბურჟუაზიას სწყინს და პირიქით, რაც ბურჟუაზიას გაახარებს, იგი პროლეტარიატს სწყინს და აღონებს... დიახ, ასეთია კლასთა ბრძოლის დედააზრი, ეს არის მთელი ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ჩარხი. მარქსმა თქვა: კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა... — და განაგრძო დიანოზმა, განაგრძო დაუსრულებლივ, გაუთავებლივ.

— ყოჩაღ, დიანოზ, ყოჩაღ, შენ სწორედ დაგიფასებია მომენტი, — მოუწონა ბოლოს შალვამ.

დიანოზმა შალვას შექებაში ირონია შეამჩნია და ლაპარაკის სურვილი დაეკარგა. არაფრის არ ეშინოდა მას ისე, როგორც დაცინვისა და მასხრად აგდებისა.

„რა ღმერთი გამიწყრა, რო ვნახეო“, — ფიქრობდა დიანოზი.

— სხვა, დიანოზ ჩემო, სად ცხოვრობ ახლა, აქა გაქვს

მუდმივი ბინა, თუ ისევ შენი სოფლიდან ჩამოდიხარ ხოლმე ქალაქში?

— რასაკვირველია, ძველებურად ვცხოვრობ. სოფლის კაცი ვარ, იქაურ სახლ-კარს და ეზო-გარემოს როგორ შევეცლევი?! ოო, რომ იცოდე, შალვა, რა მშვენიერი ხეხილის ბაღი გავაშენე!.. უსათუოდ უნდა დაგპატიჟო.

-- მაშ, რეზიდენცია ისევ სოფლად გაქვს და მხოლოდ საგასტროლოდ ჩამოდიხარ ქალაქად? ძველებურად არა? ნაცნობებში, საზოგადო მოღვაწეებში. ძველი შლიაპისთვის, ძველი შარვლისთვის!

— რას იზამ, ჩემო შალვა, ქართველი მწერლის ბედი ასეთია. სხვაფრივ არც შეიძლება. ცხოვრებას უნდა მისდიო, შენი ქვეყნის ყოველ მხარეს უნდა იცნობდე... ვწერ და ვწერ კორესპონდენციებს ჩვენს გაზეთებში... ვაშუქებ ცხოვრების ავ-კარგს.

-- როგორ, ჩემო დიანოზ, ნუთუ შენ კორესპონდენციებზე გაჰყინე შენი ნიჭი? მე კი ვფიქრობდი, რომ შენ კრიტიკულ ეტიუდებსაც წერდი!

-- აა, შე ენაგესლიანო, შენა, — მიუგო დიანოზმა, — ვიცი რაც გაქვს გულში, დამცინი განა? მაგრამ არა უშავს, შეცდომით ვინ არ შეცდება... მეც შევცდი შენი ნიჭის დაფასებაში... მე კი არა, ბელინსკიც მრავალჯერ შემცდარა. სამაგიეროდ ნინოშვილმა სავსებით გაამართლა ჩემი იმედები. დიახ, სავსებით, მას პირადად ვიცნობდი და მისი ნიჭიც პირველად მე ვიგრძენი.

— რა არის, ამდენი საბუთები რო მომაყარე, განა ისა ვთქვი, რომ არ მჯერა შენი კრიტიკული ალღო-თქო?

— ასე არ გითქვამს, მარა... დიანოზი არც ისე მიუხვედრელია, რომ...

— ეე, კარგი, თუ კაცი ხარ, ეჭვიანობა დაგიწყია ამ ბოლო დროს.

— არა, ხუმრობა გაშვებით იყოს, ჩემო შალვა, და მე ახლა იმიტომ მოვედი შენთან, რომ ბოდიში მომეხადა, პატიება მეთხოვა... გულახდილად ვაღიარებ, რომ მოვტყუვდი და სწორად ვერ გავიგე შენი პირველი ტომი. მაპატიე, გთხოვ მაპატიო დღევანდელი რევოლუციის სახელით!

— პატიებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჩემო დიანოზ! შენ ბელინსკი ახსენე, თუ ეს ხსენება არ იყო „ამაოსა ზედა“, შენ ისიც უნდა იცოდე, თუ რა საშუალებით ინანიებდა ბელინსკი თავის შეცდომებს...

— მითხარი და მზადა ვარ.

— ბელინსკის დაემსგავსო, არა? ხა... ხა... ხა... შეუძლებელია, რომ კაცმა მასხარად არ აგიღოს.

— მაშ, რა ვქნა?

— რაც გინდოდეს... მხოლოდ ეს მითხარი გულახდილად: ვისი შეკვეთით დაწერე ის წერილი და რამდენი აიღე ჰონორარი? თუ ეს ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ქვენა გრძნობები გამოქმედებენ ჩემს წინააღმდეგ. თქვი ყოველივე, ნუ გრცხვენია... თუ ბრძოლაა, ბარემ ბოლომდის.

დიანოზი მკვდარ-ცოცხალი გაშორდა იქაურობას, ერთი სიტყვა რა არის, არ უთქვამს...

15

რეზო ნამიანიძის ოჯახმა სამუდამოდ დაკარგა სიწყნარე და შინაგანი სიმშვიდე. დაიღუპა ადრინდელი მყუდროება და უშფოთველი ცხოვრება. შეირყა, დაინისლა მომავალი.

გინახავთ ისეთი ოჯახი, სადაც უძვირფასესი წევრი კუბოში ასვენია; დროგამოშვებით ამ ოჯახში საშინელი სიწყნარეა, ფეხაკრეფით დადიან, ჩურჩულებენ, ერთმანეთს თავაზიანად ეპყრობიან, გულში კი ჯოჯოხეთს ატარებენ. საკმარისია ერთი ვინმე ჩამოვიდეს ეზოში და მთელ ოჯახს საშინელი ტირილი და გლოვის ზარი მოიცავს.

ასეთი იყო ნამიანიძის ოჯახის სულიერი განწყობილება.

უბედურება სხვა მხრივაც ეწვია ამ ოჯახს: რეზო ნამიანიძე ის აღარ იყო, რაც უწინ — ახალმა დრომ ერთიანად ჩააქრო მისი შარავანდედი, დაჩრდილა და უკან ჩამოაყენა. დღეს სულ სხვა ჯურის მოღვაწენი დაეპატრონენ ცხოვრების საჭეს და ერთ დროს სახელოვანი რეზო ჩეეულებრივზე ჩვეულებრივ პიროვნებად გადაიქცა.

პირველ ხანებში ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად მაინც აირჩიეს, მაგრამ ხელახალი არჩევნების დროს — როცა რევოლუციამ მეტი დარაზმვა და ორგანიზაციული

მთლიანობა იგრძნო, გაღრმავდა და გაფართოვდა — რეზოსა და მისიანებს ცხვირიც კი არ შეაყოფინეს ამ ხელმძღვანელ დაწესებულებაში, ახალმა დრომ ახალი მოღვაწეები წამოაყენა.

ის თავჩაქინდრული დადიოდა და სინათლისთვისაც კი ვერ გაესწორებია თვალი. საშინელი გულჩათხრობილობა დასჩემდა. სადღა იყო მისი დარბაისელი, კმაყოფილებით სავსე და უდარდელი გამომეტყველება.

„აკი მაშინვე იგრძნო გულმა, რომ მეფის ჩამოგდებას სიკეთე არ მოჰყვებოდა“, — ფიქრობდა იგი.

მდგომარეობა ბანკშიც შეერყა, მისი ბედი ბეწვზე ეკიდა და როდის გამოაგდებდნენ სამსახურიდან, კაცმა არ იცოდა.

-- უყურე ამ ბურჟუას! — გესლიანად მიაძახა ერთხელ ვიღაცამ გასეირნების დროს და ჩვენი რეზო ისე დააფრთხო ამ ამბავმა, რომ შავი ტაიჭებიც გაჰყიდა და ასირიელი მოგვის მსგავსი წვეროსანი მეეტლეც დაითხოვა.

-- დღეს კი აგრეა, მაგრამ რას მოიტანს ხვალინდელი დღე?

ასე დამფრთხალი, უიმედო და მიწასთან გასწორებული არასოდეს ყოფილა რეზო. ყოველგვარ განსაცდელში მისი იმედი და დამხსნელი ევა იყო, მაგრამ ამ მდგომარეობაში მას თავისი უბედურება აწუხებდა და რეზოსათვის სად ეცალა. ცოლ-ქმარი უსიტყვოდ დაშორდა ერთმანეთს, ორთავე ცალ-ცალკე ჩაიკეტა საკუთარ გულისთქმაში და ერთმანეთის შეხვედრასაც კი ერიდებოდნენ.

რა ერქვა მათ შემაერთებელ ძალას? რისთვის, რა მიზეზით დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს? ნუთუ დღეს, ამ განსაცდელის ჟამს უკვე გაჰქრა იგი და ამ ორ პიროვნებათა შეერთება არაფერს შეუძლია?

გადიოდა დღეები, კვირეები და მათი ოჯახი გლოვითა და სევდით კიდევ უფრო იქღინთებოდა, ხანდახან ისე მძიმდებოდა ჰაერი, ისეთ ლოდად აწვებოდა ორთავეს, რომ სულისთქმაც კი უჭირდათ...

ერთადერთი ადამიანი, რომელიც მთელ ოჯახში უწინდებურად ფრთხიალებდა და ყველაფერს შეჰხაროდა — სოფი-

კო იყო, რომელსაც დღე და ღამე გათანასწორებული ჰქონდა და დაუღალავად ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას.

რამდენიმე წრეში უკვე ცნობილ „ამხანაგად“ გადაიქცა და ხანდახან მიტინგებზედაც კი გამოდიოდა. სოფიკო მარტო დასაძინებლად თუ მოვარდებოდა შინ.

— უჰ, რა დავიღალე!.. უჰ, რა საშინლად მშია! — წამოიძახებდა შინ შემოსვლისთანავე.

— შვილო, სოფიკო! ნამეტანს შვები, აგრე არ შეიძლება!..

— არა მიშავს რა, დედა, კიდევ ცოტას წაკიმუშავებ და მერე ზომიერად მოვეკიდები საქმეს. ახლა ბევრი საქმეები დაგვიგროვდა და მალე ასე არ იქნება.

მაგრამ ეს „ახლა“, „ახლა“ არ დაილია და სოფიოც მუდამ დატვირთული იყო.

ძველი მეგობრები და ნაცნობები სულ დაივიწყა; პოეტი პიერი ხომ აღარ აინტერესებდა და აღარ.

— ისეთი აღტაცებით შეხვდა რევოლუციას, მეგონა, გულწრფელი იყო და სახალხო საქმე უყვარდა, ნამდვილად კი საპნის ბუშტივით გასკდა, ენატლიკინა ყოფილა და სხვა არაფერი, — თქვა სოფიკომ და ხელი ჩაიქნია. არც შუშანიკა მოსწონდა სოფიკოს — ესეც მარტო ენა ყოფილაო.

შალვას ჩამოსვლის ამბავმა შუშანიკას თავზარი დასცა, იგრძნო, რომ რაღაც საშინელება უნდა დატრიალებულიყო ევას თავზე და მთელი თავისი ყურადღებაც ამ ადამიანს მიაპყრო.

— მოდის, მოდის ჩემი საყვარელი მგოსანი!.. მოდის ჩემი სათაყვანო მწერალი, — გაიძახოდა აღტაცებული სოფიო, — როგორ გამიმართლდა წინაგრძნობა! როგორ ვიგრძენი მისი თხზულებების კითხვის დროს, რომ იგი დიდი პოეტი იყო.

ევა თავზარდაცემული უსმენდა თავის ქალს, რეზო თავჩაქინდრული იყო და შუშანიკა კი იმ ადამიანივით დადიოდა, რომელსაც ძვირფასი ადამიანი სასიკვდილო სარეცელზე უსვენია, წამი და... სამუდამოდ გამოეთხოვება მას.

— ჩემი სათაყვანო კორდელი, ჩემი კორდელი, — განუწყვეტლივ დუდუნებდა სოფო.

როცა შეიტყო, რომ ქალაქში კორდელის შესახვედრად

მზადება იყო, გადაწყვიტა აუცილებლივ წასულიყო და გამარჯვება მოელოცა გამარჯვებული მებრძოლისათვის.

— პირადად მისი ნახვა, მისი ცხოვრების ყველა წვრილმანის გაგება, მომავალი რევოლუციური და ლიტერატურული მუშაობის გეგმები... ყოველივე უნდა გავიგო, ყოველივე!... კორდელი ჩემი კერპი უნდა იქნეს, ჩემი კერპი! — არ ცხრებოდა სოფო.

როცა გაზეთებმა ამბად ჩამოიტანეს: კორდელი მოულოდნელად ჩამოვიდა და ამიტომ შეხვედრა არ იქნებაო, სოფოს საშინლად ეწყინა. სამაგიეროდ, დიდად დაინტერესდა შალვას ინტერვიუში გამოთქმული აზრებით. რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა ეს ინტერვიუ.

— აქ, ამ სიტყვებშია ცხოვრების მთელი სიბრძნე, აქ არის სიცოცხლე და წარმატება, აქ მარხია აღმაფრენა და აღფრთოვანება!... ახ, ნეტავი ფრთები მომცა, რომ ავფრინდე და ამ აზრების წარმომთქმელ ქმნილებასთან დავფრინდე... ვუგალობ ბულბულივით, ვუჭიკჭიკებ მერცხალივით!.. „მქონდეს ფრთები, ავფრინდები, შენთან მოვფრინდები“, — სიმღერით დაასრულა სოფიომ და თან განაცხადა, რომ იგი ახლო მომავალში აუცილებლივ წავიდოდა ქალაქში კორდელის სანახავად და პირადად გასაცნობად.

— შუშანიკ, სოფიკოს შენ წაყვები ქალაქში, — წყნარად უთხრა ევამ საღამოს და ცივი თვალებით მიაჩერდა... შუშანიკა მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

— წავალ, დიახ, წავალ...

რეზომაც ყველაფერი გაიგო და ისიც თითქოს რაღაც ბრძანებას ელისო, კრძალვით ახედ-დახედა ევას.

— კორდელმა ასე თქვა... კორდელი პეტროგრადმა პირდაპირ მავთულზე მოითხოვა... კორდელი გლეხთა ყრილობის თავჯდომარეა, კორდელი მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, — გაისმოდა წამდაუწუმ.

დილა, საღამო, შუადღე, შუაღამე — სულ ერთია: სულ შრომა, სულ ფაციფუცი, თრთოლვა და მოუსვენრობა.

შუაღამე იყო. შალვა საშინლად დაღლილი ბრუნდებოდა შინ, ქუჩაში არავინ ჩანდა, ბნელოდა, ის იყო ეზოში უნდა შესულიყო, რომ ვიღაც შავად მორთული ქალი გადაუდგა წინ და რევოლვერი ესროლა.

— ვინა ხართ?.. მომკლეს!..

ესღა წამოიყვირა შალვამ და პირქვე დაემხო...

მსროლელს კიდევ უნდოდა ტყვია დაეხალა, მაგრამ ვიღაც მამაკაცი დაეტაკა და რევოლვერი ხელიდან გააგდებინა.

— რას ჩადიხარ, ევა?!

— რეზო... შენ?.. რა გინდოდა აქ?..

— ლაპარაკის დრო არ არის!..

ცოლ-ქმარი ბნელეთმა შთანთქა.

16

როგორც შალვას ამხანაგებს, ისე ფართო საზოგადოებას თავზარი დასცა ამ ამბავმა. რა მოხდა? ვინ ჩაიდინა ეს თავდასხმა? რა მიზნით, რა მოსაზრებით?

თითქმის უგრძნობი შალვა საავადმყოფოში მოათავსეს. ორი-სამი დღე ავადმყოფი ცუდად გრძნობდა თავს, გონებას ჰკარგავდა. ექიმები ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჭრილობა საშიში არ იყო, მაგრამ ეჭვს ბადებდა თვითონ დაჭრილის სულიერი განწყობილება: ხან ნერვიულობა, ხანაც სრული უგუნებობა, აპატია, მოდუნება. დაჭრილს ლაპარაკიც კი არ უნდოდა. ბევრი ამხანაგი გამოისტუმრა პასუხის გაუცემლად. მხოლოდ ერთხელ გამხიარულდა და თითქოს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო: ეს მაშინ, როცა ნესტორ ნაბადაძე მივიდა მასთან სანახავად.

— ნესტორ, შენა? — შესცინა ძველებურად და გულში ჩაიკრა.

— მოხუცებულხარ, კაცო, ცხოვრებას თავისი გაუტანია..

— ოღონდაც, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, ოღონდაც!

— რას შვები, როგორ ცხოვრობ, როგორ მოღვაწეობ?

— რას ვიზამ, ჩემო კეთილო!.. ვარ ჩვეულებრივად, „ძველებურადა, ჩვენებურადა". შენ რას შვები, ბიჭო, რასა იქ?

კარგა ხანს ისაუბრეს ტკბილად, მეგობრულად.

— ნესტორ, ნუ მომშორდები, თუ გიყვარდე, სანამ ფეხზე არ ავდგები, ჩემთან იყავი, შენმა ნახვამ მომასულიერა.

— დიდი კმაყოფილებით, სულ შენთან ვიქნები... მაგრამ ისეთი ქალიშვილი აპირებს შენს მოვლას, რომელიც უთუოდ მოგვარჩენს.

პალატაში სოფიო შემოვიდა.

— აი, ამხანაგო, შენი სათაყვანო მგოსანი, — წყნარად უთხრა ნესტორმა და გულდასმით დაუწყო ორთავეს ცქერა.

— ვინ არის?! — იკითხა განცვიფრებულმა შალვამ.

პასუხი არ იყო. ნესტორი მღელვარებამ შეიპყრო.

შალვა დაჟინებით უყურებდა გაშტერებულ ქალს, რომელსაც თითქოს მოძრაობის უნარი დაჰკარგოდა.

— მითხარით, ვინა ხართ? — ჰკითხა ბოლოს შალვამ.

ნესტორი შეკრთა, თავი ჩაქინდრა, დაიბნა.

— თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი, — დაარღვია სიჩუმე ქალმა.

— დიახ... დიახ... როგორც გითხარი, შენი... შენი ნიჭის თაყვანისმცემელია, — დაემოწმა შეშფოთებული ნესტორი.

— მინდა მოგიაროთ, მოგარჩინოთ... მუდამ თქვენთან ვიყავი, თქვენზე ვოცნებობდი... თქვენი თხზულებები უწმინდეს გრძნობებს მიღვივებდა გულში.

— ნესტორ... ნესტორ! აქ მო! მითხარი რაშია საქმე?! — და შალვას ხმა აუკანკალდა.

— არაფერი ამხანაგო, არაფერი. — უუბნებოდა ნესტორი, — თუ შენი სურვილი იქნება, ეს ქალიშვილი თავს დაგადგება და მოგიელის, ჩვენი ამხანაგია...

— თქვენი სახელი, უცნობო ასულო?

— სოფიკო...

— სოფიკო!.. — ჩაილაპარაკა ხმის კანკალით შალვამ. — ნესტორ, შენ აქა ხარ? ხელი, თუ ძმა ხარ... ხელი მომეცი... ექიმს არ დაუძახო... წყალი... წყალი... ნესტორ, შენ იცი, რითი ვარ ავად... შენ ყოველივე იცი... მე ექიმი არ მინდა.

— არც არის საჭირო, არა, არა გიშავს რა... არა გიშავს, მალე სულ კარგად იქნები და შენი წყლულებიც მოშუშებული იქნება.

— ნესტორ... ჩემო ნესტორ... ჩემი სოფიკო მომაგონდა, ჩემი სოფიკო...

შალვამ გრძნობა დაჰკარგა, ნესტორი შიშმა შეიპყრო, სოფიო თავს აკვდებოდა დაჭრილს.

„ვაითუ შეცდომა ჩავიდინე სოფიკოს აქ მოყვანით“, — ფიქრობდა ნესტორი.

მეორე დღეს შალვა უკეთ შეიქნა და ნესტორს თავიდან არ იშორებდა. ისინი განუწყვეტლივ საუბრობდნენ, სოფიო კი თავს ადგა სნეულს, მაგრამ ნესტორი სულ იმის ცდაში იყო, რომ სოფიო რაც შეიძლება ნაკლებად შემოსულიყო შალვასთან. ნესტორი უფრთხოდა უდროოდ საიდუმლო არ გამოვამჟღავნოო და ამიტომ თვითონაც ვერ შორდებოდა ავადმყოფს...

გაზეთებმა ვრცლად აღწერეს შალვას დაჭრის ამბავი და შემთხვევას შესაფერი ახსნაც მისცეს: თავდასხმა მონათლეს „პოლიტიკურ აქტად“, ეს სოროებში მიმალული რეაქციის საქმეა, ძველი რეჟიმი ისევ ძალას იკრებს და თავდასხმას გვიპირებს.

ეს მოსაზრება ყველას საბუთიანად ეჩვენებოდა, მით უმეტეს იმიტომ, რომ გაზეთები ცხარე კამპანიას აწარმოებდნენ, ყოველდღე დაწვრილებით ცნობებს ათავსებდნენ შალვას ჯანმრთელობის შესახებ, მთელი საზოგადოება აღელვებული იყო.

— ნესტორ, როგორ ფიქრობ, მართალია, საშიშია რეაქცია? — ჰკითხა შალვამ.

— ჩვენში, საქართველოში, არასოდეს: ქართველი ხალხის შეძლებული მშრომელი ფენები უძლურნი არიან და სხვის დაუხმარებლად ვერას გახდებიან. ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად ხალხის ხელშია, აქ მშრომელთა სრული ბატონობაა... მოიგონე, რა იყო თვითმპყრობელობის დროს. ვითომ თავადობა და სამღვდელოება გვედგა სათავეში, მაგრამ ჩვენი ერის მაჯისცემა ფიქტიურად გლეხების და მუშების ხელში იყო, ჩვენი აზრის ყველას ეშინოდა...

— ჩემო ნესტორ, შენ როგორც გეტყობა, პოლიტიკური მომენტი გაქვს სახეში. დღეს კი, როცა რევოლუცია მოხდა, პოლიტიკურ თავისუფლებას აუცილებლივ სოციალური საფუძველიც უნდა ჩაეყაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

— მართალი ხარ, რეაქცია მოხდება, — დაამთავრა ნესტორმა შალვას აზრი, — გლეხისათვის პოლიტიკური თავისუფლება ცარიელი სიტყვებია, მას რაიმე რეალური უნდა

მიეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რევოლუციას გადაუდგება.

— მერმე, მივეცით ჩვენ რაიმე?

— ჯერჯერობით სიტყვების მეტი არაფერი: მიწას დამფუძნებელი კრება მოგცემს, მანამდე ხელი არ ახლოთო, ვეუბნებით, რვა საათის სამუშაო დღესაც იგივე კრება დაგიკანონებსო, ჩავჩიჩინებთ მუშებს... ჯერჯერობით კი გვიჯერიან, მაგრამ მალე...

— თვითონ ამოქმედდებიან, არა?

— რასაკვირველია. თუ ჩვენ დროზე ვერ გავიგეთ ხალხის სულიერი განწყობილება, იცოდე უჩვენოდ მოხდება მიწების დანაწილება. ამის ნიშნები უკვე არის. ბოლშევიკები კი აშკარად ქადაგებენ: ნუ უცდით დამფუძნებელ კრებას, ახლავე დაიტაცეთ მიწები, ამ ლოზუნგებში უსათუოდ დიდი მასების სურვილია ჩამარხული, ამ დაძახილს, იცოდე, ბევრი გაჰყვება რუსეთში და ჩვენშიც. პირდაპირ გეუბნები, ჩემო შალვა: თუ დამფუძნებელი კრების მოწვევა გაჭიანურდა, პირველი მე ავიღებ ხელში იარაღს და გავყვები, წინ წავუძღვები მუშებს. ვერ გამომიცვნია, რა ტიპის რევოლუციაა ჩვენი რევოლუცია: გაგონილა, რომ ორასი მილიონი ხალხი უსისხლოდ განთავისუფლებულიყოს? მთელი ქვეყნის მეექვსედი ასე იოლად და ერთი ქარის მობერვით გაბედნიერდება? რაღაც არ მჯერა!..

— დღევანდელი კაცობრიობა კულტურულია და ეგების დასაშვებია ის აზრი, რომ ახლანდელი რევოლუციაც სხვა ფორმას მიიღებს, — თქვა შალვამ.

— არ მჯერა. თავისი ნებით ბატონობას არც ველური თმობს და არც განათლებული. როცა საარსებო ლუკმაზე მიდგება საქმე, ჩვენ ყველანი ერთნაირი დაუნდობლობით ვიბრძვით. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, რაც ბრძოლით მომიპოვებია, იმას არავის იოლად არ დავანებებ. ადვილად შენაძენი ყოველთვის ადვილად იღუპება. ჩვენი დღევანდელი რევოლუციური მონაპოვარი სხვისი ხელით მოძღვნილად გვეჩვენება, 1905 წლის ბრძოლა ბევრს არ ახსოვს. ამიტომ მისი დაკარგვაც იოლია.

— მართალს ამბობ, ჩემო ნესტორ, — დაეთანხმა შალვა,— ისტორიაში მხოლოდ სისხლია წმინდა, მხოლოდ სისხლით გა-

ნბანილი უფლებაა უკვდავი და საშვილიშვილო. სისხლი ყოველთვის ახალი ცხოვრების მიჯნაზე ინთხევა. ეს ღრმად უნდა ახსოვდეს ყოველ რევოლუციონერს.

— ვერც ეს გამიგია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ერთობ დიდ ზომიერებას იჩენს... უდიდესი სახალხო მოძრაობა გამომუშავებულ პროგრამებში უნდათ ჩაუდონ. რევოლუციის დროს ზომიერებაზე ლაპარაკი და კანონიერებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მოვარდნილი თქეშის ქალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია და თუ მოინდომე ეს, იცოდე, აქაფებული ნიაღვარი სადღაც გადაგისვრის. ასე რომ, ბევრი მაფიქრებს. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ — სიბერე ხომ არ შემომეპარა და აზროვნება ხომ არ ამერია-თქო.

— სიბერის ბრალი რომ იყოს, მაშინ გონიერებისა და ზომიერების მქადაგებელი იქნებოდი, შენში კი ჭეშმარიტი კოცონი იწვის და შენი აზროვნებაც რევოლუციურად არის გაალმასებული.

— არ ვიცი, არ ვიცი.

— ვნახოთ რა იქნება, გავყვეთ ფაქტებს...

— ვერც მაგაში დაგეთანხმები: რევოლუციის დროს ბევრ შემთხვევაში ფაქტები ჩვენ უნდა მოგვყვებოდნენ და არა პირიქით. რევოლუციის ქარტეხილში პიროვნება და მისი შემოქმედება ნათლის სვეტად უნდა მიუძღოდეს აბობოქრებულ ხალხს. ფაქტების მიყოლა პასიურობაა, რევოლუციონერი კი, უპირველეს ყოვლისა, აქტიურია.

17

— ნესტორ, ამ დღეებში მე ერთი საინტერესო წერილი მივიღე, პასუხიც დავამზადე, მაგრამ გაგზავნა ვერ მოვასწარი. თუ გაინტერესებს, წაგიკითხავ ზოგიერთ ადგილებს, — უთხრა ერთხელ შალვამ ნესტორს და წერილის წაკითხვა დაიწყო:

„წავიკითხე თქვენი ინტერვიუ“, — მწერს ვიღაც და... მოიცა, საიდან არის უფრო საინტერესო... ჰო, აი აქედან.

„თქვენი ინტერვიუ დაჟინებით ეყრდნობა ერთ აზრს: ციხეში ყოფნის დროს თითქოს თქვენ ყოველ წუთს და ყოველ წამს მხოლოდ სხვებზე ფიქრობდით, პირადი „მე“ დავიწყებული გქონდათ... ერთი სიტყვით, თქვენ ხელი აგიღიათ თქვენს

პირად ცხოვრებაზე და სხვისთვის მიგიძღვნიათ იგი. ცხოვრებაში არის მომენტი, როდესაც ერთ პიროვნებას ჰგონია, თითქოს იგი მეორეს შეუერთდა და განუშორებლად შეეწება, ეს არის სიყვარულის პარაქსიზმის დროს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პარაქსიზმი ავადმყოფური მდგომარეობაა და ნორმალურ ყოფაში ჩავარდნისთანავე ყველაფერი ჩვეულებრივ სახეს იღებს.

თქვენ ასეთი პარაქსიზმითა და აფექტით ხართ შეპყრობილი, ნორმალური პირობები თქვენ უსათუოდ გაგკურნავენ...“

— რაო... პარაქსი... თუ... რა სიტყვაა?

— პარაქსიზმი, ნესტორ... ე. ი. შეცივება, შეცხელება, აკანკალება.

—რა სიტყვების რახარუხი იცით ამ ინტელიგენტებმა!

— მოიცა ნუ მიშლი... კიდევ მოვნახო საინტერესო ადგილი.. ჰო... აი აქ.

„თქვენ საკუთარი თავი მსხვერპლად მიგიტანიათ რაღაც ფეტიშის წინაშე, ამ ფეტიშს თქვენ „სხვებს“, „გარეშებს“ ან კიდევ „დაბალ მოძმეთ“ უწოდებთ. მე კი ბრბოს ვარქმევ

ჩვენი დროის ფეტიშისტო, განა არის ღირსი ეს თქვენი კერპი მსხვერპლისა და თავგანწირვის?

ადამიანის ეგოიზმმა უაღრეს წერტილამდე მიაღწია ჩვენს ხანაში, და ასეთ დროს თქვენ გამოსულხართ და ქადაგებთ იმას, რაც ეწინააღმდეგება სინამდვილეს: გვირჩევთ შეეეწიროთ ამ საშინელ მოლოქს, ამ უსაზიზღრეს სფინქსს. ამაზე მეტი შეუსაბამობა არ შეიძლება. არა მსხვერპლი მას, არამედ თითონ მისი მსხვერპლად ქცევა! არა მისთვის თავგანწირვა, არამედ მისი სასიკვდილოდ განწირვა! არა ამ ფეტიშთან შეწებება და შედუღება, არამედ ლტოლვა მისგან, გაქცევა მისი სიღრმიდან!

აი, რა უნდა იყოს ადამიანის მისწრაფება, აი, რით გადარჩება კაცობრიობა მოსპობასა და გადაშენებას!“

— საკვირველი ხალხი ხართ ეს ინტელიგენტები, — ღიმილით თქვა ნესტორმა, — მსჯელობა, მსჯელობა და სულ მსჯელობა.

— კარგი, ნესტორ, დაგვანებე თავი ამ ინტელიგენტებს. უმჯობესია ჩემი პასუხი წაგიკითხო, აგერ-აგერ ამოვარჩევ. აი რას ვწერ.

„ადამიანი და მისი პიროვნული შემოქმედება ჩემთვის ისეთივე სათაყვანოა, როგორც თქვენთვის, ნუ გგონიათ, რომ მარტო თქვენი იყოს ეს აზრი.

მაგრამ თქვენ გინდათ ერთი გზით ამ პიროვნების გაბედნიერება და მე კი მეორეთი; გაეკადნიერდები და მოგახსენებთ რომ თქვენი გზა სრულიად მრუდედ, შეუფერებლად მიმაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი არ არის ისეთი, როგორიც თქვენ გგონიათ. მართალია, ის დღეს დაუნდობლად ეგოისტია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე იგი ათასჯერ უფრო მხეცი იყო, მიეაღწევთ განვითარების შემდეგ საფეხურს და ადამიანიც ის არ იქნება, რაც დღეს არის, არსებობს ევოლუციის რკინის კანონი და ადამიანის ბუნებაც ამ კანონს ემორჩილება.

განვითარების შემდეგ საფეხურად მიმაჩნია სოციალიზმი, რომელიც კაცობრიობას უმზადებს სრულიად ახალ ეკონომიურ საფუძველს. დღევანდელი ყოფა-ცხოვრების საძირკველი — კონკურენციაზე დაყრდნობილი საზოგადოება, კოლექტიურ ქვეყნად გარდაიქმნება, ყოველი ადამიანი ჩადგება ერთნაირ პირობებში; ამ მომენტიდან იწყება პიროვნების უალრესი განვითარება, მისი სრული გარდაქმნა და სავსებით ახალ არსებად გადაქცევა. მისი ნიჭი და შემოქმედება თავისუფლად და ყოველი მხრივ მხოლოდ ამ ურთიერთობაში გაიფურჩქნება. კაცობრიობის ყოველი წევრისათვის დადგება ჯერ უნახავი და განუცდელი ხანა, როდესაც არც ერთი პიროვნების ნაშოქმედარი ფუჭად არ დაიკარგება და საერთო, კოლექტიური ძალ-ღონით აიგება უბედნიერესი ყოფა-ცხოვრება.

— შენც ძალიან ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს კი ხმარობ!

— მოიცა, ნუ მიშლი... აი კიდევ რასა ვწერ.

თქვენი აზრით: კოლექტივს უნდა გაექცეს პიროვნება, აუცილებლივ უნდა გამოეთიშოს, მისი ხსნა ამაშიაო და ისტორიასაც იშველიებთ ამ აზრის დასამტკიცებლად.

პიროვნების სიდიადე ყოველთვის საზოგადოების წიაღში გადაშლილა, საზოგადოების კალთაში აღზრდილა იგი, მშობელი წრის აე-კარგით გაჟღენთილა და ამავე წრეში შემოქმედებით უთქვამს თავისი სიტყვა ისტორიაში.

მაშ, რა არის ეს თქვენ მიერ გამოგონილი რჩეული არსება,

რომელიც უბრალო მომაკვდავ მასალად უნდა ხმარობდეს, შეუბრალებლად უნდა თელოს მათი გვამები და რაღაც მწვეერვალისაკენ მიისწრაფოდეს?! საკვირველი აზრია!

ადამიანის პიროვნების მოსარჩლედ გამოდიხართ და იმავე დროს ქადაგებთ: „რჩეულ“ პიროვნებას უფლება აქვს სხვათა პიროვნება გათელოს და საკუთარი დიდების საფეხურად იხმაროსო.

— მოიტა წერილი, მოიტა, წავიღო ფოსტაში, — გააწყვეტინა ნესტორმა.

— მომიცა, შე კაცო, კიდევ წაგიკითხავ, ჯერ ბევრია...

— მესმის, რისი თქმაც გინდა, ყველაფერი გავიგე.

18

შალვას ჯანმრთელობა თანდათან გაუმჯობესდა, ნესტორის მოვლა-პატრონობამ სულიერადაც გაამხნევა და გაახალისა. მაგრამ ეს გახალისება ხელოვნური გამოდგა: რამდენიმე დღის შემდეგ შალვას ისევ ეწვია თავის კაეშანი და ხშირად ძალზე დაღონდებოდა ხოლმე. მართალია, ნესტორი მისთვის დიდი ყავარჯენი შეიქნა, ამავე დროს ამ სახელთან შალვასთვის მრავალი მოგონება იყო დაკავშირებული.

ძველი სურათები სიცხოველით კრთოდნენ მოგონებაში და ერთიანად აფორიაქებდნენ მის სულსა და გულს.

სოფლად მუშაობა, საიდუმლო კრებები, - გლეხების ქოხმახები, ევასთან შეხვედრა, მუშაობით გატაცება. უდიდესი მოძრაობის დასაწყისი, ბუმბერაზი ზღვის წარმტაცი ღელვა... ევა და კიდევ ევა, მისი გაქცევა, სიყვარულის გამოცხადება, ბედნიერების განცდა, ბედნიერება პირადი და საზოგადოებრივი...

რაღა შერჩენია დღეს?

მხოლოდ უსაზღვრო სევდა, დაცარიელებული სული, დაფლეთილი გული.

როგორ, დღეს, მშრომელთა ხელახალი აბობოქრების ჟამს? სანუკვარ იდეალების ფრთათა გაშლის დროს? ეს ხომ შალვას მთელი მსოფლმხედველობის თავდაყირა დადგომაა!

ეს ხომ მისი სრული განადგურება და გაცამტვერებაა!...

ნუთუ დაინგრა თვალის წარმტაცად აგებული იდეათა კოშკი!

ნუთუ ბედნიერების თუ უბედობის საკითხი პირადობის თვალსაზრისით უნდა გადაიჭრას?

ნუთუ მართალია იმ უსახელო წერილის ავტორი? ვინ იყო იგი, ვინ დაანთხია მისი სახელი?...

— ნესტორ... იცი, რა უნდა გითხრა?..

— საიდან მეცოდინება, გულში ხომ არ გიზივარ!

— შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ, უნდა მიმიხვდე რისი თქმაც მინდა.

— მე გულთამხილავი ვარ არა?!

— შენ განგებ არ გინდა გულთამხილავი იყო, დიპლომატობ.

— გარწმუნებ, რომ არა.

— ნესტორ, ნუთუ შენ არ იცი ჩემი გულის დარდები?

— მაკვირვებს შენი ლაპარაკი, ჩემო შალვა.

— დამიგდე ყური.

— გისმენ.

— სოფიკო კარგი სახელია.

— ავადმყოფის მოვლაც ჩინებულად იცის...

— ამხანაგო ნესტორ, — მოისმა მეორე ოთახიდან.

— რაშია საქმე, ამხანაგო სოფიკო?

— შეიძლება?

— მობრძანდი.

— მოხუცი ქალი და კაცი თხოულობს შემოსვლას, — თქვა სოფიკომ.

— ვინ უნდათ? — იკითხა შალვამ.

— თქვენ.

სოფო გაწითლდა, დაიბნა.

— მარტო არიან?

— ერთი ყმაწვილი ახლავთ.

ნესტორი და სოფიო მაშინვე დერეფანში გავიდნენ.

— ვინ არიან, შემოუშვით?.. მალე.. მალე! — გაისმა შალვას ნერვიული ხმა.

— შვილო... შვილო...

— დედა!.. შენ?!.

— შვილო... შვილო...

— მამა!

დედა ბეჭებში მოხრილი, ჩავარდნილი ლოყები, ძვალზე გაკრული ყვითელი ტყავი, ამომშრალი თვალები, დაკრუნჩხული, აკანკალებული ხელები.

წვერ-ულვაშგაბურძგნული მამა, დაკოჟრილი ხელები, ჩოხა, ჯოხი, ხურჯინი...

დიდხანს ქვითინებდა ტანჯული შვილი დედის მკერდში, დედის ცრემლები ნამად ეპკურებოდნენ მის ჭაღარა თმასა და წვერ-ულვაშს.

— შვილო!.. დაკარგულო შვილო!.. სისაწყლეში გამოზრდილო შვილო. შალიკო დედა!.. შალიკო, შვილო!

— ღმერთო, ვმადლობ შენს წყალობას... ღმერთო, ვმადლობ შენს წყალობას! — ტირილით ამბობდა მამა.

— ნუ გეშინიათ! მე არაფერი მიჭირს, ყველაფერს გადავიტან, ყველას გავუმკლავდები... დღეიდან სულ თქვენთან ვიქნები, არ მოგშორდებით.

— ჭრილობა, შვილო, ჭრილობა?

— აი, ნახე, დედა... უკვე მორჩა, სულ უბრალო იყო. არა მიშავს რა...

— ვინ მიკლავდა, შვილო, შენს თავს? ვინ გაგიმეტა, ვინ გაგამწარა?!

— ჩვენ აქ ზედმეტი ვართ, — უთხრა სოფოს ნესტორმა და გაიყვანა. ძალზე ღელავდა და არ იცოდა, გაეცა თავისი საიდუმლოება თუ არა, ეთქვა თუ არა, ვინ იყო სოფო.

ძნელი იყო ასეთ წამს ამის დაფარვა, მაგრამ, ვაითუ ერთ აღელვებას მეორე დაემატოს და სხეულს ავნოს?

— მაშ თქვენ კარგად ხართ?.. ცოცხლები? — ამბობდა წამდაუწუმ შალვა. — დედა, როგორ მოხუცებულხარ!... მამა!..

— სიბერე ყველას ხვედრია, შვილო, — ამბობდა მამა, — რაკი შენ გნახეთ ცოცხალი, ჩვენ აწი სიცოცხლეც არ გვინდა. რაკი ჩემი სიმართლე მაჩვენა ღმერთმა, რაკი მტრის გული არ გაახარე...

— დაგტანჯეთ, მამა, დედა... დაგტანჯეთ... მაპატიეთ...

— შვილო, შალიკო, იცი, რა მოგიტანე?

— ვიცი, დედა, ვიცი შენი გულის ამბავი. ვიცი, რასაც მომიტანდი!

— ა, შვილო, შენი სოფლის ვაშლია... ჩემი ამოყვანილი. ყველი... ყველაფერი წამოგიღე, ყველაფერი.

ბარბარე ამ ლაპარაკში მზრუნველობით ხსნიდა კარგა მოზრდილ ფუთას და ღიმილით აწოდებდა შვილს სოფლიდან ჩამოტანილ ძღვენს.

19

— დედა, გულახდილად უნდა გითხრა, რომ...

სოფიომ წინადადება არ დაასრულა, ხმაც აუთრთოლდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

— თქვი, შვილო, რა გინდა! — უთხრა ევამ, რომელიც სამგზავროდ იყო მორთული.

— მე... მე... არ მინდოდა აქაურობის დატოვება!

— მაკვირვებს შენი ასეთი გულჩვილობა! ბავშვი ხომ არა ხარ? პირიქით, კიდეც უნდა გიხაროდეს; ახალ ქვეყანას ნახავ, ახალ ამხანაგებს გაეცნობი.

— კი, დედა, მაგრამ ხომ ჩვენ აქედან სამუდამოდ მივდივართ.

— რა სისულელეა! მაშ, ვინც პეტროგრადში წასულა, განა ყველას სამშობლო მიუტოვებია?

— სხვების არაფერი ვიცი, ჩვენ კი, როგორც ვატყობ...

— შენ ვერაფერსაც ვერ ატყობ. ბავშვი ხარ.

— სულ მაგრე მეძახი: ბავშვი ხარ, ბავშვი ხარო... დეე, ბავშვი ვიყო, მაგრამ მაინც სიმართლეს ვამბობ.

— კარგი, შვილო, დაწყნარდი... იქ უნივერსიტეტში შეხვალ, ახალი ამხანაგები, ახალი წრე... ყველა გამოჩენილი რევოლუციონერები იქ არიან, ვეებერთელა სახელმწიფოს პეტროგრადი მიუძღვის...

— შენ აკი არც ერთი ეს არ გჯერა, დედა.

— შენ ხომ გწამს, შვილო, შენ ხომ გჯერა და სწორედ მეც ამისთვის გეუბნები! მე იქ მიმყავხარ, სადაც ცხოვრება დუღს და გადადუღს, სადაც შენი სათაყვანო საქმე კეთდება. მხოლოდ შენს სიამოვნებაზე ვფიქრობ, შვილო, შენს განვითარებაზე. ვინ იცის, ეგების შენაც სახელოვანი ქალი გამოხვიდე, ცნობილი მთელ რუსეთში. იქ მალე დამფუძნებელი კრება შეიკრიბება,

შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმას დაესწრები. ვის არ ნახავ, ვის არ გაიცნობ.

— ვიცი, დედა, ყველაფერი ვიცი, მაგრამ სამშობლო მაინც...

— კარგი, შემოგევლოს დედა! როცა მოისურვებ, აქაც ჩამოხვალ და ყველას ნახავ, ყველას მოიგონებ. მანამდე კი იქ მშვენივრად ვიცხოვრებთ: თეატრი, ოპერა, ათასნაირი სანახაობა... მამას მშვენიერი ადგილი აქვს ნაშოვნი, ვიცხოვრებთ, როგორც შენ გინდა, ოღონდ, ოღონდ...

დედამ გულში ჩაიკრა სოფიო.

— მზად არის ყველაფერი? — შემოსვლისთანავე იკითხა რეზომ.

ისიც საგზავროდ იყო მორთული. სახე შეჭმუხნილი ჰქონდა. მთელი მისი გარეგნობა რაღაც შიშს გამოხატავდა.

— აკი ყველაფერი მზად დასტოვე, — უპასუხა ევამ.

— მართლა... სულ დამავიწყდა.

— ეტლები?

— ორ საათში ყველანი სადგურში ვიქნებით, ყველანი. მალე მოვლენ, მალე... ასე მგონია, თითქოს რაღაც მრჩება, რაღაც...

— ტყუილა ღელავ, არაფერიც არ გვრჩება, ყველაფერი ჩავალაგეთ.

მთელი ოჯახის ავეჯი შეკრული იყო. ბევრი ნივთი სულ მოიშორეს თავიდან — გაჰყიდეს, ბევრიც გააჩუქეს. ვეებერთელა ოთახი შეკრული ბარგით იყო მოფენილი: ჩემოდნები, ნოხები, ყუთები...

მოსამსახურეები ციბრუტივით ტრიალებდნენ, ისეთი ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ, თითქოს მიცვალებული უსვენიათო.

— მამა, დედა, მივდივართ... მივდივართ... ყველას გამოვეთხოვეთ, ყველანი დავკოცნეთ... ყველანი.

შემოცვივდნენ ოთახში ერიამულით ბავშვები. მათი მხიარულება ზეცას სწვდებოდა, პეტროგრადში გადაბარგება მათსავით არავის უხაროდა.

— მატარებელში ჩავჯდებით, ავტომობილით ვისრიალებთ... მივდივართ, მივდივართ!

— კი, დედა, კი, მივდივართ, მივდივართ..

ზოგი მამას ჩამოეკიდა კისერზე, ზოგი ბარგი-ბარხანას შეაჯდა, ზოგიც ცარიელ ოთახებში დარბის.

— მშვიდობით, ოთახებო, მშვიდობით! ნახვამდის, ნახვამდის...

მთელი ოჯახი აფორიაქებულია. რეზო ხან ერთ ოთახშია, ხან მეორეში. ერთ ადგილას ვერ ჩერდება.

მშვენივრად იცოდა, რომ სამუდამოდ შორდებოდა იქაურობას და გულაჩუყებული იყო.

ზარის წკრიალი მოისმა.

— ვილაც ხანში შესული კაცია და თქვენი ნახვა უნდა, ქალბატონო! — მოახსენა მოსამსახურე გოგომ.

— უთხარით, რომ არ მცალია!

— ვერ მოვიშორე.

— გაბრუნდი და ისევ უთხარი!

მსახური გავიდა.

— არას გზით არ უნდა, წავიდეს, — ხელახლა შემოვიდა მსახური.

— ვინ უნდა იყოს?... ვინ უნდა იყოს? — გაისმა ბავშვებში.

— როგორაა ჩაცმული? — იკითხა შემკრთალმა რეზომ და თვითონ დააპირა შესახვედრად წასვლა.

— რეზო! — მიაძახა ევამ.

რეზო იქვე გაქვავდა.

— გადით ყველანი აქედან! — ბრძანა ევამ.

ოთახი იმ წამშივე დაცარიელდა.

— მობრძანდით! — თქვა ევამ და სტუმარს კარები გაუღო.

წამი და გაშტერებულნი მიაჩერდნენ ერთმანეთს შალვა და ევა.

— შენ?!

— დიახ!

— რისთვის მოხვედი, შალვა?

— იმისთვის, რაც დავტოვე.

— რა დატოვე?

— ჩემი წმიდა სიყვარული, შვილები...

— მე... მე...

— ის გინდა მითხრა, რომ ვერც ერთი ვერ დამახვედრე?

— მე არაფერში არა ვარ დამნაშავე!.. არავის წინაშე პასუხს არ ვაგებ!

— არა, ქალბატონო, შენ დამნაშავე ხარ! და პასუხსაც აგებ!

— მე პასუხს ვაგებ მხოლოდ ჩემი თავის წინაშე, — გადაჭრით თქვა ევამ.

ევამ იგრძნო, რომ გადამწყვეტი წუთი დადგა, უკან დახევა არ შეიძლებოდა. მის თვალწინ ბაბუას სურათმა გაიელვა — მოკლული შვილის გვამს რომ დაეძებდა.

— რა უფლებით მელაპარაკებით ასე?!

— თქვენ რა უფლებით გამაუბედურეთ?!

— თქვენსავე ხელით გაიუბედურეთ თქვენი თავი!

— მე ხომ პირადი ბედნიერებისათვის არ ვიბრძოდი!

— მაშ, ახლა რად დაეძებთ იმას, რისთვისაც არ იბრძოდით და რაც არ გინდოდათ? ეს ერთი, მეორე: არ მაინტერესებს ის, თუ რისთვის იბრძოდით: პირადად თქვენი, თუ სხვების ბედნიერებისათვის!

შალვა არ მოელოდა ასეთ პასუხს. კარგა ხანს ისე იდგა, თითქოს თავში ნაჯახი დაჰკრესო.

— თქვენ გინდათ თქვათ...

— დიახ, — გააწყვეტინა ევამ, — მე თქმა კი არ მინდა, უკვე ვთქვი, რაც მქონდა სათქმელი: იმ დროს თქვენ პირადი ბედხიერება არ გწამდათ და ახლა ჩემი ბავშვებით ქუჩაში დამტოვეთ. დღეს კი საკუთარი ბედნიერების ძიებით ჩემს ბედნიერებას სპობთ. სად არის ის სინდისიერება, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით? რამ დაგიბნიათ ასე გზა? ან ეგების ცხოვრება არ შეგექმნათ ისე მარტივი, როგორც თქვენ გეგონათ? თქვენ სხვათათვის ბრძოლა რაღაც უმაღლესი ხარისხის ბრძოლად მიგაჩნიათ. ჩემს თვალში კი იგი მარტო ჩვეულებრივი ჭიდილია და სხვა არაფერი! ორივე ბრძოლას — როგორც პირადი, ისე საზოგადო საქმისთვის ერთნაირი ფასი აქვს, არავინ იცის, რომელი უფრო ძვირფასი და ღირსეულია! არც ის იფიქროთ, რომ თითქოს თქვენ, სხვათა ბედნიერებისთვის მებრძოლო, სხვებზე ღირსეული იყოთ!

შალვამ დაინახა, რომ ევა მსოფლმხედველობითაც სრულიად დაშორებოდა მას, მათ შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ცასა და დედამიწას შორის...

უცებ რაღაც სიმშვიდე იგრძნო, დაჭიმული ნერვები თითქოს მოეშვაო.

— სხვისი პიროვნება არასოდეს დამიმცირებია, ჩემი ცხოვრების გზაც სწორი და გაუმრუდავია, მე ვიცი, რას ვაკეთებ და როგორ ვიქცევი, — დაიწყო შალვამ, — მუდამ მაღლა მეჭირა ადამიანური ღირსების ალამი. როგორც თქვენ გნებავდეთ, ისე შეაფასეთ ჩემი მისწრაფება, ეგ თქვენი საქმეა! ხოლო ის კი უნდა იცოდეთ, რომ ბედნიერების საძებრად თქვენთან არ მოვსულვარ, ეგ უდიდესი სისულელე იქნებოდა მას შემდეგ, რაც თქვენ ჩაიდინეთ. მე თუ თქვენთან მოვედი — ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გავიგო ჩემი შვილების ბედი, რომელნიც ჩვენი შემთხვევითი შეხვედრის ნაყოფი შეიქნენ. თქვენ საშინელი დანაშაული ჩაიდინეთ მათთან და ჩემთანაც. ჩემი ციხე თქვენ გამიორკეცეთ. რას მპირდებოდით და რა მარგუნეთ? სიცრუე და ორპირობა, ღალატი და გაუტანლობა! შემოგეთვალათ ყოველივე თავის დროზე! შევურიგდებოდი ჩემს ბედს. მეფიცებოდით, რომ ჩემთან ერთად გოლგოთაზე აიტანდით წამების ჯვარს. შეაფურთხეთ წმინდა სიყვარულს, წმინდა იდეალებს, ფეხქვეშ გათელეთ ყოველივე მაღალი, ჯალათურად მომექეცით, მტერზე უარესი მტრობა გამიწიეთ.

— სანტიმენტალობას თავი დავანებოთ, — გააწყვეტინა ევამ, — ფაქტი ასეთია: მე სხვა გზით მივდივარ და თქვენ კიდევ სხვათი. თქვენ თქვენებურად გესმით ბედნიერება, მე ჩემებურად... რაც ერთხელ ყოფილა ჩვენ შორის, ის ერთხელ ყოფილა! ახლა კი რა გინდათ ჩემგან? რისთვის შემოიჭერით ჩემს ოჯახში? თქვენ მომწერეთ: ადამიანი უდიდესი ეგოისტია და ამ გრძნობას უნდა ვებრძოლოთო. თქვენც ხომ ასე ეგოისტურად იქცევით!

— როდის მოგწერეთ?

— გუშინ მივიღე თქვენი პასუხი.

— ა... ა... ა..? თქვენი იყო ის წერილი?

— დიახ, ჩემი გახლდათ! აი თქვენი პასუხი!

ევამ უბიდან ამოიღო ის წერილი, რომელიც რამდენიმე დღის უკან ნესტორმა ფოსტით გაგზავნა.

— ახლა ბევრი რამ არის ჩემთვის ნათელი, — თქვა შალვამ, — დიახ, ბევრი რამ... მაშ თქვენი იყო ის წერილი?

— დიახ.

— ახლა კი მივხვდი... დიახ, პირადი ბედნიერების ძიების

გასამართლებლად თქვენ შეგქმნიათ რაღაც თეორია რჩეული პიროვნების შესახებ. გახლართულხართ სიცრუისა და ორპირობის ქსელში და დღეს, როგორც ხაფანგში მოყოლილმა ნადირმა, არ იცით რა ქნათ და რით იმართლოთ თავი, მერე რაღა საჭირო იყო რაღაც თეორიების შეკოწიწება და თავის მოტყუილება? განა თეორიის გარეშე არ შეიძლებოდა სიცრუისა და ღალატის ჩადენა? მატყუებდით მე, ატყუებდით ჩემს მშობლებს, სიცრუის ბურუსში ატარეთ შვილები, თვალი აუხვიეთ მთელ საზოგადოებას, საეჭვო მოსაზრებებით დაიწყნარეთ სინდისი... და ბოლოს მაინც თქვენი ნამოქმედარი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შეიქნა.

უცებ კარი გაიღო და აღელვებული რეზო შემოიჭრა.

— მე... მე თქვენ გიცნობთ, ვინცა ხართ, — ათრთოლებული ხმით მიმართა რეზომ, — ვიცი, რისთვისაც მობრძანდით... ყოველი თქვენი სიტყვა ვიცი და მოქმედება ჩემთვის სრულიად გასაგებია. ყოველი ადამიანი ეძებს იმას, რაც დაკარგა, ყველა ჩვენთაგანი საკუთარი ბედნიერების შესაქმნელად იბრძვის.

— რეზო! — შესძახა ევამ.

— ევა, ყველაფერი გათავდა, ყველაფერი ნათელია! დღეს საბოლოოდ უნდა გადაიჭრეს გორდიუსის კვანძი, — მიუგო პირდაპირ რეზომ.

— რეზო!

— პატივცემულო ლრუბელიანო, — მიმართა ნამიანიძემ შალვას, რომელსაც თითქოს არც კი გაუგონია ევას მბრძანებლური ხმა, — მთელი ჩემი სიცოცხლე მყუდროდ გამიტარებია. არავის არ მივეჭრივარ და არავინ არ მომჭრია, ყოველთვის. და ყველგან მოვითხოვდი იმას, რაც მე ღირსეულად მეკუთვნოდა, მაგრამ მდგომარეობის მიხედვით დათმობაც ვიცოდი. ცხოვრებაში დრამა არ არსებობს, ამას ჩვენ, ადამიანები ვქმნით, ეს ყოველივე ჩვენი ნერვების ბრალია. შეგიძლიათ, როგორც გინდათ ისე განმარტოთ ჩემი აზრები, მე თქვენ არაფერში არ შემოგედავებით. დიახ, იმას მოგახსენებდით. თქვენ საკუთარი დრამის წინაშე დგახართ, მაგრამ შეიძლება ამ დრამის მშვიდობიანად დასრულება: რაც იყო იყო, ახლა კი შეთანხმდით... სიწყნარის, მშვიდობიანობისა და ადამიანობის სახელით, მე... ხელს ვიღებ ევას მეუღლეობაზე.

— არამზადავ! — მიახალა ევამ.

— დაუთმეთ ერთმანეთს. ბედნიერებაც თქვენს ხელთ იქ-ნება... მე კი... მე... მშვიდობიანად გაგეცლებით კეთილდღე-ობის ხელახლა საძებნელად.

რეზო სწრაფად წავიდა ოთახიდან.

— ბატონო ღრუბელიანო! მე ბრძოლა წავაგე. პირველად მაშინ დავმარცხდი, როცა თქვენ ტყვია აგაცილეთ, მეორედ კი ახლა, როდესაც წასასვლელად გამზადებულს მომისწარით და ქმარიც მომგლიჯეთ!

— როგორ? განა თქვენ მესროლეთ?

— მე, დიახ!

— რისთვის?

— თქვენ ჩამოხვედით ჩემი ბედნიერების მოსასპობად, მე კი თქვენ უნდა მომესპეთ.

შალვა დარეტიანებული დაჯდა.

— დედა, რა ამბავია? მამამ გვითხრა — არ მივდივართო, ნივთები გახსენითო, — მიმართა დედას ვაჟამ, რომელსაც თან შემოჰყვა გაფითრებული სოფიო.

— მოდით, შვილებო, მოდით!.. აი, თქვენი მამა! მე თქვენ მის ვინაობას გიმალავდით.

— მამა?! — შეჰკივლა სოფომ.

— შვილო!..

— მამა! მამა!

— ნუთუ შენ?.. შენ?.. ჩემი სოფო იყავი? ჩემი სოფო იყა-ვი?.. ჩემი სოფო ხარ? მე ეს ვიგრძენი!.. მე ეს მაშინვე ვიგრ-ძენი!.. სოფო... სოფო...

— მამა... მამა...

ევა ოთახიდან გავიდა და მაშინვე რევოლვერის ხმა მოისმა.

— რა მოხდა?.. — წამოიძახა შეშინებულმა სოფომ.

რეზომ კარი შემოაღო:

— ევამ თავი მოიკლა...

ორი კვირა გავიდა, რაც შალვა სოფელში ჩამოვიდა. თან ჩამოიყვანა თავისი შვილები.

ნახა თავისი მამის ღარიბული კარ-მიდამო, სახლ-კარის ყო-

ველი კუთხე და განუზომელი მყუდროება დაეუფლა მის სულ-სა და გულს.

ყოველივე ისეა, როგორც დატოვა, ყოველი ნივთი, ყოველი მცენარე... ყველაფერი ნაცნობი და ნათესაურია, ყველასი ეს-მის და ყველას მისი ესმის.

და რაღაც განახლების, აღორძინების, აყვავების ცეცხლი ისადგურებს შალვას სულში.

დავიწყებას მიეცა შავი წარსული, ქვესკნელმა შთანთქა განვლილი დრონი, თითქოს არც კი ყოფილიყოს.

გრძნობს, რომ მის სხეულში ახალი ძალა ისადგურებს, ახა-ლი ნაკადული აპირებს აჩქეფებას, ახალი კვირტები იშლებიან.

გადაცვარული ბალახი... სველი მიწა... მწიფე მსხლისა და ვაშლის სურნელება... ნამით დაყურსულ ხეთა ფოთლებში გაპარებული მთვარის სხივი. შუაღამისას აყიელებული მამ-ლები, გახთიადზე აჭრიალებული ურემი, გოგო-ბიჭების კისკისი.

სულს ანახლებს და აცხოველებს, ახლად შობს და ახლად ზრდის.

არსად აგრე მშვიდად არ მოუსვენია შალვას, არსად ამდენი ძალა არ შემატებია.

გლეხებში ყოფნამ კიდევ უფრო გააცხოველა შალვას სუ-ლი და გული. ბავშვობის სიწმინდე და ენერგია იგრძნო, ყოვე-ლი სურათი და მოძრაობა ნათესაურია, შენი სისხლისა და ხორცისა.

რამდენი იმედი და აღტაცება ნახა შალვამ გლეხობაში, რა-მდენის მოლოდინი!

ისევ მოვარდა ახალგაზრდობის ნიაღვარი, სიკისკასე, მისწ-რაფება, თრთოლვა.

მაგრამ ერთი აზრი ღრღნიდა მის სულსა და გულს.

— შესძლებს თუ არა დღევანდელი ინტელიგენცია ხალხის გაძღოლას? შესაფერი გზით იქნება თუ არა ხალხის ენერგია მიმართული?

„ვეჭვობ, ძალიან ვეჭვობ! — ფიქრობდა შალვა, — დღეს უკვე მეექვსე თვეა, რაც რევოლუცია მოხდა და არც ერთი ძირითადი საკითხი გადაჭრილი არ არის, ხალხი კი გვაცდის, გვიყურებს... სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს ლოდინი?.. მაგ-

რამ, როგორც ცნობებია, პეტროგრადის პროლეტარიატი უკვე არავის ელოდება და ახალი ნაბიჯის გადადგმას აპირებს... პროლეტარიატმა იცის, რა უნდა აკეთოს... ირგვლივ საშინელი ჭაობია, დროებითი მთავრობა უკვე დაიშრიტა, დღესაც იმ ფრაზებს იმეორებს, რომლითაც თებერვალში გვიმასპინძლდებოდა, ის თანდათან ირიყება სიტყვათა თქეშით".

ერთ დღეს დედაქალაქიდან შალვას აცნობეს: მდგომარეობა რთულდება და შენი ჩამოსვლა აუცილებელიაო...

— მაშ, იქაც უგრძვნიათ ჭაობში ყოფნა... იქაც გრძნობენ ახალი გზების საჭიროებას, — თქვა მან და მეორე დღეს სოფიოსთან ერთად დედაქალაქისაკენ გასწია.

— ნამდვილი რევოლუცია, შვილო, ახლა იწყება, — ეუბნებოდა იგი გზაზე სოფოს, — ყველაფრიდან ჩანს, რომ ხალხი თვითონ ამოძრავდა და თვითონვე სწყვეტს თავის ბედს... ეს არის ნამდვილი რევოლუცია.

რკინიგზის სადგურის საფოსტო განყოფილებაში შალვას წერილი დახვდა. აი, რა ეწერა ამ წერილში: „მე ცუდი მსროლელი გამოვდექი: ვერც შენ მოგკალი და ვერც თავი მოვიკალი. სიკვდილს გადავურჩი, ძალიან ვნანობ. შერჩენილი სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის მინდა, რომ ჩემი აზრის სიმართლე დავამტკიცო. მე თვალყურს ვადევნებ თანამედროვე ვითარებას, კვალდაკვალ აღვნიშნავ თქვენი იდეალების დამამხობელ ფაქტებს, და როდესაც სინამდვილე ძირფესვიანად მოსპობს თქვენს თეორიას, როდესაც თქვენი საყვარელი მშრომელი ხალხი ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის მხეცობას, აი, მაშინ დაგიდგებით მეფისტოფელივით. ნახვამდის, ჩვენ ერთხელ კიდევ შევებრძოლებით ერთმანეთს! ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! ევა".

შალვა დიდხანს დაჰყურებდა წერილს.

— ვისგან არის? — იკითხა სოფიკომ.

პასუხის ნაცვლად მამამ წერილი გაუწოდა.

1926 წ.

ვარლაამ მალაქიაშვილის (ხუროძის) ნაწარმოებების არასრული სია

*** „სიზმრად გიხილე...“ (ლექსი), ჟურნ. „მათრახი და სალამური“, 1903 წ., № 21.

დედის მსხვერპლი (მოთხრობა), გაზ. „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1904, №№ 193, 199, 201.

ლუკმა პურისთვის (მოთხრობა იმერეთის ცხოვრებიდან), ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 12 1905 №№ 1, 2.

დედის სიყვარული (მოთხრობა), ჟურნ. „ნაკადული“, 1905, № VII.

ორი ხაფლავი (ესკიზი), გაზ. „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“ 1905, №№ 335, 336.

ნაკადული (ლექსი), ჟურნ. „ნაკადული“, 1906, № 12.

მე მუნჯი ვარ (სურათი), ჟურნ. „ნიშადური“, 1907, № 8.

სიმღერა (იუმორისტული ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1907, № 7.

„დუმა“ (იუმორისტული ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1907, № 7.

მიბაძვა (ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1907, № 9.

კობა და გუგული (მოთხრობა პროპაგანდისტის ცხოვრებიდან), ჟურნ. „ეკალი“, 1908, № 4.

ზღვას (ლექსი), ჟურნ. „ჩვენი კვალი“, 1908, № 13.

მათიას ოჯახი (სურათი), გაზ. „მათრახი“, 1908, №№ 4, 5.

** „დეე, ვარდი დასჭკნეს, ვარდი კოკობი...“ (ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 40.

მოძმეთა სისხლი (სურათი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 42.

** „ხეზე დაბნელდა და მთელს ქვეყანას გადაეფარა შავი ხუდარა...“ (ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 35.

ხოფლის ცხოვრებიდან (სურათი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908. №№ 36, 37, 38.

ხატრფოს (ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 31.

შენიშვნა (ლექსი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 29.

უმუშევარი (სურათი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, №№ 27, 28, 29.

ივანეს მდგომარეობა (სურათი), ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 22.

** „ცახ ლრუბელი, მიწახ ყვნესა...“ (ლექსი), ეურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 21.

ხიმღერა (ლექსი), ეურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 16.

წერილი ისტორიკოსისადმი (იუმორისტული ფელეტონი), ეურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 15.

ეეშთი ბურჯუაძეს, (კომედია სამ მოქმედებად), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, №№ 6, 7, 8, 9, 10, 19.

ნათლია და ნათლული (მოთხრობა), ეურნ. „ფასკუნჯი“, 1909, №№ 16, 17.

ხიხარულით მიაბიჯებდა სახლისაკენ (მოთხრობა), ეურნ. „ფასკუნჯი“. 1909, №№ 9, 10, 11.

აღდგომა (ლექსი), ეურნ. „ეშმაკის სალამური“, 1909, № 2.

** „რა მოწყენაა!.. ოხ ღმერთო ჩემო...“, ეურნ. „სალამური“, 1909, № 1.

** „რითი უწამლო დაწყლულებულ გულს“... (ლექსი), ეურნ. „სალამური“. 1909, № 2.

ხონიხ ქალთა გიმნაზიის ცხოვრებიდან (იუმორისტული მოთხრობა). ეურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1908, № 17.

ჩემი ტაძარი (ლექსი), ეურნ. „სხივი“, 1909, № 3.

კითხვები (ლექსი), ეურნ. „სხივი“, 1909, № 1.

** „მე გულის ხილრმე გადაგიშალე...“ (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 22.

** „ცელქო ნიავო, ნუ, ნუ უბერავ...“ (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 25.

სურათი (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 26.

ვარსკვლავს (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 27.

შობა (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 29.

ხალამურს (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 1.

აკორდები (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 20.

** „ვინ, ვინ დავმარხეთ ჩვენ იმ ხალამოს...“ (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1909, № 28.

** „გაიცინეთ ვიღაცამ მითხრა...“ (ლექსი), ეურნ. „სხივი“, 1910, № 8.

ხამოთხეში (მოთხრობა), ეურნ. „სხივი“, 1910, № 5, 6.

ხიკვდილი და სიცოცხლე (სამი ფანტასტიური სურათი), გაზ. „ჩვენი გზა“ 1910, №№ 12, 13, 14.

გარშემო კი წყვდიადია, სიბნელე ხაშიში (სურათი), ეურნ. „ნიშადური“ 1910, № 9.

შავი გველი (დრამა 4 მოქმედებად და 5 სურათად), გაზ. „ახალი გზა“. 1910, №№ 14, 15, 18, 19, 22, 23, 24, 25.

ახალი ბარტახი (მოთხრობა), გაზ. „საქმე“, 1910, №№ 27, 28.

ხაახალწლო იმედი (ლექსი), ეურნ. „სხივი“, 1910, № 4.

გული დასერა ზამთარმა (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1910, № 7.

** „ოჰ! არასდროს...“ (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური“, 1910, № 19.

მიმოგონების ზვირთთა დუდუნი (ლექსი), ეურნ. „მათრახი და სალამური", 1910, № 27.

შოთა ბროლიძე (რომანი), ცალკე წიგნად, 1911.

პატარა ამბავი (მოთხრობა), ეურნ. „ნაკადული", 1911, №№ 6, 7.

ნაკადულთან (მოთხრობა), ეურნ. „ნაკადული", 1911, № 9.

ნაწყვეტები (ლექსი), ეურნ. „ეშმაკის მახე", 1911, № 6.

ფსევდონიმის მაძიებელი (იუმორისტული მოთხრობა), ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1911, № 6.

ობლები (მოთხრობა), 1912.

კეკელოს თავგადასავალი, 1912.

მშობლიური ბუდისაკენ (პიესა 4 მოქმედებად და 5 სურათად), ეურნ. „ეშმაკის მახე", 1911, №№ 8, 10, 11.

ახალი ალბომიდან (ლექსი), გაზ. „ახალი აზრი", 1914, № 3.

ბუდას (ლექსი), გაზ. „ახალი აზრი", 1914, № 3.

ხაქართველოს (აკაკის ხსოვნას), ეურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, № 8.

ომი ძველ ხაქართველოში (იუმორისტული მოთხრობა), ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1916, № 32, 33.

ზაქარიას მეთოდი, ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1916, № 38.

ხახუმარო რვეულიდან: 1. მგოსანი რახუნაშვილი; 2. სადალაქო ქუჩაში; 3. ვაი ვირისაგან; 4. ფათერაკი, რომელიც რომა მე შემემთხვა. ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1916, №№ 31, 39, 41, 47.

იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916, №№ 24, 25, 26.

ორი ვაშლი (საახალწლო ამბავი), გაზ. „თანამედროვე აზრი", 1917, №№ 11, 12.

ო-ს (ლექსი), გაზ. „აზრი", 1917, № 37.

მუშას (ლექსი), გაზ. „ერთობა", 1917, № 3.

მიტინგზე (ლექსი), გაზ. „ერთობა", 1917, № 28.

„ლეილა" და „ხაფირონი" (წერილი), გაზ. „თანამედროვე აზრი", 1917, №№ 45, 46.

ხკოლის ხაკითხი, გაზ. „ერთობა", 1917, № 32.

ერთი ქალის აზრები (მოთხრობა), გაზ. „ერთობა", 1919, №№ 53, 54, 55.

უველა ტალანტთა ქალაქი (იუმორისტული მოთხრობა), ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1919, № 4.

ხიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში, გაზ. „ერთობა", 1919, №№ 228, 229, 252, 253.

წერილები ლიტერატურის შესახებ, გაზ. „ერთობა", 1919, №№ 91, 93.

ბედნიერი კაცი (მოთხრობა), ეურნ. „ცისარტყელა", 1920, № 3.

გაერთიანებულ კანცელარიაში (იუმორისტული მოთხრობა), ეურნ. „ეშმაკის მათრახი", 1920, № 8.

ემილ ვერჰარნი, ეურნ. „ცისარტყელა", 1920, № 5.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება (კრიტიკული ცდა), ეურნ. „ცისარტყელა", 1920, № 2.

ობოლი მუშა, გაზ. „ერთობა“, 1920, № 128.
ჩვენი ზურაბი (მოთხრობა), გაზ. „ლომისი“, 1923, № 20.
ბაბილონის გოდოლი (ესკიზი), „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 3.
ხოფლის ხურათები (მოთხრობა), ცალკე წიგნად, 1925.
ზღვის პირად (მოთხრობა,) ჟურნ. „ჩირაღდანი“, 1925, №№ 5, 6, 7.
მუშათა კლასი და ხელოვნება, ჟურნ. „ხელოვნება“. 1925, № 2.
მიხეილ ჯავახიშვილი — ადამიშვილი, ჟურნ. „მნათობი“. 1925, № 5, 6.
აკაკი წერეთელი, ჟურნ. „თეატრი და ხელოვნება“, 1925.
ხოფრომ მგალობლიშვილი, ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925, № 8.
ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (ბიბლიოგრაფია), ჟურნ, „მნათობი“, 1925, № 10.
ჭოლა ლომთათიძე, ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925, № 4.
კითხვისა და წერის სწავლება ახალი სკოლის პირობებში, ჟურნ. „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925, № 2.
ხამნი (რომანი), ცალკე წიგნად, 1926.
პატარა მოთხრობები, ცალკე წიგნად, 1926.
შიო არაგვისპირელი, ჟურნ. „მნათობი“, 1926, № 1.
ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვა, ცალკე წიგნად, 1927.
ოთხებ დავითაშვილის შემოქმედება, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 4.
მეჯლანუაშვილის ავტორი ლავრენტი არდაზიანი, ბიოგრაფია და ლიტერატურული მოღვაწეობა, ცალკე წიგნად, 1927.
მაქსიმ გორკი, ჟურნ. „მნათობი“, 1928, № 4.
მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები, ჟურნ. „განათლება“, 1927, № 1.
გრ. ორბელიანის ლექსები, ჟურნ. „მნათობი“, 1928, № 7.
აკაკი წერეთლის IV ტომი, ჟურნ. „მნათობი“, 1928, № 10.
ჰენრიხ იბსენი, ჟურნ. „მნათობი“, 1928, № 3.
მშობლიური ლიტერატურისა და ენის სწავლების საკითხები, ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1928, № 8.
ეგნატე ნინოშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1929, № 11, 12.
ორი ხტილი, ჟურნ. „მნათობი“, 1929, № 4, 8, 9.
წერილები გ. წერეთლისადმი, ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1929, №№ 11, 12.
მხატვრული ლიტერატურა 1905 წელს, „რევოლუციის მატიანე“, 1930, № 1 (23).
ოთარაანთ ქვრივი. შრომის სკოლაში, ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1931, № 3.
ანტირელიგიური მუშაობა ხალხური სიტყვიერების სწავლების დროს, ჟურნ. „რელიგიის წინააღმდეგ“, 1931, № 11, 12.
ქართული ენა და ლიტერატურა ოთხწლედის მასწავლებელთათვის და პედტექნიკუმებისათვის (სახელმძღვანელო), 1931.

შრომის გზა. ლიტერატურის სამუშაო წიგნი, (ა. ქურციძესთან თანაავტორობით) 1932.

ლიტერატურის პროგრამები საშუალო სკოლებში, „ლიტერატურული გაზეთი". 1934, № 27.

მთვარაძე, „ჩვენც — ჩვენც", ბიბლიოგრაფია, გაზ. „კომუნისტი", 1934. № 34 (238).

თეიმურაზ პირველი, ბიბლიოგრაფია, ჟურნ. „მნათობი", 1935, № 3.

ნინოშვილის პერსონაჟების ენის თავისებურებანი და კლასობრივი ელფერი, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1935, № 1.

რაფ. ერისთავის ლექსი სურათის სანიმუშო გარჩევა, ჟურნ. „მასწავლებლის თანამგზავრი", 1935, № 1.

შემოწმებითი გამოცდები ქართულ ენაში, ჟურნ. „მასწავლებლის თანამგზავრი", 1935, № 5.

მშობლიური ენის დაუფლებისათვის, ჟურნ. „მასწავლებლის თანამგზავრი". 1935, № 7 — 8.

ვაჟა-ფშაველა, ჟურნ. „მასწავლებლის თანამგზავრი", 1935, № 9.

ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში, ცალკე წიგნად, 1935.

ელისო (მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, სანიმუშო გარჩევა), ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1936, № 4.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, ჟურნ. „მნათობი", 1937, № 5.

რუსთაველის სოციალური იდეალი, გაზ. „მუშა", 1937, № 294.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეთა გაგებისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, 10 ივნისი.

კითხვის მექანიზმის განვითარებისათვის, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1937, № 7.

„ეაცია ადამიანი?!", ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1937, № 5, 6.

ილიას პედაგოგიური აზრები, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1937, № 7.

ვეფხისტყაოსნის სწავლებისათვის სკოლაში, კრებული „შოთა რუსთაველი სკოლაში", 1937.

ვეფხისტყაოსნის ეთიკა და სოციალური იდეალები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938, № 3.

„დამაკვირდი" (ბიბლიოგრაფია), გაზ. „კომუნისტი", 1938, № 77.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა სკოლაში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1938, № 3.

ხახელშძღვანელოებზე მუშაობა სკოლაში (მშობლიურ ენაზე), ჟურნ. „კომუნისტური განათლება", 1938, № 11.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გარჩევა საშუალო სკოლის IX კლასისათვის, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1938, № 6.

ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლებში VIII კლასისათვის. 1938

ქართული ლიტერატურის ქრესტომათია არაქართული სკოლების IX კლასისათვის, (თანაავტორი), 1938.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
კეკელოს თავგადასავალი (მოთხრობა)	11
ობლები (მოთხრობა)	28
სოფლის სურათები (მოთხრობა)	39
დათოვლილი გეორგვინი (რომანი)	101
შოთა ბროლიძე (რომანი)	220
სამნი (რომანი)	326
ვ. მალაქიაშვილის (ხუროძის) ნაწარმოებების არასრული სია	522

Малакишвили (Хуродзе) Варлам Адамович

Сочинения

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1970

რედაქტორი ნ. კანდელაკი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ლ. კალანდაძე
გამომშვები შ. ლექავა

გადაეცა წარმოებას 15/II-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VIII-70 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27,72+1 ჩაკერა, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,78
უე 01731. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 75.
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.